ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ნინო ხარიტონაშვილი

მესამე პირები სამოქალაქო პროცესში

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფ., სამ. დოქტორი,
ზურაბ ძლიერიშვილი

თბილისი 2017

სტრუქტურა:

აბრევიატურების ნუსხა 5
I. შესავალი 6
II. სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის ისტორიული მიმოხილვა **16**
1. შესავალი 16
2. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა რომის სამოქალაქო პროცესში 18
3. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში 20
4. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა ფრანგულ საპროცესო სამართალში 24
5. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა რუსეთის სამოქალაქო პროცესში 25
6. სამოქალაქო პროცესი და მესამე პირები ქართული სამართლის ისტორიაში 27

III. მესამე პირების ცნება და სახეები **35**
1. საქმეში მონაწილე პირები და მესამე პირების ადგილი მათ შორის 35
2. სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მნიშვნელობა 40
3. მესამე პირების ცნება 46
4. მესამე პირების სახეები 52

IV. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით **56**
1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის ცნება 56
2 დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების ძირითადი ნიშნები 60
3. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების განსხვავება თანამონაწილეებისაგან 63
4. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების საქმეში ჩართვის სტადია 66
5. მოპასუხე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნაზე 69
6. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნის საფუძველი 73
7. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირების სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები 78
8. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების უფლება-მოვალეობები 83
9. სასამართლო ხარჯები 88
10. საქმეში მესამე პირად დაშვებაზე განჩინების გასაჩივრება 89
11. სასამართლო გადაწყვეტილება და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გავლენა 92

V. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.....101
1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ცნება 101
2. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის საფუძველი და სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.....109
3. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ნიშნები და მათი განსხვავება საქმეში მონაწილე პირებისაგან.....120
4. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის წესი.....126
5. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობის ინიციატივა.....130
6. მხარე, რომლის მხარეზეც მონაწილეობს მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.....135
7. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საპროცესო უფლებები და მოვალეობები.....141
8. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიერ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება.....148
9. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.....154
10. რეგრესის უფლებასთან დაკავშირებით მესამე პირების პროცესში ჩართვა 160
11. სასამართლო ხარჯები 166

VI. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მესამე პირების შედარება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მესამე პირებთან.....167
1. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მნიშვნელობა 167
2. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მიზნები 169
3. მესამე პირების მონაწილეობის ფორმა ადმინისტრაციულ პროცესში 171
4. სასამართლოს განჩინების გასაჩივრება 178
ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირები და სასამართლოს მეგობარი 179

VII. მესამე პირების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე 183
1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგადი პრინციპები და მათი გავლენა მესამე პირებზე.....183
2. მესამე პირები ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის პროცესში.....186
2.1. მესამე პირები ნიდერლანდების სამოქალაქო პროცესში.....195
2.2. მესამე პირები გერმანიის სამოქალაქო პროცესში.....197
2.2.1. ჩართვის სახეები.....197
2.2.2 ძირითადი ჩართვა – hauptintervention.....198

2.2.3. დამატებითი ჩართვა – Nebenintervention 201
2.2.4. დავის შეტყობინება – Streitverkündung..... 207
2.2.5. მესამე პირის ჩართვა სასამართლოს ინიციატივით.....210
2.2.6. კრედიტორების დავა Pratendentenstreit.....211
2.2.7. ავტორის დასახელება – Urheberbenennung.....211
2.3. მესამე პირები საფრანგეთის სამოქალაქო პროცესში.....213
2.4. მესამე პირები იტალიის საპროცესო კანონმდებლობაში.....215
2.5. მესამე პირები იაპონურ სამოქალაქო პროცესში.....217
2.6. მესამე პირები ინგლისურ სამოქალაქო საპროცესო სისტემაში.....219
2.7. მესამე პირები ამერიკული საპროცესო სამართლის სისტემაში.....225
2.8. მესამე პირები ავსტრალიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში 230
2.9. მესამე პირები კანადის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში 231
2.10. მესამე პირები კვებეკის სამოქალაქო საპროცესო სისტემაში.....232
2.11. მესამე პირები პოსტკომუნისტური ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობებში.....233

დასკვნითი თეზისები და რეკომენდაციები.....239

ბიბლიოგრაფია.....260

აბრევიატურების ნუსხა

იხ. -იხილე
რედ. - რედაქტორი
სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სუს – საქართველოს უზენაესი სასამართლო
სუსგ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი.
ე.ი. – ესე იგი.
ე.წ. – ეგრეთ წოდებული.
ა.შ – ასე შემდეგ.
სსმ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

უცხო ენებზე:

ALI - American institute of Law
ed. - editor
Edt. - Edition
Rev.- Review
UNIDROIT - International Institute for the Unification of Private Law
Univ. - University
Vol. -Volume
v.- versus
Verl. - Verlag
Aufl. - Auflage
под ред. - под редакцией.
Ред. - Редактор

1. შესავალი

მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების სწრაფმა განვითარებამ, შედეგად ახალი და კომპლექსური სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები მოიტანა. მათი მოწესრიგებისათვის საჭიროა ქვეყნის კულტურასა და ინტერესებზე მორგებული კონკრეტული მექანიზმები. საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის პირობებში წარმოშობილ ურთიერთობებში მონაწილე კერძო სამართლის სუბიექტებისათვის მოქნილი საპროცესო სამართლებრივი ინსტრუმენტების არსებობა განაპირობებს მათი უფლებების ჯეროვან რეალიზაციას.

სამოქალაქო დავები, რომლებიც სტანდარტულად ორ მხარეს შორის იწყება შესაძლოა გართულდეს[1] და გახდეს კომპლექსური და მრავალმხრივი. მისი სწორად, სრულყოფილად და ეფექტიანად გადაწყვეტა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მთავარი მიზანია. მოცემული მიზნის განხორციელებისათვის კი მოქნილი და კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაციებია საჭიროა.

<u>კვლევის აქტუალობა</u>. სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საკითხია საქმეში მონაწილე პირებისათვის შესაბამისი სტატუსის, უფლებებისა და ვალდებულებების სწორად განსაზღვრა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობა. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებული მესამე პირების ინსტიტუტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას განამტკიცებს. ასევე, იგი წარმოადგენს ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კულტურის საზომს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის განსაზღვრული მათი უფლებათა მოცულობა, შესაძლებელია მსჯელობა, თუ როგორ იცავს კანონმდებელი მოქალაქეთა უფლებებს. ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის თაობაზე არსებული ნორმების განვითარების ისტორიის შესწავლის, შედარებითი კვლევების განხორციელებისა და მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების დახვეწის აუცილებლობამ განაპირობა აღნიშნული თემის არჩევა.

საბჭოთა პერიოდში არსებული სამოქალაქო კანონმდებლობა უფრო მეტად საჯარო სამართლის ნაწილი იყო. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებამ დღის წესრიგში დააყენა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ოპტიმიზაციისა და ჰარმონიზაციის აუცილებლობა. საქართველოს სახელმწიფომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქვეყნისათვის სასურველ სამართლებრივ სისტემად კონტინენტური სამართალი აირჩია. სწორედ კონტინენტური სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 1997 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მატერიალური სამართლის რეალიზების მექანიზმია და უნდა შეესაბამებოდეს იმ პრინციპებს, რომელსაც ეყრდნობა მატერიალური სამართალი. წინააღმდეგ შემთხვევაში მატერიალური

[1] *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007, 168.

სამართალი რეალიზებას ვერ შეძლებს და პროცესი მის შემაფერხებელ ბერკეტად გარდაიქმნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მატერიალური სამართალი კონტინენტურ სამართალს ეყრდნობა, სამოქალაქო პროცესში მესამე პირების ინსტიტუტის შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმები ძირეულად იგივე დარჩა, რაც საბჭოთა კავშირის დროს იყო და სრულყოფილად ვეღარ პასუხობს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევებს. ამასთან, საქართველოს სახელმწიფოს „ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებისა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულება აკისრია. შეთანხმების მე-13 მუხლის შესაბამისად, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობისას, მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ კანონის უზენაესობის შემდგომ ხელშეწყობაზე, მათ შორის სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. მხარეები სრულად ითანამშრომლებენ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების მართვის სფეროებში მოქმედი ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა საფუძვლად დაედება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობას.[2] აღნიშნული მუხლი პირდაპირ ეხმიანება მესამე პირების ინსტიტუტს, რომელიც სამოქალაქო პროცესში სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის საზომ კრიტერიუმს წარმოადგენს. შესაბამისად, სამოქალაქო საქმის განხილვაში დავის არამონაწილე პირის ჩართვის ინსტიტუტის დსთ-ს ქვეყნების მოდელიდან კონტინენტური სამართლის მოდელზე გადასვლა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საპროცესო კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გზაზე.

წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურად (სისტემურად) გამოკვლეულია თავისი სპეციფიკურობით გამორჩეული სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტი – საქმის განხილვაში მესამე პირების ჩართვა. განხილულია მესამე პირების შესატყვისობა თუ შეუსატყვისობა სხვადასხვა ქვეყნების სამოქალაქო პროცესებში. ნაშრომში შედარებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობები მესამე პირებთან მიმართებით. ამ შედარების საფუძველზე გამოკვეთილია საქართველოში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები. ნაშრომში პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით განხორციელებულია პრობლემური საკითხების თეორიული განხილვა. ჩამოყალიბებულია დასკვნები სასამართლო პრაქტიკაში მესამე პირების როლის შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის და მოცემულია მათი ახლებურად გადაჭრის გზები.

<u>პრობლემური საკითხები</u>. ნაშრომში განხილულია მესამე პირების სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობის შემდეგი პრობლემური საკითხები: რამდენად სწორად ხდება მესამე პირების

[2] ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, 27.06.2014, რატიფიცირებულია 18.07.2014, ძალაშია 01.07.2016.

ჩართვა მიმდინარე სამოქალაქო საქმისწარმოებაში მათი იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით; მიზანშეწონილია თუ არა მესამე პირებისათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ან სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის განსაზღვრული ვადით შეზღუდვა; პროცესის გართულება-გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით რამდენად შესაძლებელია საქმეში ჩართვის უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების საკანონმდებლო რეგულირება; პროცესში ჩაურთველობის შემთხვევაში, შეიძლება თუ არა პოტენციური მესამე პირები მათი უფლებრივი თვალსაზრისით საფრთხეს წარმოადგენდნენ სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპთან მიმართებაში; კანონმდებლის მიერ რამდენადაა შეზღუდული საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა; დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვა პროცესის რომელ სტადიაზეა შესაძლებელი; საჭიროა თუ არა კანონმდებელმა ნათლად განსაზღვროს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვისათვის საჭირო ინტერესის ხარისხი და ა.შ.

კვლევის ობიექტი. ნაშრომის კვლევის ობიექტია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც სამოქალაქო საქმის განხილვაში მესამე პირების მონაწილეობის წესს არეგულირებენ. კერძოდ, მესამე პირების ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების გზის ანალიზი; მესამე პირების თაობაზე მეცნიერული თეორიები; მესამე პირების არსი; საქმეში მონაწილეობის მიზნისა და სამართლებრივი ბუნების დადგენა; პროცესში მონაწილეობის საფუძვლის განსაზღვრა; მესამე პირების ცნების შესაბამისობა მის არსთან და პრაქტიკაში გამოყენების პრობლემატიკა; მესამე პირთა ადგილი პროცესის მონაწილე პირებს შორის; დამახასიათებელი ნიშნები; უფლებათა და მოვალეობათა მოცულობა; სახეების გამიჯვნა; მესამე პირების სამოქალაქო საქმეში მონაწილეობისათვის საჭირო ინტერესის ხარისხის განსაზღვრა; სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა მესამე პირებზე.

კვლევის ობიექტია ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების ის სამოქალაქო საპროცესო ნორმები, რომლებიც არეგულირებენ მხარეთა მიერ დაწყებულ პროცესში არამონაწილე მესამე პირის ჩართვას მხარეთა დასახმარებლად და/ან საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით.

კვლევის ობიექტს აგრეთვე წარმოადგენს, მესამე პირების სამოქალაქო საქმისწარმოებაში მონაწილეობის თაობაზე არსებული სასამართლო პრაქტიკა. პრაქტიკის მიმოხილვიდან კიდევ ერთხელ იკვეთება, რომ მესამე პირების თაობაზე საკანონმდებლო ნორმებში საკმაოდ ბევრი ბუნდოვანი დებულებაა, რომლის მოწესრიგებასა და შევსებას სასამართლო ახდენს. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მესამე პირების თაობაზე არსებული სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენებისას წარმოქმნილ პრობლემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხარვეზების უმეტესობა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებთან მიმართებაში იკვეთება, რომლებიც პროცესის უმნიშვნელო, ფორმალური მონაწილეები სრულიადაც არ არიან.

კვლევის მიზანი. ნაშრომის კვლევის მიზანია სამოქალაქო საქმისწარმოებაში მესამე პირების მონაწილეობის შესახებ არსებული

თეორიული და პრაქტიკული საკითხების მეცნიერული ანალიზი; ქართული კანონმდებლობის საზღვარგარეთის კანონმდებლობასთან შედარების შედეგად დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა და საუკეთესო პრაქტიკის მოძიება; თეორიული საკითხების პრაქტიკაში გამოყენების პრობლემატიკის განსაზღვრა და მათი ოპტიმალურად გადაჭრის გზების მოძიება; მესამე პირების თაობაზე არსებული საპროცესო-სამართლებრივი ნორმების კონტინენტურ სამართალთან ჰარმონიზაციისათვის წინადადებების შემუშავება; მესამე პირების საქმეში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებული რეგულაციების გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის მიზნით კანონმდებლისათვის რეკომენდაციების შეთავაზება.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევა იმ ზოგად-მეცნიერული მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობდა, როგორიცაა ანალიზი და სინთეზი, ნორმატიული და ფუნდამენტური, ლოგიკური, ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. ისტორიული მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა კონკრეტული საპროცესო ინსტიტუტის – მესამე პირების ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარების ეტაპები სხვდასხვა ქვეყნებში. ნორმატიული მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულ იქნა მესამე პირების მომწესრიგებელი ნორმების ადგილი და მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. ლოგიკური მეთოდის გამოყენებით შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები და წინადადებები. ამა თუ იმ კონკრეტული საკითხების საილუსტრაციოდ მაგალითები მოყვანილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების, აგრეთვე, სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლო პრაქტიკიდან. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხორციელდა აღნიშნული ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლა საზღვარგარეთის როგორც კონტინენტური, ასევე საერთო და შერეული სამართლის ქვეყნების კანონმდებლობებში. მესამე პირების ინსტიტუტის შედარების კომპლექსურად განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნა როგორც მიკრო შედარების, ასევე, მაკრო შედარების მეთოდები. მაკროშედარების მეთოდით განხორციელდა საპროცესო სისტემებში და საპროცესო კოდექსებში არსებული მესამე პირის ჩართვის ინსტიტუტის შედარება და ძირითადი პრინციპების განსხვავება. რაც შეეხება მიკროშედარების მეთოდს, მისი მეშვეობით განხორციელდა მესამე პირების თაობაზე არსებული პროცედურული მექანიზმის და მისი ფუნქციური ეკვივალენტების კვლევა სხვადასხვა ქვეყანაში.[3]

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის განვითარებისათვის, სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებისათვის, პროცესში მესამე პირთა ჩართვის თაობაზე არსებული ბუნდოვანი რეგულაციების განმარტებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის დროს ნაშრომში განხორციელებულია პრობლემური საკითხების გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიება. გაკეთებული დასკვნები შეიცავენ რეკომენდაციებს მესამე პირების

[3] *Gottwald P* , Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review, International Edition, № 22, 2005, 28-29, < http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr22/rlr22idx.htm>.

საქმეში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების გაუმჯობესებისა და ეფექტიანობისათვის.

მეცნიერული სიახლე. მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საერთაშორისო მიდგომების გათვალისწინებით ისეთი საპროცესო მექანიზმის დანერგვა, როგორიცაა „amicus curiae“[4]. კვლევაზე დაყრდნობით ნაშრომში შემოთავაზებულია – „ჩართვის“ ცნების დანერგვა, რაც სრულად ასახავდა მესამე პირებისათვის დამახასიათებელ მთავარ ნიშან-თვისებას: სხვის მიერ დაწყებულ პროცესში ჩართვას. ხოლო „ჩართვის“ ცნების განსაზღვრის შემდეგ რეკომენდებულია ჩართვის სახეების დიფერენცირება კონტინენტური სამართლის მაგალითზე. აღნიშნული დიფერენცირება გარდა იმისა, რომ დაეხმარება პროცესის მონაწილეთა სწორ განლაგებას, ასევე მოახდენს მესამე პირების საქმის დასასრულისადმი ინტერესის ხარისხის განსაზღვრას. არ მოხდება აგრეთვე მათი აღრევა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სასამართლოს სრულყოფილი დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაში.

სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლის, 6 თავის, 39 ქვეთავისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის პირველი ნაწილი არის შესავალი.

მეორე ნაწილში მოცემულია სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის ისტორიული მიმოხილვა; ხაზგასმულია ის გარემოებები, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კვლევის ობიექტის ისტორიული კუთხით გაშუქება. შემდეგ, ქრონოლოგიური თანმიმდევრულობით განხილულია მესამე პირების ინსტიტუტის განვითარება რომის, გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების, საფრანგეთისა და რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. მითითებული ისტორიული ექსკურსის შესაბამისად, „ჩართვის“ ინსტიტუტის სამშობლოდ რომის სამოქალაქო პროცესი, ხოლო მისი განვითარების ხანად კანონიკური სამართლის პერიოდია მიჩნეული. განხილულია მესამე პირების უფლებათა მოცულობის ზრდა სამოქალაქო პროცესის დახვეწის პარალელურად, რაც მესამე პირების ინსტიტუტს ფაქტობრივად ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი კულტურის განმსაზღვრელ ერთ-ერთ საზომად აქცევს.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია საქმეში მონაწილე პირები და მათ შორის მესამე პირების ადგილი. განხორციელებულია საქმეში მონაწილე პირთა დაჯგუფება მათი პროცესის საგანთან მიმართების მიხედვით. დაჯგუფების შედეგად გამოკვეთილია, რომ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მის გარეშე საქმეში მონაწილე პირთა კატეგორიზაციისას ერთსა და იმავე ჯგუფში შედიან. თუმცა, იმისდა მიხედვით, საქმის შედეგისადმი თუ რა იურიდიული დაინტერესება გააჩნიათ, სხვადასხვა ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან. ამავე თავში საუბარია მესამე პირების სამოქალაქო პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობაზე. ვინაიდან, საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოს კონსტიტუციის მიერ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აღიარებას პირდაპირი გავლენა აქვს საპროცესო სამართალზე, ხოლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6

[4] აღნიშნული ინსტიტუტი გაანალიზებულია ნაშრომის 15, 15, 53, 110, 111, 182, 183,189, 224, 233, 234, 253, 256 გვერდებზე.

მუხლით დადგენილი და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებული „სასამართლოსათვის მიმართვის უფლება“, ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტურ უფლებათაგანია, შესაბამისად, მესამე პირთა შესახებ საპროცესო სამართლებრივი ნორმები, მათი უფლებების განხორციელების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. აქვე განხილულია მესამე პირთა სამოქალაქო პროცესში მონაწილეობის მიზანშეწონილობის თაობაზე მეცნიერთა მოსაზრებები და ხაზგასმულია ის დადებითი შედეგები, რაც მათ საქმეში მონაწილეობას გააჩნია. ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში ასევე, საუბარია მესამე პირების ერთიან ცნებასა და ტერმინ „მესამე პირის“ მიზანშეწონილობაზე ამ კომპლექსურ ინსტიტუტთან მიმართებაში. განხილულია მესამე პირების სახეები და მათი განმასხვავებელი ნიშნები, კერძოდ, საქმეში ჩართვის საფუძველი და დაინტერესების ხარისხი. ამასთან, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

მეოთხე თავი ეხება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებს. განხილულია სხვადასხვა პროცესუალისტების მიერ ჩამოყალიბებული ცნებები და მათი შესაბამისობა მესამე პირების არსთან; საუბარია დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირების ძირითად ნიშნებზე და თანამონაწილეებისაგან მათ განმასხვავებელ თავისებურებებზე; ხაზგასმულია მესამე პირების საქმეში ჩართვის დროსთან დაკავშირებით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე და მათ მიზანშეწონილობაზე; ამ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებულია როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლების მიდგომების ანალიზი კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით. შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ ცვლილება, რომელიც სასამართლო პაექრობის დაწყებამდე მესამე პირთა საქმეში ჩართვას უშვებს, საპროცესო ეკონომიის პრინციპს უწყობს ხელს. ასევე, საუბარია იმ ცვლილებაზეც, რომლის შესაბამისადაც მესამე პირი საპროცესო სტატუსს სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციისთანავე მოიპოვებს. განხილულია საკითხი, თუ ვინ შეიძლება იყოს მოპასუხე მესამე პირის მოთხოვნაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით პროცესუალისტების ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები.

ამავე თავში განხილულია მესამე პირების საქმეში ჩართვის საფუძველი, სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები (locus standi) და მოყვანილია მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. გამოკვეთილია ის კონკრეტული პირობები, რომელსაც მესამე პირების მიერ წარდგენილი სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს. გაანალიზებულია მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები, მათ მიერ სასამართლო ხარჯებში მონაწილეობის საკითხი, საქმეში მესამე პირად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრება.

ამავე თავის ბოლო ქვეთავი ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილება და მასზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გავლენა. საკითხის საილუსტრაციოდ საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებია მოყვანილი. განხილულია მესამე პირის საქმეში ჩაურთველობის გამო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საკითხი. პრობლემური საკითხის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად მიჩნეულია კანონმდებლის

მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლოსათვის მესამე პირების მოწვევის/ინფორმირების უფლების მინიჭება.
დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე პირებს ეძღვნება ნაშრომის მეხუთე თავი. მასში საუბარია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების ცნებაზე, მათ განსაკუთრებულობაზე უფლებათა მოცულობის თვალსაზრისით, ამ საპროცესო მექანიზმის შესაბამისობაზე მის დასახელებასთან. განხორციელებულია უცხოურ კანომდებლობაში ანალოგიური ინსტიტუტების შედარებითი კვლევა და მათი განსხვავება. გამოკვეთილია ის, რომ გერმანულ კანონმდებლობაში აღნიშნული მესამე პირის მიზანი პირდაპირ მხარის დახმარებითაა განსაზღვრული. ხაზგასმულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის საფუძველზე, მათ უფლებებზე, მოვალეობებზე და სასამართლო გადაწყვეტილების გავლენაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ინტერესის ხარისხს, როგორც საქმეში მონაწილეობის პირობას. საქართველოს კანონმდებლობაში მითითებული არ არის საქმეში ჩართვისათვის პირს რა სახის ინტერესი უნდა ჰქონდეს. ქართული კანონმდებლობის დათქმა „ყოველი დაინტერესებული პირი“ ძალიან ფართო ცნებაა. მით უმეტეს, რომ არ ზუსტდება მის უფლებებზე რა სახის გავლენას უნდა ახდენდეს გადაწყვეტილება. მოყვანილია მაგალითი ევროსაბჭოს სასამართლოების პრეცედენტული სამართლის მიხედვით: „ინტერესი სასამართლოში განსახილველი საქმის შედეგებისადმი არსებობს, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს „ჩართულის“ სამართლებრივ პოზიციაზე ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მხოლოდ პირის ინტერესი ერთ-ერთი მხარის მიერ წამოყენებული სარჩელის წარმატებისა ან წაგებისათვის, ჩართვისათვის არასაკმარისია.[5] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც, მესამე პირის საქმეში მონაწილეობის ინტერესის განსაზღვრისათვის, შემოთავაზებულია მიეთითოს სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა პირის ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობაზე.
ამავე თავში განხილულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების განსხვავება საქმეში მონაწილე პირებისაგან; ყურადღება გამახვილებულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის წესსა და დროზე. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის წესი დეტალურად არ არის განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის 89-ე და 90-ე მუხლები საქმეში ჩართვის პირობად მხოლოდ ყველა დაინტერესებული პირის მიერ მოტივირებული განცხადებით მიმართვას ადგენს. მაგალითად მოყვანილია გფრ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული, საპროცესო დოკუმენტების მომზადების ზოგადი მოთხოვნების გარდა, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს

[5] *Eliantonio M., Backes Ch.W, Van Rhee C.H., , Spronken T.N.B.M., Berlee A.*, Standing up for your right(s) in Europe, A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts, Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen's Rights and Constitutional Affairs, Legal ffairs, 2012.36. < www.europarl.europa.eu/.../IPOL-JURI_ET(2012)462478_EN.pdf>.

საპროცესო დოკუმენტი. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გერმანული მოდელია შემოთავაზებული: კანონით განსაზღვრული რეკვიზიტების მქონე წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე საქმეში ჩართვა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.
ამავე თავში განხილულია მესამე პირების საქმეში მონაწილეობის ინიციატივის წყარო და ფაქტი, რომ თუ აღნიშნული ინიციატივა მოდის მხარისაგან, კანონით არ იკვეთება მესამე პირის უფლება უარი თქვას ამგვარ მონაწილეობაზე. ამასთან, ისევე როგორც წინა თავში, ხაზგასმულია სასამართლოს ინიციატივით პოტენციურ მესამე პირთათვის შეტყობინების უფლებაზე. საკითხის საილუსტრაციოდ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან არის მოყვანილი. საუბარია მხარეებზე, რომელთა მხარეზეც მონაწილეობენ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე; დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მხარეზე სხვა მესამე პირების ე.წ. „სუბმესამე პირების“ ჩაბმის საკითხზე; განხილულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების უფლებები და მოვალეობები. ხაზგასმულია იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებლობიდან არ იკვეთება მათ აქვთ თუ არა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირთა შორის მოხსენიებული არაა მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. მაგრამ სსსკ-ს 91-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საპროცესო უფლებებს, ამ გამონაკლისის შესახებ მითითებული არაა. მიმოხილულია სასამართლო პრაქტიკის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
მე-5 თავის ქვეთავი ეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ჩაბმის ან მასზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებასა და მის გასაჩივრებას. ამ შემთხვევაში მესამე პირს შესაძლებლობა არა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს, ვინაიდან გარეშე, საქმეში არამონაწილე პირია. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირს დამოუკიდებელი სარჩელის შეტანის გზითაც კი არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები, ვინაიდან, იგი დავის საგანზე დამოუკიდებელ უფლებას არ აცხადებს. შესაბამისად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირისათვის საქმეში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება არა მხოლოდ ზღუდავს მათ უფლებებს, არამედ მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას მთლიანად აფერხებს. მიუხედავად იმისა, რომ პროცესის დასასრულმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მესამე პირთა უფლებებსა და მოვალეობებზე. შესაბამისად, მართებული იქნება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილება და პოტენციურ მესამე პირებს საშუალება მიეცეთ ასეთი განჩინება გაასაჩივრონ, ვინაიდან მესამე პირთა საქმეში დაშვებაზე სასამართლოს უარი არსებითად ლახავს მათ უფლებებს და ხელს უშლის საკუთარი ინტერესების დაცვაში.
მითითებულ თავში ასევე საუბარია რეგრესის უფლებასთან დაკავშირებით მესამე პირების პოცესში ჩართვასა და თავდაპირველი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთობლივი გადაწყვეტის საკითხზე. განხილულია მეცნიერთა მოსაზრებები, რომელთა შეჯერების

საფუძველზე ყველაზე მოქნილად მიჩნეულია, რომ სამოქალაქო უფლებაზე დავისას უფრო მიზანშეწონილია ძირითადი და რეგრესული სარჩელების ცალკე, დამოუკიდებელ პროცესში განხილვა. თუმცა ამ ზოგადი წესიდან შესაძლოა გამონაკლისი იქნეს დაშვებული იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო საჭიროდ და პროცესუალურად მიზანშეწონილად ჩათვლის.

ნაშრომის მეექვსე თავი ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მესამე პირების შედარებას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მესამე პირებთან. მითითებულ თავში განხილულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გათვალისწინებული მესამე პირების თავისებურებანი და მათი განვითარების გზა; საუბარია ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის საერთო მიზნებზე, მსგავსებებსა და განსხვავებებზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავების გამომწვევ მიზეზზე - ადმინისტრაციული სამართალში არსებული ინკვიზიციურობის პრინციპზე; საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების მონაწილეობის სახეებზე; ასევე, განხორციელებულია მესამე პირების თაობაზე ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ნორმათა განვითარების ანალიზი; განხილულია ადმინისტრაციულ პროცესში ახლად დანერგილი საპროცესო მექანიზმის „amicus curae“-ს მიზანშეწონილობა კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.

ნაშრომის მეშვიდე თავში მოცემულია სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირების ინსტიტუტის შედარებითი ანალიზი, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარება განხორციელებულია კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაშიც. მითითებულ თავში თავდაპირველად აქცენტი გაკეთებულია ზოგადად შედარებითი კვლევების განხორციელების მნიშვნელობაზე სამოქალაქო პროცესში, პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე შედარებითი კვლევების სირთულეზე. შემდგომში მიმოხილულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგადი პრინციპები და მათი აღიარების ფუნდამენტური მნიშვნელობა, ასევე მესამე პირების როლი აღნიშნული პრინციპების განხორციელებაში. აღნიშნული ნაწილი ასევე, ეხება სამოქალაქო პროცესის ჰარმონიზაციასა და უნიფიკაციას, რისი განხილვის აუცილებლობაც განაპირობა მსოფლიოში მიმდინარე მასშტაბური ჰარმონიზაციის პროცესმა; მიმოხილულია ჰარმონიზაციის მცდელობები სფეროთა და ტერიტორიის მიხედვით. სფეროთა მიხედვით ჰარმონიზაციის მაგალითად მოყვანილია ამერიკის სამართლის ინსტიტუტისა (ALI) და კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) ერთობლივი პროექტი „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპები და წესები“ და ამ წესებით განსაზღვრული „ჩართვის“ ინსტიტუტის თავისებურებანი. განხილულია ის ზოგადი პრინციპები, რასაც მესამე პირების საქმეში ჩართვასთან მიმართებაში აღნიშნული ე.წ. სამოდელო წესები გვთავაზობენ. კერძოდ სასამართლოს ფართო უფლებამოსილებას მესამე პირების მოწვევის საკითხთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის დაცვის პრევენციას. ასევე მიმოხილულია პროცესის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა amicus curiae brief, რომელსაც

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. ტერიტორიული ჰარმონიზაციის მაგალითად მოყვანილია ევროკავშირის კანონმდებლობა და მასში არსებული მესამე პირები. ამავე თავში მიმოხილულია უკვე ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნების შიდა კანონმდებლობებში მესამე პირებთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები, კერძოდ ნიდერლანდების, გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობები. აღნიშნული ქვეყნების არჩევა განაპირობა მითითებული საპროცესო ინსტიტუტების დახვეწილობამ და თავისებურებებმა. კერძოდ, ნიდერლანდებში არსებულმა მესამე პირების სავალდებულო მონაწილეობის მექანიზმებმა კომპენსაციის პროცესის დროს, გერმანულ საპროცესო სამართალში მესამე პირებთან დაკავშირებით არსებულმა დეტალურმა და დახვეწილმა ნორმებმა, ფრანგულ სამართალში მესამე პირების ჩართვასთან დაკავშირებით პროცესის შეჩერების არსებობამ, იტალიურ სამართალში ჩართვის სავალდებულო და ნებაყოფლობითმა ხასიათმა.
ასევე, განხილულია მესამე პირების ჩართვა იაპონურ სამოქალაქო პროცესში, რომლის განვითარების წყაროს გერმანული დოქტრინა წარმოადგენს და გერმანულ მოდელს ემყარება. ასევე, წარმოდგენილია პროცესში ჩარევის ინსტიტუტი საერთო სამართალში, ცალ-ცალკე ინგლისისა და ამერიკის საპროცესო სისტემებში არსებული თავისებურებების გათვალისწინებით. მესამე პირებთან დაკავშირებული რეგულაციები საერთო და კონტინენტური სამართლის ნაერთ კვებეკის საპროცესო სამართლის სისტემაში; მიმოხილულია მესამე პირებთან დაკავშირებით არსებული ნორმები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ძირითადად ხაზგასმულია მათ საერთო თავისებურებებზე.
დასკვნის სახით შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები და პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები.
ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია საქართველოს და საზღვარგარეთის შემდეგ პერიოდულ გამოცემებში:
- *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები, სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 ISSN 2233-3746 , N1, 2017;
- *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირები საზოგადოებაში თანამედროვე თანამშრომლობისა და პარტნიორობის სამსახურში, მე-3 დისციპლინათაშორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა“ მასალები, ვარშავა, პოლონეთი, 01.07.2017;
- *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირების მონაწილეობის პრობლემატიკა სამოქალაქო პროცესში, სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო ნაკრები «European Cooperation», Vol 4, No 11 (2016),04.2016, ვარშავა, პოლონეთი;
- *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, 04.2016, სამოქალაქო პროცესი, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, გამოცემის შესრულების თარიღი 04.2016, http://www.lawandworld.ge/uploads/magazine/magazine_N4.pdf;
- *ხარიტონაშვილი ნ.* სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირების ინსტიტუტის განვითარების ისტორიული მიმოხილვა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ 4(32), 2015.

II. სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის ისტორიული მიმოხილვა

1. შესავალი

სამართლებრივი ინსტიტუტების კვლევისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი ისტორიული მიმოხილვა, მისი წარმოშობის წყაროს კვლევა, განვითარების საფეხურებისა და ევოლუციისათვის თვალის მიდევნება, ცნების ფორმირებისა და ტრანსფორმაციის მიმოხილვა. ეს კვლევა იძლევა ამა თუ იმ ინსიტუტის ამჟამინდელი და არსებული სახით ჩამოყალიბების გამომწვევი ფაქტორებისა და მიზეზების გააზრების საშუალებას. ასევე, განსაზღვრავს მისი სწორი სავარაუდო განვითარების შემდგომ საფეხურებს. იმის ცოდნის შემთხვევაში, თუ რა ტრანსფორმაცია განიცადა ამა თუ იმ სამართლებრივმა ინსტიტუტმა და რა მიზეზებით, შესაძლებელი გახდება მის ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილება. რეკომენდაციების სწორად შემუშავებაც შესაძლებელია მხოლოდ ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. ახალი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები თავისთავად მოითხოვენ გამოწვევების საპასუხო რეგულაციებს. თუ მატერიალური სამართალი საყოფაცხოვრებო ენაზე პასუხობს კითხვას „რა", საპროცესო სამართალი პასუხობს კითხვას „როგორ". აღნიშნულიდან გამომდინარე, მატერიალური სამართლის განვითარებამ, სამოქალაქო ურთიერთობების ცვალებადობამ, საზოგადოებაში მომხდარმა პროგრესმა და სხვადასხვა სამოქალაქო ურთიერთობების წარმოშობამ, ისტორიულად განაპირობა თავდაპირველად, საპროცესო სამართლის ცალკე გამოყოფის აუცილებლობა, ხოლო შემდგომ მისი ცალკეული ინსტიტუტების დახვეწა-განვითარება.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თავისებურებანი, ისევე, როგორც სამართლის სხვა დარგებისა და ინსტიტუტების, იმ ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებითაა განპირობებული, რომლის წიაღშიცაა ის წარმოშობილი. როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის სხვა ინსტიტუტებმა, ასევე, მესამე პირების ინსტიტუტმაც თავისი განვითარების გრძელი და რთული გზა განვლო. მისი არსებობისა და განვითარების თითოეულ ეტაპზე სხვადასხვა მახასიათებლები არსებობდა. როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ლიტერატურის ანალიზი და საპროცესო კანონმდებლობა გვაჩვენებს, მესამე პირებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები სხვადასხვა ეპოქაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციასთან შესაბამისობაში მოდიოდა. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობისადმი კანონშემოქმედებითი მიდგომა არაერთგვაროვანი იყო. მესამე პირების სამართლებრივი სტატუსის განვითარებას უძველესი დროიდან ახასიათებდა განსხვავებული უფლებრივი სტატუსი, მუდმივად ხდებოდა მესამე პირების საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის გაფართოება.[6] აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად,

[6] *Горелов М.В,* Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков, Арбитражный и гражданский процесс.2012, №2, 41.

ყურადღება უნდა გამახვილდეს მასზედ, რომ უცხო ქვეყნების საპროცესო ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლას. რაც ხაზს უსვამს იმ საპროცესო უფლებებისადმი და მოვალეობებისადმი მეცნიერულ ინტერესს, რომლებიც მესამე პირებს ჰქონდათ მინიჭებული, ასევე ამ ინსტიტუტის აქტუალობასა და საჭიროებას.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები პირთა შორის საზოგადოების განვითარების ადრეული სტადიიდან არსებობს. ისეთი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, როგორებიცაა – სახელმწიფო და სამართალი თავდაპირველად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების არსებობამ ამ ქვეყნებში სასამართლო პროცესის წარმოების წესების არსებობის აუცილებლობა განაპირობა. თუმცა, აღნიშნული პერიოდის სასამართლო პროცესის შესახებ საუბრისას, აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ძველაღმოსავლური ცივილიზაცია გარკვეულ თავისებურებებს მაინც გვთავაზობს. კერძოდ, „ძველი მესოპოტამიის სასამართლო პროცესში, სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოებას შორის მკვეთრი განსხვავება არ გვხვდება.“[7] ასევე აღსანიშნავია, რომ ეს თავისებურება მხოლოდ სამართლის ევოლუციის ამ ეტაპზე არ გვხვდება. ის დამახასიათებელი იყო, შემდგომ პერიოდებშიც სხვადასხვა სამართლებრივ კულტურებში, მათ შორის ძველ ქართულ სამართლებრივ კულტურაშიც. სამოქალაქო საქმისწარმოების წესების ევოლუციის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ასევე ამა თუ იმ ერის მორალური და რელიგიური შეხედულებები. ამ მხრივ საყურდღებოა იაპონური კლასიკური სამართალი: „იაპონელთა შეგნებაში სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე გამოცხადებაც კი სამარცხვინოდ ითვლებოდა. შერცხვენის შიში იაპონელთა ქცევის განმსაზღვრელად შეიძლება ჩაითვალოს.”[8].

აღსანიშნავია, რომ „ძველი ათენის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მიწის ნაკვეთის დაგირავებას – იპოთეკას.”[9] ძველი ათენის განვითარებულ სამართლებრივ კულტურაზე მეტყველებს ისეთი მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა, როგორიცაა წერილობითი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმებად იპოთეკისა და თავდებობის ხელშეკრულების გაფორმება, ზიანის ანაზღაურების სხვადასხვა მექანიზმები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც არსებობდა ისეთი მრავალმხრივი სამოქალაქო ურთიერთობები, რომლებიც დავის შემთხვევაში მოიაზრებდა არა მხოლოდ ორ პირის მხარეების - კრედიტორისა და მოვალის მონაწილეობას, რომლებიც სამოქალაქო პროცესში მოსარჩელედ და მოპასუხედ ტრანსფორმირდებოდა, არამედ თავდების მონაწილეობასაც, რაც საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ არსებობდა მრავალმხარიანი პროცესები.

---

[7] *გარიშვილი მ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, ლექციების კურსი, თბილისი, 2008, 58.

[8] *ცაცანაშვილი მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, (II ნაწილი), თბილისი, 2000, 7.

[9] *გარიშვილი მ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, ლექციების კურსი, თბილისი,. 2008, 89.

2. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა რომის სამოქალაქო პროცესში

მესამე პირების ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალწარმოებაში ცნობილი იყო სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე. რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მესამე პირების, როგორც დამოუკიდებელი საპროცესო ინსტიტუტის წარმოშობის სამშობლოდ რომის სამოქალაქო საპროცესო სამართალი იქნეს მიჩნეული.[10]

რომის სამართალი თავისი შინაარსით იმდენად მაღალ ფასეულობას წარმოადგენდა, რომ შუა საუკუნეებში რეცეპციის გზით მისი გავლენა მოედო კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს.[11] რომის სამართლის განვითარება იურისპრუდენციის 1000 წელს მოიცავს. მისი საწყისია XII დაფის კანონები (Leges duodecim tabularum). ის შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვით 439 წელს და სისტემატიზირებულია თემატური პრინციპით. მითითებულ კანონებში I-II-III დაფები აწესრიგებენ სამოქალაქო პროცესს, პირთა სტატუსებს, უფლება და ქმედუნარიანობის საფუძვლებს. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ დროისათვის სამოქალაქო პროცესის განვითარებასა და მნიშვნელობას. განვითარების დასასრულად მიიჩნევა - იმპერატორ იუსტინიანე I ის Corpus Iuris Civilis, რომელიც შეიქმნა ჩვენი წელთაღრიცხვით 529 წელს და მოქმედებდა აღმოსავლეთ რომში - ბიზანტიაში 331-1453 წლებში. ის ასევე წარმოადგენდა იურიდიული პრაქტიკის ბაზას კონტინენტურ ევროპაში, ეთიოპიაში, ევროპული ერების ძველ კოლონიებში, ლათინური ამერიკის ჩათვლით. ისტორიულად „რომის სამართალი" ასევე მოიცავდა უმეტეს დასავლეთ ევროპაში მოქმედ სამართლებრივ სისტემებს მე-18 საუკუნემდე. [12]

ძველი რომის ცივილური სამართალი (ius civile) რომის სახელმწიფოს ფარგლებში სამართლის თანამედროვე სისტემისაგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც, კერძო და საჯარო სამართალი მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული, სამართლის სისტემას ერთ მთლიანობად განიხილავდა. იურიდიული ინსტიტუტების სხვადასხვა ასპექტს მხოლოდ იმ სოციალური როლის მიხედვით ადგენდა, თუ რომელი სამართლის სუბიექტები გამოდიოდნენ და რომელ საზოგადოებრივ ავტორიტეტს უზრუნველყოფდა ადამიანთა შორის ტიპურ კავშირთა ნორმატიული ხასიათი.[13] რაც უფრო მაღალი იყო პირის სტატუსი, მით სრულყოფილი იყო მისი უფლებაუნარიანობა – უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტად ყოფნის შესაძლებლობა; რომის სამართალი პირის სამ სტატუსს განასხვავებდა: status libertatis, status civitatis, status familiae, ანუ ეს ის რომის მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც იმ ოჯახს (familia) ეკუთვნოდნენ, რომელშიც დაიბადნენ და სამივე სტატუსს ფლობდნენ; საკუთარი ოჯახის უფროსის (paterfamilias) ხელისუფლებიდან გასული და

---

[10] *Горелов М.В*, Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков, Арбитражный и гражданский процесс.2012, №2, 41.

[11] *ზოძე ბ.*, ვროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 36.

[12] *Stein P.*, Roman Law in European History, Cambridge University Press, 1999, 110, https://books.google.ge.

13 *Stein P.*, Roman Law in European History, Cambridge University Press, 1999, 110, https://books.google.ge.

ოჯახის მიღმა მყოფი პირები ორ სტატუსს, ხოლო თავისუფალი უცხოელები (peregrini) – მხოლოდ ერთ სტატუსს ფლობდნენ. პირის სამი სტატუსის თანადროულად, არსებობდა უფლებაუნარიანობის დამცრობის სამი ხარისხიც: capitis deminutio maxima, media et minima - სრული, ნაწილობრივი და მინიმალური. დიგესტებში უფლებაუნარიანობის დამცრობის აღნიშნული ხარისხების შესახებ წერია: „იმ სამი მდგომარეობის – თავისუფლება, მოქალაქეობა, ოჯახი – მიხედვით, რომელთაც ჩვენ ვფლობთ, უფლებაუნარიანობის დამცრობის სამი ხარისხი არსებობს: ყველა მათგანის, ანუ თავისუფლების, მოქალაქეობისა და ოჯახის სტატუსის დაკარგვით, უფლებაუნარიანობის ყველაზე დიდი დამცრობა ხდება; მოქალაქეობის დაკარგვისას რადგან თავისუფლება შენარჩუნებულია, უფლებაუნარიანობის საშუალო დამცრობა ხდება; ხოლო თავისუფლებისა და მოქალაქეობის შენარჩუნებისას, თუ მხოლოდ საოჯახო სტატუსი იკარგება, მაშინ უფლებაუნარიანობის დამცრობა მინიმალურად ითვლება.[14]

რაც შეეხება პირების მონაწილეობას სამოქალაქო პროცესში მესამე პირის სტატუსით, როგორც ცნობილი რუსი სწავლულ დ.ს. ფლექსორს აქვს აღნიშნული „რომის სამართლის ნორმები, რომლებიც ეძღვნება მესამე პირების სამართლებრივ მდგომარეობას რომის სამართლის სამოქალაქო პროცესში, უკიდურესად მწირი შინაარსით გამოირჩევა."[15] ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი რომის სამოქალაქო პროცესის მკაცრად ფორმალურ აგებულებაში მდგომარეობდა. ე.ი. მისი შედეგები მხარეთა კერძო მოლაპარაკების "cuasi-contractus" რეზულტატს წარმოადგენდა, რომელიც სამოქალაქო პროცესში არასანქცირებულ ჩარევას არ უშვებდა. მხოლოდ პროცესის სრულიად დასაწყისში იყო შესაძლებელი მესამე პირი შეერთებოდა მოსარჩელეს ან მოპასუხეს. საქმისწარმოების დროს მესამე პირების პროცესში დაუშვებლობის ასეთი მკაცრი გამოყენება, რიგ შემთხვევებში, შესაძლებელი იყო ძალიან უარყოფითად ასახულიყო როგორც საპროცესო ზომების ეკონომიაზე, ასევე, თვითონ სასამართლო განხილვის წარმატებაზე. ამიტომ, რომის სამართალი იძულებული იყო გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა საქმეში მესამე პირების დაუშვებლობის პრინციპის გამოყენებაზე.[16]

მიუხედავად იმისა, რომ რომის სამართალი მესამე პირების, როგორც დამოუკიდებელი საპროცესო ინსტიტუტის წარმოშობის სამშობლოდ მიიჩნევა, მან ვერ მოახერხა თანამედროვე კანონმდებლობების მსგავსად შემოეღო მესამე პირების სამოქალაქო პროცესში მესამე პირების ჩართვის სპეციალური ინსტიტუტი. რომაელი ადვოკატები მხოლოდ თანამონაწილეების ინსტიტუტის გაფართოებით შემოიფარგლებოდნენ. თანამონაწილეობა მაშინ დაიშვებოდა, როდესაც პირს სამოქალაქო საქმის მიმართ იურიდიული ინტერესი ჰქონდა. ასევე, მსგავს პირს შეეძლო მონაწილეობა მიეღო როგორც პირველ, ასევე, სააპელაციო ინსტანციაში. დამოუკიდებელი მოთხოვნის განცხადება, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის, საქმის წარმოების დროს არ დაიშვებოდა.

---

[14] *გარიშვილი მ.*, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, ლექციების კურსი, თბილისი, 2008, 90.

[15] *Флексор Д.С.* Отмена решений по просьбе третьих лиц, не участвующих в деле. СПб, 1894, 15.

[16] *Горелов М.В*. Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков, Арбитражный и гражданский процесс. 2012. №2, 42.

რომის პროცესი სამოქალაქო საქმის წარმოების დროს მესამე პირების დაშვების პრინციპს ყურადღებით აღმოფხვრიდა და მით უმეტეს არ უშვებდა ასეთი ჩართვის საფუძველს, მას შემდეგ, რაც საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო სასამართლოს მიერ. ასეთი მიდგომა რომის სამართლის მთავარ სამართლებრივ პრინციპს გამოხატავდა: კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებზე ვრცელდებოდა და მესამე პირების მიერ მისი გასაჩივრება არ დაიშვებოდა. მიუხედავად ამისა, მესამე პირებს დამოუკიდებელი სარჩელის შეტანის უფლება ეძლეოდათ. მაგალითად, ძველი რომაელი იურისტი მარციანი აღნიშნავდა, რომ „მესამე პირს, რომელიც საქმეში არ მონაწილეობდა, შეეძლო დამოუკიდებელი სარჩელის შეტანასთან ერთად პროცესის მხარეებისათვის და აპელაციისათვის მიემართა. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საპატიო შემთხვევაში". მაგრამ, ეს შემთხვევები არ ფიქსირდებოდა რომის სამართალში.[17]

3. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში

სამოქალაქო პროცესში მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული კანონიკური სამართლის სწავლულების მიერ. ამ პერიოდში გამოიკვეთა საქმეში მესამე პირების ისეთი მონაწილეობა, რომლის დროსაც, ისინი პროცესის მონაწილე მხარეთაგან დამოუკიდებლად სადავო ქონებაზე უფლებას აცხადებენ. თავად ასეთი უფლების წარდგენა ამ დროს ზუსტი სამართლებრივი განსაზღვრების სახეს იღებს და ყალიბდება განსაკუთრებული საპროცესო ინსტიტუტი დასახელებით "intervention principalis", რაც ამ ინსტიტუტის მნიშვნელოვან განვითარებას უდავოდ ადასტურებს. შუა საუკუნეების გერმანიის სამოქალაქო პროცესი, ისევე, როგორც რომის სამოქალაქო პროცესი, მესამე პირების მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ უშვებდა. მესამე პირების ინტერესები და უფლებები ერთი მხრივ დაცული იყო, მათთვის მინიჭებული უფლებით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმეში ჩართვის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სრული შესაძლებლობით წარედგინათ დამოუკიდებელი სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მათ უფლებებს არღვევდა, კანონიერ ძალაში შევიდოდა.[18]

შუა საუკუნეების შემდგომ გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების იურისტები თავიანთ ნაშრომებს აფუძნებდნენ „Ronam texts"-ზე, რომლებიც დღეს მოიხსენიება, როგორც Gemeines Recht - გერმანული საერთო სამართალი. იგი წარმოადგენდა ius commune-ს ვერსიას. მე-18 საუკუნეში გერმანიის სამოქალაქო პროცესი იყო ბიუროკრატიული და

[17] *Горелов М.В.* Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков//Арбитражный и гражданский процесс. 2012. №2, 41-43.

[18] *Горелов М.В.* Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков // Арбитражный и гражданский процесс. 2012, №2, 41-43.

მძიმე.[19] გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების საპროცესო კოდიფიკაციის ერა მე-18 საუკუნეში უკვე დაიწყო და Gemeines Recht-თან დაკავშირებული განსხვავებული ასპექტები გახდა მე-19 საუკუნეში განხორციელებული აკადემიური დისკუსიის მიზეზი. მე-19 საუკუნის მიწურულს განხორციელებული დიდი პროცედურული კოდიფიკაციის პერიოდი იმ ფართო და ინტენსიური დისკუსიის პროდუქტს წარმოადგენდა, რომელსაც მთელი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. მან მოიცვა უამრავი პროექტისა და დიდი რაოდენობით საკანონმდებლო აქტების გამოცემის შემუშავება. დისკუსიამ ფართოდ გაავრცელა და გარდაქმნა Gemeines Recht-ის შინაარსი, მათ შორის მესამე პირებთან დაკავშირებული პრინციპების შემთხვევაშიც. გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების დღევანდელი სამოქალაქო პროცესი სწორედ ამ განვითარების შედეგია. მას ასევე, შედეგად მოყვა ახალი პრინციპები და გადაწყვეტილებები. აღნიშნული განვითარების შედეგი იყო 1877 წლის გერმანიის სამოქალაქო საქმისწარმოების ქარტიაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ქარტია სამოქალაქო კოდექსის შექმნამდე 25 წლით ადრე იქნა შემუშავებული და ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. ასევე, აღსანიშნავია, რომ მესამე პირების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით კანონიკური სამართალში არსებულმა მდგომარეობამ შემდგომში 1877 წლის გერმანიის სამოქალაქო საქმისწარმოების ქარტიის შესაბამისი საპროცესო ნორმის შინაარსი განსაზღვრა. მაგალითად, იგი თავდაპირველად ყოფდა მესამე პირებს, რომლებიც სამოქალაქო საქმეში მონაწილეობდნენ და მესამე პირებს, რომლებიც პროცესის მონაწილეები არ იყვნენ. ამ პირების სამართლებრივი მდგომარეობა ერთგვაროვანი არ იყო, რადგან ქარტია საქმეში არამონაწილე მესამე პირებს სასამართლოს საბოლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას არ აძლევდა. იმავდროულად, საკანონმდებლო დონეზე, მითითებული ქარტიის 61-ე მუხლით განსაზღვრული იყო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების საქმეში ჩართვის წესი.

ზემოაღნიშნული განვითარების შედეგი იყო ასევე, ჰანოვერის კოდექსი, რომელშიც ტიპიური გერმანული დამახასიათებელი ნიშნები წარმოდგენილი არ იყო, მაგრამ სხვა ელემენტები „გერმანული ასორტიმენტიდან“, როგორღაც დარჩა, როგორიცაა სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის წესები.[20] განვითარების შედეგი იყო ავსტრიის 1895 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ევროპული სამოქალაქო პროცესის ახალი ერის სათავე გახდა.[21] ამ კოდექსით გაიზარდა მოსამართლის უფლებები, მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით. პროცესი დაიყო მოსამზადებელ და ზეპირი მოსმენის სტადიებად. გერმანიას და ავსტრიას

[19] *Gottwald P.* 'Defeating Delay in German Civil Procedure', in: C.H. vanRhee (ed.), The Law's Delay, Antwerp: Intersentia 2004, 121.

[20] *Van Rhee C.H., ,* Civil Litigation in a Globalising World, Civil Litigation in Twentieth Century Europe, *Van Rhee C.H., ,* Introduction, 2005, 5.

[21] *Van Rhee C.H.,* The development of civil procedural law in twentieth century Europe: From party autonomy to judicial case management and efficiency, Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007, 11.

ბევრი საერთო წესი ჰქონდათ, რაც დღემდე გრძელდება.[22] მის „მამად“ ფრანც კლაინია აღიარებული. მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1781 წლის ავტრიის კოდექსის ჩასანაცვლებლად დაიწერა. ფრანც კლაინის გავლენა ევროპის კანონმდებლობებში მისი თეორიების მიღებითა და დანერგვით აისახა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით კლაინი სამოქალაქო პროცესის არსს მის „სოციალურ ფუნქციაში” ხედავდა. ეს მიდგომა მე-19 საუკუნის ლიბერალური პროცედურული იდეალების ფონზე ერთგვარად რეაქციული იყო. მისი მოსაზრებით, სამართალწარმოება განხილულ უნდა ყოფილიყო არამხოლოდ, როგორც კონკრეტულ მოდავე მხარეებს შორის კონკრეტული დავის გადაწყვეტა, არამედ როგორც სოციალური კონფლიქტი, რომელიც გავლენას ახდენდა მთელ საზოგადოებაზე.[23] სამოქალაქო სამართალწარმოება ძირითად ჭეშმარიტებას უნდა დაფუძნებოდა, ნაცვლად მხარეთა მიერ წარმოდგენილი ჭეშმარიტებისა. კოდექსის ავტორის ფრანც კლაინის ფუნდამენტურ იდეა მიმართული იყო სამოქალაქო პროცესის როგორც „ომი წითელი ხაზების გარეშე”[24] წინააღმდეგ, როდესაც მოსამართლე მოდავე მხარების პასიური დამკვირვებელია, რომლებიც რეალობას ანგრევენ საკუთარი მიზნების სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიდგომა თანამედროვე ევროპულ, კონტინენტურ-სამოქალაქო პროცესებშიც შეიმჩნევა.[25]
ავსტრიულ-გერმანული მოდელი განსაკუთრებულად გავრცელდა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში. აღსანიშნავია, რომ Gemeines Recht—ის პროცედურების ფესვები არა მხოლოდ გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების პროცედურების საერთო ტრადიციებია, არამედ განვითარების წყაროს წარმოადგენს როგორც ავსტრიისა და შვეიცარიის, ასევე, იაპონური, ბერძნული და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იურდიქციებისთვისაც. იმ გერმანული დებულებების მთელი რიგი არსებობს, რომლებიც ავსტრიისა და შვეიცარიის კოდექსებში იდენტურადაა ასახული. გერმანიის ყველაზე ძლიერი გავლენა შვეიცარიასა და ავსტრიაზე მე-19 საუკუნეში იყო. თუმცა გერმანიიდან წამოსული კონცეფციების ავსტრიაში ასახვას ბოლო პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 2002 წლის ავსტრიის ცვლილებები განიცდიდნენ ძლიერ გერმანულ გავლენას. ასევე, გერმანიის 2002 წლის ცვლილებებიც დაუახლოვდა ავსტრიის კოდექსს. რაც შეეხება შვეიცარიის მოქმედი კოდექსს, იგი ხაზს უსვამს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება არ ჰქონია და შვეიცარიის ტრადიციების სამართალში ასახვის შედეგია. სწორედ ამიტომ, ევროპული ტრადიციების გერმანული თვალთახედვით განხილვისათვის, მიზანშეწონილია სამი შემდეგი ინტერესის გათვალისწინება: Gemeines

[22] *Van Rhee C.H., ,* European Traditions in Civil Procedure, edited by *Van Rhee C.H., ,,* Interseria Antwerpen – Oxford, 2005,107.
[23] *Oberhammer P., Domej T.,* European Traditions in Civil Procedure, edited by Van Rhee C.H., Intersentia Antwerpen – Oxford, 2005, 121.
[24] *Klein, F.* Pro Futuro (1891).
[25] *Van Rhee C.H., Uzelac A*. The pursuit of truth in contemporary civil procedure: revival of accuracy or a new balance in favor of effectiveness? Truth and Efficiency in Civil Litigation. Fundamental Aspects of Fact-finding and Evidence-taking in a Comparative Context, 2012, 3. <IntersentiaCambridge – Antwerp – Portlandwww.intersentia.com>.

Recht-ის პროცედურული ინსტიტუტები და მათი განვითარება დღემდე, არსებული სისტემის განვითარება მე-19 საუკუნეში და სხვა ქვეყნების იურისდიქციაზე ამ სისტემის გავლენა.[26] ავსტრიულ გერმანული სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით სამოქალაქო მართლმსაჯულების მიზნებად ხშირად მოხსენიებულია მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა და აღსრულება.[27]

Gemeines Recht-ის ღირსშესანიშნავი კვალი ან უფრო ის რაც მიიჩნეოდა Gemeines Recht-ის შინაარსად მე-19 საუკუნის პროცედურულ დოქტრინაში, დღესაცაა წარმოდგენილი სამოქალაქო პროცესში. მაგალითისათვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსები ყველა გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყანებში უმეტესად ერთნაირ რეგულაციებს გვაძლევს მესამე პირების პროცესში მონაწილეობის თაობაზე: პირს, რომელსაც აქვს მოთხოვნა უკეთეს უფლებაზე დავის საგნის ან უფლების მიმართ, რაზეც სამართალწარმოება მიმდინარეობს სხვა პირებს შორის, უფლება აქვს დავაში ორივე მხარის წინააღმდეგ ამტკიცოს თავისი მოთხოვნა. (hauptintervention – principal intervention). თუ მესამე პირს იურიდიული ინტერესი აქვს მიმდინარე სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარის წარმატებისაკენ, ამ პირს შეუძლია შეუერთდეს დავას იმ მხარის დასახმარებლად, რომლის წარმატებაშიც დაინტერესებულია (Nebenintervention – auxiliary intervention). ასევე, მესამე პირების რეგულაცია (Streitverkündung) ცნობს შემთხვევებს, როდესაც მხარეს განზრახული აქვს მოთხოვნის წაყენება მესამე პირის მიმართ, რაც არის ძირითადად იგივე ყველა გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყანაში. გერმანული და ავსტრიული სამოქალაქო პროცედურები ორივე შეიცავს რეგულაციებს რომლებითაც შესაძლებელია Auktorsbenennung ან Urheberbenennung იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ქონების ფლობაზე, ან უფლების განხორციელებაზე დავობს მესამე პირის სახელით. ამ შემთხვევაში ხსენებული მესამე პირი როგორც წესი ავტორადაა მოხსენიებული და შეუძლია დავაში მხარის ადგილი დაიკავოს. ყველა ამ ელემენტს (ისევე, როგორც გერმანული სისტემის სხვა დეტალებს) ფესვები აქვთ interventio, litis denuntiatio და laudation auctoris კონცეფციებში და Gemeines Recht- ის პროცედურებში.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში მესამე პირების დამკვიდრება სწორედ გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებიდან განხორციელდა, კერძოდ, „პირველად ბადენის 1864 წლის სააღსრულებო კანონის 48-ე მუხლში მოხდა მესამე პირთა ინსტიტუტის შინაარსის ფორმულირება. შემდგომ კი სამოსამართლეო სამართლის, სასამართლო პრაქტიკის განვითარებით ჩამოყალიბდა და შეივსო რიგი ხარვეზებისა. პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მესამე პირთა საქმეში ჩაბმის პრეცენდენტს ითვალისწინებს 1876 წლით თარიღდება და იგი პრუსიის უმაღლესი სასამართლოს მიერაა მიღებული.”[28]

---

[26] *Van Rhee C.H.,* ‚European traditions in civil procedure, edited by *Van Rhee C.H.,* , Interseria Antwerpen – Oxford, P. Oberhammer; T. Domej, 2005, 103-106.

[27] *Koller CH.* Civil justice in Austrian-German tradition, Goals of civil justice and Civil procedure in contemporary judicial systems, Volume 34 of the series Ius Gentium: Comparative perspectives on law and justice, 20.12.2013, 35.

[28] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.* (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008, 233.

4. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა ფრანგულ საპროცესო სამართალში

საფრანგეთის სამოქალაქო პროცესზე განსაკუთრებული ზეგავლენა რომის სამოქალაქო პროცესმა მოახდინა. მესამე პირები სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებით მათი ინტერესებისა და უფლებების დარღვევის შემთხვევაშიც სასამართლო დაცვის საშუალებებს ვერ ნახულობდნენ. მაგრამ მე-16 საუკუნეში მესამე პირების უფლებების გაფართოებისაკენ მიმართული ყველა სასამართლო დაცვის საშუალების ცალკე ინსტიტუტად გამოყოფა დაიწყო. ეს განსაკუთრებით სააღსრულებლო წარმოებას ეხებოდა, სადაც მესამე პირების უფლებებისა და ინტერესების კვეთა ხდებოდა იმ უფლებებთან, რომლებიც სასამართლოს მიერ პროცესის ერთი მხარისათვის იყო აღიარებული.

1539 წელს გამოიცა სამეფო კანონი, რომლის მიზანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სწორი საშუალებების დადგენა და ყველა მასთან დაკავშირებული დავისა და არაუფლებამოსილი პირების პრეტენზიების აღმოფხვრა იყო. ამ კანონში პირველად მოიხსენიება სააღსრულებლო წარმოებაში მესამე პირების ჩართვის თაობაზე. დაშვების საკითხი სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე წყდებოდა. საფრანგეთის სამოქალაქო პროცესი სააღსრულებო პროცესში უკანონო ჩართვაზე სანქციებს ადგენდა ფულადი პასუხისმგებლობის სახით.

საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთის 1806 წლის *Code de procédure civile* - სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.[29] იგი საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო სამართლის კოდიფიკაციებსა და რეფორმებს ბევრი ევროპული ქვეყნისათვის, ვინაიდან, ნაპოლეონის ერაში რიგი ქვეყნებისა ანექსირებული ან დამოკიდებული იყო საფრანგეთზე. განსხვავებით იმ ევროპული მართლმსაჯულებისაგან, სადაც რიგმა ქვეყნებმა სწაფადვე ჩაანაცვლეს ეროვნული კანონმდებლობით, ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ იგი დიდხანს შეინარჩუნა.[30] იქიდან გამომდინარე რომ სასამართლო სისტემა ჩახლართული იყო, რევოლუციას ორი დიდი იდეალი ჰქონდა: დეპროფესიონალიზაცია და გამარტივება. ეს უკანასკნელი რევოლუციური რეფორმების მთავარი თემა გახდა.[31]

საფრანგეთის 1806 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი[32] სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან ორი წლის შემდეგ იქნა მიღებული. კოდექსი საზოგადოებისა და პოლიტიკური რეჟიმის გამოძახილი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ რევოლუციური წლები უკან იქნა მოტოვებული.

---

[29] *Van Rhee C.H., ,* The development of civil procedural law in twentieth century Europe: From party autonomy to judicial case management and efficiency, Judicial case management and efficiency in civil litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007, 11.

[30] *Van Rhee C.H.,* 'The Influence of the French Code de Procédure Civile (1806) in 19th century Europe', in: L. Cadiet & G. Canivet (eds.), De la Commémoration d'un code à l'autre: 200 ans de procédure civile en France, Paris: LexisNexis/Litec, 130.

[31] *Heirbaut D.* The revolution betrayed:: The evolution of the judicial system in France, Belgium and the Netherlands since the French revolution, Public and Private Justice. Dispute Resolution in Modern Societies, 2007 Intersentia Antwerpen – Oxford, 55.

[32] *Van Rhee C.H. Heirbaut D. Storme M.* (ed.The French Code of civil procedure (1806) after 200 years, The civil procedure tradition in France and abroad, Mechelen, Belgium : Kluwer, 2008.

ნაპოლეონის კოდიფიკაციამ „კანონისა და რეჟიმისაკენ“ მიბრუნების პირობა შეასრულა და ამასთან იცავდა იმ ჯგუფების ინტერესებს საზოგადოებაში, რომელიც მეტ სარგებლობას იღებდა საკუთრების გადაცემის, სიმდიდრის ეკონომიკური კონტროლისაგან.[33] აღნიშნულმა კოდექსმა შემოიღო იდეა, რომელიც შემდგომი ევროპული საამრთლებრივი სისტემების ამოსავალი წერტილი გახდა - სამოქალაქო სამართალწარმოება კერძო საკითხს და მხოლოდ მხარეთა ინტერესებს წარმოადგენს. საფრანგეთის სსკ-ის მიხედვით მოსამართლე შედარებით პასიური იყო, ხოლო პროცესის მონაწილე მხარეები და მესამე პირები თავისუფლებად ითვლებოდნენ, იმის გადაწყვეტაში, თუ როგორ უნდა წარემართათ თავისი საქმის მსვლელობა. მათ შეეძლოთ მომგებიანი სამართალწარმოება აერჩიათ, ასევე შეეძლოთ თავისი საქმის დაბალი სიჩქარით წარმართვის გადაწყვეტა.[34]
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან პროცედურული სამართლის განვითარების სამი ძირითადი გავლენა იკვეთება: პირველი იყო Gemeines Recht- ისს ძველი პროცედურები, მეორე - საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გავლენა, მაგალითად ზეპირობისა და საჯაროობის პრონციპი, რომლის საპიროსპირო გამოიყენებოდა Gemeines Recht-ში. მესამე - პრუსიული პროცედურების – allgemeine Gerichtsordnung (General Rules of Court) გავლენა, რაც აბსოლუტურად კონტრასტული იყო საფრანგეთისა და Gemeines Recht—ს შორის. Gemeines Recht-ს პროცედურები წერილობითი, არადაუყოვნებლივი და დახურული იყო. [35]
აღნიშნულმა კოდექსებმა გავლენა მოახდინეს ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო სამართალზე. მაგალითად პროფესორი გეორგ მაურერი, რომელიც მეფე ოტტოს მიერ ნდობით აღჭურვილი იყო, შეექმნა საბერძნეთის 1834 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საფრანგეთისა და გერმანიის სამართლიდან ახდენდა კომბინირებას.

5. მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა რუსეთის სამოქალაქო პროცესში

მესამე პირების ცნება რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსისათვის ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დასაწყისში იყო ცნობილი, ფართოდ გავრცელებული მიწის საერთო საკუთრების ინსტიტუტის დამსახურებით. საერთო უძრავი ქონების თითოეულ თანამესაკუთრეს დამოუკიდებელი სასამართლო დაცვის უფლება გააჩნდა, ვინაიდან მესამე პირს წარმოადგენდა იმ სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც საერთო საკუთრების ინტერესებს ეხებოდა.
მაგალითად ნოვგოროდის და ფსკოვის სასამართლო ქარტიაში ადგილი ჰქონდა სპეციალურ დადგენილებას, რომელიც ეხებოდა ეგრეთ წოდებულ

[33] *Wijffels*, French civil procedure, (1806-1975), 25.
[34] *Van Rhee C.H.*, , Harmonisation of civil procedure: An historical and comparative perspective, Maastricht University, July 2011,13.
[35] *P. Oberhammer; T. Domej*, European traditions in civil precedures, Interseria Antwerpen – Oxford, 2005, 103-106.

"шабров"– (Нов. суд. грамота, ст. 124), "сябров" (Псков. суд. грамота, ст. 106) საერთო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეების პროცესუალურ მდგომარეობას. მათ შეეძლოთ სასამართლოში სამართალწარმოების თანამონაწილეების სახით წარმსდგარიყვნენ, პროცესის მხარეთა მიერ გამოძახების შემთხვევაში ან თავისი ინიციატივით უფლებამონაცვლეების სახით, რომელთაგან სადავო უფლება პროცესის ამა თუ იმ მხარეზე გადადიოდა. [36]

ნოვგოროდის სასამართლო ქარტიაში განთავსებულია განსხვავება პროცესის მატერიალური და ფორმალური მხარეების ცნებებს შორის. ეს მიუთითებს, რომ პირი, რომელსაც სასამართლოში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა შეაქვს, ყოველთვის არაა სადავო სამართალურთიერთობის ნამდვილი მატერიალური სუბიექტი. როგორც რომის სამართალში, აქაც დადგენილი იყო საქმეში მონაწილე პირებზე სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელების სავალდებულობის პრინციპი. მაგრამ რომის პროცესისაგან განსხვავებით, ძველ რუსულ სამოქალაქო პროცესში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე დაიშვებოდმესამე პირების ჩართვა, რათა შეჩერებულიყო იმ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც მესამე პირების კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს არღვევდა. მოცემული უფლება „საქმეში მესამე პირების დაშვების" თაობაზე სააპელაციო საქმისწარმოებაშიც ვრცელდებოდა. ასე, რომ მესამე პირებს, დამოუკიდებელი სარჩელის გარეშე, შეეძლოთ მხარეთა მსგავსად გაესაჩივრებინათ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მათ უფლებებს არღვევდა.

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის განვითარებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა ფრანგულმა კანონმდებლობამ მოახდინა. მიუხედავად ამისა, მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა ძირითადად რუსეთის 1864 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების ქარტიის მიღებაზე ე.წ. „დისკუსიის" პერიოდში, 1863 წელს ჩამოყალიბდა. მესამე პირებისათვის სასამართლო დაცვის საშუალებების მინიჭება ცალკე საპროცესო ინსტიტუტის სახით 1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგი იყო. ამ ქარტიიდან რამოდენიმე მუხლი მესამე პირების სამოქალაქო საქმის განხილვაში ჩართვას ეხებოდა. 653-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს, რომელიც საქმის განხილვაში მესამე პირის ჩართვას მიიჩნევდა საჭიროდ, მოთხოვნა უნდა წარედგინა არაუგვიანეს იმ ვადისა, რაც სასამართლოში გამოცხადებისათვის ჰქონდა განსაზღვრული. ამავე ქარტიის 655-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირის ჩართვის თაობაზე მოთხოვნაში მითითებული უნდა ყოფილიყო მისი საცხოვრებელი ადგილი, საქმის გარემოებები და ის საფუძველი, რითაც მოშუამდგომლე პირის საქმის განხილვაში ჩართვას ითხოვდა. საცხოვრებელი ადგილის მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლო მოთხოვნას არ მიიღებდა.[37]

---

[36] *Туманова Л.В.* Актуальные проблемы участия в гражданском судопроизводстве третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований на предмет спора, и органов государственного управления, дающих заключение по делу: Дис. на соиск. уч. ст. канд. юрид. наук. Калинин, 1985, 12.

[37] *Малешин Д. Я.*, *Судебные уставы Российской Империи 1864 года*. Влияние на современное законадательство Литвы. Польши. России. Украины Финландии(К 150-летию Судебной реформы 20 ноября 2014), http://civil.consultant.ru/reprint/books/115/3.html#img4), 50.

რევოლუციამდელ რუსეთში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩართვას პროცესში დამატებითი შესვლა ან თანამონაწილეობა ერქვა. მათი მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მოსარჩელეს ან მოპასუხეს პროცესზე მათი ინტერესების დაცვაში ეხმარებოდნენ და ამით სამომავლოდ თავის დაცვას უზრუნველყოფდნენ.[38]

საბჭოთა პერიოდში მესამე პირების ინსტიტუტმა თავისი განვითარება სწავლული-პროცესუალისტების ე.ა. ნეფედოვას, ტ.მ. იაბლოჩკოვას, ე.ი. ენგელმანისა და ა. ფ. კლეინმანის ნაშრომებში ჰპოვა. იმ პერიოდის სამართლებრივ ლიტერატურაში, კერძოდ ე.ვ. ვასკოვსკის წიგნში „მესამე პირების მონაწილეობა სამოქალაქო პროცესში" მესამე პირების ინსტიტუტი განხილულია როგორც პროცესის გართულება. გამოყოფილია პროცესში მესამე პირების მონაწილეობის სახე, მათი საპროცესო უფლებები და მოვალეობები და პროცესში ჩართვის თავისებურებები.[39] აღნიშნული ავტორის მოსაზრებით მესამე პირებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ თავდაპირველ მონაწილეთა შორის მიმდინარე პროცესში ან თავდაპირველი მოსარჩელის როლში ან ერთ-ერთი მონაწილის დამხმარედ. პირველი ფორმა იწოდებოდა დამოუკიდებელ ანუ ძირითად შესვლად, ხოლო მეორე თანამონაწილეობად. [40]

ისტორიულად მესამე პირების უფლებებისა და მოვალეობების გაფართოების, აღნიშნული ინსტიტუტის დახვეწის პროცესი იყო და არის განგრძობადი, რის ნათელ დადასტურებაცაა რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2002 წელს შესული ცვლილებები მესამე პირებთან დაკავშირებულ მუხლებში.

6. სამოქალაქო პროცესი და მესამე პირები ქართული სამართლის ისტორიაში

ქართული სამართლის ძირითად წყაროს ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენდა. საქართველოს სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ რამდენიმე უძველესი საერო ხასიათის ძირითადი წყაროა ჩვენთვის ცნობილი, კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, თავად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, „დასტურლამალი," „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა" და ერეკლე II-ის მიერ მიღებული „განწესებანი." ზემოაღნიშნული ზოგიერთი წყაროს იურისდიქცია საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული გახლდათ. მაგალითისათვის, ერეკლე II-ის მიერ მიღებული „განწესებანი" მხოლოდ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, ყველა ზემოღნიშნული წყარო საქართველოს სამართლის ისტორიის შესწავლისათვის შეუფასებელია, თუმცა, უმნიშვნელოვანესია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც პროცესუალურ საკითხებს ნაკლებად შეიცავს. პროცესუალური

[38] *Яблочков Т.М.* Учебник русского гражданского судопроизводства. Ярославль, (с дополнением 1914 года), 1912, 75.

[39] *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. Иркутск, 1927, 34.

[40] *.Васьковский Е.В,* Присоединение третьих лиц / Учебник гражданского процесса.. - Москва, 1917, 415, // «Все о праве, »Информационно-образовательный юридический портал: www.allpravo.ru .

კუთხით კი, მეტად საინტერესო გახლავთ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“. ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროებს ასევე, წარმოადგენენ სიგელ-გუჯრები, სასამართლოს განაჩენები, არზები, ოქმები და მეფეთა და ფეოდალთა ბრძანებები და განკარგულებები.[41]

ამასთან, ფეოდალური წესწყობილების პირობებში ადგილი არა აქვს დარგობრივად სისტემატიზებულ კანონმდებლობას. ამ პირობებში კერძო და საჯარო სამართალი ჯერ კიდევ გაუმიჯნავია. სამართლის ძეგლები შეიცავენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლისა და სხვა დარგების მომწესრიგებელ ნორმებს. საგნობრივ საფუძველზე კოდიფიკაცია შედარებით გვიანი მოვლენაა.[42] ფეოდალური ხანის სამოქალაქო პროცესის სტადიები და ძირითადი პრინციპები კარგად ჩანს „ოპიზის სიგელში,“ რომელიც ბაგრატ IV-ს ეკუთვნის. „სანამ სასამართლო პროცესი შედგებოდა, მანამ მეფეს მიუღია მოდავე მხარეები, მოუსმენია მათთვის და დაუნიშნავს საქმის გარჩევა, რისთვისაც მოუწვევია სათანადო პირები. მაშასადამე, მეფეს წინასწარ შეუსწავლია საქმე, განუხილავს საბუთები და მხოლოდ მის შემდეგ მოუწვევია სასამართლო სხდომა.“[43] აღნიშნული პერიოდის საპროცესო სამართალი იმდენად განვითარებული იყო, რომ მოსამზადებელ სტადიასაც მოიცავდა. ამასთან საქმის განხილვისათვის საჭირო სათანადო პირებზეც უთითებდა. სათანადო პირებში შესაძლებელია ვარაუდი, რომ როგორც მხარეები, ასევე ყველა ის პირი მოიაზრებოდა, რომლებსაც შესაძლოა საქმის მსვლელობაზე გავლენა ჰქონოდა. შესაბამისად, დღევანდელი სამოქალაქო პროცესის ისეთი მონაწილე, როგორიცაა „მესამე პირი” მხარეთა შორის უნდა ყოფილიყო მოაზრებული.

აღსანიშნავია, რომ პროცესის შეჯიბრებითობა, რომელიც დღევანდელი საპროცესო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენია, ქართულ საპროცესო სამართალს მაშინათვე ახასიათებდა. აღნიშნულ „სიგელში დახასიათებული სასამართლო პროცესი შეჯიბრობითია.“ „სიგელის მიხედვით, სასამართლოში საქმე შემდეგ სტადიებს გაივლის: 1. საქმის წინასწარი გაცნობა მოსამართლის მიერ და მისი გადაცემა სასამართლოსათვის. ეს იყო მოსამზადებელი სტადია; 2. სასამართლოს სხდომის მოწვევა (სხდომის დღის დანიშვნა, წევრების მოწვევა); 3. სხდომის გახსნა, მხარეების მოსმენა; 4. საბუთების გაცნობა, მოწმეების დაკითხვა; 5. მხარეთა კამათი; 6. გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანა.“ ფაქტობრივად, პროცესი დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის იდენტურია. იმ პერიოდის პროცესი ასევე, იცნობდა „წარმომადგენლობის ცნებას.“ საჭიროების შემთხვევაში, საქმეში მონაწილეობდა სპეციალისტიც („მეცნიერნი

---

[41] *ჭყონია ზ.,* „სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში”, (ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, 3(42), 2014, 82.

[42] *ზოიძე ბ.,* ვროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 27.

[43] *ჭყონია ზ.,* „სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში”, (ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, 3(42), 2014, 83.

საბჭოთა საქმეთანი“, ანუ სამართლის საქმის მცოდნენი).[44] ის ფაქტი, რომ სიგელში ასე დეტალურადაა განსაზღვრული სასამართლო პროცესის სტადიები და სამართალწარმოების პროცესი ფაქტობრივად თანამედროვე საპროცესო სამართლის დონეზეა რეგლამენტირებული, რაც მაშინდელი ეპოქის სხვა ქვეყნებში იშვიათობა იყო, იმაზე მეტყველებს, რომ დავის განხილვა დავის საგანთან დაკავშირებული ყველა პირის ახსნა განმარტებისა და მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა. შესაბამისად, თუ დავის საგანთან დაკავშირებით მესამე პირის პრეტენზია, ან კავშირი იარსებებდა, ამგვარად განვითარებული სასამართლო, სავარაუდოდ საქმისწარმოებაში მის მონაწილეობას აუცილებლად უზრუნველყოფდა. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართალი ამ დროისათვის განუყოფელი იყო: „როგორც ცნობილია, ძველი ქართული სამართალი, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების სამართალი, საკანონმდებლო წესით ცალკე არ გამოყოფდა, არ მიჯნავდა არც სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებს, არც მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს.”[45]

მაგრამ სამოქალაქო სამართლებრივი დავები არსებობდა და ამ დავების განხილვა მესამე პირების მონაწილეობის გარეშე, თავისთავად გამორიცხულია. თუმცა, ისტორიული წყაროების გაცნობიდან, აღნიშნული ინსტიტუტის არსებობას პირდაპირ ვერ ვხვდებით, მაგრამ სამოქალაქო დავების არსებობა თავისთავად სამოქალაქო პროცესის არსებობაზე მიუთითებს, ხოლო სამოქალაქო პროცესში შეუძლებელია ყველა დავის წარმართვა მხოლოდ ორ მოდავე მხარეს შორის.

სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებს „მოდავეები ეწოდებოდათ, დაზარალებულ, მოსარჩელე მხარეს „მოჩივარს უწოდებდნენ, მოპასუხეს - „მოადს. დანაშაულში ბრალდებას კი- „შეწამებას. დამცველს -„მეოხი ეწოდებოდა.[46] „მომჩივანის მიერ მოთხოვნას, სასამართლოსათვის მოხსენებას ეწოდებოდა „სარჩელი“ ან „საჩივარი.“ მხარეთა შორის ურთუერთადავას „სარჩვლა,“ „ცილება,“ „ჩივილი ერქვა.“[47] შესაბამისად, სავარაუდოა და დამაჯერებლობას მოკლებულს არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირს, სასამართლო წარმოებაში დაკავებული ექნებოდა მოჩივარის, მოადის სტატუსი და უფლებრივი თვალსაზრისით მოსარჩელესთან გათანაბრებული იქნებოდა. სამართლებრივი ტერმინი „მესამე პირი” თავისთავად ქართულ სამართალში გვიანაა დამკვიდრებული და სათავეს უცხო ქვეყნის – რუსეთის სამოქალაქო საპროცესო სამართლიდან იღებს.

მესამე პირების ინსტიტუტის განხილვისას მნიშვნელოვანია მისი ფუნქციური თვალსაზრისით განხილვა, ამ ინსტიტუტის არსებობა და მისი ძირითადი ფუნქცია „საპროცესო ეკონომიას” ემსახურება. შესაბამისად მნიშვნელოვანია საპროცესო ეკონომიის

---

[43] *ჭყონია ზ.*, „სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში”, (ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, 3(42), 2014, 83.

[45] *მეტრეველი ვ.*, ქართული სამართლის ისტორია, თბ. 2009, 394.

[46] *მეტრეველი ვ.*, ქართული სამართლის ისტორია, თბ. 2009, 414.

[47] *ჭყონია ზ.*, „სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში”, (ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, 3(42), 2014, 83.

უზრუნველყოფისათვის არსებული მექანიზმების ისტორიულ ჭრილში მიმოხილვა. „მაშინ არსებული წესი უსაფუძვლოდ საჩივრის აღძვრისათვის მომჩივანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, მნიშვნელოვნად ამცირებდა მხარეების მიერ უფლებების ბოროტად გამოყენების ფაქტებს და ხელს უწყობდა პროცესის ეკონომიას, კერძოდ, ნაკლები დანახარჯებით და მოკლე დროში საქმეთა დასრულებას. ერთ-ერთ საჩივარს აქვს ასეთი რეზოლუცია: „ბატონიშვილები გიბრძანებთ, მერმე ბატონისაგან ახალი განჩინება ასე არის და ჩვენგანაც, რომელი კაცი სამართალს არ დასჯერდება და მეორედ შევა სამართალში და გამტყუნდება, რაზედაც ლაპარაკობენ, ერთი მეტიც სხვა წაერთმევა“ და მთავრდება სიტყვებით: მას ვინც სამართალში გამტყუნდება განჩინებისამებრ დაისჯება“ „კანონის მოთხოვნის შესრულება მეფეს იმდენად კატეგორიულად მიაჩნია, რომ მოდავე მხარეს ურჩევს, თავი შეიკავოს უსაფუძვლოდ საქმის გასაჩივრებისაგან „ქ. რადგანაც მდივანბეგის სამართალს არ დასჯერებიხარ, თუ მეორედ ილაპარაკებ, თუ გამართლდები, სამართალს მოგცემთ, და თუ გამტყუნდები, იცოდე, ეგ შენი მიწაც გამოგერთმევა და ჯარიმა(სა)ც წაგართმევთ. კარგად იფიქრე.“[19] ზემოთ თქმული კი, მიუთითებს არა მაშინდელი მართლმსაჯულების მხრიდან მხარეზე ზეწოლის ფაქტზე, არამედ პირიქით, მოდავე მხარეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა, ვინაიდან გარკვეული სანქციების დაკისრება მხარეებს თავისთავად უკარგავდა უსაფუძვლო საჩივრის აღძვრის სურვილს.”[48]

ისტორიული წყაროების ანალიზიდან აშკარაა, რომ საქართველო მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყანა იყო და წინ თუ არ უსწრებდა, ტოლს არ უდებდა მაშინდელ სამართლებრივ კულტურებს. „ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებო და ღირებულ წყაროს წარმოადგენს „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი”. საათაბაგოში სამართალს ჯერ ისევ ზეცასთან ჰქონდა კავშირი - „ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ, თქვენთა გულთა შიგან ღვთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნიოთო“ და ეს იმიტომ, რომ სამართალი „ერთბამად გაჩენილია განგებისათა“. თითონ ათაბაგმაც სამართალი ღვთისა და ღვთის მშობლის „მინდობით“ დასწერა: „შევიყარენით ჭოლთასა მინდობილნი ღვთისანი და აწყურისა ღმრთის მშობლისანი“ და ეს დავადგინეთო. ამიტომ ბჭეც აღჭურვილი უნდა ყოფილიყო სიწმინდით, „მართალი სამართალი გაეჩინა“. ათაბაგის სახელით სწარმოებდა სამართალი და ბჭენიც პატრონის მორჩილნი იყვნენ. სხვა მსგავსებაც მოიპოვება. ევროპაში სენიორს უფლება ჰქონდა, თვითონ დაესაჯა მძიმე დამნაშავე და როცა დიდს საქმეს ბჭობდნენ, მაშინ იგი თავმჯდომარეობდა. ასე იყო საათაბაგოშიც.[49] წყაროს გაცნობიდან ირკვევა, რომ „ფეოდალურს საათაბაგოში მამული ბატონს ეკუთვნოდა და მემამულეს ნება ჰქონდა ყმისათვის სხვა კაცის მიწა მიეცა. მოხდებოდა, რომ ბატონი ერთს ჩამოართმევდა მამულსა და მეორეს გარდასცემდა. შეიძლებოდა, ასეთი მამული დაწინდული ყოფილიყო -

[48] *ჭყონია ზ.*, „სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში”, (ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, 3(42)’14, 84.

[49] *ურბნელი ნ.*, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი”, ელ. ვერსია, 68, www.library.court.ge.

„თუ პატრონმა ყმას მიწა მისცეს, ვისი გინდა იყოს და მის მიწისა გინდა ვენახი, გინა ყანა, გინდა სახლი და რა გინდა რამე დაწინდული იყოსო“... რასაკვირველია, ყმას შეეძლო წინდი დაეხსნა, მაგრამ ვის უნდა გარდაეხადა მისთვის „გამონაღები თეთრი?“ - აღბუღა ამბობს, „პატრონმან მისცეს და ანუ მან კაცმან, ვის მიწა აქვნდესო“. ეს ნიშნავდა, „გამონაღები თეთრი“ ბატონმა გადაუხადოს თავის ყმას, თუ არა და - იმ კაცმა, რომელსაც დაწინდული მამული ჩამოართვეს, რადგანაც მამული იმას დაწინდიაო. აქ ფიცი იყო საჭირო. ყმას უნდა ეფიცა, წინდის დასახსნელად ამოდენი თეთრი გავიღეო და მხოლოდ მაშინ „მართებს უკლებლად და უცილებლად“. როგორც სჯულმდებლობის ისტორია მოწმობს, არიელებს ძველად საკაცო წინდი ჰქონიათ, ე.ი. ვალის ამღებელი თავის თავს წინდად აძლევდა მოვალესა, ან არა და სხვა ვინმე უდგებოდა მოპასუხედ და „წმინდსა შიგა“ იმყოფებოდა. ეხლანდელი კავკასიელების „барантованиe“ სწორედ საკაცო წინდია და დასაწყისი შორეულ წარსულში აქვს. საქართველოშიაც სცოდნიათ ასეთი წინდი და მის კვალს ფშავ-ხევსურეთში ვპოულობთ, თუმცა აქ საკაცო წინდს ძველებური ხასიათი აღარ ატყვია. ეხლა „барантованиe“ და წინდად წაყვანა იმას ნიშნავს, ერთი გვარის კაცი რაიმე დანაშაულებისათვის მეორე გვარის ადამიანსა სტაცებს და მძევლად ჰყავს. საქონლის მოტაცებაც შეიძლება. სასაქონლო „барантованиe“ აღბუღას სამართალშიაც მოხსენიებულია (მუხ. ბ). რაკი საკაცო წინდი ყველგან ამ „барантованиe“-საგან წარმოსდა, ამიტომ სულ ძველად საათაბაგოსაც უნდა სცოდნოდა კაცის წინდად დგომა.”[50]

ზემოთმოყვანილი შემთხვევიდან იკვეთება, რომ ჯერ კიდევ მაშინდელი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები ისეთი მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და კომპლექსური იყო, რომ მხოლოდ მოსარჩელითა და მოპასუხით სამოქალაქო სამართალწარმოება ვერ შემოიფარგლებოდა. მოყვანილი მაგალითის მიხედვით სამოქალაქო სამართლებრივ, კერძო ურთიერთობაში მონაწილეობდა სამი მხარე: ბატონი, ყმა, რომელსაც მიწა ჩამოართვეს და ყმა, რომელსაც მიწა გადასცეს. დავის შემთხვევაში თავისთავად ცხადია, რომ სასამართლოში ყველა მხარე იქნებოდა მიწვეული. მათ შორის ის პირებიც, რომლებსაც დღეს სამოქალაქო პროცესში მესამე პირების სტატუსით ვხვდებით.

ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო სამართალი მატერიალურის აღსასრულებლად არის შექმნილი და მისგან მომდინარეობს, მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საშუალება გვეძლევა პროცესუალური ნორმების არსებობა განვსაზღვროთ. ბექა აღბუღას დროინდელ სამართალში არსებულა სამოქალაქო სამართლებივი გარიგებების აღსრულების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა თავდებობა. „საგვარეულო ცხოვრების დროს მხოლოდ გვარისეულნი არიან ერთმანეთის მეშველნი და თავდებნი. მაშინ თავდები არაფრით არ განირჩევა პირობით შეკრულისაგან. მაგალითებრ, თუ ვალის ამღებელმა პირობა დაარღვია, მოვალეს შეუძლიან თითოეულს იმის გვარის კაცს მიმართოს და ვალი გადაახდევინოს. რაკი პირვანდელ დროს თავდებობა საგვარეულოა, ევროპელთა ძველ სამართალშიაც ცალკე კაცის თავდებობა მოხსენებული არაა. კერძო

[50] *ურბნელი ნ.,* ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი”, ელ. ვერსია, 61, www.library.court.ge.

თავდებობა მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა საგვარეულო წყობას ბოლო მოეღო. ევროპაში წინად თავდებობის ნიშნად ჯერ ხმალსა ჰხმარობდნენ და მერე ფესტუცა-ს (соломина). ერთსაცა და მეორესაც პირობის დამდებნი და თავდებნი ერთმანეთს გადასცემდნენ ხოლმე, ეს იყოს პირობის საბუთიო. მერე შემოიღეს ხელის ჩამორთმევა, რომელსაც ზედ მოჰყვა სათავდებო. თავდებობის დროს ხელის ჩამორთმევა ირანელებმაც იცოდნენ“[51]

„აღბუღა ამბობს, თავდებობა ორნაირია, ერთი დიდებულთა და აზნაურთათვის, მეორე საგლეხო და ორისავე თავდებობისათვის „ხემის ჩამორთვევა“ საჭიროაო.[52] მიუხედავად იმისა, რომ გლეხისა და ბატონისათვის განსხვავებული ტიპის თავდებობის სახეებს ითვალისწინებდა, თავისთავად თავდებობის ინსტიტუტის არსებობა უკვე კომპლექსური სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების დამადასტურებელია. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ თავდებობისას გლეხის ქონებრივი მდგომარეობა, მისი შესაძლებლობები გაითვალისწინებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მოვალის მიერ ვალი დაბრუნებული არ იქნებოდა, გასესხებულ თანხას კრედიტორი თავდებისაგან იღებდა. დაკონკრეტებული არ არის ამ შემთხვევაში წარმოეშობოდა თუ არა რეგრესის უფლება თავდებს თავდაპირველი მოვალისაგან, მაგრამ საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში, თუნდაც ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე, თავდები მოწვეული იქნებოდა. დღევანდელი გადასახედიდან იგი მესამე პირს წარმოადგენს, თუმცა მაშინდელი სამართლით სავარაუდოდ მხარის სტატუსით იქნებოდა მოაზრებული.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ სამართლებრივ კულტურებში საპროცესო სამართალი მატერიალური სამართლისაგან გამოყოფილი არ იყო და საპროცესო სამართლებრივ ნორმებს ნაკლებად ვხვდებით, აღსანიშნავია, რომ განსახილველ ისტორიულ წყაროში საპროცესო სამართლებრივ ნორმებსაც ვხვდებით: „სამართლის ქმნა, რომელსაც აღბუღა საბჭოდჯდომას უწოდებს, სარჩელით იწყება. სარჩელი მოსამართლესთან ჩივილია და ზედ მოსდევს საბჭოდ, სასამართლოდ შეყრა. ხოლო იგი შეყრა უნდა დაბოლოვდეს სამართლის დადებით. მაშასადამე, საათაბაგოს საბჭოდჯდომა რთული წარმოება ყოფილა: ჯერ სარჩელი უნდა შეეტანათ, მერე მოჩივარი და და მოპასუხე სასამართლოს შეყრილიყვნენ და თვითოეულს მათგანს ბჭეებისათვის საბუთი წარედგინა, შემდეგ ბჭეებს სარჩელი და საქმის გარემოებები გაესინჯათ და ბოლოს სამართალი დაედოთ. ამ გვარი სამართლის ქმნა მხოლოდ განვითარებულს ერსა აქვს”.[53]

ზემოაღნიშნული მასალების ანალიზის შედეგად შესაძლებელია დასკვნა, რომ საქართველოში სამართალწარმოების განვითარება მაღალ დონეზე იყო ასული. შესაბამისად, სავარაუდოა მესამე პირების მსგავსი ინსტიტუტების არსებობა, ვინაიდან დავის განხილვის პროცესში

---

[51] *ურბნელი ნ.,* ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი”, ელ. ვერსია, 61, www.library.court.ge.

[52] *ურბნელი ნ.,* ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი”, ელ. ვერსია, 61, www.library.court.ge.

[53] *ურბნელი ნ.,* ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი”, ელ. ვერსია, 62, www.library.court.ge.

იქნებოდა პირი, რომელიც აუცილებლად შეეცილებოდა ორ მოდავე მხარეს. თუმცა ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დღესდღეობით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამკვიდრებული მესამე პირის სათავეს რუსული მესამე პირი წარმოადგენს, რომელიც სათავეს ნოვგოროდის და ფსკოვის სასამართლო ქარტიიდან იღებს.

1801 წლიდან რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე იმ დროისათვის არსებულ სამეფო-სამთავროებში გაუქმებულ იქნა სახელმწიფოებრიობა და მისი ელემენტები[54] თუმცა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სამოქალაქო სამართლებრივი ნაწილი არ გაუქმებულა და ქართულ ჩვეულებით სამართალთან ერთად 1859 წლამდე მოქმედებდა. რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფმა გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მოახერხა რუსეთის სამოქალაქო სამართალწარმოებაში ორ ათეულზე მეტი მუხლი შეეტანათ გახტანგ VI-ის სამართლის წიგნიდან, კერძოდ, კანონთა კრებულის X ტომის I და II ნაწილში.[55]

საქართველოს სახელმწიფოებრიობამ და მისმა სამართლებრივმა კულტურამ აღორძინებისა და დაცემის რამოდენიმე პერიოდი განვლო, ხოლო 1922 წლიდან საქართველო საბჭოთა რუსეთის ნაწილად იქცა. აღნიშნულ პერიოდში ის დიდი სამართლებრივი კულტურა, რომლის მატარებელიც ქართველი ერი იყო, რუსეთის საკანონმდებლო სივრცეში მოექცა. ეს გარემოება შემდგომი თვითმყოფადი განვითარებისათვის დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. შესაბამისად მოცემულ პერიოდში არსებული კონკრეტული სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვა რუსეთში არსებულის ანალოგიურია. „თუმცა აღსანიშნავია, ისიც რომ სამოქალაქო სამართალწარმოების განვითარების ისტორიაში პირველად, დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა სამოქალაქო საპროცესო სამართალი და 1931 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.[56]

შედარებით ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ დღეს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მესამე პირების ინსტიტუტიც, ისევე როგორც ტერმინი, სათავეს რუსული კანონმდებლობიდან იღებს. მესამე პირების თაობაზე სამართლებრივი ნორმების განვითარება შემდეგნაირად მიმდინარეობდა: რუსეთის იმპერიის სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესდება მკვეთრ ზღვარს არ ავლებდა დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე და არ მქონე მესამე პირებს შორის. მესამე პირთა კლასიფიკაციის ძირითად საფუძველად ჩართვის საშუალება მიიჩნეოდა. 653-661-ე მუხლები პირთა ჩართვას საკუთარი ან მხარეთა ინიციატივით ითვალისწინებდა. პირველ შემთხვევაში დამოუკიდებელი მოთხოვნით ჩართვას ჰქონდა ადგილი და განიხილებოდა, როგორც ორი პროცესის გაერთიანება. საკუთარი

[54] *ასათიანი ნ., კიღურაძე ნ., სანიკიძე გ., ფირცხალავა ლ.,* ისტორიის სახელმძღვანელო მე-11 კლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007, 325.

[55] *ჭყონია ზ.,* სამოქალაქო სამართალწარმოება და აღსრულება საქართველოსში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, მართლმსაჯულება და კანონი, 2014, 89.

[56] *Гурвич М.А.* Судебное решение. Теоретические проблемы, 1976, http://www.law.edu.ru.

ინიციატივის შემთხვევაში მესამე პირს შეეძლო ჩართულიყო როგორც რომელიმე მხარის მხარეზე, ასევე დამოუკიდებელი მოთხოვნით.[57]
1923 წლის რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა პირველად გამოყო მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით და მის გარეშე და ძირეულად შეცვალა მიდგომები. 167-ე მუხლით განისაზღვრა, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად ჩართვა შესაძლებელი იყო, თუ გადაწყვეტილება უფლება-მოვალეობებს ერთ-ერთი მხარის მიმართ ქმნიდა. თუმცა სამართალწარმოებაში კანონის ასეთ ფორმულირება წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ცივილისტებმა მიიჩნიეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით არანაირი უფლებები და ვალდებულებები არ იქმნება. ასევე სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითება შემდგომში რეგრესული სარჩელის შეტანის უფლების თაობაზეც კი არაა მართებული, ვინაიდან აღნიშნული უფლება წარმოიშობა კანონით.[58] 1923 წლის რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა საკუთარი ინიციატივით მათ ჩართვას.
1964 წლის რუსეთის სსკ-მ გაიმეორა იგივე მიდგომები მესამე პირთა მიმართ, მაგრამ განახორციელა ტერმინთა დაზუსტება, რომელიც დღემდე არსეობს ჩვენს კანონმდებლობაში.
აღსანიშნავია, რომ მესამე პირების კუთხით საბჭოთა ქვეყნებს შორის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ რეგულაციებსა და მიდგომებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენდა. იგი სამაგალითოც კი იყო მეცნიერთათვის. მაგალითად საბჭოთა პერიოდში მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად თუ სასამართლო საქმის განხილვისას დაადგენს მხარეთა ურთიერთმიმართებას მესამე პირებთან, უფლება ჰქონდა გამოეტანა გადაწყვეტილება მესამე პირების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. აღნიშნული დადებითად იყო შეფასებული მაშინდელი პროცესუალისტების თვალსაზრისით. „სამომავლოდ კანონმდებლობაში თავდაპირველი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთდროულად გადაწყვეტის საკითხის განხილვისას მაგალითი აღებულ იქნეს საქართველოს სსკ-დან.
ასევე, მესამე პირების სამოქალაქო პროცესში მონაწილეობის წარსულში არსებული პრობლემების თანამედროვე პრობლემებთან შედარებისას, შესაძლოა გარკვეული მსგავსებების აღმოჩენა. ხშირად ეს პრობლემები ეხებოდა საქმეში მესამე პირების ჩართვის პროცესუალურ წესებს, ჩართვის საფუძველს, მესამე პირების საპროცესო უფლებებს, ძირითადი და რეგრესული სარჩელის გადახედვის შესაძლებლობას, მესამე პირებზე სასამართლოს კანონიერი ძალის გავრცელების ფარგლებს. თუმცა, მესამე პირების შესახებ სამართლის ნორმების განვითარებაზე თვალის მიდევნებისას, იკვეთება, რომ მესამე პირების უფლებათა გაფართოვება და დახვეწა ყველა დროში ხდებოდა.

[57] *Рыжиков К.С.* Характер интереса третьих лица не заявляюших самостаятельных требовании на предмет спора в гражданском процессе. Вестник Челябинского государственного университета,2014, N 19 (348), 25.
[58] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 47, http://uristinfo.net/.

III. მესამე პირების ცნება და სახეები

1. საქმეში მონაწილე პირები და მესამე პირების ადგილი მათ შორის

სამოქალაქო პროცესი საზოგადოებისათვის დავათა გადაჭრის მექანიზმებს შორის საკვანძო საშუალებაა.[59] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ყოველი პირისათვის უფლების სასამართლო წესით დაცვაა უზრუნველყოფილი. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლებიდან, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან და ერთ-ერთი ფუნდამენტური ადამიანის უფლებაა. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო სამოქალაქო საქმეებს განიხილავს იმ პირის განცხადებით, რომელიც მას თავისი უფლებისა ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად მიმართავს. ამასთან, აღნიშნული უფლების რეალიზებისათვის ეროვნულ კანონმდებლობებში დროებითი დამცავი და სხვა სწრაფი პროცედურები შესაძლებელი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს შუალედური გადაწყვეტილებები, რომლებიც თუმცა არ არის საბოლოო, მაგრამ უზრუნველყოფს მხარეთა და მესამე პირთა უფლებების ეფექტიან დაცვას და ასევე სასამართლო პროცესების ეფექტიანობას.[60] სხვა ძირითადი საჯარო სერვისების მსგავსად, სასამართლო მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ვისთვისაც იგი შეიქმნა.[61] სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობენ პირები, რომელთაც განსხვავებული უფლებები და ვალდებულებები გააჩნიათ. პროცესის ამა თუ იმ მონაწილის საპროცესო მდგომარეობის სწორად განსაზღვრას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან იგი განსაზღვრავს კანონით მინიჭებული საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივ საფუძველს. საპროცესო მდგომარეობის ზუსტი განსაზღვრა ე.ი. ყველა პირის ეკონომიკური ხასიათის კონფლიქტებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები, რაც ეკონომიკის მართვასთანაა დაკავშირებული –არა მხოლოდ სასამართლო სისტემის, არამედ საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობისა და მის მონაწილეთა ინტერესების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობაა.

ფართოდ აღიარებულია, რომ სამართალწარმოებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ პირებზეც, რომლებიც ჩართულნი არ არიან ამა თუ იმ

---

[59] *Clermont K.M,* Civil ɜrocedure's five big ideas, Michigan State Law Review, 2016, 57.

[60] Resolution Res(2002)12 establishing the European Commission for the efficiency of justice (CEPEJ) (adopted by the Committee of Ministers on 18 September 2002 at the 808th meeting of the Ministers' Deputies), European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) High quality justice for all member states of the Council of Europe, 126. <https://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/textes/CEPEJ_Study22_EN.pdf>

[61] *Zuckerman A.A.S.* Court adjudication of civil disputes: a public service tobe delivered with proportionate resources, within areasonable time and at reasonable cost; in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of CivilProcedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008, 436.

კონკრეტულ დავაში. [62]პროცესის მონაწილე პირების დაყოფა შესაძლებელია სამ ჯგუფად, იმისდა მიხედვით თუ რა იურიდიული დაინტერესება გააჩნიათ საქმისადმი: პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ სასამართლოსა და სასამართლო აღმასრულებელს[63]. „სასამართლოს, როგორც სამოქალაქო პროცესის ძირითადი ამასთან, სავალდებულო მონაწილის ინტერესი, სხვა მონაწილეების ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ამიტომ, სასამართლო ვალდებულია ხელი შეუწყოს პროცესის სხვა მონაწილეების უფლებათა მეტნაკლებად სრულ რეალიზებას, ყოველმხრივ დაეხმაროს მხარეებს განახორციელონ მათი კანონით მინიჭებული უფლებები, განუმარტოს უფლებები და მოვალეობები, გააფრთხილოს როგორც განხორციელებული, ისე განუხორციელებელი საპროცესო ქმედებების შედეგების თაობაზე.[64] სასამართლო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში პროცესის ყველა მონაწილესთან შედის. „სასამართლოს მითითებები შესასრულებლად სავალდებულოა საპროცესო სამართლის ყველა დანარჩენი სუბიექტისათვის. ამრიგად სასამართლოს სამართლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო პროცესში იმით ხასიათდება, რომ მასში ორი თვისებაა გაერთიანებული: ერთი მხრივ, სასამართლო საპროცესო ურთიერთობების სუბიექტია, მეორე მხრივ სასამართლო არის ორგანო, რომელიც ყველა იმ სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, რომლებიც კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას.[65] სასამართლოს მონაწილეობის გარეშე საპროცესო ურთიერთობები არ არსებობს.

მეორე ჯგუფს საქმეში მონაწილე პირები შეადგენენ. საქმეში მონაწილე პირების ქვეშ პროცესის ის მონაწილეები იგულისხმება, რომლებიც ამა თუ იმ საფეხურზე და სხვადასხვა მოტივით, მაგრამ უშუალოდ არიან დაინტერესებულნი საქმის დასასრულისადმი. ისინი ზუსტად იმ მიზნით შედიან პროცესში, რომ თავისი სახელით გავლენა მოახდინონ მის მსვლელობაზე და გამოყოფილი აქვთ განსაზღვრული საპროცესო უფლებების კომპლექსი, რომელიც აღნიშნულის საშუალებას აძლევთ. თავად კოდექსი საქმეში მონაწილე პირთა განსაზღვრებას არ იძლევა. იგი მხოლოდ სამოქალაქო პროცესის ამ კატეგორიის მონაწილეებში შემავალი სუბიექტების ჩამოთვლით შემოიფარგლება. „საქმის მონაწილე ყველა პირი ერთ ჯგუფშია მოქცეული უპირველესად, იმ კრიტერიუმით თუ როგორია საქმის შედეგისადმი მათი იურიდიული დაინტერესება. საქმის შედეგისადმი იურიდიული დაინტერესება არის კანონზე დაფუძნებული მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღებასაც საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შედეგად მოცემული

---

[62] *Walker Vern R.* The Timeliness Threat to Intervention of Right, Maurice A. Deane School of Law at Hofstra University, 1980, 7.

[63] *ქურდაძე შ.* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 114.

[64] *М.К. Треушников,* Коментарий к гражданскому процесуальному кодексу РСФСР; Москва; 1996.

[65] Комиссаров К. М. Применение норм гражданского процессуального права. Проблемы применение гражданского процессуального права. Свердловск, 1976, 15.

პირი მოელის".[66] ესენია მხარეები, მესამე პირები და სხვა პირები, რომლებიც თავის მხრივ, შესაძლებელია 2 ქვეჯგუფად დაიყოს:
ა) პირები, რომლებსაც გააჩნიათ როგორც პროცესუალურ სამართლებრივი, ისე მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება საქმის დასასრულისადმი, გამოდიან თავისი სახელით და თავისი ინტერესების დასაცავად. ამ პირებს მიეკუთვნებიან მხარები, განმცხადებლები უდავო წარმოების საქმეებზე. ამავე ჯგუფში ასევე, შედიან მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ვინაიდან „მათი სამართლებრივ მდგომარეობა, ისევე როგორც მხარეებისა, იმით ხასიათდება, რომ საქმის დასასრულისადმი გააჩნიათ როგორც მატერიალურ სამართლებრივი, ასევე, საპროცესო სამართლებრივი დაინტერესება. ისინი პროცესში შედიან საკუთარი სახელით და თავისი ინტერესების დასაცავად."[67]
ბ) პირები, რომლებსაც საქმის დასასრულისადმი მხოლოდ საპროცესო სამართლებრივი დაინტერესება გააჩნიათ, საქმეში საკუთარი სახელით მონაწილეობენ, მხოლოდ სხვათა ინტერესების დასაცავად, კერძოდ წარმომადგენლები.[68] ამავე ჯგუფში შედიან მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.
მესამე ჯგუფი – არის პროცესის მონაწილეები, რომლებიც ხელს უწყობენ მართლმსაჯულების ნორმალურ განხორციელებას (მოწმეები, ექსპერტები, თარჯიმნები, საზოგადოების წარმომადგენლები და სასამართლოს წარმომადგენლები). „ამ ჯგუფში შემავალი სუბიექტებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი საქმის შედეგით იურიდიულად დაინტერესებულნი არ არიან".[69]
არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „შეიძლება გამოვკვეთოთ სუბიექტების მეოთხე ჯგუფიც, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების სუბიექტები იყვნენ. ესენი ის პირები (ფიზიკური პირები, თანამდებობის პირები და იურიდიული პირები), არიან რომლებიც ვალდებულნი არიან სასამართლოს მათ ხელთ არსებული წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები გადაუგზავნონ (წარმოუდგინონ) (134-136-ე და 154-156-ე მუხლები)"[70]. თუმცა, აღნიშნული პირებიც ზემოთ დასახელებულ მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან და ასევე არიან პირები, რომლებიც სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში ეხმარებიან.
პროცესის მონაწილეთა ჯგუფების უფლებათა მოცულობის განსხვავება ამ ჯგუფების თითოეული წარმომადგენლის პროცესის საგანთან და მიზანთან ურთიერთობას უკავშირდება. საქმეში აქტიური პოზიცია მოითხოვს ფართო საპროცესო უფლებამოსილებებით აღჭურვას, პასიური, დამხმარე – მოცულობითა და პროცესის მსვლელობაზე პირდაპირი გავლენის მოხდენის შესაძლებლობით ნაკლებს. საქმეში მონაწილე

[66] *ქურდაძე შ.* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 115.
[67] *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. - Иркутск, 1927, 18.
[68] *Треушников М.К.,* Коментарий к гражданскому процесуальному кодексу РСФСР; Москва; 1996.
[69] *ქურდაძე შ.* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 115.
[70] *ქურდაძე შ.* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 117.

პირთა საპროცესო ქმედებები აქტიურად ახდენს გავლენას პროცესის მთელ მსვლელობაზე, მათ ქმედებაზეა დამოკიდებული პროცესის მოძრაობა, მისი ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლა.
როგორც იკვეთება, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მის გარეშე საქმეში მონაწილე პირთა კატეგორიზაციისას ერთსა და იმავე ჯგუფში შედიან, თუმცა ამავე ჯგუფში იმისდა მიხედვით, თუ რა იურიდიული დაინტერესება გააჩნიათ საქმის შედეგისადმი, სხვადასხვა ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან.
ყველა დავა, მათ შორის სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემული, ორი მხარის არსებობას უშვებს, რომლებსაც დავის საგნის მიმართ განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია აქვთ. სასარჩელო წარმოების განმსაზღვრელია მოდავე მხარეთა ინტერესების დაპირისპირებულობა და არა მათი სიმრავლე."[71] პროცესი ორი მხარის სისტემით არის აგებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა პროცესზე წარმოდგენილია (მხოლოდ) ორი მხარე („მოსარჩელე" და „მოპასუხე"). ორი მხარის სისტემა იმის საშუალებას არ იძლევა, რომ მხარეები ერთი და იგივე პირები იყვნენ. აქედან გამომდინარე, საკუთარ თავთან პროცესის წარმოება არავის შეუძლია. ამდენად ერთი და იგივე ფირმის ორი ფილიალის ერთმანეთის საწინააღმდეგო სარჩელის მიღება დაუშვებელია. პროცესი სრულდება მოსარჩელისა და მოპასუხის ერთ პირად გაერთიანებით.[72] თუმცა, ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ პროცესში მხოლოდ ორი მხარის მონაწილეობაა დაშვებული. ეს რომ ასე იყოს, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირის მონაწილეობა მასში გამორიცხული იქნებოდა. შესაბამისად, მხარეების განხილვა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების გარეშე შეუძლებელი იქნება.
საქმეში მონაწილე პირთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცესუალური სუბიექტებია მხარეები. სწორედ ისინი არიან ის პირები, რომელთა გამოც და გარშემო იწყება და მიმდინარეობს სამოქალაქო სამართლებრივი დავა. ამ დავის გადაწყვეტის მიზნით მონაწილეობენ სამოქალაქო საქმის განხილვაში პროცესის სხვა დანარჩენი მონაწილეები. მხარეები სასარჩელო წარმოების ძირითადი და ყველაზე მეტად დაინტერესებული მონაწილეები არიან. სასამართლოს გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს მათ უფლებრივ მდგომარეობაზე; უშუალოდ ეხება მათ მატერიალურ უფლებებსა და მოვალეობებს. „პროცესის დაწყებისას ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული ვინ წარმოადგენს მხარეს. სხვა შემთხვევაში პროცესის მოწესრიგებული მსვლელობა გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, სარჩელში, როგორც პროცესის გახსნის სამართლებრივ საფუძველში, დასახელებული უნდა იქნეს მხარე."[73]
თავად მხარეების ცნებას სსსკ-ი არ განმარტავს. კოდექსი უთითებს დაინტერესებულ პირებზე, რომელთა განცხადებაც სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დაწყების საფუძველია. საქართველოს სამოქალაქო

[71] *ლილუაშვილი თ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, გამომცემლობა ჯი-სი-აი, თბ. 2005, 126-129.
[72] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 61;
[73] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 57.

საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი მხოლოდ განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება იყვნენ მხარეები: მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც იურიდიული პირები არ არიან.
მხარეები სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტად ითვლებიან. მაგრამ, ვინაიდან სასამართლოს მხოლოდ გადაწყვეტილებაში შეუძლია მოგვცეს საბოლოო პასუხი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე ის გამოდის ვარაუდიდან, რომ მოცემული პირები სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის სუბიექტად ითვლებიან. ამიტომ მოსარჩელე და მოპასუხე და ასევე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, –სადავო უფლებებისა და მოვალეობების სავარაუდო სუბიექტები არიან. რადგან მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი უფლება დარღვეულია და ამ უფლების დამრღვევად იგი მოპასუხედ გარკვეულ პირს ასახელებს – ეს საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ სარჩელი მიიღოს და განიხილოს".[74] შესაბამისად, „მხარე არის ის, ვინც სასამართლოსგან თავისი უფლებების დაცვას მოითხოვს და რომლის წინააღმდეგაც სამართლებრივი დაცვა მოითხოვება და კერძოდ კი ორივე მათგანის სახელზე მიღებული გამამართლებელი ან გამამტყუნებელი გადაწყვეტილებით.[75]"
შესაბამისად, მოსარჩელე მატერიალური სამართლისგან დამოუკიდებლად ხდება ის, ვისაც სარჩელი შეაქვს, ე.ი. სამართლებრივ დაცვას მოითხოვს. მოსარჩელისა და მოპასუხის საერთო ნიშანია ის, რომ ისინი მთავარი, ძირითადი პირები არიან, რომელთა დავის განსახილველად და გადასაწყვეტადაა სასამართლო მოწოდებული. მოსარჩელე და მოპასუხე თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობენ, რაც აუცილებელია სასამართლოს წინაშე საკუთარი შეხედულებების დასაცავად.[76] ხოლო, მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობა იმით ხასიათდება, რომ მათ, როგორც მხარეებს აქვთ როგორც მატერიალურ სამართლებრივი, ასევე საპროცესო სამართლებრივი დაინტერესება საქმის დასასრულისადმი და დაწყებულ პროცესში საკუთარი ინტერესების დასაცავად შედიან.[77]

---

[74] *ლილუაშვილი თ.* სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული და გაფართოვებული გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი", 2001, 56.

[75] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 61.

[76] *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. Иркутск, 1927, 16.

[77] Гражданский процесс: учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 76, http://uristinfo.net/.

2. სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მნიშვნელობა

სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად მიზანია სამოქალაქო საქმეებზე ზუსტი და გონივრული გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ რაც შეეხება სამართალწარმოების განხორციელების გზას, იგი სამოქალაქო სამართალზე დამოკიდებული არ არის. სამოქალაქო სამართალწარმოების განხორციელების გზა იმ ზოგად ურთიერთობებზეა დამოკიდებული, რაც მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის კონკრეტული კონსტიტუციითაა განსაზღვრული. კონსტიტუციით ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აღიარებას პირდაპირი გავლენა აქვს საპროცესო სამართალზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილია, რომ სამართლიანი და საჯარო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ყველას აქვს. ამ მუხლის მიზანია დიდი ხნით გაურკვევლობის სტრესში ცხოვრებისაგან ადამიანების დაცვა.[78] სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ასევე აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით და ერთ-ერთ ფუნდამენტური უფლებაა. ვინაიდან „სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. „... კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი სწორედ ის არის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება"[79]. შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებასთან. თუ რამდენადაა სახელმწიფო სამართლებრივი გამოიხატება იმაში, თუ რამდენადაა დაცული პირის უფლებები მათ შორის სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების განხორციელების რეალური გარანტი კი მოქალაქეთა სამართლიანი სასამართლოთი უზრუნველყოფაა. „სამართლიანი სასამართლოს უფლება ... უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვას".[80] „სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. ამ თვალსაზრისით,

---

[78] *Asser W.D.H.* Within a reasonable time: a joint responsibility, The Law's delay. Essays on undue delay in civil litigation, Intersectie Uitgevers Antwerpen – Groningen, 2004, 23.

[79] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 1.

[80] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 1.

სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელება „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს უკავშირდება და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის არსს"[81]. როგორც ჩანს სამართლებრივ სახელმწიფოდ შეფასებისათვის საჭიროა მოქალაქეები უზრუნველყოფილი იყვნენ სამართლიანი სასამართლოთი, რათა გამოიყენონ თავისი სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. „ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია, ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)"[82]. გარდა იმისა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ შეფასების კრიტერიუმად მიიჩნევა, ეს უფლება ასევე ადამიანის სხვა უფლებათა განხორციელების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს - „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ... წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას..."[83].

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აბსოლუტური არ არის და შესაძლებელია გონივრულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს"[84]. აღნიშნული უფლების შეზღუდვაც, მისი სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა თავად ამ უფლების სრულყოფილად განხორციელების გარანტია და თავადვე გამორიცხავს მის აბსოლუტურობას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება

---

[81] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 1.

[82] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 14.

[83] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, 1.

[84] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“[85]. მაგრამ „შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის“[86]. შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა სავალდებულოა სწორედ პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგისათვის. იგი გამართლებული უნდა იყოს მხოლოდ ლეგიტიმური და არამარტო საჯარო წესრიგისათვის. კანონიერ მიზანსაც რომ ემსახურებოდეს მიზანსა და შეზღუდვას შორის თანამოზომიერების დაცვა უფლების შეზღუდვის აუცილებელი პირობაა. უფლებათა დაცვის კონკრეტულ მექანიზმებს უკვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გვთავაზობს და სწორედ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზების ერთ-ერთ მექანიზმს მესამე პირების ინსტიტუტი წარმოადგენს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, „ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც გაიგებს, რომ სასამართლოში მიმდინარეობს დავა მხარეთა, ანუ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის და აქვს თავისი ინტერესები ამ დავის საგნის მიმართ, შეუძლია ეს ინტერესები დაიცვას ორი გზით: ერთი - სარჩელი შეიტანოს სასამართლოში სანამ იგი მიიღებდეს გადაწყვეტილებას და თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა განაცხადოს ამ დავის საგნის მიმართ მთლიანად ან ნაწილობრივ, ან მეორე – დაელოდოს რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო და შემდეგ სარჩელი აღძრას იმ მხარის წინააღმდეგ, რომელსაც სასამართლომ დავის საგანი მიაკუთვნა ან რომლის სასარგებლოდაც გამოიტანა გადაწყვეტილება.“[87] თუმცა ეს უფლება საქმის მონაწილეთა რაოდენობის ზრდას არ უნდა ემსახურებოდეს, ვინაიდან თითოეული პირის საქმისწარმოებაში მონაწილეობა მხოლოდ მათი კონკრეტული საქმისადმი არსებული უფლების საპროცესო უზრუნველყოფითაა გამართლებული. თუ პირს თავისი უფლების დაცვა სხვა პროცესშიც შეუძლია და ამ კონკრეტული საქმის გადაწყვეტით მისი უფლებები არ ილახება, მის დაშვებას არაპირდაპირი ხასიათი ექნება და არ უნდა იქნეს დაშვებული.[88]

სამოქალაქო პროცესიდან პარალელი თუ გაევლება ჭარდაკთან – სადაც პროცესის ანალოგიურად ორი მხარე იბრძვის გამარჯვებისათვის, ადვილად მისახვედრია რა როლი აქვს თამაშის წესებს და მის მონაწილეთა სწორად განაწილებას თამაშის მიზნის მისაღწევად. ჭადრაკის უნივერსალური წესების გარეშე პარტიის თამაში შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში ჭადრაკის არსი და მიზანი მიუღწეველი რჩება. თუმცა არსებობს მრავალი საჭადრაკო პარტიები, რომლის ცოდნის შემთხვევაში მოთამაშე უპირატესობას მოიპოვებს, ეს

---

[85] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 15.

[86] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1.

[87] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2014.

[88] *Жилин Г.А.* Правосудие по гражданским делам: актуальные вопросы: монография. М., 2010, 147.

პარტიები ამ შემთხვევაში შესაძლებლია სასამართლო პრაქტიკას შევადაროთ. საჭადრაკო პარტია, ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკა ზოგად უნივერსალურ წესებს ვერ ცვლის. სამოქალაქო პროცესის ქვაკუთხედად მკვლევარები მიიჩნევენ შემდეგ უნივერსალურ პრინციპებს მიიჩნევენ: სასამართლოსა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის რეგულირება; პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფა; სწრაფი და ეფექტური პროცესის უზრუნველყოფა; ზუსტი და ეფექტური შედეგების მიღწევა.[89] აღნიშნული პრინციპები დაცული უნდა იყოს ყველა სამოქალაქო საპროცესო სისტემაში. პრინციპების გაანალიზების შედეგად შესაძლებელია დასკვნა, რომ, მესამე პირების ინსტიტუტი ზემოაღნიშნული პრინციპების რეალიზაციის აუცილებელ კომპონენტია. კერძოდ ის, რომ გარეშე პირს შესაძლობლობა აქვს ახალი დავის დაწყების გარეშე ჩაერთოს მხარეთა შორის მიმდინარე დავაში თავისი უფლებების რეალიზაციის მიზნით, პირველი პრინციპის – მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განხორციელების ერთ-ერთ გარანტია. ამასთან, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის, დავაში მესამე პირების მონაწილეობა აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის სამართლიანობა. რაც შეეხება მესამე პრინციპს, სწრაფი და ეფექტიანი პროცესის უზრუნველყოფას, არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. კერძოდ ის, რომ მესამე პირების საქმეში მონაწილეობამ შესაძლოა პროცესის სისწრაფე შეაყოვნოს. თუმცა, რეალურად, საქმეში მესამე პირების მონაწილეობის მიზანშეწონილება სწორედ სწრაფი და ეფექტიანი შედეგის მიღწევისთვისაა განპირობებული. მესამე პირების ინსტიტუტი, წარმოადგენს რა საპროცესო ეკონომიის გარანტს, მხარეებს თავიდან აცილებს შემდგომში გადაწყვეტილების გაუქმების ალბათობას, პარალელური პროცესების გამართვას და ამით ეფექტიან გადაწყვეტილებებს უზრუნველყოფს. ხოლო, საქმის ყოველმხრივ განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება ზუსტ და ეფექტიან შედეგებს უზრუნველყოფს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მესამე პირის ცნების ქვეშ ის პირი მოიაზრება, „რომელიც შემოდის მხარეთა შორის უკვე დაწყებულ პროცესში თავისი საკუთარი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად, რომლებიც არამარტო არ ემთხვევა, არამედ პირიქით ეწინააღმდეგება კიდეც მხარეების (მოსარჩელის, მოპასუხის) ინტერესებს.[90] ვინაიდან საქმეზე გადაწყვეტილება შესაძლოა შეეხოს ამ მესამე პირების უფლებებსა და ინტერესებს. მესამე პირების საქმეში მონაწილეობა იქიდან გამომდინარეობს, რომ გადაწყვეტილებამ საქმეზე შესაძლოა, ასე თუ ისე გავლენა მოახდინოს იმ პირების უფლებებსა და ინტერესებზე, რომლებსაც არ უკავიათ მხარეთა პროცესუალური მდგომარეობა. მესამე პირები თვითონ არასოდეს არ აღძრავენ საქმეს და არ ახდენენ თავდაპირველი სადავო მატერიალური სამართალურთიერთობის ფორმირებას, რომელიც ჩამოყალიბებულია უპირველესად მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. თუმცა მესამე პირებს ყოველთვის გააჩნიათ განსაზღვრული მატერიალური დაინტერესება საქმის დასასრულისადმი.

---

[89] *Gottwald P.*, Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No22, 2005, 25.

[90] *ლილუაშვილი თ, ხრუსტალი გ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007, 168.

მეცნიერებს შორის მესამე პირებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: „თანამედროვე პირობებში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობამ შესაძლოა სასამართლო დაცვის მიღება არსებითად გაართულოს, ამიტომ ამ მონაწილეობისათვის განსაკუთრებული აუცილებლობა არ არსებობს.”[91] მითითებულ მოსაზრებას ის აბათილებს, რომ მოცემული საპროცესო ინსტიტუტის საშუალებით საქმის დასასრულისადმი ყველა დაინტერესებული პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვაა უზრუნველყოფილი, მათ შორის იმ პირებისაც, რომლებიც მხარეები არ არიან მიმდინარე პროცესში. მესამე პირების საქმეში მონაწილეობა ერთ საქმეში ყველა მტკიცებულებითი მასალის გაერთიანების და კონცენტრაციის[92] საშუალებას იძლევა, ვინაიდან მესამე პირები მათ მიერ წამოყენებული მოსაზრებების დამოწმებით არიან დაინტერესებულნი და შეუძლიათ ხელთ ჰქონდეთ შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემები. მათი საქმეში მონაწილეობა აგრეთვე უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების უფრო სრულყოფილად გამოკვლევის შესაძლებლობას და სასამართლოს თავიდან აცილებს ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის საფრთხეს.[93] მესამე პირთა მონაწილეობა საქმეში მონაწილე პირთა უფლებებისა და ინტერესის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების უფრო სწრაფ და სწორ გადაწყვეტას, სასამართლო ორგანოების დროის დაზოგვას, ე. წ. საპროცესო ეკონომიას უზრუნველყოფს. „ერთ პროცესში ერთბაშად რამდენიმე მოთხოვნის განხილვა რიგი ფაქტორების გამო ხელსაყრელია: ორი საქმის ნაცვლად განიხილება ერთი, აუცილებელი აღარ არის სასამართლოში ერთი და იგივე პირების ხელმეორედ დაბარება, მტკიცებულებათა გამოკვლევა ერთხელ ხდება, ორი გადაწყვეტილების ნაცვლად სასამართლოს ერთი გამოაქვს”[94]. „მესამე პირების მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში რიგ გარემოებებს ეფუძნება. პირველ რიგში საქმის სწორად და დასაბუთებულად გადაწყვეტის გზაა, ვინაიდან საშუალებას იძლევა ყველა მტკიცებულების შეკრებისა და გამოკვლევით დადგინდეს საქმის ყველა გარემოება. მეორე მხრივ საპროცესო ეკონომიის საშუალებაა, ვინაიდან საქმის განხილვისას, მაგალითად რეგრესული სარჩელის დროს, თავდაპირველ სარჩელზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახული ფაქტების თავიდან დადგენის აუცილებლობა აღარ არის.”[95]
რადგან ყველა სახის ორ პირს შორის მიმდინარე დავა სხვა პირების მონაწილეობის ალბათობასაც უშვებს, ლოგიკურია, რომ მესამე პირების

---

[91] *Приходько И.А*. Доступность правосудия в арбитражном и гражданском процессе. СПб.: Изд-во С.-Петербургского гос. ун-та, 2005, 345 - 347; Проблемы участия в арбитражном процессе физических лиц // Арбитражная практика. 2005. N 3, 29.

[92] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «КОНТРАКТ»; «ИНФРА-М», 2008, 43, http://uristinfo.net/.

[93] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 76, http://uristinfo.net/.

[94] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 126.

[95] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 39.

მონაწილეობა არბიტრაჟშიც გახდეს საჭირო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ" პირდაპირ არ განსაზღვრავს საქმეში მონაწილე პირებს. ამ კანონის მე-3 მუხლი მხოლოდ განსაზღვრავს საარბიტრაჟო წარმოების მხარეთა თანასწორობას და ადგენს, რომ საარბიტრაჟო წარმოების მხარეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და თითოეულ მხარეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს. იმავდროულად კანონის მე-2 მუხლი ადგენს, რომ მხარები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე. ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება მოიცავს საარბიტრაჟო წარმოების იმ წესებს, რომლებზედაც მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითებენ. აღნიშნული მუხლი საფუძველს იძლევა, რომ მხარეებმა საქმეში მესამე პირის მონაწილეობის წესი, გაითვალისწინონ. თუმცა, იმავდროულად გულისხმობს, რომ თუ არა მხარეების ნება, მესამე პირი საარბიტრაჟო საქმის განხილვაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

როგორც ჩანს ამ შემთხვევაში საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ იზიარებს მოსაზრებას, რომ კომერციული არბიტრაჟი და მესამე პირები ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორც ცეცხლი და წყალი[96].[97]

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, გარკვეული მათგანის საარბიტრაჟო საქმისწარმოების წესები მესამე პირების საქმეში მონაწილეობის წესებს ითვალისწინებენ. არბიტრაჟში მესამე პირების საქმის განხილვაში მონაწილეობის წესს შვეიცარიული კანონმდებლობაც ითვალისწინებს. საარბიტრაჟო რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,[98] როდესაც მესამე პირი ან მხარე ითხოვს რეგლამენტის შესაბამისად მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვაში მესამე პირის ჩართვას, არბიტრაჟი ამის შესახებ გადაწყვეტილებას ყველა მხარესთან კონსულტაციების შემდეგ იღებს. ამავე დროს, არბიტრაჟმა მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის ყველა ის გარემოება, რომელსაც ის ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიზანშეწონილად და გამოსაყენებლად ჩათვლის.[99] [100]

ასევე აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმების 264-ე მუხლი ითვალისწინებს საარბიტრაჟო პანელისათვის, „სასამართლოს მეგობრის" დასკვნების წარდგენას.[101] შესაბამისად, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით დღის წესრიგში დადგება ქართულ კანონმდებლობაში საარბიტრაჟო საქმის განხილვაში მესამე პირების

---

[96] *De Ly Filip*, Best practices and third party participation in Wirth, Markus (editor), Best Practices in International Arbitration, ASA-Swiss Arbitration Association, Basel, 2006, 65.

[97] *ცერცვაძე გ.* საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008, 132-133.

[98] Swiss Rules of international arbitration (Swiss rules), June 2012, Swiss Chambers' Arbitration Institution The Swiss Chambers of Commerce Association for Arbitration and Mediation

[99] Zuberbühler, Tobias, Müller Christoph, Hobegger, Philipp (Editors), Swiss Rules of international arbitration, commentary, Kluwer Law International" Schulthess Jurisdische Medien", Zürich, Basel, Genf, 2005, 36.

[100] *ცერცვაძე გ.* საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008, 132-133.

[101] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, 27.06.2014, რატიფიცირებულია 18.07.2014, ძალაშია 01.07.2016, მუხლი 264.

განხილვაში მონაწილეობის წესების გაწერა. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელებას მესამე პირებზე, მიჩნეულია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების მისამე პირების გავრცელების მომწესრიგებელი ნორმები სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა. დღესაც იშვიათია (თითქმის არ არსებობს) საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი (კანონი, რეგლამენტი) რომელიც პირდაპირ არეგულირებს მესამე პირებზე სამართლებრივი შედეგების გავრცელების საკითხებს.[102] სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, მესმე პირებზე (რომელთაც ხელი არ მოუწერიათ საარბიტრაჟო შეთანხმებისათვის) საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების გავრცელების საკითხი სპეციფიურია და ყოველი კონკრეტული შემთხვევის დეტალური ანალიზიდან და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს.[103]

3. მესამე პირების ცნება

საზღვარგარეთის ქვეყნები მესამე პირების საქმის განხილვაში ჩართვას შემდეგი ტერმინით გამოხატავენ intervention.[104] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სისტემაში მითითებული ქმედება ცალკე ტერმინით განსაზღვრული არ არის, ხოლო პირებს რომლებიც დაწყებულ საქმისწარმოებაში ერთვებიან „მესამე პირები ეწოდებათ". „ტერმინს „მესამე პირი" სუფთა ტექნიკური ხასიათი აქვს, როგორც ამას ლიტერატურაში მიიჩნევენ და რიგითობის მიხედვით იგი არის მესამე."[105] ყველა დავა მატერიალური უფლებების ირგვლივ წარმოშობილი კონფლიქტის საფუძველზეა „აგებული", რომელიც სამოქალაქო საპროცესო სამართლის სფეროში „გადაადგილების" შედეგად სადავო საკითხად გარდაიქმნება, პროცესის წამყვანები მოწინააღმდეგე მხარეს და ასევე საქმეში მონაწილე იმ პირებს ასახელებენ, რომლებსაც სასამართლოს შეხედულებების შეცვლა ხელეწიფებათ. სამოქალაქო პროცესში ,,სასარჩელო წარმოების დროს ყოველთვის ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარეა – მოსარჩელე და მოპასუხე. განსაზღვრულია ასევე, დავის საგანი,"[106] თითოეული მათგანი ამტკიცებს თავის სიმართლეს. პროცესში არსებითად ორი მხარე რჩება საპროცესო თანამონაწილეობის დროსაც, როცა მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე რამოდენიმე თანამოსარჩელე ან რამოდენიმე

---

[102] *ცერცვაძე გ.* საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 175.

[103] *Hanotiau, Bernard,* Complex arbitrations, multiparty, multicontract, multi-issue and class actions, International law library, "Kluwer law international". The hague, 2005, 86-87.

[104] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on Principles and Rules of Transnational Civil Procedure ALI/UNIDROIT Principles of Transnational Civil Procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January 2005, 37.

[105] *Мельников А.А.*, Курс Советского Гражданского Процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва, 1981, 236.

[106] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი გ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 150.

თანამოპასუხე მონაწილეობს. „ზოგჯერ სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესი რთულდება იმის გამო, რომ პროცესში შემოდის პირი, რომლის ინტერესები არ ემთხვევა არც მოსარჩელისა და არც მოპასუხის ინტერესებს".[107] ამ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე ორ მხარესთან ერთად საქმეში ერთვებიან მოქალაქეები ან იურიდიული პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქმის გადაწყვეტით. ისინი განსახილველ დავაში არც მოსარჩელეს და არც მოპასუხეს არ წარმოადგენენ, ვინაიდან მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა აგრეთვე შესაძლოა საქმეში იმ არამონაწილე პირის კანონით დაცულ ინტერესებს შეეხოს, რომლებიც სასამართლოსათვის გადასაწყვეტად გადაცემული დავის სუბიექტები არ არიან. სასამართლოს გადაწყვეტილების მატერიალურ სამართლებრივი ძალა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც საქმეში არ მონაწილეობენ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგები შეიძლება მათ ინტერესებს შეეხოს. ეს ინტერესები დაცვას ექვემდებარება. ამ პირებს საშუალება აქვთ თავისი ინტერესები საერთო სასარჩელო წარმოების გზით სასამართლოში დაიცვან, დამოუკიდებელი სამოქალაქო სარჩელის წარდგენით და მასში მხარედ მონაწილეობის მიღებით. თუმცა, მაშინ, როცა „სხვის" საქმეზე გადაწყვეტილებამ შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები, ან გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და ვალდებულებებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ, საქმეში არამონაწილე პირების ინტერესების დაცვის უფრო მიზანშეწონილ საშუალებად, შეიძლება ასეთი პირების ჩართვა პროცესში თავდაპირველ მხარეებთან ერთად მივიჩნიოთ. ამ მიზნით კანონი ასეთი ინტერესების მფლობელებს თავდაპირველად აღძრულ საქმეში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს. მოსარჩელესა და მოპასუხესთან ურთიერთობაში ასეთი პირები მესამეები (თვლის მიხედვით) არიან, ამიტომაც მესამე პირებად იწოდებიან. [108]

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში „მესამე პირების" საერთო დასახელების ქვეშ ორი სხვადასხვა ინსტიტუტია გაერთიანებული. ვინაიდან მესამე პირების დაინტერესების ხარისხი და კავშირი პროცესის ობიექტთან – დავის საგანთან – შესაძლოა განსხვავებული იყოს, შესაბამისად მესამე პირების დაინტერესების ხასიათიდან გამომდინარე კანონი მათი მონაწილეობის ორ ფორმას განასხვავებს: მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, და მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. ორივე ფორმით პროცესში მონაწილეობისათვის საერთო ისაა, რომ ეს პირები სხვა პირების მიერ უკვე დაწყებულ დავაში ერთვებიან. მესამე პირების ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელ თავისებურება იყო და და კვლავ არის უკვე დაწყებულ პროცესში ჩართვა.[109] რის გამოც ეს ორი განსხვავებული ინტერესისა და შესაბამისად უფლებათა მოცულობის მქონე საპროცესო სუბიექტი საერთო ტერმინის „მესამე პირების" ქვეშაა გაერთიანებული.

---

[107] *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007, 168.

[108] *Мельников А.А.*, 1981. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва, 236.

[109] *Елисеев Н.Г.* Гражданское процессуальное право зарубежных стран (источники, судоустройство, подсудность). М. 2000, 85.

„მესამე პირების ერთიანი ცნება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დისკუსიის თემა იყო და და დღესდღეობითაც აქტუალურს წარმოადგენს”[110]. სხვის საქმეში იურიდიული დაინტერესების ხარისხისა და საპროცესო მდგომარეობის განსხვავებულობა გამორიცხავს მესამე პირთა ისეთი ერთიანი ცნების ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რომელიც ორივე სახის მესამე პირების ძირითად ნიშნებს მოიცავს.[111] ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მესამე პირების კომპლექსური ცნება ჩამოაყალიბა, იყო ს. ნ. აბრამოვი და მისსავე მოსაზრებას იზიარებდა ი.მ. ილინსკაია: „პირი, რომელიც ერთვება ან რთავენ სხვა პირებს შორის უკვე მიმდინარე პროცესში მონაწილეობისათვის თავდაპირველი მხარეების დავის საგანზე საკუთარი დამოუკიდებელი უფლების დასაცავად ან დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენების გარეშე თავისი ინტერესების დასაცავად, სამოქალაქო პროცესში მესამე პირად იწოდება.[112] შემოთავაზებულ ცნებებს შორის შესაძლებელია განხილულ იქნას ასევე: მესამე პირები არიან - მხარეთა შორის არსებულ სასამართლო განხილვის საგნად ქცეულ სადავო სამართალურთიერთობასთან ურთიერთდაკავშირებული მატერიალური სამართალურთიერთობის სავარაუდო სუბიექტები, რომლებიც თავდაპირველი მხარეების მიერ დაწყებულ პროცესში თავისი სუბიექტური უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად ერთვებიან.[113] უფრო სრულყოფილია ცნება, რომლის მიხედვითაც მესამე პირები –საქმეში მონაწილე ისეთი პირები არიან, რომლებიც უკვე დაწყებულ სამოქალაქო პროცესში ერთვებიან, საქმის დასასრულისადმი განსაზღვრული იურიდიული დაინტერესება აქვთ, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.[114] აღნიშნული ცნება მაქსიმალურად სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მასში მითითებულია განსაზღვრულ იურიდიულ დაინტერესებაზე.
ასევე საინტერესოა შემდეგი ცნება, რომლის შესაბამისადაც მესამე პირები შედიან პროცესში, რომელიც მხარეთა შორის უკვე დაწყებულია, მათ საქმის დასასრულისადმი სამართლებრივი დაინტერესება გააჩნიათ და საქმეში პირადი მონაწილეობით უზრუნველყოფენ თავისი სუბიექტური უფლებების დაცვას, რომელიც არ ემთხვევა მხარეთა სუბიექტურ უფლებებს.[115] მოცემულ განმარტებაში იკვეთება ის, რომ მესამე პირებს დამოუკიდებლადაც ძალუძთ თავისი უფლებების დაცვა,

---

[110] *Жукова Д. И.* Отдельные проблемы института третьих лиц в гражданском процессе, Восточно-Сибирский государственный университет технологий и управления (г. Улан-Удэ, Современные проблемы теории и практики права глазами современных исследователей), 60.

[111] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 48, http://uristinfo.net/

[112] *Ильинская И.М.*, Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 5.

[113] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 76, http://uristinfo.net/.

[114] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 40.

[115] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «КОНТРАКТ»; «ИНФРА-М», 2008, 44, http://uristinfo.net/.

მაგრამ საქმეში მონაწილეობით ამ უფლებათა დაცვის პრევენციულ ზომებს იღებენ.
მესამე პირების არსს ასევე ასახავს ქართველი პროცესუალისტის მიერ წარმოდგენილი ცნება: მესამე პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ერთვება უკვე დაწყებულ სასამართლო პროცესში და იურიდიული ინტერესი აქვს განსახილველი დავის მიმართ".[116] მიუხედავად, იმისა, რომ წარმოდგენილი ცნება მონაწილეობის მიზანზე არ უთითებს, კერძოდ მასზედ რომ მესამე პირების პროცესში საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით მონაწილეობენ, ხაზს უსვამს იმ ნიშანზე, რაც მესამე პირების საქმეში მონაწილეობისათვის ძირითადია – ინტერესი დავის საგნის მიმართ. მესამე პირების სამოქალაქო საქმეში მონაწილეობა დასაშვებია თუ შესაძლებელია მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მიმდინარე დავაზე სასამართლოს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედოს მათ საქმეში ჩართვას.[117] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ პირობებს ადგენს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პირს შეუძლია დამოუკიდებელი მოთხოვნით ან მის გარეშე ჩაერთოს საქმის განხილვაში, თუმცა ამ პირობებს შორის განსაზღვრული არ არის ინტერესის ის ხარისხი, რომლითაც მესამე პირი ასაბუთებს, რომ მას საქმეში ჩართვისათვის საჭირო უფლება აქვს. ევროსაბჭოს სასამართლოების პრეცედენტული სამართლის მიხედვით „ინტერესი სასამართლოში განსახილველი საქმის შედეგებისადმი" არსებობს, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია „ჩამრთველის" სამართლებრივი პოზიციაზე ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე არსებითი გავლენა მოახდინოს. პროცესში ჩართვის ნების დართვისათვის, ჩამრთველმა უნდა დაამტკიცოს, რომ არაპირდაპირი ინტერესი აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი. პირის ინტერესი ერთ-ერთი მხარის მიერ წამოყენებული სარჩელის წარმატების ან წაგებისათვის არასაკმარისია, თუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარის სამართლებრივ ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას არ ახდენს.[118] ქართველი ცივილისტების მოსაზრებით „იურიდიული ინტერესი შეფასებითი მსჯელობაა. ამიტომ იგი განეკუთვნება არა გნოსეოლოგიის (შემეცნების) სფეროს, არამედ აქსიოლოგიის (ღირებულების, შეფასების) სფეროს. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის „დადგენა - დადასტურება" მტკიცებულებების მეშვეობით, მათ შორის უშუალო (გრძნობის ორგანოებით) აღქმის გზით - შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა უპირატესობა მესამე პირის საქმეში ჩაბმის ისეთ კრიტერიუმს მიანიჭა, რომელიც უფრო გასაგები იქნებოდა, როგორც მხარეებისათვის, ისე სასამართლოსათვის."[119] თუმცა, იქვე აღსანიშნავია, რომ იგივე ავტორები სამართლებრივი ინტერესის არსებობის აუცილებლობას არ უარყოფენ: „იურიდიული ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

[116] *გაბელაია ქ,* მესამე პირები სამოქალაქო სამართალის პროცესში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75", თბილისი, 256.
[117] Гражданский процесс: учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 76, http://uristinfo.net/.
[118] European parliament, 2012 Directorate-general for internal policies, policy department, citizen's rights and constitutional affairs, Standing up for your right(s) in Europe, 55.
[119] *ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ.* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 160-161.

კანონმდებლობითაც აუცილებელია, მაგრამ იგი მაშინ არსებობს, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე.“[120] შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ კოდექსში ზოგადი დათქმის „გავლენის მოხდენის“ ნაცვლად თავად ამ გავლენის სახე დაკონკრეტდეს.

მესამე პირების ინსტიტუტის განხილვისას შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩეს 1997 წელს - ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (ALI) მიერ დაწყებული პროექტი „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპები და წესები”, რომელსაც 2000 წელს შეუერთდა კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT). ALI/UNIDROIT–ის პრინციპები გვთავაზობენ მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის დაბალანსებულ ნაზავს. პროექტი ოსტატურად წყვეტს ურთიერთსაწინააღმდეგო საპროცესო აქსიომების თაობაზე არსებულ განსხვავებულ შუალედურ მიდგომებს.[121]აღნიშნული კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას, მაგალითად გერმანული პროცესისაგან წარმოადგენს ვალდებულებების არ არსებობა.[122] საქმეში მესამე პირების ჩართვისა და ასევე, თანამონაწილეობის წესებს არეგულირებს აღნიშნული პრინციპებიდან მეთორმეტე „სარჩელთა და მხარეთა სიმრავლე. ჩართვა”, რომლის მე-2 ნაწილის შესაბამისად პირს, რომელსაც დავის საგანთან არსებითად დაკავშირებული ინტერესი აქვს, შეუძლია მოითხოვოს ჩართვა.

მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ საერთაშორისო პრაქტიკას გავიზიარებდით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში თავად „ჩართვის” ცნება დაინერგებოდა, რაც კიდევ უფრო ნათელს მოჰფენდა და სრულად ასახავდა იმ საპროცესო ქმედებას, რომლითაც, საქმის არამონაწილე პირი უკვე დაწყებულ პროცესში ერთვება. მითუმეტეს, რომ როგორც ეს ისტორიული მიმოხილვიდან გამოჩნდა, აღნიშნული ინსტიტუტის ჩამოყალიბება სწორედ ამ ტერმინით განხორციელდა და მესამე პირებისათვის დამახასიათებელ მთავარ ნიშან-თვისებას ზუსტად ასახავს: სხვის მიერ დაწყებულ პროცესში ჩართვას. ტერმინს inretvention არამარტო კონტინენტური, არამედ საერთო სამართალიც იცნობს და განმარტავს როგორც პროცედურას, რომელიც არამხარეს (intervenor) ნებას რთავს მიმდინარე სამართალწარმოებას უფლების ან სასამართლოს დისკრეციის საფუძველზე, თავდაპირველი მხარეების თანხმობის გარეშე შეუერთდეს. ასეთი ჩართვა ძირითადად საერთო სამართლის სიტემაში გვხვდება, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მესამე პირების უპირობო ჩართვის გარკვეულ საფუძვლებს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს და უფლების ინტერვენცია ეწოდება, ხოლო შემთხვევებს, როდესაც ჩართვის დისკრეცია სასამართლოს აქვს მინიჭებული ნებადამრთველი ჩართვა ეწოდება. ასეთი ჩართვის ლოგიკა იმას

---

[120] *ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ.* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 160-161.

[121] http://www.unidroit.org/Joint ALI/UNIDROIT Working Group on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT Principles of transnational civil procedure appendix: rules of transnational civil procedure (A Reporters' Study), Rome, January 2005, Rome, January 2005, 37.

[122] *Van Rhee C.H.,* Obligations of the parties and their lawyers in civil litigation (In J. Adolphsen & et al. (Eds.), Festschrift für Peter Gottwald zum 70. Geburtstag (pp. 669-679). München: C.H.Beck, 2014), 690.

ეფუძნება, თუ რამდენად ახდენს სასამართლო გადაწყვეტილება გავლენას კონკრეტულ საკითხზე არამხარეთა უფლებებზე, რომელთაც შესაძლოა გააჩნდეთ უფლება იყვნენ მოსმენილნი.[123]

ასევე, კონტინენტურ სამოქალაქო საპორცესო სისტემაში, კერძოდ, ყველა გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყანაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსები ჩართვის პროცედურას inretvention-ს უწოდებენ და თითქმის ერთნაირ რეგულაციებს გვაძლევს მესამე პირების პროცესში მონაწილეობის თაობაზე: პირს, რომელსაც მოთხოვნა აქვს უკეთეს უფლებაზე დავის საგნის ან უფლების მიმართ, რაზეც სამართალწარმოება სხვა პირებს შორის მიმდინარეობს, უფლება აქვს ამტკიცოს თავისი მოთხოვნა მიმდინარე პროცესში ორივე მხარის წინააღმდეგ. (hauptintervention – principal intervention).[124] თუ მესამე პირს იურიდიული ინტერესი აქვს მიმდინარე სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარის წარმატებისაკენ, ამ პირს შეუძლია დავას შეუერთდეს იმ მხარის დასახმარებლად, რომლის წარმატებაშიც დაინტერესებულია (Nebenintervention – auxiliary intervention).[125] აღნიშნული ბოლო ორი ჩართვის სახეებს ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ცნებაში აერთიანებს. რაც შეეხება ტერმინს „მესამე პირი" ქართულ კანონმდებლობაში საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდანაა შემორჩენილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იქნება თუ ქართულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც თავად საქმეში ჩართვის პროცედურის აღმნიშვნელი ტერმინი „ჩართვა" დამკვიდრდება. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ცივილისტიკაში ერთ-ერთ ძირეულ პრობლემად სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებში არსებული ერთი და იგივე ცნებების განსხვავებულობა ან არ არსებობა მიიჩნევა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მესამე პირის ცნება ფორმალური ან პროცესუალური თვალსაზრისით მატერიალური სამართლისაგან სრულიად თავისუფალია.[126] მატერიალურ სამართალში მესამე პირი, თუმცა განმარტებული არაა, მაგრამ მე-9 მუხლის შესაბამისად სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას უზრუნველყოფენ, თუ ამ თავისუფლების განხორციელება მესამე პირთა უფლებებს არ ხელყოფს. მესამე პირად ამ შემთხვევაში მოაზრება ყველა ის პირი, რომელსაც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ურთიერთობები შეიძლება შეეხოს მისი ან სხვა პირთა აქტიური ან პასიური ქმედების შედეგად (მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება), თუმცა სამოქალაქო პროცესში მესამე პირის სტატუსის მოპოვება ამ პირის მიერ სარჩელში მითითებული განცხადების საფუძველზეა შესაძლებელი.[127] ტრადიციულად სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში მატერიალური სამართლის სისტემური გავლენის არსებობა სამოქალაქო

---

[123] https://en.wikipedia.org/wiki/Intervention_(law)#References .

[124] *Van Rhee C.H.,* , European Traditions in Civil Procedure, edited by *Van Rhee C.H.,* Interseria Antwerpen – Oxford, P. Oberhammer; T. Domej, 2005, 103-106.

[125] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000,102-104.

[126] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 58.

[127] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 59.

პროცესზე განსაზღვრული სუბიექტებისათვის საქმეში მონაწილე პირთა სტატუსის მინიჭების საფუძვლის კუთხით დასტურდება.[128] მაგალითად პირს შეუძლია მიიღოს დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ამ გავლენის ხასიათი თავისთავად არის მატერიალურ სამართლებრივი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „მხარის ცნება სუფთა ფორმალური ან პროცესუალური თვალსაზრისით მატერიალური სამართლისგან სრულიად თავისუფალია. მხარის ფორმალურმა ცნებამ საუკუნის დასაწყისში მხარის მატერიალური ცნების ადგილი დაიკავა (henkel aaO gv. 15 ff.; g. liuke, სამოქალაქო პროცესის გაზეთი 76, 6 ფფ.). ის მხარეებად მხოლოდ სადავო სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს (res. in iudicium deducta) სცნობდა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სუბიექტის მიმართებას არა ობიექტურ სამართლებრივ სტატუსთან, არამედ მხოლოდ მოსარჩელის მტკიცებასთან,[129] რომ წარმოადგენდა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს.” აღსანიშნავია, რომ იგივე შეიძლება ითქვას მესამე პირების ცნებასთან დაკავშირებით. პროცესუალური თვალსაზრისით მესამე პირების ცნება მატერიალურისაგან განსხვავებულია. მატერიალურ სამართალში მესამე პირის ცნება დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული არ არის და მოიაზრება ყველა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ მყოფი პირი, რომლის ინტერესებსაც შეეხო მაგალითად, გარიგება. გერმანული სამართალი იცნობს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშკრულებებს, და ვალდებულებთა დარღვევის შემთხვევაში „ვინაიდან მესამე პირის მოთხოვნის უფლება პროპორციული ურთიერთობიდან (Deckungsverhaltnis) გამომდინარეობს, შემპირებელს შეუძლია, ძირითადი ხელშეკრულების ყველა შესაგებელი წარუდგინოს მესამე პირსაც”.[130] ქართული სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლი ითვალისწინებს ასევე მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებს, თუმცა სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მესამე პირები მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდნენ მესამე პირები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თვალსაზრისით, როდესაც დავის შემთხვევაში მხარეთა შორის მიმდინარე პროცესში ჩაერთვებიან.

4. მესამე პირების სახეები

საზღვარგარეთის ქვეყნებში მიდინარე საქმისწარმოებაში მესამე პირების ჩართვა ორი გზითაა შესაძლებელი: 1. ჩართვა - Intervention და 2. სასამართლოს მეგობარი - Amicus curae. ეს უკანასკნელი საერთო სამართლის ქვეყნებში უფრო მეტადაა გავრცელებული, ხოლო

[128] *Горелов М.В*. Третьи лица в гражданском процессе Японии, Арбитражный и гражданский процесс 2016, №4.

[129] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 62.

[130] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, Verlag C.H. Beck Munchen, 2011, თბილისი, 2014, 235.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს. თავად ჩართვა – Intervention საზღვარგარეთის კანონმდებლობაში დავის საგანთან ურთიერთობისა და ჩართვის ინიციატორის მიხედვითაა სახეებად დაყოფილი.

ქართულ საპროცესო კანონმდებლოში მესამე პირების საერთო დასახელების ქვეშ სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაში ორი განსხვავებული ინტერესებისა და უფლებათა მოცულობის მქონე საპროცესო სუბიექტი მოიაზრება. ვინაიდან მესამე პირების დაინტერესების ხარისხი და კავშირი პროცესის ობიექტთან – დავის საგანთან – შესაძლოა განსხვავებული იყოს, შესაბამისად მესამე პირების დაინტერესების ხასიათიდან გამომდინარე კანონი მათი მონაწილეობის ორ ფორმას განასხვავებს:

1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებულ პროცესში შესული მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რომელიც მონაწილეობს რა პროცესში თავდაპირველ მოდავე მხარეებთან ერთად, დამოუკიდებელ პრეტენზიას აცხადებს დავის საგანზე.

2. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე – არის პირი, რომელიც საქმეში ერთვება ან აბამენ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, მას დამოუკიდებელი პრეტენზია დავის საგანზე არ გააჩნია. მისი იურიდიული დაინტერესება ასევე პროცესუალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ იმ შემთხვევებში აქვს ადგილი, როცა მესამე პირი მხარესთან ურთიერთდაკავშირებულია უფლებებითა და მოვალეობებით და მასთან განსხვავებულ სამართალურთიერთობაში იმყოფება. ის დაინტერესებულია პროცესის დასასრულით, „რამდენადაც მხარეთა შორის დავასთან დაკავშირებით მიღებულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება წინასწარგადამწყვეტი-პრეიუდიციული მნიშვნელობა იქონიოს ასეთ პირსა და პროცესის ერთ მხარეს შორის სამართალურთიერთობებისათვის"[131]. სწორედ ამიტომ ადგენს კანონი სხვის პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მონაწილეობის შესაძლებლობას. ასეთ პირს შეუძლია უკვე დაწყებულ საქმეში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე ჩაერთოს საკუთარი, სასამართლოს ან საქმეში მონაწილე პირების ინიციატივით.

არსებობს მოსაზრება რომ „მესამე პირებს შეუძლიათ თავდაპირველ მხარეებს შორის მიმდინარე პროცესში მონაწილეობა მიიღონ ან დამოუკიდებელი მოსარჩელის როლში ან ერთ-ერთი მხარის დამხმარის როლში. პირველი ფორმა ძირითად მონაწილეობად იწოდება, ხოლო მეორე დახმარებად"[132].

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე და არ მქონე მესამე პირებს ახასიათებთ შემდეგი საერთო ნიშნები:

- ერთვებიან უკვე დაწყებულ პროცესში;
- „საქმეში მონაწილე პირებთან დაკავშირებულნი არიან საქმის დასასრულისადმი არსებული ინტერესით, მიუხედავად იმისა, რომ

---

[131] *ჟურდაძე შ.* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 175.

[132] Присоединение третьих лиц / Учебник гражданского процесса. Е.В.Васьковский. - Москва, 1917, 415, // Все о праве: Информационно-образовательный юридический портал / Электронный ресурс, доступ в Интернете: www.allpravo.ru.

დაინტერესების ხარისხი განსხვავებულია თითოეული სახის მესამე პირისათვის"[133]
- პროცესში ერთვებიან თავისი სუბიექტურ უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით;
- მათი უფლებები და ინტერესები მხარეთა უფლებებსა და ინტერესებს არ ემთხვევა. მხარეებსა და მესამე პირებს სრულიად განსხვავებული უფლებები და ინტერესები აქვთ."[134]
- გადაწყვეტილებამ საქმეზე შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს ამ პირების უფლებებსა და ინტერესებზე;
დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირისაგან საქმეში ჩართვის საფუძველი და დაინტერესების ხარისხი განასხვავებს. რაც ერთ შემთხვევაშია დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა პირის უფლებებსა და მოვალეობებზე. ერთსაც და მეორე ფორმასაც ბევრი სპეციფიური თავისებურება გააჩნია, ორივეს წინასწარგანმსაზღვრელია მათი ადგილი სამოქალაქო პროცესში, რის მიხედვითაც განისაზღვრება მათი უფლებათა მოცულობა და მოვალეობები, აგრეთვე. თავისი ხასიათითა და იურიდიული დაინტერესებით ისინი აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი ურთიერთშედარების შედეგად შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები იკვეთება:
1. „მესამე პირი დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას აცხადებს იმ საგანთან დაკავშირებით, რაზეც მხარეები დავობენ"[135]. რაც შეეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირს, დავის საგანი მისი ინტერესების სფეროს მიღმაა დარჩენილი. იგი მასთან დაკავშირებულ მხარეს ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.
2. დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი დავის უშუალო მონაწილეა და აქედან გამომდინარე უპირისპირდება მოსარჩელესა და მოპასუხეს. პროცესის უკვე არსებულ ორივე მხარესთან შედის კონტაქტში და სამართალურთიერთობაში. მისი ინტერესების სფეროში დავის საგანია მოქცეული. მას მიაჩნია რომ უფლებები აქვს დავის საგნის მიმართ, მაშინ როდესაც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოდავე მხარეთაგან მხოლოდ ერთთან იმყოფება კონტაქტში და სამართალურთიერთობაში.
2. ვინაიდან მესამე პირების ინტერესი დავის საგნისა და საქმის მიმართ განსხვავებულია, შესაბამისად მათი საპროცესო მდგომარეობა და პროცესუალური უფლებებიც სხვადასხვანაირია. მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე თავისი საპროცესო მდგომარეობიდან გამომდინარე განმკარგველობითი ხასიათის უფლებები არა აქვს.
3. განსხვავებულია სასამართლოს გადაწყვეტილების მათდამი მიმართება. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის უფლებების

---

[133] *Яркова В.В.,* Гражданский процесс. Учебник. Издательство Волтерс Клувер, 2006, 39.
[134] *ქურდაძე შ.* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005, 174.
[135] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 40.

შესახებ პირდაპირ მიეთითება გადაწყვეტილებაში. სასამართლო გადაწყვეტილება გამოდის უშუალოდ მათ მიმართ და სადავო უფლების არსებობას ან არარსებობას ადასტურებს. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ვინაიდან ყოველთვის მხარეთა შორის ურთიერთობების გარეთ დგანან, სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება უშუალოდ მათ სასარგებლოდ ან წინააღმდეგ იქნეს გამოტანილი. ამ გადაწყვეტილებას შემდეგი პროცესისათვის პრეიუდიციური მნიშვნელობა აქვს. საქმეში ჩაბმის გავლენა სცდება კანონიერი ძალის გავრცელების ზემოქმედების ფარგლებს (მაგ. § 325), რადგანაც იგი ვრცელდება, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი სახის პრეიუდიციულ დადგენილებებზეც[136].

4. „დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირები უკვე დაწყებულ პროცესში მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ერთვებიან, სასარჩელო განცხადების წარდგენის საშუალებით. შეუძლებელია მათი საქმეში ჩართვა მათი ნების საწინააღმდეგოდ”[137]. ხოლო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესში მონაწილეობა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითიც და სავალდებულოც.

5. დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე პირებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირ განსაზღვრულია საქმეში ჩართვის დრო- სასამართლოს პაექრობის დაწყებამდე.

როგორც, გამოიკვეთა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე და არ მქონე მესამე პირებს შორის სპეციფიური განსხვავებები არსებობს. ორივე სახის მესამე პირების ანალიზი იმ დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან.[138] თუმცა, ორივე ფორმით პროცესში მონაწილეობისათვის საერთოა ის, რომ ეს პირები სხვა პირების მიერ უკვე დაწყებულ დავაში ერთვებიან. ამასთან, ისინი თავდაპირველი მატერიულური სადავო ურთიერთობის ფორმირებაში არ მონაწილეობენ.[139] რის გამოც ეს ორი განსხვავებული საპროცესო მექანიზმი საერთო ტერმინის „მესამე პირების” ქვეშაა გაერთიანებული. ვინაიდან მოსარჩელის მიერ საქმის აღძვრა უპირველეს ყოვლისა საქმეში მოპასუხეს რთავს, მაგრამ დავის საგანი შეიძლება სხვა პირის უფლებების სფეროში აღმოჩნდეს, რომელსაც მათი დაცვა სურს. მათი მონაწილეობით სასამართლოს განხილვის საგანი რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული სამართალურთიერთობა ხდება. აღნიშნული საკითხების დეტალური გაშლა განხორციელებულია ნაშრომის IV და V თავებში.

---

[136] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 104.

[137] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 40.

[138] Гражданский процесс России (Под ред. М.А. , 48ут) М.: Юристъ, 2005. http://uristinfo.net/.

[139] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 77, http://uristinfo.net/.

IV.მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის ცნება

ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც შეიტყობს სასამართლოში მხარეთა შორის მიმდინარე დავის თაობაზე და დავის საგნის მიმართ თავისი ინტერესი აქვს, შეუძლია ეს ინტერესი ორი გზით დაიცვას. პირველ გზას წარმოადგენს სასამართლოში მიმდინარე პროცესში მონაწილეობისათვის სარჩელის შეტანა და დავის საგნის მიმართ მთლიანად ან ნაწილობრივ თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნის განცხადება. მეორე გზა არის პირის მიერ სარჩელის იმ მხარის წინააღმდეგ აღძვრა, რომელსაც სასამართლომ მიაკუთვნა დავის საგანი ან რომლის სასარგებლოდაც მან გამოიტანა გადაწყვეტილება.[140] თუმცა, ვინაიდან გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით მეორე გზა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული (დავის საგნის გაყიდვა, განადგურება და ა.შ), სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობისაგან და პროცესის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის უკვე დაწყებულ პროცესში ჩაერთოს, რათა მისი უფლება უფრო ადრე იქნეს დაცული და ყველა დაინტერესებულ პირს შორის დავა ერთად იქნეს გადაჭრილი.[141] ამ შემთხვევაში ორი პროცესის გაერთიანება ხდება: ერთი თავდაპირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის და მეორე - მესამე პირსა და თავდაპირველ მხარეებს შორის. ამ დროს სასამართლო მხედველობაში იღებს პირველ რიგში მოსარჩელე-მესამე პირად პროცესში მონაწილეობისათვის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს და აგრეთვე, ორი დავის ერთ პროცესში გაერთიანების მიზანშეწონილობას. ორი ერთმანეთთან ახლო სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება საპროცესო ეკონომიას და სწრაფ პროცესს უზრუნველყოფს. დავის საგანთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება, მასალა თავმოყრილია ერთ წარმოებაში, რაც ახდენს სასამართლოსა და მხარეთა დროის ეკონომიას და ამცირებს ამ უკანასკნელთა სასამართლო ხარჯებს.[142] ამასთან, იგი ხელს უწყობს დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას.[143]

ასე ჩნდება პროცესის ახალი მონაწილე - მესამე პირი, რომელიც პროცესის მონაწილეთა იგივე ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც მხარეები. მესამე პირებს საქმის დასასრულისადმი აქვთ როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე საპროცესო სამართლებრივი დაინტერესება და პროცესში თავისი უფლებების დასაცავად საკუთარი სახელით მონაწილეობენ. ისინი წარმოადგენენ მოსარჩელეს მთელი თავისი უფლებებითა და მოვალეობებით, მხოლოდ უკვე სხვის მიერ დაწყებულ

---

[140] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 152.

[141] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 11.

[142] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 126.

[143] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 40.

პროცესში. „მოსარჩელეს, მოპასუხესა და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს ყოველთვის პირდაპირი ინტერესი აქვთ საქმის შედეგისადმი, რამეთუ სასამართლო გადაწყვეტილება უშუალოდ მოახდენს გავლენას მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.“[144] შესაბამისად, იგი პროცესში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ ამ პროცესის წამოწყების ინიციატორი არ არის. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც: მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში შესული მესამე პირი მოსარჩელის ყველა უფლებით სარგებლობს, არ შეიძლება დასკვნა, რომ მესამე პირების საპროცესო მდგომარეობა სრული სიზუსტით ემთხვევა მოსარჩელისას. მესამე პირი პროცესის სხვა მონაწილეებთან სპეციფიურ ურთიერთობებში იმყოფება, რაც არ ახასიათებთ მოსარჩელესა და მოპასუხეს. მაგალითად, თუ მესამე პირი სადავო ურთიერთობებში იმყოფება ორივე მხარესთან, მაშინ მისი სარჩელისადმი მოპასუხეს წარმოადგენს მოსარჩელეცა და მოპასუხეც. [145]

სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების დამახასიათებელ ნიშანს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობა წარმოადგენს. ხოლო, საკითხი - ნამდვილად გააჩნიათ თუ არა დამოუკიდებელი უფლება დავის საგანზე, შესაძლოა გადაწყვეტილი იყოს მხოლოდ დავის არსებითად განხილვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ვინაიდან დავის ერთსა და იმავე ობიექტის პრეტენდენტები არიან მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირი.[146] ამიტომ, პროცესში შესვლის მომენტში მესამე პირების დამოუკიდებელი უფლება აღიქმება როგორც დავის საგანზე სავარაუდო დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობა. შესაბამისად, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სადავო მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის სავარაუდო სუბიექტებს წარმოადგენენ.[147] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია ერთგვარი პრეზუმფციის ფორმირება: პირი, რომელიც დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს, ივარაუდება რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების მქონეა, სანამ სასამართლო საწინააღმდეგოს არ დაადგენს. თუმცა მან დავის საგანთან თავისი კავშირი უნდა დაასაბუთოს მოსამზადებელ სტადიაზე.

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში საკუთარი ინიციატივით ერთვება.[148] არჩევანის გაკეთება თვითონ დაინტერესებულ პირზეა დამოკიდებული. ამ მხრივ რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა არ არსებობს: მას ვერავინ აიძულებს აღძრას სარჩელი და განაცხადოს

---

[144] *ქურდაძე შ.* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005, 142.

[145] *Мельников А.А.* Курс Советского гражданского процессуального права, том первый, теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва, 1981, 236.

[146] *ლილუაშვილი თ.* სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული და გაფართოვებული გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი”, 2001, 56.

[147] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва – 1962, 13.

[148] *Елисеев Н.Г.* Гражданское процессуальное право зарубежных стран (источники, судоустройство, подсудность). М. 2000, 85;

დამოუკიდებელი მოთხოვნა სასამართლოში მიმდინარე დავის საგანზე.[149] მესამე პირის პროცესში ჩაბმის ასეთი წესი ემყარება დისპოზიციურობის პრინციპს.[150] სასამართლოს უფლება აქვს საქმის განხილვაში მესამე პირად ჩაბმაზე ამა თუ იმ პირს უარი უთხრას, მაგრამ, არ შეუძლია საქმეში სასამართლოს ან მხარეთა ინიციატივით ჩართოს მესამე პირი, თუ იგი თანახმა არაა და თავდაპირველი მხარეების მიმართ დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აყენებს. განსხვავებით ადმინისტრაციული პროცესისა, რომელშიც სასამართლო, მხარეთა მსგავსად, უფლებამოსილია საქმეში ჩართოს მესამე პირი, რაც ადმინისტრაციულ პროცესში დამკვიდრებული ინკვიზიციურობის პრონციპიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირების საქმეში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.[151] საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირად ჩართვა წარმოადგენს პირის უფლებას და არა მოვალეობას. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი სურვილს გამოთქვამს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად მონაწილეობაზე, არსებობს სარჩელის შეტანის წინაპირობები, და დაცულია მისი შეტანისათვის კანონით დადგენილი წესები, სასამართლომ უნდა მიიღოს მესამე პირის სასარჩელო განცხადება.[152]

სსსკ-ს 89-ე მუხლით დადგენილია ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა იმ დაინტერესებული პირებისათვის, რომლებიც დავის საგანზე ან მის ნაწილზე დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებენ. დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირების მთავარი მასახიათებლის მიხედვით, რასაც უკვე დაწყებულ პროცესში შეჭრა წარმოადგენს, მაშინ მესამე პირების ცნების შემდეგნაირი ფორმულირება სავსებით მისაღებია: მესამე პირებად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, იწოდებიან პირები, რომლებიც დავის საგანზე თავისი დამოუკიდებელი უფლების დაცვის მიზნით უკვე დაწყებულ პროცესში შედიან.[153] ასევე, საინტერესოა შემდეგი განმარტება: მესამე პირი წარმოადგენს საქმეში მონაწილე პირს, რომელიც პროცესში დავის საგანზე საკუთარ პრეტენზიას სარჩელის შეტანითა და საქმეში ჩართვით იცავს.[154] ცნებების განხილვისას საინტერესოა განვიხილოთ ასევე, რევოლუციამდელი საბჭოთა პერიოდის ცივილისტების მოსაზრებები: „დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირების საქმეში ჩართვა წარმოადგენს მიმდინარე საქმის წარმოებაში დამოუკიდებელი სარჩელით მესამე პირის ჩართვას პროცესის ობიექტთან

---

[149] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 152.

[150] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 128.

[151] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 39.

[152] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 128.

[153] *Мельников А.А.* Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва, 1981, 236.

[154] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 38.

დაკავშირებით, ერთი ან ორივე მხარის მიმართ.[155] მოცემული განმარტება ჩამოყალიბებული არ არის როგორც თავად მესამე პირების ცნება, არამედ უფრო დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის საქმეში ჩართვის განმარტებას წარმოადგენს. ასევე ყურადსაღებია, ის რომ მასში ხაზგასმულია პროცესის ობიექტთან კავშირზე. ავტორთა მოსაზრებით ასეთ შემთხვევებში ყველა იმ დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენება მოიაზრებოდა, რომელიც სადავო ქონებას ეხებოდა, მასზე მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებისაგან დამოუკიდებლად.[156] შედარების თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ გერმანულ სამართალში წარმოდგენილი: პირს, რომელსაც მოთხოვნა აქვს უკეთეს უფლებაზე დავის საგნის ან უფლების მიმართ, რაზეც სხვა პირებს შორის სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს დავაში თავისი მოთხოვნა ორივე მხარის წინააღმდეგ ამტკიცოს.[157] გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მესამე პირების ინსტიტუტს ვრცელ ადგილს უთმობს. დამოუკიდებელი მოთხოვნით და მის გარეშე მესამე პირების მიმდინარე დავაში მონაწილეობის წესსა და პირობებს ამ კოდექსის მე-3 თავი არეგულირებს. გფრ-ს სსკ-ის 64-ე პარაგრაფი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის საქმეში ჩართვას განსაზღვრავს: „მას, ვინც სრული მოცულობით ან ნაწილობრივ ახდენს სასამართლოში განსახილველად შესულ სხვა პირებს შორის არსებულ დავაზე ნივთზე ან უფლებაზე შეცილებას, უფლება აქვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე თავისი მოთხოვნა განაცხადოს ორივე მხარის მიმართ სარჩელის წარდგენით იმ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელშიც ეს დავა განსახილველად შევიდა.“[158] ე.ი. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვისათვის აუცილებელი პირობაა იმ ნივთზე ან უფლებაზე შეცილება, რაც თავისთავად დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენებას ნიშნავს დავის საგნის მიმართ.

[155]Присоединение третьих лиц / Учебник гражданского процесса. Е.В.Васьковский. - Москва, 1917, 415, // Все о праве: Информационно-образовательный юридический портал / Электронный ресурс, доступ в Интернете: www.allpravo.ru. .

[156]*Малышев К.И.* Курс гражданского судопроизводства. 2-е изд. С. 200; Нефедьев Н.И. Учебник русского гражданского судопроизводства. М., 1904. 104 – 105.

[157]*Van Rhee C.H.,* , European traditions in civil procedure, edited by *Van Rhee C.H.,* InterseriaAntwerpen – Oxford, P. Oberhammer; T. Domej, 2005, 103-106.

[158]Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005, Wolters Kluver, Москва, 2006, 21.

2. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების ძირითადი ნიშნები

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების მხარეებისაგან განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობისას შესაძლებელია ამ პირებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ძირითადი ნიშნების გამოკვეთა:

1. უკვე დაწყებულ პროცესში შეჭრა - მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თავისი საპროცესო მდგომარეობით მოსარჩელედ გვევლინება. მაგრამ, თავდაპირველი მოსარჩელისაგან განსხვავებით, ის პროცესს არ იწყებს. ის უკვე დაწყებულ პროცესში შედის. მოსარჩელე პროცესს იწყებს სარჩელის შეტანის გზით, ხოლო მესამე პირი ერთვება მოსარჩელის მიერ დაწყებულ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მიმდინარე პროცესში.[159] თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება არსებობს: „დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის საპროცესო მდგომარეობა მოსარჩელის ანალოგიურია. რეალურად, სასამართლო განხილვისათვის გადაცემულია თავდაპირველი მხარეების მოსარჩელისა და მოპასუხის დავა. თავდაპირველი მოსარჩელე სადავო უფლების სუბიექტად ითვლება. ახალი პირი, რომელიც დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას აყენებს, ასევე სადავო უფლების სუბიექტად ითვლება. მისი სარჩელის მოპასუხედ ითვლებიან დავის თავდაპირველი ორივე მხარე. ეგრეთ წოდებული მესამე პირი სრულიადაც არაა მესამე პირი სხვის დავაში. ის საქმეში შესვლით თავის დავას განსახილველად და გადასაწყვეტად გადასცემს სასამართლოს თავდაპირველი დავის ორივე მხარის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ერთ პროცესში ორი დავა, ორი საქმე ერთიანდება. მესამე პირების პროცესში შესვლა მართალია გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ სარჩელის განსაკუთრებულ სახეს იგი არსებითად არ წარმოადგენს. ის ორი სარჩელის კომბინაციაა.[160] [161] თითოეული დავის მოსარჩელეები თანაბარუფლებიან მდგომარეობას იკავებენ. მათ თანაბარი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები აქვთ."[162] ზემოთქმულის მიხედვით, მიზანშეწონილად არაა მიიჩნეული საქმის დამწყები მოსარჩელისა და მესამე პირი მოსარჩელის ერთმანეთისაგან განსხვავება იმ ნიშნით, რომ საპროცესო სამართალურთიერთობა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ აღიძრა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თუმცა საპროცესო სამართალურთიერთობა პირველ დავაზე თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელით იწყება, მაგრამ საპროცესო სამართალურთიერთობა მოსარჩელე მესამე პირის დავაზე მხოლოდ მისი სარჩელის საფუძველზე წარმოიშვება. აქედან გამომდინარე, სხვის პროცესში შეჭრა სწორედ რომ მესამე პირების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს. ვინაიდან, პირს აქვს თუ არა შეჭრის და მოთხოვნის წაყენების უფლება,

---

[159] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 126.

[160] *Яблочков Т.М.* Учебник русского гражданского судопроизводства. Ярославль, 1912, 84.

[161] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 77, http://uristinfo.net/.

[162] *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. Иркутск, 1927, 5.

საქმისწარმოების პერიოდში წყდება. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის სამართლებრივ სისტემების სამოქალაქო პროცესებში მესამე პირების განმსაზღვრელ ნიშანს სწორედ ეს წარმოადგენს. მითითებული სუბიექტების სახელწოდებაც სწორედ ამ ნიშნიდან მომდინარეობს –შეჭრა - intervention.[163]

2. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის მოწინააღმდეგე მხარედ გვევლინება ერთ-ერთი თავდაპირველი მოდავე (მოსარჩელე ან მოპასუხე) ან ორივე ერთად.[164] თუმცა აღნიშნულ დამახასიათებლ ნიშანთან დაკავშირებითაც განსხვავებული მოსაზრება არსებობს: „თავდაპირველი მოსარჩელის მესამე პირისაგან მეორე განსხვავებას, რომელსაც როგორც წესი მიუთითებენ, საფუძველი ასევე არ გააჩნია: არ შეიძლება მოსარჩელეების საპროცესო მდგომარეობა განვასხვავოთ იმის მიხედვით, თუ ვინაა მოპასუხე მათ სარჩელზე. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე-მესამე პირის პროცესში მონაწილეობა თავდაპირველ მოსარჩელეს მოპასუხის მდგომარეობაში აყენებს მოსარჩელე მესამე პირის დავის მიმართ.[165] მესამე პირი, მიმდინარე პროცესში ერთვება, თავისი მატერიალური უფლებების დაცვის მიზნით დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს და თავის სარგებლობაში იმ საგნის მიკუთვნებას აღწევს, რომელზეც დავობენ თავდაპირველი მოსარჩელე და მოპასუხე ან თავდაპირველი მოდავეების მიერ გასაჩივრებული უფლების თავისთვის აღიარებას.

3. მესამე პირების სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს მხარეთა პაექრობის დაწყებამდე.[166] თუმცა არის მოსაზრება, რომ „მესამე პირის შესვლა პროცესში მთავარ სხდომაზე (საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე) თუნდაც პაექრობის დაწყებამდე საქმის განხილვის გადადებას და გაჭიანურებას გამოიწვევს.[167] მაგრამ გასათვალისწინებელია, ასევე, ის ფაქტორიც რომ შესაძლოა საქმეში მესამე პირის ჩართვის აუცილებლობა სწორედ მთავარ სხდომაზე გამოიკვეთოს და მისი ჩაურთველობით ან მის მიერ ახალი პროცესის დაწყებით, შესაძლოა საქმის განხილვა უფრო გაჭიანურდეს. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის მოსარჩელისაგან განმასხვავებელი არსებითი ნიშანი სწორედ ისაა, რომ მესამე პირის სარჩელი არ შეიძლება თავდაპირველი მოსარჩელის ან თანამოსარჩელის სარჩელთან ერთად იყოს წარდგენილი.

4. მესამე პირის სარჩელი მიმართული უნდა იყოს უშუალოდ დავის საგანზე ან მის ნაწილზე. სხვა საგანზე მესამე პირის სარჩელი დაუშვებელია, თუნდაც იგი დაკავშირებული იყოს დავის საგანთან.[168]

---

[163] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT principles of transnational civil procedure, Appendix: Rules of transnational civil procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January 2005, .37.

[164] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 127.

[165] *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. Иркутск, 1927, 6.

[166] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 153.

[167] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 130.

[168] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 153.

ისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე თავად განსაზღვრავს დავის საგანს, ხოლო მესამე პირი მის მიერ განსაზღვრულ დავის საგანთან დაკავშირებით ერთვება საქმის განხილვაში. შესაბამისად, მესამე პირთა მიმართ დისპოზიციურობის პრინციპი გამოხატულია იმაში შეუერთდეს თუ არა მიმდინარე დავას და განსაზღვროს თავისი მოთხოვნის მოცულობა.

5. საქმეში მესამე პირის ჩართვამ არ შეიძლება შეცვალოს საქმის განსჯადობა. აღნიშნულის უფლება აქვთ მხარეებს. მიუხედავად იმისა რომ მესამე პირის სარჩელი არაა იმ სასამართლოს განსჯადი, რომელშიც იგი განიხილება თავდაპირველ მხარეებს შორის, მაგრამ მისი განსჯადი ხდება საქმეთა გაერთიანების ძალით.[169]

3. მესამე პირის სასარჩელო განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდას ექვემდებარება. ბაჟი გამოითვლება არა თავდაპირველი სარჩელის ფასიდან, არამედ მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნის ოდენობიდან.

4. თუ მესამე პირის სასარჩელო განცხადება მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და სახელმწიფო ბაჟი არაა გადახდილი, ეს საქმეში ჩართვაზე უარს გამოიწვევს, ვინაიდან თავდაპირველ მხარეებს შორის დავის განხილვა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის მიერ სარჩელის ხარვეზების გამოსწორებაზე დამოკიდებული არაა.

5. თავდაპირველი მოსარჩელისა და მოპასუხის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტა არ შეიძლება მესამე პირის სარჩელის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდეს. მისი სარჩელი არსებითად უნდა გადაწყდეს. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით დამოუკიდებელ სასარჩელო წარმოებას იწყებს, რომელიც სარჩელზე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ადრე დაწყებულ წარმოებასთან ერთად განხილვას ექვემდებარება.

6. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და თავდაპირველი მხარეები ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების მქონეებად გვევლინებიან. თუმცა, შესაძლებელია, რომ მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მხოლოდ ერთი მხარის საწინააღმდეგო ინტერესი გააჩნდეს.[170] სავარაუდოდ აღიშნულ გარემოებას ემყარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, როცა ადგენს, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში ორივე მხარის წინააღმდეგ ებმება. მესამე პირის სარჩელი თავისთავად ორივე მხარის ინტერესებს ეხება, მაგრამ ეს არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეს სარჩელი ერთი რომელიმე მხარის წინააღმდეგ არ შეიძლება იყოს მიმართული.”[171] მოსარჩელის ინტერესების დაკმაყოფილება აუცილებლად იწვევს მესამე პირის სარჩელზე უარის თქმას და პირიქით.[172]

7. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში ნებაყოფლობით ერთვებიან, სასარჩელო განცხადების შეტანის გზით და

---

[169] *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007, 169.

[170] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 39.

[171] *კობახიძე ა.,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 152-162.

[172] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 128.

მათი ნების საწინააღმდეგოდ სამოქალაქო პროცესში მონაწილეობა დაუშვებელია.[173]
8. მესამე პირის მოთხოვნის საფუძველი არის მსგავსი, მაგრამ არა იგივე, რაც თავდაპირველი მოსარჩელის.[174]
9. მესამე პირის მიერ სარჩელზე უარის თქმა საქმის წარმოების შეწყვეტას არ იწვევს.[175] მესამე პირის მიერ სარჩელზე უარის თქმა საქმის წარმოების შეწყვეტას იწვევს უშუალოდ მესამე პირის მიმართ.
მოცემული არსებითი ნიშნები განაპირობებს მესამე პირების სტატუსსა უფლებათა მოცულობას სამოქალაქო პროცესში და მათ სწორად განსაზღვრას სამოქალაქო საპროცესო სამართალში განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული ნიშნების იგნორირებამ შესაძლოა სასამართლო შეცდომა გამოიწვიოს. კერძოდ, საქმეში მონაწილე პირისათვის სათანადო სტატუსის მინიჭება არ განხორციელდეს, რაც თავისთავად არასწორ სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიწვევს.[176]

3. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების განსხვავება თანამონაწილეებისაგან

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებად ისინი იწოდებიან, რომლებიც უკვე დაწყებულ პროცესში ერთვებიან, წარადგენენ რა სარჩელს საერთო საფუძველზე თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მხარეებს შორის არსებულ დავის საგანზე.[177] განსაზღვრებიდან იკვეთება, რომ ასეთი პირის პროცესში ჩართვა სხვა არაფერია, თუ არა სარჩელის წარდგენა. განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ სარჩელი იმ პირებს წარედგინება, რომლებიც განსაზღვრულ საქმეზე უკვე წარმოადგენენ სამართალწარმოების მონაწილეებს. სხვაგვარად – ეს არის შეჭრა სხვის პროცესში. მესამე პირებს, როგორც საქმეში მონაწილეებს, საქმეში მონაწილე სხვა პირების მსგავსი ნიშნები გააჩნიათ. ყველაზე მეტი საერთო ნიშანი მხარეებთან, განსაკუთრებით მოსარჩელესთან აქვთ,[178] ვინაიდან ისინი მოსარჩელის ყველა უფლებით სარგებლობენ და მისი ყველა მოვალეობა ეკისრებათ. კანონის ამ დანაწესიდან გამომდინარე მოსარჩელისა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე

---

[173] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 39.

[174] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 15.

[175] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «Контракт»; «Инфра-М», 2008, 44, http://uristinfo.net/.

[176] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 16.

[177] *М. А. Викут,* Стороны – основные лыца искового производства, издательство Саратовского юридического института, 1968, 31.

[178] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 48, http://uristinfo.net/.

პირების განსაზღვრისას სასამართლოები დილემის წინაშე დგებიან. მხარეებისა და მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა, მხარეთა და მესამე პირთა გარჩევა კონკრეტულ სამოქალაქო საქმეებში მოითხოვს ყურადღებას პრაქტიკულად მომუშავეთაგან. პრაქტიკულად უმნიშვნელოვანესია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში მონაწილე ყველა პირის საპროცესო მდგომარეობის გაანალიზება. ვინაიდან, საქმეში მონაწილე პირთა არასწორად გამიჯვნამ, შესაძლოა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვიოს. მათი სამართლებრივი მდგომარეობის ანალოგიურობა პროცესისადმი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებსა და მესამე პირებს სამოქალაქო სამართლებრივი ინტერესი აქვთ. ისინი პროცესში თავიანთ სამოქალაქო უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს იცავენ. ასეთი ნიშანი საქმეში მონაწილე სხვა პირებს არა აქვთ. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოსარჩელესთან შედარებისას, აუცილებელია კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას იმას, რომ საქმისადმი იურიდიული ინტერესი პროცესში მესამე პირის მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, საქმეში მესამე პირის დაინტერესება იმავე ნიშნებით ხასიათდება, რითაც მოსარჩელის დაინტერესება. დავის საგნის მიმართ ორივეს დამოუკიდებელი მოთხოვნა აქვს.

მესამე პირებისა და თანამონაწილეების პროცესუალური მდგომარეობის გამიჯვნა სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით აქტუალურია. თანამოსარჩელის საპროცესო მდგომარეობას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის საპროცესო მდგომარეობა ჰგავს, მაგრამ არ ემთხვევა. განსაკუთრებით რთულია თანამოსარჩელის იმ მესამე პირისაგან გარჩევა, რომელიც მხოლოდ მოპასუხეს წარუდგენს მოთხოვნას. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი მათი განმასხვავებელი ნიშნების განსაზღვრა. ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებისა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების საპროცესო მდგომარეობის განსაზღვრისას შემდეგი განმასხვავებელი ნიშნებია გასათვალისწინებელი:

1. თანამოსარჩელეთა მიერ აღძრული მოთხოვნები ურთიერთგამომრიცხავი არ არის. ხოლო მესამე პირების მოთხოვნა პირვანდელი მხარეების მოთხოვნებს ყოველთვის გამორიცხავს.[179] თანამონაწილეები (თანამოსარჩელე და თანამოპასუხე) გვევლინებიან იმ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტებად, რომელიც შედის სარჩელის საგანში. ისინი არიან სავარაუდო ერთი რთული მრავალსუბიექტიანი სამართალურთიერთობის მონაწილეები, სავალდებულო თანამონაწილეობით ან რამოდენიმე, მაგრამ თავისი შინაარსით ანალოგიური მატერიალური სამართალურთიერთობის ფაკულტატური თანამონაწილეობით.[180] მესამე პირი და მოსარჩელე თავისი შინაარსით განსხვავებული მატერიალური სამართალურთიერთობის სავარაუდო სუბიექტები არიან, თუმცა კი ეს სამართალურთიერთობები ერთი ობიექტიდანაა წარმოშობილი.[181] მესამე

---

[179]Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 48, http://uristinfo.net/.

[180]*ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 130.

[181]Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 77, http://uristinfo.net/.

პირის მოთხოვნის დამოუკიდებელი ხასიათი სხვა ან ანალოგიური, მაგრამ არა იგივე საფუძვლიდან გამომდინარეობს, რაც მოსარჩელის. იგი ყოველთვის სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხავს ამ უკანასკნელის მოთხოვნას, ვინაიდან ეს პირები ერთმანეთს შორის დავობენ. ერთ-ერთი თანამონაწილის მოთხოვნის უფლება ან მოვალეობა დანარჩენი თანამონაწილეების მოთხოვნის უფლებას ან მოვალეობას არ გამორიცხავს.

2. მესამე პირი ყოველთვის ერთვება უკვე დაწყებულ პროცესში,[182] ხოლო თანამოსარჩელეებს შეუძლიათ ერთად აღძრან საქმე[183] და ასევე შეუძლიათ დაწყებულ პროცესში ჩაერთონ.[184] მესამე პირის სარჩელი, თანამოსარჩელის სარჩელისაგან განსხვავებით, არ შეიძლება თავდაპირველ სარჩელთან ერთად იქნეს შეტანილ. ის, როგორც წესი, თავდაპირველი მოსარჩელისა და მოპასუხის წინააღმდეგაა მიმართული.

3. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით თანამოსარჩელისაგან იმით განსხვავდება, რომ თანამოსარჩელე ყოველთვის მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ გამოდის, მესამე პირი კი შეიძლება გამოვიდეს როგორც მოსარჩელის, ისე ორივე მხარის წინააღმდეგ.[185] მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით დავის სხვა მონაწილე პირებთან ისეთ თავისებურ, სპეციფიკურ ურთიერთობაში იმყოფება, რომელიც არც მოსარჩელეს და არც თანამოსარჩელეს არ ახასიათებს. მესამე პირმა თავისი მოთხოვნა შეიძლება წაუყენოს როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხეს. როცა ასეთი მოთხოვნა მოსარჩელეს და მოპასუხეს ერთად წარედგინება, ამ დროს მის მიმართ მოპასუხედ გამოდიან როგორც ძირითადი მოსარჩელე, ისე მოპასუხე. გარდა ამისა, მესამე პირმა შეიძლება მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელეს წაუყენოს და მოპასუხესთან სადავო არაფერი ჰქონდეს. თუ მესამე პირი მხოლოდ მოპასუხეს ედავება და მოსარჩელესთან სადავო არაფერი აქვს, მისი პროცესუალური მდგომარეობა თანამოსარჩელის მდგომარეობას უთანაბრდება. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი უფლებამოსილია უკვე აღძრულ დავაში ჩაებას როგორც მოსარჩელის წინააღმდეგ, ისე მოსარჩელისა და მოპასუხის წინააღმდეგ. თუ ასეთი სარჩელი მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ იქნება მიმართული და მოსარჩელის ინტერესებთან არავითარი შეხება არ ექნება, მისი პროცესუალური მდგომარეობა თანამოსარჩელის მდგომარეობას გაუთანაბრდება და აუცილებლობას არ წარმოადგენს, რომ მესამე პირი ეწოდოს.

სსსკ-ს 84-ე მუხლის თანახმად: სასამართლო, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით შეცვალოს. თუ არასათანადო მოსარჩელე თანახმა არ არის

---

[182] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «КОНТРАКТ»; «ИНФРА-М», 2008, 45, http://uristinfo.net/.

[183] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 40.

[184] *ჭურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 130.

[185] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 48. http://uristinfo.net/

შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაებას საქმეში მესამე პირად, რომელიც განაცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, რის შესახებაც სასამართლო აცნობებს ამ პირს. თუ ეს პირი თანახმაა საქმეში ჩაებას მესამე პირად, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებლობის გამო, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მიმართ სარჩელს საერთო საფუძველზე დააკმაყოფილებს. მოცემულ შემთხვევაში სპეციფიურია ის, რომ ორივე მოთხოვნა ერთნაირია: არასათანადო მოსარჩელისა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნებს ერთი და იგივე საგანი და საფუძველი აქვთ. ასეთ შემთხვევებში პროცესში დარჩენილ არასათანადო მოსარჩელესა და პროცესში ჩართულ სათანადო მოსარჩელეს არც თუ ისე ხშირად განიხილავენ როგორც თანამოსარჩელეებს, მაშინ როცა სინამდვილეში სათანადო მოსარჩელე პროცესში ერთვება უკვე მესამე პირის სახით და თავის მოთხოვნას პირვენდელი მხარეებისადმი მიმართავს. სათანადო მოსარჩელესა და მესამე პირს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო მოსარჩელე საქმეში პროცესიდან არასათანადო მოსარჩელის გამოთიშვის შემდეგ შედის და მათი მოთხოვნები ურთიერთგამომრიცხავია.[186] ამასთან, არასათანადო მოსარჩელე სადავო მატერიალურ სამართალურთიერთობის სუბიექტს არ წარმოადგენს, განსხვავებით სათანადო მოსარჩელისაგან, რომელიც საქმეში მესამე პირად ერთვება.

4. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების საქმეში ჩართვის სტადია

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების საქმეში ჩართვის წესსა და დროს: „თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია სარჩელი აღძრას ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მოცემული ნორმა მიუთითებს მესამე პირის მიერ უკვე დაწყებულ პროცესში შესვლის დროზე. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 13 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ პირების საქმეში ჩართვას სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ითვალისწინებდა.

აღსანიშნავია, რომ გფრ-ს სსკ 64-ე მუხლი ძირითადი ჩართვისათვის ითვალისწინებს საქართველოს პირვანდელი რედაქციის სსკ-ს მსგავსად: გფრ-ს სსკ-ის 64-ე პარაგრაფის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩართვა შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე სარჩელის წარდგენით იმ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელშიც ეს დავა შევიდა განსახილველად.“[187] ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მესამე პირების თაობაზე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ

[186] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 129.

[187] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 20.

უმეტეს სამართლებრივ სისტემებში ჩართვა საქმის ყველა სტადიაზეა შესაძლებელი, ძირითადად, არგუმენტების დასრულებამდე.[188] საზღვარგარეთის ქვეყნების ამგვარი მიდგომა უთუოდ გამომდინარეობს მესამე პირების საქმეში მონაწილეობისათვის მაღალი მნიშვნელობის მინიჭებით და ასევე გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის განმტკიცების თვალსაზრისით. რაც შეხება საქართველოს, ამგვარი მიდგომა საქმის გაჭიანურებისაგან თავის არიდების მიზნით ჩამოყალიბდა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მესამე პირების საქმეში ჩართვა პროცესის გადადებას იწვევს. გარკვეული თვალსაზრისით მესამე პირების ჩართვის დროის პაექრობამდე შეზღუდვა საპროცესო ეკონომიის პრინციპს უწყობს ხელს. თუმცა, ამ კუთხით აუცილებელია საპროცესო ეკონომიის პრინციპის პროპორციულობა გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპთან მიმართებაში. ვინაიდან, ამ პერიოდის გასვლის შედეგ, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მესამე პირის საქმეში ჩართვის შესაძლებლობა აღარ არსებობს. მესამე პირებს მხოლოდ უფლების საერთო წესით დაცვის საშუალება რჩებათ. თუმცა, მესამე პირი თავის უფლებების დროულად დაცვაზე თვითონ უნდა ზრუნავდეს და სხვა პირების მიერ დავის დაწყებას არ უნდა დაელოდოს. მაგრამ, ხშირად მესამე პირი თავის დარღვეულ უფლებებზე, მანამდე არ ზრუნავს, სანამ ვინმე სასამართლო განხილვის ინიცირებას არ მოახდენს. იგი მაშინ ფხიზლდება, როდესაც მოსარჩელესა და მოპასუხეს თავიანთი უფლებების დაცვაზე უკვე საკმაო ძალისხმევა აქვთ გაწეული.[189] ვინაიდან, „სასამართლო მოწოდებულია ებრძოლოს არაკეთილსინდისიერებას და საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობას, - ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი"[190]. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა გამონაკლის შემთხვევებში სასამართლოსათვის დისკრეციის მინიჭება. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მაგილითს წარმოადგენს შემდეგი: მეუღლეთა შორის საერთო ქონების გაყოფაზე დავისას მოპასუხის ძმამ, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მან სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონებას ყადაღა დაადო. მას სურდა მეუღლეთა კუთვნილი გარაჟის მისთვის მიკუთვნება იმ მოტივით, რომ ამ გარაჟის მშენებლობა მისი ხარჯებითა და იარაღებით მიმდინარეობდა. ამისათვის, მოითხოვა საქმეში ჩართვა დამოუკიდებელი მოთხოვნით. რუსეთის სასამართლომ მიიჩნია, რომ მას საქმის დასასრულისადმი დაინტერესება ჰქონდა და საქმეში ჩართო.[191] იგივე შემთხვევაში, თუ დავა საქართველოში წარიმართებოდა და დავის საგანზე მესამე პირის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნა სასამართლო პაექრობის შემდეგ დაფიქსირდებოდა, სასამართლო საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირის ჩართვის შესაძლებლობას მოკლებული იქნებოდა.

---

[188] A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi,http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Federal+Rules+of+Civil+Procedure, 2012, 20.

[189] Н. А. Сергеев. Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, 2, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html.

[190] *ლილუაშვილი თ., ბრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007, 169.

[191] *Н. А. Сергеев.* Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, 2, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html

ცივილისტების მიერ ასევე, დაყენებულ იქნა შემდეგი პრობლემატური საკითხი, რომლის წამოჭრაც სასამართლო პრაქტიკამ განაპირობა: შეიძლება თუ არა დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირმა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში აღძრას სარჩელი? ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია: „ვინაიდან სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. სხვა სიტყვებით სააპელაციო სასამართლო განიხილავს საჩივარს გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია პირველი ინსტანციის სასამერთლოების მიერ იქ აღძრულ სარჩელებზე და არა თვითონ ამ სარჩელებს. მესამე პირის სარჩელი არის ჩვეულებრივი სარჩელი და ასეთი სარჩელით სააპელაციო სასამართლოში (მით უმეტეს კასაციაში) მიმართვა დაუშვებელია.”[192] აღნიშნული მოსაზრება სასამართლო პრაქტიკითაცაა გამყარებული: როდესაც მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებისას სასამართლოს გადაეცა ფიზიკური პირების განცხადება, რომლის თანახმადაც მათ შეიძინეს სადავო ქონება. ვინაიდან ისინი ამ ქონების კეთილსინდისიერი შემძენები იყვნენ, დავაში მხარედ ჩაბმა მოითხოვეს. აღნიშნულის თაობაზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის IX კარით განსაზღვრულია საქმის წარმოების წესები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, რომლის დებულებათა ანალიზით ირკვევა როგორც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის სუბიექტური ფარგლები, ისე ამ ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილე სუბიექტები: მხარეები და მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით (სსსკ 391-ე მუხლის პირველი ნაწილი). კანონმდებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის X VIII თავის არც ერთი ნორმით ახალი მხარისა თუ სუბიექტის ჩაბმას ამ ინსტანციის წესით საქმის განხილვისას არ ითვალისწინებს, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უტყუარი საფუძველია. საკასაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე იმსჯელებს, რომელიც სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებშია ასახული. აღნიშნული ნორმა საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს ადგენს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. შესაბამისად, ამ ინსტანციის სასამართლოში მხარის ჩაბმა ამ კუთხითაც გაუმართლებელია, ვინაიდან სასამართლო ამ მხარის (ახალი სუბიექტის) მოთხოვნის მართებულობას ვერ გამოიკვლევს. საკასაციო პალატამ ასევე დაასკვნა, რომ ამ პირების მოთხოვნის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა იპოთეკით დატვირთულ, მათ მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე უფლების დაცვა, ანუ მხარეთა ინტერესი მიმართული იყო შეძენილი უფლების სამომავლოდ დაცვისკენ იმგვარად, რომ მათ პრეტენზია სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე არ განუცხადებიათ და არც მათკენ მიუმართავთ სასარჩელო მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში, მხარის საქმეში ჩაბმის ერთადერთი ალტერნატივა,

[192] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 155.

გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავით, სადაც კანონმდებელი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოთხოვნის მქონე მესამე პირებსა და მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზე არაა მესამე პირის ჩაბმის სამართლებრივი წინაპირობები, საკასაციო სასამართლომ განცხადება არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ აღნიშნულით განმცხადებლების სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარესდება, რადგანაც მათ უფლება აქვთ, არსებობის შემთხვევაში, დავის საგანზე განაცხადონ დამოუკიდებელი მოთხოვნა საერთო წესით, სარჩელის სასამართლოში შეტანის გზით.[193]

5. მოპასუხე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნაზე

საკითხთან დაკავშირებით - თუ ვინ შეიძლება იყოს მოპასუხე მესამე პირის მოთხოვნაზე - ერთ ერთი თავდაპირველი მხარე, თუ ორივე ერთად, მეცნიერთა შორის არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განსაზღვრულია, რომ თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. ე.ი. კანონი, როგორც ორივე მხარისადმი, ისე ერთ-ერთი მათგანისადმი, დამოუკიდებელი მოთხოვნის წაყენების საშუალებას უშვებს.

გფრ-ს სსკ-ის 64-ე პარაგრაფი განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის საქმეში ჩართვას: „მას, ვინც სრული მოცულობით ან ნაწილობრივ ახდენს სასამართლოში განსახილველად შესულ სხვა პირებს შორის არსებულ დავაზე ნივთზე ან უფლებაზე შეცილებას, უფლება აქვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე განაცხადოს თავისი მოთხოვნა ორივე მხარის მიმართ სარჩელის წარდგენით იმ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელშიც ეს დავა შევიდა განსახილველად.“[194] მესამე პირის მოთხოვნა გერმანული სამართლის მიხედვით მიმართული უნდა იყოს ორივე მხარის მიმართ, მაშინ როცა სსსკ სარჩელის წარდგენას ითვალისწინებს ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ გერმანელი კანონმდებლები არ იზიარებენ იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სასამართლოში მხარეთა შორის დავის მიმდინარეობისას მესამე პირს შეუძლია დამოუკიდებელი მოთხოვნა წაუყენოს მხოლოდ ერთ მხარეს ისე, რომ მეორე მხარის მიმართ მოთხოვნა არ გააჩნდეს.

საბჭოთა რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით აღნიშნული საკითხი პირდაპირ არ იყო განსაზღვრული. მხოლოდ უკრაინის სსს-რ-ს სსსკ-ი ს მიხედვით მესამე პირი საქმეში ერთვებოდა

[193] სუსგ, 30.01.2015, საქმე №ას-487-463-2013.

[194]Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 20.

ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართ სარჩელის აღძვრით. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების შესახებ ანალოგიური ნორმა არსებობდა აგრეთვე, ადრე მოქმედ რსფრს-ს კოდექსში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებებია გამოთქმული. ავტორთა ერთი ნაწილი თვლის რომ, მესამე პირის სარჩელი მიმართულია ორივე მხარისადმი და მესამე პირის მიერ მხოლოდ ერთი მხარისათვის სარჩელის წარდგენა შეუძლებელია. ამ ავტორების მიერ მოყვანილია შემდეგი არგუმენტები: თუ სადავო ნივთის მფლობელია მოსარჩელე ან მოპასუხე, მაშინ ამ ნივთის მიმართ ორივეს აქვს ინტერესი.[195] მესამე პირის მიერ მხოლოდ მოპასუხის მიმართ სარჩელის წარდგენა შეუძლებელია[196]. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ ერთი მხარისადმი, დავის საგანზე უფლება საჩივრდება როგორც მოპასუხესთან, ისე მოსარჩელესთან. ისინი, ორივე მესამე პირს ეწინააღმდეგებიან როგორც მოპასუხე მხარეები.[197] დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენებით, მესამე პირი ეჯვქვეშ აყენებს დავის საგანზე მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების არსებობას, ვინაიდან მათ ამ უფლებას უსაჩივრებს.[198] სხვა სიტყვებით, ვინაიდან მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით უკვე დაწყებულ პროცესში შედიან და დამოუკიდებელ მოთხოვნას წარადგენენ როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიმართ.[199]

ავტორთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ მოსარჩელისათვის მოთხოვნის მიმართვა შესაძლებელია. აგრეთვე გამოთქმულია მოსაზრება, მესამე პირის მიერ მხოლოდ მოპასუხისადმი მიმართვის შესაძლებლობაზეც. მაგალითებია მოყვანილი, როდესაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი მოთხოვნას უყენებს როგორც მხოლოდ მოპასუხეს, ასევე მხოლოდ მოსარჩელეს: „ცალკეულ შემთხვევებში მესამე პირს შეუძლია დამოუკიდებელი მოთხოვნის მხოლოდ მოსარჩელისათვის წარდგენა, ისე რომ ეს მოთხოვნა არ იყოს მოპასუხისათვის წარდგენილი. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მესამე პირისათვის ამა თუ იმ მხარის მონაწილეობა უსარგებლოა და მისი ინტერესები სადავო საგნის მისთვის მიკუთვნების შესახებ მოთხოვნის წარდგენას მოითხოვს, ხოლო ასეთი მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში მისი უფლებები დაუცველი აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევებში მესამე პირის მიერ მხოლოდ ერთი მხარისათვის დამოუკიდებელი მოთხოვნის წარდგენა არის დავის საგანზე მისი დამოუკიდებელი უფლების ერთადერთი მიზანშეწონილი სასამართლო დაცვა.[200] მაგალითად, დამქირავებლის გამოსახლებაზე სახლის

---

[195]Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «Контракт»; «Инфра-М», 2008, 46, http://uristinfo.net/.

[196]*Д.М. Чечот,* Участники гражданского процесса, Госюиздат, 1960.

[197]*Мельников А.А.* 1981. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва.

[198]*Гурвич М.А.* Судебное решение. Теоретические проблемы, 1976.

[199] *Клеинман А. Ф.,*Советский гражданский процесс, подредакциейзаслуженного деятеля науки РСФСР профессора, , издательство московского университета, 1964.

[200] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 15.

მეპატრონის სარჩელის გამო, მესამე პირს შეუძლია საქმეში ჩაერთოს და მოსარჩელეს პრეტენზია წაუყენოს ბინის საკუთრების უფლებაზე. ამ შემთხვევაში მესამე პირი მოთხოვნას მხოლოდ მოსარჩელეს უყენებს, ისე, რომ მოპასუხის გამოსახლების ინტერესი არ გააჩნია.[201]
არიან პროცესუალისტები, რომლებიც ორივე მოსაზღებას აღიარებენ და თვლიან, რომ მესამე პირის მიერ სარჩელის შეტანა შესაძლებელია როგორც ერთი, ისე ორივე მხარის მიმართ. „როგორც წესი ხშირ შემთხვევებში მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით თავის სასარჩელო მოთხოვნას ორივე მხარის წინააღმდეგ, ვინაიდან მესამე პირის უფლებები ყოველთვის მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებებს ეჯახება. ამასთან, სასამართლო პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა იგი სასარჩელო მოთხოვნას ერთი მოდავე მხარის წინააღმდეგ წარადგენს და მეორე მხარის უფლებას გაუსაჩივრებელს არ ტოვებს.[202]
საკითხის ყოველმხრივ განხილვისათვის პირველ რიგში მოცემული კითხვის ორი მხარე უნდა განვასხვავოთ: 1. ვის მიმართაა მიმართული მესამე პირის მოთხოვნა ე. ი. ვის ასახელებს იგი თავისი მოთხოვნის მოპასუხედ და 2. ვინ არის რეალურად მესამე პირის მოპასუხე. პირველი საკითხის გადაწყვეტა თვითონ მესამე პირის პრეროგატივა და უფლებაა. იგი, ისევე როგორც თავად წყვეტს მიმდინარე პროცესში მესამე პირად ჩაერთოს თუ არა, ასევე თავად წყვეტს ვინ უნდა მიუთითოს მოპასუხედ თავის მოთხოვნაზე, მაგრამ სასამართლო თავისი შეხედულებით მოთხოვნის ხასიათიდან გამომდინარე რეალურად ადგენს ვინაა მოპასუხე მესამე პირის მოთხოვნაზე.
თუ საქმეში შემავალი პირის მოთხოვნა მიმართულია მოპასუხისადმი, მაგრამ იმავდროულად მოსარჩელის მოთხოვნას ეწინააღმდეგება, ამ პირმა პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის საპროცესო მდგომარეობა უნდა დაიკავოს. მისი სარჩელის მოპასუხეები თავდაპირველი მოსარჩელე და მოპასუხე იქნებიან. თუ საქმეში შემავალი პირის მოთხოვნა მოპასუხისადმია მიმართული, მაგრამ მოსარჩელის მოთხოვნას არ ეწინააღმდეგება, ასეთმა პირმა იმ თანამოსარჩელის საპროცესო მდგომარეობა უნდა დაიკავოს, რომელიც უკვე დაწყებულ პროცესში ერთვება. მაგალითად, საავტორო უფლების დაცვის შესახებ სარჩელზე საქმეში შესაძლოა მოსარჩელის თანაავტორი ჩაებას, თუ მას თავის თანაავტორთან რაიმე მოთხოვნა არ აქვს.
მოსაზრება, რომ მესამე პირის მიერ სარჩელის წარდგენა შესაძლებელია როგორც ორივე, ისე ერთ-ერთი თავდაპირველი მხარისათვის, გაზიარებულია რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს მიერ.[203]თუმცა, პროცესუალისტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ როგორც წესი მესამე პირის სარჩელი ორივე მხარისადმია მიმართული.[204] ორივე მხარე და პროცესში შესული მესამე პირი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, სადავო მატერიალური

[201] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 129.
[202] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 16.
[203]Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 47. http://uristinfo.net/
[204]Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 78, http://uristinfo.net/

ურთიერთობების სუბიექტები არიან.[205] ვინაიდან მესამე პირი დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას აცხადებს, ის ეხება როგორც თავდაპირველი მოსარჩელის, ისე თავდაპირველი მოპასუხის უფლებებსა და ინტერესებს. იგი პროცესში დამოუკიდებლი სასარჩელო მოთხოვნით შედის, რადგან მიაჩნია, რომ სადავო უფლება ეკუთვნის მას და არა მოსარჩელეს ან მოპასუხეს. ამიტომ, ხშირ შემთხვევებში, მისი სარჩელის მოპასუხეებად ორივე მხარე გვევლინება და მხოლოდ ერთი მხარისადმი წარდგენას ფორმალური ხასიათი აქვს.[206] თუმცა, არასწორი იქნებოდა მტკიცება, რომ მესამე პირის ყველა მოთხოვნა გამონაკლისის გარეშე მიმართულია ორივე მხარისათვის, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მესამე პირი მოთხოვნას მხოლოდ ერთ მხარეს წარუდგენს.[207] იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხთან დაკავშირებით თუ ვინ წარმოადგენს მოპასუხეს მესამე პირის სარჩელზე. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით შესაძლებელია დასკვნა, რომ, მესამე პირის მიერ ორივე მხარისათვის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა უფრო ხშირია. სწორედ ამიტომ, კანონი შესაძლებლობას უშვებს, რომ მესამე პირის სარჩელი შეტანილ იქნეს როგორც ორივე, ასევე მხოლოდ ერთი მხარის მიმართ.[208]

კანონის ამ დებულებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარის წინააღმდეგ არის აღძრული მესამე პირის მოთხოვნა, განისაზღვრება პროცესში თავდაპირველ მხარეებსა და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს შორის ურთიერთობაც.[209] მაგალითად, თუ მესამე პირს სარჩელი ერთ-ერთი მხარის მიმართ შეტანილი აქვს და პროცესის ამ მხარემ ცნო ან გამოიხმო სარჩელი, ეს ვერ გახდება მესამე პირის სარჩელზე საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი და მესამე პირსა და მის მოპასუხეს შორის სასამართლო პროცესი გაგრძელდება. თუ მესამე პირის სარჩელი თავდაპირველი მოსარჩელისადმია მიმართული, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა მოპასუხის მიმართ იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას მოპასუხის მიმართ. თავდაპირველი მოსარჩელე მოპასუხედ რჩება მესამე პირის წინაშე და მხარეთა მორიგება შესაძლებელია ამ პირებს შორის გაფორმდეს.[210]

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების პროცესში მონაწილეობის მაგალითად რამოდენიმე ყველაზე მეტად გავრცელებული შემთხვევის მოყვანაა შესაძლებელი: მაგალითად ერთობლივი თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი სახლის გაყოფის თაობაზე ყოფილი მეუღლეების დავისას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის სახით საქმეში ჩაერთოს მოპასუხის დედა, რომელიც ამტკიცებს, რომ სადავო სახლი მისი ხარჯებითაა აშენებული

---

[205]Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 49. http://uristinfo.net/

[206]Н. А. Сергеев. Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html

[207]Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 46, http://uristinfo.net/.

[208]*Гурвич М.А.* Судебное решение. Теоретические проблемы, 1976.

[209]*ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 129.

[210]Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 48, http://uristinfo.net/.

და დამოუკიდებელ მოთხოვნას მთელ სახლზე აცხადებს.[211] ამასთან, შესაძლოა პროცესი კიდევ უფრო გართულდეს და საქმეში თავად მოსარჩელის მშობელი ჩაერთოს, რომელიც აცხადებს რომ სახლის რემონტზე მანაც გასწია ხარჯები და სადავო სახლიდან წილის გამოყოფა მოითხოვოს.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო განხილვის საგანი ერთდროულად სამი დამოუკიდებელი მოთხოვნა იქნება, რომელიც სასამართლომ არსებითად უნდა გადაწყვიტოს მოთხოვნა მეუღლის მიმართ სახლის გაყოფაზე და მშობლების მოთხოვნა ერთისათვის სახლის კუთვნილებასა და მეორისათვის წილის გამოყოფის თაობაზე. ამ სამართალურთიერთობებს ერთი საერთო ობიექტი აქვთ: დავის საგანი - სადავო სახლზე საკუთრების უფლების მოპოვება.

საქმის განხილვაში დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის მონაწილეობის მაგალითია აგრეთვე, შემთხვევა, როდესაც გარდაცვლილი მამკვიდრებლის ერთი შვილი შეიტანს სარჩელს მეორის მიმართ სამკვიდროს გაყოფის თაობაზე, ამ შემთხვევაში თუ მამკვიდრებელს სხვა ქორწინებიდან კიდევ ყავს შვილი, მას შეუძლია საქმის განხილვაში ჩაებას დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირად სამკვიდროდან კუთვნილი წილის გამოყოფის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში შვილს სხვა ქორწინებიდან დავის საგანზე თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა აქვს. სასამართლო ქონებას ორ მემკვიდრეს შორის მესამის წილის გაუთვალისწინებლად გაყოფდა, რომ არა მესამე პირის მოთხოვნა. მოყვანილ შემთხვევებში სასამართლო გამოძიების სფეროში არა ერთი, არამედ რამოდენიმე მატერიალური სამართალურთიერთობა იქნება მათი განუყოფელი კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გამო. ხოლო ამ სამართალურთიერთობების სუბიექტებს შესაძლებლობა აქვთ დაიცვან თავისი სუბიექტური უფლებები ან კანონით დაცული ინტერესები როგორც მესამე პირებმა.

6. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნის საფუძველი

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დავა იმ გართულებებს ეფუძნება,[212] რომლებიც მოსარჩელეს ხვდება თავისი უფლებების რეალიზაციისას მოპასუხის მიერ მისი სადავოდ გახდომის ან მოვალეობების შეუსრულებლობის გამო.

მხარეებს შორის დავის საგანი, როგორც წესი, მატერიალური სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდანაა წარმოშობილი. მაგალითად, ქონებით სარგებლობის, მფლობელობის, განკარგვის, პირადი არაქონებრივი უფლებების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის, ყიდვა გაყიდვის, მორიგებიდან გამომდინარე ქმედებების, ჩუქების და ა. შ. უფლებები და მოვალეობები. მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა იმ ქონებაზე ან უფლებაზე

---

[211] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 40.

[212] *ლილუაშვილი თ.* სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული და გაფართოვებული გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი", 2001, 64.

მოთხოვნის განცხადებაში მდგომარეობს, რომელზეც თავდაპირველი მხარეები დავობენ. დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების გაცხადების განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მის სუბიექტს უფლებას აძლევს უკვე დაწყებულ პროცესში შევიდეს, პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ მათ თავიანთი საგანი და საფუძველი აქვთ.

კანონის შინაარსიდან ჩანს, რომ შედის რა თავდაპირველ მხარეებს შორის უკვე მიმდინარე პროცესში, მესამე პირი დამოუკიდებელ უფლებას აცხადებს მოსარჩელისა და მოპასუხის სადავო ობიექტის მიმართ.[213] ე. ი. სასამართლოში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მონაწილეობით საქმის განხილვა ეგრეთ წოდებულ სარჩელთა ობიექტური გაერთიანების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.[214] დავის საგნის ან მისი ნაწილის დამთხვევა ითვლება ამოსავალ წერტილად,[215] სავალდებულო პირობად, მაგრამ გარდა დავის საგნის დამთხვევისა, მესამე პირის სარჩელი დაკავშირებული უნდა იყოს პირვანდელ მოთხოვნასთან. ეს მოთხოვნები უნდა იყოს ერთგვაროვანი.[216] ამასთან, არ შეიძლება არ გავიზიაროთ მოსაზრება, რომ დავის საგნად არა მხოლოდ ის მატერიალური საგანი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სადავო უფლების ობიექტს წარმოადგენს, არამედ ის სამართალურთიერთობა, საიდანაც დავა წარმოიშვა.[217] მაგალითად მყიდველსა და გამყიდველს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მიმდინარე დავაში შესაძლოა მესამე პირი ჩაერთოს, რომელიც ამტკიცებს, რომ ნივთი რომლის საკუთრების უფლებაზეც დავა მიმდინარეობს, მისია და მოპარეს.[218] ამ შემთხვევაში დავის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ქონება. მხარეებს შორის დავა შეიძლება მიდიოდეს საცხოვრებელ ფართზე, გამოგონების ან ლიტერატურული ნაწარმოების ავტორობის უფლებაზე და სხვ. ამიტომ დავის საგნად უნდა მიიჩნეს სადავო სამართალურთიერთობა, რომელზეც მესამე პირებს შეიძლება დამოუკიდებელი მოთხოვნა გააჩნდეთ. ამ მატერიალური ობიექტიდან წარმოშობილი სამართალურთიერთობები შეიძლება განსხვავებული იყოს. ამიტომ, საქმეში მესამე პირად ჩაბმისათვის აუცილებელია, რომ, თავდაპირველ მხარეებს შორის არსებული და მხარეებსა (მხარესა) და მესამე პირებს შორის არსებული სამართალურთიერთობები მიმართულნი იყვნენ არა მხოლოდ ერთსა და იმავე მატერიალურ საგანზე, არამედ ურთიერთდაკავშირებულნი იყვნენ. სხვა სიტყვებით, აუცილებელია, რომ სასამართლოს მიერ თავდაპირველ მხარეებს შორის სამართალურთიერთობის აღიარება მესამე პირის განცხადებული სარჩელის საფუძვლის უარყოფას იწვევდეს და

---

[213] *ავთანდილ კობახიძე,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 153.

[214] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва – 1962, 18.

[215] *გაბელაია ქ,* მესამე პირები სამოქალაქო სამართალის პროცესში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75“, თბილისი.

[216] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 128.

[217] *Чечот Д.М.,* Участники гражданского процесса, Госюиздат, 1960.

[218] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000,104.

პირიქით,[219] ვინაიდან, მათ გააჩნიათ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები.[220]

მაგალითისათვის გამოგვადგება შემდეგი შემთხვევები: მხარეების მიერ წამოჭრილ დავაზე ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ შესახებ მესამე პირმა შეიტყო, მხარეთა მიმართ სარჩელი წარადგინა და მანაც ამავე ნივთზე საკუთრების უფლების ცნობა მოითხოვა. ამ შემთხვევაში მოთხოვნები ერთგვაროვანია. სხვა მაგალითია, როცა ეს მოთხოვნები არაერთგვაროვანია: „ა" მოითხოვს დამქირავებლის „ბ"-ს ბინიდან გამოსახლებასა და ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას ქირის გადაუხდელობის მოტივით. „გ" მოითხოვს პროცესში დაშვებას იმის გამო, რომ მოსარჩელემ მას მატერიალური ზიანი მიაყენა. აქ მოთხოვნები არაერთგვაროვანია, ამიტომ „გ"-ს დაშვება მესამე პირის სახით არ შეიძლება.[221] რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „გ"-ს დაშვება მესამე პირად არ შეიძლება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში „გ"-ს მოთხოვნა ასევე, არ ეხება დავის საგანს, რაც მისი პროცესში დაუშვებლობის პირდაპირი საფუძველია. თუ პირი არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რადგან მხოლოდ ის გარემოება, რომ პირს რაღაც პრეტენზიები აქვს საქმეში მოსარჩელედ და მოპასუხედ მონაწილე მხარეების მიმართ, არ შეიძლება გახდეს მისი დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირად ჩაბმის საფუძველი.[222]

„პრაქტიკაში, ზოგჯერ სადავო ხდება, როგორ დადგინდეს მესამე პირის მოთხოვნის კავშირი დავის საგანთან. როცა დავა ეხება სანივთო ურთიერთობებს, ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელი არ არის. მთავარი ასეთ შემთხვევაში არის ის, აქვს თუ არა კავშირი მესამე პირის მოთხოვნას მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილ სადავო სამართლებრივ ურთიერთობასთან. ასეთი კავშირის არსებობა არის მესამე პირის პროცესში დაშვების პირობა."[223]

მესამე პირად პროცესში ჩართვა აღიარებით სარჩელებზეცაა შესაძლებელი. ამ სარჩელებში დავის საგანი ის სამართალურთიერთობა იქნება, რომლისგანაც დავა წარმოიშვა. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში მესამე პირის ჩაბმა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა იგი სადავო ობიექტის ნაწილს მოითხოვს. ასე რომ, სასამართლო პრაქტიკისა და კანონიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნა, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის უფლება შეიძლება ისეთივე იყოს, როგორც თავდაპირველი

---

[219] Н. А. Сергеев. Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html.

[220] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 46, http://uristinfo.net/.

[221] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 129.

[222] *გაბელაია ქ.* მესამე პირები სამოქალაქო სამართალის პროცესში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75", თბილისი, 258.

[223] *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 152-162.

მხარეების ან სხვაგვარი ხასიათის, მაგრამ სავალდებულოა, რომ იგივე ობიექტს ან მის ნაწილს შეეხებოდეს.[224]
დავის საგანზე დამოუკიდებელ უფლებებზე საუბრისას კანონი ამ უფლებების ხასიათზე არ უთითებს. ამასთან მოცემულ საკითხს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და იურიდიულ ლიტერატურაში სადავო საკითხს წარმოადგენს. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის საფუძველის დამთხვევა შესაძლებელია.[225] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს: რიგი მეცნიერებისა[226] მიიჩნევს, რომ მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელების საფუძველი განსხვავებულია.[227] აღნიშული მოსაზრების დასაბუთება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: „როგორც ცნობილია სარჩელის საფუძვლის შემადგენლობაში შედიან ლეგიტიმაციის ფაქტები, ე. ი. ფაქტები, რომლებიც ადგენენ, როგორც მოცემული პირის მიმართ მოთხოვნის უფლების არსებობას, აგრეთვე მოვალეობას, რომელიც მოცემულ მოპასუხეს აკისრია. ცხადია, რომ თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის მიერ სარჩელის საფუძვლად დადებული ლეგიტიმაციის ფაქტები ერთმანეთს ვერ დაემთხვევა. გარდა ამისა, ერთმანეთს სრულად ვერ დაემთხვევა სარჩელის საფუძვლის ისეთი ელემენტები როგორიცაა ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე და მესამე პირი თავის მოთხოვნებს ამყარებენ.[228] მტკიცება თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის სარჩელის საფუძვლის დამთხვევის შესაძლებლობის შესახებ, გამომდინარეობს მოსარჩელისა და მესამე პირის სარჩელების საფუძვლებში განცხადებული მოთხოვნების გადანაცვლებადი ხასიათით. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად მოყვანილ მაგალითს გავაანალიზებთ: „მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა სადავო საგნის დარღვეული მფლობელობის აღდგენაზე. სარჩელის საფუძველია – მოსარჩელის საკუთრების უფლება და მოპასუხის მხრიდან სადავო ნივთის თვითნებური დაპატრონების ფაქტი. ხოლო მესამე პირს სარჩელი შეაქვს თავდაპირველი მოდავეების მიმართ იგივე საგანზე და იგივე საფუძვლით. მხოლოდ იგი თვლის, რომ დარღვეულია არა მოსარჩელის არამედ მესამე პირის საკუთრების უფლება.”[229] აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, რომ სარჩელის საფუძვლების ერთგვაროვნებად არსებითად მიიჩნეულია თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის მიერ განცხადებული ერთგვაროვანი უფლება დავის საგანზე: მესამე პირი და მოსარჩელე ერთმანეთს ეცილებიან დავის საგანს, მიიჩნევენ რა საკუთრად. ამ მხრივ მათი მოთხოვნების ხასიათი ერთი ტიპისაა. თუმცა, მათი სარჩელების საფუძვლების დათხვევა

[224] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва – 1962, 19.
[225] *А. Ф. Клеинман*, Советский Гражданский процесс, под редакциейзаслуженного деятеля науки РСФСР профессора, издательство московского университета , 1964; изд-во МГУ, 1954.
[226] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 48, http://uristinfo.net/
[227] *Чечот Д.М.,* Участники гражданского процесса, Госюиздат, 1960.
[228] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва – 1962, 21.
[229] *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. Иркутск, 1927, 6.

შეუძლებელია, ვინაიდან თითოეულმა მათგანმა თავისი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლებში ის ფაქტები უნდა ჩადოს, რომლებიც ამტკიცებენ კონკრეტულად მის საკუთრების უფლებას დავის საგანზე.
ასე რომ თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის მოთხოვნათა ხასიათი შესაძლოა ანალოგიური იყოს, ერთნაირ უფლებებს იწვევდეს, მაგრამ მათი სარჩელის საფუძველი ყოველთვის განსხვავებული იქნება. ის შესაძლოა მსგავსი, ანალოგიური იყოს, მაგრამ არა იგივე[230]. მაგალითად, მესაკუთრემ მფლობელს წაუყენა ვინდიკაციური სარჩელი. თავისი მოთხოვნა ვინდიკატს პირველ რიგში იმ გარემოებიდან გამოყავს, რომელიც მას საფუძველს აძლევს დავის საგანზე თავისი უფლება წამოაყენოს, და მეორე რიგში, იურიდიული საფუძვლის გარეშე სადავო საგნის მოპასუხესთან ყოფნის ფაქტიდან. ამ საქმეში ახალი პირი შედის და სარჩელს სადავო საგნის მისთვის მიკუთვნების შესახებ წარადგენს. ე. ი. შესულის მტკიცებით, საკუთრების უფლება მას ეკუთვნის და არა მოსარჩელეს ან მოპასუხეს. მოცემულ შემთხვევაში მესამე პირის სარჩელის საფუძველი ასევე არის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც განაპირობებს სადავო საგნის მესამე პირისადმი კუთვნილებას, საკუთრების უფლებას და თავდაპირველი მოსარჩელის უკანონო მფლობელობაში სადავო ნივთის არსებობის ფაქტს.
მითითებული საკითხისადმი შუალედური მიდგომაც არსებობს: „მოსარჩელისა და დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელის საგანი და საფუძველი შესაძლოა იყოს როგორც ერთნაირი, ისე განსხვავებული.[231] მოთხოვნების ერთნაირი საფუძველი შემდეგ მაგალითშია წარმოდგენილი: გარდაცვლილი მამკვიდრებლის მემკვიდრეს პირველი ქორწინებიდან სხვა მემკვიდრეებთან ერთად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა აქვს მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. ის არ ასაჩივრებს მოსარჩელისა და მოპასუხის ზუსტად ანალოგიურ უფლებას, უბრალოდ მათი სამკვიდრო წილის შემცირებას ითხოვს. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორი სხვადასხვა, თუმცა საგნითა და საფუძვლით ერთგვაროვანი მოთხოვნა.
შესაძლებელია ასევე, რომ მესამე პირის მოთხოვნა თავდაპირველი მოსარჩელისას დაემთხვეს არა საგნით, არამედ საფუძვლით. ასე რომ მესამე პირის საქმეში ჩასართავად არ მოითხოვება თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთნაირობა. მესამე პირის უკვე დაწყებულ საქმეში ჩართვის პირობას წარმოადგენს მტკიცება, რომ მას სრულად ან ნაწილობრივ ეკუთვნის ის უფლებები, რომლებზეც თავდაპირველი მხარეები დავობენ. ანუ თავდაპირველი მხარეებისა და მესამე პირის მატერიალურ სამართლებრივი ინტერესების ურთიერთდამოკიდებულების მტკიცება. თუ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს, სასამართლო საქმეში მესამე პირს არ დაუშვებს.[232]

---

[230] *Сергеев Н. А.*. Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, 1, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html.

[231] *Мельников А.А.*. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва, 1981, 16.

[232] *Мельников А.А.* 1981. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва.

7. დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირების სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები

იმისათვის, რომ გარეშე პირები მიმდინარე დავის განხილვაში ჩაერთონ, საჭიროა მათ ჰქონდეთ - Locus standi ანუ ის პირობები, რომელთაც ფიზიკური თუ იურიდიული პირი უნდა აკმაყოფილებდეს, სასამართლოს წინაშე წარდგენის უფლების მოპოვებისათვის. თვითონ Locus standi-ს ცნება შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც დებულებები, (და მათი სამართლებრივი ინტერპრეტაცია), რომლებიც მოიცავენ მარეგულირებელ წესებს პირთა იდენტიფიკაციისა და იმ პირობების თაობაზე, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ როგორც ეროვნულ სასამართლოებში, ასევე ევროკავშირის სამართლიანობის სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის.[233] ევროკავშირის ქვეყნებში სამოქალაქო სასამართლოების წინაშე წარდგენის უფლება - Locus standi თითქმის ერთი სტილითაა რეგულირებული. ზოგადად მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, როგორც კერძო სამართლის უფლებათა მფლობელებს შეუძლიათ სამოქალაქო სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, იმის დადასტურებით, რომ საქმეში პირდაპირი პერსონალური ინტერესი გააჩნიათ (მაგალითად სარჩელს კავშირი უნდა ჰქონდეს მოსარჩელის ეფაქტურ მატერიალურ ან მორალურ უპირატესობასთან.) იმ მოსარჩელეების სარჩელი, რომლებსაც ასეთი ინტერესი არ აქვთ, დაუშვებლად (ex officio) იქნება ცნობილი.[234] მაგალითისათვის, ნიდერლანდებში ტერმინი Locus standi უმეტესად ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება. თუმცა, საჭიროებისათვის მისი გამოიყენება იმ დადგენილ პირობებს (და მათ ინტერპრეტაციას) გულისხმობს, რომლებიც სამოქალაქო სასამართლოებში სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ პირთა იდენტიფიკაციას არეგულირებენ. ამ მოთხოვნებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უნდა დაემთხვეს, პირის მიერ სასამართლოს წინაშე სარჩელით მიმართვისათვის, წარმოადგენს მოსარჩელის მიერ წამოჭრილი სარჩელის ხასიათი, ბუნება (სამოქალქო სამართლებრივი) და პირის იურიდიული ან ბუნებრივი სამართალსუბიექტურობა. რაც შეეხება სარჩელის შეტანას, მათაც ჩვეულებრივი locus standi-ს მოთხოვნები წაეყენებათ. მაგრამ, დამატებით მესამე პირების Locus standi-ს მოთხოვნას წარმოადგენს მისი ინტერესი ქმედებაში (არის თუ არა სარჩელის მატერიალური ან არამატერიულური შედეგები კავშირში მოსარჩელესთან). შეჭრის მიზეზები სათანადო

---

[233] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen′s Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, Standing up for your right(s) in Europe, A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi, http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Federal+Rules+of+Civil+Procedure, 2012, 20.

[234] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen′s Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, Standing up for your right(s) in Europe, A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Federal+Rules+of+Civil+Procedure, 2012, 13.

ფორმით უნდა იყოს ჩამოყალიბებული.[235] სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებისთვის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს შეამოწმებს, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ „ფორმალობები“ წესრიგშია. მაგ. კომპეტენტურია თუ არა თვითონ მოსამართლე, პროცესუნარიანები არიან თუ არა მხარეები, სახეზეა თუ არა სამართლებრივი დაცვის საჭიროება სარჩელისთვის, ერთი სიტყვით, მოცემულია თუ არა პროცესის წინაპირობები (PrV.en), ან უფრო კონკრეტულად: არსებითი გადაწყვეტილების წინაპირობები (= წინაპირობები, რომლებიც უნდა შემოწმდეს საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების წინ). მაგალითად მხარედ არსებობის უნარიანობა Rz. 78, პროცესუნარიანობა Rz. 82.[236]

მესამე პირები, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობების სხვა სუბიექტები, შეიძლება მხოლოდ ის პირები იყვნენ, რომლებიც საპროცესო უფლებაუნარიანობით არიან აღჭურვილნი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლებაუნარიანობა). სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა არის პირის უნარი, მისი იურიდიულად უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები.[237] საქმეში მონაწილე პირების უნარი - იყვნენ სამოქალაქო პროცესის მონაწილეები, კომპლექსურად საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების მატარებლები, აღიარებულია თანაბრად ყველა სუბიექტისათვის, რომლებსაც კანონმდებლობით აქვთ უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის უფლება. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა მატერიალურ სამართლებრივი უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით ზოგად, უნივერსალურ ხასიათს ატარებს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად სასამართლო წესით დაცვის უფლება მიეკუთვნება ადამიანისა და მოქალაქის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია ყოველი მოქალაქისათვის: ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა სასამართლოს გადაწყვეტილებითაც კი არ შეიძლება შეიზღუდოს.

მოქალაქის სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა დაკავშირებულია მათ სამოქალაქო უფლებაუნარიანობასთან, მაგრამ მას არ ემთხვევა. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს და დამოკიდებული არაა უფლებაუნარიანობაზე მატერიალურ სამართალში.[238] ცნობილია, რომ

---

[235] *Van Rhee C.H.,* Locus standi in Dutch civil litigation in comparative perspective, in: T.Erecinski, V. Nekrosius & et al. (eds.), Recent trends in economy and efficiency in civilprocedure, Vilnius: Vilnius University Press, 2013, 243-266.

[236] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 102.

[237] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 123.

[238] *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 126.

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დაცულია სხვადასხვა სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე განსხვავებული უფლებები და კანონით დაცული ინტერესები. ამიტომ ცხადია, რომ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას არ შეიძლება განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდეს ყველა ამ საქმისათვის. აგრეთვე, სასამართლოს, მოწმის, ექსპერტის და სხვა პროცესის მონაწილეების საპროცესო უფლებაუნარიანობა მათ სამოქალაქო უფლებაუნარიანობასთან დაკავშირებული არაა.

გერმანულ სამართალში არსებული მოსაზრებით მხარედ არსებობის უნარიანობა წარმოადგენს მხარის უნარს, იყოს პროცესის მხარე. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი შეაქვს ან წარდგენილია პირისადმი, რომელსაც მხარედ არსებობის უნარი არ გააჩნია (მაგ. სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, შდრ. II 1), პროცესი მაინც შედგება. პირი, რომელსაც მხარედ არსებობის უნარი არ გააჩნია, ასევე წარმოადგენს მხარეს, თუმცა მხარედ არსებობის უნარის არ ქონის გამო საგნობრივი გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება (შდრ III). [239]

რაც შეეხება თავად მხარედ არსებობის უნარს, აღნიშნული შემდეგნაირად განიმარტება: მხარედ არსებობის უნარი გააჩნია მას, ვინც სამართალუნარიანია. ეს იმას გულისხმობს, რომ ყველა სამართალუნარიან პირს ამავდროულად მხარედ არსებობის უნარიც გააჩნია; მხოლოდ აღნიშნული თვალსაზრისით არსებობს სამართალუნარიანობისა და მხარეს არსებობის უნარის "თანაბარუფლებიანობა" და არა პირიქით, რომ მხოლოდ სამართალუნარიანობა ასევე მხარედ არსებობის უნარიანობას განაპირობებს, შდრ II (ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული სამოქალაქო საქმეებზე 122, 345).[240] საკითხი იმის თაობაზე, ვრცელდება თუ არა საპროცესო უფლებაუნარიანობა მხოლოდ მხარეებზე ან მესამე პირებზე, თუ ეს ცნება უფრო ფართოდაა განხილული აგრეთვე სხვა სუბიექტების მიმართაც (სასამართლო წარმომადგენელი და სხვა), დღესაც სადავოა.[241] [242] საქართველოს კანონმდებლობით გამოყოფილი არ არის მხარეუნარიანობა და პროცესში მონაწილეობისათვის იქნება ეს მხარე თუ მესამე პირი, საჭიროა საპროცესო უფლებაუნარიანობა.

საქართველოში მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში ერთვება საერთო საფუძველზე სასარჩელო განცხადების წარდგენის გზით. შესაბამისად, მისი განცხადება საქმეში ჩაბმის შესახებ სასარჩელო განცხადებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. „კერძოდ, სარჩელი შედგენილი უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მას უნდა ახლდეს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები იმ

---

[239] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 22.

[240] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck,* München, 2003, 58.

[241] *ჭურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2012, 127.

[242] Гражданское процесуальное право россии М, 1996, изд Былина с 58 (Ред, М С Шакарян).

რაოდენობით, რამდენი მოპასუხეც არის მითითებული სარჩელში, გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო ბაჟი".[243]
იმის საილუსტრაციოდ, რომ მესამე პირის სასარჩელო განცხადება სარჩელის წარდგენისათვის წაყენებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგი მაგალითი გამოდგება: კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ იგი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მიიჩნია, რაც არასწორად მიაჩნდა. კასატორის მოსაზრებით, იგი საქმეში სასარჩელო მოთხოვნით იყო ჩართული. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ მას უკანონოდ შეუზღუდა პროცესუალური უფლებები, კერძოდ, იგი სასამართლო სხდომაზე მიწვეული არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იგი არ წარმოადგენდა მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განჩინებით ის საქმეში ჩაერთო მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით და განმარტა, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია სარჩელი აღძრას ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე. საკასაციო პალატამ იმ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება, რომ კასატორს არ ჰქონდა აღძრული სარჩელი, რომელიც უნდა მიღებულიყო და განხილულიყო საერთო წესების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ მას მიაჩნდა, რომ მის მიერ აღძრული იყო სარჩელი (სსსკ-ს 88-ე,177-ე, 178-ე, 179-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით), რომელზედაც სასამართლომ არ იმსჯელა და რომლის შესახებ გადაწყვეტილება არ გამოიტანა, შეეძლო კანონის მოთხოვნათა დაცვით გაესაჩივრებინა, რაც მას არ გაუკეთებია.[244] მოცემულ შემთხვევაში მხარის მიერ პასიურ ქმედებას ჰქონდა ადგილი, მესამე პირისათვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობას, მესამე პირმა ივარაუდა, რომ იგი საქმეში ჩართული იყო მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, თუმცა სათანადო წესი არ დაუცვია და სასამართლოსათვის დადგენილი ფორმით სარჩელით არ მიუმართია. თუ პროცესის მსვლელობაშივე იგი უკვე პრეტენზიას აცხადებდა თავის პროცესუალურ საკითხზე მას უფლება ჰქონდა სარჩელი შეეტანა. მას სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაც ჰქონდა, თუ ჩათვლიდა, რომ სასამართლომ მისი მოთხოვნა არ განიხილა. თუმცა პროცესის მსვლელობის დროს მისი ასეთი უმოქმედო და პასიური ქმედება და მოთხოვნის დაფიქსირება მხოლოდ საკასაციო სასამართლოში, გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენებასა და პროცესის გაჭიანურების მცდელობაზე მიუთითებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირმა საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, სარჩელის წარდგენისას ყველა ის მოთხოვნები უნდა დაიცვას, რომლებიც მოსარჩელეს წაეყენება.

---

[243] *გაბელაია ქ,* მესამე პირები სამოქალაქო სამართლის პროცესში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75", თბილისი, 260.

[244]სუსგ 2008 წლის 12 ნოემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-130-408-08. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არის გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც უშუალოდ მესამე პირის სარჩელს ეხება:
1. მესამე პირის სარჩელის მიმართ განსჯადობის წესები არ მოქმედებს. მესამე პირმა თავისი მოთხოვნა იმ სასამართლოს უნდა წარუდგინოს, სადაც საქმე უკვე წარმოებს (თუნდაც საზოგადოდ მისი მოთხოვნა ამ სასამართლოს განსჯადი არ იყოს)".[245]
2. სარჩელი მიმართული უნდა იყოს დავის საგნის ან მისი ნაწილის მიმართ;[246]
3. დაცული უნდა იყოს სარჩელის წარდგენისათვის კანონით დადგენილი ვადა – სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს პაექრობის დაწყებამდე;[247]
4. მესამე პირს საქმის დასასრულისადმი მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება უნდა ჰქონდეს. [248]
დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი ვალდებულია განცხადებაში ის გარემოებები ჩამოაყალიბოს, რომლებიც სარჩელს საფუძვლად დაედება და მათ დამადასტურებელ მტკიცებულებებზეც მიუთითოს. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის საქმეში ჩაბმის პირობების განხილვისას ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია სასამართლოს მიერ იმის შემოწმება, აქვს თუ არა მესამე პირს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის წარდგენის უფლება. აღნიშნული უფლების არსებობა მესამე პირის სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას წარმოადგენს. სასამართლოს მიერ აღნიშნული წესის დაუცველობამ შეიძლება საქმის დასასრულისადმი იურიდიული ინტერესის არმქონე პირის საქმეში ჩართვა გამოიწვიოს, რადგან კანონით გათვალისწინებული არაა იმ უფლების დაცვა, რომელსაც იგი დარღვეულად მიიჩნევს. აღნიშნულის დასადასტურებლად მეცნიერებს შემდეგი მაგალითი მოჰყავთ: ბავშვის აღზრდის თაობაზე დავისას სასამართლომ საქმეში ჩაბმაზე უარი უნდა უთხრას პირს, რომელიც ბავშვთან მამის სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება და მისი აღზრდისათვის რაიმე სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, მაგრამ ბავშვის გადაცემას მოითხოვს იმ მოტივით, რომ ბავშვის ფაქტიური მამაა. სასამართლო უარი იმით აიხსნება, რომ მოცემულ დავაზე დაინტერესებულ პირებს მხოლოდ მშობლები, მშვილებლები მეურვეები და მზრუნველები წარმოადგენენ, რომელთათვის ბავშვის პირადად აღზრდის უფლების სასამართლო დაცვა კანონითაა გარანტირებული.[249]
ზემოაღნიშნულს იურიდიულ ლიტერატურაში „ლეგიტიმაციას"უწოდებენ. რაც იმას ნიშნავს, რომ „მოსარჩელემ, თავის სასარჩელო განცხადებაში ყველა ის ფაქტი უნდა მიუთითოს, რომელთაც შეუძლიათ მოსამართლე წინასწარ დაარწმუნონ იმაში, რომ მოსარჩელე და მოპასუხე სადავო

---

[245] *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 2012, 127.
[246] *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007; გვ. 169.
[247] *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007; გვ. 169.
[248] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 78, http://uristinfo.net/.
[249] *Мусина В.А.,. Чечиной Н. А,.Чечота Д. М,* Гражданскийпроцесс; Учебник Проспект; Москва, 1998.

მატერიალურ სამართალურთიერთობის სუბიექტები არიან. ვინაიდან, პროცესში მხარეთა ლეგიტიმაციის ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება",[250] ხოლო მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით მოსარჩელის უფლებებით სარგებლობს. სარჩელის წარდგენისას დასაშვებობის წინაპირობების მტკიცების ტვირთი მას ეკისრება. შესაბამისად, მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით უნდა მოახდინონ როგორც საკუთარი, ისე თავდაპირველი მხარეების ლეგიტიმაცია, რომ მასთან ურთიერთობაში ისინი მოპასუხეები არიან. ისევე, როგორც თავდაპირველმა მოსარჩელემ, მესამე პირმა, შედის რა უკვე დაწყებულ პროცესში უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ იგი საქმეზე დაინტერესებული პირია. საქმეში ჩართვის შესახებ მესამე პირის განცხადებაში წარმოდგენილი ლეგიტიმაციის ფაქტები სასამართლოს საფუძველს მისცემს იმსჯელოს საქმის დასასრულისადმი პირის იურიდიულ დაინტერესებაზე.[251]ამასთან, მესამე პირმა უნდა მოახდინოს როგორც აქტიური ლეგიტიმაცია, ისე პასიურიც – განსაზღვროს თავის სარჩელის მოპასუხე პირები.[252] აღნიშნული ქმედებით მესამე პირი სხვის პროცესში იმ გარემოებას აყენებს, რომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილებას შეუძლია მის უფლებებს, შეეხოს, არასასურველ ფაქტობრივ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რის გამოც მესამე პირის უფლებები ფაქტობრივად დარღვეული აღმოჩნდება. [253]

მითითებული პირობების დაუცველობისას, ე. ი. იმ შემთხვევაში თუ მესამე პირი ლეგიტიმაციას ვერ მოახდენს, სასამართლო, იცავს რა მხარეებს მესამე პირის მიერ სხვის პროცესში დაუსაბუთებელი შეჭრისაგან, მესამე პირს პროცესში ჩართვაზე უარს ეუბნება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს უარი სასამართლო დაცვაზე უარს წარმოადგენს, ვინაიდან მესამე პირს თავისი უფლებების დაცვა სასამართლოში დამოუკიდებელი სარჩელის შეტანის გზითაც შეუძლია.

8. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების უფლება-მოვალეობები

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირები, ისევე როგორც მოსარჩელე და მოპასუხე, სამართალწარმოების მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე განხორციელების პრინციპის შესაბამისად, აღჭურვილნი არიან პროცესუალური უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარი კომპლექსით. მათ თანაბარი საპროცესო უფლებამოსილება აქვთ სამოქალაქო პროცესის ყველა სტადიაზე საქმის დაწყებიდან

[250] *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005, 149.

[251] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 21.

[252] *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005, 149.

[253] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 48, <http://uristinfo.net>

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.[254] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა. მესამე პირების მოსარჩელედ აღიარება დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენების უფლებიდან გამომდინარეობს. ასეთი უფლება სხვა არაფერია, თუ არა სარჩელის უფლება, რომელიც სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანის გზით რეალიზდება. პირის უფლება, რომელსაც შეუძლია საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნით ჩაერთოს, დამოკიდებული არაა თავდაპირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის პროცესის დასასრულზე. ამიტომ, თუ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირი მიმდინარე პროცესში არ ჩაერთვება, მას დამოუკიდებელი სარჩელის შეტანის უფლება აქვს.

მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისევე როგორც მხარეები, პროცესში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.[255] „მათ ერთი და იგივე წინაპირობებით ერთნაირი უფლებები და უფლებამოსილებები (მაგ. სასამართლო მოსმენის უფლება, სახელმწიფოს ფინანსური დახმარება სასამართლო პროცესის წარმოების უზრუნველსაყოფად) აქვთ. ხშირად საუბრობენ პროცესზე ერთნაირად აღჭურვილი წარსდგომის ან მოსამართლის წინაშე თანაბარუფლებიანობის შესახებ (შდრ. *ბიოტიხერი*, მოსამართლის წინაშე თანაბარუფლებიანობა, მე-2 გამოცემა, 1961; *ტეტინგერი* [შდრ. § 29] გვ. 18 ff.; *ფოლკომერი*, FS Schwab, 1990, გვ. 503 ff.). თუმცა თანაბარუფლებიანობა ფორმალურ მხარეს წარმოადგენს (a.A. *ფოლკომერი* aaO გვ. 516 ff.), საქმეში კი მხარეთა სხვადასხვაგვარი პოზიციონირება მოქმედებს: მოპასუხემ უნდა ივარაუდოს, რომ მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მოსარჩელე კი ყველაზე უარეს შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს მიიღებს და პროცესის ხარჯები დაეკისრება (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო 52, 156 f., ასევე 52, 144 [ამასთან დაკავშირებით კრიტიკა *შტიუმერთან* ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი 79, 2337]; ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი, 88, 2597).[256] იგივენაირად, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს წინაშე მხარეთა თანაბარი უფლებებითაა აღჭურვილი, თუმცა მისი პოზიცია შეიძლება მოსარჩელის მსგავსად განისაზღვროს: უარეს შემთხვევაში - სარჩელის დაუკმაყოფილებლობა და ბაჟის გადახდის დაკისრება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მხარეთა საპროცესო უფლებებს, რომლებიც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებზეც სრული მოცულობით ვრცელდება. 83-ე მუხლის პირველ ნაწილში მოყვანილია საქმეში მონაწილე პირების პროცესუალური უფლებების ზოგადი ჩამონათვალი საქმეში მონაწილე

---

[254] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 406 http://uristinfo.net/.

[255] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 155.

[256] *Dr.Dr.H.c. Othmar Jauernig*, Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck*, München, 2003, 61.

კონკრეტული პირის კუთვნილი უფლებებისა და მოვალეობების სპეციფიკის გამოკვეთის გარეშე. ამ უფლებების არსებობა მათ, როგორც იურიდიულად დაინტერესებულ სუბიექტებს, შესაძლებლობას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო პროცესში, გავლენა მოახდინონ მის მსვლელობაზე. ეს უფლებები ნებისმიერი კატეგორიის საქმეთა განხილვისას გამოიყენება, პროცესის ყველა სტადიაზე რეალიზირდება, თუ აღნიშნული შესაძლებლობების რეალიზების შეზღუდვის ან მოცემულ შემთხვევაში 83-ე მუხლში დასახელებული უფლებებისგან რომელიმეს გამოყენების შეუძლებლობის შესახებ შესაბამისი შენიშვნები არაა გაკეთებული. დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირების უფლებათა მოცულობა საქმეში მონაწილე სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს ემთხვევა. რეალურად მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების თანასწორობა იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებს (მოსარჩელეს, მოპასუხესა და მესამე პირს) თანაბარი ზომით აქვთ თავისი უფლებების დაცვის უფლება სასამართლო პროცესზე პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. საერთო საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებთან ერთად კანონი მხოლოდ სამოქალაქო პროცესის მხარეების კუთვნილ უფლებებს ითვალისწინებს. ეს არის დისპოზიციური უფლებები, მიმართული როგორც წესი პროცესის ობიექტის განკარგვისაკენ, მისი ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლისაკენ. ე.ი. მხარეები, სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, ეგრეთ წოდებული განმკარგულებლობითი უფლებამოსილებებით არიან აღჭურვილნი, რომელიც მათ, როგორც სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტებს, საშუალებას აძლევს სასამართლო განხილვის საგანზე მოახდინონ გავლენა, მათ შორის შეცვალონ იგი, აგრეთვე მათი კუთვნილი მატერიალური და საპროცესო უფლებამოსილებები განკარგონ. აღნიშნული უფლებით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებიც სარგებლობენ. მათ შეუძლიათ მოხსნან თავისი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა თავის სარჩელზე მოპასუხისადმი; განაცხადოს მთლიანი ან ნაწილობრივი უარი სასარჩელო მოთხოვნაზე;[257] საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალონ თავისი სარჩელის საფუძველი;[258] რაც შეეხება მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მას აღნიშნული უფლებამოსილება არ შეიძლება გააჩნდეს თავისი არსიდან გამომდინარე. მოსარჩელის მიერ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობითაა დასაშვები. საქმის მომზადების სტადიაზე, როგორც წესი, მესამე პირი საქმის განხილვაში არ მონაწილეობს. იგი სხვის პროცესში შეჭრილ პირს წარმოადგენს, სადაც დავის საგანი უკვე განსაზღვრულია. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება, თუ კანონით ამ გამონაკლისსაც ხაზი გაესმება.

---

[257] *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005, 180.

[258] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «Контракт»; «Инфра-М», 2008, 45, http://uristinfo.net/.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის გაზრდისა და შემცირების უფლებას, მოცემული ქმედება არ შეიძლება სარჩელის საგნის შეცვლად იქნეს განხილული, ვინაიდან საუბარი მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის დაზუსტებაზეა. ამიტომ, მესამე პირს შეუძლია შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს. აღსანიშნავია რომ მოქმედ სსკ-ში აღდგენილია სასამართლო კონტროლი მოსარჩელის ისეთ დისპოზიციურ უფლებაზე, როგორიცაა - სარჩელზე უარის თქმა. კანონი უშვებს სასამართლოს მიერ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიუღებლობის შესაძლებლობას პროცესის გარკვეულ სტადიაზე, მოპასუხის თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში. ასეთივე უფლება გააჩნია აგრეთვე მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. მას შეუძლია საქმის მსვლელობისას უარი თქვას თავის სარჩელზე, რომელიც თავდაპირველი მოსარჩელის ან მოპასუხის ან ორივეს მიმართაა წარდგენილი. ამით იგი უარს ამბობს თავის მატერიალურ მოთხოვნაზე თავისი მოპასუხის მიმართ, მაგრამ ეს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მოსარჩელის მიერ წარდგენილის სარჩელის განხილვას არ აბრკოლებს.

რაც შეეხება სარჩელის ცნობას, ესეც –მნიშვნელოვანი დისპოზიციური ქმედებაა. მაგრამ, რადგან მოპასუხის უფლებას განეკუთხვენა მისი პროცესუალური პოზიციიდან გამომდინარე, აღნიშნული უფლებით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი ვერ ისარგებლებს, გარდა იმ შემთხვევისა თუ მის სარჩელზე შეგებებული სარჩელია შეტანილი და იგი ამ სარჩელს ცნობს. ხოლო მისი სარჩელი შეიძლება ცნობილ იქნეს მესამე პირის მოპასუხეების მიერ, ე.ი. თავდაპირველი მოსარჩელის ან მოპასუხის ან ორივეს მიერ, იმისდა მიხედვით, თუ ვის მიმართაა წარდგენილი მესამე პირის სარჩელი.

დაბოლოს მხარეებს უფლება აქვთ დადონ მხარეთა მორიგება, რომელსაც ძალა მხოლოდ სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შემთხვევაში აქვს. მხარეთა მორიგების დადება მხოლოდ სადავო მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შეუძლიათ. (მოსარჩელე მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). შესაბამისად, ის შესაძლოა იყოს ორმხრივი ან სამმხრივი, მესამე პირსა და მის მოპასუხე მხარეებს/მხარეს შორის.

რაც შეეხება საკითხს, გააჩნია თუ არა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირს მტკიცების ვალდებულება, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისევე, როგორც მოსარჩელე, ვალდებულია დაამტკიცოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა,[259] „გამომდინარე იქიდან, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შესაძლოა შეეხოს მესამე პირის უფლებებს და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დაუმტკიცებლობით დამდგარი არახელსაყრელი შედეგი შეიძლება გავრცელდეს მესამე პირზე, უნდა დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირიც წარმოადგენს მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტს.”[260]

---

[259] *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 154

[260] *გაგუა ი.*, სადისერტაციონაშრომი: მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში”, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 20.

გარდა ზემოჩამოთვლილისა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირს აგრეთვე უფლება აქვს თავის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის ჩართვა მოითხოვოს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონით პირდაპირ არაა განსაზღვრული.

მესამე პირებმა, ისევე როგორც საქმეში მონაწილე სხვა პირებმა მათთვის მინიჭებული საპროცესო უფლებები კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენონ. უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტის დადგენის, პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების და აგრეთვე სხვა ქმედებების შემთხვევაში, რაც საქმის სწორად და სწრაფად გადაწყვეტას აბრკოლებს, საქმეში მონაწილე პირებს კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები ეკისრებათ. მათ ყველა კუთვნილი საპროცესო უფლება კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენონ.[261] ამ უფლებების გამოყენების გარანტიას წარმოადგენს სასამართლოს ვალდებულება საქმეში მონაწილე პირებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს მათი პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობების შესახებ განუმარტოს. საქმეში მონაწილე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან წესები სასამართლო სხდომაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლით განსაზღვრულია ის სანქციები, რომლებიც შეიძლება სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის დაეკისროთ: კერძოდ ჯარიმები, სასამართლო დარბაზიდან გაძევება, პატიმრობა და ა.შ. იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებულადაა გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ არსებობს თუ არა მხარეთა ვალდებულება - იყვნენ მართალნი, მაშინ, როცა მოწმეებს აღნიშნული მოვალეობა პირდაპირ აკისრიათ. ასეთი მოვალეობის აღწერისათვის უკეთესი გამონათქვამია სისწორე. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა დაუსაბუთებელი სარჩელის არაკეთილსინდისიერად შეტანის ან სარჩელის წინააღმდეგ დავისა და საქმის სწრაფად და სწორად გადაწყვეტისათვის სისტემატიურად ხელისშემშლელისადმი სანქციის დაკისრების საფუძველს იძლევა. სწორედ ამიტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის თაობაზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. პალატამ განმარტა, რომ: მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციაში. მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს თანაბრად იცავს. ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (ბოროტად გამოყენება) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს, თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეულ შემთხვევაში პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. კერძოდ, ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაშვებია გამონაკლისი „ადამიანის

---

[261] *Сергеев Н. А.*. Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, 2, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტიანი უფლების გამოყენებისას.[262] სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის.[263]
ასეთია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების საერთო უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მისი სამოქალაქო საქმის განხილვაში მონაწილეობისას უნდა შესრულდეს.

9. სასამართლო ხარჯები

მესამე პირებზე ვრცელდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ყველა მატერიალური და საპროცესო შედეგი.[264] სასამართლო გადაწყვეტილებით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ხდება, როგორიცაა სასამართლო ხარჯების გადანაწილება. ასევე, მესამე პირების სამოქალაქო პროცესში მონაწილეობისას, ყურადსაღებია სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი. მესამე პირს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უფლება აქვს ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს. და პირიქით, მისი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია სასამართლოს ხარჯები აუნაზღაუროს ერთ ან ორივე მხარეს იმისდა მიხედვით, თუ ვის მიმართ იყო წარდგენილი მისი სარჩელი.[265] „დაწყებულ პროცესში შესული პირის საპროცესო სტატუსის შესახებ საკითხის სწორი გადაწყვეტა სასამართლო ხარჯების სწორად განაწილებასაც განაპირობებს. თუ მესამე პირმა სარჩელი აღძრა მხოლოდ მოსარჩელის მიმართ და სარჩელი დაკმაყოფილდა, მაშინ მესამე პირს უფლება აქვს ხარჯების ანაზღაურება მოსარჩელისაგან მოითხოვოს. თუ სარჩელი ორივე მხარის მიმართაა წაყენებული და დაკმაყოფილდა, ორივე მხარემ უნდა აუნაზღაუროს სასამართლო ხარჯები მესამე პირს. თუ მესამე პირმა სარჩელი აღძრა მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ, მაშინ მას სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აქვს მოპასუხისაგან სასამართლო ხარჯების ანაზღაურების უფლება”.[266] უკვე დაწყებულ პროცესში ჩართულ პირთა პროცესუალური მდგომარეობის საკითხის სწორი გადაწყვეტიდან გამომდინარეობს სასამართლო ხარჯების სწორად განაწილებაც. თუ მესამე პირმა სარჩელი მხოლოდ მოსარჩელეს წარუდგინა და დაუკმაყოფილეს, მაშინ მას აქვს მოსარჩელესგან ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თუ სარჩელი ორივე

---

[262] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – იედემსკი და იედემსკა პოლონეთის წინააღმდეგ.
[263] სუსგ საქმე №ა- 998-ა-7-2011.
[264] *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი, 180 გვ.
[265] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва – 1962, 23.
[266] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 131.

მხარის მიმართაა შეტანილი და დაკმაყოფილებულია, სასამართლო ხარჯები მესამე პირს ორივე მხარემ უნდა აუნაზღაუროს. თუ საქმეში ჩართულმა პირმა სარჩელი შეიტანა მხოლოდ მოპასუხისადმი, იგი თანამოპასუხედ ითვლება და მოპასუხისაგან სასამართლო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.[267]

10. საქმეში მესამე პირად დაშვებაზე განჩინების გასაჩივრება

უკვე დაწყებულ საქმეში მესამე პირის ჩართვის პირობაა თავდაპირველი მხარეებისა და მესამე პირის მატერიალურ სამართლებრივი ინტერესების ურთიერთდამოკიდებულება. თუ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს, სასამართლო საქმეში მესამე პირს არ დაუშვებს.
აღნიშნულთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება შემდეგი საკითხები:
1. შეუძლიათ თუ არა მხარეებს საქმეში მესამე პირის ჩართვის შესახებ გამოტანილი განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრონ თუ მიაჩნიათ, რომ მესამე პირი საქმეში არასწორადაა ჩართული.
2. შეუძლიათ თუ არა მესამე პირებს კერძო საჩივარი შეიტანონ, თუ სასამართლოს დადგენილებით თავდაპირველ მხარეებს შორის მიმდინარე პროცესში მესამე პირად ჩართვაზე უარი ეთქვათ.
მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესკო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია, რომ მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრების გათვალისწინებით სასამართლო წყვეტს, აღნიშნულის რეალიზება დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსით უკვე ნაკლებადაა შესაძლებელი და შესაძლოა აღნიშული პუნქტი პირვანდელი ვერსიიდან „შემორჩენილს" წარმოადგენს შემდეგი მიზეზების გამო:
დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის სარჩელი სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირდება და რეგისტრაციის შემდეგ პირი მოიპოვებს „დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის" საპროცესო მდგომარეობას.[268] ვინაიდან, მესამე პირების სარჩელის მიღება და განხილვა საერთო წესების დაცვით წარმოებს, შესაბამისად, მათ სარჩელებზეც სსსკ-ს 183-187-ე მუხლების მოთხოვნები ვრცელდება. 2011 წლამდე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა მოსამართლის მიერ სარჩელის შეტანიდან 5 დღის ვადაში განჩინების მიღებას სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე: მოსამართლე ვალდებულია, სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ. სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება, მაშინ – ამ ვადის გასვლის შემდეგ."[269] მესამე პირი „დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის" საპროცესო მდგომარეობას სწორედ ასეთი განჩინების მიღების შემდეგ მოიპოვებდა. აღნიშნული წესი

---

[267] *Мусина В.А.; Чечина Н. А.,.Чечот Д. М.,* Гражданцкий процесс; Учебник, Проспект; Москва – 1998, 45.

[268] *ლილუაშვილი ო., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 153.

[269] www.matsne.gov.ge საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრისკანონი №5669 - სსმ I, №1, 03.01.2008 წ.,

რუსეთისა[270] და პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში დღემდე არსებობს. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ სასამართლოს განჩინება დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ არ არსებობდა, მაშინ არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირი არსებობდა, მიუხედავად მისი სარჩელის საქმეში არსებობისა. მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით მოიპოვებდა ყველა იმ უფლებას რაც კანონით მისთვისაა გათვალისწინებული, არა მის მიერ სარჩელის აღძვრის, არამედ სასამართლოს მაგრამ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების მიღების მომენტიდან."[271] ხოლო 2011 წლის 11 დეკემბრის 5667 კანონით სსკ-ში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება აღარ ეკისრება.[272] თუმცა, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს კოდექსით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე დასაბუთებულ განჩინებას გამოიტანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირი მესამე პირის საპროცესო მდგომარეობას სარჩელის კანცელარიაში დარეგისტრირებიდან 5 დღის გასვლის შემდეგ მოიპოვებს, იმ შემთხვევაში თუ მოსამართლის მიერ ზემოაღნიშნული განჩინება გამოტანილი არ იქნება. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასევე უარის თქმის გარკვეული საფუძვლებით (სსსკ-ის 186-ე მუხლის „ე", „ზ" და „თ" ქვეპუნქტები) მოსამართლის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა პირს ხელს არ უშლის, განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

დღესდღეობით საზღვარგარეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში მესამე პირების ჩართვის თაობაზე კვლავ ხდება მხარეთა მოსაზრებების გაზიარება. მაგალითად ყურადსაღებია, ის რომ გფრ-ს სსკ-ს 65-ე პარაგრაფი ითვალისწინებს საქმეში მესამე პირის ჩართვის შეჩერებას. „ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით შესაძლებელია შეჩერდეს საქმეში იმ მესამე პირის ჩართვის შესახებ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს".[273] ე. ი. მხარეებს შესაძლებლობა აქვთ თავიდან აირიდონ დავაში მესამე პირის ჩართვა დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში. ასეთ დროს მესამე პირს ისღა დარჩენია, რომ დამოუკიდებელი სარჩელით სასამართლოს მიმართოს. ასეთივე რეკომენდაციას იძლევა ტრანსნაციონალური

---

[270]Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 49, 2005,<http://uristinfo.net/>.

[271]*ლილუაშვილი თ.,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, გამომცემლობა ჯი-სი-აი, თბ. 2005, 126-129.

[272]www.matsne.gov.ge, საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრისკანონი№5667–ვებგვერდი, 30.12.2011წ.

[273]Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver , Москва, 2006, 20.

სამოქალაქო პროცედურების პრინციპები და წესები.[274] რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, ზემოაღნიშნული ცვლილებით, ფაქტობრივად უარი იქნა ნათქვამი მხარეთა აზრის მოსმენაზე, ასევე მათ შესაძლებლობაზე მესამე პირის საქმეში ჩართვის თაობაზე განჩინება გაასაჩივრონ, იმ შემთხვევაში მას თუ არ ეთანხმებიან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავისებურებაა, ის, როცა განჩინებაზე არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა და მისი გასაჩივრებაც დაუშვებელია ამ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთადაც. ასეთი სახის გადაწყვეტილებას მიეკუთვნება ზემდგომი სასამართლოს განჩინება, რომელიც გამოტანილია კერძო საჩივრის თაობაზე.[275]

მხარეთა მოსაზრების გათვალისწინებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებაც არსებობდა: თუ კერძო საჩივრით გასაჩივრებას დაქვემდებარებული განჩინებების კრიტერიუმის მიხედვით ვიმსჯელებთ და მოქმედი კანონმდებლობით სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირის ჩართვის შესახებ არ შეიძლება გასაჩივრდეს მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ, ვინაიდან აღნიშნული განჩინება აღმკვეთი არაა და საქმის წარმოების შეფერხებას არ იწვევს – მესამე პირის ჩაბმის შემდეგ პროცესი თავდაპირველ მხარეებს შორის გრძელდება. მხარეს, რომელსაც გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეაქვს, შეუძლია მასში ყველა ის მოსაზრება ასახოს, რატომაც მესამე პირის საქმეში ჩართვის განჩინებას არასწორად მიიჩნევს.[276] მხარეებს მესამე პირის დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ სასამართლოს განჩინების კერძო წესით გასაჩივრება არ უნდა შეეძლოთ, ვინაიდან ამ განჩინებით მხარეთათვის საქმის შემდგომ მსვლელობას საფრთხე არ ექმნება. პროცესი გრძელდება და მხარეს, რომლის წინააღმდეგაც იქნება გადაწყვეტილება გამოტანილი, საკასაციო საჩივრის შეტანისას შესაძლებლობა აქვს მასში ასახოს მოსაზრება, თუ რატომ თვლის არასწორად მესამე პირის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებულ სასამართლოს განჩინებას, და რატომ აბრკოლებს საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის პროცესს.[277]

სასამართლოს უფლება აქვს დაინტერესებულ პირს უკვე დაწყებულ პროცესში მესამე პირად ჩართვაზე უარი უთხრას, თუ ჩათვლის რომ მისი მოთხოვნა დავის საგნისკენ არაა მიმართული, ან თუ ჩათვლის რომ აღნიშნული მოთხოვნისა და თავდაპირველი სარჩელის ერთად განხილვა მიზანშეწონილი არ იქნება. ამ შემთხვევაში სსსკ-ს 187-ე მუხლით გარანტირებულია მესამე პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დაცვა. ეს მუხლი მესამე პირს მოსარჩელისნაირად უფლებას აძლევს საქმეში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივროს.

---

[274] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT principles of transnational civil procedure Appendix: Rules of transnational civil procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January, 2005;

[275] *წოქვაძე მ.,* განჩინება სამოქალაქო პროცესში და მისი გასაჩივრების წესი, თბილისი, 2004, 115.

[276] *Мельников А.А.* Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва, 1981.

[277] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 34.

11. სასამართლო გადაწყვეტილება და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გავლენა

საერთო წესების თანახმად საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერი ძალა არ შეიძლება იმ მესამე პირებზე გავრცელდეს, რომლებიც საქმეში არ მონაწილეობენ და თავიანთი უფლებების დასაცავად დამოუკიდებელი სარჩელის შეტანა შეუძლიათ. თუ თავდაპირველ მხარეებს შორის გამოტანილი გადაწყვეტილება თავისთავად, იურიდიულად საქმეში არამონაწილე მესამე პირისათვის სულ ერთი არ არის და უშუალოდ მის უფლებებს არღვევს, ამ გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლოა ძალიან მძიმედ აისახოს მის უფლებებზე, თუ მას დროულად არ აღმოფხვრის. საბოლოო გადაწყვეტილებისათვის სადავო ქონების შენახვის მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო პროცესის სპეციალური ინსტიტუტი – სარჩელის უზრუნველყოფა. [278]

ძირითადი მხარეებისა და მესამე პირის სარჩელის გაერთიანების შედეგად ერთი გადაწყვეტილება გამოდის, რომელიც დავის ყველა მონაწილის იურიდიული ურთიერთობის არსებობა - არ არსებობას ადასტურებს, წყვეტს რა ორ სადავო სამართალურთიერთობას – თავდაპირველ მხარეებს შორის და მხარეებსა და მესამე პირს შორის. შესაბამისად პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მოსარჩელე-მესამე პირის მონაწილეობით თავიდან იქნება აცილებული სადავო უფლებაზე ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანა.[279] თუმცა ორი სარჩელის ერთ წარმოებად გაერთიანებამ მათი სწრაფად და სწორად გადაწყვეტის მიზნით მხარეთა საპროცესო უფლებები და საპროცესო მოვალეობები ორივე სარჩელზე არ შეიძლება შეზღუდოს, ვინაიდან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების უფლებათა დარღვევა წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. თუ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლომ პროცესში ჩართო და ის არასაპატიო მიზეზის გამო სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, მის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა ექნება.

სსკ-ს თანახმად, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს, საქმეში მონაწილეობისას სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ საერთო გადაწყვეტილება. საყურადღებოა ამ ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობა. კერძოდ, საინტერესოა, რამდენად არის შესაძლებელი მესამე პირის სარჩელის არსებობისას გამოვიყენოთ სსკ-ის 245-ე მუხლი, რომელიც ნაწილობრივი გადაწყვეტილების ინსტიტუტს ეხება. ამ მუხლის თანახმად, თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება

---

[278] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 35.

[279] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, 6-е изд. Издательство Волтерс Клувер, 2006, 40.

ამ მოთხოვნის მიმართ. ნაწილობრივი გადაწყვეტილება, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ-ერთი – სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.
თუმცა, ვფიქრობ, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება საქმეზე გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება, როცა პროცესში ჩართულია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირი, ვინაიდან ნორმა, რომლის თანახმადაც ასეთ დროს გამოდის მხოლოდ საერთო გადაწყვეტილება, იმპერატიული დანაწესია და ხელს უწყობს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის პრევენციას.
მესამე პირების ინსტიტუტის პრაქტიკაში რეალიზება გარკვეულ პრობლემატიკასთანაა დაკავშირებული, ერთ-ერთ მათგანს მესამე პირების მიერ დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა წარმოადგენს, მაშინ როდესაც დავის საგანთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. „არსებობს საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ პირი, რომლის უფლებებს და მოვალეობებსაც ეხება კონკრეტული საქმე, საქმის განხილვაში არ მონაწილეობდეს. სპეციალისტის მითითებით, არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ მესამე პირმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების გარეშე დაიწყოს დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება, რადგან სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის პირდაპირი საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, თუმცა პრაქტიკაში ასე არ ხდება და საერთო სასამართლოები ასეთ სარჩელებს არ იღებენ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სასამართლოები თავიდან იცილებენ ერთი დავის საგანზე ორი გადაწყვეტილების არსებობას. შესაბამისად, მესამე პირებისთვის უფლების დაცვის ამ საშუალების გამოყენება არაეფექტური იქნებოდა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პირობებში არაეფექტური იქნებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, რადგან გადაწყვეტილებით დადგენილი კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება პრობლემურია.”[280] სასამართლოს ამგვარი მიდგომა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არასწორ პრაქტიკას აქვს ადგილი, რაც მესამე პირების კონსტიტუციით დადგენილი და გარანტირებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლების არამართებულად შეზღუდვას იწვევს. მოცემული მიდგომით პოტენციურ მესამე პირებს, რომლებსაც საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ და არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისათვის ერთადერთი გზა რჩებათ: სასამართლოს მიმართონ ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის. სწორედ ასეთი პრაქტიკის გამო განხორციელდა აღნიშნული პრობლემატური საკითხის რეგულირება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა №531 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განიხილა

[280] 2013 წლის 5 ნოემბერის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

მოსარჩელე მხარის მტკიცებით, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა, რაც სამოქალაქო დავაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისთვის დაწესებულ 5 წლიან ვადას უკავშირდება, წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დარღვევას. რადგან, შესაძლებელია, სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს პირის უფლებების ხელყოფა ისე, რომ თავად მესაკუთრემ ამის შესახებ არაფერი იცოდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მან ხუთი წლის განმავლობაში ამის თაობაზე ვერ შეიტყო, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოს მიმართოს და მისი მეშვეობით საკუთარი უფლებები დაიცვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მსჯელობაში აღნიშნა, რომ როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს. ამასთან, უფლების განუსაზღვრელი დროით სადავოდ ქცევა პირს ბუნდოვანების განცდას უქმნის მომავლთან დაკავშირებით. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ საქმის განახლება მოპასუხეს გაუმართლებლად მძიმე ტვირთს დააკისრებს, ვინაიდან პირმა, რომლის მიმართაც დავა განახლდება, შესაძლოა, საკუთარი ინტერესები სათანადოდ ვეღარ დაიცვას და უფლების გარდაუვალი დარღვევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ზემოაღნიშნულის მიუხედავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად სცნო სსკ-ს 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის ((სათანადო მოპასუხემ და მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის

შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

აღნიშნული გადაწყვეტილებით მესამე პირებისათვის უფლების განხორციელებისათვის დაწესებული ვადის შეზღუდვა მოიხსნა. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შემთხვევაში სამართლიანობა აღადგინა კონკრეტული პირისათვის, მაგრამ შეზღუდვის მოხსნამ სამომავლოდ შესაძლოა ამ პირების მიერ აღნიშნული უფლების ბოროტად გამოყენება, გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება გამოიწვიოს. სავარაუდოდ სწორედ აღნიშნული რისკისაგან სასამართლოებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატამ მართებულად მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გადაწყვეტილების საბოლოობისა და საპროცესო ეკონომიის პრინციპების გამყარებას ემსახურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, დაუშვებლობის გამო, განუხილველი დარჩა. განმცხადებელმა განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. სააპელაციო პალატამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო არ დააკმაყოფილა: მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისათვის დაწესებული 5 წლიანი ვადის ლიმიტი გაუქმდა, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადების შეტანისათვის გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ძალაში დარჩა. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი მოცემულობა: 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ ბათილია ნორმა, რომელიც 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ბათილობის შეზღუდვას აწესებდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა, შენარჩუნებულია აღნიშნული ფაქტის შეტყობიდან ერთთვიანი ვადის ლიმიტი, რომელიც სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას ვადით ზღუდავს. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ბათილად იქნეს ცნობილი, მიუხედავად მისი „5 წლიანი საპროცესო ხანდაზმულობისა“, აუცილებელია, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ განმცხადებელმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის, ანუ 2013 წლის 18 ნოემბრის შემდეგ შეიტყოს და ინფორმაციის მიღებიდან 1 თვის ვადაში სასამართლოს მიმართოს. თუმცა, პალატა იმ გარემოებასაც ითვალისწინებს, რომ პირებმა, რომელთაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ იცოდნენ, სასამართლოს, როგორც წესი, იმ საფუძვლით არ მიმართავდნენ, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ბათილობის 5 წლიანი ვადა გაშვებული იყო, ხოლო

მათთვის აღნიშნულ გადაწყვეტილებების შესახებ 5 წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ გახდა ცნობილი. შესაბამისად, პალატა თვლის, რომ აღნიშნულმა პირებმა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება სწორედაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოიპოვეს. ამიტომაც, მათთვის ერთთვიანი გასაჩივრების ვადა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან უნდა დაიწყოს.[281] მითითებული გადაწყვეტილებით სააპელაციო საქმეთა სასამართლომ ერთგვარად იხსნა, როგორც გადაწყვეტილების საბოლოობისა და საპროცესო ეკონომიის პრინციპი, ასევე სასამართლოები განტვირთა და სწორი პრაქტიკა დაამკვიდრა, რათა ამ საკანონმდებლო ხარვეზით გამოწვეული უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება არ მომხდარიყო.

აღსანიშნავია, რომ ამავე საკითხთან დაკავშირებით არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართოს მეორე სექციის 2010 წლის 27 მაისის განჩინება 18156/05 საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ". ამ საჩივარში საქმე ბათუმში მდებარე სახლს ეხებოდა, რომლის ნახევარიც მომჩივანმა 1994 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს 300 ევროს ეკვივალენტ თანხად კუპონებში მიჰყიდა. 2004 წლის 7 ივნისს, მომჩივანმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და 1994 წლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების, როგორც ყოფილი მინისტრის მოადგილის მხრიდან ზეწოლის შედეგად დადებულის, ბათილად ცნობა მოითხოვა. ეს სარჩელი სრულად იქნა დაკმაყოფილებული 2004 წლის 18 ნოემბერს და ქონება მომჩივნის სახელზე კანონით დადგენილი წესით აღირიცხა. 2005 წლის 10 ნოემბერს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამმოწმებელმა ნოტარიუსმა სასამართლოს მიმართა 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნით. მან აღნიშნა, რომ, როგორც ნოტარიუსი, სამოქალაქო საქმის განხილვაში ჩართული უნდა ყოფილიყო. 2005 წლის 27 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სხდომა მომჩივნის (რომელიც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს) გარეშე ჩაატარა. მან ნოტარიუსის წერილობითი და ზეპირი არგუმენტები დასაბუთებულად მიიჩნია და 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება გააუქმა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც სასამართლო თუ გადაწყვეტს საკითხს, მისი განჩინება არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ[282]. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ საქმის ხელახლა მოსმენასა და ახალ გადაწყვეტილებას მიაღწიოს. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გადახედვა ნიღბიან აპელაციად არ უნდა იქცეს და საკითხზე ორი შეხედულების არსებობა საქმის გადასინჯვის საფუძველს არ უნდა წარმოადგენდეს. ამ პრინციპიდან გადახვევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ამის აუცილებლობა არსებითი და გარდაუვალი ხასიათის გარემოებების

[281] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე 2ბ/5114-14, 20.11.2014, განთავსებულია სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში (სები), www.library.court.ge;
[282] Brumărescu v. Romania [GC], no. 28342/95, § 61, ECHR 1999 VII.

წარმოშობითაა გამოწვეული (იხ. Ryabykh, §52). გარდა ამისა, საკუთრების ინტერესის არსებობა, რომელიც სავალდებულო და საბოლოო განჩინებითაა დადასტურებული, განჩინების ბენეფიციარის „საკუთრებას“ წარმოადგენს №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლით დადგენილი მნიშვნელობით. ასეთი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა საკუთრებით სარგებლობაში ჩარევას უტოლდება.[283]

სასამართლოსათვის ყველაზე სამწუხარო ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ ნოტარიუსმა, რომელიც პირველი სამოქალაქო საქმის მხარე არც ყოფილა, მიაღწია 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1 (ბ) პუნქტის საფუძველზე. სინამდვილეში აღნიშნული დებულება პროცესის რეალურ მხარეებს შეეხება და უზრუნველყოფს მათი პროცესუალური უფლებების დაცვას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კუთხით. ლოგიკურად, პირი, რომელიც პროცესის მხარე არ ყოფილა, მისი პროცესუალური უფლებების შელახვას ასეთი პროცესის მსვლელობისას ვერ გაასაჩივრებს. რომც ჩაითვალოს, რომ განმცხადებლის სამოქალაქო სარჩელით ნოტარიუსის პროფესიონალური რეპუტაცია დაზარალდა, მაშინაც ისეთი რადიკალური ზომის სანაცვლოდ, როგორიც საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იყო, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მხრიდან უფრო შესაფერისი ქმედება იქნებოდა ნოტარიუსისათვის რჩევა მიეცა განმცხადებლის წინააღმდეგ ახალი სარჩელის შეტანის შესახებ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რაც არღვევდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს და ჩარევა იყო განმცხადებლის მიერ მაზნიაშვილზე მდებარე სახლით სარგებლობის უფლებაში, წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე პროცესის განახლების არასწორ გამოყენებას, რაც გამართლებული არ იყო არსებითი ან გარდაუვალი ხასიათის გარემოებებით და ამით განმცხადებელს ზედმეტი და არაპროპორციული ტვირთი დააწვა.[284] შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით და პირველი დამატებით ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას ჰქონდა ადგილი. საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა მომჩივნისთვის სადავო ქონების საკუთრებაში დაბრუნება (restitutio in integrum). შეუძლებლობის შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ მხარეებს მიუთითა, რომ შეთანხმდნენ „გონივრული“ კომპენსაციის ოდენობაზე გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ უფლებას დაიტოვა თავად განსაზღვროს ამგვარი კომპენსაციის ოდენობა. გარდა ამისა, მომჩივანს მორალური ზიანის კომპენსაციის სახით 5 000 ევრო მიენიჭა.

აღნიშნული გადაწყვეტილება პირდაპირ რეკომენდაციას იძლევა იმისათვის, რომ მსგავს შემთხვევებში, მესამე პირმა ახალი სარჩელი უნდა შეიტანოს. აღსანიშნავია, რომ საქმეზე სისწორის დადგენა საქმის

[283] Burdov v. Russia, no. 59498/00, § 40, ECHR 2002-III.

[284] Smirnitskaya and Others v. Russia, no. 852/02, §§45 and 53, 5 July, 2007; Gavrilenko v. Russia, no.30674/03, §§37 and 41, 15 February 2007; Rahmanova v. Azerbaijan, no. 34640/02, §§ 65 and 73, 10 July 2008.

ყოველმხრივ განხილვის შემდეგაა მიღწევადი. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო ეკონომიის პრინციპის დაცვა სასამართლოებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა, აღნიშნული სხვა ასევე მნიშვნელოვანი პრინციპების უგულვებელყოფას არ ნიშნავს. სასამართლოსათვის ყველა ფუნდამენტური პრინციპი თანაბრად მნიშვნელოვანი, პროპორციული უნდა იყოს, რათა ერთი პრინციპის დაცვით მეორე არ დაირღვეს. საკანონმდებლო ხარვეზებისა და კანონშემოქმედების დონის მიუხედავად სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულება უწყვეტად უნდა განხორციელდეს.[285]

ზემოაღნულიდან ერთ შემთხვევაში მოხდა სათანადო იურიდიული ინტერესის გარეშე პირის მესამე პირად მიჩნევა და მისი განცხადების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმება. ხოლო, მეორე შემთხვევაში სასამართლოს მიერ პოტენციური მესამე პირის მიერ შეტანილი სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღება არ მოხდა დავის საგანზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის მოტივით, რამაც მესამე პირების საკუთრების უფლების დარღვევა გამოიწვია. ამას შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ სადავო ნორმის გაუქმება მოჰყვა, რომელიც პოტენციურ მესამე პირებს 5 წლის ვადას უსაზღვრავდა ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შედარებისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნა, რომ ისინი, ორივე საკუთრების უფლებისა და სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვისაკენაა მიმართული, თუმცა გარკვეულწილად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. მოცემულ შემთხვევაში უფრო მეტად მისაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკითხისადმი მიდგომა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ არ განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილების იმ გავლენის შეფასება, რაც მესამე პირების საქმეში ჩართვის საფუძველს წარმოადგენდა. ნოტარიუსს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად საქმეში ჩართვისათვის საჭირო სათანადო იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა. ევროსაბჭოს სასამართლოების პრეცედენტული სამართლის მიხედვით „ინტერესი სასამართლოში განსახილველი საქმის შედეგებისადმი" იმ შემთხვევაში არსებობს, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია „ჩამრთველის" სამართლებრივი პოზიციაზე ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე არსებითი გავლენა მოახდინოს. პროცესში ჩართვის ნების დართვისათვის, ჩამრთველმა უნდა დაამტკიცოს რომ სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი არაპირდაპირი ინტერესი აქვს.[286] პირის ინტერესი ერთ-ერთი მხარის მიერ წამოყენებული სარჩელის წარმატების ან წაგებისათვის არასაკმარისია, თუ სასამართლოს მიერ მიღებული

[285] *ჭანტურია ლ.* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 26.

[286] *European Parliament*, Directorate-General for international policies, Policy department, Citizens's rights and constitutional affairs, Standing up for your right(s) in Europe, 2012, 55.

გადაწყვეტილება მხარის სამართლებრივ ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას არ ახდენს.
მითითებული პრობლემური საკითხის გადაჭრის ყველაზე ოპტიმალურ საშუალებას კანონმდებლის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანა და სასამართლოსათვის მესამე პირების მოწვევის უფლების მინიჭება წარმოადგენს. სასამართლოს რომ შეეძლოს საკუთარი ინიციატივით ყველა იმ პირის მესამე პირად მოწვევა, რომელთა უფლებებსაც შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილება შეეხოს, შემდეგ უკვე ამ პირთა გადასაწყვეტი იქნება საქმეში მესამე პირად მონაწილეობის საკითხი და მათი საქმეში არ მონაწილეობა ვერ გახდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ ამგვარ მოსაზრებას პროცესუალისტების გარკვეული ნაწილიც იზიარებს. „სამოქალაქო დავის განხილვაში მესამე პირების ჩაბმა შეიძლება მოხდეს არა მარტო თვით ამ პირების ინიციატივით, არამედ სასამართლოს მეშვეობითაც.”[287] აღნიშნულის არგუმენტად მოყვანილია ის, რომ სსსკ-ს 201 მუხლით განსაზღვრული საქმის მომზადების პროცესში სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის მიცემული დავალების დროს პასუხში მითითებული უნდა იყოს, ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირებად. ხოლო სსკ-ს 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის მომზადების მიზნით მოსამართლე წყვეტს მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხს.
მესამე პირების საქმეში მონაწილეობის თაობაზე ასეთივე მოსაზრება აქვს თბილისის სააპელაციო სასამართლოსაც:
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონტექსტში დაინტერესებულია პირი, რომლის უფლებრივ მდგომარეობასა ან/და ინტერესებზე ზეგავლენას ახდენს საქმის განხილვის შედეგი. განსახილველი საქმე ეხებოდა უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. პალატამ განმარტა, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლო უფლებრივად უნაკლო ქონებას აბრუნებს, საქმის წარმოების პროცესში ყველა ის სუბიექტი უნდა მონაწილეობდეს, რომელიც აღნიშნულ ქონებაზე პრეტენზიას აცხადებს, ანუ რომლის უფლებაც აღნიშნულ ქონებას უფლებრივად ნაკლიანად აქცევს. პალატამ განმარტა, რომ იმთავითვე ნათელი იყო, რომ სასარჩელო წარმოება უძრავი ქონების მოპასუხის სახელზე რეგისტრაციას ემსახურებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელესა და მოპასუხის ერთობლივი მოქმედება ნამდვილი გარიგების შესრულების მიზნებს არ ემსახურება, ასეთ ვითარებაში, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. წარმოდგენილი გარიგების მოჩვენებითობა, თვალთმაქცურობა, თუ სხვა სახის კანონწინააღმდეგობა, მესამე პირის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია, რომელთა დადასტურებაც,

[287] *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 150.

საპროცესო სამართლებრივად, მხოლოდ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის პირობებშია შესაძლებელი (მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). პალატამ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მორიგებას, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, უთანაბრდება სარჩელის ცნობა, ასევე მხარეთა მხრიდან სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე სრულად დათანხმება და გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმა. აღნიშნული საპროცესო მოქმედებები ერთობლიობაში იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რომ მხარეები სასამართლო გადაწყვეტილების ამგვარ სამართლებრივ შედეგზე იმთავითვე მორიგებულები იყვნენ. შესაბამისად, ასეთ პირობებში, აუცილებელია სასამართლო სამართალწარმოებაში იმ მესამე პირის ჩაბმა, რომლის მოთხოვნის უზრუნველსაყოფადაც გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება.[288]

აღსანიშნავია, რომ საკითხისადმი მსგავსი მიდგომა აქვს გერმანულ სამართალსაც. გარდა ზემოაღნიშნულისა, გერმანული პროცესი ასევე ითვალისწინებს რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სამოქალაქო პროცესში შესაძლებელია ისეთი გარემოებები შეიქმნას, რომლის დროსაც მესამე პირს საქმის განხილვაში მონაწილეობის საშუალება უნდა მიეცეს. სამაგალითოდ შემდეგი შემთხვევაა მოყვანილი: როდესაც სასამართლო იხილავს „ა "პირის დავას და იცის, რომ მას გააჩნია თანამესაკუთრე „ბ". თანამესაკუთრის საქმეში ჩართვისათვის საკმარისია სასამართლოს დადგენილება „ა" ინფორმირების გარეშე.[289] სასამართლო ვალდებულია საქმეში ჩართოს მესამე პირი, თუ გადაწყვეტილება ამ პირის კანონიერ ინტერესებს პირდაპირ შეეხება.[290] თუმცა თუ პირი არ იქნება ჩართული, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილად არ ჩაითვლება.[291] მესამე პირებს შეუძლიათ გადაწყვეტილების მიმართ განახორციელონ სამართლებრივი ქმედებები.[292] ეს გასაჩივრებისათვის განსაზღვრულ ვადაში უნდა მოხდეს.

კანონმდებლობაში იმგვარი დანაწესები არსებობს, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობითაც კი, მხარეებს ქონების თვალთმაქცურად დარეგისტრირების საშუალებას აძლევს. აღნიშნულის თავიდან აცილება მარტივად შესაძლებელია სასამართლოსათვის მესამე პირების მოწვევის უფლების მინიჭებით. ვინაიდან „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო მხოლოდ კანონის ნების აღმსრულებლად და კანონის შემფარდებლად არ გვევლინება. სასამართლოს ამოცანა უფრო მეტია ვიდრე კანონის შეფარდება. სასამართლომ სამართლიანობა უნდა აღადგინოს"[293]

---

[288] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე 2ბ/1453-15, 29.01.2016, განთავსებულია სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში (სები), www.library.court.ge

[289] Vgl. Bundesverfassungsgericht 1982, 1635;

[290] BVerfG, NJW 1967, 492, (492);

[291] *Wieczorek B. Schütze R. A:* Zivilprozessordnung und Nebengesetze, Band 1: Einleitung, §§ 1-127a, Teilband 1: Einleitung, §§ 1-49, 3. Auflage 1994, Berlin/New York, (Fn 67) Vor § 64 Rn 18.

[292] Vgl BGH, NJW 1984, 353 zu § 640 e ZPO aF.

[293] *გაგუა ი.* სადისერტაციო ნაშრომი მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 15.

V. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ცნება

დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში მონაწილეობას აქვს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე, პროცესუალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ინსტიტუტი პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება და რიგ შემთხვევებში მათი საქმეში ჩართვის აუცილებლობა მატერიალური სამართლის ნორმებითაა გათვალისწინებული. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის პროცესში მონაწილეობის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების არახელსაყრელი შედეგები თავიდან აიცილოს. ამასთან, მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე შეუძლიათ ახსნან გარკვეული გარემოებები, რომელიც მხარისათვის შესაძლოა უცნობი იყოს ან მხარეს მათი დამოუკიდებლად მტკიცება არ შეეძლოს.[294] დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობა მთელი რიგი საპროცესო ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს: პირველ რიგში საქმეში მესამე პირად ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალურ სამართლებრივ უფლებათა დაცვას, მეორეს მხრივ მხარეთა სუბიექტური უფლებების დაცვას, მესამე მხრივ საქმის გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევას და მეოთხე მხრივ სასამართლო დროისა და რესურსის ეკონომიას.[295] მესამე პირები ხელს უწყობენ ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო პრინციპების რეალიზებას, როგორიცაა საპროცესო ეკონომიისა და გდაწყვეტილების საბოლოობის პრინციპები. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ინსტიტუტი განსაკუთრებულია, ვინაიდან სამოქალაქო პროცესში არ არსებობს საქმეში მონაწილე სხვა პირი, რომელსაც მისი მსგავსი უფლებათა მოცულობა, საქმეში მონაწილეობის ფორმა გააჩნია. იგი პროცესის განსაკუთრებული სუბიექტია. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ინსტიტუტის ყოველმხრივ შესწავლისათვის, უპირველეს ყოვლისა, გააზრებულ უნდა იქნეს მისი არსი, აგრეთვე მიზანი, რომელსაც მათი საქმეში მონაწილეობა ემსახურება და ის თავისებურებები, რაც ამ ინსტიტუტს გააჩნია. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ „საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო საქმეთა განხილვაში დამოუკიდებელი მოთხოვნით ისეთ პირებს აბამენ, როგორებიცაა ქალაქის მერია, გამგეობები, სხვადასხვა ინსპექციები, ნოტარიუსები და ა.შ. ზოგჯერ გაუგებარია და არაა მოტივირებული სასამართლოების მიერ თუ რომელი მხარის დასახმარებლად ჩაებნენ

---

[294] *Сергеев Н. А.* Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html.

[295] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 78, http://uristinfo.net.

ისინი პროცესში.[296] ასეთი პრაქტიკა პროცესუალისტების მიერ უარყოფითადაა შეფასებული.
დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირები სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტებად არ ითვლებიან და გადაწყვეტილების იურიდიული შედეგით დაინტერესებული პროცესის მონაწილეები არიან. მათ ინტერესს კერძო ხასიათი აქვს და მათი სუბიექტური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავადაა მიმართული, თუმცა ეს უკანასკნელი მოცემული სასამართლო განხილვის სუბიექტს არ წარმოადგენს. მესამე პირების დაინტერესება საქმის განხილვის შედეგისადმი იმითაა განპირობებული, რომ მესამე პირი მატერიალური სამართალურთიერთობითაა დაკავშირებული მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან, მათ მიმართ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები აქვს, რომლებზეც მიღებულმა სასამართლო დადგენილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის საქმის განხილვაში მონაწილეობის შედეგს წარმოადგენს მისთვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მიერ. ხოლო საქმეში ჩაურთველობის, პასიურობის შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი მისთვის არასასურველი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა იქნება, რომელიც ერთ-ერთი მხარის მიმართ მის უფლებებსა და მოვალეობებზე გავლენას ახდენს.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე დათმობილი აქვს 89-ე და 90-ე მუხლები. 89-ე მუხლი მუხლი ადგენს იმ ძირითად მოთხოვნებს, რაც წაეყენება პირს, იმისათვის რომ ჩაბმულ იქნეს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სტატუსით საქმისწარმოებაში. ამ მუხლის თანახმად: ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც დავის საგანზე ან მის ნაწილზე დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აცხადებს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა იგი დაუშვას საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლო წყვეტს.
დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის ინსტიტუტის სრულყოფილი ანალიზისათვის, აუცილებელია თავდაპირველად გარკვეულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობაში დღეისათვის არსებული მესამე პირების ინსტიტუტი, ტერმინი და ცნება საიდან იღებს სათავეს. ამასთან, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საკითხის განხილვისას, არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ პროცესის ანალოგიურ სუბიექტებთან საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო სამართალში. საზღვარგარეთის ქვეყნებში ტერმინს მესამე პირები, ასევე მესამე პირების დაყოფას დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობა/არ არსებობის მიხედვით ნაკლებად ვხვდებით, აღნიშნულს ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აქვს ადგილი, მათ შორის საქართველოშიც. მაგალითისათვის, გერმანულ სამართალში

[296] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 156.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩართვას დამხმარე ჩართვა (Nebenintervention – auxiliary intervention) ეწოდება. ნიდერლანდებში მესამე პირები მხარეების მსგავსად სამოქალაქო საქმისწარმოებას იმ მიზნით უერთდებიან, რომ ერთ-ერთი მოდავე მხარის პოზიციის ხელშემწყობი ფაქტები და არგუმენტები განავრცონ. ასეთ ჩართვას შეერთება (voeging (joinder)) ეწოდება.[297] გერმანული სამოქალაქო პროცესის მსგავსი მიდგომა აქვს ასევე, იაპონიის სამოქალაქო პროცესს: სსკ-ს მესამე თავის მე-3 ნაწილის 42-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მესამე პირს, რომელსაც საქმის დასასრულისადმი ინტერესი აქვს, შეუძლია საქმის განხილვაში მხარეთა დახმარების მიზნით ჩაერთოს. ასეთ ჩართვას დამხმარე ჩართვა (supporting intervention) ეწოდება. [298]

ტერმინი „მესამე პირი - დამხმარე" იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულ იქნა რუსი პროცესუალისტების მიერ, იმ არგუმენტით, რომ მხარესა და მესამე პირს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას არ პასუხობდა. „დახმარება" დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მონაწილეობის მიზანს არ წარმოადგენს. მისი მიზანია – თავისი ინტერესების, ერთ ერთ მხარესთან თავისი ურთიერთდამოკიდებულების დაცვა.[299] ტერმინ „დამხმარეს" პირობითი ტექნიკური მნიშვნელობა აქვს, რომელიც იმ მრავალ შემთხვევას შეესაბამება, როცა იგი გამოიყენება.[300] დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის საფუძვლის საკითხზე თეორიული მსჯელობისას მეცნიერები შემდეგ მომენტებს ითვალისწინებენ: მესამე პირი სამოქალაქო პროცესში მონაწილეობით იცავს თავის დამოუკიდებელ იურიდიულ ინტერესს. მხარისათვის დახმარება პროცესში მონაწილეობის არა ძირითადი, არამედ მეორეხარისხოვანი მიზანია. მხარე და მესამე პირი დროებითი მოკავშირეები არიან და მათი ინტერესები შესაძლოა პროცესის მსვლელობის დროსაც გაიყოს.[301] მესამე პირი შედის რა პროცესში „დამხმარის"სახით, ისწრაფვის დაეხმაროს იმ პირს, რომლის მხარეზეც იგი გამოდის, ცდილობს მიაღწიოს ხელსაყრელ გადაწყვეტილებას და ამით საკუთარი ინტერესი დაიცვას ან უზრუნველყოს საკუთარი შესაძლებლობა, სამომავლოდ წარუდგინოს მხარეს მოთხოვნა[302]. ამიტომ, ერთი შეხედვით ჩანს, რომ მხარისა და „დამხმარის" ინტერესები ემთხვევა. თუმცა მიზნისა და ინტერესების ერთიანობას მხოლოდ თავდაპირველ პროცესში აქვს ადგილი, სანამ გაირკვევა, რომ

---

[297] *Van Rhee C.H.,,* Locus standi in Dutch civil litigation in comparative perspective, in: T.Erecinski, V. Nekrosius & et al. (eds.), Recent trends in economy and efficiency in civilprocedure, Vilnius: Vilnius University Press,https://www.academia.edu/5934146/Locus_standi_in_Dutch_civil_litigation_in_comparative_perspective, 2013, 243-266.

[298] Code of civil procedure of Japan, 26.06.1996.

[299] *Абрамов С. Н.* – Гражданский процесс, II издание; дополненное и исправленное, Москва, 1950.

[300] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 49, <http://uristinfo.net>.

[301] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 38.

[302] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 49, http://uristinfo.net.

სასამართლომ იმ პირისათვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლის მხარეზეც მესამე პირი მონაწილეობს. ამ შემთხვევაში, პირს, რომლის მხარეზეც მონაწილეობს მესამე პირი, რეგრესული სარჩელის უფლება წარმოეშობა. რის შემდეგაც მხარისა და „დამხმარის" ინტერესები მკვეთრად სცილდებიან. ასეთი გაორება გავლენას ახდენს ორივეს, მხარისა და მესამე პირის საპროცესო მდგომარეობაზე: მხარეს, რომელსაც შესაძლებლობა გააჩნია მესამე პირის მიმართ რეგრესული სარჩელი წარადგინოს, შეუძლია პროცესში სრულიად პასიურად დაიცვას თავისი სამოქალაქო უფლებები. და პირიქით, მესამე პირი - დამხმარე თავისი ინიციატივისა და აქტიურობის მაქსიმუმს იჩენს პროცესში, ცდილობს ხელსაყრელ გადაწყვეტილებას მიაღწიოს, რათა მხარეს მასთან მიმართებაში რეგრესული სარჩელის უფლება არ წარმოეშვას.[303] მაგალითად, X -მა მიჰყიდა მანქანა B-ს. K უჩივის B-ს რესტიტუციისათვის, რადგან მანქანა მისგან მოპარულია. აქ X-ს კანონიერი ინტერესები აქვს, რომ B-მ მოიგოს პროცესი. იმიტომ, რომ თუ K -ს სარჩელი B-ს წინააღმდეგ წარმატებული იქნება, X-ს უნდა ეშინოდეს, რომ K-სათვის კომპენსაციის გადახდას მოუწევს (თუ X არ შეუერთდება პროცესს საკუთარი ინიციატივით, B-ს მხარეზე, B-ს შეუძლია მოსთხოვოს X-ს, რომ ჩაერთოს დავაში).[304] თუმცა, მოცემულ მაგალითში, B-მ შეიძლება წარდგენილი სარჩელისაგან თავდაცვისათვის განსაკუთრებული აქტიურობა არც გამოავლინოს. განსხვავებულია გამყიდველი-მესამე პირის მდგომარეობა, რომლისთვისაც წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილება ყოველთვის ზარალის ანაზღაურებასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, მხარისა და დამხმარის ინტერესები შეიძლება თავდაპირველ პროცესშიც დასცილდნენ. მას შემდეგ რაც გაირკვევა, რომ გადაწყვეტილება არახელსაყრელია იმ პირისათვის, რომლის მხარეზეც მესამე პირი მონაწილეობს და ზემდგომ ინსტანციაში არა მხარის, არამედ მესამე პირის მიერ გასაჩივრდა.

ამ მხრივ საინტერესოა გერმანული საპროცესო სამართალი: გფრ-ს სსკ-ს 66-ე პარაგრაფი, რომლის თანახმადაც: (1) ვისაც იმის სამართლებრივი ინტერესი გააჩნია, რომ სხვა პირებს შორის არსებულ სასამართლოში განსახილველად შესულ დავაზე გადაწყვეტილება ერთი მხარის სასარგებლოდ იქნეს გამოტანილი, შეუძლია ამ მხარეს შეუერთდეს მისი დახმარების მიზნით.[305] აღნიშნული მუხლის განხილვისას იმ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის მიზანს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს - ეს არის მხარის დახმარება. აღნიშნულ მიზანს ჩვენი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირისათვის საქმეში ჩართვის მოტივია ის, რომ გადაწყვეტილება ერთ-ერთი მხარის უფლებებზე გავლენას უნდა ახდენდეს, მაშინ როცა გერმანული კანონმდებლობა პირის საქმეში ჩართვას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, თუ მისი მონაწილეობის მიზანი მხარის დახმარება

---

[303] *Абрамов С. Н.* – Гражданский процесс, II издание; дополненное и исправленное, Москва, 1950.

[304] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 102.

[305] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver , Москва, 2006, 21.

და მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანაა. შესაბამისად, დამატებით ჩართული პირი დამოუკიდებელი მხარე ვერ გახდება, ვერც ძირითადი მოდავე მხარის მეგობარი, არამედ მხოლოდ დამხმარე, მას არ შეუძლია სარჩელის შეცვლა ან გამოთხოვა, არც შეგებებული სარჩელის აღძვრა ან დაამთავროს პროცესი სასამართლო მორიგების გაფორმებით. ამასთან, მათ მიმართ წაყენებული ვერ იქნება შეგებებული სარჩელი.[306] მიუხედავად იმისა, რომ იგი მხარე არ არის, მას შეუძლია საკუთარი სახელით შეასრულოს ყველა მოქმედება: ისარგებლოს დაცვისა და მტკიცების ყველა საშუალებით, იმდენად, რამდენადაც ეს იმ მხარის საწინააღმდეგო არ იქნება, რომელსაც იგი მხარს უჭერს. შესაბამისად, მას შეუძლია თავიდან აირიდოს ვადის გაშვების შედეგი, მოითხოვოს იმ გადაწყვეტილების ჩაბარება, რომელიც გამოტანილია იმ მხარის სასარგებლოდ, რომელსაც იგი მხარს უჭერს. მას, ასევე, შეუძლია მოქმედება მხარისათვის მანამდე გაასაჩივროს, სანამ ძირითადი მხარისათვის გასაჩივრების ვადა გრძელდება. მისთვის მინიჭებულ პროცესის მმართველობით უფლებებში დევს შეზღუდვა, რომელიც მისი „დამხმარის მდგომარეობიდან გამომდინარეობს.[307] სწორედ აქედან გამომდინარეობს გფრ-ს სსკ-ს 68-ე მუხლის დათქმა, რომ „დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირი არ მოისმინება ძირითად მხარესთან დაკავშირებით იმ მტკიცებით, რომ დავა იმ სახით, როგორც ამ პირმა სასამართლოს წარუდგინა, არასწორადაა გადაწყვეტილი. იმ მტკიცებით, რომ ძირითადმა მხარემ დავა ნაკლოვანებებით წაიყვანა, მითითებული მესამე პირი მოისმინება, თუ მან ვერ შეძლო მოთხოვნის განხორციელების საშუალების, მისი საქმეში შესვლის მომენტში საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებების გამოყენება; ან შუამდგომლობებსა და ძირითადი მხარის მოქმედებებთან დაკავშირებით, თუ ძირითადმა მხარემ განზრახ, უხეში ბრალეულობით არ გამოიყენა მოთხოვნის განხორციელების ან დაცვის საშუალებები, რომლების შესახებაც არ იცოდა[308]. შედარების შედეგად იკვეთება, რომ პროცესში მონაწილეობის მიზნიდან გამომდინარე, გერმანული სამართლით განსაზღვრული დამატებითი ჩართული და ჩვენს კანონმდებლობაში არსებული დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირი ერთმანეთისაგან არსობრივად განსხვავდება, ვინაიდან ჩვენთან არსებობს რისკი და კანონმდებლობაც აკრძალვას არ ადგენს იმის თაობაზე, რომ რომელიმე მხარის მხარეზე ჩართულმა მესამე პირმა პროცესი მისსავე საწინააღმდეგოდ წაიყვანოს. ასეთივე მდგომარეობაა რუსულ სამართალშიც: მესამე პირების ჩართვისას მხარე ყურადღებით უნდა იყოს, რომ მისსავე ინტერესებს ზიანი არ მიადგეს.[309]

აღსანიშნავია, რომ გემანულის მსგავსად ბერძნულ სამოქალაქო საპროცესო სამართალსაც ანალოგიური მიდგომა აქვს ჩართული პირის პროცესში მონაწილეობის მიზანთან დაკავშირებით. სამაგალითოდ

---

[306] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, / под ред. 6-е изд. Издательство Волтерс Клувер Год выпуска 2006 ISBN 5466000949, http://uristinfo.net.

[307] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 103.

[308] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 21.

[309] *Сергеев Н. А.*. Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, 2, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html.

შესაძლებელია საბერძნეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვა, რომლითაც უკანონობის მოტივით არ დაკმაყოფილდა მესამე პირის საჩივარი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. მესამე პირს განსაკუთრებული პოზიცია ეკავა საქმის განხილვაში და მასზე არ გავრცელდა გადაწყვეტილების გავლენა, რადგან ის და მოპასუხე სოლიდარულ მოვალეებს წარმოადგენდნენ. მესამე პირმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. სასამართლომ განმარტა, რომ „ჩართულის" სამართლებრივ ქმედებას მხარდაჭერის ხასიათი უნდა ჰქონდეს იმ მხარის მიმართ, ვის მხარდასაჭერადაც ერთვება საქმის განხილვაში და ქმედებები მხოლოდ მხარდაჭრის მიზნით უნდა განახორციელოს. ხოლო მხარის საწინააღმდეგო ქმედებები სასამართლოს მიერ მხედველობაში არ მიიღება.[310]

შედარებითი კვლევის შედეგად შესაძლებელია დასკვნა, რომ დღეისათვის ქართულ კანონმდებლობაში არსებული დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირების ინსტიტუტი საბჭოთა კანონმდებლობის თითქმის პირდაპირ კოპირებას წარმოადგენს. რევოლუციამდელ რუსეთის კანონმდებლობაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში შესვლას პროცესში დამატებითი შესვლა ეწოდებოდა.[311] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ტერმინიც „მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე", სათავეს რუსული კანონმდებლობიდან იღებს. მეცნიერთა მოსაზრებებით, აღნიშნული ტერმინი ზუსტად მიესადაგება იმ პირს, რომელიც სასამართლოსათვის გადაცემული დავის სუბიექტი არაა, დავის საგნის მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნა არ გააჩნია, მაშინ როდესაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირთან მიმართებაში აღნიშნული ტერმინის გამოყენებას მეცნიერთა აზრით სუფთა ტექნიკური ხასიათი აქვს და გაკრიტიკებულია.[312] სასამართლოში სადავო საქმის განხილვისას დავობს ორი მხარე - მოსარჩელე და მოპასუხე, მათ დავას განიხილავს და წყვეტს სასამართლო. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ორი მხარის დავისას სხვის პროცესში რეალურად მესამე პირად გვევლინება. იგი თუმცა დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აცხადებს, მაგრამ საქმის დასასრულისადმი იურიდიული დაინტერესება გააჩნია.[313] დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ინსტიტუტის არსს უფრო სრულად შემდეგი განსაზღვრება ახასიათებდა: დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სხვის პროცესში მონაწილე პირია, იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე სასამართლოს

[310]CROATIA , T itle: Gz 693/2007, Date: 2008-05-30, Department: Civil division, Case type: Civil - the second instance, type of decision: Solution, The context: the legal effect of the judgment does not refer to the intervener, as the defendant and the intervener ordinary litigants , joint and several debtors , http://network-presidents.eu/.

[311] *Яблочков Т.М.* Учебник русского гражданского судопроизводства. Ярославль, 1912, 75.

[312] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 39.

[313] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 41.

გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.[314]

ასევე ვხვდებით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების შემდეგნაირ ცნებას: „მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე - პროცესის ისეთი მონაწილეა, რომელიც საქმეში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე საკუთარი ინტერესების დასაცავად ერთვება, ვინაიდან გადაწყვეტილებამ საქმეზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე."[315] მოცემულ განმარტებაში სწორადაა ხაზგასმული საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მონაწილეობის მიზანზე. თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ მესამე პირები, რომელთაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა არა აქვთ, ისევე როგორც მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებად ითვლებიან და მის სუბიექტებად, მაგრამ მათ არა აქვთ ყველა ის პროცესუალური უფლება, რაც მხარეებს. არ შეიძლება პროცესში ყველა სუბიექტს ერთნაირი უფლება-მოვალეობები გააჩნდეს, მაგრამ ეს იმის საფუძველს არ იძლევა, რომ ის, ვისაც ეს უფლება-მოვალეობები შეზღუდული აქვს, ამ ურთიერთობის მონაწილეებად არ ჩაითვალოს. ის ფაქტი, რომ ეს პირები პროცესში გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით მონაწილეობენ, თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ისინი ამ პროცესის მონაწილენი, მისი სუბიექტები არიან.[316]

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობის არსს უფრო სრულად ასახავს განსაზღვრება, რომლის თანახმადაც მესამე პირად მოიაზრება საქმის დასასრულისადმი მატერიალურად დაინტერესებული პირი, რომლის უფლებებზე და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილებამ გავლენა იქონიოს.[317] თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული განსაზღვრება მესამე პირების მონაწილეობის მხოლოდ თავისებურებებს გამოხატავს და მისი შევსებისათვის აუცილებელია დაემატოს: ან გადაწყვეტილებას შეუძლია საჯარო ინტერესის რეალიზებაზე მოახდინოს გავლენა.[318] მართალია, საჯარო ინტერესის ჩართვა ამ შემთხვევაში რუსეთის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის მიხადვითაც პროკურორსაც შუძლია მოითხოვოს საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართვა, მაგრამ ჩვენს კანონმდებლობაშიც საკმაოდ ხშირია საქმეში ისეთი პირების ჩართვა რომელთაც პროცესისადმი შეიძლება ჰქონდეთ არა მატერიალური, არამედ საჯარო ინტერესი (მაგ. ნოტარიუსი). ამ შემთხვევაში დღის წესრიგში ინტერესთა დიფერენციაციის საკითხი დგება, რომლის

---

[314] *Мусина* В*.А.; Н. А. Чечиной , Д. М. Чечота,* Гражданцкий процесс; Учебник, Проспект; Москва, 1998, 48.

[315] *Мельников А.А.* 1981. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва.

[316] *კობახიძე ა*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 160.

[317] *Моисеев.С.О* праве истца привлекать третьих лиц Арбитр. и гражд. процесс. 2007. 85.

[318] *Рыжиков К.С.* Характер интереса третьих лица не заявляюших самостаятельных требовании на предмет спора в гражданском процессе. Вестник Челябинского государственного университета, 2014, N 19 (348), 24.

საუკეთესო გადაწყვეტა უკვე მოძებნილია მსოფლიოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში: სასამართლოს მეგობრის amicus curiae brief-ის ინსტიტუტი, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამოდელო წესები აღიარებს: მე-13 პრინციპის შესაბამისად, სასამართლოს თანხმობითა და მხარეებთან კონსულტირების შემდგომ, პროცესის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხსა და საფუძველთან დაკავშირებით შესაძლებელია მესამე პირებისაგან მიღებულ იქნეს წერილობითი განცხადება. სასამართლოს შეუძლია ასეთი განმცხადებელი მოიწვიოს. მხარეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით წარადგინონ წერილობითი მოხსენება, ვიდრე ის სასამართლოს მიერ განიხილება.[319] სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში აღნიშნული ინსტიტუტი არ არსებობს, თუმცა, სამომავლოდ ვვარაუდობთ, რომ დაინერგება, რის იმედსაც ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში მიღებული ცვლილება გვაძლევს.[320] სამოქალაქო პროცესში მითითებული ინსტიტუტის დანერგვა იმ არასათანადო მესამე პირების რიცხვის შემცირებას გამოიწვევს, როგორებადაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციები გვევლინებიან. მაგალითად, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა" რომელიმე კონკრეტული ნოტარიუსის მიერ დამოწმებული სანოტარო აქტის სამოქალაქო წესით გასაჩივრებისას. „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ყველა ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესრულებისას დამოუკიდებელია. უფლებამოსილება შეწყვეტილი ნოტარიუსების მიერ ნაწარმოები სანოტარო არქივი საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში ინახება და მოთხოვნის შემთხვევაში ამონაწერები დამოწმებული სახით დაინტერესებულ პირზე გაიცემა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული, რომ პალატა ნოტარიუსების უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენს, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე მხარე პალატას მოპასუხედაც კი უთითებს. აღნიშნულის დადასტურებას ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე საქმე წარმოადგენს, რომელშიც პალატაც და კერძო საკუთრებაზე მოდავე მხარე ერთნაირი სტატუსით იყვნენ საქმის განხილვაში ჩართული.[321] საილუსტრაციოდ გამოდგება ასევე, განჩინება, რომლითაც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩართულ იქნა სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. სასამართლომ, ისე რომ არ უმსჯელია, იმაზე, რომ პალატა არ წარმოადგენს რა ნოტარიუსის უფლებამონაცვლეს, მის უფლებებსა და მოვალეობებზე გავლენას ვერ მოახდენდა მიღებული გადაწყვეტილება, შუამდგომლობა საფუძვლიანად მიიჩნია. ასეთი მიდგომა საკმაოდ ხშირია სასამართლო პრაქტიკაში, ვინაიდან, ქართულ სამართალწარმოებაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართვის მიმართ ზოგადად ზერელე დამოკიდებულებაა დამკვიდრებული. სასამართლოს რომ ემსჯელა უფლება-მოვალეობათა ხასიათზე და ჩაღრმავებოდა მის წინაშე არსებულ

---

[319] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT, principles of transnational civil procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January, 2005.

[320] საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 03/07/2015 www.matsne.gov.ge .

[321] ზუგდიდის რაონული სასამართლო, საქმე № 2/ბ-1169-15.

ურთიერთობებს, ამგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.[322] amicus curae-ს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებობის შემთხვევაში უფრო დაზუსტებული იქნებოდა მხარეთა პროცესში მონაწილეობის სამართლებრივი საფუძველი და სტატუსი. სწორედ აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვა მოახდენს გამიჯვნასა და გაფილტვრას სამოქალაქო საქმის წარმოებაში დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირებად იმ პირების ჩართვისას, რომლებსაც საქმეში ჩასართავად სათანადო კერძო იურიდიული ინტერესი არ გააჩნიათ და პროცესუალისტების მიერ გაკრიტიკებულ, არასწორ პრაქტიკას დაამკვიდრებს. სასამართლოს მეგობრის სამოქალაქო პროცესში დამკვიდრება, ასევე ხელს შეუწყობს პრაქტიკაში დამკვიდრებული მესამე პირების მათ თეორიულ ცნებასთან მიახლოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია რეკომენდაცია მივცეთ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ცნების შემდეგი სახით ჩამოყალიბებას: მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არის პირი, რომელიც საქმის განხილვაში ერთვება საკუთარი ან მხარეთა ინიციატივით, რომელიმე მხარის (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით) მხარეზე საკუთარ ინტერესების დაცვის მიზნით, თუ მის უფლებებზე ან მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ შესაძლოა საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებამ გავლენა მოახდინოს.

2. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის საფუძველი და სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა მათ უფლებებსა და მოვალეობებზე

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ინსტიტუტის შესწავლამ აჩვენა, რომ სამოქალაქო პროცესში მესამე პირების ჩართვის საფუძვლების საკითხთან დაკავშირებით, როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში ბევრი რამ გაურკვეველია. განხილვაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართვისათვის, საჭიროა, რომ ეს პირი დაინტერესებული იყოს და ეს ინტერესი სასამართლოს წინაშე დასაბუთებული სახით, წერილობითი ან/და ზეპირი განცხადებით, დაამტკიცოს. ცხადია, რომ ეს ინტერესი იურიდიული უნდა იყოს. აქედან გამომდინარეობს დათქმა იმის თაობაზე, რომ მესამე პირი იმ შემთხვევაში შეიძლება საქმის განხილვაში ჩაერთოს, თუ სასამართლო გადაწყვეტილება მის უფლებებზე და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ გავლენას მოახდენს. გავლენა შესაძლებელია იმ აზრით იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, რომლითაც ესა თუ ის სამართალურთიერთობები დგინდება, მათი პრეიუდიციულობიდან გამომდინარე მესამე პირებზე ვრცელდება.[323] მათი მონაწილეობის საფუძველი მატერიალურ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს ეფუძნება და ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად წყვეტს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

[322] თელავის რაიონული სასამართლო, 01.02.2017, საქმე 2/259-14.

[323] Гражданский процесс: учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 79, http://uristinfo.net/.

მესამე პირის საქმეში ჩართვის საფუძველს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა ამ საკითხებს არეგულირებს არა ზოგადი წესების, არამედ ცალკეულ ვალდებულებათა სახით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია სასამართლოს მიმართოს საქმეში ჩართვის მოთხოვნით, თუ გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ე.ი. საპროცესო ინტერესთან ერთად მატერიალურიც უნდა გააჩნდეს. ქართული კანონმდებლობის დათქმა „ყოველი დაინტერესებული პირი" ძალიან ფართო ცნებაა. მით უმეტეს, რომ არ ზუსტდება თუ რა სახის გავლენას უნდა ახდენდეს მის უფლებებზე გადაწყვეტილება. ამასთან, ევროპის სასამართლოები უფრო მკაცრები არიან ჩამრთველის მიმართ და გადაწყვეტილი აქვთ, რომ პროცესში ჩართვის ნების დართვისათვის, ჩამრთველისათვის საკმარისი არაა პროცესში იგივე პოზიციაში იყოს, როგორშიც მხარეები, ამ მიზეზისათვის მან უნდა დაამტკიცოს რომ აქვს არაპირდაპირი ინტერესი სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი. ევროპაში განსაკუთრებით რთულია ჩარევის უფლების მიღება ზარალის ანაზღაურების დავაში, რადგან პირისათვის რთულია აჩვენოს სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ პირადი ინტერესი.[324] ვინაიდან, სასამართლოს განკარგულება, რომელსაც მოითხოვს განმცხადებელი, მიზნად ისახავს დაადგინოს მიყენებული ზარალის კომპენსაცია, პოტენციურ ჩამრევს მცირე შესაძლებლობა აქვს დაამტკიცოს პირდაპირი ინტერესი პროცესის შედეგებისადმი. უმეტეს შემთხვევებში, მას შეუძლია დაამტკიცოს არაპირდაპირი ინტერესი საქმის განხილვისადმი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს იმ გეზზე, რომელსაც ევროკავშირის ინსტიტუტები სამომავლოდ განიხილავენ პოტენციური ჩამრთველის იურიდიულ პოზიციად. [325]

მესამე პირის ინტერესის ხარისხზე ხაზგასმულია ასევე, ALI/UNIDROIT–ის სამოდელო პრინციპებშიც. მე-12 პრინციპის მე-2 ნაწილის შესაბამისად: პირს, რომელსაც დავის საგანთან არსებითად დაკავშირებული ინტერესი აქვს, შეუძლია მოითხოვოს ჩართვა. ამასთან, პრინციპებზე თანდართული წესების 5.3 მუხლით სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია პირს, რომელიც მოწვეულია ჩართვაზე, მოსთხოვოს ასეთი ინტერესის დასაბუთება.[326] ამასვე იზიარებს გერმანული კანონმდებლობა: სხვა შეიძლება იყოს დაინტერესებული საქმის შედეგით, მაგალითად, იმიტომ, რომ დავის შედეგი მნიშვნელოვანია ასევე მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობებისათვის ან იმიტომ, რომ გავლენას ახდენს პროცესზე

[324] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen's Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, Standing up for your right(s) in Europe, 2012.36.

[325] *Van Rhee C.H.,* Locus standi in Dutch civil litigation in comparative perspective, in: T.Erecinski, V. Nekrosius & et al. (eds.), Recent trends in economy and efficiency in civilprocedure, Vilnius: Vilnius University Press, 2013.

[326] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT principles of transnational civil procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January 2005, 37.

ეკონომიკურად და იდეოლოგიურად. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შეუძლიათ დაამტკიცონ საკუთარი უფლებები.[327] ქართველი ცივილისტის მოსაზრებით „იურიდიული ინტერესი შეფასებითი მსჯელობაა. ამიტომ, იგი განეკუთვნება არა გნოსეოლოგიის (შემეცნების) სფეროს, არამედ აქსიოლოგიის (ღირებულების, შეფასების) სფეროს. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის „დადგენა - დადასტურება“ მტკიცებულებების მეშვეობით, მათ შორის უშუალო (გრძნობის ორგანოებით) აღქმის ფაზით - შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა უპირატესობა მიანიჭა მესამე პირის საქმეში ჩაბმის ისეთ კრიტერიუმს, რომელიც უფრო გასაგები იქნებოდა როგორც მხარეებისათვის, ისე სასამართლოსათვის.“[328] თუმცა, იქვე აღსანიშნავია, რომ ამავე ავტორის მოსაზრებით: „იურიდიული ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაც აუცილებელია, მაგრამ იგი არსებობს მაშინ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე.“[329]

იურიდიული ინტერესის არსებობის თაობაზე ქართველი პრაქტიკოსი ცივილისტების მოსაზრებით: „თუ სასამართლო ყველა იმ პირს ჩააბამს საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომელსაც განსახილველი დავის მიმართ ზოგადად იურიდიული ინტერესი გააჩნია, არ იქნება სწორი, გამოიწვევს ქაოსს სასამართლო პრაქტიკაში, რადგან გაჭირდება იმის დადგენა, თუ რა იგულისხმება ზოგადად იურიდიულ ინტერესში.[330] დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე პირის დაინტერესებას სხვის პროცესში შესვლით, ობიექტური ხასიათი უნდა გააჩნდეს. ეს ნიშნავს, რომ მისი ინტერესი უნდა ეფუძნებოდეს მესამე პირის კავშირს ერთ-ერთ მხარესთან სავარაუდო მატერიალური სამართალურთიერთობის მიხედვით.[331] შესაბამისად, მართებული იქნება თუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში იმის განსასაზღვრად აქვს თუ არა მესამე პირს საქმეში მონაწილეობის უფლება, მითითებული იქნება სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა პირის ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობის მიმართ.

შესაბამისად, ხარვეზულად შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ს 89-ე მუხლის ფორმულირება. დასახელებული ნორმის შესაბამისად, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე პირის პროცესში ჩართვის საფუძველია საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების შესაძლო გავლენა მესამე პირის უფლება მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ნორმის დანაწესიდან გამომდინარე დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის პროცესში ჩართვას განაპირობებს სამომავლოდ მის მიმართ მხარის მიერ რეგრესის წესით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა. თუმცა, ნორმაში არ არის გათვალისწინებული რეალური

---

[327] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 102.

[328] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 160-161.

[329] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 160-161.

[330] *გაბელაია ქ,* მესამე პირები სამოქალაქო სამართალის პროცესში, ლილუაშვილი თ., საიუბილეო კრებული „75“, თბილისი, 269.

[331] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 50, http://uristinfo.net/.

სასამართლო პრაქტიკა. სასამართლო პრაქტიკაში უამრავი შემთხვევაა, როდესაც საქმეში ამგვარი მესამე პირის ჩართვას სარეგრესო სარჩელის აღძვრის გარდა იწვევს სხვა იურიდიული ინტერესიც. მაგალითად დისერტაციაში მოხმობილია მესამე პირის საქმეში ჩართვის შემთხვევა ცესიისას, როდესაც მოვალე სადავოს ხდის ახალი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველს, რის გამოც საჭირო ხდება საქმეში მესამე პირად ძველი კრედიტორის ჩართვა. თუ დადგინდება, რომ ახალი კრედიტორისათვის ძველი კრედიტორის მიერ დათმობილი მოთხოვნა არ არის ნამდვილი, მაშინ დადგება ძველი კრედიტორის მიმართ ახალი კრედიტორის ზიანის ანაზღაურების საკითხი. ასეთ შემთხვევაში არავითარ სარეგრესო სარჩელთან არ გვაქვს საქმე, რადგან სარეგრესო მოთხოვნის წამოყენება კერძო სამართალში უკავშირდება სხვის ნაცვლად პასუხისმგებლობის პრინციპს. დასახელებულ მაგალითში კი, ახალი კრედიტორი ძველ კრედიტორს უყენებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას და არა სარეგრესო მოთხოვნას. შესაძლებელია სხვა მაგალითის დასახელებაც. კერძოდ, თუ პირის მიმართ აღძრულია ალიმენტის დაკისრების სარჩელი, შესაძლოა საქმეში მესამე პირად ჩაერთოს ის პირი, ვისაც უკვე უხდის ალიმენტს ალიმენტვალდებული პირი. თუ ალიმენტვალდებულს დაეკისრება სარჩოს გადახდა, მაშინ თავისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლოა მოითხოვოს მანამდე დანიშნული ალიმენტის შემცირება (გადახედვა). არც ამ შემთხვევაშია სახეზე სარეგრესო მოთხოვნა. ორივე მაგალითში საქმეში მესამე პირის ჩართვას განაპირობებს სხვა იურიდიული ინტერესი. შესაბამისად, მიზანშეწონილია მისი დახვეწა. ამრიგად, სსკ-ის მუხლს უნდა დაემატოს სიტყვები „ან გააჩნია საქმის შედეგისადმი სხვა იურიდიული ინტერესი.”

შუამდგომლობა მესამე პირის ჩართვის შესახებ მიუხედავად იმისა, თუ ვისი ინიციატივითაა დაყენებული, ზუსტ მითითებას უნდა შეიცავდეს იმ საფუძვლებზე, რომლებზე დაყრდნობითაც მესამე პირები საქმეში უნდა ჩაერთონ. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში მესამე პირის ჩართვას არ შეიძლება ადგილი ქონდეს იმ შემთხვევაში, თუ მხარის ან მესამე პირის შუამდგომლობა აღნიშნულ საფუძვლებს არ შეიცავს, ან შეიცავს მაგრამ სასამართლოს მიერ არასაკმარისად ან კანონშეუსაბამოდაა მიჩნეული. ამასთან, მესამე პირი არ შეიძლება საქმეში ჩაერთოს, თუ განცხადებაში შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე მხოლოდ მისი ჩაბმის საფუძვლებია მითითებული. ამიტომ, მოშუამდგომლე მხარემ ან მესამე პირმა განცხადებაში უნდა ასახონ, როგორც ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც მესამე პირს უფლებას აძლევს საქმეში ჩაერთოს, აგრეთვე მოყვანილი საფუძვლების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სსრკ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავდა დათქმას იმის თაობაზე, რომ განცხადება საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ ზუსტად უნდა მიუთითებდეს იმ საფუძვლებზე, რომლებითაც ისინი პროცესში უნდა იქნან დაშვებული.

სასამართლოს როლი დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების ჩართვისას სწორედ საფუძვლის არსებობის შემოწმებაში გამოიხატება, ვინაიდან, საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩართვა სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, სასამართლო გადაწყვეტილება

რამდენად მოახდენს გავლენას პოტენციური მესამე პირების უფლებებზე. ამ უფლებათა დაცვა მესამე პირის სამოქალაქო სამართლებრივ, იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს. მაშასადამე, მესამე პირის იურიდიული ინტერესი აუცილებელ და ამასთან, ობიექტურ მდგომარეობას შეადგენს, რომელიც სასამართლო შემოწმებას ექვემდებარება.[332] ამ საკითხის გადაწყვეტის (გარკვევის) დროს სასამართლომ კვლავ კანონს უნდა მიმართოს. საქმე ისაა, რომ საკითხი ეხება პირის უფლებებსა და მოვალეობებს ერთ-ერთი მხარის მიმართ. უფლებები და მოვალეობები წმინდა იურიდიული კატეგორიებია და მათი წარმოშობა, შეცვლა თუ შეწყვეტა მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი.[333] საილუსტრაციოდ შესაძლებელია შემდეგი მაგალითის მოყვანა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი. აპელანტის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა საქმეში პირის მესამე პირის ჩართვაზე, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელოვანი განმარტების მიცემა შეეძლო, რაც ამავე საქმეზე არსებითად სხვა გადაწყვეტილების მიღებას შეუწყობდა ხელს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ მესამე პირად საქმეში ჩართვას განაპირობებს არა მესამე პირად ჩასართავი სუბიექტის პროცესში ამა თუ იმ მხარის სასარგებლო ახსნა-განმარტების მიღება, არამედ ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ამიტომ, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებისა და ამავე სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები. პალატის მოსაზრება გაზიარებულ იქნა უზენაესი სასამართლოს მიერაც.[334] ამ შემთხვევაში სასამართლომ სწორად არ მიიჩნია საქმეში ჩართვის საკმარის პირობად მხოლოდ ის, რომ ჩართვის შემთხვევაში მესამე პირს შეეძლო მნიშვნელოვანი განმარტების მიცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს უწყობს მესამე პირების საქმეში ჩართვის სწორი პრაქტიკის დამკვიდრებას, კერძოდ მათ საქმეში დაშვებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაში, სწორედ ამ სტატუსით იქნებოდა ჩართვა შესაძლებელი.

კანონის თანახმად თუ საქმეზე გადაწყვეტილებას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ, საქმეში ჩაბმის საფუძველი არ იარსებებს. ე. ი. პროცესუალურ ინტერესთან-უფლებაზე დავის ერთი მხარის სასარგებლოდ

---

[332] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 61.

[333] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 157.

[334] სუსგ, 16.02.2015, საქმე №ას -1254-1194-2014.

გადაწყვეტასთან ერთად, მესამე პირს სუბიექტური მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესები აქვს საქმისადმი, რომელიც მის უფლებებსა და მოვალეობებზე სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენას ეფუძნება. საილუსტრაციოდ შესაძლებელია სასამართლო პრაქტიკიდან იმ მაგალითის მოყვანა, როდესაც გასაჩივრდა საოქმო განჩინება, რომლითაც შუამდგომლობა საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩართვის შესახებ არ დაკმაყოფილდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის, 90-ე მუხლის საფუძველზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად საქმეში ჩაბმის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ 89-ე მუხლის მოთხოვნებით უნდა იხელმძღვანელოს. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა (მოპასუხემ) ვერც განცხადებაში და ვერც სააპელაციო საჩივარში ვერ მიუთითა იმ გარემოებებზე, რაც სასამართლოს მისცემდა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა ჩასართავი პირის უფლებებსა და მოვალეობებზე. უზენაესი სასამართლოს განჩინებით საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.[335] ე.ი. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე პირის სტატუსის მოპოვება პროცესში დამოკიდებულია არა მხოლოდ მხარის სურვილზე, არამედ მის დასაბუთებაზე, თუ რა გავლენას მოახდენს გადაწყვეტილება პირის უფლებებსა და მოვალეობებზე. უფრო ხშირად ასეთი ინტერესი შემდგომში გამოვლინდება ერთ მხარესა და მესამე პირს შორის რეგრესული მოვალეობის არსებობით. მაგალითად, მესაკუთრის მიერ ფაქტობრივი მფლობელის მიმართ წაყენებული ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისას, ქონების მყიდველს შეუძლია მესამე პირი - გამყიდვლისაგან ზარალის ანაზღაურება მოითხოვოს. ინტერესი განსაკუთრებით გამოკვეთილია დელიქტური ვალდებულების გამო წარმოშობილი დავების დროს. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების სარჩელის დაკმაყოფილებისას, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელისადმია წაყენებული. ამ უკანასკნელს უფლება აქვს მოითხოვიოს ზარალის ანაზღაურება ზიანის უშუალო მიმყენებლისაგან. ვინაიდან თავდაპირველი სარჩელისა და შესაძლო რეგრესული სარჩელის საფუძვლები ურთიერთდაკავშირებულია, პროცესში გამყიდვლის ან ზიანის უშუალო მიმყენებლის, რომელიც უშუალოდ მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მონაწილეობა საქმის ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ამრიგად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით პირის საქმეში ჩართვის საფუძველია მესამე პირსა და პროცესის ერთ მხარეს შორის არსებული სამართალურთიერთობა - მატერიალურ სამართალურთიერთობების სისტემაში სუბიექტის მდგომარეობის ობიექტური მონაცემები. ეს უპირველესად არის მესამე პირსა და საქმეზე ერთ მხარეს შორის მატერიალური სამართალურთიერთობის არსებობის მონაცემები, აგრეთვე იურიდიული ფაქტები, რომელთა არსებობას ან არ არსებობას კანონი სამართალურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას უკავშირებს. ეს მდგომარეობა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: საქმეში მესამე პირად ჩართვის

[335] სუსგ, 17.02.2014, საქმე №ას -734-696-2013.

საფუძველს მესამე პირის მიმართ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა წარმოადგენს, რაც ძირითად, სადავო მატერიალურ სამართალურთიერთობასა და ერთი მხარისა და მესამე პირის სამართალურთიერთობის კავშირითაა განპირობებული. მესამე პირის ჩართვის საფუძველია მისი დაინტერესება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საქმის დასასრულისადმი, მათ შორის სამართლებრივი კავშირის არსებობა, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს.
მეცნიერთა მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ შესაძლოა სხვადასხვანაირი იყოს.[336] რუსეთის 1866 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების 663-ე მუხლის თანახმად „მესამე პირს, რომლის ინტერესი დამოკიდებულია ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანაზე," შეეძლო ამ თავისი სურვილის მიხედვით განეცხადებინა თავისი მონაწილეობის შესახებ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე."[337] პროცესუალისტების მიერ აღინიშნა, რომ ცნება არაზუსტია: გადაწყვეტილებას მესამე პირის სამოქალაქო უფლებებში არანაირი ცვლილება არ შეაქვს.[338] მოგვიანებით დადგინდა, რომ საქმეში მესამე პირის ჩართვა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. რაც უნდა გავიგოთ ისე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების (რომლითაც ესა თუ ის ფაქტები და სამართალურთიერთობებია დადგენილი და მესამე პირებზეც ვრცელდება) კანონიერ ძალას, არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთი მხარის მიერ მესამე პირის მიმართ ან მესამე პირის მიერ ერთ-ერთი მხარის მიმართ შემდგომში რეგრესული სარჩელის შეტანის შემთხვევაში, როცა მათ აღარ შეუძლიათ სადავო გახადონ ის ფაქტები და სამართალურთიერთობები, რომელიც მესამე პირის მონაწილეობით გამოტანილ გადაწყვეტილებითაა დადგენილი.
დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის პროცესში მონაწილეობის მიზანია სასამართლოს გადაწყვეტილების არახელსაყრელი შედეგების თავიდან არიდება. შესაბამისად, საფუძველი რის გამოც პირი შესაძლებელია ჩაერთოს საქმეში როგორც მესამე პირი შეიძლება იყოს: ა) მომავალში მის წინააღმდეგ რეგრესული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა. ბ) სხვა იურიდიული ინტერესი საქმის დასარულისადმი;[339] გ) მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა მხოლოდ იმ პირთან, რომლის მხარეზეც ისაა ჩართული და მოწინააღმდეგე მხარესთან მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობების არ არსებობა.[340] ყველაზე ხშირად სასამართლოს

[336] *Мельников А.А.* 1981. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва.
[337] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014.
[338] *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. Иркутск, 1927, 7.
[339] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, / под ред. 6-е изд. Издательство Волтерс Клувер Год выпуска 2006 ISBN 5466000949, http://uristinfo.net/
[340] Гражданцкий процесс; Учебник под. Ред. В.*А. Мусина; Н. А. Чечиной , Д. М. Чечота* , Проспект; Москва, 1998.

გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ მის მხარეზე მონაწილე მესამე პირისათვის რეგრესული სარჩელის წარდგენის საფუძველს ემსახურება,[341] რომელიც მესამე პირს დამატებით ვალდებულებას დააკისრებს ან სხვანაირად დატვირთავს ამ პირის უფლებამოსილებას ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირის საქმეში მონაწილეობა მხარეს საშუალებას აძლევს აუცილებელი საპროცესო საშუალებების გამოყენებით გავლენა მოახდინოს დავის განხილვის შედეგზე, რათა თავისი უფლებები და ინტერესები დაიცვას სასამართლო გადაწყვეტილების შესაძლო არახელსაყრელი შედეგებისაგან. თუ ეს არახელსაყრელი შედეგები შეიძლება გამოიხატოს მესამე პირის მიმართ რეგრესული სარჩელის შეტანაში, მის ინტერესებშია დაეხმაროს იმ პირს, რომლის მხარეზეც ის მონაწილეობს. მაგრამ მესამე პირი ამით თავის საკუთარ ინტერესებსაც იცავს, ვინაიდან არახელსაყრელი გადაწყვეტილება გამოიწვევს მის ჩაბმას რეგრესულ სარჩელში და ამ შემთხვევაში მისი და მხარის ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგო ხდება, ვინაიდან მესამე პირი ხდება მხარის სარჩელის მოპასუხე.[342] შესაბამისად, სამოქალაქო სამართალში რეგრესული ვალდებულების შესწავლის შედეგად შესაძლებელია დასკვნა, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ინსტიტუტი წარმოადგენს რეგრესის უფლების – ერთი პირის მიერ მეორისადმი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების საპროცესო უზრუნველყოფას. შესაბამისად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ინსტიტუტის მთავარ საფუძველს სამოქალაქო მატერიალური სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე რეგრესის უფლება წარმოადგენს. ეს გარემოება გავლენას ახდენს მესამე პირების საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებზე და განსაზღვრავს მათ საპროცესო მდგომარეობას პროცესში, რომლებიც განიხილებიან როგორც დამოუკიდებელი მონაწილეები და მტკიცებითი საქმიანობის დამოუკიდებელი სუბიექტები. „დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში მონაწილეობის საფუძველია პროცესის ერთ მხარის რეგრესის შესაძლო უფლება მესამე პირის მიმართ და პირიქით მესამე პირის მხარის მიმართ.”[343]

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს სასამართლო გადაწყვეტილებით არ შეიძლება დაეკისროთ რაიმე ვალდებულების შესრულება[344]. იგი მხოლოდ ირიბად ეხება მათ უფლებებსა და მოვალეობებს, პრეიუდიციური მნიშვნელობა აქვს მათთვის. თუმცა, ის, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების მიმართ არ შეიძლება გამოტანილი იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება, იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი რეგრესული ან ანალოგიური

---

[341] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 79, http://uristinfo.net/.

[342] *. Жилин Г. А,* Коментарий к гражданскому процесуальному кодексу Российской Федераций, Москва 2003.

[343] *Абрамов С. Н.* – Гражданский процесс, II издание; дополненное и исправленное, Москва, 1950.

[344] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 136.

სარჩელის წარდგენის ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს. ასეთი სარჩელი დაინტერესებული პირის ნების გამოვლინების მიხედვით ერთ შემთხვევაში შესაძლოა წარდგენილ იყოს და მეორეში – არა. სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენა მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ასე უნდა გავიგოთ: სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, რომლითაც დადგენილია სხვადასხვა ფაქტები და სამართალურთიერთობები, მესამე პირების უფლებებზე გავლენას ახდენს პრეიუდიციულობის ნიშნით. რეგრესულ სარჩელზე პროცესში არ შეიძლება სადავო გახდეს ის ფაქტები და სამართალურთიერთობები, რომელიც დადგენილია მესამე პირის მონაწილეობით საქმეზე გადაწყვეტილებით, როგორც ეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლითაა დადგენილი: ფაქტებს, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას წარმოადგენს ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ; შესაბამისად დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის იურიდიული ინტერესი სხვა პირების დავაში მდგომარეობს იურიდიული ფაქტების დადგენაში. ეს იურიდიული ინტერესი, რომელსაც მატერიალურ სამართლებრივი ხასიათი აქვს, აღჭურვილია სასამართლო დაცვით. ე. ი. იგი დაცულია კანონით. [345]

მესამე პირი ყოველთვის სამართალურთიერთობაში იმყოფება იმ მოდავესთან, რომლის მხარესაც იგი გამოდის. ამასთან, მხარესა და მესამე პირს შორის ეს სამართალურთიერთობა წარმოშობილია მხარეთა შორის დავამდე, მათგან დამოუკიდებლად და გამომდინარეობს გარკვეული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებიდან, რომლებიც მხარესა და მესამე პირს შორის არსებობენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ შემდეგ პროცესში (რომელშიც მხარე და მესამე პირი მონაწილეობას მიიღებენ მოსარჩელისა და მოპასუხის სახით) მესამე პირის მიერ სადავო სამართალურთიერთობის საფუძვლად დადებული ფაქტების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციული (წინასწარგადამწყვეტი) ძალა სხვა სარჩელების განხილვისას იმის მიხედვით განისაზღვრება, მესამე პირი ჩაბმული იყო თუ არა საქმის განხილვაში.[346] შესაბამისად, მხარეთა სამართალურთიერთობის რეალური ხასიათის შესახებ სასამართლოს დასკვნებს პრეიუდიციული მნიშვნელობა არა აქვთ საქმეში არამონაწილე მესამე პირების მიმართ. ვინაიდან, გარკვეული სამართალურთიერთობის პრეიუდიციულობა შეიძლება მომავალ პროცესზე იქნეს გამოყენებული, სადაც კვლავ დადგება მოცემული სამართალურთიერთობის რეალურად არსებობის საკითხი იმ სუბიექტებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც გამოტანილია პრეიუდიციული მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილება. ე. ი. იგივე მხარეებს შორის. ანალოგიურად, სასამართლოს გადაწყვეტილება არ ვრცელდება იმ მესამე პირებზე, რომლებიც საქმეში არ მონაწილეობენ. ვინაიდან მესამე პირი ყოველთვის მხარეთა შორის ურთიერთობების გარეთ დგას, სასამართლოს

---

[345] *Треушникова М.К.*, Гражданский процесс, М., 2006.

[346] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 158.

გადაწყვეტილება არ შეიძლება უშუალოდ გამოტანილ იქნეს არათუ საქმეში არა მონაწილე, არამედ თვით საქმეში მონაწილე მესამე პირის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. თუმცა სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევა, რომლითაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი დადგინდა: სამოქალაქო საქმეს ლ. ფ-ს სარჩელზე, მოპასუხე ნოტარიუს მ. ბ-სა და მესამე პირის, ი. კ-ს მიმართ, სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ მოთხოვნაზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 20.02.2000 წელს გარდაცვლილი მოსარჩელის დედას ორი პირველი რიგის მემკვიდრე ჰყავდა. მთლიანი სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით ჰქონდა მიღებული მხოლოდ ერთ-ერთ პირველი რიგის მემკვიდრეს – მესამე პირს ი.კ-ს. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მესამე პირის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტს. საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა საკითხის გარკვევა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სასამართლომ დაადგინოს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის არც მოსარჩელე და არც მოპასუხე, რომელსაც აღძრული აქვს სარჩელი ან შეგებებული სარჩელი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის მიღებულად ცნობის შესახებ; ამ შემთხვევაში დარღვეულია თუ არა სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება ასევე, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული სამკვიდროს მიღება ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზოგადად გარიგების ნიშან-თვისებები იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც სამკვიდრო მიღების შესახებ გარიგებისათვისაა დამახასიათებელი. ამდენად, აღნიშნული გარიგება წარმოადგენს ფაქტს, რომლის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია ასევე მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს მოსარჩელის მიერ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფარგლები. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლოში წარმოდგენილ იქნეს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების ფაქტი, რითაც განისაზღვრება მემკვიდრის უფლებრივი შინაარსი, აუცილებელი არ არის ამის შესახებ მან სარჩელი აღძრას და ასევე სამკვიდროს ფლობით მიღების დადასტურება მოითხოვოს. აღნიშნული მოთხოვნის სარჩელით აღძვრა წარმოადგენს მის უფლებას, რაც დაცულია დისპოზიციურობის პრინციპით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს არა აქვს აღძრული სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით, ის უფლებამოსილია, დაადასტუროს მის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი, რითაც განისაზღვრება ამ შემთხვევაში მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები.[347] აღნიშნული დავა გამოიწვია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში დამოუკიდებელი სასარჩელო

[347] სუსგ 2008 წლის 12 ნოემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-130-408-08. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულში.

მოთხოვნის გარეშე მესამე პირის უფლებების პირდაპირ დადგენამ, თუმცა საკასაციო სასამართლომ მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მითითება დისპოზიციურობის პრინციპიდან და მესამე პირთა უფლებებიდან გამომდინარე გააკეთა.
თავდაპირველ მხარეებს შორის დავაზე სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციული ძალა ვრცელდება იმ მესამე პირებზე, რომლებიც ჩართულ იყვნენ საქმეში, მაგრამ ფაქტიურად მასში მონაწილეობა არ მიუღიათ. ვინაიდან მათ პროცესში თავისი უფლებების დაცვის სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო ქმედებებში იმ ფაქტების არსებობა-არარსებობის დადგენისას, რომელთაც მნიშვნელობა ქონდა მათი დამოუკიდებელი იურიდიული ინტერესის დაცვისათვის. ამიტომ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით წარმოადგენენ არა მხოლოდ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ინტერესს და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, არამედ სარჩელის საფუძველს (ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას) და გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, ვინაიდან იგი იმ საფუძვლებს შეიცავს, რომელთა ძალითაც სასამართლო იმ ფაქტების არსებობა-არარსებობის დასკვნამდე მივიდა, რომლებიც მნიშვნელოვანია მესამე პირის იურიდიული ინტერესის დაცვისათვის.
გერმანულ პროცესში მესამე პირის ჩართვის შემდეგ შესრულებულ საოცესო მოქმედებებს და მიღებულ სასამართლო დადგენილებებს შუალედური მოქმედება აქვს მხარდაჭერილი მხარისა და მესამე პირისათვის. ეს არ ვრცელდება მხოლოდ მაშინ და იმდენად, თუ ჩამრთველმა ვერ შეძლო წინასაპროცესო მსვლელობაზე გავლენის მოხდენა, რადგან მისი პროცესში შესვლის დროისათვის წინასაპროცესო მსვლელობა ჩავლილი იყო, და ეს რომ ასე არ ყოფილიყო ის შეძლებდა მხარის მხარდაჭერისათვის საპროცესო მოქმედებების განხორციელებას (Rz 127) ან იმიტომ, რომ მხარდაჭერილ მხარეს არ გამოუყენებია თავდასხმისა და თავდაცვის საშუალებები განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო. რაც შეეხება საბოლოო გადაწყვეტილებას, ინტერვენციის/საქმეში ჩაბმის გავლენა კანონიერი ძალის გავრცელების ზემოქმედების ფარგლებს სცდება (მაგ. § 325), რადგანაც იგი, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი სახის პრეიუდიციულ დადგენებზეც ვრცელდება.[348]

[348] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 106.

3. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ნიშნები და მათი განსხვავება საქმეში მონაწილე პირებისაგან

საქმის განხილვის პროცესში საქმეში მონაწილე პირთა საპროცესო მდგომარეობისა და პოზიციის სწორად განსაზღვრისათვის, საჭიროა მოხდეს პროცესის სხვა სუბიექტებთან მიმართებაში მათი განმასხვავებელი და საერთო ნიშნების გამოვლენა. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების პრაქტიკაში ხშირად დგება თანამონაწილეებისა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების განსხვავების საკითხი, რასაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვისას მოპასუხის მხარეზე სასამართლოები განსაკუთრებით ხშირად მას თანამოპასუხეში ურევენ, აგრეთვე არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლაში. რასაც არასწორი სასამართლო გადაწყვეტილება მოჰყვება. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩაბმის საფუძველია ის, რომ საქმეზე გადაწყვეტილებამ შესაძლოა მათ უფლებებსა და მოვალეობებზე იმოქმედოს. ამასთან, საქმეში თანამოსარჩელისა და თანამოპასუხის მონაწილეობაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ გადაწყვეტილებამ შესაძლოა იმოქმედოს ერთი მხარის მიმართ მათ უფლებებზე. ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება მესამე პირისა და თანამონაწილის უფლებების გარჩევის საკითხი. პირი, რომელიც სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობითაა დაკავშირებული მოწინააღმდეგე მხარესთან, მასთან რაიმე მოთხოვნა აქვს ან შეუძლია იმ მხარის მოთხოვნაზე აგოს პასუხი, საქმეში უნდა მონაწილეობდეს როგორც თანამონაწილე. (მაგალითად, ავტოავარიის დროს გარდაცვლილის ოჯახისათვის მანქანის მფლობელზე რჩენის დაკისრება, რომელსაც შემდეგ რეგრესული სარჩელის წარდგენა შეუძლია მძღოლისათვის.)
პროცესის მონაწილეთა სწორი „განლაგებისათვის" ე. ი, მათი საპროცესო მდგომარეობის განსაზღვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სადავო სამართალურთიერთობის გაანალიზება:
1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში მონაწილეობა უკვე დაწყებულ პროცესში შეჭრას წარმოადგენს, მაშინ როცა თანამონაწილე შეიძლება ჩაებას, როგორც თავიდან, ისე უკვე დაწყებულ პროცესში.
2. მესამე პირს ყოველთვის მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობა აქვს იმ პირთან რომლის მხარეზეც ის გამოდის, ხოლო მოწინააღმდეგე მხარესთან, თანამონაწილისაგან განსხვავებით, არანაირ მატერიალურ სამართლებრივ კავშირში არ არის.[349] პირი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარესთან სადავო მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება და მის მიმართ რაიმე პრეტენზია გააჩნია ან შეუძლია მოწინააღმდეგე მხარისაგან ასეთ პრეტენზიას უპასუხოს, საქმეში თანამონაწილედ უნდა მონაწილეობდეს.[350] მესამე პირი დამოუკიდებელი

[349] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «Контракт»; «Инфра-М», 2008, 44, http://uristinfo.net/.

[350] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 137.

სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებულ სადავო სამართალურთიერთობაში არ იმყოფება, არ წარმოადგენს ამ სამართალურთიერთობის სუბიექტს. არანაირი კავშირი დავასთან დაკავშირებით იმ მოდავის მოწინააღმდეგესთან, რომლის მხარეზეც მესამე პირი გამოდის მას არ აქვს.[351] დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობისას, როგორც წესი, არის მოსარჩელის ერთი სარჩელი მოპასუხისადმი და არა რამდენიმე პარალელური სარჩელი, როგორც ეს საპროცესო თანამონაწილეობის დროს იქნებოდა. მესამე პირისათვის შეუძლებელია დავა უფლებაზე მოწინააღმდეგე მხარესთან. თუ დავას ასეთ უფლებაზე დავუშვებთ, მაშინ მოცემულმა პირმა არა მესამე პირის, არამედ თანამონაწილის ადგილი უნდა დაიკავოს.[352] მოპასუხის მხარეს ჩართული დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი მატერიალურ სამართალურთიერთობაში მხოლოდ მოპასუხესთან იმყოფება, ხოლო მოსარჩელის წინაშე უშუალო პასუხისმგებლობა არ აკისრია. თანამოპასუხე ყოველთვის მოსარჩელეს ეწინააღმდეგება, რადგან იგი მასთან სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება. მოსარჩელის წინაშე თანამოპასუხის პასუხისმგებლობა პირდაპირი და უშუალოა. თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე ანაზღაურება ან ყველა თანამოპასუხეს, ან მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ეკისრება, თუ მოხდება საქმეზე დანარჩენი მოპასუხეების პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება.

3. მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მესამე პირის ჩაბმა არ ქმნის მესამე პირთათვის მხარეთა მდგომარეობას. ხოლო თანამონაწილე არის მხარე და მხარისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი აქვს. რამოდენიმე პირის თანამონაწილეობა პროცესში, მოპასუხისა თუ მოსარჩელის მხარეზე ან ორივესი ერთად, რამოდენიმე პროცესის ფორმალურად ერთ წარმოებაში გაერთიანებას გულისხმობს. ჩვეულებრივ, პროცესში თანამონაწილეობა იმ შემთხვევაში გვხვდება, როცა რამოდენიმე პირის სუბიექტური სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები ერთი და იგივე ან ერთგვაროვანი საფუძვლებიდან გამომდინარეობს.

4. განსხვავებულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირისა და თანამონაწილეების საფუძველი. რაც საშუალებას იძლევა, გასხვავებულ იქნეს მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, პროცესში თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით შესული და ჩართული პირი, რომლის უფლებები მხარეთა უფლებებს არ ემთხვევა, იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია მომავალში მის წინააღმდეგ რეგრესული სარჩელის წარდგენა ან საქმის დასარულისადმი სხვა იურიდიული ინტერესი აქვს.[353]

5. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირსა და თანამოპასუხეს თუ შევადარებთ, განსხვავებულია მათი ინტერესები საქმისადმი. თანამოსარჩელეები უპირისპირდებიან მოწინააღმდეგე

---

[351] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 135.

[352] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 50, http://uristinfo.net/

[353] Гражданцкий процесс; Учебник под. Ред. В.*А. Мусина; Н. А. Чечиной , Д. М. Чечота* , Проспект; Москва, 1998, 55.

მხარეს, თანამოპასუხეებს და პირიქით.[354] შესაბამისად, მათ პირადად ეკისრებათ უშუალო სრული ან ნაწილობრივი პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ. მესამე პირს პასუხისმგებლობა შეიძლება მხოლოდ ცალკე პროცესზე რეგრესული მოთხოვნის საშუალებით დაეკისროს. თანამოპასუხისაგან განმასხვავებელ ნიშან- თვისებაა ის, რომ იგი სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტი არ არის. თანამოპასუხე, როგორც ყველა მოპასუხე, უშუალოდ პასუხობს თავდაპირველი მოსარჩელის მიერ წარდგენილ სარჩელზე. მესამე პირი რომელიც მოპასუხის ინტერესებს იცავს, მოსარჩელის მიერ წარდგენილ სარჩელზე პასუხისმგებელი არაა, იგი არც მოპასუხეა და არც თანამოპასუხე. ამ განსხვავებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კვეთავს ერთის მხრივ მოპასუხის და მეორეს მხრივ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საპროცესო უფლებათა მოცულობების განსხვავებას. მესამე პირს სარჩელის ცნობის გარდა, ყველა საპროცესო უფლება და ვალდებულება გააჩნია, რაც მოპასუხეს. ეს იმითაა განპირობებული, რომ, იგი დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აყენებს, ხოლო სარჩელის ცნობა დავის საგანზე მატერიალური მოთხოვნის განკარგვის პროცესუალურ ფორმას წარმოადგენს.

6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლი ადგენს, რომ მესამე პირები, რომლებიც დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნებს არ აცხადებენ, მხარეთა განმკარგველობითი უფლებამოსილებებით არ სარგებლობენ.[355] ის გარემოება, რომ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე აღჭურვილნი არიან მხარეების ძირითადად ყველა, საპროცესო უფლებით და მოვალეობით, გარდა მნიშვნელოვანი გამონაკლისებისა, ამ ტიპის მესამე პირებისა და თანამოსარჩელეებისა და თანამოპასუხეების აღრევის საფუძვლად გვევლინება. თუმცა, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე თავდაპირველი მოდავეებისა და თანამონაწილეებისაგან გამოირჩევიან, თუ ისინი უკვე დაწყებულ პროცესში ერთვებიან.

7. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების მიმართ არ შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილება მხოლოდ ირიბად ეხება მათ უფლებებსა და მოვალეობებს, მათთვის პრეიუდიციური მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება თანამონაწილეებს, საქმეზე გადაწყვეტილება არა მხოლოდ გავლენას ახდენს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე, არამედ უშუალოდ მათ მიმართაა გამოტანილი, გადაწყვეტილება უშუალოდ განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს სადავო საგნის მიმართ. მაშინ, როცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს საქმის დასასრულისადმი სამოქალაქო სამართლებრივი ინტერესი გააჩნიათ. მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში

---

[354] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 159.

[355] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 50, http://uristinfo.net/.

ჩაბმა, მათ მხარეთა მდგომარეობაში არ აყენებს.[356] ამ მუხლის თანახმად მესამე პირების საქმეში მონაწილეობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, მესამე პირი მოსარჩელეს თავისი სარჩელის დამტკიცებაში, ხოლო მოპასუხეს თავის დაცვაში ეხმარება, იმისდა მიხედვით თუ ვის მხარეზე მონაწილეობს. აგრეთვე, მესამე პირის საქმეში ჩაბმით ერთდროულად ორი სახის ურთიერთობა ირკვევა: 1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის და 2. ერთერთი მხარის და მესამე პირის. პრაქტიკული დასკვნები აქედან მდგომარეობს შემდეგში: თუ მოპასუხე საქმეში ყოველთვის პასიური მხარეა, ვინაიდან მას საქმეში რთავს მოსარჩელე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირს შეიძლება საქმეში ჩასართავად საკუთარი სტიმული გააჩნდეს. მაგალითად, სურვილი ადრევე აიცილოს თავიდან განსაზღვრული თანხის დაკისრება მოპასუხის შემდგომი რეგრესული სარჩელიდან.[357]

მოპასუხის მხარეზე ჩართული მესამე პირი არ იმყოფება იმ სადავო მატერიალურ სამართალურთიერთობაში რომელიც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებობს.[358] ის მათში არ მონაწილეობს. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სამართლებრივ ურთიერთობაში მხოლოდ ერთ მხარესთან –მოცემულ შემთხვევაში მოპასუხესთან იმყოფება. აღნიშნულის ძალით მესამე პირს არ შეიძლება მოსარჩელის წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისროს. ამიტომ, თავდაპირველ მხარეებს შორის დავაზე სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ იქნეს გამოტანილი, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს მესამე პირისადმი რეგრესული სარჩელის გზით, მოსაპუხესა და მესამე პირს შორის არსებული მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. შეცდომაა აგრეთვე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მოწმეებისადმი მიკუთვნება. მოწმე პროცესში არის პირი, რომელიც იურიდიულად დაინტერესებული არაა საქმის დასასრულისადმი, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მოწმეზე არ ვრცელდება. აქედან გამომდინარე, მესამე პირებისა და მოწმის საპროცესო მდგომარეობა განსხვავებულია.[359]

რაც შეეხება არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლის ინსტიტუტს, მას, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების ინსტიტუტთან საერთო არაფერი აქვს. არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლა იმ შემთხვევაში ხდება, როცა თავდაპირველი მოპასუხე საქმეს არ ეთიშება, მაგრამ სასამართლო საქმეში ახალ მოპასუხეს (თანამოპასუხეს) რთავს. ამ დროს ხდება ორი მოპასუხისადმი ერთი მოსარჩელის სარჩელის ერთდროული განხილვა და საკითხი იმის

---

[356] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 50, http://uristinfo.net/.

[357] Коментарий к арбитражному кодексу Российской Федерации , Со вступительной статьей Председателя Высшего Арбитражного Суда Российской Федерации профессора *В .Ф. Яковлева* и Первого заместителя Высшего Арбитражного Суда Российской Федерации профессора *М. К. Юкова*, Юридическая фирма КОНТРАКТ , Москва, 1996 г .

[358] *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, / под ред. 6-е изд. Издательство Волтерс Клувер Год выпуска 2006, 39, http://uristinfo.net/

[359] *Гурвич М.А.* Судебное решение. Теоретические проблемы, 1976.

შესახებ, თუ რომელი მათგანი წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, სასამართლო გადაწყვეტილებით წყდება.
პირს, რომელზეც მოსარჩელემ თავისი სარჩელის მოპასუხედ მიუთითა უფლება აქვს საქმეში იმ პირის ჩართვა მოითხოვოს, რომელთანაც დაკავშირებულია იმ მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობებით, რომლითაც ამ უკანასკნელს აკისრია პასუხისმგებლობა რეგრესის წესით. ეს იქნება მოპასუხის მხარეზე მესამე პირის ჩართვის შემთხვევა.[360]
არსებობს ასევე მოსაზრებაც, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს საერთო ნიშნები აქვთ იმ ურთიერთობებთან, რომელიც სხვისი უფლებების დაცვისას წამოიჭრება, იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში კანონითაა მინიჭებული სარჩელის შეტანის უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში გადაწყვეტილების საფუძველზე.[361]
გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების საპროცესო მდგომარეობის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს:
1. დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ არსებობა; დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირი მხარეებს არ ეცილება დავის საგანზე, ვინაიდან იგი სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტი არაა. ეს ნიშანი არსებითი ამოსავალი წერტილია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირთა არსის განსაზღვრისათვის. მოსარჩელის მხარეზე ჩართული მესამე პირი მოპასუხისაგან არაფერს არ ითხოვს, ისევე როგორც მოპასუხის მხარეზე ჩართულ მესამე პირისაგან მოსარჩელე რაიმეს არ ითხოვს. მაგალითისათვის, შესაძლებელია სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგი შემთხვევის მოყვანა: დავის ფარგლებში იხილებოდა მოთხოვნები მოსარჩელის, მოპასუხის და მესამე პირის ამჟამად საერთო საკუთრებად აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აგებული (არალეგალიზებული) შენობა-ნაგებობების ანუ მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილის დემონტაჟის თაობაზე, საწინააღმდეგოს დადგენამდე (მიწაზე საზიარო უფლების გაუქმებამდე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით ჩანაწერის უსწორობის დადგენამდე) სავალდებულო თანამონაწილეობის სახით მოპასუხედ (და არა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) ჩაბმულ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის ყველა რეგისტრირებული თანამესაკუთრე.
საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის ყველა რეგისტრირებული თანამესაკუთრის, მოცემულ შემთხვევაში, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში მოპასუხედ ჩართვის საკითხი, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურ-სამართლებრივი საკითხების გარკვევას უკავშირდებოდა.

---

[360] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 38.
[361] *Томилов А.Ю.* Сравнительная характеристика правового положения третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований относительно предмета спора, и лиц, осуществляющих защиту чужих прав, свобод и законных интересов // Арбитражный и гражданский процесс. 2014. N 5, 54.

სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობდა, რომ უკანონო მშენებლობა და სხვა მოქმედებები მესამე პირს არ განუხორციელებია. შესაბამისად, აღნიშნულ მოქმედებებზე პასუხისმგებლობა მას ვერ დაეკისრება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ სადავო მოქმედებები მესამე პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა, მაშინ ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა პასუხისმგებლობის, არამედ - მოთხოვნის მატარებელს, რაც ასევე გამორიცხავს მოპასუხის სტატუსით საქმეში მის ჩაბმას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, უკანონო ნაგებობის მშენებლობა და ხელშეშლა განხორციელებულია მოსარჩელის საკუთრებაზე, თუ - არა; და მეორე - ვისგან მომდინარეობს უკანონო მოქმედებები. მხოლოდ აღნიშნული მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების გარკვევის შემდეგ შესაძლებელია პროცესუალურ-სამართლებრივი წესების გამოყენება-განმარტება (მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე და 89-ე მუხლების გამოყენების თავისებურებების განმარტება).[362]

2. მოსარჩელის ინიციატივით უკვე დაწყებულ საქმეში შესვლა მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე. ე.ი. მესამე პირს შესაძლოა იურიდიული ინტერესი ჰქონდეს მხარეთა მიმართ, მაგრამ მისი მაპროვოცირებელია უკვე დაწყებული სასამართლო პროცესი, რომელშიც იგი იმიტომ ებმება, რომ უფლებადაუცველი არ დარჩეს.

3. მატერიალურ სამართლებრივი კავშირის არსებობა იმ პირთან, რომლის მხარეზეც მესამე პირი გამოდის.[363] თუმცა აღნიშნულ ნიშანთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების არსებობა მხარეების არსებობასთანაა დაკავშირებული. რომ არა დავა თავდაპირველ მხარეებს შორის მესამე პირი ვერ იარსებებდა, მაგრამ თავად მხარესა და მესამე პირებს შორის არსებული მატერიალური სამართალურთიერთობები სრულიად დამოუკიდებელია.[364]

4. მესამე პირის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვა. რადგან გადაწყვეტილებამ საქმეზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე, მესამე პირის ინტერესის არსებობის განსაზღვრა მისი საქმეში მონაწილეობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იურიდიული ინტერესის არსებობისა და მისი დასაბუთების მითითება სავალდებულო კომპონენტად უნდა იქნეს მიჩნეული ამ პირის ან მხარეთა ინიციატივით სასამართლოსათვის საქმეში ჩართვის მოთხოვნისას.

5. ძირითად სარჩელზე (მხარეთა დავის) სასამართლოს გადაწყვეტილება მესამე პირების უფლებებს პირდაპირ არ ეხება. სასამართლო გადაწყვეტილება მათ მიმართ არ გამოიტანება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციური მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ პროცესში.[365] გამოტანილი გადაწყვეტილება ირიბად ახდენს გავლენას

---

[362] სუსგ, 23.02.2015, საქმე №ას -1234-1175-2014;

[363] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 79, http://uristinfo.net/.

[364] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 50, http://uristinfo.net/.

[365] Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 50, http://uristinfo.net/

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირთა უფლებებზე.
6. მესამე პირის საქმეში მონაწილეობის ინიციატორი შესაძლოა იყოს როგორც თავად მესამე პირი, ასევე – ერთ-ერთი მხარე. ანუ მესამე პირს შესაძლოა საქმის განხილვაში მონაწილეობა მოუწიოს საკუთარი ნების თავის მიერ გამოხატვის გარეშე, მხარეთა ინიციატივით.[366]
7. ვინაიდან სსსკ-თი მათი საქმეში ჩართვის დრო განსაზღვრული არ არის, პირს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია ჩაერთოს მიმდინარე საქმისწარმოებაში.
8. მესამე პირებს საქმის წარმოებაში ჩართვა შეუძლიათ განცხადებით. თუმცა, კანონი ასეთი განცხადების წერილობით ფორმას არ განსაზღვრავს. შესაბამისად, პირს შეუძლია საქმის განხილვაში ზეპირი განცხადებითაც ჩაერთოს.
9. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს განკარგვითი უფლებები არ აქვთ, რაც იმით აიხსნება, რომ მათ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა არა აქვთ.[367]

4. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის წესი

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის წესი დეტალურად არ არის განსაზღვრული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის 89-ე და 90 მუხლები საქმეში ჩართვის პირობად მოტივირებული განხცადებით მიმართვას ადგენს. „განცხადებაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად რაში გამოიხატება მისი იურიდიული ინტერესი, რა გავლენას მოახდენს მის უფლება-მოვალეობებზე იმ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელში ჩაბმასაც ის მოითხოვს.[368] ამასთან, განცხადება შესაძლოა იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი, რომელიც სხდომის ოქმში შეიტანება.
ქართულისაგან განსხვავებით, გფრ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვის წესს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „(1) დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების საქმეში ჩართვა ხდება საქმის წარმოების განმახორციელებელ სასამართლოში საპროცესო დოკუმენტის წარდგენით, ხოლო თუ საქმეში ჩართვა ხდება გასაჩივრებასთან დაკავშირებით, მაშინ საჩივრის განმხილველ სასამართლოში საპროცესო დოკუმენტის წარდგენით. საპროცესო დოკუმენტი უნდა მიეწოდოს ორივე მხარეს და უნდა შეიცავდეს:

---

366 *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, / под ред. 6-е изд. Издательство Волтерс Клувер Год выпуска 2006, 40, http://uristinfo.net/.
367 *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 135.
368 *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 162.

1) მხარეთა და საქმის დასახელებას (ამ შემთხვევაში საკმარისია სასამართლოს ინსტანციის შესაბამისი საქმის სარეგისტრაციო ნომრის მითითება).
2) კონკრეტულ ინტერესზე მითითება, რომელიც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირს გააჩნია.
3) საქმეში ჩაბმის შუამდგომლობა.
(2) გარდა ამისა არსებობს საპროცესო დოკუმენტების მომზადების ზოგადი წესები."[369]
ე.ი. გერმანულ სამართალში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვისათვის საჭიროა საქმის განმხილველ სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენა. კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს შუამდგომლობა რა დამატებით პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, გარდა იმისა, რომ მასზე ვრცელდება საპროცესო დოკუმენტების მომზადების ზოგადი წესები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართვისათვის სასამართლოსადმი მიმართვის ფორმას ითვალისწინებს როგორც წერილობით ისე ზეპირად. განცხადების რეკვიზიტები განსაზღვრული არაა, მაგრამ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოტივაცია. ზეპირი განცხადება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.[370]
რაც შეეხება მესამე პირების საქმეში ჩართვის დროს, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე იმ მესამე პირების ჩართვის დრო, რომელთაც საკუთარი ინიციატივით პროცესში შესვლა სურთ, სსსკ-ით დაკონკრეტებული არაა, რაც არაერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა. თუ კანონის ანალოგიით ვიმსჯელებთ, მაშინ შესაძლებელია დაშვება, რომ ამ მესამე პირებს პროცესში ჩართვა შეუძლიათ არა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მხარეთა განცხადებით მესამე პირთა ჩართვის ანალოგიურად სსსკ-ს 90-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, „პრაქტიკულად სასამართლოს სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოსატანად გასვლამდე".[371] ამასთან, ვხვდებით მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის „ჩართვა დასაშვებია, თუ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზები ასეთი შუამდგომლობის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობისა"[372]
ამ მხრივ საყურადღებოა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც მესამე პირს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია საქმის განხილვაში ჩაერთოს. აღსანიშნავია ისიც,

[369] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver , Москва, 2006, 22.
[370] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 134.
[371] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 163.
[372] *პერანიძე ი.*, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მართლმსაჯულება და კანონი, №1(28), 35.

რომ მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე საქმეში ჩართვა შეუძლია გასაჩივრების სტადიაზეც კი.[373]
განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო პრაქტიკა არსებობს ფრანგულ სამოქალაქო პროცესში. საილუსტრაციოდ გამოდგება საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე ეხებოდა სანოტარო ბიუროს მიერ გაფორმებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, რომლის განახლებისას (ვალის გადაკისრების ტარნზაქციის შესრულებისას) მასზე თავდაპირველი იპოთეკა აღარ დარეგისტრირდა და ვალის უზრუნველყოფის საშუალებები გაუქმდა. თუმცა, ვინაიდან, ვალის გადაკისრებისას ახალ მფლობელზე უფლებები იმ მოცულობით გადადის, როგორი მის მფლობელს გადაკისრებისას ჰქონდა, შესაბამისად, ახალ მფლობელზე გადავიდა ნოტარიუსისათვის მოთხოვნის წაყენების და მიმდინარე დავაში ჩართვის უფლება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, ყველა დაინტერესებულ პირს, შეუძლია ჩაერთოს სააპელაციო საქმის განხილვაში, მიუხედავად იმისა წარმოდგენილი იყო თუ არა განცხადება პირველ ინსტანციაში. ასევე ჩათვალა, რომ უფლება ჰქონდა გამოეკვლია ის გარემოება, რომ ვალის მიმღებს სათანადო ინტერესი გააჩნდა დავაში ჩართულიყო ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით იმ ნოტარიუსის მიმართ, რომლის ქმედებითაც, მან დაცვის საშუალებები დაკარგა. სანოტარო ბიურომ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, იმ გარემოებათა გამო, რომ სასამართლომ ვალის მიმღების საპროცესო სტატუსი არ განსაზღვრა. კერძოდ ვალის მიმღები ჩართულ იქნა როგორც თავდაპირველი მოვალის უფლებამონაცვლე, თუ პერსონალურად როგორც დაზარალებული, ვინაიდან მისი როგორც დაზარალებული მხარის მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის მუხლების დარღვევა იკვეთებოდა, საჩივარი უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და არ დაკმაყოფილდა იმ გარემოების გამო, რომ სააპელაციო სასამართლო შეზღუდული არ იყო გამოეკვლია საქმის გარემოებები. ამასთან, ვალის მიმღებზე ვალი და მისი უზრუნველყოფის საშუალებები კანონით გადავიდა და კონტრაქტის კონკრეტული მუხლის მითითებას არ საჭიროებდა.[374] აღნიშნული გადაწყვეტილება საფუძველს იძლევა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების სააპელაციო ინსტანციაში ჩართვის დადებითად მიჩნევისათვის.
მესამე პირის საქმეში ჩართვა მხარის ინტერესების დაცვის საშუალებას წარმოადგენს. მხარე ყოველთვის დაინტერესებულია საქმეში მესამე პირის რაც შეიძლება სწრაფად ჩართვაში, რათა მისგან მოსალოდნელმა დახმარებამ დროულად იმოქმედოს. ამიტომ, მხარეებმა რაც შეიძლება დროულად უნდა მიიღონ ზომები შესაძლო მესამე პირების მოძიებისათვის. თუ მხარეები მესამე პირის მისამართს არ მიუთითებენ ან ის არასწორი აღმოჩნდება, მაშინ საქმის მოსმენა მისი მონაწილეობის

[373] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 22.
[374] Cour de cassation, First Civil Chamber, (pourvoi no. 03-17839)Bull.civ. 2006,I. no. 6, p.5, 10.01.2006, Translated by: Tony Weir, Copyright: Professor B. S. Markesinis. www.law.utexas.edu, CST. Copyright 2007.

გარეშე მოხდება, ვინაიდან მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მესამე პირის მონაწილეობა სავალდებულო არაა. თუ საქმეში მესამე პირის ჩართვის შესაძლებლობის შესახებ პროცესის დასაწყისშივე იყო ცნობილი, მაგრამ მხარეები საქმეში მესამე პირის ჩართვის შესახებ მტკიცებულებების შემოწმების შემდეგ შუამდგომლობენ და სასამართლო იმ დასკვნამდე მივა, რომ მხარის მიერ აღნიშნული განცხადება საქმის გაჭიანურების მიზნითაა გაკეთებული, სასამართლომ ასეთი განცხადება მხარის მიერ საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებად უნდა მიიჩნიოს. ეს საკითხი შეიძლება წამოყენებულ იქნეს არა მარტო სასამართლოს, არამედ მეორე მხარის ინიციატივითაც, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს საქმეში მესამე პირის ჩართვის შუამდგომლობა. მას შეუძლია დაამტკიცოს მესამე პირის საქმეში ჩართვისათვის საჭირო იურიდიული ინტერესის არ არსებობა, აგერთვე მესამე პირის ჩაბმის უდროობა. კანონმდებლობა ებრძვის საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით მესამე პირის საქმეში ჩაბმის ინსტიტუტის გამოყენებას. ბრძოლის მექანიზმი ასეთია: ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლო მხარეებს ავალებს აცნობონ თუ ვინ შეიძლება პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად ჩაებას (სსკ 201, 2. „ზ.ბ"). საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი სასამართლო პროცესში მესამე პირების დაშვების შესახებ.[375]

აქვე, საქმეში ჩართვის დროსთან ერთად მნიშვნელოვანია იმ საკითხის განხილვა, მესამე პირების ჩართვა ხომ არ იწვევს საქმის განხილვის შეფერხებას, გარკვეული საპროცესო მოქმედების თავიდან ჩატარებას. მაგალითისათვის შესაძლებელია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოყვანა. საფრანგეთი იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიც მესამე პირის საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით საქმის წარმოება ჩერდება. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმეში მესამე პირის ჩართვისათვის მოპასუხეს ვადა განუსაზღვროს. საქმის წარმოება მესამე პირის გამოჩენისათვის დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე განახლდება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი ცალკე მიმართავს ან მოსამართლის მიერ განსაზღვრულ პერიოდში არ გამოცხადდება. ხოლო კოდექსის 110-ე მუხლის შესაბამისად მოსამართლეს შეუძლია საქმის წარმოება შეაჩეროს, თუ მხარე მესამე პირის მიერ სადავო საკითხზე პროცესის არსებობის შესახებ უთითებს. მხარეს მისთვის უფლებამოსილი შუამდგომლობების დაყენება ამ ვადის ამოწურვის შემდგომ შეუძლია.[376] რაც შეეხება გერმანულ საპროცესო კანონმდებლობას, მესამე პირების ჩართვის შემთხვევაში უკვე განხორციელებული მტკიცებულებების კვლევა არ უნდა განმეორდეს.[377] ამასთან აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავაში მესამე პირის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენით ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება.[378]

---

[375] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 163.

[376] *Wijffels,* French civil procedure (1806-1975), 25.

[377] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 103.

[378] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, Verlag C.H. Beck Munchen, 2011, თბილისი, 2014, 99.

საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკისა და კანონის განმარტებიდან გამომდინარე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების საქმეში ჩართვა პროცესის თავიდან დაწყებას არ იწვევს. ვინაიდან მათი საქმეში ჩართვის გამო შეფერხდეს მხარეთა შორის მიმდინარე დავა არ უნდა. ამიტომ, მესამე პირები მხოლოდ იმ პროცესუალურ მოქმედებებში მიიღებენ მონაწილეობას, რომლებსაც მათი ჩაბმის შემდეგ ექნებათ ადგილი. აღნიშნულისაგან განსხვავებული მიდგომა აქვს რუსეთის ახალ სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, რომლის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესში ჩართვისას სასამართლოში საქმის განხილვა თავიდან იწყება. [379]ე. ი. რუსეთის კანონმდებლობაში მესამე პირის საქმეში ჩართვა პროცესში ახალი მონაწილის გაჩენას ნიშნავს, რაც სასამართლოს ავალდებულებს საქმის განხილვა თავიდან დაიწყოს.

5. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობის ინიციატივა

სსსკ-ს 89-ე მუხლით გათვალისწინებულია თავად მესამე პირის შუამდგომლობით საქმეში ჩართვა. შესაბამისად, თუ მესამე პირი თავისი ინიციატივით ითხოვს ჩართვას, ცხადია ნებაყოფლობითია. მაგრამ სსსკ-ი ცალ-ცალკე მუხლებით განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საკუთარი და მხარეთა ინიციატივით საქმეში ჩართვას. მხარეთა ინიციატივის დროს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მონაწილეობა პროცესში შესაძლებელია სასამართლოს განჩინებით, რომელიც მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით გამოიტანება. კოდექსი არ აკონკრეტებს, ამ შემთხვევაში აქვს თუ არა მესამე პირს საქმეში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება, თუ სასამართლოს განჩინებას არ ეთანხმება. ამ ეტაპზე მოქმედი საპროცესო კოდექსით მხარეთა და მესამე პირთა ნებაზეა დამოკიდებული საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა ჩართვა და შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული:
1. მხარემ აუცილებლად უნდა ჩართოს პროცესში მესამე პირი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეიუდიციური მნიშვნელობა ექნება პროცესის ერთ მხარესა და მესამე პირს შორის სამართალურთიერთობის გადაწყვეტისათვის.
2. მესამე პირის პროცესში არ ჩართვა დაკავშირებულია მხარეთათვის არახელსაყრელ შედეგებზე: სასამართლოს გადაწყვეტილებას უდავოდ პრეიუდიციური ხასიათი არ ექნება იმ მესამე პირისათვის, რომელიც პროცესში არ მონაწილეობდა.
3. მესამე პირი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ დაამტკიცებს, რომ სასამართლოს არახელსაყრელი დასასრული ეფუძნება სწორედ მხარის მიერ მის მონაწილეობაზე უარს და თუ მესამე პირი

[379] *Жилин Г. А.*, Коментарий к гражданскому процесуальному кодексу Российской Федераций, Москва 2003.

მონაწილეობას მიიღებდა, მაშინ მხარე ხელსაყრელ გადაწყვეტილებას მიაღწევდა.[380]

4. მესამე პირის მიერ პროცესისათვის თავის არიდების შემთხვევაში რეგრესული სარჩელის წარდგენისას მესამე პირი მოკლებულია შესაძლებლობას დაამტკიცოს მხარის მიერ პროცესის არასწორი მართვა. ვინაიდან, თავი რომ არ აერიდებინა, მას შეეძლო თავისი უფლებები დაეცვა რეგრესული სარჩელისაგან საქმის წარმოებისას დაშვებული შეცდომების გასაჩივრებით. [381]

რაც შეეხება სასამართლოს, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვისას, მას ასე ვთქვათ, მაკონტროლებელი ფუნქცია აკისრია: სასამართლო განიხილავს მხარეების ან მესამე პირის განცხადების საფუძვლიანობას და გამოიტანს განჩინებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ. თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს ინიციატივით მესამე პირის საქმეში ჩართვას ან მოწვევას მესამე პირად ჩაბმაზე არ ითვალისწინებს. თუმცა არის მოსაზრება, რომ„სსკ-ს 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის მომზადების მიზნით მოსამართლე წყვეტს საქმეში მესამე პირთა დაშვების საკითხს. ეს ეხება როგორც მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საქმეზე გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსარჩელესთან თუ მოპასუხესთან რაიმე ურთიერთობით დაკავშირებულ სხვა პირების უფლებებზე, მას შეუძლია ეს პირები საქმეში მესამე პირებად ჩააბას.”[382]

აღსანიშნავია, რომ კონტინენტური სამოქალაქო საპროცესო სამართალი, რომლის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ მოსამართლეს ფართო უფლებები აქვს მინიჭებული, მესამე პირების საქმეში ჩართვასთან მიმართებაში მოსამართლეს უფრო ფართო უფლებამოსილებით აღჭურვავს, განსხვავებით შედარებით პასიური ამერიკული მოსამართლისაგან. ამასთან, „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპები და წესები”, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით მოიაზრება როგორც სამოდელო სამოქალაქო საპროცესო წესები, სასამართლოს საქმის განხილვისას მესამე პირების მოწვევის კომპეტენციას ანიჭებს.[383] არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უპირატესი ინტერესი, რომელსაც სამოდელო კოდექსი ზემოაღნიშნული დათქმით იცავს: „სამართლებრივი უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეფექტური მართლმსაჯულებით, რომლის საბოლოო მიზანი არის სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ საქმეზე; მეორე მხრივ, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებისადმი სანდოობით, რასაც ორი მთავარი საფუძველი (ასპექტი) აქვს:

---

[380] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 81, http://uristinfo.net/.

[381] *Мельников А.А.* 1981. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва, 236.

[382] *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 158.

[383] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure, principles of transnational civil procedure Appendix: Rules of transnational civil procedure (A Reporters' Study) UNIDROIT 2005 – Study LXXVI – Doc. 13, Rome, < http://www.unidroit.org/>. 2006;

სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოოობა – სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა.[384] სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საქმის განხილვა მოხდეს სრულყოფილად, ყოველმხრივ და ყველა იმ პირმა მიიღოს მონაწილეობა, რომელიც დაკავშირებულია დავის საგანთან, რათა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ მოხდეს. მესამე პირების კუთხით სამოდელო პრინციპებით შემოთავაზებულ მიდგომებსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ მესამე პირებს შორის, საკმარისი განსხვავებები იკვეთება. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მესამე პირების საქმეში ჩართვა აუცილებელია ამ პირებმა ან მხარეებმა მოითხოვონ. რაც შეეხება სასამართლოს, მისი კომპეტენცია მესამე პირების საქმის განხილვაში ჩართვასთან მიმართებაში შეზღუდულია. სასამართლოს არ აქვს მინიჭებული უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს და საქმეში ის პირი ჩართოს, რომლის უფლებებზე და მოვალეობებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს სასამართლოს გადაწყვეტილება და მხარეებმა არ განაცხადონ მის თაობაზე. მაშინ, როდესაც ბოლოდროინდელი რეფორმების შემდეგ ევროპული სამართალი მოსამართლის ფართო უფლებებით გამოირჩევა,[385] ქართველი მოსამართლის პასიურმა როლმა მესამე პირების ჩართვის კუთხით შესაძლოა არასწორი გადაწყვეტილების არსებობა გამოიწვიოს და ახლად აღმოჩნილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდეს.

აღნიშნული საკითხი რომ ყურადღებას საჭიროებს და უდავოდ პრობლემატურია, ამის დასასაბუთებლად შემდეგი მაგალითი გამოდგება: მოსარჩელემ (დედამ) მოპასუხეს (შვილს) აჩუქა უძრავი ქონება, რომელსაც მთელი რიგი კრედიტორების მიმართ დავალიანება გააჩნდა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ აღსრულების მიქცევა შვილის უძრავ ქონებაზე, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რომელსაც სავარაუდოდ მოპასუხე ცნობდა. როდესაც ცხადია ასეთი შედეგის დადგომის ალბათობა, როგორ შეუძლია სასამართლოს რაიმე ფორმით ჩააბას კრედიტორი დავაში, რათა მან შეძლოს თავისი უფლებების დაცვა იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში მესამე პირების ჩაბმა სასამართლოს საკუთარი ინიციატივით არ შეუძლია."[386] მითითებულ მაგალითში ერთმნიშვნელოვნად გამოჩნდა მხარეთა მიზანი და განზრახვა, ასევე, გამოიკვეთა, რომ დავის საგანთან დაკავშირებით არსებობენ მესამე

[384]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 5 ნოემბერი, გვ. 9

[385] *Ng G. Y.*Case management: Procedural law v best practices, Judicial case management and efficiency in the Netherlands, , Judicial case management and efficiency in civil litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007,131.

[386] საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი 2011, განთავსებულია http://www.supremecourt.ge/, 9-11.

პირები და თუ მხარე მათ არ შეატყობინებს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებლად მოახდენს გავლენას კრედიტორების უფლება-მოვალეობებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა პირს უფლება აქვს თავისი დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს. ეს პირის კონსტუტუციური უფლებაა და მისი შეზღუდვა არ შეიძლება. როდესაც პირს სასამართლოში გარკვეული შინაარსის სარჩელი შეაქვს, ივარაუდება, რომ პირის ეს სარჩელი მართლზომიერია. მეორე საკითხია, რამდენად საფუძვლიანია იგი და რამდენად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც იგი სასამართლოს მიერ გაზიარებულ და დაკმაყოფილებული იქნება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო პირს ასეთ უფლებას ვერანაირად ვერ შეუზღუდავს. თუმცა ზემოთ დასმულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ამ სარჩელის უკან მართლაც იდგეს გარკვეული პირების არაკეთილსინდისიერი განზრახვა - დაიცვან ქონება შესაძლო რეალიზაციისაგან. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი სარჩელები უსაფუძვლო იქნება და არ დაკმაყოფილდება. ამიტომ, საბოლოო ჯამში, ასეთი ღონისძიება არაკეთილსინდისიერი მხარეების მხრიდან კრედიტორების სასარგებლოდ ქონების რეალიზაციის მხოლოდ დროებით ბარიერს შექმნის. სხვაგვარად არის ვითარება, როდესაც მოპასუხე ცნობს სარჩელს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სრული საფუძველია. ამ შემთხვევაში კრედიტორები შესაძლოა მართლაც უთანასწორო მდგომარეობაში ჩავარდნენ, მაგრამ ამის თავიდან აცილება ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია. როდესაც ესა თუ მხარე მეორე მხარესთან ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში შედის, მან იმთავითვე უნდა გაითავისოს ის შესაძლო ეკონომიკური რისკი, რაც ვალდებულების შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ, რეალურ ცხოვრებაში ამ რისკის თავიდან აცილება ფაქტობრივად შეუძლებელია. საბოლოოდ აზრი შეჯერდა და დადგინდა, რომ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში სასამართლომ ჩვეულებრივ უნდა მიიღოს წარმოებაში ასეთი ტიპის სარჩელი და განიხილოს იგი საერთო წესის მიხედვით. სხვა შესაძლებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.[387] აღნიშნული მიდგომის დამკვიდრება სწორედ იმ მიზეზითაა გამოწვეული, რომ სასამართლოს საკუთარი ინიციატივით პროცესში მესამე პირთა მოწვევის უფლება არა აქვს. ასეთი მიდგომა სასამართლოს მიერ ისეთი გადაწყვეტილება გამოტანის თეორიულ შესაძლებლობას უშვებს, რომლის საბოლოობა თავიდანვე ეჭვქვეშაა დაყენებული. მსგავს შემთხვევასთან მიმართებაში განსხვავებული და უფრო მეტად ოპტიმალური მიდგომა იქნა ჩამოყალიბებული სააპელაციო

[387] საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი 2011, განთავსებულია http://www.supremecourt.ge/ , 9-11.

სასამართლოს მიერ.[388] შესაბამისად, რადგან შესაძლებელია, რომ მესამე პირმა სასამართლოში საქმის განხილვის შესახებ არ იცოდეს, თუ საქმის განსახილველად მომზადების სტადიაზე სასამართლო დაადგენს, რომ შეტანილი სარჩელი მესამე პირის უფლებებს ეხება, მართებული იქნება, რომ მას სასამართლოში საქმისწარმოებისა და მისი განხილვის დროის შესახებ შეატყობინოს და მასში მონაწილეობის უფლების შესახებ განუმარტოს. სააპელაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ სსსკ-ის 89-ე და 90-ე მუხლები ადგენს მესამე პირის ჩაბმის შესაძლებლობას მხარის ან თავად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის შუამდგომლობის საფუძველზე. დისპოზიციურობის მიხედვით მხარეები თავად წყვეტენ მიმართავენ თუ არა სასამართლოს ასეთი შუამდგომლობით. ამასთან, თუ ჩანს, რომ დავაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ შემდგომში შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ, უნდა გაირკვეს, ასეთი სუბიექტი არის თუ არა დავის თაობაზე ინფორმირებული. ეს საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ასეთმა პირმა გადაწყვიტოს, ისარგებლებს თუ არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილი უფლებით. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტების თაობაზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას საქმის გარემოებათა გასარკვევად ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს მხარეთა მოთხოვნის გარეშე, საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს. მაგრამ სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც მთლიანად მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს ეფუძნება, სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის უფლება ვიწროდ (შეზღუდულად) უნდა იქნეს განმარტებული, რაც გულისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის საფუძვლები და აუცილებლობა სასამართლომ ნათლად უნდა დაასაბუთოს. მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, როდესაც კონკრეტული საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის კანონი სასამართლოს ავალებს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებას, ხოლო მოსარჩელე მოცემულ საქმეში საჭიროდ არ მიიჩნევდა ზემოთ აღნიშნული სავარაუდო დაინტერესებული პირების საქმეში ჩაბმას და არც საქმის გარემოებებიდან იკვეთება დავის განხილვაში მათი მონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლები.[389] მსგავსი მიდგომა სავსებით შეესაბამება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვის არსს და რა თქმა უნდა მესამე პირის მონაწილეობის აუცილებლობა საქმის გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამიტომ, მიზანშეწონილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის საქმეში ჩართვის უფლება მიეცეს სასამართლოს ინიციატივით. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგება საქმის მოსამზადებელ ეტაპს. სსსკ-ის 201-ე მუხლის შესაბამისად, საქმის

[388] თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე 2ბ/5114-14, 20.11.2014, განთავსებულია სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში (სები), www.library.court.ge
[389] სუსგ, 23.02.2015, საქმე №ას -1234-1175-2014.

მომზადების ეტაპზე მოსამართლე წყვეტს საქმეში მესამე პირების ჩაბმის საკითხს. 205-ე მუხლის თანახმად კი, თუ საქმის მომზადების ინტერესი ამას მოითხოვს, ინიშნება მოსამზადებელი სხდომა. შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება არ ნიშნავს სასამართლოს პასიურობას. იგი მართლმსაჯულების ორგანოა და უნდა ემსახურებოდეს მთავარი მიზნის მიღწევას – ეს არის კანონიერი და დასაბუთებული აქტის მიღება. მატერიალური სამართლის პროცესზე გავლენიდანაც იკვეთება ამგვარი წესის შემოღების აუცილებლობა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 706-ე მუხლში მართალია მესამე პირი ნახსენები არ არის, მაგრამ ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ მესამე პირის ინფორმირებაზე, პროცესში ჩართვაზე და სასამართლოს ვალდებულებაზეა საუბარი გადაზიდვა გადაყვანის ურთიერთობაში.

6. მხარე, რომლის მხარეზეც მონაწილეობს მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მხარეებს შორის არსებულ მატერიალურ სამართალურთიერთობების მონაწილე არ არის, არამედ დაკავშირებულია იმ მხარესთან, რომლის მხარესაც იგი გამოდის. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოდავეს შეუძლია მესამე პირის მხოლოდ თავის მხარეზე ჩართვა. ამიტომ მოსარჩელის შუამდგომლობა მოპასუხის მხარეზე მესამე პირის ჩართვის შესახებ განხილულ უნდა იქნეს როგორც შუამდგომლობა თანამოპასუხის ჩართვის შესახებ. და პირიქით მოპასუხის შუამდგომლობა მოსარჩელის მხარეზე მესამე პირის ჩართვის შესახებ ჩაითვლება საქმეში თანამოსარჩელის ჩართვის შესახებ შუამდგომლობად და თითოეულ შემთხვევაში საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით გადაწყდება.

განხილული საკითხის სხვაგვარი გადაჭრა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის ინსტიტუტის პროცესუალურ მიზანს არ შეესაბამება. მოდავეები საქმეში მესამე პირს პირველი რიგში პროცესში საკუთარი პოზიციის გაძლიერებისათვის რთავენ. ჩართვის მეორე მიზანია არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში მხარემ ზიანის ანაზღაურება საქმეში ჩართულ მესამე პირს რეგრესის უფლებით გადააკისროს.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირები პროცესში შესაძლოა როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის მხარეზე მონაწილეობდნენ. თუმცა პრაქტიკაში უფრო ხშირად და როგორც ამას მეცნიერთა უმრავლესობა მიუთითებს, როგორც წესი, მოპასუხის მხარეზე მონაწილეობენ.[390] მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირები დაინტერესებულნი არიან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით. ისეთ სამოქალაქო საქმეებში: ზარალის ანაზღაურების, საბინაო, ალიმენტის დაკისრების, მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის და ა. შ. მაგალითად ზიანის მიმყენებელი მესამე პირად ერთვება დაზარალებულის პროცესში სადაზღვევო კომპანიის მიმართ სადაზღვევო პრემიის ანაზღაურებაზე.

[390] *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 158.

იპოთეკური სესხების გამცემი საკრედიტო ორგანიზაციები შესაძლოა, საქმეში მესამე პირებად ჩაერთონ იმ საცხოვრებელი ფართის საკუთრების უფლებაზე დავისას, რომელიც იპოთეკის საგანია. საერთო საკუთრებით სარგებლობაზე მობინადრეთა დავაში მესამე პირად შეიძლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ჩაერთოს. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის, ასევე მეუღლის წილის გათავისუფლების საქმეებზე მესამე პირებად შეიძლება ქონების გამყიდველი ჩაერთოს, თუ ქონება ჯერ კიდევ დაუფარავი კრედიტის ნაყოფია.

მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მონაწილეობის სტანდარტულ მაგალითად ლიტერატურაში მიჩნეულია მშობლის მიერ მეორე ქორწინებაში დაბადებული ბავშვებისათვის ალიმენტის გადახდევინების დაკისრების შესახებ მიმდინარე დავისას,[391] (როცა მოპასუხე უკვე უხდის ალიმენტს პირველ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) მონაწილეობა. ამ შემთხვევაში, სასამართლომ პირველ ქორწინებაში შეძენილი ალიმენტის მიმღებნი საქმეში მესამე პირებად უნდა ჩართოს, ვინაიდან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მათთვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა შემცირდება.[392] მაგალითად, მოპასუხე ერთ ბავშვს უკვე უხდის ალიმენტს ხელფასის მეოთხედის ოდენობით. თუ მეორე ბავშვისათვის ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელი დაკმაყოფილდება, და მოპასუხეს დაეკისრება 2 ბავშვისათვის თავისი ხელფასის 1/3-ის გადახდა, თითოეულ ბავშვს 1/6 შეხვდება. სწორედ ამიტომ მიმდინარე დავისადმი პირველი ბავშვის დედას იურიდიული ინტერესი გააჩნია, ვინაიდან მეორე ბავშვისათვის ალიმენტის მიკუთვნების შედეგად მათი კუთვნილი ალიმენტი 1/6 მდე მცირდება.

როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს არის შემთხვევებიც, როცა მხარეთა და დამხმარეთა ინტერესები თავდაპირველი პროცესის დასაწყისშივე იყოფა. მაგალითად, თუ საქმის მასალებიდან გამოჩნდა, რომ მხარეები ერთად ცხოვრობენ, საერთო მეურნეობას ეწევიან და ბავშვებს ერთად არჩენენ. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია დაასკვნას, რომ სარჩელი ცოლის მიერ ქმრის მიმართ შეტანილია მხოლოდ იმ ალიმენტის შემცირების მიზნით, რომელსაც ქმარი პირველ ცოლს უხდის შვილების რჩენისათვის. ამ შემთხვევაში საქმეში მესამე პირად მოპასუხის მხარეზე ალიმენტის მიმღები ან მისი მეურვე უნდა ჩაერთოს. მოყვანილი მაგალითის მიხედვით შესაძლებელია დასკვნა, რომ მხარეთა შორის დავის სწორად გადაწყვეტას ზოგჯერ მესამე პირისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხარისათვის, რომელიც წარმოადგენს რა უშუალო რგოლს, არახელსაყრელი გადაწყვეტილების შემთხვევაში თავს რეგრესული სარჩელის შესაძლებლობით უზრუნველყოფს. ამიტომ, შესაძლოა მხარისათვის აბსოლუტურად სულ ერთი იყოს როგორ გადაწყდება მოცემული დავა, როგორი გადაწყვეტილება გამოვა საქმეზე. მხარეს შეუძლია აგრეთვე ცნოს სარჩელი, რათა შემდეგ მესამე პირს რეგრესის წესით წაუყენოს მოთხოვნა. სწორედ იმიტომ, აუცილებელია დამოუკიდებელი სასარჩელო

---

[391] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ.*. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 159.

[392] *Шакарян М. С.* Комментарий к гражданскому процессуальному кодексу РСФСР (научно-практический) / Под ред. М.С. Шакарян. М., 2001, 130.

მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს პროცესში თავისი ინტერესების დაცვის ყველა საშუალება გააჩნდეთ, ვინაიდან მხარემ შესაძლოა საჭიროდ არ ჩათვალოს მათი გამოყენება, ხოლო მხარის ინტერესების დაცვა მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს მესამე პირის მიერ საკუთარი ინტერსების დაცვისათვის. და ბოლოს მხარეს შეუძლია პროცესი მხოლოდ იმიტომ დაიწყოს რომ საქმეში არამონაწილე პირთა ინტერესები შელახოს.

იურიდიულ ლიტერატურაში სტანდარტულ მაგალითად მოყავთ მოპასუხის მიერ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიმართ რეგრესული სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით საქმეში მონაწილეობა: მაგალითად, ა-მ სარჩელი შეიტანა ტექნიკის მაღაზის მიმართ პლანშეტის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით. აღნიშნული ნივთი მოპარული აღმოჩნდა და საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩამორთმეულ იქნა. მოცემულ შემთვევაში ბ-ს შეუძლია რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს მიმწოდებელს, რომელსაც მისთვის უფლებრივად უნაკლო ნივთი უნდა გადაეცა და საქმეში ჩართოს როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომელსაც შემდეგ პროცესში რეგრესულ მოთხოვნას წაუყენებს მყიდველისათვის უკან დაბრუნებული თანხის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასამართლო პრაქტიკაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მოპასუხის მხარეზე საქმეში მონაწილეობის გავრცელებული შემთხვევაა ასევე, ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობა, რომლიდანაც რეგრესის უფლება გამომდინარეობს. 463-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება აქვს, მაშინ ისინი სოლიდარულ მოვალეებს წარმოადგენენ. შესაბამისად, თუ სესხი გაცემულია ორ პირზე ერთმანეთისადმი სოლიდარული პასუხისმგებლობით, ხოლო კრედიტორი სარჩელს ერთ-ერთის მიმართ წარადგენს, მაშინ მეორე საქმეში ჩაერთვება მესამე პირად მოპასუხის მხარეზე. სოლიდარული პასუხისმგებლობისას სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მოვალის მიმართ გამოდის, რომელსაც მოთხოვნა ჰქონდა წაყენებული. დანარჩენი მოვალეებისათვის გადაწყვეტილებას პრეიუდიციური მნიშვნელობა ექნება, მაგრამ იგი მათთვის უფლებებსა და მოვალეობებს არ შექმნის, არამედ მათ არსებობა-არ არსებობას დაადგენს. ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოხსენიებულნი არ იქნებიან. 473-ე მუხლის თანახმად: „მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, დანარჩენ მოვალეთა მიმართ აქვს უკუმოთხოვნის უფლება წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამიტომ თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებისას მოპასუხეს შეუძლია რეგრესული სარჩელი შეიტანოს დანარჩენი მოვალეების მიმართ. მაგრამ სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილება მხოლოდ მის მიმართ იქნება გამოტანილი, ხოლო მის მხარეზე ჩაბმულ მესამე პირებს ვერაფერი ვერ დაეკისრებათ, ვინაიდან მათ წინააღმდეგ სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მოპასუხის მხარეზე საქმეში მონაწილეობის გავრცელებულ მაგალითს ადგილი აქვს სსკ-ს 686-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომლის თანახმადაც: „გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე - მიტანის ვადის გადაცილებისათვის.” ხოლო სსკ-ს 703-ე მუხლის თანახმად მოთხოვნა ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველებისაგან

ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, შეგებებული სარჩელის ან შეცილების წარდგენის გარდა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პირველი, ბოლო ან იმ გადამზიდველის მიმართ, რომლის მიერ გადაზიდვისას დაიკარგა, დაზიანდა ტვირთი, ან გადაცილებულ იქნა ტვირთის ჩაბარების ვადა; ერთი და იგივე სარჩელი შეიძლება რამდენიმე გადამზიდველს წარედგინოს.” ე.ი. თუ ტვირთის გადაზიდვისას მოხდა ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან გადაზიდვის ვადის გადაცილება, ხოლო გამგზავნი სარჩელს პირველ გადამზიდველს წარუდგენს, საქმის განხილვაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად შესაძლოა სხვა გადამზიდველები ჩაებან, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან, რომ სარჩელის დაკმაყოფილება არ მოხდეს. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მითითონ, რომ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება განსაკუთრებული საფრთხისგან წარმოიშვა. ე.ი. ისინი ერთვებიან პროცესში, რომელიც უკვე დაწყებულია, მაგრამ არა მათი ინიციატივით. მათ საქმისადმი მატერიალურ სამართლებრივი დაინტერესება გააჩნიათ, ვინაიდან საქმეზე გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. ჩაერთვება რა საქმეში მესამე პირი იცავს თავის სუბიექტურ უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც მხარეთა ინტერესებს არ ემთხვევა. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირველი გადამზიდველი ვალდებული იქნება მოსარჩელეს აუნაზღაუროს ზიანი. მაგრამ აღნიშნულ პროცესს შესაძლოა შემდეგი პროცესი მოყვეს, ვინაიდან სსკ-ს 704-ე მუხლის თანახმად გადამზიდველს ზიანის ანაზღაურებისას რეგრესის უფლება წარმოეშობა. ამ შემთხვევაში დაწყებულ პროცესში მოსარჩელე პირველი გადამზიდველი იქნება, ხოლო დანარჩენი გადამზიდველები – მოპასუხეები. მათ მიმართ სასამართლოს წინა გადაწყვეტილებას პრეიუდიციური ძალა ექნება. შესაბამისად, მათ დაეკისრებათ მათი პასუხისმგებლობის წილის შესაბამისი თანხის ანაზღაურება.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მოპასუხის მხარეზე საქმეში მონაწილეობის მაგალითია აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 879-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა, რომლის თანახმადაც: „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით წერილობით ვალდებულებას კისრულობს, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.” აღნიშნული ფულადი თანხის გადახდის შემდეგ სსკ-ს 890-ე მუხლის თანახმად გარანტს რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

წარმოეშვება. სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მოსარჩელე იქნება ბენეფიციარი, მოპასუხე - გარანტი, ხოლო საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირად პრინციპალი ჩაერთვება. იგი დაეხმარება გარანტს მტკიცებაში, რომ მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს არ შეესაბამება. ამ შემთხვევაში, პრინციპალი იმითაა დაინტერესებული, რომ სარჩელის დაკმაყოფილება არ მოხდეს, რადგან ეს გავლენას იქონიებს მის უფლებებზე და მოვალეობებზე მოსარჩელის მიმართ.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მონაწილეობა მოსარჩელის მხარეზე, სასამართლო პრაქტიკაში შედარებით იშვიათია.[393] მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად: მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა) არ ეწინააღმდეგება. მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მოვალის პატივსადები ინტერესი არსებობს. მოთხოვნის დათმობა მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით ხდება. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველი მფლობელის ადგილს მესამე პირი იკავებს. თუ დათმობილი მოთხოვნის კრედიტორი (ახალი კრედიტორი) სარჩელს შეიტანს მოვალისადმი, ხოლო მოვალე იმ მოტივით, რომ მოთხოვნა კაბალური ან სხვა რაიმე საფუძვლით ბათილია, შესაგებლით მას გააპროტესტებს და სასამართლო ჩათვლის, რომ მოსარჩელეს საპასუხო მოთხოვნის უფლება აქვს თავდაპირველი კრედიტორის, ცედენტისადმი, საქმის განხილვაში მოსარჩელის მხარეზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ძველი კრედიტორი ჩაებმება. ვინაიდან, თავდაპირველი კრედიტორი ახალი კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მისთვის გადაცემული მოთხოვნის ნამდვილობისათვის, მისი საქმეში მონაწილეობა შესაძლოა მოსარჩელეს მოსასუხისადმი თავისი მოთხოვნის დაცვაში დაეხმაროს. თუ მესამე პირი ვალდებულების ნამდვილობას დაამტკიცებს, მოსარჩელე მოპასუხეს მის შესრულებას მოთხოვს. სასამართლოს მიერ წამოყენებული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოთხოვნის არანამდვილობის გამო, მოსარჩელეს მესამე პირის მიმართ რესგრესის უფლება უჩნდება. ცესიონერი შეიტანს სარჩელს მესამე პირისადმი და მისგან იმ ყველაფრის დაბრუნებას მოითხოვს, რაც ცედენტს მოთხოვნის დათმობასთან დაკავშირებით გადაუხადა. ე. ი. თუ პირი სხვა პირისაგან სასესხო უფლებამოსილებას მოიპოვებს და სარჩელს ვალზე პასუხისმგებელი პირის მიმართ შეიტანს, ხოლო მოპასუხე, თავისი უფლებების დაცვისას შეეცდება დაამტკიცოს, რომ ვალი სრულად ან ნაწილობრივ დიდი ხნის დაფარულია, საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე თავდაპირველი კრედიტორი ჩაებმება. იგი, მოსარჩელესთან ერთად, ვალის გადაუხდელობის დამტკიცებით იქნება დაინტერესებული. მესამე პირი წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომ სასესხო ვალდებულება გადახდილი არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის სარჩელის დაუკმაყოფილებლობისას, მოსარჩელე მას რეგრესულ მოთხოვნას

[393] *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 158.

წარუდგენს. ე.ი. მისი საქმეში ჩაბმის მოტივს საპასუხო მოთხოვნისგან გაქცევის მცდელობა წარმოადგენს, რაც ცედირებული უფლების რეალურად არ არსებობას ეფუძნება.

რაც შეეხება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების საქმეში ჩართვის შესაძლებლობას, ვინაიდან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირები მოსარჩელის ყველა უფლებითა და მოვალეობით სარგებლობენ, მათ მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირმა ჩვეულებრივად უნდა მიიღოს მონაწილეობა, ისევე, როგორც მოსარჩელის მხარეზე ჩაბმულმა. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი განიხილავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მხარეზე სხვა მესამე პირების ჩაბმის საკითხს და მიაჩნია, რომ პროცესში ჩაბმული დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ინსტიტუტი ამ კითხვას არ ეწინააღმდეგება. იგი მოცემული საკითხის რეალიზების ფორმას შემდეგნაირად აყალიბებს: თავდაპირველად მხარე პროცესში თავისი პოზიციების გასაძლიერებლად რთავს მესამე პირს, შემდეგ მესამე პირი თავის მხრივ, მესამე პირს რთავს, რომელიც პირველი მესამე პირის ინტერესებს იცავს და ამით თავდაპირველ მხარეს მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.[394] მაგალითად, თუ სარჩელი შეტანილია მყიდველისათვის შეძენილი ქონების ჩამორთმევის შესახებ, მყიდველის მოთხოვნით საქმეში ჩართულ გამყიდველს თავის მხრივ შეუძლია საქმეში თავდაპირველი გამყიდველი ჩააბას, რომლის სამართალმემკვიდრედაც იგი ითვლება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა ამგვარ მაგალითებს არ იცნობს. გარკვეული პროცესუალისტების მიერ ასეთი სახის მესამე პირის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „სუბმესამე პირი" და მიჩნეულია, რომ თუ „სუბმესამე პირის" საქმეში ჩართვა საქმეში მონაწილე მესამე პირის მხარეზე პროცესს არ დატვირთავს და მხოლოდ მის დაჩქარებაზე და საქმის უფრო სრულად გამოკვლევაზე იმოქმედებს, სასამართლოს შეუძლია ასეთი ჩარევა დაუშვას. ვინაიდან სუბმესამე პირის" ჩართვა მთელ რიგ შემთხვევებში თავდაპირველ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ორი შემდგომი პროცესის თავიდან აცილებას გამოიწვევს. მისი ჩარევით, გაირკვევა თავდაპირველი მოდავეების, რეგრედიენტისა და მისი დამხმარის და ბოლოს დამხმარისა და მის მხარეზე ჩაბმული მესამე პირის იურიდიული ურთიერთობები.[395] აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის, რომ თავდაპირველი პროცესის ასეთი ორმხრივი გართულება სასამართლოსათვის მნიშვნელოვან გართულებას წარმოადგენს და ამიტომ, შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილებაზე მძიმედ აისახოს. ამიტომ, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას, სასამართლო საპროცესო მიზანშეწონილობიდან უნდა გამოვიდეს. თუ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მხარეზე ამგვარივე მესამე პირის საქმეში ჩართვა საქმის უფრო სწრაფად და სრულყოფილად განხილვისათვისაა აუცილებელი და პროცესის

[394] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 61.

[395] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 62.

გაჭიანურებას არ ემსახურება, შეუძლია სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი პრეცედენტი დაუშვას. ვინაიდან, ამ ტიპის მესამე პირთა უფლებათა მოცულობის განსაზღვრისას კანონი ასეთ შეზღუდვას არ აწესებს, თუმცა პირდაპირაც არ ითვალისწინებს.

7. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების უფლებები და მოვალეობები

პროცესში მონაწილე მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე იმ მხარის ინტერესების დაცვით, რომლის მხარეზეც მონაწილეობს, თავისი დამოუკიდებელი იურიდიულ ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. ამიტომ, მესამე პირებს უფლება აქვთ თავისი ინტერესების დაცვისათვის აუცილებელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ქმედებები განახორციელონ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

ამასთან, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საპროცესო უფლებების დახასიათებისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე საქმეში ჩართვა, მათთვის პროცესის მხარის მდგომარეობას არ ქმნის, რის გამოც მათი და მხარის უფლებები ერთმანეთს არ ემთხვევა. პროცესში მონაწილე მესამე პირებს არ შეუძლიათ ის მხარე შეცვალონ, რომლის მხარეზედაც ისინი მონაწილეობენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესის რომელიმე მხარის მხარეზე მონაწილეობს, კანონი მათი ქმედებების მხარისაგან დამოუკიდებლობას აღიარებს. საქმეში ჩაბმული მესამე პირი თავისი უფლებების სფეროში დამოუკიდებლად მოქმედებს. საპროცესო ქმედებებით ის მხარის ნებასთან დაკავშირებული არაა. იგი ამა თუ იმ ქმედებას დამოუკიდებლად ახორციელებს და შეუძლია მათი განხორციელება მოითხოვოს, მაშინაც კი, როდესაც მხარე ამას არ ითხოვს (მაგალითად მოითხოვოს მოწმეთა დაკითხვა და ა. შ.). განსხვავებით იაპონური სამოქალაქო პროცესისა, რომელიც ადგენს, რომ მესამე პირების საპროცესო მოქმედებები, ძალაში ვერ შევა თუ ისინი იმ საპროცესო მოქმედებებს ეწინააღმდეგებიან, რომელიც იმ მხარემ განახორციელა, რომლის დასახმარებლადაც იგი პროცესში ჩაერთო. [396]

იმისათვის, რომ საქმეში ჩართული მესამე პირის უფლებები არ დაირღვეს იმ პირის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებით, რომლის მხარეზეც იგი გამოდის, მესამე პირს უფლება აქვს მოითხოვოს,

[396] Code of civil ɜrocedure of Japan, 26.06.1996.

რომ მხარის ის ქმედებები, რომელსაც იგი აპროტესტებს ოქმში დაფიქსირდეს. რათა შემდგომში მისთვის რეგრესული სარჩელის წარდგენისას მიუთითოს მის მიერ არასწორად მიჩნეულ და გასაჩივრებულ იმ ფაქტებზე, რომელთა გამოც მხარეს უარი ეთქვა სარჩელზე ან დაუკმაყოფილდა იგი. (თუ მესამე პირი მონაწილეობს მოპასუხის მხარეზე). თუმცა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საპროცესო ქმედებების მხარისაგან დამოუკიდებლობაზე, საუბრისას აღსანიშნავია, რომ მესამე პირი მხარისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს პროცესუალურ ქმედებებს მხოლოდ თავისი საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში, რომლებიც მხარის უფლებებისა და მოვალეობების მოცულობას არ ემთხვევა.

ვინაიდან სამოქალაქო საქმეების პრეიუდიციური ურთიერთკავშირი მატერიალურ სამართლებრივ ურთიერთკავშირზეა დაფუძნებული, მესამე პირი დაინტერესებულია, რომ სასამართლომ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტისას უტყუარად გამოიკვლიოს ის ფაქტები, რომლებიც მხარეთა სადავო სამართალურთიერთობას უდევს საფუძვლად. ვინაიდან, ამ ფაქტების ნამდვილად არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ სასამართლოს დასკვნებს, რომლებიც ასახვას პოვებს სასამართლოს გადაწყვეტილებაში და გამაგრებულია მისი კანონიერი ძალით, შესაძლოა წინასწარგადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მასა და ერთ-ერთ მოდავე მხარეს შორის სადავო სამართალურთიერთობების გადაწყვეტისათვის მომავალ პროცესში, როცა კვლავ დადგება ამ ფაქტების სასამართლოს მიერ დადგენის აუცილებლობა (მაგალითად რეგრესული სარჩელი). ამიტომ, მესამე პირი მონაწილეობს იმ ფაქტების მტკიცებაში, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მისი დამოუკიდებელი იურიდიული ინტერესების დაცვისათვის, ე.ი. ისეთი ფაქტების, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ როგორც მოცემული დავის გადაწყვეტის, ისე სამომავლო რეგრესული ურთიერთობებისთვისაც, ვინაიდან ისინი შეიძლება ამ გადაწყვეტილებაში აისახონ.

კრიტიკას ვერ უძლებს სსკ-ის 106 მუხლის ფორმულირება და აღნიშნული ნორმის გამოყენების პრაქტიკაც. ნორმის დანაწესის შესაბამისად, მტკიცებას არ საჭიროებენ ერთ საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართალურთიერთობები სხვა საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამ ნორმის გამოყენებისას სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნულია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა შემოიფარგლება მხარეებით. მართალია დასახელებული ნორმის სიტყვა სიტყვითი მნიშვნელობა ვიწროა, რადგან მასში აქცენტი მხარეებზე კეთდება, მაგრამ ნორმა განვრცობითი მეთოდის (ხერხის) გამოყენებით უნდა განიმარტოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმის პირდაპირი და სიტყვასიტყვით გამოყენებამდე შესაძლოა პრაქტიკაში არასწორი დასკვნებისა და შედეგებისაკენ უბიძგოს. საქმე იმაშია, რომ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის პროცესში შესვლის საფუძველია მის მიმართ სარეგრესო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა. მაშასადამე, იმ საქმეზე მიღებულ და ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელშიც მესამე პირი მონაწილეობდა პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს სხვა საქმის განხილვისას, რომელიც

აღიძვრება სარეგრესო სარჩელის საფუძველზე და რომელშიც ყოფილი მესამე პირი იქნება უკვე მხარე. 106-ე მუხლის და მისი გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე გამოდის, რომ 89-ე მუხლიდან გამომდინარე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მონაწილეობით საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს, ხოლო 106-ე მუხლიდან გამომდინარე კი, არ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, ვინაიდან დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირი მხარე არ არის, ხოლო 106-ე მუხლი კი პრეიუდიციას ავრცელებს მხარეებზე. ამგვარი წინააღმდეგობის აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია სსკ-ის 106-ე მუხლის ფორმულირების შეცვლა შემდეგი სახით: „ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას სხვა საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე პირები მონაწილეობენ". საქმის მონაწილე პირი კი მხარესაც მოიცავს და მესამე პირსაც. სხვა შემთხვევაში გამოვა, რომ მესამე პირს სარეგრესო სარჩელზე უფლება ექნება სადავო გახადოს იმ პროცესში ძალაში შესული აქტით დადგენილი ფაქტები და სამართალურთიერთობანი, რომელშიც ის მესამე პირად მონაწილეობდა.

მესამე პირი, მონაწილეობს რა სასამართლო განხილვაში, მტკიცებულებათა გამოკვლევაში, უფლება აქვს მოახდინოს აღიარება, რომელიც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შეეხება, თუნდაც ეს აღიარება იმ მოდავის ინტერესების წინააღმდეგ მოხდეს, რომლის მხარეზეც იგი პროცესში გამოდის და ამ მხარის მიერ უარყოფილია. მოცემულ შემთხვევაში მესამე პირის ახსნა-განმარტების მიღება დამოკიდებულია სასამართლოზე, რომელიც აღიარების უტყუარობას ამოწმებს, აფასებს მას მტკიცებულებათა შეფასების საერთო წესით, რის შემდეგაც მას ან იღებს ან არა. მაგალითად სსსკ-ის 999-ე მუხლის თანახმად: „მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება მოჰყვა, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. ხოლო თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ მას ეს სატრანსპორტო საშუალება მფლობელისაგან ჰქონდა გადაცემული. იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის დაზიანება გამოწვეულია არა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის, არამედ სხვა პირის მიერ, პროცესში, დაზარალებული სარჩელს წარუდგენს მფლობელს, ხოლო საქმეში მესამე პირად უნდა ჩაერთოს პირი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა.[397] მფლობელისადმი დაზარალებულის სარჩელის დაკმაყოფილებისას ზიანს მფლობელი აანაზღაურებს, რომელიც, შემდგომ მესამე პირი- მოსარგებლისაგან

[397] *Сергеев Н. А.*. Как самостоятельно написать заявление в суд, 2011, http://lib.sale/grajdanskiy-protsess-uchebnik/treti-litsa-zayavlyayuschie-66355.html

ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს რეგრესის წესით. მაგრამ, თუ საქმის მსვლელობისას მესამე პირი – მოსარგებლე დაამტკიცებს, რომ იგი მფლობელის მიერ დანიშნული იყო სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას მფლობელისაგან ჰქონდა გადაცემული, იგი შესაძლოა რეგრესული ვალდებულებისაგან გათავისუფლდეს.

მესამე პირი თავის მტკიცებით საქმიანობაში, ისევე როგორც მხარე, შეზღუდულია ფაქტებისა და მტკიცებულებების სარჩელის საფუძვლისადმი კუთვნილების პრინციპით. თუ გადაწყვეტილების მისაღებად ეს აუცილებელია, მოსამართლემ ყველა მტკიცებულება უნდა განიხილოს. მას შეუძლია, უარი თქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულება არ არის დასაშვები, არ არის არსებითი ან თუ იგი ზედმეტია.[398] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.”

მესამე პირის მიერ მოყვანილი ფაქტების საქმისადმი მნიშვნელობა შემდეგ გარემოებებზეა დამოკიდებული:

ა. მხარეთა შორის დავის გადაწყვეტისათვის მოცემული ფაქტის მნიშვნელობაზე.

ბ. ფაქტის დადასტურებისათვის მოყვანილი მტკიცებულების მნიშვნელობაზე.

თავის მტკიცებით საქმიანობაში მესამე პირი ასევე შეზღუდულია მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპით, რაც ნიშნავს „ნებისმიერი სხვა მტკიცებულების გამორიცხვას, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არაა.

შეაფასებს რა მხარეთა და მესამე პირთა მტკიცებულებებსა და ახსნა-განმარტებებს, ყოველ საქმეში სასამართლო ისწრაფვის გაარკვიოს მხარეთა რეალური სამართალურთიერთობა. ამიტომ, ამა თუ იმ საპროცესო ქმედების ჩატარების შესახებ მხარეთა და მესამე პირთა მოსაზრებების შეჯახების შემთხვევაში საკითხს სასამართლო წყვეტს. ამისათვის სასამართლო წინასწარ ადგენს:

ა. ფაქტს, რომლის დადგენაც მესამე პირს სურს, აქვს თუ არა მნიშვნელობა მხარეთა რეალური სამართალურთიერთობის გარკვევისთვის.

ბ. მოცემული მტკიცებულება აუცილებელია თუ არა საქმისათვის არსებითი ფაქტის დასამტკიცებლად.

შესაბამისად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მტკიცებითი საქმიანობა მთლიანად იმ ინტერესების დაცვითაა განპირობებული, რისთვისაც ისინი მხარეთა შორის იმ დროისათვის დაწყებულ პროცესში ერთვებიან. მესამე პირების მიერ მტკიცების ვალდებულების შესრულება გარკვეულწილად განსაზღვრავს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დამდგარ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს.[399]

---

[398] *ჯერმანი თ*, მტკიცებულებითი სამართალი, (კონსპექტი), თბილისი, 2016, 19.

[399] *გაგუა ი.* სადისერტაციო ნაშრომი მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 22.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის უფლებების მოცულობაში კანონი მხარეთა უფლებებისაგან გამონაკლის შემთხვევებს ადგენს, რომლებიც უშუალოდ პროცესის ობიექტის განკარგვას, მატერიალურ უფლებებს უკავშირდება. მესამე პირს დისპოზიციური საპროცესო უფლებები არ აქვს[400], ეს უფლება მხოლოდ მხარეს ეკუთვნის. აქედან გამომდინარეობს, ის რომ მესამე პირი ისეთ საპროცესო ქმედებას ვერ განახორციელებს, რომელიც მიმართულია პროცესის ობიექტის განკარგვისაკენ – მატერიალურ უფლებას. შესაბამისად, მესამე პირებს უფლება არ აქვთ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა გაადიდონ ან შეამცირონ, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება. მესამე პირს არ შეუძლია ცნოს სარჩელი ან უარი თქვას მასზე, ვინაიდან ასეთი აღიარების შედეგები აწევთ კონკრეტულად მოდავეებს, როგორც სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტებს. კანონის მოსაზრებიდან აგრეთვე, გამომდინარეობს ის, რომ მესამე პირს არ შეუძლია გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან ეს მოქმედება მიმართულია პროცესის ობიექტის განკარგვისაკენ – მატერიალური უფლებისაკენ.

მოპასუხის მხარეზე მონაწილე მესამე პირს არ შეუძლია შეიტანოს შეგებებული სარჩელი, ვინაიდან, შეგებებული სარჩელი მოპასუხის საუბიექტური სამოქალაქო უფლებების დაცვის საშუალებაა. სარჩელის გაპროტესტებისაგან დამოუკიდებლად მოპასუხეს შეუძლია იმავე პროცესზე მოსარჩელეს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა წაუყენოს. რის შედეგადაც მოპასუხე თავდაპირველი სარჩელის წინააღმდეგ ხდება მოსარჩელე შეგებებული სარჩელით, ხოლო თავდაპირველი მოსარჩელე – მოპასუხე. შეგებებული სარჩელი წარმოადგენს მოპასუხის დამოუკიდებელ მოთხოვნას მხოლოდ მოსარჩელის მიმართ და იგივე კავშირში იმყოფება, რაც თავდაპირველ სარჩელში მოსარჩელე მოპასუხისადმი. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, ის რომ, მესამე პირს არ შეუძლია შეგებებული სარჩელის შეტანის უფლებით ისარგებლოს. ეს ეწინააღმდეგება მხარეთა შორის სადავო სამართალურთიერთობის არსს.

გარდა იმისა, რომ სსსკ-ს 90-ე მუხლით განსაზღვრულია ის უფლებრივი გამონაკლისები, რომელიც მესამე პირების უფლებათა მოცულობას ახასიათებს, არის რიგი უფლებებისა, რომელიც აღნიშნული მუხლით განსაზღვრული არ არის. ასეთია მაგალითად, მხარეთა მორიგების შემთხვევაში მესამე პირის უფლებები. მხარეებთან მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა განსაზღვრავს მესამე პირის პოტენციურ შესაძლებლობას, გავლენა იქონიოს პროცესის მსვლელობაზე.[401] მხარეთა მორიგების შემთხვევაში საქმის წარმოება მესამე პირისათვისაც წყდება და ეს გარემოება ასაბუთებს მათ უფლებას

[400] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 80, http://uristinfo.net/.

[401] *Елисеев Н.Г.* Право третьего лица, не заявляющего самостоятельных требований относительно предмета спора, на мировое соглашение // Вестник Высшего Арбитражного Суда Российской Федерации. 2013. N 5, 105 – 112.

მხარეთა მორიგებაში მონაწილეობაზე.[402] მხარეთა მორიგების თაობაზე კოდექსში დათქმის არარსებობა შევსებულია ისევ სასამართლო პრაქტიკით:

კომპენსაციის გადახდის სანაცლოდ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დავისას სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქალაქო სასამართლო ვალდებული იყო დაემტკიცებინა მხარეთა მიერ წარდგენილი მორიგების აქტი. უწინარესად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში მონაწილეობდნენ მესამე პირები, რომლებიც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მორიგების დამტკიცების წინააღმდეგნი იყვნენ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო პროცესში მესამე პირი, ცხადია, მოსარჩელე ან მოპასუხე არ არის, მაგრამ იგი არც პროცესის მონაწილე ფორმალური სუბიექტია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, მესამე პირები, რომლებიც დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აცხადებენ, სარგებლობენ მხარეთა, პრაქტიკულად, ყველა საპროცესო უფლებით და ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო, არა მარტო, უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა, მესამე პირებს მისცეს ამ საპროცესო უფლებების რეალიზაციის საშუალება – მოისმინოს მათი პოზიცია, მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები შეაფასოს და ამ პოზიციასა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სარჩელის მოთხოვნის ფარგლებში, გამოიტანოს, თუნდაც მხარეთა ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. მართალია, მორიგება, შინაარსობრივად, ხელშეკრულებაა, თუმცა მას შემდეგ, რაც ამ მორიგებას სასამართლო დაამტკიცებს, იგი სახელმწიფო ხელისუფლების, შესასრულებლად სავალდებულო აქტად იქცევა.[403] აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ მხარეთა მორიგებისას მესამე პირების მიერ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის თაობაზე სწორი პრაქტიკა დაამკვიდრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთა მიერ მორიგების უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენებისას მესამე პირთა მონაწილეობა ფორმალურ სახეს მიიღებდა.

რაც შეეხება საკითხს, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირს აქვს თუ არა უფლება თავის მხარეზე ჩააბას სხვა მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ინსტიტუტი ამ კითხვას არ ეწინააღმდეგება. თუმცა ჩართვამ შესაძლოა პროცესის დაუსრულებელი გართულება გამოიწვიოს. ამიტომ, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ საპროცესო მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს.

მეცნიერთა მიერ მითითებულია მესამე პირებისა და მხარეთა კიდევ ერთ უფლებრივ განსხვავებაზე: „ვინაიდან მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება სასამართლოში განაცხადონ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის

---

[402] *Томилов А.Ю.* Сравнительная характеристика правового положения третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований относительно предмета спора, и лиц, осуществляющих защиту чужих прав, свобод и законных интересов // Арбитражный и гражданский процесс. 2014. N 5. 56.

[403] სუსგ, 01.11.2013, საქმე №ას-473-449-2013.

გასვლის შესახებ, ამიტომ, მესამე პირის მიერ გაკეთებული განცხადება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ არ ითვლება სასამართლოს მიერ გათვალისწინების საფუძვლად, თუ ეს განცხადება მხარის მიერ არაა გაკეთებული."[404] აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ მისით სარგებლობა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირსაც უნდა შეეძლოს. პირველი იმიტომ, რომ კანონით აკრძალული არაა და მეორე, რომ თუ მოსარჩელე სარჩელს შეიტანს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების შესახებ მოპასუხემ შესაძლოა ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი არ დააყენოს, ვინაიდან იცის, რომ შეუძლია მესამე პირს ზარალის ანაზღაურება რეგრესის წესით მოსთხოვოს. მოპასუხეზე მეტი დაინტერესება შესაძლოა ქონდეს მესამე პირს მოთხოვნის ხანდაზმულობის განცხადებასთან დაკავშირებით. ხანდაზმული მოთხოვნის საფუძველზე წარმოშობილი რეგრესული ვალდებულება აშკარად გავლენას ახდენს მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე მხარის მიმართ, მაშინ როცა ამ უფლების არსებობისას, მას შეუძლია თავიდან აიცილოს რეგრესული მოვალეობა.

ასევე საინტერესოა საკითხი მესამე პირების მხრიდან სარჩელის უზრუნველყოფის უფლების თაობაზე. როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზით ვრწმუნდებით, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე უფლება არ აქვთ საქმის მსვლელობისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვონ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ განჩინებაზე წარმოდგენილ იქნა საჩივარი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოთხოვნით. საჩივარი საქმის მასალებთან ერთად თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაეგზავნა, რომელმაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება ძალაში დატოვა შემდეგ გარემოებათა გამო: განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მოსარჩელე შპს „ა.-ს" დაზუსტებული სარჩელიდან იკვეთება, რომ სს „გ." საქმეში მესამე პირს წარმოადგენს (ტ.1. ს.ფ. 255), რომელსაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვა არ გააჩნია, აქედან გამომდინარე, მისი მოთხოვნის უზრუნველყოფა ვერ განხორციელდება. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სს „გ.-ს" მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობას მისი მხრიდან სარჩელის წარდგენა წარმოადგენს.[405]

მესამე პირის წარმოდგენილი საპროცესო უფლებების გარდა, თავდაპირველ მხარებს შორის დავის სწრაფად და სწორად გადაწყვეტისათვის, მესამე პირს უნდა დაეკისროს და განესაზღვროს პროცესუალური მოვალეობებიც, მაგალითად ის, რომ საპროცესო უფლებებით კეთილსინდისიერად ისარგებლოს და საქმე არ გააჭიანუროს. მესამე პირის მიერ საპროცესო მოვალეობების ბოროტად გამოყენება სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოს.

---

[404] *Жилин Г. А.*, Комментарий к гражданскому процесуальному кодексу Российской Федераций (Постатейный), Москва, 2003.

[405] თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე 2ბ/4923-15, 21.01.2016; სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში (სები), www.library.court.ge.

8. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიერ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირები, ისევე, როგორც პროცესის სხვა მონაწილეები, აღჭურვილნი არიან განჩინებების გასაჩივრების უფლებით. სსსკ-ს 414-ე მუხლის თანახმად კერძო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ მხარეები, აგრეთვე ის პირები რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლიდან გამომდინარე მესამე პირები, რომლებიც დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აცხადებენ, კერძო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ, თუ სასამართლოს განჩინება მათ უშუალოდ ეხება. როდესაც დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს სასამართლოს საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად დაშვების შესახებ, სასამართლო ცხადია მსჯელობს მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილებას შეუძლია თუ არა გავლენა მოახდინოს პირის უფლებებზე. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება პირის მესამე პირად დაშვების შესახებ, რომელიც უკვე იმის დადასტურებას წარმოადგენს, რომ მოცემულ საქმეს სავარაუდოდ შეუძლია გავლენა მოახდინოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების უფლება-მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. სასამართლო არ იქნება უფლებამოსილი, უარი უთხრას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს კერძო საჩივარის შეტანაზე, იმ მოტივით, რომ ისინი კერძო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს არ წარმოადგენენ. გარდა იმ შემთხვევისა, თუ დასტურდება, რომ გასაჩივრებული განჩინება უშულოდ მათ არ ეხებათ. ზემოაღნიშნული პირები საქმეში ჩაბმულნი იქნებიან 414-ე მუხლის მეორე პუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად. ისინი შეზღუდულნი არ უნდა იყვნენ კერძო საჩივრით გასაჩივრების უფლებაში, თუ რა თქმა უნდა გასაჩივრებას უშუალო შესახებობა აქვს მათთან. რადგან კერძო საჩივარი სასამართლო თავდაცვის საშუალებას წარმოადგენს, ხოლო მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმის განხილვაში მონაწილეობენ, ისინი, მოცემულ შემთხვევაში, უფლებრივად უნდა გაუთანაბრდნენ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მსგავსად გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ ვის აქვს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის უფლება, მაგრამ იგულისხმება, რომ ამ უფლებით სარგებლობენ მესამე პირები, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე მის გარეშე. ვინაიდან, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმის განხილვის ყველა სტადიაზე სარგებლობენ სასამართლო თავდაცვის ყველა იმ საშუალებით და ფაქტობრივად ახორციელებენ ყველა იმ საპროცესო მოქმედებებს, რასაც მხარეები. ისინი მხარის პროცესუალური თანამონაწილენი არიან (გფრ სსკ, პარაგრაფი 69).[406]

[406] *Давтян А. Г.*, Гражданское процесуальное право Германии, Москва, 2000, 173.

მესამე პირის ინიციატივით საქმეში ჩართვის შესახებ მისი განცხადების თაობაზე სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებებს და შემდეგ გამოაქვს განჩინება მესამე პირის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, სასამართლოს დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის საქმეში ჩართვაზე განჩინება აღარ გამოაქვს. ხოლო, მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის საქმეში ჩართვისას, საბედნიეროდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლში კვლავ შემორჩენილი ეს წესი. გერმანიის სამოქალაქო პროცესში თუ დავა მესამე პირების დასაშვებობის თაობაზე წარმოიშობა, სასამართლო კერძო საკითხს, დაუყოვნებლივი საჩივრის მიმართ შუალედური გადაწყვეტილებით გადაწყვეტს.[407] აღნიშნული მესამე პირების ინტერესთა დაცვის უფრო მყარ მექანიზმს ქმნის. მით უმეტეს, რომ გერმნიაში უფლებათა დაცვის უფრო ფართო სპექტრია გათვალისწინებული. კერძოდ, (3) დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების საქმეში ჩართვაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე იგი ერთვება ძირითად სასამართლო წარმოებაში. ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირს საქმეში ჩაბმაზე უარი ეთქვა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა, იგი ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე პროცესის მონაწილის სტატუსით სარგებლობს. აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტორიც, რომ იაპონიის სამოქალაქო პროცესს აღნიშნული საკითხისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა აქვს.[408]

მხარეთა მოსაზრების გათვალისწინება საკმაოდ პროგრესული გადაწყვეტილებაა და დისპოზიციურობის პრინციპს ესადაგება. მიუხედავად იმისა, რომ წესი, თუ რა სახით ითვალისწინებს კანონმდებლის მიერ კოდექსში გაწერილი არ არის, პრაქტიკოსი ცივილისტები საკითხს შემდეგნაირად წყვეტენ: თუ განცხადება მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ ამ საქმის მომზადების სტადიაზეა შემოტანილი, მაშინ ეს განცხადება გადაეგზავნება მხარეს (მხარეებს), რომელსაც ამ საკითხზე მისი წერილობითი მოსაზრების წარმოდგენისათვის ვადა განესაზღვრება. ამ ვადაში წერილობითი მოსაზრების წარმოუდგენლობა სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას ვერ დააბრკოლებს. თუ განცხადება სასამართლო სხდომაზეა შემოტანილი, მაშინ მხარეთა მოსაზრებების მოსმენა ამავე სხდომაზე ხდება.[409] იქიდან გამომდინარე, რომ უკვე დაწყებულ საქმეში მესამე პირის ჩართვის პირობაა თავდაპირველი მხარეებისა და მესამე პირის მატერიალურ სამართლებრივი ინტერესების ურთიერთდამოკიდებულება, თუ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს, სასამართლო საქმეში მესამე პირს არ დაუშვებს. მეცნიერთა მოსაზრებით: „ვინაიდან საქმეში მესამე პირად ჩაბმა გარკვეულ შედეგებთანაა დაკავშირებული, სასამართლოში გამოცხადებულ მესამე პირს უფლება აქვს გაასაჩივროს თავისი საქმეში ჩართვა, იმ მოტივით,

---

[407] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 107

[408] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 29.

[409] *ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ..* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 164.

რომ მას მხარეთა შორის წარმოშობილი დავასთან არანაირი კავშირი არ აქვს, რომ არ იმყოფება არანაირ იურიდიულ ურთიერთობაში იმ მხარესთან, რომელმაც მის საქმეში ჩაბმაზე იშუამდგომლა.[410]

თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება შემდეგი საკითხების გარკვევა:

1. შეუძლიათ თუ არა მესამე პირებს კერძო საჩივრით გაასაჩივრონ საქმეში მესამე პირის ჩართვის შესახებ გამოტანილი განჩინება, თუ თვლიან, რომ საქმის განხილვაში ჩართულნი არ უნდა იყვნენ;

1. შეუძლიათ თუ არა მხარეებს კერძო საჩივრით გაასაჩივრონ საქმეში მესამე პირის ჩართვის შესახებ გამოტანილი განჩინება თუ მიაჩნიათ, რომ მესამე პირი საქმეში არასწორადაა ჩართული.

3. შეუძლიათ თუ არა მესამე პირებს შეიტანონ კერძო საჩივარი, თუ სასამართლოს დადგენილებით უარი ეთქვათ თავდაპირველ მხარეებს შორის მიმდინარე პროცესში მესამე პირად ჩართვაზე.

აღნიშნულ კითხვებს უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2005 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად.[411] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირვანდელი სახის 90-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებდა მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას. 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების შედეგად 90-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ: მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდება. მესამე პირების საქმეში ჩართვის საკითხი ძირითადად საქმის განხილვისათვის მომზადების სტადიაზე წყდება. მესამე პირების საქმეში ჩართვა შესაძლოა ასევე, საქმის განხილვის სტადიაზე - სასამართლო პაექრობამდე. საქმეში მესამე პირის ჩაურთველობას არახელსაყრელი შედეგები მოაქვს როგორც თავად იმ პირებისათვის, რომლის მხარეზეც მონაწილეობა უნდა მიეღო მას, ასევე მათთვისაც, ვისაც საქმეში მესამე პირად მონაწილეობა შეეძლო. შესაბამისად, მხარე დაინტერესებულია რომ საქმე მესამე პირების ჩართულობით იქნეს განხილული. მეცნიერთა მოსაზრებით, თუ ვიმსჯელებთ კერძო საჩივრით გასაჩივრებას დაქვემდებარებული განჩინებების კრიტერიუმის მიხედვით და მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირის ჩართვის შესახებ არ შეიძლება გასაჩივრდეს მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ. ვინაიდან, აღნიშნული განჩინება აღმკვეთი არაა და საქმის წარმოების შეფერხებას არ იწვევს – მესამე პირის ჩაბმის შემდეგ პროცესი თავდაპირველ მხარეებს შორის გრძელდება. მხარეს, რომელსაც გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეაქვს, შეუძლია მასში ყველა ის მოსაზრება ასახოს, თუ რატომ თვლის მესამე პირის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებულ სასამართლოს განჩინებას არასწორად, და რამაც დააბრკოლა საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის პროცესი. რაც შეეხება, მესამე პირის საქმეში ჩართვის შესახებ შუამდგომლობის

---

[410] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 66.

[411] საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, სსმ, 55, №2360, 27/12/2005.

დაკმაყოფილებისას მესამე პირებს შეუძლიათ თავისი საქმეში ჩართვა გაასაჩივრონ მხოლოდ საკასაციო სახივართან ერთად, რომელშიც შეუძლიათ მიუთითონ თავისი მოსაზრებები მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მათი ჩართვის უსწორობის შესახებ.[412]

თუ რატომ არ ექვემდებარებოდა ზემოხსენებული განჩინებები გასაჩივრებას, არსებობს ასეთი არგუმენტი: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს პროცესის მისამზადებელ სტადიაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრებას. ამიტომ ლოგიკურად არ დაიშვება პროცესში მესამე პირის დაშვების ან დაშვებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება.”[413] მაგრამ, ამ არგუმენტს აბათილებს უპირატესი, საქმეში ჩართვის ინტერესის არსებობა. თუ პირს უარი ეთქმება მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე, გადაწყვეტილებასთან ერთად ამ განჩინების გასაჩივრება მისთვის უფლებათა დაცვის მექანიზმს უკვე აღარ წარმოადგენს. ვინაიდან, მისი იურიდიული ინტერესია საქმის განხილვაში მონაწილეობა, სადაც შეუძლია თავისი მოსაზრება გამოთქვას, თავისი უფლებები და ინტერესები დაიცვას და ა.შ. ხოლო აღნიშნული განჩინებით მის მიმართ საქმის წარმოება წყდება. თუ განჩინება უკანონოდ და დაუსაბუთებლადაა გამოტანილი, გადაწყვეტილებასთან ერთად მისი გასაჩივრება მაინც ვერ აღადგენს იმ პირვანდელ მდგომარეობას, რომელიც მესამე პირს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების გამოყენების შედეგად ექნებოდა. ზემდგომი სასამართლოს მიერ უკანონო განჩინების გაუქმება მათ მაინც ვერ დაიცავს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ზემდგომი სასამართლო ხელახლა განსახილველად არ დააბრუნებს საქმეს მის განმხილველ სასამართლოში ამ პირების მონაწილეობით.

სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობასთან დაკავშირებით სასამართლოს განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენდა სასამართლოს განჩინება იმ მესამე პირის საქმეში ჩართვაზე უარის შესახებ, რომელსაც თავისი ინიციატივით სურდა საქმეში ჩართვა. ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლოს განჩინება უარის შესახებ აფერხებს მესამე პირის წვდომას თავდაპირველ პროცესში, მას შესაძლებლობას ართმევს თავი დაიცვას რეგრესული სარჩელისაგან. ამ შემთხვევაში მესამე პირს არა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, ვინაიდან, გარეშე, საქმის არამონაწილე პირს წარმოადგენს. შესაბამისად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირისათვის საქმეში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება ზღუდავს მათ უფლებებს და მიმდინარე საქმესათან დაკავშირებით ნებისმიერ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას აფერხებს, მიუხედავად იმისა, რომ პროცესის დასასრულმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მესამე პირთა უფლებებსა და მოვალეობებზე. შესაბამისად, მართებული იქნება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს დაემატოს ნორმა რომელიც პოტენციურ მესამე პირს ასეთი განჩინების გასაჩივრების საშუალებას მისცემს.

---

[412] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962, 39.

[413] *კობახიძე ა.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, 152-162.

სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება კვლავ დასაშვები გახდეს მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრება. მით უმეტეს, რომ მოცემულ შემთხვევაში მათ განჩინებასთან უშუალო შესახებობა აქვთ. მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის შესახებ განჩინება, თავისი ხასიათიდან გამომდინარე განჩინებათა იმ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს კერძო საჩივრით გასაჩივრებას. თანაც სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირები, ისევე, როგორც პროცესის სხვა მონაწილეები, აღჭურვილნი არიან განჩინებების გასაჩივრების უფლებით სსკ-ს 414-ე მუხლით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენენ კერძო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს თუ სასამართლოს განჩინება მათ უშუალოდ ეხება. კერძო საჩივრით გასაჩივრების წესი საუკეთესო სასამართლო თავდაცვის საშუალებას წარმოადგენს იმ პირებისათვის, რომელთაც უარი ეთქვათ საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება კერძო საჩივრით სარგებლობის მექანიზმი ზემოხსენებული პირების მიმართ კვლავ ამოქმედდეს. მით უმეტეს, რომ კერძო საჩივრის შეტანა შეუძლია აგრეთვე იმ პირს, რომელიც ადვოკატი არ არის და სასამართლოს განჩინებით უარი ეთქვა წარმომადგენლად დაშვებაზე (სსსკ-ის 97-ე მუხლი). მიუხედავად იმისა, რომ იგი არც მხარეა და არც პროცესში რაიმე სტატუსით მონაწილე პირი, მაგრამ მას უშუალოდ ეხება ეს განჩინება. სწორედ ანალოგიური მიდგომა უნდა იყოს მესამე პირთა მიმართაც. მათ უფრო მეტი იურიდიული ინტერესი აქვთ მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის განჩინების მიმართ, ვინაიდან ამით საქმეში მონაწილეობის უფლება საერთოდ ერთმევათ.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით გამონაკლისს საქართველოსა და ტაჯიკეთის სსსკ-ები წარმოადგენდნენ. ისინი, ასეთ შემთხვევაში, ადგენდნენ, რომ მესამე პირად საქმეში დაშვების შესახებ შუამდგომლობაზე სასამართლოს უარი კერძო საჩივრით გასაჩივრებას ექვემდებარებოდა.[414]

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლის შესაბამისად მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად გასაჩივრდეს, კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, აგრეთვე, თუ იგი საფრთხეს უქმნის საქმის შემდგომ მსვლელობას.[415] აღსანიშნავია, რომ რუსეთის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია ყველა იმ განჩინებაზე რომელიც აფერხებს საქმის შემდგომ მსვლელობას. ე.ი. კერძო საჩივრით შეიძლება ისეთი საკითხები გასაჩივრდეს, რომელთა გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად გასაჩივრებას თუმცა კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს მაგრამ სასამართლოს მიხედულებით იგი საქმის შემდგომ მსვლელობას აბრკოლებს. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან განცალკევებით გასაჩივრებას

414 *Мельников А.А.* 1981. Курс Советского гражданского процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва.

415 Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации от 14.11.2002 N 138-ФЗ (ред. от 02.03.2016), 315.

დაქვემდებარებული განჩინებების ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რამდენად აბრკოლებენ ისინი საქმის შემდგომ მსვლელობას. ჩვენი კანონმდებლობა პირდაპირ ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ კერძო საჩივრით გასაჩივრებას დაქვემდებარებული განჩინებები, რომელთა გასაჩივრებასაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს სწორედ ამ პრინციპითაა შერჩეული. მაშინ რა პრონციპით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი როდესაც აღნიშნული განჩინების ცალკე გასაჩივრება აღარ გაითვალისწინა?

გერმანულ სამართალშიც ანალოგიური მიდგომაა და მესამე პირის დაუშვებლობის თაობაზე შუალედური გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებს. გერმანული სამართალი ორი სახის საჩივარს (Beschwerde) იცნობს. ესენია: მარტივი (einfache) და შეზღუდული (sofortige-limited) საჩივრები. პირველი სახის საჩივრის წარდგენა სადავო განჩინების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს შესაძლებელია. რაც შეეხება მეორეს, მისი შეტანა გარკვეული დროითაა შეზღუდული, კერძოდ განჩინების გამოტანიდან 2 კვირის ვადით. შეზღუდული საჩივრის შეტანის შესაძლებლობები მითითებულია სპეციალური დათქმებით (ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში). თუ არსებობს რაიმე რაციონალური პრინციპი, რომლითაც კანონმდებელი ხელმძღვანელობდა იმ დათქმების გაკეთებისათვის, თუ რაზე შეიძლება შეტანილ იქნეს შეზღუდული (კერძო) საჩივარი, გაუგებარი რჩება იმ იურისტებისათვის, რომლებმაც შემდგომში ვერ გაიაზრეს საერთო ხიფათი კოდექსის სხვადასხვა თავებში გაბნეულ დათქმებზე საჩივრის შეტანის თაობაზე.[416] მითითებული ავტორის მოსაზრებით, გაკრიტიკებულია კერძო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე ცალკეული დათქმების არსებობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ასევე განხილულია შეზღუდული (კერძო) საჩივრის შეტანის შესაძლებლობა მესამე პირებთან მიმართებაშიც: „გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით, თუ მესამე პირი მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლოში მიმდინარე დავაში ჩართვას ერთ-ერთი მხარის დახმარების მიზნით, მან კოდექსის შესაბამისად უნდა დაასაბუთოს „სამართლებრივი ინტერესი (rechtliches Interesse) იმ მხარის გამარჯვებისათვის, რომელსაც მხარს უჭერს. გადაწყვეტილება საქმის განხილვაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ გამოიტანება არა განჩინებით, არამედ შუალედური გადაწყვეტილებით, რომელიც შეზღუდული საჩივრით გასაჩივრებას ექვემდებარება. სადავოა, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ჩართვას აღკვეთს, შესაძლებელია თუ არა საბოლოო გადაწყვეტილებად ჩაითვალოს, იმიტომ რომ სასამართლოში მესამე პირის მიმართ საქმის წარმოებას წყვეტს და ამიტომ უცნაურია, ჩვეულებრივი სააპელაციო საჩივრის ნაცვლად მასზე შეზღუდული საჩივრის შეტანის შესაძლებლობის მიცემა.”[417]

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მისი დებულების 57-ე მუხლის შესაბამისად[418], ნებისმიერ პირს ვისი

---

[416] *Bernstein, H.,* The finality of a judgment as a requirement for civil appeals in Germany. 47 Law and contemporary problems 35-60 (1984).

[417] *Bernstein, H.,* The finality of a judgment as a requirement for civil appeals in Germany. 47 Law and contemporary problems 35-60 (1984).

[418] Statute of the court of justice of the European Union (Consolidation version), http://curia.europa.eu

განცხადებაც უარყოფილ იქნა გენერალური სასამართლოს მიერ, შეუძლია სამართლიანობის სასამართლოს მიმართოს ჩართვის განცხადებაზე უარის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში.[419] ეს ძალიან საყურადღებო დათქმაა, ვინაიდან მაშინ, როდესაც კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მესამე პირად ჩართვის თაობაზე შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება კერძო საჩივრით აღარ ხდება და შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად. ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ მხარეებს და არა იმ პირს, ვისაც უარი ეთქვა საქმეში მესამე პირად ჩართვაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირი, რომელსაც მესამე პირად ჩართვაზე უარი ეთქვა, მოკლებულია შესაძლებლობას თავისი უფლება დაიცვას და განჩინება სასამართლოში გაასაჩივროს. მაგრამ, ვინაიდან სამართლიანობის სასამართლო შესაძლებლობას უშვებს, რომ პირმა ამ განჩინების გასაჩივრების მიზნით მიმართოს, იმას ნიშნავს, რომ ქართულ საპროცესო საკანონმდებლო სივრცეში არსებობს ხარვეზი. ხარვეზის აღმოფხვრა ხელს შეუწყობს მოქალაქეს მოახდინოს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების რეალიზაცია და სასამართლოს დადგენილება გაასაჩივროს. ამასთან, მასშტაბური ჰარმონიზაციის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

9. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი, ვინაიდან არ წარმოადგენს სადავო მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტს, საქმის მხარეს, სასამართლოს უფლება არ აქვს მას რაიმე მიაკუთვნოს ან დააკისროს მათ რაიმე მოვალეობა ან მისგან თავის შეკავება. ზოგადი წესების თანახმად კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების მატერიალურ სამართლებრივი შედეგები მესამე პირებზე არ შეიძლება გავრცელდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირთა შორის მოხსენიებული არაა მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. თუმცა სსსკ-ს 91-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საპროცესო უფლებებს, მითითებული არაა ამ გამონაკლისის შესახებ. მაგალითად, რუსეთის სსკ-ს 336-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირს უფლება აქვს სასამართლო გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივროს.[420] აღნიშნულთან დაკავშირებული საკანონმდებლო ვაკუუმი

[420] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 79, http://uristinfo.net/.

სასამართლო პრაქტიკით, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს შემდეგი განჩინებითაა შევსებული:
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, მესამე პირმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი აპელანტმა-მესამე პირმა შეიტანა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა შემდეგი გარემოების გამო:[421]
„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით აპელანტი დავაში ჩაბმულ იქნა მესამე პირის სტატუსით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლის, ასევე, სააპელაციო საჩივრის თანახმად, აპელანტი პრეტენზიას აცხადებს საკუთრების უფლების შელახვაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს ამ თვალსაზრისით არ შეუმოწმებია, არსებობს თუ არა სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობები. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა.[422] [423] [424]
კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობა გადაწყვეტილების მიმართ შედავების ორ ფორმას იცნობს. ესენია: – გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით, ხოლო ძალაში შესვლის შემდგომ – გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით განცხადების წარდგენის გზით. ანუ, თუ აპელანტი საქმის განხილვაზე მხარედ მოწვეული არ იქნებოდა და გადაწყვეტილება მის კანონიერ ინტერესებს ხელყოფდა, მას შესაძლებლობა მიეცემოდა, განცხადების წარდგენის გზით თავისი უფლება დაეცვა და გადაწყვეტილების ბათილობა მოეთხოვა. მაგრამ, ვინაიდან, იგი პროცესის მონაწილეა, მისი საკუთრების ხელმყოფი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება წართმეული აქვს. ანუ, ასეთი მიდგომით გამოდის, რომ პირისათვის უმჯობესია, პროცესში მიწვეული მხარე არ იყოს, რათა შემდგომში თავისი უფლებების დაცვა შეძლოს. სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, რა გავლენას მოახდენდა მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება აპელანტის კანონიერ უფლებებზე იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ: 1. აპელანტს პრეტენზია გააჩნდა სადავო იმ უძრავი ქონების მიმართ, რომლის ახალი მესაკუთრისათვის გადაცემასაც წარმოდგენილი დავა შეეხება; 2.

[421] სუსგ, 22.04.2016, საქმე №ას-210-200-2016.
[422] სუსგ: 22.11.2006, საქმე №ას-705-1078-06, №ას-253-578-09.
[423] სუსგ: 28.03.2009, საქმე №ას-253-578-09.
[424] სუსგ: 16.07.2007, საქმე №ას-364-715-07.

აპელანტი საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად იყო ჩაბმული, შესაბამისად, მისი პროცესუალური სტატუსი სათანადო შეფასებას საჭიროებდა.
საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მითითებების მიუხედავად და მათი გვერდის ავლით სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება მარტოოდენ სსსკ-ის 364-ე მუხლის დანაწესს დააფუძნა და საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებულ საკითხებზე საერთოდ არ უმსჯელია.
შესაბამისად, დასაბუთებულად ჩაითვალა კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ სააპელაციო პალატას[425] უნდა გამოერკვია, კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილება ხელყოფდა თუ არა აპელანტის კანონიერ ინტერესებს და მხოლოდ აღნიშნულის გათვალისწინებით მიეღო გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.[426] აღნიშნული განჩინების შესაბამისად, მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნით შეუძლია გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივროს, თუ ილახება მისი უფლებები, ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება. ამ განჩინებით ასევე გამოიკვეთა მართლმსაჯულების რეალური მიზეზი: მონაწილე პირთა უფლებების დაცვა, რომელიც ფორმალური მიზეზებით არ უნდა შეფერხდეს. ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების უფლებების განსაზღვრისას კონკრეტულად მიეთითოს, რომ მას სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალოდ ახდენს გავლენას მის უფლებებსა და მოვალეობებზე. ვინაიდან ამ გადაწყვეტილებას პრეიუდიციური მნიშვნელობა აქვს მისი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ და თუ იგი გამოტანილია კანონის დარღვევით, მაშინ საფრთხე მესამე პირის უფლებებსაც ექმნება.
სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, თუ გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს მესამე პირის უფლებებზე, მას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ აქვს, როგორც ეს შემდეგ შემთხვევაში მოხდა: საქალაქო სასამართლოს განჩინებით შუამდგომლობა დავაში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ შუამდგომლობის ავტორი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის სუბიექტს არ წარმოადგენდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. სააპელაციო სასამართლოს ასევე სააპელაციო საჩივრით მიმართა პირმა, რომელსაც უარი ეთქვა ჩართვაზე და მოითხოვა მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი ადგენს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს: კერძოდ, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს (მოსარჩელეს, მოპასუხეს), მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეებს, თანამოპასუხეებს) მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში პირებს, რომლებიც, მართალია, არ ფიგურირებენ საქმეში

[425] სუსგ, 06.02.2015, საქმე №ას-868-826-2013.
[426] სუსგ, 02.09.2016, საქმე № 330210015001004274, საქმე № ას-623-595-2016.

როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ. პირი, რომელიც ჩართვას ითხოვდა, განსახილველ სამოქალაქო საქმეში არც მოსარჩელეს, არც მოპასუხეს და არც დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირს არ წარმოადგენდა, მის მიმართ გადაწყვეტილება გამოტანილი არ ყოფილა და მის კანონიერ ინტერესს არ ხელყოფდა. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მან მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება. საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის უფლების მქონე პირს გარკვეულ უფლებებს/მოვალეობებს უნდა უდგენდეს ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას უნდა უზღუდავდეს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს წარმოებაში არსებული დავის ფარგლებში განიხილებოდა კერძო სამართლის სფეროს მიკუთვნებული ფიზიკური და იურიდიული პირის ქონებრივი უფლებები, რომლებიც, ერთი მხრივ, სანივთო, ხოლო, მეორე მხრივ, ვალდებულებითი სამართლის სფეროს მიკუთვნებული ნორმების დარღვევიდან იყო ნაწარმოები. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით რაიმე ვალდებულება (უფლება ან მოვალეობა) კერძო საჩივრის ავტორის მიმართ დადგენილი არ იყო. შესაბამისად, საკასაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების შეფასებები და დასკვნები სააპელაციო საჩვრის წარმოებაში მიღების წინაპირობების (ნამდვილი უფლების მქონე სუბიექტის) არარსებობის თაობაზე და მიიჩნევა, რომ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი სწორად განმარტა.[427] აღნიშნული იმ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (264-ე მუხლი) და მატერიალური (266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც, პირველ შემთხვევაში, მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას გულისხმობს, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულოობას არამარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლით ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. მითითებული ნორმის ანალიზი შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა: გადაწყვეტილების კანონიერ ძალას კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები გააჩნია, რომელიც გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს აზუსტებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები).[428] ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, თუ გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს საქმეში მონაწილე პირების უფლებებსა და მოვალეობებზე, მაშინ

[427] სუსგ, 23.10.2015, საქმე №ას-949-899-2015;
[428] სუსგ, 20.07.2015, საქმე №330210014527930 №-ას355-337-2015;

ისინი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს არ წარმოადგენენ. ამასთან, საკმაოდ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის მიზნებისათვის, დაინტერესებულ პირად ამა თუ იმ პრეტენზიის მქონე სუბიექტის მიჩნევისათვის მხოლოდ სუბიექტური ინტერესის არსებობა საკმარისი არ არის, ასეთ პირად მიიჩნევა მხოლოდ ის, ერთ-ერთი მხარის მიმართ, ვის უფლება-მოვალეობებზეც გავლენას იქონიებს სასამართლოს გადაწყვეტილება.[429]

დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებათა განხილვისას, გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სხვადასხვა დროს შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, როგორც ცნობილია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს. იგი მიღებულ იქნა 1997 წლის 14 ნოემბერს. კოდექსის თავდაპირველი რედაქციის 364-ე და 391-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის წარდგენის უფლება ჰქონდათ მხარეებსა და მესამე პირებს. ანუ ამ ნორმებში მესამე პირზე ზოგადი მითითება, მოიაზრებდა ორივე სახის მესამე პირს. თუმცა კოდექსის ამოქმედებამდე (ძალაში შესვლამდე) ორი დღით ადრე, ე.ი. 1999 წლის 13 მაისს მასში შევიდა ცვლილება და 364-ე და 391-ე მუხლები ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორც ისინი დღეს არიან მოცემულნი. დღეს არსებული მოწესრიგება, რომლის თანახმადაც დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირებს კანონის შესაბამისად (მიუხედავად იმისა რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი პრაქტიკა არსებობს) წართმეული აქვთ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, არასწორია, პრაქტიკული თვალსაზრისით გაუმართლებელია და ამგვარი პირების უფლებათა შელახვას გამოიწვევს. პრაქტიკული მაგალითის მოხმობა ნათელს გახდის არსებული წესის ნაკლს. კერძოდ, დაზარალებულს ზიანი მიადგა მომეტებული საფრთხის წყაროთი. ასეთ დროს ზიანზე პასუხისმგებელი პირი მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელია, ხოლო ზიანის უშუალო მიმყენებელი პირი კი – საქმეში მესამე პირად ერთვება მოპასუხის მხარეზე. არადა, მოპასუხე შესაძლოა სულაც არ იყოს დაინტერესებული საქმის წარმატებით დასრულებით. თუ მას რაიმე დაეკისრება, სარეგრესო სარჩელით მოპასუხისაგან ამოიღებს. ამ დროს კი, შესაძლოა, სახეზე იყოს დაზარალებულის განზრახვა, რომ მოპასუხემ პასუხი არ აგოს, სასამართლომ კი დაუშვას შეცდომა და ზიანი არასწორად დააკისროს მოპასუხეს. გამოდის რომ თუკი მოპასუხე არ გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას, ვერც მესამე პირი გაასაჩივრებს და სარეგრესო სარჩელზე, ფაქტობრივად იგი უფლება აყრილი იქნება, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა ექნება სარეგრესო სარჩელზე მიმდინარე საქმისათვის.

ამრიგად, მიზანშეწონილია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირს მიენიჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება და 364-ე და 391-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თავდაპირველი რედაქციით. მართალია ასეთი მესამე პირები არ არიან მატერიალური ურთიერთობის მონაწილენი თავდაპირველ საქმეზე, სადაც მესამე

[429] სუსგ, 23.10.2015, საქმე №ას-949-899-2015;

პირებად მონაწილეობენ, მაგრამ არიან საპროცესო ურთიერთობის მონაწილენი. ზემოაღნიშნული ცვლილება ასეთ მესამე პირს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეული სამომავლო უარყოფითი შედეგებისაგან თავის სრულყოფილ შესაძლებლობას მისცემს. საყურადღებოა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ასეთი მესამე პირები სარგებლობენ აპელაციისა და კასაციის უფლებით.

რაც შეეხება მხარეების მიერ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოში, იმ მოტივით, რომ მესამე პირს საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად უნდა იქნეს მიჩნეული, იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს პირველი ინსტანციის სასამართლოში მსგავსი შუამდგომლობა არ დაუყენებიათ. საილუსტრაციოდ საძლებელია პრაქტიკიდან შემდეგი მაგალითის მოყვანა: როდესაც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის ის მოსაზრება, რომ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იყო სასამართლოს მხრიდან ის დარღვევა, რომ ნოტარიუსები, რომლებმაც სადავო სანოტარო აქტები (გარიგებები) დაამოწმეს, საქმის განხილვაში მესამე პირად ჩაბმული არ ყოფილან. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის პირველი ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ამგვარი შუამდგომლობით მხარეებს თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის არ მიუმართავთ. ამდენად, სასამართლოს არ განუხორციელებია ისეთი საპროცესო დარღვევა, რაც აპელანტის მოსაზრებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იქნებოდა.[430]

მესამე პირთა გასაჩივრების უფლებების განხილვისას არ უნდა გამოგვრჩეს მის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მიხედვით კი, მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე მოპასუხეს ამ კოდექსის 232[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლიათ ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანონ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში კერძო საჩივრის ავტორი მითითებულია მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ამავე გადაწყვეტილებით არ დგინდება, რომ სასამართლომ განიხილა მისი სარჩელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი არ არის, რაც კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის

[430] სუსგ, 03.06.2013, საქმე №ას-52-49-2013.

თქმის საფუძველია.[431] ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამოიკვეთა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არასწორად ჰყავდა მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონედ მითითებული, ასევე ის, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირი არ არის უფლებამოსილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

10. რეგრესის უფლებასთან დაკავშირებით მესამე პირების პროცესში ჩართვა

უმეტეს შემთხვევებში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მონაწილეობა მომავალში რეგრესის წესით სარჩელის შეტანასთანაა დაკავშირებული. „ტიპიური საფუძველი უკვე დაწყებულ საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის ჩართვისა არის ძირითად დავაზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ერთ-ერთი მოდავე მხარის რეგრესული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა მესამე პირის მიმართ.”[432]

რეგრესული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა წინასწარ განსაზღვრავს მესამე პირის იურიდიულ დაინტერესებას თავდაპირველი მხარეების პროცესში მონაწილეობისას. „სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა მესამე პირების უფლებებსა და მოვალეობებზე იმ აზრით (იმ მნიშვნელობით) უნდა გავიგოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მესამე პირებზე გადაწყვეტილების ისეთი თვისების შედეგად ვრცელდება, როგორიც პრეიუდიციურობაა.[433] აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირის იურიდიული ინტერესი სხვა პირთა შორის წამოჭრილ დავაში, მდგომარეობს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართალურთიერთობის წარმოშობის საფუძვლების იურიდიული ფაქტების დადგენაში.”[434]

მეცნიერთა განმარტებით პრაქტიკით შემდეგი წესი გამომუშავდა: რეგრესის უფლებაზე დაფუძნებული მოთხოვნის წინააღმდეგ რეგრესანტს შეუძლია გამოხატოს ის პროტესტი, რომელიც შეეძლო მესამე პირის სარჩელში რეგრედიენტად ჩართვის შემთხვევაში გამოეთქვა. რეგრესანტს, რომელიც თავს აარიდებს რეგრედიენტისადმი მესამე პირის სარჩელს, არ შეუძლია მიუთითოს საქმის არასწორ მსვლელობაზე. „ის მდგომარეობა, რომ სამოქალაქო პროცესში მესამე პირი შესაძლო რეგრედიენტს ან რეგრესანტს წარმოადგენს, ხაზს უსვამს საქმისადმი მისი პირდაპირი იურიდიული ინტერესის არსებობას, რომელიც განსაზღვრავს მესამე პირის სამოქალაქო სამართლებრივ მდგომარეობაზე გადაწყვეტილების გავლენას, ან სამოქალაქო სამართლებრივი პრეტენზიის წარდგენას ან მისგან თავის დაცვას. თუმცა, მომავალში რეგრესული სარჩელის წარდგენის მიზეზის აღმოფხვრა თავისთავად არ იწვევს დამოუკიდებელი

---

[431] სუსგ, 06.09.2013, საქმე № ას -645-613-2013;

[432] *ჰერანიძე ი.*, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მართლმსაჯულება და კანონი, №1(28), 33.

[433] Гражданский процесс : учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007, 80, http://uristinfo.net/

[434] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 136.

მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესში სავალდებულო მონაწილეობას.[435]

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის პროცესში დაშვების ინტერესი მოდავე მხარეებსაც აქვთ. ეს ინტერესი იმით განისაზღვრება, რომ მესამე პირების საქმეში მონაწილეობით სასამართლო ადგენს არა მხოლოდ ფაქტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შეტანილ სარჩელზე დავის გადაწყვეტისათვის, არამედ ფაქტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მომავალში მესამე პირისადმი შეტანილ რეგრესული სარჩელისადმი. მხარე, რომელიც საქმეში მესამე პირს რთავს, მომავალ პროცესში რეგრესულ სარჩელზე, ასე თუ ისე იმსუბუქებს თავის საპროცესო მდგომარეობას. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მონაწილეობას მოდავე მხარეებისათვის სხვა მნიშვნელობაც აქვს. მოპასუხე, რომელიც წარდგენილი სარჩელისაგან თავს იცავს, მესამე პირის დახმარებით თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას ცდილობს. მაგალითად, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი მოცდენის პერიოდის ანაზღაურების სარჩელზე მოპასუხე დაწესებულება მესამე პირად მენეჯერს რთავს, რომ სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის უსაფუძვლობა დაამტკიცოს. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს, რომ საქმეში ჩაბმული მესამე პირი ჩამბმელი მხარის „ხელშემწყობად" განვიხილოთ. თუმცა, მესამე პირი უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესების დაცვისაკენ, მომავალში მოპასუხის რეგრესული სარჩელისას თავისი მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ ისწრაფვის.

მოსარჩელის მხარეზე მესამე პირის მონაწილეობის ერთ-ერთი ხშირი საფუძველია ცესიიდან, მოთხოვნის დათმობიდან გამომდინარე რეგრესის უფლება. სსსკ-ს 199-ე მუხლის თანახმად: „მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის მოთხოვნის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველი მფობელის ადგილს მესამე პირი იკავებს.

მესამე პირთა მონაწილეობის გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს ასევე, მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, „პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე." ამასთან, 1005-ე მუხლით „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია დამდგარი ზიანი აანაზღაუროს.

[435] *Ильин А.В.* Право третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований относительно предмета спора, на возмещение судебных расходов // Арбитражный и гражданский процесс. 2012. N 2. 9.

განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.” ე.ი. დაწესებულება, იქნება ეს სახელმწიფო დაწესებულება თუ კერძო ორგანიზაცია, პასუხს აგებს მისი მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისათვის. თვითონ მუშაკი შრომით ურთიერთობებში ორგანიზაციასთან იმყოფება და პასუხისმგებელიც მის წინაშეა. ხოლო, დაწესებულების პასუხისმგებლობა დამოკიდებულია იმაზე, ცნობს თუ არა სასამართლო მუშაკის ქმედებას მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად. ამაზეცაა დამოკიდებული მუშაკის პასუხისმგებლობა დაწესებულების წინაშე. ამიტომ ამ საქმეში ორგანიზაციაც და მუშაკიც დაინტერესებულნი არიან რომ მუშაკმა მონაწილეობა მიიღოს პროცესში, როგორც მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. თუ სარჩელი დაკმაყოფილდება ორგანიზაციას შეუძლია მუშაკის მიმართ რეგრესული სარჩელი შეიტანოს.[436]

ვინაიდან, თავდაპირველ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი განსაზღვრული ფაქტები სავალდებულოა რეგრესული სარჩელის განმხილველი სასამართლოსათვისაც, ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა ერთ პროცესში ერთდროულად ძირითადი სარჩელის და რეგრესული სარჩელის გადაწყვეტა. თავდაპირველი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთდროული და ერთობლივი გადაწყვეტის საკითხი კანონმდებლობაში, იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებულად წყდება.[437] ძირითადი და რეგრესული სარჩელის ერთდროულად გადაწყვეტის წინააღმდეგ შემდეგი მიზეზები არსებობს:

„ორი სარჩელის ერთად განხილვა შეანელებს და გაართულებს პროცესს. ვინაიდან, სასამართლო ვალდებული იქნება გამოიკვლიოს როგორც ძირითადი სარჩელისათვის საფუძვლად დადებული ფაქტები, აგრეთვე რეგრესული სარჩელის საფუძვლად დადებული ფაქტები.”[438] ამასთან, ერთ პროცესში ძირითადი და რეგრესული სარჩელის განხილვა არევს მხარეთა და მესამე პირთა ურთიერთდამოკიდებულებას, საქმეს გაურთულებს სასამართლოს და არც ჭეშმარიტების დადგენაზე იმოქმედებს.[439]

ერთად განხილვის ერთ-ერთ საწინააღმდეგო მოსაზრებას წარმოადგენს შემდეგი დასაბუთება „მოპასუხის მიერ მესამე პირისადმი სამომავლოდ რეგრესული სარჩელის წარდგენის შესაძლებელობა წინასწარ განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის დაინტერესების იურიდიულ ხასიათს თავდაპირველ მხარეებს შორის დავაში. სასამართლო კვლევის საგნად აქ აგრეთვე გვევლინება ორი ურთიერთდაკავშირებული მატერიალური სამართალურთიერთობა: ძირითადი და მისგან ნაწარმოები რეგრესული. ამ სამართალურთიერთობების წარმოშობის საფუძველი ერთ საერთო სუბიექტთან ერთად არის საერთო იურიდიული ფაქტები. მაგრამ საქმის არსებითად გადაწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება

---

436 *Мельников А.А.* 1981. Курс советского гражданского гроцессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва.

437 Гражданский процесс: Учебник / Под ред. В.А. Мусина, Н.А. Чечиной, Д.М. Чечота. М., 2000, 79.

438 *Чечот Д.М.*, Участники гражданского процесса, Госюиздат, 1960, 99.

439 *Абрамов С. Н.* – Гражданский процесс, II издание; дополненное и исправленное, Москва, 1950.

შეიძლება მხოლოდ შეტანილი სასარჩელო მოთხოვნის ძირითად სამართალურთიერთობებზე იქნეს გამოტანილი. აღნიშნულ მოსაზრებას გარკვეული პროცესუალისტებიც ეთანხმებიან. „რეგრესული სარჩელის წარდგენისათვის აუცილებელია, რომ ძირითად სარჩელზე გადაწყვეტილება გამოტანილ იქნეს, კანონიერ ძალაში შევიდეს, აღსრულდეს და რეგრესული სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილმა მხარემ მისი აღძვრის ნება გამოხატოს."[440]

საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა თავდაპირველი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთად განხილვის თაობაზე გამონაკლისს მხოლოდ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი მოცდენის ანაზღაურების შემთხვევაში უშვებდა. ეს გამონაკლისი განპირობებული იყო ერთის მხრივ მოპასუხესა და მეორეს მხრივ, მესამე პირებს შორის განსაკუთრებული ხასიათის ურთიერთობებით და კანონმდებლის მიდრეკილებით დაეცვა უკანონოდ გათავისუფლებული მოქალაქის უფლებები და მატერიალური პასუხისმგებლობა პირისათვის დაეკისრებინა, რომელმაც უკანონოდ გათავისუფლება დაუშვა.[441]

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სამოქალაქო პროცესი პროცესუალური ფუნქციების შეთავსებას იცნობდა: საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი უთითებდა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირების სამუშაოზე აღდგენის საქმეებზე სასამართლოს თავად შეეძლო საქმეში მოპასუხის მხარეზე მესამე პირად ჩაერთო პირი, რომლის განკარგულებითაც გათავისუფლება ან გადაყვანა მოხდა. თუ სასამართლო დაადგენდა, რომ გათავისუფლება ან გადაყვანა კანონის აშკარა დარღვევით იყო განხორციელებული, სასამართლოს შეეძლო მესამე პირისათვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ზარალის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრებინა. პასუხისმგებელი პირის საქმეში ჩართვის საკითხს, როგორც წესი სასამართლო საქმის მომზადების სტადიაზე წყვეტდა, რაც საქმის განხილვისას ამ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა. ასეთი ჩართვა პასუხისმგებელ პირს არ ართმევდა უფლებას ჩართულიყო საქმეში როგორც მოპასუხის წარმომადგენელი. ასე რომ 39-ე მუხლით განსაზღვრული წესით საქმის განხილვისას საქმეში ერთვებოდა, რომელიც პროცესში ორ პროცესუალურ ფუნქციას ახორციელებს: მოპასუხის წარმომადგენელისა და მოპასუხის მხარეზე მესამე პირის. თუმცა შემდგომში მეცნიერთა მიერ გაკრიტიკებულ იქნა უმაღლესი სასამართლოს განმარტება, იმ მოსაზრებით, რომ პროცესუალური ფუნქციების შეთავსება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი, როცა პროცესის მონაწილეთა ინტერესები ემთხვევა, ან ყოველ შემთხვევაში არ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში მოპასუხისა და (სარჩელის დაკმაყოფილებისა და იძულებითი მოცდენის შემთხვევაში) მესამე პირების ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგოა.

თავდაპირველი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთად განხილვის თაობაზე სხვაგვარი მიდგომა აქვთ რიგ მეცნიერებს (ნ. ბ. ზეიდერს, მ. ს.

---

[440] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «Контракт»; «Инфра-М», 2008, 46, http://uristinfo.net/.

[441] Гражданский процесс; Учебник под. Ред. В.А. Мусина; Н. А. Чечиной , Д. М. Чечота , Проспект; Москва - 1998.

შაქარიანსა და მ. ა. ვიკუტს), რომლებიც თვლიან, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ძირითადი და რეგრესული სარჩელების ერთ პროცესში განხილვა პროცესს დააჩქარებს და სასამართლოების წინაშე მდგარ ამოცანას უფრო მეტად უპასუხებს.[442] „ძირითადი დავის განხილვისას მომავალი რეგრესული სარჩელი არსებითად წინასწარგადაწყვეტილად ითვლება და ასეთი სარჩელების ერთ პროცესში განხილვა გართულების ნაცვლად ხელს შეუწყობს პროცესის ყველა მონაწილის სადავო ურთიერთობების სწრაფად გადაწყვეტას.“[443]
ნეიტრალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს ის, რომ როგორც წესი სამოქალაქო უფლებაზე დავისას უფრო მიზანშეწონილია ძირითადი და რეგრესული სარჩელების ცალკე, დამოუკიდებელ პროცესში განხილვა. თუმცა ამ ზოგადი წესიდან შესაძლოა გამონაკლისი იქნეს დაშვებული იმ შემთხვევებში, როცა სასამართლო ამას საჭიროდ და პროცესუალურად მიზანშეწონილად ჩათვლის.[444]
ასეთი ურთიერთობების სახასიათო მაგალითს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული სამაგალითო შემთხვევა, როგორიცაა მოქალაქეების სარჩელი იმ დაწესებულებისადმი, რომელმაც ამ პირის ქონება შესანახად მიიბარა, ან ორგანიზაციის მუშაკის ბრალით დაკარგული ქონების ანაზღაურება. მაგალითად თუ თეატრმა შესანახად მიიბარა პალტო, რომელიც დაიკარგა. პალტოს მეპატრონის სარჩელზე გარდერობიდან დაკარგული პალტოს ღირებულების ანაზღაურების თაობაზე,[445] მოპასუხე იქნება თეატრი, ხოლო მოპასუხის მხარეზე მესამე პირად მონაწილეობის მიღებაზე დაინტერესებული პირი - მეგარდერობე. ვინაიდან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხეს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მოპარული პალტოს თანხას აუნაზღაურებს, უფლება აქვს რეგრესული სარჩელი წარადგინოს მეგარდერობის, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიმართ. მაგრამ, თუ რეგრესული სარჩელის დროს გაირკვევა, რომ მეგარდერობისათვის ტანსაცმლის შენახვის შესაბამისი პირობები არ იყო შექმნილი, ტერიტორია შემოფარგლული არ იყო და ხალხის მოზღვავებისას მოქალაქეები თავად კიდებდნენ პალტოებს, რის შესახებაც მეგარდერობემ საქმის კურსში ჩააყენა ადმინისტრაცია, დადგინდება, რომ პალტო მეგარდერობის ბრალით არ იყო დაკარგული და რეგრესული სარჩელი არ დაკმაყოფილდება.
არის რიგი შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოსათვის რთულია ერთდროულად გაერკვეს თავდაპირველი მხარეებისა და მათ მხარეს ჩართული მესამე პირების მსგავს ურთიერთობებში. ამ შემთხვევებში ორი სარჩელის ერთდროული განხილვა საქმის გამოკვლევას ართულებს. ძირითადი, მესამე პირის, შეგებებული სარჩელის, აგრეთვე საპროცესო თანამონაწილეობისას რამოდენიმე პირის სარჩელების გართიანების

---

442 *Шакарян М. С.* Третье лица, не заявляющие самостоятельных требований на предмет спора. Советская юстиция, 1966, №19.

443 Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 49, <http://uristinfo.net/>.

444 *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва, 1962.

445 Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005, 50, <http://uristinfo.net/>.

საკითხების გადაწყვეტა მიენდოს სასამართლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროცესუალური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.[446]
აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსახილველ საკითხს საბჭოთა კავშირის წევრი სხვა ქვეყნების კოდექსებისაგან განსხვავებულად არეგულირებდა და მეცნიერთათვის სამაგალითოსაც წარმოადგენდა: „პრაქტიკაში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება თავდაპირველი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთ პროცესზე განხილვის შესაძლებლობის საკითხს. სამომავლოდ კანონმდებლობაში თავდაპირველი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთდროულად გადაწყვეტის საკითხის განხილვისას მაგალითი საქართველოს სსკ-დან იქნეს აღებული.[447] საბჭოთა პერიოდში მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, თუ სასამართლო საქმის განხილვისას მხარეთა ურთიერთმიმართებას დაადგენდა მესამე პირებთან, უფლება ჰქონდა გადაწყვეტილება მესამე პირების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ გამოეტანა.
რაც შეეხება დღეს მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას, რიგი ქართველი პროცესუალისტები ძირითადი სარჩელისა და რეგრესული სარჩელის ერთად განხილვის შესაძლებლობას ეწინააღმდეგებიან შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე: „დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირი არ წარმოადგენს მხარეს, რომლის წინააღმდეგაც შესაძლო იქნებოდა სარჩელის წარდგენა. აღნიშნული სახის მესამე პირი თავისთვის სასამართლოსაგან არაფერს მოითხოვს და მას არ შეიძლება დაეკისროს არც პასუხისმგებლობა".[448]
თუმცა„სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლება წარმოიშობა მას შემდეგ, რაც ვალდებულება უკვე შესრულებულია შესაბამისი პირის მიერ. სასამართლოს მიერ იმ მესამე პირის მონაწილეობით საქმის განხილვის შემთხვევაში, რომელსაც შეიძლება წარედგინოს რეგრესული სარჩელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის შესრულებული და მხარემ საერთოდ არ იცის რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო. მხარეს შეუძლია აღძრას რეგრესული სარჩელი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვალდებულება უკვე შესრულებუილია შესაბამისი პირის მიერ."[449]
თუმცა, ვხვდებით მოსაზრებას, რომ „საპროცესო კანონმდებლობა მათი ერთად განხილვის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ

[446] *Ильинская И.М.,* Участие третьих лиц в Советском гражданском процессе. Государственное издательство юридической литературы, Москва – 1962.

[447] *Гурвич М.А.* Судебное решение. Теоретические проблемы, 1976.

[448] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 136.

[449] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012, 136.

წარმოებად, ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის სწრაფად და სწორად განხილვა."[450] თუმცა აღნიშნულ მოსაზრებასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია, რომ მოცემული მუხლის შესაბამისად პირებს სასარჩელო მოთხოვნები უნდა ჰქონდეთ. ამ შემთხვევაში კი მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე სწორედ მოთხოვნა არ გააჩნია. სასამართლოს წარმოებაში მისი პრეტენზია არ არის და შესაბამისად არ არის საქმე, რომლის სხვა საქმესთან გაერთიანებაც შესაძლებელი იქნებოდა. აღნიშნულ საკითხზე განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი მოსაზრება: მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობა დაკავშირებულია მისთვის რეგრედიენტის ან რეგრესანტის მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.[451] რეგრედიენტი ლექსიკურად ნიშნავს არადაბრუნებადს, დაუბრუნებადს (ლათ: regrediens, -ntis) ხოლო რეგრესანტი განიმარტება როგორც მოძრაობა უკან (regredio) ანუ უკან მოთხოვნის წარდგენა სხვა პირისათვის.[452] საქმის განხილვისას პირი, რომელიც ისწრაფვის გადაწყვიტოს უფლებაზე დავა, ახალი დავის წამოწყებით დაინტერესებული არაა. მეტიც, ცდილობს, თავი აარიდოს მას. ამიტომ საქმეში მონაწილე პირების ძალისხმევა სამომავლო კონფლიქტის თავიდან არიდებისაკენაა მიმართული. სამოქალაქო ურთიერთობები საკანონმდებლო რეგულირების საშუალებით სტაბილურობისაკენ ისწრაფვიან, ხოლო სუბიექტები იმისაკენ, რომ დავის წამოჭრა არ დაუშვან. ხოლო ის ვარაუდი, რომ თითოეული სასამართლო განხილვა შემდეგისათვის შესავალია, სამოქალაქო საპროცესო სამართლის არსს ეწინააღმდეგება.[453]

11. სასამართლო ხარჯები

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ ეკისრებათ სასამართლო ხარჯების გაღების ვალდებულება.[454] გამომდინარე მათი მატერიალურ სამართლებრივი დაინტერესებიდან და სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელების ფარგლებიდან.[455] თუმცა სამოქალაქო საპროცესო

---

[450] *პერანიძე ი.,* დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მართლმსაჯულება და კანონი, №1(28), 33.

[451] *Юдельсон К.С.* Избранное: Советский нотариат. Проблемы доказывания в советском гражданском процессе. М., 2005, 434.

[452] *Булыко А.Н.* Современный словарь иностранных слов. М., 2004, 588.

[453] *Томилов А.Ю.* Сравнительная характеристика правового положения третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований относительно предмета спора, и лиц, осуществляющих защиту чужих прав, свобод и законных интересов // Арбитражный и гражданский процесс. 2014. N5, 57.

[454] *ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012;

[455] Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «КОНТРАКТ»; «ИНФРА-М», 2008, 46, http://uristinfo.net/.

კოდექსში პირდაპირი მითითება სასამართლო ხარჯების თაობაზე არ არსებობს.
გერმანულ სამართალში საინტერესოდაა განსაზღვრული დამატებითი ჩართვის ხარჯები. სამაგალითოდ მოყვანილია შემდეგი შემთხვევა: K-მ უჩივლა 6000 მარკაზე B-ს; X შეუერთდა B-ს როგორც დამატებითი ჩამრთველი. გადაწყვეტილებით მოპასუხეს განმცხადებლისათვის 4500 მარკის გადახდა დაეკისრა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი უარყოფილ იქნა. შესაბამისად, მოსარჩელე ხარჯების მეოთხედს და მესამე მხარის ჩარევის საფასურს იხდის; მოპასუხე ხარჯების სამ მეოთხედს იხდის, X მისი ჩართვის ღირებულების ¾-ს იხდის.[456] როგორც იკვეთება, გერმანულ სამართალში ჩართვის ხარჯებს იხდის მოწინააღმდეგე მხარეს, თუ მას პროცესის ხარჯების დაფარვა დაეკისრება, ან ჩართული პირი. შესაბამისად, სასამართლო ხარჯები იმ მხარეს არასოდეს არ ეკისრება, რომელსაც მხარს უჭერენ (101 I); ის უფასო დახმარებას იღებს.

VI. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მესამე პირების შედარება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მესამე პირებთან

1. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მნიშვნელობა

სამოქალაქო პროცესში მესამე პირების ინსტიტუტის ყოველმხრივ და სრულყოფილად განხილვისათვის აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობასთან შედარება. რიგ შემთხვევებში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს იყენებს. კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი" გამოიყენება. მესამე პირებთან მიმართებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სწორედ „სხვა რამ"-ს ადგენს და მესამე პირების სასამართლო პროცესში მონაწილეობის საკითხი ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში სხვაგვარადაა რეგულირებული. განსხვავებული მიდგომა გამოწვეულია ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სპეციფიკით. სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირებსა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე მესამე პირებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავების გამომწვევ მიზეზად ადმინისტრაციული სამართალში არსებული ინკვიზიციურობის პრინციპი სახელდება. რაც შეეხება სამოქალაქო პროცესს, იგი დისპოზიციურობის პრინციპზეა აგებული.[457] „სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობა წარმოადგენს სამოქალაქო მატერიალური სამართალურთიერთობისათვის

[456] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 103

[457] *ლილუაშვილი თ, ლილუაშვილი გ, ხრუსტალი ვ, ძლიერიშვილი ზ.* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, 80.

დამახასიათებელი დისპოზიციურობის საწყისის გაგრძელებას.[458] თუმცა სამოქალაქო კოდექსშიც არსებობს ინკვიზიციური ნაწილაკის შემცველი ნორმა: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის თანახმად საოჯახო საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ."[459]

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების ინსტიტუტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მეტი სიღრმეები ახასიათებს. მესამე პირები ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უდავოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და საქმის ყოველმხრივ განხილვისათვის აუცილებელ მექანიზმს წარმოადგენენ. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების ინსტიტუტის მაღალი მნიშვნელობა მისი დანიშნულებიდან და ფუნქციიდან გამომდინარეობს. კერძოდ, მიჩნეულია, რომ მესამე პირების ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში პირის სუბიექტური უფლების დაცვისა და რეალიზების მექანიზმია. „საჯარო სამართალი ემსახურება, უპირატესად, ადმინისტრაციული ორგანოს ობიექტური უფლებების რეალიზებასა და დაცვას. ადმინისტრაციულ პროცესში კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთჭიდილს აქვს ადგილი. უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრაციულ პროცესში კერძო, სუბიექტურ ინტერესებთან შეჯახება ხდება, რომლებიც მესამე პირებს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით შემუშავდა „სუბიექტური საჯარო უფლების" ცნება,[460] რომელიც მათ უფლებას აძლევს მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში.[461] რაც შეეხება თავად სუბიექტურ საჯარო-სამართლებრივ უფლებს, იგი „არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, საკუთარი ინტერესების დასაცავად მიმართოს სახელმწიფოსა და სასამართლოს. სუბიექტური საჯარო-სამართლებრივი უფლება უშუალოდ უნდა ეხებოდეს კონკრეტული პირის ინტერესს, მის სუბიექტურ უფლებას უნდა წარმოადგენდეს. მისი წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც კანონი და ადამინის ძირითადი კონსტიტუციური უფლებები, ასევე სამოსამართლო სამართალი.[462] ადმნისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირების ინსტიტუტი პირთათვის კერძო ინტერესების დაცვის შესაძლებლობას

---

[458] *ხოფერია ნ.* დისპოზიციურობა საქართველოს ახალი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, პირველი კვარტალი, 1998, 75.

[459] *ვაჩაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ.,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №6 (2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით) თბილისი, 2005.

[460] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.* (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა" თბილისი, 2008. გვ. 231.

[461] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე N 3/ბ-620-16. 29.07.2016

[462] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. (რედ.),* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა" თბილისი, 2008. გვ. 234.

უზრუნველყოფს და ეს მექანიზმი რომ არა, ადმინისტრაციული სამართალი მხოლოდ საჯარო ინტერესების დაცვაზე იქნებოდა ორიენტირებული და შეზღუდული.

2. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მიზნები

განსაკუთრებით საყურადებოა ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც მესამე პირების ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობა ემსახურება. ავტორთა მოსაზრებით ასეთი მიზნებია „მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანი; საქმის ყოველმხრივი განხილვის მიზანი; პროცესის ეკონომიურობის მიზანი; სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზანი.[463]

ზემოაღნიშნულთაგან პირველი მიზანი ემთხვევა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მესამე პირების მონაწილეობის მიზანს. სამოქალაქო პროცესში მესამე პირების მონაწილეობის მიზანი თავისთავად სუბიექტური უფლების დაცვაა იმ პირთათვის, რომლებიც საქმის განხილვაში არ მონაწილეობენ და რომელთა უფლებებსა და მოვალეობებზე შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილებამ გავლენა იქონიოს. თუმცა, ქართული საპროცესო კოდექსები, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული, არ აკონკრეტებს იმ ინტერესის სახეს, რომელიც პირს პროცესში ჩართვისათვის უნდა გააჩნდეს. მით უმეტეს, განსაზღვრული არ არის ეს ინტერესი ქონებრივი უნდა იყოს თუ სამართლებრივი და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იქნებოდა, რომ „ „იმის დაკონკრეტება, თუ პირის რა ინტერესი შეიძლება შეილახოს სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებით. ევროპის წამყვანი ქვეყნების ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობასა და არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით დანამდვილებით შეიძლება განისაზღვროს, რომ საქმე ეხება პირის არა ყველა სახის ინტერესს, არამედ მხოლოდ პირის სამართლებრივ ინტერესს.”[464] ამიტომ, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ორივე საპროცესო კოდექსში მოხდეს ინტერესის სახის დაკონკრეტება და მესამე პირების ინტერესის არსებობის განმსაზღვრელად მიჩნეულ იქნეს ფაქტორი თუ რამდენად ახდენს სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას მათ სამართლებრივ ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ისევე, როგორც ეს დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ - პირის ინტერესი ერთ-ერთი მხარის მიერ წამოყენებული სარჩელის წარმატების ან წაგებისათვის არასაკმარისია, თუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარის სამართლებრივ ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას არ ახდენს.[465] რაც შეეხება თავად ინტერესის ბუნებას, იქნება იგი საჯარო თუ კერძო, ამას მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, რადგან „მისი მეშვეობით გამორიცხულია სამოქალაქო

---

[463] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. (რედ.),* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008, 231.

[464] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.* (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008, 235.

[465] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States’ Courts Locus Standi, 36.

სამართალწარმოების გზით იმგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რომელიც შეეწინააღმდეგება ადმინისტრაციული წესით მიღებულ გადაწყვეტილებას.”[466]

მესამე პირების ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში მონაწილეობის ზემოთ მითითებული მიზნებიდან მეორე - საქმის ყოველმხრივ განხილვის მიზანი, ასევე ემთხვევა სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში მიჩნეულ მესამე პირების მონაწილეობის მიზანსაც. თუმცა იმ განსხვავებით, რომ ადმინისტრაციულ პროცესში აღნიშნული მიზანი უფრო მარტივად მიღწევადია „რადგან, ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული საქმის განხილვისას ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის პროცესში თავად მონაწილეობდეს. მას ასევე უფლება აქვს, სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, უზრუნველყოს საქმის ყოველმხრივი და ამომწურავი განხილვა, რისთვისაც სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად მოიწვიოს ყველა ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილება.”[467] რაც შეეხება სამოქალაქო პროცესს აღნიშნული მიზნის განხორციელება მხარეთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან, მოსამართლეს მინიჭებული არა აქვს უფლება, თავად მოახდინოს მესამე პირების მოწვევა სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესში.

ისევე როგორც სამოქალაქო პროცესი, ადმინისტრაციული პროცესიც, მესამე პირთა პროცესში მონაწილეობის უმნიშვნელოვანეს მიზნად პროცესის ეკონომიურობას ასახელებს. თუმცა, როგორც ლიტერატურიდან იკვეთება ამ მიზანზე ყურადღების გამახვილება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების ინსტიტუტის დანერგვიდან საკმაოდ მოგვიანებით მოხდა. „მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება სწორედ აღნიშნული ინსტიტუტის ეკონომიურობის ელემენტზე ყურადღების გამახვილება ევროპის ადმინისტრატივისტებს შორის. პირველად ბავარიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს 1950 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებაში იქნა დასაბუთებული პროცესის ეკონომიურობის მეშვეობით ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის აუცილებლობა.”[468]

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის მეოთხე მიზნად, სამართლებრივი უზრუნველყოფა სახელდება, რაც გულისხმობს „გამოირიცხოს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ ერთი და იგივე მხარეების მიმართ, ერთსა და იმავე დავის საგანზე.[469] აღნიშნულ მიზანთან დაკავშირებით აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ

---

[466] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. (რედ.),* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008, 236.

[467] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.* (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008, 237.

[468] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.* (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008, 237-238.

[469] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.* (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008, 238.

პროცესს მეტი სამართლებრივი მექანიზმი აქვს აღნიშნული მიზნის შესრულებისათვის, ვინაიდან მისი მიღწევა შეუძლებელია სასამართლოსათვის მესამე პირების მოწვევის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე.

3. მესამე პირების მონაწილეობის ფორმა ადმინისტრაციულ პროცესში

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ახდენს მესამე პირების დაყოფას დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე და დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად. „საქმეში მესამე პირად ჩაბმის პირობას იმ სამართალურთიერთობის მონაწილეობა წარმოადგენს, რომლის თაობაზედაც, სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი და არა დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობა. რაც საფუძველს გვაძლევს, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ადმინისტრაციული სამოქალაქო პროცესით განსაზღვრული მესამე პირები თავისი არსით ახლოს არიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებთან, ვინაიდან ორივეს მიმართ გამოიტანება სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება გამოტანილი იქნეს მხოლოდ მხარეებს შორის მათი მონაწილეობის გარეშე."[470] ამასთან, ავტორთა მოსაზრებით მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით რეგულირებული არაა სასამართლო პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების მონაწილეობა, აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ პროცესი საქმეში მათი მონაწილეობის შესაძლებლობას არ უშვებს. სწორედ ასეთ შემთხვევებში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი."[471] თუმცა, თავად ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, მეორე საკითხია რამდენადაა შესაძლებელი ამ ნორმების პრაქტიკაში რეალიზება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გერმანიის „ადმინისტრაციულ პროცესში არის მსგავსი ინსტიტუტი die Beiladung (დამატებითი ტვირთი) (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლი).[472] შესაძლოა, სწორედ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების განუსაზღვრელობა ბოლო დროინდელი ცვლილების- სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის შემოტანის ერთ-ერთი მიზეზი გახდა, რაზეც უფრო დაწვრილებით შემდგომ თავებში იქნება საუბარი.

სამოქალაქო პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირთა მონაწილეობა ცალსახად ნებაყოფლობითია. სასამართლოს უფლება აქვს უარი უთხრას საქმის განხილვაში მესამე პირად ჩაბმაზე ამა თუ იმ პირს, მაგრამ არ შეუძლია საქმეში სასამართლოს ან მხარეთა ინიციატივით ჩართოს მესამე პირი, თუ იგი თანახმა არაა და

---

[470] *ვაჩაძე მ.,თოდრია ი.,ტურავა პ., წკეპლაძე ნ.,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №6 (2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით), თბ. 2005.

[471] *ვაჩაძე მ.,თოდრია ი.,ტურავა პ., წკეპლაძე ნ.,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №6 (2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით), თბ., 2005.

[472] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 102.

თავდაპირველი მხარეების მიმართ დამოუკიდებელ მოთხოვნას არ აყენებს. განსხვავებით ადმინისტრაციული პროცესისა, რომელშიც სასამართლო მხარეთა მსგავსად, უფლებამოსილია საქმეში მესამე პირი ჩართოს, რაც ადმინისტრაციულ პროცესში დამკვიდრებული ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. ამასთან, აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი – სავალდებულო, აუცილებელი ჩაბმის ფორმულირებას.[473] თუმცა, თავად კოდექსი არ განმარტავს მესამე პირების პროცესში ჩართვის სახეების ცნებას. ჩართვის მარტივ და სავალდებულოდ გამიჯვნა პროცესუალისტების განმარტებას წარმოადგენს.

გერმანული ადმინისტრაციული პროცესიც იცნობს მესამე პირთა ნებაყოფლობითი და სავალდებულო ჩართვის სახეებს და ამასთან, იგივე მიზეზისა და საფუძვლის გამო – თუ გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიტანოს, მითითებულ პირებზე სავარაუდოდ გავრცელდება, ანუ საერთო გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი, ეს პირები საქმის განხილვაში უნდა ჩაერთონ[474]. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომლის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად „პროცესის საბოლოოდ დასრულებამდე ან ზედა ინსტანციის მიერ განხილვამდე, სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სხვა პირები ex officio ან მათი თხოვნით ჩართოს ისინი, ვის სამართლებრივი ინტერესებსაც განკარგულება ეხება.”[475] აღნიშნული მოიცავს როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე მესამე პირთა ინიციატივით მესამე პირთა საქმეში ჩართვას. რაც შეეხება მითითებული მუხლის მე-2 პუნქტს, იგი განსაზღვრავს სავალდებულოდ ჩართვის შემთხვევას, კერძოდ „თუ მესამე პირი ერთვება სადავო სამართალურთიერთობებში იმიტომ, რომ მასზე შესაძლებელია სასამართლოს განკარგულების გავრცელება, იგი უნდა იქნეს მოწვეული.”[476]

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე, სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტრესებსაც შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხოს,

---

[473] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე N 3/ბ-620-16. 29.07.2016

[474] *Herbert G, Administrative* justice in Europe, – Report for Germany–, Judge at the Federal Administrative Court, Leipzig, 2005.

[475] Code of Administrative Court Procedure, in the version of the promulgation of 19 March 1991 (Federal Law Gazette I page 686), most recently amended by Article 5 of the Act of 10 October 2013 (Federal Law Gazette I page 3786), © juris GmbH, Saarbrücken, https://www.gesetze-im-internet.de> 2014.

[476] Code of Administrative Court Procedure, in the version of the promulgation of 19 March 1991 (Federal Law Gazette I page 686), most recently amended by Article 5 of the Act of 10 October 2013 (Federal Law Gazette I page 3786), © 2014 juris GmbH, Saarbrücken, https://www.gesetze-im-internet.de.

ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და იგი საქმეში მესამე პირად ჩააბას. ამ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლო თავად განსაზღვრავს იმ პირებს, ვის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება და ინტერესის საფუძვლიანობას თავად აფასებს. არასავალდებულო წესით საქმეში მესამე პირთა ჩაბმა წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას. აღნიშნული საპროცესო მოქმედების განხორციელებისას სასამართლო აფასებს საქმის გარემოებებს, შესაძლო მესამე პირთა კავშირს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ და მითითებული ფაქტორების გათვალისწინებითა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, წყვეტს შესაბამისი საპროცესო სტატუსით საქმეში პირთა ჩაბმის საკითხს.

რაც შეეხება სავალდებულო თანამონაწილეობას, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მიიჩნევს საქმეში მესამე პირის მონაწილეობას სავალდებულოდ ამავე, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით: მესამე პირი საქმეში აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული, თუ იგი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.[477] მესამე პირზე ჩვეულებრივად ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილების გავლენა, თუ სასამართლო განიხილავს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და ამასთანავე თანდართული მასალების გაცნობის შედეგად იმავდროულად საქმეში მესამე პირის სავალდებულო წესით ჩაბმას გადაწყვიტავს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.[478] სამაგალითოა ადმინისტრაციული საქმე, რომელშიც, მხარის ინიციატივით, სავალდებულო წესით საქმის განხილვაში ჩართული იქნა მესამე პირი, რომელიც სხდომაზე არც გამოცხადებულა და არც თავისი პოზიცია დაუფიქსირებია. მართალია ამ შემთხვევაში სასამართლოს მის მიმართ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითება არ გაუკეთებია, მაგრამ გავლენა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება იქონის მის უფლებებზე, მესამე პირზეც გავრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ სხდომაში არ მონაწილეობდა.[479] კოდექსის დათქმა ჩართვის სავალდებულობის შესახებ ეხება როგორც ამ პირებს, რომლებიც მიუხედავად მათი ნებისა, მაინც უნდა ჩაერთონ პროცესში,

[477] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე N 3/ბ-620-16. 29.07.2016

[478] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განჩინება, ადმინისტრაციული საქმე №3-2303-15.

[479] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული საქმე №3-5917-15.

ასევე - სასამართლოს. სასამართლო ვალდებულია ჩართოს საქმის განხილვაში მესამე პირები მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში.

„მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევის მარტივი ფორმა შინაარსობრივად განსხვავდება აუცილებელი, სავალდებულო ფორმისაგან. განსხვავება იმაშია, რომ მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა კი ვალდებულება კონკრეტული გარემოების არსებობისას."[480] ამასთან, მათ შორის მთავარ განსხვავებას ამავე მუხლის მე-5 პუნქტით ადგენს: „ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით სარგებლობს და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა."[481] აქვე აღსანიშნავია, რომ მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს დამოუკიდებლად არ განმარტავს. ამასთან, „სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით ადმინისტრაციული პროცესი საქმეში მონაწილე პირების მოსარჩელეებად და მოპასუხეებად მკაფიოდ დაყოფას არ იცნობს. ადმინისტრაციულ პროცესში მოსარჩელეც და მოპასუხეც, ასევე სხვა ადმინისტრაციული ორგანო თუ მესამე პირი, ყველა გაერთიანებულია ერთი ტერმინის ქვეშ – მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში."[482] თუმცა მხარეებსა და ჩართულ პირებს შორის უფლებათა მოცულობის განსხვავებას ადასტურებს საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დაჩქარებულ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხარის მოთხოვნით. დაჩქარებული წესით საქმის განხილვისას სასამართლოს მესამე პირებთან მიმართებაში უფლებამოსილება გააჩნია მესამე პირს სარჩელზე საკუთარი მოსაზრებების წარდგენისათვის ვადა არ განუსაზღვროს.

პროცესუალისტთა მოსაზრებით „ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მესამე პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მესამე პირები. კანონმდებელი ამ უკანასკნელთა საპროცესო უფლებებს მხარეთა ზოგად უფლებებს უთანაბრებს."[483] გერმანულ კანონმდებლობაში ამგვარ მესამე პირთა უფლებათა მოცულობა შემდეგნაირადაა განსაზღვრული: ჩართულ პირს შეუძლია თავისი ქმედების მნიშვნელობა გაამართლოს, დაიცვას დავის საგნის კონტექსტი და შეავსოს შუამდგომლობა.[484] სავალდებულო წესით ჩართული პირების უფრო ფართო უფლებამოსილება ასევე გამოიხატება მათ შესაძლებლობაში საქმის განხილვის შემდგომ სტადიებში ჩაერთონ განხილვაში. ჩართვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34[1] მუხლი, რომლის

---

[480] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. (რედ.),* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა" თბილისი, 2008, 239.

[481] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999წლის 23 ივლისი, №2353–რს.

[482] *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. (რედ.),* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა" თბილისი, 2008, 241.

[483] კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა" თბილისი, 2008, 241.

[484] *Herbert G, Administrative* justice in Europe, – Report for Germany–, Judge at the Federal Administrative Court, Leipzig, 2005, http://www.juradmin.eu/ >.

შესაბამისად: საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება მათივე თანხმობით ჩაებან, თუ ისინი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სადავოდ არ ხდიან და მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს წარადგენენ. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირების უფლებათა კოდექსისეულ ევოლუციაზე თვალის მიდევნებისას, ჩანს, რომ პირვანდელი ვერსია ზემდგომ ინსტანციებში მესამე პირების საქმეში ჩართვის შესაძლებლობას არ უშვებდა. მხოლოდ 2005 წლის 26 ივნისის ცვლილებების შედეგად განხორციელდა მათი უფლებების გაფართოვება და საქმის განხილვაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცათ ზემდგომ ინსტანციებში ზემოაღნიშნული გამონაკლისით.

ბოლო წლებში ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განხორციელდა მესამე პირების უფლებების გაფართოება და დახვეწა. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2005 წლის 26 ივნისს შესული ცვლილების შედეგად მე-16 მუხლს 2.[1] მუხლი დაემატა. ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია სასამართლოს, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე განცხადებით მიმართოს. აღნიშნული ცვლილების შედეგად ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილე პირის ინსტიტუტს კიდევ უფრო დაუახლოვდა, ვინაიდან, არამონაწილე პირს მოტივირებული განცხადების საფუძველზე საქმის განხილვაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა. ამ პუნქტის არარსებობა მესამე პირების ინსტიტუტის ძირეული დამახინჯება იყო და კონსტიტუციით გარანტირებულ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას არღვევდა. თუმცა მესამე პირთათვის მიცემული შესაძლებლობა განუსაზღვრელი არ არის და და მათი ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სასამართლო კომპეტენციას წარმოადგენს, რაც პროცესს იცავს ინტერესის არ მქონე პირთა შეჭრისა და გაჭიანურებისაგან. საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოყვანილ იქნეს შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან: სასამართლომ უარი უთხრა პირს საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში არ წარმოადგენდა სადაო სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეს, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიძლება შეხებოდა მის ინტერესებს.[485] ამ ინტერესის მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში აწევს იმ პირს, რომელიც ჩართვას მოითხოვს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში მოსარჩელე მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, საიდანაც დადასტურდებოდა, სადავო სამართალურთიერთობა აუცილებლად შეეხებოდა მის ინტერესებს. ამასთან, შუამდგომლობის ავტორის მიერ არ იქნა დასაბუთებული ის საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ იქნა დაყენებული აღნიშნული შუამდგომლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო, მიიჩნია,

[485] თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2016 წლის 02 მარტის განჩინება, ადმინისტრაციული საქმე 3/27-14;

განსახილველ დავაში მითითებული პირი არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი ან რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება.[486]

ასევე, წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ იმავე ცვლილებების შედეგად დამატებული 2.[2] პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ მესამე პირი შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც მან სასამართლოს მოტივირებული განცხადებით უნდა მიმართოს. აღნიშნული ნორმით კიდევ უფრო გაფართოვდა პირთა სუბიექტური უფლების დაცვის საშუალება და საქმეში მესამე პირების მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მოსამართლის კომპეტენციის სფეროში არ დარჩა, ვინაიდან პროცესის მონაწილე მხარეს საკუთარი ინიციატივით მესამე პირის მოწვევის უფლებამოსილება შესაძლებლობა მიეცა. ამასთან, საკითხი თუ ვისი ინიციატივით ხდება მესამე პირთა საქმეში ჩართვა – იქნება ეს სასამართლო, მხარეები თუ თავად მესამე პირი, გავლენას არ ახდენს იმაზე, თუ რა სახით ჩაერთვება მესამე პირი ადმინისტრაციულ პროცესში – მარტივად თუ სავალდებულოდ. ვინაიდან, ასეთი ჩართვისათვის განმასხვავებელ კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რა ზომით ვრცელდება სასამართლოს გადაწყვეტილება მესამე პირებზე. თუ გადაწყვეტილება მხოლოდ მესამე პირების ინტერესებს ეხება იმ ზომით, რომ მომავალში გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები პრეიუდიციური მნიშვნელობის იქნება, ასეთი პირები მარტივი ჩართვის სახით ერთვებიან, ხოლო თუ გადაწყვეტილების იურიდიული ძალა მესამე პირებზე სრულად გავრცელდება და გამოტანილი იქნება საერთო გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში პირი სავალდებულო წესით ერთვება. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მესამე პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მესამე პირები.[487]

რაც შეეხება პირთა სიმრავლეს, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2005 წლის 26 ივნისს შესული ცვლილების შედეგად 50-დან ათამდე შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა საქმეში სავალდებულო ჩართვასაც კოდექსის პირვანდელი ვერსია ადგენდა. პირვანდელი ვერსიის შესაბამისად, თუ სამართალურთიერთობაში 50 პირზე მეტი მონაწილეობდა, სასამართლოს შეეძლო საქმეში მხოლოდ ის პირები ჩაერთო, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამდნენ. აღნიშნულმა ცვლილებებმა ასევე, გააადვილა მესამე პირების ადმინისტრაციულ

[486] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე №330310013262695 (3ბ/554-14), 26 ივნისი, 2014 წელი,

[487] სუსგ. 16.12.2014, საქმე ბს-494-483 (2კს-14);

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობის პროცესი, ამასთან, ხელი შეუწყო პროცესის მოქნილობას, შემოიტანა რა განჩინების გამოქვეყნების დასაშვებობა, იმ შემთხვევაში თუ საქმეში მონაწილე პირთა რაოდენობა 10-ს აღემატება. გერმანიის ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი იმ შემთხვევების უფრო დეტალურ რეგლამენტაციას ახდენს, როდესაც საქმე პოტენციურ მესამე პირთა სიმრავლეს ეხება, მოწვევის ბრძანების გამოქვეყნებისათვის კონკრეტულ ვადას ადგენს. ასევე, განსაზღვრავს იმ საინფორმაციო საშუალებას, რომელშიც მოწვევის ბრძანების გამოქვეყნება უნდა მოხდეს., აღნიშნულ შემთხვევაში, პირთა რაოდენობა 15-ითაა განსაზღვრული: „თუ საჭიროა 15 პირზე მეტის მოწვევა სასამართლოს შეუძლია ბრძანების გამოცემით დაადგინოს, რომ მოწვეულ იქნეს ის პირები, რომელთაც მიმართული აქვთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ბრძანება არ საჩივრდება. ის შეიძლება ფედერალურ გაზეთში გამოცხადდეს. ის უნდა გამოქვეყნდეს იმ ტერიტორიის ყოველდღიურ გაზეთში, რომელზეც სავარაუდოდ დადგენილების მოქმედება გავრცელდება. დამატებითი გამოცხადება შესაძლოა სასამართლოს მიერ აღიარებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემით მოხდეს. დედლაინის პერიოდი შესაძლოა იყოს არანაკლებ 3 თვისა ფედერალურ გაზეთში გამოცხადებიდან. ყოველდღიურ გაზეთში აღინიშნება ამოწურვის ვადა. ყველა დაკავშირებულ პირს შეიძლება გადაეცეს მოწვევის ბრძანება, რომელშიც უნდა გაცხადდეს მოწვევის მიზეზი. მოწვევა არ გასაჩივრდება.[488]
ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების ჩართვა ცნობილია ასევე საერთო სამართლისთვისაც. მაგალითად, აშშ-ს კანონმდებლობაში ჩართვა მიჩნეულია საშუალებად, რომელსაც მესამე პირი იყენებს სასამართლო პროცესში მხარედ გახდომისათვის[489] და ამისათვის ნებართვას ითხოვს.[490] ადმინისტრაციულ პროცესში ჩართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ადმინისტრაციულ წესებს შეუძლია გავლენა მოახდინონ განსხვავებულ ჯგუფებსა და ინტერესებზე.[491] ადმინისტრაციული პროცედურების აქტით[492] ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ჩართვა. შესაბამისად, დაინტერესებული პირის განსაზღვრის დისკრეცია ადმინისტრაციულ სააგენტოებსა და სასამართლოს გააჩნია.[493] თუმცა ჩართული პირი მხარეთა უფლებე-მოვალეობებით სრულად არ სარგებლობს. ის შესაძლებელია დაინტერესებული იყოს რომელიმე კერძო საკითხით[494] და ამ საკითხთან მიმართებაში მისი უფლებამოსილება შეზღუდული იყოს. მაგალითად ერთ-ერთ ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლომ მხარის

[488] Code of Administrative court procedure in the version of the promulgation of 19 March 1991 (Federal Law Gazette I page 686), most recently amended by Article 5 of the Act of 10 October 2013 (Federal Law Gazette I page 3786), © 2014 juris GmbH, Saarbrücken, https://www.gesetze-im-internet.de.

[489] *Seng M. P.* Intervention by third Parties in Federal administrative Proceedings, 42 Notre Dame L. Rev. 71 (1967). Available at: http://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol42/iss1/5.

[490] *Holtzoff*, Entry of additional parties in a civil action, 31 F.R.D. 1963, 101.

[491] *Boros*, Intervention in civil aeronautics board proceedings, 17 AD. LAW REv. 5.1964.

[492] Administrative Precedure Act (APA) USA, June 11, 1946.

[493] *Seng M. P.* Intervention by third parties in Federal administrative proceedings, 42 Notre Dame L. Rev. 71 (1967). Available at: http://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol42/iss1/5.

[494] *Oberst*, Parties to administrative proceedings, 40 Micr. L. REv. 378, 393 (1942). See Maislin Bros. Transp.-Ltd., 75 M.C.C., 1958, 329.

ჩართვა მიზანშეწონილად მიიჩნია, მაგრამ მის მიერ მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლება შეზღუდა.[495] ასევე არსებობს მონაწილეობის შეწყვეტის პრეცენდენტი, როდესაც სასამართლომ ჩართულის შემდგომი მონაწილეობა საქმის განხილვაში საჭიროდ აღარ ჩათვალა.[496]
განსხვავებათა გამოკვეთისათვის ასევე საინტერესოა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესებში მესამე პირების საქმეში ჩართვის სტადიების შედარება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირს მხარეთა პაექრობამდე შეუძლია სარჩელის აღძვრა, ხოლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მესამე პირის საქმის განხილვაში ჩართვას სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე უშვებს.

4. სასამართლოს განჩინების გასაჩივრება

ადმინისტრაციული სასამართლოს ინკვიზიტორული ხასიათიდან გამომდინარეობს ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დათქმა: სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. თუმცა, აქაც არის განსხვავება: მე-16 მუხლის პირველ ნაწილით ჩაბმულ მესამე პირების საქმის ჩართვის თაობაზე გამოტანილი განჩინებები არ გასაჩივრდება.[497][498][499] ხოლო, პირს რომელიც საქმეში ჩაერთვება მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მხარეთაგან განსხვავებით, თავად აქვს დატოვებული საქმეში სავალდებულო ჩართვის გააპროტესტების უფლება.[500] [501] [502] [503] [504] თუმცა, ადმინისტრაციულ მესამე პირს ამ შემთხვევაში სურვილისამებრ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება არ აქვს და საქმეში მონაწილეობა მხოლოდ დასაბუთებული გასაჩივრებით შეუძლია. ეს განჩინება მხოლოდ იმ პირის მიერ საჩივრდება, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში. აღნიშნული საკითხი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში პრაქტიკიდან გამომდინარე ანალოგიურად წყდება,

[495] Wilson & Co. v. U.S., 335 F.2d 788'(7th Cir. 1964), cert. denied, 380 U.S. 1965, 951.
[496] Memphis Light, Gas & Water Div. v. FPC, 243 F.2d , D.C. Cir. 1957, 628.
[497] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, საქმე 3/234-14. 28.03.2014
[498] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/4306-15, 06.07. 2016.
[499] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/1292-12, 04.04.2012.
[500] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, 12.01.2015, საქმე 3/4216-14.
[501] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, საქმე 3/1097-12. 23.03.2012.
[502] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/1298-12. 02.04.2012.
[503] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/-3960-13, 20.05.2014.
[504] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/-960-17, 22.02.2017.

მაგრამ უმჯობესი იქნება თუ იქაც კონკრეტულად განისაზღვრება.[505] თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით სამოქალაქო პროცესი დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლოა საქმეში ჩართული მესამე პირის მიერ საქმეში ჩართვის გასაჩივრების შესაძლებლობას შეგნებულად არ აკონკრეტებს, ვინაიდან აღნიშნული ისედაც მის ნებაზეა დამოკიდებული. იქიდან, გამომდინარე, რომ ჩართვისათვის მესამე პირის ნებაა გადამწყვეტი, მესამე პირის მიერ მისი გასაჩივრება ყოველგვარ აზრს იქნებოდა მოკლებული. თუმცა, მხარეთა ინიციატივით ჩართვისას აღნიშნული პრობლემა რეალურად დგება და მიზანშეწონილი იქნება, თუ ამგვარი რეგულაცია სამოქალაქო კოდექსშიც იქნება გათვალისწინებული. მით უმეტეს, რომ სასამართლოში მხარეთა ინიციატივით მესამე პირების ჩართვის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით განჩინება.

და ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შენარჩუნებულია მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა. აღნიშნულს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს და მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრება შესაძლებელი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად.”[506] სამოქალაქო საპროცესო სამართალში მესამე პირების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობის გაუქმება შემდგომ თავებში უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

5. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირები და სასამართლოს მეგობარი

2015 წლის 3 ივლისის კანონმა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლოს მეგობრის ცნება შემოიტანა. ეს კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, ვინაიდან პროცესში კიდევ ერთი საქმის არამონაწილე, დამოუკიდებელი პირი დამატებით შემოჰყავს. აღნიშნული ტერმინი ლათინურია და სასამართლოს მეგობარს ნიშნავს. ის აღნიშნავს პირს, რომელიც სასამართლოს ინფორმაციას სთავაზობს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.[507] მისი წარმოშობის წყაროდ რომის სამართალია მიჩნეული. მე-9 საუკუნიდან გავრცელდა ინგლისურ სამართალში და შემდგომში უმეტესად საერთო სამართლის ქვეყნებში. მოგვიანებით საერთაშორისო სამართალში ჰპოვა ასახვა, კერძოდ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში.[508]

---

[505] *ვაჩაძე მ.,თოდრია ი.,ტურავა პ., წკეპლაძე ნ.,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №6 (2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით) თბილისი, 2005.

[506] *ვაჩაძე მ.,თოდრია ი.,ტურავა პ., წკეპლაძე ნ.,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №6 (2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით) თბილისი, 2005.

[507] https://en.wikipedia.org/wiki/List_of_Latin_legal_terms

[508] https://en.wikipedia.org/wiki/Amicus_curiae#History

აღსანიშნავია რომ amicus curiae brief-ის ინსტიტუტი გათვალისწინებულია ALI/UNIDROIT–ის სამოდელო „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპების" მე-13 პრინციპით შემდეგი სახით: პროცესის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხთან და საფუძველთან დაკავშირებულ საკითხებთან შესაძლებელია მიღებულ იქნეს წერილობითი განცხადება მესამე პირებისაგან სასამართლოს თანხმობით, მხარეებთან კონსულტირების შემდგომ. სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს ასეთი განმცხადებელი. მხარეებს სასამართლოს მიერ განხილვამდე აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით წერილობითი მოხსენების წარდგენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. amicus curiae brief არის სასარგებლო საშუალება რომლითაც არამხარეს შეუძლია სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდოს და სამართლებრივი ანალიზი, რომელიც დახმარებას გაუწევს საქმის ზუსტ გადაწყვეტას. ასეთი პირი შეიძლება არადაინტერესებულიც და მომხრეც იყოს. ჩარევისაგან განსხვავებით, ასეთი განცხადების წარდგენისათვის ნებისმიერი პირი უნდა იქნეს დაშვებული, მიუხედავად იურიდიული ინტერესის ნაკლებობისა. სასამართლოს დისკრეციით წერილობითი განცხადება შესაძლებელია ზეპირადაც იქნეს წარმოდგენილი. იმის განსაზღვრას უნდა მიიღოს თუ არა აღნიშნული განცხადება, სამოდელო კოდექსი სასამართლოს დისკრეციას აკუთვნებს. სასამართლომ შესაძლოა შემტანი პირის მიერ ინტერესის დასაბუთება მოითხოვოს. სასამართლო უფლებამოსილია განმცხადებელს უარი უთხრას, თუ განცხადებას არ შეუძლია მატერიალურად დაეხმაროს დავის გადაწყვეტას. [509] ამასთან, სამოდელო წესების შესაბამისად amicus curiae brief–ის ინსტიტუტი ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ამ მექანიზმმა სასამართლოს დამოუკიდებლობას ხელი არ შეუშალოს. amicus curiae brief არ ხდება დავის მხარე, ის უბრალოდ აქტიურ კომენტატორს წარმოადგენს. ფაქტობრივი მტკიცებები amicus curiae brief-ში არ წარმოადგენს ჩვენებებს საქმეში. [510]

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკა კარგად დამკვიდრებული არ არის. კერძოდ ის, რომ დავის არსისადმი იურიდიული ინტერესის არმქონე მესამე პირებს პროცესში მონაწილეობის ნება დაერთოთ, თუმცა ზოგიერთ მათგანში, კერძოდ საფრანგეთის პრეცედენტულ სამართალში განვითარებულ იქნა იგივე ინსტიტუტი. თუმცა უმეტეს ქვეყნებს საქმეში amicus curiae brief-ის მონაწილეობის პრაქტიკა არ აქვთ. მიუხედავად ამისა, ის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, განსაკუთრებით საჯარო მნიშვნელობის საქმეებში. მე-13 პრინციპი დავასთან დაკავშირებულ ფაქტებზე მესამე პირების მიერ წერილობით განცხადებას არ უშვებს. ის მხოლოდ მონაცემების, საფუძვლის, აღნიშვნების, სამართლებრივი ანალიზის და სხვა იმ მსჯელობის წარდგენას უშვებს, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს სამართლიანი და ზუსტი გადაწყვეტილებისათვის. მაგალითად

[509] *Van Rhee C.H.,* Harmonisation of Civil Procedure of Civil Procedure: An Historical and Comparative Perspective, Maastricht University, School of Law, 2011.

[510] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT principles of transnational civil procedure Appendix: Rules of transnational civil procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January, 2005.

სავაჭრო ორგანიზაციას შეუძლია ცნობა მისცეს სპეციალური სავაჭრო წესების თაობაზე და ა.შ.

რაც შეეხება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სასამართლოს მეგობარს, კოდექსი მხარეების მოსაზრების მოსმენას, მის განცხადებასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს, რაც ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. სამოდელო კოდექსში წარმოდგენილი ნორმებისაგან განსხვავებით ასევე, მითითება არაა პირის ინტერესზე რომელიმე მხარესთან მიმართებაში, რაც სასამართლოს მეგობარს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირებისაგან მიჯნავს. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მსგავსი ინსტიტუტის დანერგვაც მიზანშეწონილი იქნება, რაც გამორიცხული არ არის იმ შემთხვევაში, თუ ქართულ კანონმდებლობაში მისი რეალიზაცია და პრაქტიკაში დანერგვა წარმატებით განხორციელდება თავდაპირველად ადმინისტრაციულ პროცესში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ისეთი მექანიზმის დანერგვა, როგორიცაა ,,amicus curae"-ს მიზანშეწონილი იქნებოდა იმ გარემოებიდან გამომდინარე რომ გამოიწვევდა იმ არასათანადო მოპასუხების ან და მესამე პირების რიცხვის შემცირებას, როგორებადაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციები გვევლინებიან. მაგალითად, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა" რომელიმე კონკრეტული ნოტარიუსის მიერ დამოწმებული სანოტარო აქტის სამოქალაქო წესით გასაჩივრებისას. „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულებისას ყველა ნოტარიუსი დამოუკიდებელია. უფლებამოსილება შეწყვეტილი ნოტარიუსების მიერ ნაწარმოები სანოტარო არქივი საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში ინახება და მოთხოვნის შემთხვევაში ამონაწერები დამოწმებული სახით დაინტერესებულ პირზე გაიცემა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული, რომ პალატა არ წარმოადგენს ნოტარიუსების უფლებამონაცვლეს, ხშირია შემთხვევები, როდესაც პალატაც და კერძო საკუთრებაზე მოდავე მხარეც საქმის განხილვაში ერთნაირი სტატუსით არიან ჩართული. amicus curae-ს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებობის შემთხვევაში უფრო დაზუსტებული იქნებოდა მხარეთა პროცესში მონაწილეობის სამართლებრივი საფუძველი და სტატუსი.

სამოქალაქო კოდექსის 1274-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვისას ყველა შემთხვევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ. ანუ სასამართლოში ეს ორგანო რაიმე სახის სუბიექტად უნდა გამოვიდეს. მატერიალურმა სამართალმა განსაზღვრა, რომ ყველა შემთხვევაში ამ ტიპის საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელე თავად განსაზღვრავს, თუ ვინ ჩააბას პროცესში მხარედ და მესამე პირებიც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე სწორედ მისი ინიციატივით იქნებიან საქმეში ჩართულნი, პრობლემაც ნათელია – ამ შემთხვევაში მატერიალური ნორმა ამგვარ პროცესში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სავალდებულო მონაწილეობას განსაზღვრავს. ხოლო, თუ რომელ სუბიექტად უნდა იქნეს იგი ჩაბმული ამ საქმეში, არსადაა

განსაზღვრული. ამას არც საპროცესო კოდექსი არეგულირებს. გამოითქვა მოსაზრება, აღნიშნულ პროცესში ამ ორგანოების სპეციალისტებად მონაწილეობის თაობაზე. საბოლოოდ აზრი იმაზე შეჯერდა, რომ მეურვეობისა მზრუნველობის ორგანოები ამ საქმეებში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად უნდა გამოვიდნენ. აღნიშნულ საქმეებზე ამ ორგანოების კანონიერ ინტერესს გამოტანილი გადაწყვეტილებები ნამდვილად ეხება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს ორგანოები შვილად აყვანის საკითხში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებენ, თანხმობას გასცემენ შვილად აყვანასთან დაკავშირებით, დასკვნებს და ა.შ. შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საკითხებშიც ეს ურთიერთობა უეჭველად შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა სამართლებრივ ინტერესს. პრობლემა არ იქმნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებას და ბათილად ცნობას თავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ითხოვს და მოსარჩელედ გამოდის ან პროცესში მოპასუხედ ამ ორგანოს ჩართვას ითხოვს მხარე. თუკი დავა შეეხება აქტს, შესაძლებელია, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად დაისვას საკითხი სათანადო მოპასუხის შესახებ ან ამავე კოდექსის 84-ე მუხლით სათანადო მოსარჩელის საკითხი განისაზღვროს. ასე რომ, სსსკ-ის 203-ე მუხლის საფუძველზე მოსამზადებელ სხდომაზე ასეთი საკითხების გარკვევა შეიძლება. მაგრამ, თუკი ამგვარი შემთხვევა არ არსებობს და მაინც სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმეში საპროცესო სუბიექტად ჩართვა, მაშინ რა ხერხს უნდა მიმართოს სასამართლომ? სასარჩელო მოთხოვნა თავად მიახვედრებს სასამართლოს, თუ რომელ სუბიექტად უნდა იქნეს მიჩნეული ამა თუ იმ საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, თუ ბათილობის რომელ საფუძველს ეხება დავა და თუ ვისთან აქვს საქმე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ორგანო შესაძლებელია წარმოდგეს მოპასუხის, მოსარჩელის, თანამონაწილის (თანამოსარჩელის ან თანამოპასუხის) რანგში და ა.შ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ მხრივ ნამდვილად არის წინააღმდეგობა სამოქალაქო კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსს შორის. ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მესამე პირად პროცესში ამა თუ იმ სუბიექტის ჩართვა სასამართლოს ინიციატივის საფუძველზე არ ხდება, ეს თავად მხარის პრეროგატივაა. მაგრამ, ვინაიდან ასეთ იმპერატიულ დანაწესს ადგენს სამოქალაქო მატერიალური კოდექსი, სასამართლო სწორედ მატერიალური სამართლიდან უნდა გამოვიდეს და ამის საფუძველზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. საბოლოოდ შეჯერდა აზრი, რომ ასეთ საქმეებში სასამართლოს მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ჩაერთვება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, იქიდან გამომდინარე, თუ რა სახის სასარჩელო მოთხოვნაა დაყენებული სასამართლოში. იმ შემთხვევაში, როცა არსებობს სსსკ-ის 89-ე მუხლის საფუძველზე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა), მაგრამ არ არსებობს ინიციატივა მხარისა ამ პირის სასამართლოში მოწვევის თაობაზე, მაშინ ასეთი ინიციატივის განხორციელების უფლებამოსილება მატერიალური სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე სასამართლომ უნდა იტვირთოს.

ამასთან, შეიძლება განიმარტოს სსსკ-ის 203-ე მუხლი, სადაც განსაზღვრულია, მოსამართლეს საქმის განხილვისათვის თუ რა მოქმედების განხორციელება შეუძლია. მათ შორის შეუძლია პროცესში მესამე პირებად და თანამონაწილეებად ჩაბმის საკითხში საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის მოტივით, დაეყრდნოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმას.[511]
ზემოაღნიშნული შემთხვევა ცხადყოფს რომ პრაქტიკაში, რეალურად, ასეთი სუბიექტების მონაწილეობისათვის დამოუკიდებელი საპროცესო სუბიექტის სტატუსის მინიჭება ხდება. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაში შეიძლებოდა ამ სახით ჩართვაზე ფიქრიც. მაგრამ პრობლემას აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებად ამასაც ვერ მივიჩნევდით, იმ გარემოებიდან გამომდინარე რომ სასამართლოს მეგობრის ჩართვა ნებაყოფლობითობას ეფუძნება. ხოლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სავალდებულო წესით უნდა ჩაერთოს საქმეში. ამ შემთხვევაში ამოსავალ წერტილს მაინც მატერიალური სამართალი წარმოადგენს. საპროცესო სამართალი მატერიალურის რეალიზებისთვისაა შექმნილი და იგი არ უნდა გახდეს მაღალი ინტერესესის მქონე მატერიალური ნორმის დამაბრკოლებელი გარემოება.

VII. მესამე პირების შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე

1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგადი პრინციპები და მათი გავლენა მესამე პირებზე

სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირების არსის ანალიზისას მნიშვნელოვანია მოვახდინოთ სხვა ქვეყნებსა და ასევე, განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში აღნიშნული ინსტიტუტის შედარებით სამართლებრივი კვლევა, ვინაიდან, ,,სამართლის სისტემების შედარება სპეციალურ მეთოდს წარმოადგენს იურისპრუდენციაში და მსოფლიო მასშტაბით სამართლის დამოუკიდებელ დარგად მოიაზრება. შედარებით სამართალს მივყავართ არა მხოლოდ საზღვარგარეთის სამართლის უკეთეს ცოდნამდე, არამედ ის ასევე, სამართლისა და იურისპრუდენციის ინტერნაციონალიზაციას, პოლიტიკის, ვაჭრობის, კომერციისა და პირადი ცხოვრების სტილის გლობალიზაციას შეესაბამება.“[512] შედარებითი სამართალი შესაძლოა ,,ecole de verite” (ჭეშმარიტების სკოლა) გახდეს იურისპრუდენციისათვის, ამდიდრებს რა „შესაძლო გადაწყვეტილებათა მარაგს და იძლევა კონკრეტულ დროსა და კონკრეტული ქვეყნისათვის

[511] საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი 2011, განთავსებულია http://www.supremecourt.ge/ 9-11.
[512] *Constantinesko J.L.*, Rechtsvergleichung, Vol. I, 1971, 217-272.

პრობლემატური საკითხის გადაჭრის უკეთესი გზის პოვნის შანსს. იგი არის ინტელექტუალური თავგადასავალი, რომელიც მოწოდებულია მაქსიმალური ფანტაზიისა და დისციპლინისთვის.“[513] თანამედროვე კოდიფიკაციები ან უდიდესი ცვლილებები სწორედ შედარებითი კვლევების შედეგებს წარმოადგენს.[514] შესაბამისად, მესამე პირების შედარებითი ანალიზი მისი კონცეფციის სწორად შეცნობის საშუალებას წარმოადგენს. თუმცა ამ შემთხვევაში კვლევა უნდა განხორციელდეს არა მესამე პირების თაობაზე დაწერილი ზოგადი ნორმების, არამედ მათი არსისა და განმასხვავებელი ნიშნების შედარებით, ვინაიდან სწორედ ეს განსხვავებებია შედარებითი სამოქალაქო პროცესის კვლევების ობიექტი. შედარების დროს მნიშვნელოვანია არა უბრალოდ სამართლებრივი ტექსტების, არამედ რეალური სამართლებრივი წესებისა და სამართლებრივი კულტურების შედარება. ამიტომ, უნდა შედარდეს არა მხოლოდ კანონის ტექსტები ან „დაწერილი სამართალი”, არამედ „სამართალი მოქმედებაში”.[515] მატერიალურ სამართალთან დაკავშირებით ეს საკითხი წარმატებით წყდება სასამართლოების, უმეტესად უზენაესი სასამართლოების მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების მოკვლევით.[516] ხოლო, სამოქალაქო პროცესის შედარებით კვლევებთან დაკავშირებით მეცნიერთა მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი მეცნიერი უთითებს, რომ „საპროცესო სამართალი სტიმულებისათვის ღია არაა და იგი უნდა წარმოადგენდეს ეროვნულობაზე დაფუძნებულ სპეციალურ წესებს, ასე ვთქვათ „loi politiques”, რომელიც არ შეიძლება გადაღებულ იქნეს სხვა ქვეყნებისა და საზოგადოების მიერ. საზღვარგარეთული საპროცესო მოდელების გადაღების მცდელობა არასწორია და იმედგაცრუებით დამთავრდება.”[517] ამ მოსაზრების მიხედვით სამოქალაქო პროცესი ყველა ქვეყნისათვის ინდივიდუალურ დარგს წარმოადგენს, რომელიც ამ ქვეყნების ტრადიციებს ეფუძნება და ეს რომ მართალი იყოს სამოქალაქო პროცესი შედარებითი კვლევებისათვის ერთადერთი დახურული სამართლის დარგი იქნებოდა. სხვანი თვლიან, რომ საპროცესო სამართალი შედარების კუთხით მატერიალურისაგან არ განსხვავდება.[518] იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო პროცესში ასახულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და კონსტიტუციით აღიარებული პრინციპები, მაშინ შესაძლებელია დასკვნა, რომ სამოქალაქო პროცესის ინდივიდუალიზაცია შეუძლებელია.

თუმცა, საპროცესო სამართლის შედარებას მისი სპეციფიკიდან გამომდინარე დამახასიათებელი სხვადასხვა პრობლემები გააჩნია. საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტის დროს შესაძლოა კონფლიქტური მატერიალური ნორმები იქნეს გამოყენებული, ვინაიდან საკითხი შესაძლოა უცხოური მატერიალური სამართლის სფეროს წარმოადგენდეს. ხოლო, სამოქალაქო პროცესში კონკრეტული ქვეყნის სასამართლოები თითქმის უგამონაკლისოდ საკუთარ ეროვნულ საპროცესო სამართალს მიმართავენ. მაგალითად, საქართველოს კანონის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” 1 მუხლი განსაზღვრავს

[513] *Grossfeld B.,* Kernfragen der Rechtscergleihung. 1996, 292.

[514] *Gottwald p.,* Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No22, 2005, 23-25.

[515] *Gottwald P.* , Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No22, 2005,23-25.

[516] *Clermont K.M,* Civil Procedure’s five big ideas, Michigan State Law Review, 2016, 55.

[517] *Kahn-Freund O.,* On Uses and misuses of comparative law, 37 Mod. L. Rev. 1, 1974, 20.

[518] *Gottwald p.,* Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No22, 2005, 23-25.

თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც ასეთი საქმის წარმოებისას გამოიყენება. ამავე კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები განსაზღვრავენ საქართველოს სასამართლოებს როდის აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია. შედეგად, იმის დიდი საჭიროება არაა, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული და სასამართლოს ან ადვოკატების მიერ პრაქტიკაში გამოიცადოს უცხოური საკანონმდებლო ნორმები. კონკრეტული ქვეყნის საკუთარი საპროცესო სამართალი საზღვარგარეთის სამოქალაქო სამართალთან შეხებაშია ძირითადად უცხოური გადაწყვეტილებების ცნობისას. ამიტომ, აღნიშნული კუთხით შედარებითი კვლევების წარმოება პრაქტიკული თვალსაზრისით გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ისევე, როგორც რთულია სამოქალაქო პროცესის რომელიმე ინსტიტუტის ეკონომიკური ანალიზი რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, რომ საპროცესო სისტემის სხვადასხვა ასპექტები ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ ცალკეული კვლევისათვის მათი განცალკევება რთულია; მეორე, რომ საპროცესო და მატერიალური სამართალი ცვლის და ერთმანეთს ავსებს. ამიტომ სრული დადებითი შედეგების შეფასება მოითხოვს ორივეს - მატერიალური და საპროცესო წესების კომბინირებული გავლენის მხედველობაში მიღებას; მესამე, პროცედურები ფუნდამენტურადაა დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებასა და მიწოდებასთან, რაც თავისთავად კომპლექსურ პრობლემას ქმნის; მეოთხე, სამართალწარმოება მოიცავს მხარეთა, არამხარეთა და სასამართლოს სტრატეგიულ ურთიერთქმედებას და საპროცესო ნორმები აღნიშნულის დასარეგულირებლადაა აგებული. ვიზუალური დაკვირვებისათვის საპროცესო სისტემების ფუნქციონირება ინტენსიური შერჩევითი გავლენის პროდუქტია, რაც მნიშვნელოვანი მონაცემების დაკარგვას იწვევს.[519]

უკანასკნელ პერიოდში სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებასა და გართულებასთან დაკავშირებით, ევროპული საპროცესო სისტემების ტენდენციას წესებისა და ქვეწესების ზრდა წარმოადგენს, რამაც შეიძლება ზედმეტად დეტალიზებული და არასისტემური საპროცესო წესები გამოიწვიოს.[520] რაც წინააღმდეგობაში მოდის მართლმსაჯულების სისტემის „მომხმარებლის“ სურვილთან - მოუსმინონ, მიიღოს სწრაფი, სამართლიანი და ადვილად გასაგები გადაწყვეტილებები.[521] ამ ტენდენციის შესაძლო დაბალანსება, პროცესუალიტთა მოსაზრებით, შესაძლებელი იქნება სამოქალაქო პროცესის საყოველთაოდ აღიარებული, ცენტრალური და ფუნდამენტური პრინციპების აღიარებით.[522]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ის ძირითადი პრინციპები, რასაც სამოქალაქო პროცესი ეყრდნობა,

---

[519] *Posner R. A.,* An Economic approach to legal procedure and judicial administration, 2 J. Leg. Studies, 1973, 399-458.

[520] Gottwald P. Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No 22, 2005, 23-25.

[521] *P. Oberhammer,* What kind of judiciary for what kind of society. Code of civil procedure (1806), after 200 Years, C.H. van RheeD. HeirbautM. Storme, 2008, 401.

[522] *Gottwald P*. Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No 22, 2005, 25.

ჩადებულია მუხლების სახით, მაგალითად სსსკ-ს მე-3 და მე-4 მუხლში, რომელშიც დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ნორმების სახითაა გაწერილი.

2. მესამე პირები ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის პროცესში

თანამედროვე მსოფლიოში უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის მასშტაბური პროცესი მიმდინარეობს. ჰარმონიზაცია შესაძლოა გარკვეული სფეროთი ან გარკვეული ტერიტორიით შემოიფარგლოს. გარკვეული სფეროთი მსოფლიო მასშტაბით ჰარმონიზაციის მცდელობა სამოდელო კოდექსების, პრინციპებისა და წესების შემუშავებით ხდება. რაც შეეხება ჰარმონიზაციას ტერიტორიული თვალსაზრისით, ამ მხრივ მაგალითს წარმოადგენს ევროპა, რაც ეროვნული კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6(1) მუხლით გადმოცემულ საპროცესო გარანტიებთან შესაბამისობაში გამოიხატება.
მზარდი ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტემპი იწვევს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინტეგრაციას მსხვილ დაჯგუფებებში.[523] აღსანიშნავია, რომ ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციების ტენდენციები არა მხოლოდ საპროცესო, არამედ მატერიალური სამართლის კუთხითაც შეინიშნება. ყველაზე ხშირად შედარებითი კვლევები ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციისაკენაა მიმართული.
შედარებითი სამოქალაქო პროცესების მკვლევარებს არაერთხელ ჰქონდათ არსებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის უნიფიკაციის ცდები. ჯერ კიდევ სამოციან წლებში საპროცესო სამართლის იბეროამერიკულმა ინსტიტუტმა შეიმუშავა სამოდელო სამოქალაქო საპროცესო კოდექსი,[524] რომელიც რიო დე ჟანეიროში 1988 წელს იქნა მიღებული.[525]
1997 წელს - ამერიკის სამართლის ინსტიტუტმა (ALI) წამოიწყო პროექტი „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპები და წესები", რომელსაც 2000 წელს კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT) შეუერთდა. პრინციპები 2004 წელს იქნა წარმოდგინილი. აღნიშნული პროექტი საერთო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მიღწევების შეკრებას, საერთო და სამოქალაქო სამართლის შერწყმით „მშვიდი სამართლის" შექმნას ისახავდა მიზნად, რომელიც შემდგომში მოაზრებული იქნებოდა რეფორმის მოდელად. იმ მოტივით, რომ კონკრეტული ნორმები შესაძლოა განსხვავებულ კულტურებს ვერ მორგებოდა, შეიქმნა სამოდელო პრინციპები. 2006 წელს აღნიშნული პრინციპები კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემაში ინგლისურ და ფრანგულ ენებზე დაიბეჭდა. პრინციპების მახასიათებელია ის, რომ „ყველგან ჩანს სამოქალაქო სამართლის აღმკვეთი ხელი და საერთო სამართლის საღი ტენდენციები მოთოკილია. აღნიშნულ პრინციპებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ შედარებით სამოქალაქო

523 *Van Rhee C.H.,* Harmonisation of civil procedure: An historical and comparative perspective, in: C.H. van Rhee & X.E. Kramer (eds.), Civil Litigation in a Globalising World, The Hague: T.M.C. Asser Press/Springer, 2012, p. 39–63.
524 Ibero-American Institute of Procedural Law, 1988, 3, 33.
525 *Taruffo M.* Abuse of procedural rights:comparative standards of procedural, By, International association of procedural law, 1999 Kluwer Law International, 192.

პროცესის მეცნიერებაში. ამ პრინციპების დაუცველობა შეიძლება პროცედურული უცოდინრობის ფორმად იქნეს მიჩნეული". [526]

ALI/UNIDROIT–ის პრინციპები მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის დაბალანსებულ ნაზავს გვთავაზობენ. პროექტი ოსტატურად წყვეტს ურთიერთსაწინააღმდეგო საპროცესო აქსიომების თაობაზე არსებულ განსხვავებულ შუალედურ მიდგომებს. პრინციპებს წესები მოყვება, რომლებიც უფრო დეტალურია. თუმცა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ პრინციპები იქნა გამოცემული, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლებს თავისი საპროცესო კოდექსების გადახედვისათვის ფართო სახელმძღვანელოს სთავაზობენ. წარმოდგენილმა პროექტმა განსაკუთრებული გავრცელება და გავლენა ინგლისში მოიპოვა.

მითითებული პრინციპები დალაგებულ იქნა მნიშვნელობის მიხედვით: ფუნდამენტური საპროცესო გარანტიები, სხვა წამყვანი პრინციპები და შემთხვევითი პრინციპების ჩარჩო. სულ 31 პრინციპია მოცემული, რომელთა შორის მე-12 ადგილი უკავია სარჩელთა და მხარეთა სიმრავლეს, კერძოდ ჩართვის (intervention), თანამონაწილეობისა (joinder)და სასამართლოს მეგობრის (amicus curiae brief) ინსტიტუტებს. მითითებული მექანიზმები, წარმოადგენენ ასე ვთქვათ „ცხელ" და საკამათო თემას, როგორც ამერიკასა და ინგლისში, ასევე ევროპაში, კანადაში, ავსტრალიასა და ბრაზილიაში.[527]

პრინციპის 12.1 პუნქტის შესაბამისად მხარეს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი სარჩელი, რომელიც არსებითად უკავშირდება დავის საგანს სხვა მხარის მიმართ ან სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებული მესამე პირის მიმართ. პრინციპების განმარტებაში ხაზგასმულია სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ იმ წესების განსხვავებებზე, რომლებიც მესამე პირების მარეგულირებელ იურისდიქციას უკავშირდება. ზემოაღნიშნული პრინციპი მესამე პირების განსჯადობის დამოუკიდებელ საფუძველს ამკვიდრებს.[528]

მე-12 პრინციპის მე-2 ნაწილის შესაბამისად პირს, რომელსაც დავის საგანთან არსებითად დაკავშირებული ინტერესი აქვს, შეუძლია ჩართვა მოითხოვოს. სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეუძლია იმ პირისათვის, რომელსაც ასეთი ინტერესი აქვს, მოითხოვოს შეტყობინება ჩართვაზე მოწვევის მიზნით. ჩარევისათვის მოწვევა მესამე პირებისათვის პროცესში ჩართვის ხელსაყრელ შესაძლებლობას წარმოადგენს. პრინციპების დანართი წესების 5.3-ე მუხლით სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია ჩართვაზე მოწვეულ პირს ინტერესის დასაბუთება მოსთხოვოს. ჩარევისათვის მოწვევამდე სასამართლომ კონსულტაცია უნდა იქონიოს მხარეებთან. ყურადსაღებია ის უპირატესი ინტერესი, რომელსაც სამოდელო კოდექსი იცავს. ზემოაღნიშნულის დადგენით „სამართლებრივი უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეფექტიანი მართლმსაჯულებით, რომლის

[526] *Andrews N.*, Fundamental principles of civil procedure: Order out of chaos,University of Cambridge, UK, 02012, 21.

[527] *Andrews N.*, Fundamental principles of civil procedure: Order out of chaos,University of Cambridge, UK, 2012, 21.

[528] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT principles of transnational civil procedure Appendix: Rules of transnational civil procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January 2005,.37.

საბოლოო მიზანი ნებისმიერ საქმეზე სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაა; მეორე მხრივ, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებისადმი სანდოობით, რასაც ორი მთავარი საფუძველი (ასპექტი) აქვს: სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოოობა – სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა.[529] სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, დავის საგანთან დაკავშირებული ყველა პირის მონაწილეობით საქმის სრულყოფილად და ყოველმხრივ განხილვას, რათა არ მოხდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. პრინციპებში მოქნილადაა დაბალანსებული ინტერესების თანაფარდობა, რათა ყველა საპროცესო ინტერესი თანაბრად იყოს დაცული და ერთი მეორეს ხელს არ უშლიდეს. სამოდელო პრინციპების თანახმად ჩარევა დასაშვებია, თუ ის არამიზნობრივ შეყოვნებას, პროცესში არეულობას ან მხარისათვის სხვაგვარ არასამართლიან ზიანს არ გამოიწვევს. რაც შეეხება მეორე ინსტანციაში ჩარევის შესაძლებლობას, პრინციპები ამის გადაწყვეტას შიდა კანონმდებლობის კომპეტენციას აკუთვნებენ. ჩარევის წარუმატებლობის გავლენა შიდა კანონმდებლობების სხვადასხვა წესებით რეგულირდება.

აღსანიშნავია, რომ მითითებულ კოდექსში გამიჯნული არაა მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მის გარეშე. ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზის შედეგად შესაძლებელია დასკვნა, რომ ორივე სახის მესამე პირები თავდაპირველი მხარეების უფლებებითა და მოვალეობებით არიან აღჭურვილნი. სამოდელო კოდექსი თანამონაწილეების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მიდგომას ამკვიდრებს. იგი მესამე პირების ამ პირთა უფლებების მოცულობის ან სახეების მიხედვით გამიჯვნას არ ახდენს, მაგრამ თანამონაწილეებს მათი უფლებათა მოცულობის საქმეში ჩართვის დროისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით მიჯნავს.

მითითებული პრინციპის 1-4 ნაწილი არეგულირებს იმ პირთა მიმდინარე საქმისწარმოების დროს სასამართლო პროცესში შესვლის საკითხებს, რომლებიც პროცესის დაწყებისას საქმის განხილვაში არ მონაწილეობდნენ. ხოლო მე-5 ნაწილი წყვეტს საკითხს, ასეთ პირთა შესვლის შემთხვევაში საქმის ეფექტური მენეჯმენტისათვის გასატარებელი ზომების თაობაზე. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს სარჩელების, საკითხების, მხარეების დაყოფა ან სხვა პროცესებთან გაერთიანება, სამართლიანობისათვის ან უფრო ეფექტიანი მენეჯმენტისათვის ან მართლმსაჯულების ინტერესებისათვის. უფლებამოსილება, რომლებიც ამ პრინციპებით მოცემული არაა, უნდა გაფართოვდეს მხარეთა ან მოთხოვნათათვის.[530]

მიუხედავად იმისა, რომ შედარებითი მკვლევარების უმეტესობა თვლიდა, რომ სამოქალაქო პროცედურების ჰარმონიზაცია მსოფლიო მასშტაბით

[529]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 5 ნოემბერი, 9.

[530]*Joint ALI/UNIDROIT Working Group* on principles and rules of transnational civil procedure, ALI/UNIDROIT principles of transnational civil procedure Appendix: Rules of transnational civil procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January 2005, 37 .

შეუძლებელი იყო და პროექტს ძლიერი კრიტიკა შეხვდა, პროექტის განსაკუთრებული ღირებულება ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საპროცესო რეფორმებისათვის გამოყენებაში, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების განხორციელებაში, მოსამართლეების მიერ ნორმების განმარტებასა და ინტერპრეტაციისათვის გამოყენებაში მდგომარეობს. ის, ასევე შეიძლება საპროცესო წესების სტანდარტად და ქვეყნის შიდა კანონმდებლობების მასთან შესაბამისობის საზომად გამოდგეს. მესამე პირების კუთხით სამოდელო პრინციპებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ მესამე პირებს შორის არსებული მიდგომების შედარებისას რიგი განსხვავებების აღმოჩენაა შესაძლებელი. ქართული საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს არ აქვს საკუთარი ინიციატივით მოწვევისა და საქმეში იმ პირის ჩართვის უფლებამოსილება, რომლის უფლებებზე და მოვალეობებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს სასამართლოს გადაწყვეტილება და მხარეებმა მის თაობაზე არ განაცხადონ. მაშინ, როდესაც ევროპული სამართალი მოსამართლის ფართო უფლებებით გამოირჩევა, ქართველი მოსამართლე მესამე პირების საქმეში ჩართვასთან მიმართებაში ამერიკელი მოსამართლის მსგავსად, პასიური როლითაა განსაზღვრული. ეს გარემოება შესაძლოა ახლად აღმოჩნილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდეს. ასეთივე მოსაზრება აქვს ცივილისტ მარსელ შტორმს: „ეფექტური კონტროლის გარეშე შეჯიბრებითი პროცესი წააგავს განსხვავებული კულტურების შეჯიბრისათვის ხელშეწყობას, რაც გენერირდება ისეთ გარემოში, სადაც სამართალწარმოების პროცესი აღიქმება ბრძოლის ველად წესების გარეშე. ასეთ აქტივობას სასამართლოსა და მხარეების ძალზე მკაფიო შრომის დანაწილებამდე უნდა მივყავდეთ: დავა მხარეებს ეკუთვნის, ხოლო კვლევა - მოსამართლეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს მოეთხოვებათ ფაქტებისა და არგუმენტების წარმოდგენა, ხოლო მოსამართლემ უნდა მოახდინოს განკარგვა – მან უნდა გადაწყვიტოს დროითი ლიმიტები, მოიწვიოს მესამე პირები და განსაზღვროს დავის სამართლებრივი საფუძვლები.[531] საერთაშორისო მიდგომის შესაბამისად, მესამე პირების მოწვევის კომპეტენცია სასამართლოს აქვს მინიჭებული, რაც საფუძველს იძლევა კანონმდებელს მიეცეს რეკომენდაცია მოსამართლეთათვის მესამე პირთა მოწვევის უფლების მინიჭებაზე.

ზემოაღნიშნული უნიფიკაციის პარალელურად ასევე საინტერესო საკითხია მიმდინარე ჰარმონიზაციის პროცესი. ევროკავშირის ქვეყნების მიმდინარე სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და გარკვეული კუთხით კულტურული ინტეგრაცია სპონტანური ჰარმონიზაციისა და სამომავლოდ ევროპაში არსებული სამოქალაქო საპროცესო სისტემების დაახლოების იმპულსს წარმოადგენს. სპონტანური დაახლოების მაგალითს ევროპაში, მათ შორის ინგლისში, მოსამართლის, როგორც საქმის მმართველის როლის გაზრდა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კუთხით განვითარება ავსტრიაში დაიწყო, საფუძველს

[531] *Storme M.*, A Single civil procedure for Europe : A Cathedral builders' dream, Ritsumeikan Law Review No. 22, 2005,96-97.

მოკლებული არაა ვარაუდი, რომ მის დამკვიდრებას სწორედ ევროპულმა ინტეგრაციამ მისცა სტიმული.[532]

სამოქალაქო სამართლის ჰარმონიზაციას წინ უძღოდა კონვენციების მიღება.[533] [534] [535] ხოლო, უნიფიკაციის პირველ ცდას წარმოადგენდა 1994 წელს მარსელ შტორმის ინოვაციური პროექტი ევროპაში,[536] რომელიც მოიცავდა საერთო სამოქალაქო საპროცესო პრინციპების წარმოსახვით ძებნას[537] სამოქალაქო და საერთო სამართალის შესწავლით და გამოცდილებით.[538]

ევროკავშირი თავისი კვლევებით რეგულარულად ცდილობს უნიფიცირებული კანონის შექმნას. საერთაშორისო საპროცესო სამართლის თაობაზე ევროპული კონვენციები და რეგულაციები, როგორც წესი, შესაბამისი ქვეყნების სამართლებრივი მდგომარეობის შედარებით კვლევებზეა დაფუძნებული, რომლებიც მიზნად ისახავენ ახალი საჭირო რეგულაციების კრისტალიზაციის პროცესს და იმ საკითხების გამოკვეთვას, რომლებიც ჰარმონიზაციას საჭიროებენ. მაგალითად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისა და შედარებითი კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ევროპული სამოქალაქო პროცესის ერთგვაროვანი პრინციპების შექმნა[539]. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ფუნდამენტური საპროცესო გარანტიები უნდა დაიცვან როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოებისას.[540] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მე-6 მუხლი ადგენს იმ მინიმუმ მოთხოვნებს, რომლებიც თითოეულმა ეროვნულმა საპროცესო რეჟიმმა უნდა დაიცვას. ესენია:

- მართლმსაჯულებისათვის ხელმისაწვდომობა;
- სამართლიანი განხილვა (გამოკვლევა), რომელიც მოიცავს: მხარეთა პროცესუალურ დაპირისპირების უფლებას, თანაბარი შეჯიბრებითობის პრინციპს, გამოკვლევაზე დასწრების უფლებას, ზეპირი მოსმენის უფლებას, მტკიცებულებათა წარდგენის თანაბარ უფლებას, მოტივირებული

---

[532] *Van Rhee C.H.,* Harmonisation of civil procedure of civil procedure: An historical and comparative perspective, Maastricht University, July 2011, 9.

[533] Convention of 17 July 1905 on civil procedure, Hague Conference on Private International Law.

[534] Convention on Civil procedure, (Concluded 1 March 1954, Hague Conference on Private International Law.

[535] Convention on jurisdiction and the enforcement of judgments in civil and commercial matters of 27 September 1968.

[536] *Storme M.*1994, p. 67. For an overview of the European approximation see Schwartze 2000, 135-146.

[537] *Verkerk R.* R. What is judicial case management? A transnational and European perspective, judicial case management and efficiency in civil litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007, 29.

[538] *Storme M,* Towards a justice with a human Face, The First international congress on the law of civil procedure faculty of law — State University of Ghent 27 August 1977 – 4 September, 1977.

[539]*Gottwald P.*, , Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No 22, 2005, 33.

[540] Civil Litigation in a globalising world, edited by X.E. Kramer, Van Rhee C.H., T>M>C> Asser press, The Hugue, The Netherland and the authors. www. Asserpress.nl. 2012, 50.

სამართალწარმოების უფლებას, საჯარო განხილვას მათ შორის გადაწყვეტილების საჯაროობას;
- გონივრულ ვადაში განხილვას;
- კანონით განსაზღვრული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვას.[541]

ჰანს კელზენის ნორმატივიზმის თეორიის მიხედვითაც ძირითადი ნორმის მეშვეობით სამართალი აღწევს ერთიანობას მეტაიურიდიული საფუძვლების გარეშე და ქმნის საფეხურებრივ (იერარქიულ) სისტემას, რომელშიც ქვემდგომი ნორმები გამომდინარეობენ ზემდგომიდან.[542] სწორედ ეს მუხლი წარმოადგენს ევროპულ და არამარტო ევროპულ ქვეყნებში სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა იერარქიის უმაღლეს მწვერვალს. ზემოაღნიშნული პრინციპები ასახულია, როგორც ქვეყნების კონსტუციებში, ასევე, ჩონჩხად გასდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებს. მიუხედავად ამისა, 2000 წელს ევროპის ქვეყნებში დაფიქსირდა კრიზისი ევროპულ სასამართლოებში მითითებულ მუხლთან მიმართებაში.[543] აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ მიღებულ იქნა რეკომენდაცია პრობლემების იდენტიფიცირებისათვის.[544] სწორედ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ქმნის ბაზას იმ ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ბალანსისათვის, რაც მინიჭებული აქვთ პირებს, რომლებიც უკვე დაწყებულ სამოქალაქო პროცესში ერთვებიან და მოცემულ შემთხვევაში მესამე პირებს, რომელთა მიმდინარე საქმისწარმოებაში ჩართვის წესებს ევროპული სამართალი შემდეგნაირად წყვეტს:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დებულების მე-40 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ სასამართლოში მიმდინარე პროცესში ჩაერთონ. იგივე უფლება აქვთ ორგანიზაციებს, სააგენტოებს და სხვა პირებს, რომელთაც წამოაყენონ „ინტერესი სასამართლოში განსახილველი საქმის შედეგებისადმი". ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ ჩაერთონ სახელმწიფოთა და ინსტიტუტებს შორის მიმდინარე საქმეებში. ამავე მუხლის საფუძველზე განცხადება ჩართვის შესახებ შეიძლება შეიზღუდოს ერთ-ერთი მხარისათვის საჭირო ბრძანების ფორმისათვის მხარდაჭერის სახით.[545] თუმცა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს არ

---

[541] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04.11.1950. რომი.

[542] *მეტრველი. ვ. დავითაშვილი გ.,* პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2002. 381.

[543] *Albers P.* Judicial systems in Europe compared, Civil justice between efficiency and quality: From Ius Commune to the CEPEJ, Editors:C.H. van RheeA. Uzelac, Intersentia Antwerp – Oxford – Portland, 2008, 9.

[544] Resolution Res(2002)12 establishing the European Commission for the efficiency of justice (CEPEJ) (adopted by the Committee of Ministers on 18 September 2002 at the 808th meeting of the Ministers' Deputies), European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) High quality justice for all member states of the Council of Europe, https://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/textes/CEPEJ_Study22_EN.pdf

[545] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen's Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, Standing up for your right(s) in Europe, 2012.36.

შეუძლია ჩაერთოს წევრ ქვეყნებს შორის, კავშირის ინსტიტუტებს შორის და წევრ ქვეყნებსა და კავშირის ინსტიტუტებს შორის საქმის განხილვაში. [546] როგორც იკვეთება ევროკავშირის სამართალი მესამე პირების მონაწილეობის სახეებს ადგენს მათთვის vis-à-vis სამართლებრივი ეფექტს მონაწილეობის მიზნით - სასამართლო განუსაზღვრავს პროცესში მონაწილეობის ფარგლებს და ნებას რთავს მონაწილეობა მიიღოს როგორც ერთ-ერთი მხარის მხარდამჭერმა.
ევროკავშირის სამართალი ასევე ითვალისწინებს მესამე პირების სახით ასოციაციების ჩართვას. ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის მიხედვით ზოგადად, ასოციაციებს ჩართვის უფლება აქვთ თუ პროცესის შედეგს შეუძლია გავლენა მოახდინოს ასოციაციების მიერ დაცულ კოლექტიურ ინტერესზე. ეს ნიშნავს, რომ ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით ასეთ ასოციაციებს არ სჭირდებათ მტკიცება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგები გავლენას ახდენს მათ (ან მათი წევრების) სამართლებრივ პოზიციაზე ან ეკონომიკური მდგომარეობაზე. პირიქით, მიიჩნევა, რომ მათ ჩართვისათვის საჭირო ინტერესი აქვთ, თუ ეს ინტერესი მისი წევრების უმრავლესობისას ემთხვევა და მათი ჩართულობა სასამართლოს საშუალებას მისცემს სარისკო სიტუაცია უკეთესად შეაფასოს. მიჩნეულია, რომ ეს უფრო მოქნილი მიდგომა რაღაცნაირად აკომპენსირებს ფიზიკური პირების ჩართვის თაობაზე შედარებით მკაცრ შეხედულებას.
თუმცაღა, იგივე არ ეხება ასოციაციებს, რომლებიც საჯარო ინტერესებს იცავენ. საჯარო ინტერესის ჯგუფებისათვის, როგორიცაა გარემოსდაცვითი ასოციაციები, ძალიან ძნელია, თუ არა შეუძლებელი, მიიღონ ჩართვის ნებართვა, ვინაიდან მათ რთულად შეუძლიათ მოახდინონ იმის დემონსტრირება, რომ ძირითადი პროცესის შედეგები გავლენას მოახდენს ასოციაციის ინტერესებზე, რადგან ეს ასოციაციები იმ საჯარო ინტერესებს იცავენ, რომლებიც არ ეკუთვნის ფიზიკურ პირთა სპეციფიურ ჯგუფს. თუ გარემოსდაცვითი საზოგადოება არ წარმოადგენს გარკვეულ, კარგად განსაზღვრული ფიზიკური პირების ჯგუფს, მან უნდა დაამტკიცოს რომ მის სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას მოახდენს საქმის შედეგები. ამ მოსაზრების სიმბოლოს წარმოადგენს „autonomous Region of the Azores" საქმე, რომელშიც ავტონომიური რეგიონი ითხოვდა საზოგადოებრივ სათევზაო არეალსა და რესურსებში თევზაობის მცდელობის მენეჯმენტის თაობაზე რეგულაციების ნაწილის ანულირებას. სამი გარემოსდაცვითი ასოციაცია - Seas at Risk, WWF, Stichting Greenpeace Council, ითხოვდა საქმეში ჩართვას განმცხადებლის მხარდასაჭერად. თუმცა ჩართვის უფლება უარყოფილ იქნა იმ საფუძველზე, რომ მათი ინტერესი მეტად ფართო იყო, რათა წარმოედგინა მეთევზის ინტერესები, რომლის ინტერესებზე გავლენა მოახდინა ევროკავშირის რეგულაციებმა.[547]
ჩართვის თაობაზე განცხადება შეტანილ უნდა იქნეს ექვსი კვირის განმავლობაში, მას შემდეგ რაც ცნობა პროცესის თაობაზე

[546] Statute of the court of justice of the European Union (consolidated version), http://curia.europa.eu

[547] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen's Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, Standing up for your right(s) in Europe, 2012.36.

გამოქვეყნდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. განცხადება უნდა შეიცავდეს საქმის დასახელებას, მხარეთა დასახელებას, ჩართვის მსურველის დასახელებას და მისამართს, სასურველი ბრძანების ფორმას, რის მხარდასაჭერადაც პირს უნდა ჩართვა, განცხადებას იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ჩართვის უფლებას ადასტურებენ. ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლოს თავმჯდომარე იღებს. ჩართვის შემთხვევაში ჩართული პირი საქმისწარმოების ყველა დოკუმენტის ასლს იღებს. [548]

საბოლოოდ, სამართლიანობის სასამართლოს დებულების 57-ე მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ პირს, ვისი განცხადებაც უარყოფილ იქნა სასამართლოს მიერ შეუძლია მიმართოს სამართლიანობის სასამართლოს ორი კვირის განმავლობაში ჩართვის განცხადებაზე უარის მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ადრეულ პერიოდში ჩართვის ინსტიტუტი აქტუალური არ იყო, მაგრამ შემდგომში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა[549]. პირველად 1981 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა მესამე სახელმწიფოს ჩართვა ორ მოდავე მხარეს შორის. [550] დავა ეხებოდა კონტინენტურ შელფს ტუნისსა და გაერთიანებულ ემირატებს შორის, სადაც მალტა ჩაერთო როგორც მესამე მხარე.[551]

ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი სისტემები ასევე იცნობენ საქმის განხილვაში მესამე პირების მონაწილეობის ინსტიტუტს. ამ ქვეყნებში, ძირითადად (გარდა შვედეთის, თურქეთისა და ნიდერლანდებისა, სადაც სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა არსებობს) დანერგილია ოთხსაფეხურიანი სასამართლო სისტემა. ამ ქვეყნებში სამოქალაქო სასამართლოების განსახილველი „სამოქალაქო დავების" ცნება ანუ განსაზღვრება - თუ რას მიიჩნევენ სამოქალაქო დავად - ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული. უმეტეს შემთხვევაში ასეთი დავები ნეგატიური გზითაა განსაზღვრული და მასში ყველა ის დავა მოიაზრება, რომელიც სისხლის ან ადმინისტრაციული სამართლის ბუნების არ არის. ყველა ზემოაღნიშნული სამართლებრივი სისტემა იცნობს მიმდინარე სამოქალაქო სამართლის პროცესში მესამე პირების ჩართვას. იმისათვის, რომ გარეშე პირები მიმდინარე დავის განხილვაში ჩაერთონ, საჭიროა მათ გააჩნდეთ Locus standi ანუ ის პირობები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, სასამართლოს წინაშე წარდგენის უფლების ქონისათვის.[552] მითითებულ ქვეყნებში

---

[548] Rules of procedure of the Court of Justice of 25 September 2012 (OJ L 265, 29.9.2012), as amended on 18 June 2013 (OJ L 173, 26.6.2013, p. 65) and on 19 July 2016 (OJ L 217, 12.8.2016, p. 69).

[549] *Chinkin C. M.* Third-party intervention before the International Court of Justice, American journal of international law, Cambridge University Press, Feb 27, 2017.

[550] Jessup Ph. C., Comment: Intervention in the International Court, October, 1981, 75 A.J.I.L. 903 Copyright (c) 1981 The American Society of International Law, American Journal of International Law

[551] Tunisia VLibyan Arab Jamahiriya, Judgment of April 14, 1981.

[552] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen's Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, Standing up for your right(s) in Europe, A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before

სამოქალაქო სასამართლოების წინაშე წარდგენის უფლება - Locus standi თითქმის ერთი სტილითაა რეგულირებული. ზოგადად მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, როგორც კერძო სამართლის უფლებათა მფლობელებს შეუძლიათ სამოქალაქო სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, იმ მტკიცებით, რომ საქმის მიმართ პირდაპირი პერსონალური ინტერესი გააჩნიათ (მაგალითად სარჩელს უნდა ჰქონდეს კავშირი მოსარჩელის ეფექტურ მატერიალურ ან მორალურ უპირატესობასთან.) ასეთი ინტერესის არ მქონე პირების სარჩელი ცნობილ იქნება დაუშვებლად (ex officio).[553]

უმეტეს სამართლებრივ სისტემებში მესამე პირებს შეუძლიათ სამოქალაქო სამართალწარმოებას შეუერთდნენ მაშინ, როდესაც ამისათვის საკმარისი ინტერესი აქვთ. (მაგალითად მხარე რომელსაც დამატებითი უზრუნველყოფა აქვს მოპასუხის ვალდებულებებისათვის მოსარჩელის წინაშე). თითოეულ სამართლებრივ სისტემაში, მესამე პირებს შეუძლიათ შეიჭრან სამართლებრივ პროცედურებში საქმის ძირითად მხარეებს შორის, როდესაც ისინი სამოქალაქო პროცესის მოდავეებისათვის ძირითად დაყენებულ მოთხოვნებს ემთხვევიან. უმეტეს სამართლებრივ სისტემებში ჩართვა საქმის ყველა სტადიაზეა შესაძლებელი. ძირითადად, არგუმენტების დასრულებამდე, ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირვანდელ ვერსიაში იყო დაშვებული საქმეში ჩართვა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ჩართვა შესაძლებელია ნებაყოფლობითი იყოს. მაგალითად, მესამე პირის ინიციატივით თავად, როდესაც მესამე პირი დასახელებულია სასამართლოში საქმის ერთ-ერთი მხარის მიერ. ნებაყოფლობითი ჩართვის შემთხვევაში მესამე პირს შუძლია საქმის განხილვაში იმისათვის შეიჭრას, რომ რომელიმე ძირითად მხარეს დაუჭიროს მხარი ან თავისი პირადი ინტერესი წამოაყენოს. (ინგლისის სამართალი ამას ეძახის joinder as co-claimant ან additional defendant)[554]. მაგალითად, პოლონეთში ეს უკანასკნელი ინტერვენცია - რომელიც შესაძლოა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ქმედება საქმის ორივე თავდაპირველი მხარის მიმართ, იწვევს ძირითადი საქმის შეჩერებას. ნებაყოფლობითი ინტერვენციის შემთხვევაში, მესამე პირი, ჩვეულებრივ იმიტომ სახელდება, რომ ძირითადი დავის მოპასუხე იწყებს პროცესს მესამე პირისაგან კომპენსაციის ან უზრუნველყოფის მოთხოვნაზე იმ სარჩელისათვის, რომელიც მოსარჩელემ შეიტანა მოპასუხის წინააღმდეგ. ბელგიური სამართლის მიხედვით, ჩართვის სპეციალური ფორმაა აღიარებული, რომელიც მიზნად ისახავს მესამე პირებისათვის შემზღუდავი გადაწყვეტილების გამოტანას.

---

the EU and Member States' Courts Locus Standi, 2012, 20, http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Federal+Rules+of+Civil+Procedure,

[553] *Dr. M. (Mariolina) Eliantonio Prof. dr. Ch.W. (Chris) Backes Prof. dr. C.H. (Remco) van Rhee Prof. dr. T.N.B.M. (Taru) Spronken Ms. Anna Berlee, LL.M.,* A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen's Rights and Constitutional Affairs, Standing up for your right(s) in Europe, Standing up for your right(s) in Europe,

A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts Locus Standi. http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Federal+Rules+of+Civil+Procedure, 2012, 13.

[554] *Andrews N*, Fundamentals multi-party or collective litigation,University of Cambridge, PAPER NO. 21/2014, 2014, 12.

უმეტეს სამართლებრივ სისტემებში მესამე პირებს, რომლებიც პროცესში არ შეჭრილან, შეუძლიათ აღძრან მესამე პირის ოპოზიცია იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელსაც ისინი თავისი სამართლებრივი პოზიციის განმსაზღვრელად მიიჩნევენ. სარჩელის შეტანისათვის მათაც ჩვეულებრივი მოთხოვნები წაეყენებათ.
მითითებული ქვეყნების ზოგ სამართლებრივ სისტემაში, მესამე პირის შეჭრა და მესამე პირის პოზიცია არ შეიძლება აღკვეთილ იქნეს თავდაპირველი მხარეების მიერ, თუ ისინი არ დაადასტურებენ, რომ მათ ინტერესი არა აქვთ, ვერ აკმაყოფილებენ პირველად მოთხოვნებს. ხოლო ზოგგან (მაგალითად ბელგიაში) შეჭრა არსებითად აგრძელებს პროცესს. ზოგადად მესამე პირების საქმეში ჩართვის საკითხი სასამართლოს დისკრეციას წარმოადგენს.

2.1. მესამე პირები ნიდერლანდების სამოქალაქო პროცესში

ნიდერლანდებში თავდაპირველად სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობები 1804 წლის სამოქალაქო კოდექსით იყო რეგულირებული. აღნიშნული კოდექსის პროექტზე ცხოველი დისკუსიები მიმდინარეობდა სამეფოს ორ – ფრანგულ და ჰოლანდიურ ენაზე.[555] იგი მხარეებსა და მესამე პირებს ნებას რთავდა მოწინააღმდეგე მხარის დამხმარე დოკუმენტებისადმი წვდომაზე, მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული დოკუმენტების იდენტიფიცირება ზუსტად არ იყო შესაძლებელი.[556] ამ აღმოჩენას მომგებიანი პროცედურული მექანიზმი უწოდა ფრანც კლაინმა, ცნობილმა ავტრიელმა კანონის რეფორმატორმა.[557] დღესდღეობით მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1838 წლით თარიღდება. ის რამოდენიმეჯერ გადახალისდა, ხოლო ყველაზე უკანასკნელი მნიშვნელოვანი მოდერნიზება 2002 წლის 1 იანვარს განიცადა.[558] ამ კოდექსმა მართლმსაჯულების კონსტიტუციური პოზიცია შეცვალა და სასამართლოების დამოუკიდებლობისათვის დამატებითი გარანტიები განსაზღვრა.[559] „პასიური მოსამართლის" ტრადიციული პრინციპი სამოქალაქო საქმეებიდან აღმოიფხვრა.[560] ამ კოდექსით მხარეებს დაეკისრათ „სიმართლის თქმის ვალდებულება", რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეები ვალდებულნი არიან სასამართლოს წარუდგინონ ყველა გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი

555 *Van Rhee C.H.,* 'The Influence of the French Code de Procédure Civile (1806) in 19th Century Europe', in: L. Cadiet & G. Canivet (eds.), De la Commémoration d'un code à l'autre: 200 ans de procédure civile en France, Paris: LexisNexis/Litec, 11.
556 *Van Rhee C.H.,* Harmonisation of Civil Procedure of Civil Procedure: An Historical and Comparative Perspective, Maastricht University, July 2011.
557 *F. Klein,* Pro Futuro, Vienna, 1891, 13.
558 C.H. van Rhee, Appeal in Civil and Administrative Cases in the Netherlands, in: C.H.van Rhee & A. Uzelac (Eds.), Nobody's Perfect. Comparative Essays On Appeals AndOther Means Of Recourse Against Judicial Decisions In Civil Matters (Ius CommuneEuropaeum, 129). Antwerp: Intersentia, 2014, 128.
559 *Jongbloed A.W.* Judicial case management and efficiency in the Netherlands, Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007, 93.
560 *Van Rhee C.H.,* Evidence in civil procedure in the Netherlands: Tradition and modernity In*: C.H. van Rhee & A. Uzelac* (eds.), Evidence in Contemporary Civil Procedure. Fundamental issues in a Comparative Perspective, Cambridge etc.: Intersentia, 2015, 2.

ფაქტი. კანონმდებელი ხაზს უსვამს იმას, რომ მხარეებმა განზრახ არ უნდა დამალონ ან დაამახინჯონ ფაქტები.
ნიდერლანდების მართლმსაჯულების დამახასიათებელი თავისებურებაა პრეცედენტული სისტემის არ არსებობა. მიუხედავად ამისა, უზენაესი და სხვა უმაღლესი სასამართლოები ძალიან ავტორიტეტულები არიან. ამასთან, მოსამართლეები და უმაღლესი სასამართლოები შეზღუდულები არ არიან წინა სასამართლო გადაწყვეტილებებით.[561]
ნიდერლანდებში მესამე პირები, როგორც მხარეები, სამოქალაქო საქმისწარმოებას უერთდებიან იმ ფაქტებისა და არგუმენტების განვრცობის მიზნით, რომლებიც ერთ-ერთი მოდავე მხარის პოზიციას უწყობენ ხელს. მხარე, რომელსაც სურს თავისი მოთხოვნა მოსარჩელის ან მოპასუხის წინააღმდეგ მიმდინარე საკუთრების უფლებაზე ან უფლებაზე მიმდინარე დავაში წარადგინოს, შეიძლება პროცესში ჩაერთოს tussenkomst (intervention) -ის ფორმით. ორივე შემთხვევაში მესამე პირი საკუთარი სურვილით მოქმედებს. საკითხი ჩაერთოს თუ არა მიმდინარე საქმისწარმოებაში, მისი გადასაწყვეტია.
დაწყებულ სამოქალაქო საქმის წარმოებაში ჩართვის დრო არაუგვიანეს საქმეზე ბოლო განცხადების წარდგენის თარიღითაა განსაზღვრული. ჩართვის მიზეზები სათანადო ფორმით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მესამე პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ დაშვებულნი არ იქნენ საქმისწარმოებაში, შეუძლიათ აღძრან მესამე პირის ოპოზიცია იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელსაც ისინი თავისი სამართლებრივი პოზიციის განმსაზღვრელად მიიჩნევენ. მესამე პირის სარჩელის შეტანისათვის მათაც ჩვეულებრივი locus standi-ს მოთხოვნები წაეყენებათ.[562]
პრაქტიკაში ნიდერლანდების ქვედა ინსტანციის სასამართლოები პატივსადები საფუძვლის არსებობისას ხშირად უშვებენ ჩართვას. მაგალითად, თუ ჩართვა ეფექტურია პროცედურული თვალსაზრისით და ჩამრთველი მხარისათვის დამოუკიდებელი დავის დაწყების ალტერნატივაა. უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, პირველი სახის ჩართვისათვის საკმარისი ინტერესია დავის არასასურველი შედეგი იმ მოდავისათვის, რომელთან შეერთებაც ჩართულს სურს და რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ჩართული პირის იურიდიულ პოზიციას. რაც შეეხება მეორე სახის ჩართვას, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ჩართვისათვის საჭიროა არა უბრალოდ ინტერესი, არამედ, ეგრეთწოდებული „საპროცესო დაინტერესება".[563]
მესამე პირებს, რომლებიც პირველი ინსტანციაში არ არიან მხარეები ან არ შეუერთდნენ ამ პროცესს, შეუძლიათ მესამე პირის პრეტენზია წარადგინონ მხარეებს შორის მიმდინარე პროცესის შედეგად გამოტანილ

---

[561] *Van Rhee C.H., van der Woude W.* Effects in Time of Judgments in the Netherlands: Prospective Overruling and Related Techniques. In: Comparing the Prospective Effect of Judicial Rulings Across Jurisdictions. Ius Comparatum - Global Studies in Comparative Law, vol 3. Springer, Cham, 2015.
[562] *Van Rhee C.H.,* Locus standi in Dutch civil litigation in comparative perspective, in: T.Erecinski, V. Nekrosius & et al. (eds.), Recent trends in economy and efficiency in civilprocedure, Vilnius: Vilnius University Press, https://www.academia.edu/5934146/Locus_standi_in_Dutch_civil_litigation_in_comparative_perspective, 2013, 243-266.
[563] *Van Rhee C.H.,,* Appeal in Civil and Administrative Cases in the Netherlands, in: C.H.van Rhee & A. Uzelac (Eds.), Nobody's Perfect. Comparative Essays On Appeals AndOther Means Of Recourse Against Judicial Decisions In Civil Matters (Ius CommuneEuropaeum, 129). Antwerp: Intersentia, 2014, 9.

გადაწყვეტილებაზე, თუ მათი უფლებები ამ გადაწყვეტილებით დარღვეულია. მესამე პირის ოპოზიცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს იმ მოსამართლის წინაშე, რომელმაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გამოიტანა. ეს მესამე პირთა უფლებების დაცვის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. ჩართვას და მესამე პირის ოპოზიციას არ შეიძლება მხარეთა მიერ ხელი შეეშალოს, გარდა იმისა, რომ მათ შეუძლიათ მტკიცება, რომ მესამე პირს არ გააჩნია ინტერესი. (რომ არ იქნან დაშვებულნი)[564]

2.2. მესამე პირები გერმანიის სამოქალაქო პროცესში

2.2.1 ჩართვის სახეები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავი არეგულირებს მესამე პირების სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობის წესსა და პირობებს. იურისტების მოსაზრებით, საუნივერსიტეტო განათლების კონტექსტში მესამე პირების სამოქალაქო პროცესში ჩართვა უგულვებელყოფილია. მაგრამ, რადგან ბავარიელი ექსპერტების აზრით, სამართალწარმოება სულ უფრო აქტუალური ხდება, გამორიცხული არ არის, რომ "მესამე პირთა მონაწილეობაც" აქტუალური გახდეს.[565]

მესამე პირის ინიციატივით ჩართვის სახეებს მიეკუთვნება ძირითადი ჩართვა (hauptintervention – principal intervention) და დამხმარე ჩართვა – (Nebenintervention – auxiliary intervention).[566]

მესამე პირთა დიფერენცირება გერმანულ სამოქალაქო პროცესში შემოთავაზებულია იმის მიხედვით, თუ ვისი ინიციატივით ერთვება მესამე პირი პროცესში: ა) თავად მესამე პირის ინიციატივით, ბ) მხარეთა ინიციატივით[567] ან დ) სასამართლოს ინიციატივით. ყურადსაღებია, რომ მესამე პირი არაა პროცესის მხარე, მაგრამ სარგებლობს მხარეთა უფლება მოვალეობებით.[568]

მხარის ინიციატივით ჩართვის სახეს წარმოადგენს დავის შეტყობინება - (Streitverkündung), იმ შემთხვევაში როდესაც მხარეს განზრახული აქვს მოთხოვნის წაყენება მესამე პირის მიმართ, ძირითადად რეგრესული სარჩელის შემთხვევაში.

ასევე გერმანულ სამართალში არსებობს ჩართვის შემდეგი სახეები, რომელიც პრაქტიკაში შედარებით იშვიათად გამოიყენება: პრეტენდენტების დავა - Der pratendentenstreit და Urheberbenennung (ავტორის

---

564 Code of Civil Procedure, 1 January 2002, http://www.dutchcivillaw.com/civilprocedureleg.htm

565 *Schmitt S., Wagner T.,* Die Beteiligung Dritter am Zivilprozess, DOI 10.1515/jura-2014-0043 Juristische Ausbildung 2014(4), 372.

566 *Murray P. L.. and Stürner R H.,* German Civil Justice (Durham, USA, 2004), 205.

567 *Musielak H. J., Weth S.,* Kommentar zur Zivilprozessordnung ZPO, Aufl Verlag Franz Vahlen München 2013, 10, Vorbemerkung §§ 50 ff Rn 1.

568 *Luke W.,* Die Beteiligung Dritter im Zivilprozess, Eine rechtsvergleichende Untersuchung zu Grundfragen der subjektiven Verfahrenskonzentration, Tübingen, 1993 S 12 ff.

დასახელება) იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე დავობს ქონების ფლობაზე, ან უფლების განხორციელებაზე მესამე პირის სახელით.[569]

2.2.2. ძირითადი ჩართვა– hauptintervention

ძირითადი ჩართვა hauptintervention – რეგულირდება გფრ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-65 მუხლებით. ეს არის მიმდინარე პროცესის ორივე მხარის წინააღმდეგ სადავო ნივთზე ან უფლებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ მიმართული მესამე პირის ქმედება.[570] მესამე პირი პირი მოსარჩელისა და მოპასუხეს შორის მიმდინარე ძირითად პროცესში დამოუკიდებელია.[571] დამატებითი ჩართვას (Nebenintervention) დავის შეტყობინებისაგან (Streitverkündung) განსხვავებით, ძირითადი ჩართვის დროს ადგილი აქვს ახალ პროცესს მიმდინარე პროცესის მხარეებთან, მაგრამ ამ ორ პროცესს შორის არსებობს კავშირი.[572]
გფრ-ს სსკ-ის 64-ე პარაგრაფი განსაზღვრავს იმ მესამე პირების მონაწილეობის წესსა და პირობებს, რომლებიც თავისი შინაარსით ჩვენს პროცესში მოიაზრება როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირი: „მას, ვინც სრული მოცულობით ან ნაწილობრივ ახდენს სასამართლოში განსახილველად შესულ სხვა პირებს შორის არსებულ დავაში ნივთზე ან უფლებაზე შეცილებას, უფლება აქვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე თავისი მოთხოვნა განაცხადოს ორივე მხარის მიმართ სარჩელის წარდგენით იმ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელშიც ეს დავა განსახილველად შევიდა.“[573] ე.ი. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვისათვის აუცილებელი პირობაა იმ ნივთზე ან უფლებაზე შეცილება, რაც თავისთავად დავის საგნის მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენებას ნიშნავს. აღნიშნული სახის ჩართვა წოდებულია როგორც მესამე პირის სავალდებულო ჩართვა წარმოებაში – hauptintervention. აღნიშნული ჩართვის მაგალითია შემდეგი შემთხვევა: „კ” უჩივის „ბ”-ს ნივთის დაბრუნებასთან დაკავშირებით. „ე” ამტკიცებს, რომ იგი არის მესაკუთრე და ჩართვას ახორციელებს „კ”-სა და „ბ”-ს წინააღმდეგ, რომლებიც ამის საშუალებით საპროცესო თანამონაწილეები ხდებიან. ამ დროს წარმოებაში მესამე პირის სავალდებულო ჩართვის კომპეტენციისთვის საკმარისია, ის რომ იგი თავის საკუთრებას ეყრდნობა; ნამდვილად არის თუ არა იგი მესაკუთრე, ეს საკითხი მიეკუთვნება წარმოებაში მესამე პირის სავალდებულო ჩართვის დასაბუთებულობას.[574]

---

[569] *Van Rhee C.H.*, European Traditions in Civil Procedure, edited by Van Rhee C.H., 2005 Interseria Antwerpen – Oxford, P. Oberhammer; T. Domej, 103-106.
[570] *Musielak H. J.*, Grundkurs ZPO, 10. Aufl. Verlag C.H. Bech, 2012, § 5 Rn 357.
[571] *Saenger I. /Bendtsen* HandKommentar ZPO 5. Bearbeiter, Auflage 2013, § 64 Rn 1, 202, www.nomos-online.de.
[572] *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.*, Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34.§ 64 Rn 1.
[573] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver , Москва, 2006, 20.
[574] *Baur F., Grunsky W.*, Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 106.

მესამე პირის მონაწილეობა დასაშვებია, თუ იგი დაინტერესებულია საქმის შედეგით, მაგალითად, იმიტომ, რომ დავის შედეგი მნიშვნელოვანია მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობებისათვის ან გავლენას ახდენს პროცესზე ეკონომიკურად და იდეოლოგიურად. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ მხოლოდ ამიტომ აქვთ მიმდინარე პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მათ სარჩელით შეუძლიათ საკუთარი უფლებების დამტკიცება.[575] მეტიც, როდესაც მესამე პირი აყენებს მოთხოვნას ჩართვის ფარგლებში, მან უნდა დაასაბუთოს საკმარისი ინტერესი.[576] რა თქმა უნდა მოსარჩელე და მოპასუხე ყოველთვის მოწინააღმდეგე მხარეები არიან ამ პროცესში.[577] ვინაიდან ძირითადი ჩართული არ მიიჩნევა ძირითადი პროცესის მხარედ,[578] მან უნდა დაადასტუროს ძირითადი ჩართვის მიზეზი.[579] ეს მიზეზი არსებობს თუ მესამე პირი ითხოვს რეალურ ნივთს ან უფლებას სრულად ან ნაწილობრივ.[580] ეს ფორმულირება ზუსტად როგორ უნდა იქნეს გაგებული, ჯერ კიდევ საკამათოა.[581] თუმცა, ძირითადად, საკმარისად მიიჩნევა, თუ ჩართული წარმოადგენს სამართლებრივ დასაბუთებას, რომ პირველ პროცესის შედეგები გამოიწვევს მისი ინტერესების დარღვევას ან მატერიალურ-სამართლებრივად შეუსაბამო იქნება.[582] ამიტომ, ძირითად პროცესსა და ჩართვის პროცესისათვის დავის საგნების იდენტურობა არ მოითხოვება.[583] თუმცა, მოთხოვნილია სამართლებრივი პოზიცია,[584] რომელიც სრულად უნდა გამორიცხავდეს დავის საგნის იდენტურობასა და კანონის იდენტურობას შორის დიფერენცირებას. თუ სამართლებრივი დავა მიმდინარეობს ნივთზე და ძირითადი ჩართული დაკავშირებულია (ეწ. ნივთის იდენტობა) მასთან, მნიშვნელობა არ აქვს მისი უფლება გაცხადებულია თუ არა.[585] ცოტა სხვაგვარი მდგომარეობაა თუ საქმე უფლებაზე დავას ეხება. ამ შემთხვევაში უფლების იდენტურობის მტკიცება არსებითად მოითხოვება.[586]

---

[575] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 102.

[576] *Zöller R., Vollkommer M.* , Zivilprozessordnung , Dr. Otto Schmidt Köln 2012Aufl 2014, , (Fn 9), Vollkommer, in: Zöller (Fn 9), § 64 Rn 4.

[577] *Saenger I. /Bendtsen* HandKommentar ZPO 5. Bearbeiter, Auflage 2013, (Fn 10) § 64 Rn 1;

[578] *Dressler W. D.*, BeckOK-ZPO, Beck'scher Online-Kommentar ZPO, Stand: 01. 01. 2014, (Fn 10) § 64 Rn 3.

[579] *Zöller R., Vollkommer M.* , Zivilprozessordnung , Dr. Otto Schmidt Köln 2012Aufl 2014, (Fn 9), 30. § 64 Rn 3.

[580] *Musielak H. J., Weth S.*, Kommentar zur Zivilprozessordnung ZPO,, Aufl Verlag Franz Vahlen München 2013, 10, Vorbemerkung , (Fn 2) § 65, Rn 4.

[581] *Stein F., Jonas M., Bork R,* Kommentar zur Zivilprozessordnung: ZPO, 22. Auflage 2004. Buch. V, 921 S. In Leinen, (Fn 5) § 64 Rn 8 ff.

[582] *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5) § 64 Rn 6.

[583] *Stein F., Jonas M., Bork R,* Kommentar zur Zivilprozessordnung: ZPO, 22. Auflage 2004. Buch. V, 921 S. In Leinen, , § 64 .Rn 8.

[584] *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5) § 64 Rn 6.

[585] *Stein F., Jonas M., Bork R,* Kommentar zur Zivilprozessordnung: ZPO, 22. Auflage 2004. Buch. V, 921 S. In Leinen, (Fn 5) § 64 Rn 7.

[586] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 52 Rn 18.

64-ე მუხლის თანახმად ძირითადი ჩართვის ყველაზე არსებითი პირობაა სხვა პირებს შორის უფლებაზე ან ქონებაზე დავის მიმდინარეობის არსებობა. საკამათო თემად მიიჩნევა თუ რომელი ტერმინი უნდა იქნეს გამოყენებული: დავის მიმდინარეობა თუ სამართლებრივი დავის მიმდინარეობა.[587] აზრი მეცნიერებს შორის ორად იყოფა, ერთნი მხარს უჭერენ მიმდინარეობას,[588] მეორენი სამართლებრივ მიმდინარეობას.[589] პრობლემა მდგომარეობს ორივე შემთხვევაში ტერმინის არასწორად გამოყენების შედეგში, საქმე ეხება ნებისმიერ დავას თუ მხოლოდ სამართლებრივ დავას. ერთი მოსაზრებით აუცილებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სამართლებრივი დავაზე იყოს საუბარი, ხოლო მეორე მოსაზრებით არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ზოგადად დავაზე.[590] თუმცა, ყველაზე არსებითი ისაა, რომ დავა მიმდინარე უნდა იყოს.[591]

გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას: გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით მესამე პირის მოთხოვნა მიმართულია ორივე მხარის მიმართ, მაშინ როცა სსსკ ითვალისწინებს სარჩელის წარდგენას ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ გერმანელი კანონმდებლები არ იზიარებენ იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სასამართლოში მხარეთა შორის დავის მიმდინარეობისას, მესამე პირს შეუძლია დამოუკიდებელი მოთხოვნა წაუყენოს მხოლოდ ერთ მხარეს ისე, რომ მეორე მხარის მიმართ მოთხოვნა არ გააჩნდეს. მიჩნეულია, რომ ძირითადი ჩართვა წარმოადგენს დამოუკიდებელ სარჩელს.

განსჯადობის თვალსაზრისით ძირითადი საქმის განმხილველი სასამართლო როგორც ადგილობრივად, ისე ფაქტობრივად, ექსკლუზიურად კომპეტენტურია.[592] საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც დავაში მესამე პირად ჩართვას სასამართლო პაექრობის დაწყებამდე უშვებს, გერმანულ სამოქალაქო პროცესში მესამე პირად ჩართვის დრო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდეა განსაზღვრული.

გფრ-ს სსკ-ს 65-ე პარაგრაფი ითვალისწინებს საქმეში მესამე პირის ჩართვის შეჩერებას. „ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით შესაძლებელია შეჩერდეს საქმეში იმ მესამე პირის ჩართვის შესახებ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს დავის საგანზე".[593] მხარეებს შესაძლებლობა აქვთ თავიდან

---

[587] *Schmitt S., Wagner T.,* Die Beteiligung Dritter am Zivilprozess, DOI 10.1515/jura-2014-0043 Juristische Ausbildung 2014(4), 372–381.

[588] *Baubach A., Lauterbach W. Albers J., Hartmann P., Hartmann P*., Zivilprozessordnung: ZPO, 71. Verlag C.H. Beck München 2013, § 64 Rn 6, 232.

[589] *Dressler W. D.,* BeckOK-ZPO, Beck'scher Online-Kommentar ZPO, Stand: 01. 01. 2014, § 64 Rn 3.

[590] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010§ 52 Rn 15,. (Fn 8) § 52 Rn 13.

[591] *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5) § 64 Rn 4.480.

[592] *Zöller R., Vollkommer M.* Zivilprozessordnung , Dr. Otto Schmidt Köln 2012Aufl 2014, , (Fn 9), Vollkommer, in: Zöller (Fn 9), § 64 Rn 4.

[593] *Давтян. А. Г*, Гражданское Процессуальное Право Германии, Москва, 2000, 211.

აირიდონ დავაში მესამე პირის ჩართვა დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში. აღნიშნული განპირობებულია ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თავიდან აცილების მიზნით.[594]

2.2.3. დამატებითი ჩართვა (Die Nebenintervention)

გფრ-ს სსკ-ს 66-ე პარაგრაფი განსაზღვრავს დამატებითი ჩართვის წესსა და პირობებს. დამატებითი ჩართვა წარმოადგენს ჩვენს კანონმდებლობაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის მსგავს ინსტიტუტს გარკვეული განსხვავებებით. ამ მუხლის თანახმად: (1) მას ვისაც გააჩნია სამართლებრივი ინტერესი იმისა, რომ სხვა პირებს შორის არსებულ სასამართლოში განსახილველად შესულ დავაზე გადაწყვეტილება გამოტანილ იქნეს ერთი მხარის სასარგებლოდ, შეუძლია ამ მხარეს შეუერთდეს დახმარების მიზნით. დამატებითი ჩართვის დროს ორ პირს შორის მიდის სამართლებრივი დავა, რომლისადმიც იურიდიული ინტერსი აქვს მესამე პირს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მხარის სამართლებრივი პოზიციის დაცვა უზრუნველყოს.[595] დამატებით ჩართვისათვის მხარდასაჭერი მხარის წარმატების იურიდიული ინტერესი, ე.წ. ჩართვის ინტერესი აუცილებელია.[596] ასეთი ინტერესი არსებობს როდესაც ძირითად პროცესზე გადაწყვეტილება შინაარსობრივად ან აღსრულებით არაპირდაპირ ეხება კერძო ან საჯარო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებულ ჩართულის ინტერესებს.[597] შესაბამისი ინტერპრეტაციით ფორმალისტური მიდგომა არ არის. ფინანსური ხასიათის ინტერესი არ მოითხოვება,[598] მაგრამ მეორე მხრივ წმინდა იდეალური ან აქტუალური ინტერესი 66-ე მუხლის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.[599] ჩართვის საფუძველი ყველა შემთხვევაში უარყოფითია, თუ მესამე პირის მოთხოვნაზე შედეგი გავლენას არ ახდენს.[600] ამასთან, მესამე პირი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის, თუ იგი თავისი ინტერესის უპირატეს ალბათობას დაამტკიცებს. ანუ ჩართულ პირს ამ შემთხვევაში პირდაპირ ეკისრება თავისი ინტერესის რეალურად არსებობის და ამ ინტერესის უპირატესობის მტკიცების ტვირთი. მხოლოდ ეკონომიკური ან იდეოლოგიური ინტერესი საკმარისი არაა. კანონიერ ინტერესად ყველასათვის მიიჩნევა სასამართლოს

---

[594] *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.,* Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34. (Fn 6) § 65 Rn 1, 3.

[595] *Schmitt S., Wagner T.,* Die Beteiligung Dritter am Zivilprozess, DOI 10.1515/jura-2014-0043 Juristische Ausbildung 2014(4) 374.

[596] *Stein F., Jonas M., Bork R,* Kommentar zur Zivilprozessordnung: ZPO, 22. Auflage 2004. Buch. V, 921 S. In Leinen, § 66 Rn 6.

[597] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 50 Rn 13.

[598] *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5) § 66 Rn 7.

[599] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 50 Rn 13.

[600] *Musielak H. J., Weth S.,* Kommentar zur Zivilprozessordnung ZPO,, Aufl Verlag Franz Vahlen München 2013, 10, Vorbemerkung; (Fn 2) § 66 Rn 5.

გადაწყვეტილების გავრცელება, რეგრესული მოთხოვნა ან რეგრესული ვალდებულება.[601]

აღნიშნული მუხლის განხილვისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის მიზანს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს - ეს არის მხარის დახმარება. თუმცა, ზოგი მეცნიერის მოსაზრებით მესამე პირის, როგორც დამხმარის ცნება გაკრიტიკებულია და მიიჩნევა, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის უმთავრესი ინტერესი შემდგომ მოსალოდნელ პროცესში საკუთარი პოზიციების გამყარებაა. დამატებითი ჩართული ვერ გახდება დამოუკიდებელი მხარე, ვერც ძირითადი მოდავე მხარის მეგობარი, არამედ მხოლოდ დამხმარე. მას არ შეუძლია სარჩელის შეცვლა ან გამოთხოვა, არც შეგებებული სარჩელის აღძვრა ან მორიგების გაფორმებით პროცესის დამთავრება. მისთვის მინიჭებულ პროცესის მმართველობით უფლებებში დევს შეზღუდვა, რომელიც მისი „დამხმარის მდგომარეობიდან" გამომდინარეობს.[602]

ამავე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად: „დამატებით ჩართულ პირს შეუძლია ჩაერთოს საქმეში ნებისმიერ ეტაპზე მის შესახებ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მათ შორის გასაჩივრების სტადიაზეც."[603]

გფრ-ს სსკ-ს 67-ე პარაგრაფი განსაზღვრავს დამატებით ჩართული პირის სამართლებრივ სტატუსს. „დამატებითი ჩართული პირი საქმეში ერთვება იმ სტადიაში, რომელშიც საქმე მოცემულ მომენტში იმყოფება; მას უფლება აქვს გამოიყენოს მოთხოვნის განხორციელების საშუალება და დაცვის საშუალებები, აგრეთვე განახორციელოს ყველა საპროცესო ქმედება, თუ მისი განცხადება და შუამდგომლობა ძირითადი მხარის ქმედებებსა და განცხადებებს არ ეწინააღმდეგება."[604] ამ მუხლით განსაზღვრულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საპროცესო უფლებები. ანუ საქმეში ამ მესამე პირების ჩართვა პროცესის თავიდან დაწყებას არ იწვევს, ის დაკავშირებულია ძირითად პროცესში შესვლის დროის მდგომარეობასთან, მაგალითად, უკვე განხორციელებული მტკიცებულებების კვლევა არ უნდა განმეორდეს.[605] მაგრამ ჩაბმისთანავე ისინი პროცესის სრულფასოვანი წევრები ხდებიან და უფლებათა დაცვის ყველა საშუალებით სარგებლობენ,[606] რომელსაც გერმანულ სამართალში მოთხოვნის განხორციელების საშუალება ეწოდება და თავის თავში მოიცავს ყველა განცხადებას, მტკიცებას და ახსნა განმარტებას, რაც მიმართულია წარდგენილი მოთხოვნის განსახორციელებლად.[607] მიუხედავად იმისა, რომ იგი მხარე არ არის, მას შეუძლია საკუთარი სახელით შეასრულოს ყველა მოქმედება. მას

---

[601] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 102.

[602] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 103.

[603] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 21.

[604] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 21.

[605] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 103.

[606] *Baegte D.* Civil Procedure in Germany: An Overview, The annals of American academy, AAPSS, 622, March 2009, 131.

[607] *Creifelds.* Op. cit. S. 61, 1274.

შეუძლია თავად აირიდოს თავიდან ვადის გაშვების შედეგი, მოითხოვოს იმ გადაწყვეტილების ჩაბარება, რომელიც გამოტანილია იმ მხარის სასარგებლოდ, რომელსაც იგი მხარს უჭერს. მას ასევე შეუძლია გაასაჩივროს მოქმედება მხარისათვის მანამდე, სანამ ძირითადი მხარისათვის გასაჩივრების ვადა გრძელდება. ჩართული პირის ქმედებები რომ ძირითადი მხარის ქმედებებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, იქიდან გამომდინარეობს, რომ იგი ამ ძირითადი მხარის დამხმარის სახით მონაწილეობს და პროცესში შესაბამისად მის პოზიციას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. მესამე პირს არ შეუძლია ისეთი საპროცესო ქმედება შეასრულოს, რომელსაც იმავდროულად მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მხარდაჭერილი მხარის არც აღიარება, არც უარი, არც მორიგება, არც კომპენსაცია ჩამრთველის საშუალებით არ ხდება.[608]

ჩართული არ იკავებს მხარის პოზიციას.[609] ის ასრულებს განსხვავებულ პროცედურას, რომელიც მაშინაც კი არ იცვლება, თუ მხარე მას მარტოს დატოვებს.[610] ჩართულს 67-ე მუხლის შესაბამისად შეუძლია ყველა დაცვის ღონისძიებები განახორციელოს, რაც ძირითად მხარეს აქვს. შეზღუდვაა იმ ფარგლებში რომ ძირითადი მხარე ვერ გახდება. სევე, შეზღუდულია სასამართლოს წინა, უკვე გამოტანილი დადგენილებებით. ყველაზე რელევანტურს წარმოადგენს 67-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა, მასზედ რომ ჩართული პირი იმ მხარეს ვერ დაუპირისპირდება, ვის მხარეზედაც ჩართულია. მას შუძლია დაცვისა და მტკიცების ყველა საშუალებით ისარგებლოს, იმდენად, რამდენადაც ეს იმ მხარის საწინააღმდეგო არ იქნება, რომელსაც იგი მხარს უჭერს და შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ძირითადი მხარის საკუთარი მოქმედება; დაპირისპირება უნდა იყოს პოზიტიური, რომელიც არა მხოლოდ მხარეთა განცხადებით, არამედ ზოგადად ქცევით უნდა გამოიხატებოდეს.[611] ამიტომ ჩართული პირს საქმეში ჩართვა არ შეუძლია ან სამართლებრივი ქმედებების განხორციელება ძირითადი მხარეების ნების გარეშე,[612] ძირითადი მხარის უმოქმედობა თავისთავად შემაფერხებელი იქნება მიმდინარე პროცესისათვის.[613] სხვა შეზღუდვების შედეგები დამატებითი ჩართვის მიზნებიდან და არსიდან გამომდინარეობს. ჩართულს შეუძლია მხოლოდ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც რეალურად ძირითადი მხარეების დახმარებას ემსახურება და ჩართვის არსს არ ეწინააღმდეგება.[614]

გფრ-ის 68-ე მუხლი განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესში მონაწილეობის შედეგებს. აღნიშნული მუხლით „დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირი არ მოისმინება ძირითად მხარესთან დაკავშირებით იმ

---

[608] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 103.

[609] *Musielak H. J., Weth S.,* Kommentar zur Zivilprozessordnung ZPO,, Aufl Verlag Franz Vahlen München 2013, 10, Vorbemerkung (Fn 2) § 66 Rn 5.

[610] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 50 Rn 31.

[611] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 50 Rn 40.

[612] *Musielak H. J.*, Grundkurs ZPO, 10. Aufl. Verlag C.H. Bech, 2012 (Fn 4) Rn 338.

[613] *Musielak H. J., Weth S.,* Kommentar zur Zivilprozessordnung ZPO,, Aufl Verlag Franz Vahlen München 2013, 10, Vorbemerkung (Fn 2) § 67 Rn9.

[614] *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5)) §67 Rn 13.

მტკიცებით, რომ დავა იმ სახით, როგორც ამ პირმა წარუდგინა სასამართლოს არასწორადაა გადაწყვეტილი. იმ მტკიცებით, რომ ძირითადმა მხარემ დავა ნაკლოვანებებით წაიყვანა, მითითებული მესამე პირი მოისმინება, თუ მან ვერ შეძლო მოთხოვნის განხორციელების საშუალების, მისი საქმეში შესვლის მომენტში საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებების გამოყენება ან შუამდგომლობებსა და ძირითადი მხარის მოქმედებებთან დაკავშირებით, თუ ძირითადმა მხარემ განზრახ, უხეში ბრალეულობით არ გამოიყენა მოთხოვნის განხორციელების ან დაცვის საშუალებები, რომლების შესახებაც არ იცოდა.[615] გადაწყვეტილება სავალდებულო ძალას მას შემდეგ იძენს, რაც იგი ფორმალურად გამოცხადდება და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.[616] შედეგად გადაწყვეტილება ხდება res iudicata დავის მხარებისა და მესამე პირებისათვის.[617] გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ჩართვის ეფექტს (Interventionswirkung) იწვევს ძირითად მხარესა და ჩართულ პირს შორის. „ჩართვის ეფექტი" ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია. ძირითად პროცესში გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას წინასწარი გავლენა აქვს ეგრეთწოდებულ სამომავლო პროცესზე. ჩართული პირი საცილოდ ვეღარ გახდის ამ გადაწყვეტილების სისწორეს,[618] არგუმენტებს ვერ წამოაყენებს პირველი სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ. საჩივარი „ჩართვის ეფექტის" თაობაზე პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს მიერ ცნობილ იქნება ex officio-დ. „ჩართვის ეფექტი" უფრო ფართოა ვიდრე res iudicata, რადგან ის მესამე პირებზე გადაწყვეტილების სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს წინასწარ ავრცელებს.[619] ჩართვის ეფექტის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მას შემდეგ, რაც ჩართული პროცესში ჩაერთვება და ყველა საპროცესო მოქმედების შესრულებას შეძლებს, გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დადგენილებებს ასევე შუალედური მოქმედება ექნება მისთვის და მხარდაჭერილი მხარისათვის.[620] ამასთან, საქმეში „ჩართვის ეფექტი" გადაავადებს სასამართლოს დადგენილების ზემოქმედებას სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირის საპირისპიროდ. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი პირიქით ჩართვის შესაძლებლობას არ გამოიყენებს, მას საშუალება მიეცემა, შემდგომ პროცესში პრეტენზია წამოაყენოს პირველი განჩინების უსწორობის შესახებ.[621] თავად გადაწყვეტილება მხოლოდ ძირითადი მხარეების მიმართ გამოიტანება. ჩართვის ეფექტი პროცესუალურ ძალას უფრო მოგვიანებით იძენს, შემდეგ სამართლებრივ

[615] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 104.

[616] *Heinze Dr. Ch. A.,* LL.M. (Cantab.) Max-Planck-Institute for Comparative and International Private Law, REPORT, The Effect in the European Community of Judgments in Civil and Commercial Matters: Recognition, Res Judicata and Abuse of Process, Germany, Mittelweg 187 D-20148 Hamburg, Germany, 12.

[617] *Murray P. L.. and Stürner R H.,* German Civil Justice (Durham, USA, 2004), 359.

[618] *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.,* Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34. (Fn 6) § 69 Rn 4.

[619] *Heinze Dr. Ch. A.,* LL.M. (Cantab.) Max-Planck-Institute for Comparative and International Private Law, REPORT, The Effect in the European Community of Judgments in Civil and Commercial Matters: Recognition, Res Judicata and Abuse of Process, Germany, Mittelweg 187 D-20148 Hamburg, Germany, 30.

[620] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 105.

[621] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 105.

დავაში.[622] 68-ე მუხლით გათვალისწინებული შემბორკავი ეფექტი დამატებით ჩართულზე იმ პროპორციით ვრცელდება, რამდენადაც მხარდაჭერილ მხარეს ეხმარება, ხოლო მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებაში არ ვრცელდება. საკამათო საკითხია თუ შეიძლება მისი გავრცელება მხოლოდ დამატებით ჩართულზე ან მხოლოდ მხარეებზე.[623]
გფრ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლი ადგენს, რომ ვინაიდან სამოქალაქო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად ძირითადი პროცესის გადაწყვეტილებას მესამე პირისა და მოწინააღმდეგე მხარის სამართალურთიერთობებზე გავლენა აქვს, მესამე პირი მიიჩნევა ძირითადი მხარის საპროცესო თანამონაწილედ 61-ე მუხლის შესაბამისად. 61-ე მუხლის შესაბამისად, თითოეული თანამონაწილე მოწინააღმდეგე მხარის მიმართ დამოუკიდებელია და ერთი თანამონაწილის ქმედებას არც დადებითი და არც უარყოფითი შედეგი არა აქვს მეორისათვის.[624] ჩართვისათვის 66-ე მუხლით დაწესებული მოთხოვნების დამატებით სპეციალური სამართლებრივი ეფექტებიც მოითხოვება.[625] 69-ე მუხლით აუცილებელია დამატებით ჩართულსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის არსებობდეს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზეც სასამართლო გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს. მითითება „სამოქალაქო სამართლის დებულებებზე" ძალიან ვიწროდ ითვლებოდა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის დებულებებიც გამოიყენება.[626]
გერმანულ სამოქალაქო პროცესში კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს სარჩელის წარდგენისათვის დადგენილი ზოგადი წესების გარდა, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ჩართვის შუამდგომლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართვისათვის სასამართლოსადმი მიმართვის ფორმას ითვალისწინებს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. გერმანიაში დამატებითი ჩართვისათვის დადგენილი უფლებამოსილების მოთხოვნები სასამართლოს მიერ პრინციპში არ მოწმდება. პერსონალური მოთხოვნები (მხარეუნარიანობა და ა.შ.) გადაიხედება და ერთ-ერთი მათგანის დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევს უარს, როგორც დაუშვებელ ჩართვაზე.[627] გფრ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე პარაგრაფის შესაბამისად, „(1) დამატებითი ჩართვის მოსურნე პირების საქმეში ჩართვა საქმის წარმოების განმახორციელებელ სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენით ხდება, ხოლო თუ საქმეში ჩართვა გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხდება, მაშინ საჩივრის განმხილველ სასამართლოში საპროცესო დოკუმენტის წარდგენით. შუამდგომლობა ორივე მხარეს უნდა მიეწოდოს და იგი უნდა შეიცავდეს:

---

622 *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5) § 68 Rn 1.

623 *Pohlmann P.,* Zivilprozessrecht, 2009, Verlag C.H. Beck, München. (Fn 60) § 14 Rn 74.

624 *Давтян. А. Г*, Гражданское Процессуальное Право Германии, Москва, 2000, 212.

625 *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5) § § 69 Rn 3.

626 *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.,* Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34. (Fn 6§ 69 Rn 4.

627 *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010, Fn 8) § 50 Rn 16.

1) მხარეთა და საქმის დასახელებას (ამ შემთხვევაში საკმარისია სასამართლოს ინსტანციის შესაბამისი საქმის სარეგისტრაციო ნომრის მითითება);[628]
2) კონკრეტულ ინტერესზე მითითებას, რომელიც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირს გააჩნია;
3) საქმეში ჩართვის შუამდგომლობას.
გარდა ამისა შუამდგომლობაზე ვრცელდება სარჩელის მომზადების ზოგადი წესები. დაკმაყოფილებული უნდა იყოს პერსონალური მოთხოვნები (მხარეუნარიანობა, პროცესი და ა.შ.). წარმომადგენლობის შემთხვევაში უნდა არსებობდეს მოქმედი შესაბამისი მინდობილობა. აღნიშნული მოთხოვნების დაუცველობა გამოიწვევს ჩართვაზე უარს, როგორც დაუშვებელს.[629]
ჩართვაზე ნების დართვისათვის განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს წერილობით საქმის განმხილველ სასამართლოში, ხოლო საჩივარი ჩართვაზე კავშირის დადგენაზე - ზემდგომ ინსტანცაში.[630] მესამე პირის დაშვებაზე შიდა დავა შეიძლება წამოიჭრას 71-ე მუხლის 1 პუნქტით ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება დაშვების პირობების შემოწმება სასამართლო განხილვის საგანი.[631] 66-ე მუხლის თანახმად აუცილებელია არსებობდეს „საქმის განხილვაში ყოფნა".[632]
გფრ-ს 71-ე მუხლის შესაბამისად დამატებით ჩართულის საქმეში ჩართვის შუამდგომლობაზე უარის შესახებ შუალედური გადაწყვეტილება გამოიტანება მხარეებსა და მესამე პირებს შორის ზეპირი განხილვის შემდეგ. შეუალედურ გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია დაუყოვნებლივი კერძო საჩივრის შეტანა. სასამართლო საკითხს, დაუყოვნებლივი საჩივრის მიმართ გადაწყვეტს შუალედური გადაწყვეტილებით.[633] აღნიშნული ქმნის მესამე პირების ინტერესთა დაცვის უფრო მყარ მექანიზმს მით უმეტეს, რომ ამ პარაგრაფის შემდეგი პუნქტით გათვალისწინებულია უფლებათა დაცვის უფრო ფართო სპექტრი: (3) დამატებით ჩართვის მოსურნე პირების საქმეში ჩართვაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე იგი ერთვება ძირითად სასამართლო წარმოებაში. ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ პირს უარი ეთქვა საქმეში ჩაბმაზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა, იგი ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე პროცესის მონაწილის სტატუსით სარგებლობს. აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტორიც რომ აღნიშნული საკითხისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა აქვს იაპონიის სამოქალაქო პროცესს, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ გერმანულ სამართალს ეფუძნება.
დამატებითი ჩართვის (Die Nebenintervention) მაგალითს წარმოადგენს ბერლინის რეგიონალურ სასამართლოში აღძრული დავა. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა "AVM Computersysteme Vertiebs GmbH" (AVM), ხოლო მოპასუხეს "Cybits AG" (Cybits). აღნიშნულ დავაში დამატებით ჩართვა მოითხოვა ჰარალდ ველტმა, რომელიც თვლიდა, რომ სარჩელი

[628] *Bawnbach*. Op. cit. S 219.
[629] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 50 Rn 16.
[630] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 50 Rn 17.
[631] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010, § 50 Rn 19.
[632] *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.,* Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34. (Fn 6§ 66 Rn 4;
[633] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 107.

უკანონო იყო, ვინაიდან ორივე მხარე მის ლიცენზიანტებს წარმოადგენდნენ. მისი ჩართვის საფუძველი აღმოჩნდა, დასაბუთება, რომ ორივე მხარე მის ლიცენზიას იყენებდა და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ზიანი მის უფლებებსაც მიადგებოდა.[634]

2.2.4. დავის შეტყობინება Streitverkündung

გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ცალკე ტერმინებით გამოყოფს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე პირთა ჩართვის სახეებს იმისდა მიხედვით, თუ ვისი ინიციატივით ხდება აღნიშნული. ქართულ პროცესშიც არის მცდელობა რომ ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს საკუთარი და მხარის ინიციატივით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩართვა, თუმცა კოდექსი მათ დამოუკიდებელი ტერმინებით არ მოიხსენიებს. მხარის ინიციატივით მესამე პირი შესაძლოა პროცესის მონაწილე გახდეს ეგრეთწოდებული „დავის შეტყობინებით" Streitverkündung კოდექსის 72-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. არის მოსაზრება, რომ დავის შეტყობინება წარმოადგენს დამატებითი ჩართვის საპროცესო ექვივალენტს.[635] ეს შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მესამე გარეშე პირისათვის პროცესის ძირითადი მხარის მიერ ფორმალური შეტყობინება სასამართლოში მიმდინარე დავის შესახებ.[636] აღნიშნული მუხლი იცავს იმ მხარის უფლებებს, რომელთაც შეუძლიათ რეგრესის წესით ანაზღაურება მოსთხოვონ მესამე პირს. გფრ-ს 72-ე მუხლის თანახმად „(1) მხარეს, რომელიც თვლის, რომ დავის მის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურებას მესამე პირს მოსთხოვს ან მესამე პირისაგან ასეთი მოთხოვნის წამოყენებას უფრთხის, შეუძლია საქმეზე დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ამ მესამე პირს დავის შესახებ შეატყობინოს. მესამე პირს უფლება აქვს დავის შესახებ სხვა პირებსაც შეატყობინოს.
სადავო მიმართვის მთავარი მახასიათებელია, ის, რომ აღნიშნული ერთერთი მხარის ინიციატივით ხორციელდება. სადავო მიმართვას „res iudicata"-ს ალტერნატივადაც მოიხსენიებენ[637], ვინაიდან მის ძირითად მიზანს წარმოადგენს შეერთების უფლების მქონე პირის სურვილის წინააღმდეგ მასზე „ჩართვის გავლენის" "Interventionswirkung" გავრცელება (პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ადგილი აქვს რეგრესული შესაძლებლობების შემთხვევაში). §66-ის მიხედვით საქმეში ყოველი შეერთების უფლებამოსილების მქონე პირის ჩართვაა შესაძლებელი. ხოლო, უფლებამოსილების არმქონე პირის შეერთება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით გამოირიცხულია.[638]
დავის შეტყობინების მნიშვნელობა მისი განხილვის ეფექტში მდგომარეობს. ის არის პროცესის მხარის საშუალება, მესამე მხარე ჩართოს პროცესში. დავის შეტყობინებამ პრევენცია უნდა მოახდინოს,

[634] 16 O 255/10 Lendgericht Berlin, 08.11. 2011.
[635] *Pohlmann P.,* Zivilprozessrecht, 2009, Verlag C.H. Beck, München. (Fn 60) § 14 Rn 58.
[636] *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.,* Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34. (Fn 6) § 72 Rn 1.
[637] *Heinze Dr. Ch. A.,* LL.M. (Cantab.) Max-Planck-Institute for Comparative and International Private Law, REPORT, The Effect in the European Community of Judgments in Civil and Commercial Matters: Recognition, Res Judicata and Abuse of Process, Germany, Mittelweg 187 D-20148 Hamburg, Germany, 30.
[638] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 108.

რომ სხვადასხვა პროცესზე განსხვავებულად არ იქნეს სიტუაცია განხილული.[639] დავის შეტყობინება დამატებითი ჩართვის ეფექტს გამოიწვევს, ამიტომ იგი განხილულ უნდა იქნეს ყოველთვის დამატებით ჩართვასა და მის შედეგებთან ერთად.[640]

დავის შეტყობინება დასაშვებია თუ არსებობს შეტყობინების საფუძველი, დავა დაწყებულია და განცხადება სწორადაა წარდგენილი.[641] დავის შეტყობინების წინაპირობები ძირითად პროცესზე არ განიხილება, მაგრამ ყველა შემთხვევაში შემდგომი პროცესზე შეზღუდვის ეფექტს თუ გამოიწვევს საჭიროებს სასამართლო კონტროლს. განსხვავებით 66-ე მუხლისა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზეა ჩართვა შესაძლებელი და არა გადაწყვეტილების გამოტანამდე.[642]. დავის შეტყობინება ხდება, როდესაც პირი, აპირებს პროცესის უარყოფითი შედეგების გამო მესამე პირს გარანტიის ან რეგრესისათვის უჩივლოს. არსებობს თუ არა საფუძველი ამის შეფასება უნდა მოხდეს დავის შემტყობინებლის პერსპექტივიდან მოსალოდნელ დავასთან დაკავშირებით. 72-ე მუხლი ადგენს დავის შეტყობინების საფუძველს: მოდავე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დავა მისთვის არახელსაყრელად დასრულდება[643], ელოდება მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურებაზე ან რეგრესზე სარჩელის წაყენებას[644] ეს შეიძლება იყოს გფრ-ს სამოქალაქო კოდექსის §§ 434, 437, 441 BGB, §§ 377 ff HGB, §§ 633 ff BGB გათვალისწინებული საფუძვლები. თუმცა სავალდებულო არ არის, რომ შემდეგი პროცესი აუცილებლად ამ საფუძვლებით დაიწყოს. საკმარისია არსებობდეს რესურსი ასეთი სარჩელის აღძვრისათვის.[645]

სამართლებრივი მოთხოვნები დავის შეტყობინებისათვის იგივეა, რაც დამატებითი ჩართვისათვის. თუმცა მესამე პირების განსხვავებული პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე შესაძლებელია სამი თანავარსკვლავედის წარმოქმნა: მესამე პირი დავის წამომწყებს დაეხმარება; მესამე პირი ოპონენტის მხარეს დაიკავებს; მესამე პირი რეაგირებას არ მოახდენს.[646]

განსაზღვრულია ასევე დავის შეტყობინების ფორმაც: (§ 73.) დავის შესახებ შეტყობინების მიზნით მხარემ უნდა წარადგინოს შუამდგომლობა, რომელშიც მითითებული იქნება დავის შეტყობინების საფუძვლები და დავის მდგომარეობა. შუამდგომლობა მესამე პირს ეგზავნება, ხოლო მისი ასლი დავის შემტყობინებელი მხარის მოწინააღმდეგეს ბარდება. შეტყობინების შედეგები მხოლოდ მესამე

---

[639] *Pohlmann P.,* Zivilprozessrecht, 2009, Verlag C.H. Beck, München. (Fn 60) § 72 Rn 58.

[640] *Schmitt S., Wagner T.,* Die Beteiligung Dritter am Zivilprozess, DOI 10.1515/jura-2014-0043 Juristische Ausbildung 2014(4): 377;

[641] *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.,* Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34. (Fn 6) § 72 Rn 4f.

[642] *Pohlmann P.,* Zivilprozessrecht, 2009, Verlag C.H. Beck, München. (Fn 60) § 14 Rn 64.

[643] *Pohlmann P.,* Zivilprozessrecht, 2009, Verlag C.H. Beck, München. (Fn 60) § 14 Rn 60, 61.

[644] *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010 , (Fn 8) § 51 Rn 12.

[645] *Schultes H. J.,* Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012, (Fn 5) § 68 Rn 9, 12.

[646] *Schmitt S., Wagner T.,* Die Beteiligung Dritter am Zivilprozess, DOI 10.1515/jura-2014-0043 Juristische Ausbildung 2014(4), 379.

პირისათვის შეტყობინების ჩაბარების მერე დგება.[647] (§ 74.) დავის შესახებ შეტყობინების შედეგები ასეთია:
(1) თუ მესამე პირი შეუერთდება პირს, რომელმაც დავის შესახებ შეატყობინა, მისი ურთიერთობა მხარეების მიმართ განისაზღვრება პრინციპებით, რომლებიც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირების საქმეში მონაწილეობის შემთხვევაში მოქმედებენ.
(2) თუ მესამე პირი საქმეში ჩართვაზე უარს ამბობს ან არ შუამდგომლობს ჩართვაზე, მაშინ საქმის მსვლელობა გრძელდება და მესამე პირი მხედველობაში არ მიიღება.
(3) წინამდებარე პარაგრაფით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში 68-ე პრაგრაფით გათვალისწინებული წესები აღნიშნული მესამე პირის მიმართ გამოიყენება შემდეგის გათვალისწინებით: საქმეში ჩართვის მომენტის ნაცვლად, გადამწყვეტად მიიჩნევა მომენტი, როცა საქმეში ჩართვა შესაძლებელი იყო დავის შესახებ შეტყობინების საფუძველზე.[648]
საინტერესოა დამატებითი ჩართვის ხარჯების საკითხი. ისინი მოწინააღმდეგე მხარეს ეკისრება, თუ მან უნდა დაფაროს პროცესის ხარჯები, თუ არა მაშინ ჩამრთველს. შესაბამისად არასოდეს ეკისრება იმ მხარეს, რომელსაც მხარს უჭერენ (101 I); ის იღებს უფასო დახმარებას.[649]

იმ შემთხვევაში თუ პირი დავაში ჩაერთვება, მისი ურთიერთობა მხარეებთან 74-ე მუხლით დარეგულირდება. მისი მიმართვა 66-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებსა და 70-ე მუხლით გათვალიწინებულ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი საქმისწარმოებაში არ ჩაერთვება, 74-ე მუხლი მისთვის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვას ადგენს.[650]
მას შემდეგ, რაც მესამე პირი პროცესში ჩაერთვება და შეძლებს ყველა საპროცესო მოქმედების შესრულებას, გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დადგენილებებს ასევე შუალედური ძალა ექნება მხარდაჭერილი მხარისა და მესამე პირისათვის. ეს არ ვრცელდება მხოლოდ მაშინ და იმდენად, თუ ჩართულმა წინასაპროცესო მსვლელობაზე გავლენის მოხდენა ვერ შეძლო, რადგან მისი პროცესში შესვლის დროისათვის წინასაპროცესო მსვლელობა ჩავლილი იყო და ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ის შეძლებდა მხარის მხარდაჭერისათვის საპროცესო მოქმედებების განხორციელებას (Rz 127) ან იმიტომ, რომ მხარდაჭერილ მხარეს თავდასხმისა და თავდაცვის საშუალებები განზრხ ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ გამოუყენებია. რაც შეეხება საბოლოო გადაწყვეტილებას, ინტერვენციის/საქმეში ჩაბმის გავლენა სცდება კანონიერი ძალის გავრცელების ზემოქმედების ფარგლებს (მაგ. § 325), რადგანაც იგი ვრცელდება, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი სახის პრეიუდიციულ დადგენებზეც.[651]

---

[647] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver , Москва, 2006, 21.
[648] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver , Москва, 2006, 23.
[649] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000,106.
[650] *Musielak H. J., Weth S.*, Kommentar zur Zivilprozessordnung ZPO,, Aufl Verlag Franz Vahlen München 2013, 10, Vorbemerkung (Fn 2) § 74 Rn3.
[651] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000,106.

სამოქალაქო საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მესამე პირის ჩაბმას მატერიალურ-სამართლებრივი ზემოქმედებებიც აქვს. იმდენად, ხანდაზმულობის შეწყვეტა (§ 209 II nom. 4, § 215) და უფლებების მიღება ყიდვის შემთხვევაში ნაკლის არსებობის დროს (§ 478 I 2 და ნარდობის ხელშეკრულება (§ 639 BGB).
როგორც საკუთარი ისე მხარეთა ინიციატივით მესამე პირის ჩართვას სამოქალაქო საქმეში შედეგად აქვს შესაძლო შემდგომი პროცესის მნიშვნელოვნად წინასწარ გადაწყვეტა. სამოქალაქო საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მესამე პირის ჩაბმისას შესაძლოა განსაკუთრებულად დაისვას საკითხი, ეს ზემოქმედებები მხოლოდ მაშინ ხომ არ დგება, როდესაც სასამართლო მომდევნო პროცესისთვისაც კომპეტენტურია. (თუ მომდევნო პროცესისთვის სხვა სასამართლო იურისდიქცია იქნებოდა მოცემული), რასაც უარყოფითი პასუხი აქვს: სამოქალაქო საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მესამე პირის ჩაბმა მნიშვნელოვნად გაუფასურდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა იქნებოდა, რომ სასამართლო ორივე პროცესისთვის კომპეტენტური უნდა იყოს. ამ დროს არც უნდა დიფერენცირდეს სხვადასხვა კომპეტენტურობის ფორმა: იურიდიული პროცედურის განსჯადობა განხილულ უნდა იქნეს როგორც მაგალითად ადგილობრივი ან ნივთობრივი განსჯადობა. თუმცა მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს განსჯადობა ხელშეკრულებით დაარეგულირონ. მათ ასევე შეუძლიათ შეთანხმდნენ იმასთან მიმართებაში, რომ სამოქალაქო საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მესამე პირის ჩაბმა მხოლოდ მაშინ იქნება დასაშვები, როდესაც სასამართლო კომპეტენტურია პირის ჩამბმელ მხარესა და ჩაბმულ მესამე პირს შორის პროცესისთვის[652]

2.2.5 მესამე პირის ჩართვა სასამართლოს ინიციატივით

გერმანული პროცესი ასევე ითვალისწინებს საქმეში მესამე პირის ჩართვას სასამართლოს ინიციატივით. აღნიშნული პრობელმატურ საკითხადაა მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში.[653] თუმცა იშვიათად მაგრამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სამოქალაქო პროცესში შესაძლებელია ისეთი გარემოებები შეიქმნას, რომლის დროსაც მესამე პირს საქმის განხილვაში მონაწილეობის საშუალება უნდა მიეცეს. სამაგალითოდ მოყვანილია შემთხვევა: როდესაც სასამართლო იხილავს „ა “პირის დავას და იცის რომ მას „ბ” თანამესაკუთრე გააჩნია, თანამესაკუთრის საქმეში ჩართვისათვის საკმარისია სასამართლოს დადგენილება „ა” ინფორმირების გარეშე.[654]
გერმანიის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 103-ე მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება მოსმენილ იყოს. ეს წესი მხარეების მიღმა ყველა პირზე ვრცელდება, რომელსაც შეიძლება პირდაპირ შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება.[655] სასამართლო ვალდებულია საქმეში ჩართოს მესამე პირი, თუ გადაწყვეტილება პირდაპირ ამ პირის კანონიერ

[652] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 109.
[653] *Wieczorek B. Schütze R. A:* Zivilprozessordnung und Nebengesetze, Band 1: Einleitung, §§ 1-127a, Teilband 1: Einleitung, §§ 1-49, 3. Auflage 1994, Berlin/New York.
[654] Vgl. Bundesverfassungsgericht 1982, 1635.
[655] BVerfG, NJW 1988, 1963 (1963); 1982, 1635 (1635); 1967, 492, (492).

ინტერესებს შეეხება.[656] თუმცა თუ პირი ჩართული არ იქნება, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილი არ იქნება.[657] მესამე პირებს შეუძლიათ გადაწყვეტილების სამართლებრივი ქმედებები მიმართ განახორციელონ.[658] ეს გასაჩივრებისათვის განსაზღვრულ ვადაში უნდა მოხდეს.

2.2.6 კრედიტორების დავა - Der pratendentenstreit

75-ე მუხლი არეგულირებს ე.წ. კრედიტორების დავას - Der pratendentenstreit, რომლის შესაბამისადაც, თუ მოვალე, რომლის მიმართაც წარდგენილია მოთხოვნა, დავის თაობაზე შეატყობინებს იმ მესამე პირს, რომელსაც პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს დავის საგანზე, და ეს მესამე პირი საქმეში ჩაერთვება, მაშინ მოპასუხე, თუ იგი მოდავე კრედიტორების სასარგებლოდ დეპოზიტზე სადავო ოდენობას შეიტანს, თანხის დაბრუნების მოთხოვნაზე უარის თქმის პირობით, თავისი შუამდგომლობით საქმეს გამოეთიშება და გამოიყოფა ხარჯები, რომლებიც მისმა დაუსაბუთებელმა წინააღმდეგობამ გამოიწვია. ხოლო მითითებულ მოთხოვნაზე დავა მხოლოდ მოდავე კრედიტორებს შორის გაგრძელდება. მხარეს, რომლის სასარგებლოდაც დავა დამთავრდება, დეპოზიტზე შეტანილი თანხა მიეკუთვნება. ხოლო მხარეს, რომელმაც დავა წააგო, დაეკისრება მოპასუხისათვის არა დაუსაბუთებელი პრეტენზიით გამოწვეული, არამედ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, მათ შორის დეპონირების ხარჯები.[659]
ჩართვის ამ სახის არსში გარკვევისათვის მიზანშეწონილია შემდეგი მაგალითის მიმოხილვა: K უჩვის B-ს სესხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. Z ამტკიცებს, რომ მოთხოვნა მას ეკუთვნის, და არა K-ს. B მესამე პირის სახით ჩააბამს სამოქალაქო საქმეში Z-ს. იმ შემთხვევაში, თუ Z პროცესში შევა, აღნიშნული გაგრძელდება K-სა და Z-ს („პრეტენდენტებს“) შორის.[660]

2.2.7 Urheberbenennung (ავტორის დასახელება)

76-ე და 77-ე მუხლები არეგულირებენ ავტორის დასახელებას (Urheberbenennung). 76-ე მუხლის შესაბამისად, თუ პირი, რომელსაც ნივთის მფლობელობის მოთხოვნა აქვს წამოყენებული, ამტკიცებს, რომ ის ნივთს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალურთიერთობის საფუძველზე ფლობს, შეუძლია საქმის არსებითად განხილვამდე წარმოადგინოს განცხადება, რომელშიც მიუთითებს არაპირდაპირ მფლობელს და მისთვის დავის შეტყობინების შესახებ და შუამდგომლობს მის მიერ ახსნა-განმარტების მიცემაზე.

---

[656] BVerfG, NJW 1967, 492, (492).

[657] *Wieczorek B. Schütze R. A:* Zivilprozessordnung und Nebengesetze, Band 1: Einleitung, §§ 1-127a, Teilband 1: Einleitung, §§ 1-49, 3. Auflage 1994, Berlin/New York, (Fn 67) Vor § 64 Rn 18.

[658] Vgl BGH, NJW 1984, 353 zu § 640 e ZPO aF.

[659] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver , Москва, 2006, 24.

[660] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000,106.

ახსნა-განმარტების წარმოდგენამდე ან სხდომის დამთავრებამდე, რომელზეც გამოძახებული პირი ახსნა-განმარტებას იძლევა, მოპასუხეს შეუძლია საქმის არსებითად განხილვაზე უარი თქვას.
თუ გამოძახებული პირი მოპასუხის მტკიცებას გააპროტესტებს ან განმარტებას არ წარმოადგენს, მოპასუხეს უფლება აქვს სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილოს.
თუ გამოძახებული პირი მოპასუხის მტკიცების სიმართლეს აღიარებს, მოპასუხის თანხმობით პროცესში მის ადგილს დაიკავებს. მოსარჩელის თანხმობა საჭიროა, თუ იგი აყენებს მოთხოვნას, რომელიც დამოკიდებული არ არის იმაზე, რომ მფლობელობა ზემოხსენებულ საფუძველს ეფუძნება.
გამოძახებული პირის საქმეში ჩართვის შემთხვევაში მოპასუხე მისი შუამდგომლობით საქმეში მონაწილეობისაგან თავისუფლდება. საქმეზე გადაწყვეტილება ნამდვილი და აღსრულებადია ისევე როგორც მოსახუსადმი იქნებოდა.
შემთხვევის ილუსტრაცია შესაძლებელია შემდეგი მაგალითით. K უჩივის B-ს ნივთის დაბრუნებასთან დაკავშირებით. B ამბობს, რომ მას ეს საერთოდ არ ეხება, იგი მხოლოდ დამქირავებელია; გამქირავებელი არის V. იგი მას არაპირდაპირ მფლობელად ასახელებს.[661]
აღნიშნული მექანიზმი შინაარსით არასათანადო მოპასუხის ინსტიტუტს ჰგავს, თუმცა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოიხსენიება, როგორც მესამე პირის ჩართვის ერთ-ერთი სახე.
77-ე მუხლის შესაბამისად, თუ ნივთის მესაკუთრეს ან პირს, რომელსაც აქვს უფლება განსაზღვრულ ნივთზე, წარუდგინეს სარჩელი საკუთრების ან ასეთი უფლების დარღვევაზე, დარღვევის შეწყვეტის ან ხელშეშლის აღკვეთაზე, 760-ე მუხლის წესები გამოიყენება, ვინაიდან მოპასუხე ამტკიცებს, რომ ხელშეშლა მესამე პირის მიერაა ჩადენილი.[662]
გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 თავი არეგულირებს საარბიტრაჟო საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გერმანიაში არსებული პრაქტიკის თანახმად მხარე აცნობებს მესამე მხარეს მათი საარბიტრაჟო დავის შესახებ. სამოქლაქო საპროცესო კოდექსის 78 მუხლის შესაბამისად არბიტრაჟი მხარის შუამდგომლობით ახდენს მესამე პირების მოწვევას. მსჯელობის საგანია თუ ამდენად სწორია ასეთი პრაქტიკა.[663] არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. დავის შეტყობინების შესაძლებლობა საარბიტრაჟო პროცესში დადებითად მიიჩნევა.[664] დავის შეტყობინება შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ეტაპზე, თუ შემტყობინებელს აქვს ამის უფლება.[665]

---

[661] *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000, 107.
[662] Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006, 24.
[663] ***Haberbeck Ph. H.*, Streitverkündung und Nebenintervention im Schlichtungsverfahren? Z.Z.Z 2013 269**
[664] *Morf R*, in: Myriam A. Gehri/Michael Kramer (Hrsg.), Zürich 2010, ZPO Kommentar, Art. 78 N. 5 S. 184
[665] *Staehelin A. Staehelin D. Grolimund P*. Zivilprozessrecht nach dem Entwurf für eine schweizerische Zivilprozessordnung und weiteren Erlassen – unter Einbezug des internationalen Rechts, Zürich/Basel 2008, § 13, Rz. 66.

2.3. მესამე პირები საფრანგეთის სამოქალაქო პროცესში

დღევანდელი საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი სისტემა სათავეებს საფრანგეთის 1806 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან იღებს *(Code de procédure civil.* იგი არა მარტო საფრანგეთის, არამედ სხვადასხვა ევროპული ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართლის კოდიფიკაციისა და რეფორმების საფუძველია. 1804 წლის სამოქალაქო და 1806 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსები რევოლუციური მიღწევებისა და რეაქციული ტრადიციონალიზმის მიქსტურას წარმოადგენდნენ.[666] აღნიშნულმა კოდექსმა ახალი და რადიკალურად განსხვავებული იდეა წარმოქმნა,[667] რომელიც შემდგომში ევროპული საამრთლებრივი სისტემების ამოსავალი წერტილი გახდა. იდეის არსი მდომარეობდა სამოქალაქო სამართალწარმოების კერძო, მხოლოდ მხარეთა ინტერესებს საკითხად მიჩნევაში. საფრანგეთის კოდექსის მიხედვით პროცესის მონაწილე მხარეები და მესამე პირები თავისუფლებად ითვლებოდნენ, იმის გადაწყვეტაში, თუ როგორ უნდა წარემართათ თავისი საქმის მსვლელობა.[668]

დღეისათვის მიმდინარე სამოქალაქო საქმისწარმოება დარეგულირებულია 1975 წელს მიღებული მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.[669] ამ კოდექსით მოსამართლის ძალაუფლება გაიზარდა, თუმცა მხარეთა ავტონომიის პრინციპი მაინც პირველ ადგილას დგას.[670] კოდექსის მეორე თავი ე.წ. შუალედურ („INTERLOCUTORY) საჩივრების სახეებს განსაზღვრავს: შეგებებული სარჩელი, დამატებითი სარჩელი და შეჭრა (intervention). შეჭრას 66-ე მუხლი შემდეგნაირად განმარტავს: მესამე პირის შეჭრა ნიშნავს საჩივარს, რომლის მიზანია მესამე პირს ნება დაერთოს, შეუერთდეს თავდაპირველი საქმისწარმოების წამომწყებ მხარეებს. ამავე მუხლითაა განსაზღვრული შეჭრის სახეები: როდესაც სარჩელი მესამე პირისაგან მოდის, შეჭრა ნებაყოფლობითია. შეჭრა შესაძლოა არანებაყოფლობითი იყოს, იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი გამოძახებულია მხარის მიერ (საქმეში ჩართვის მიზნით).[671]

ფრანგული საპროცესო სამართლის მიხედვით შუალედური სარჩელი ჩართვის თაობაზე მისი შემტანი მხარის მოთხოვნებსა და არგუმენტებს უნდა შეიცავდეს და ახლდეს დამხმარე დოკუმენტაცია. შუალედური საჩივრები მონაწილე მხარეების წინააღმდეგ იმავე გზით შეიტანება,

---

666 *Wijffels A.*, The Code de procédure civile (1806) in France, Belgium and the Netherlands in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008, 5.

667 *Uzelac A.* Turning Civil Procedure upside down: From judges´ Law to Users Law´; in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008.413.

668 *Van Rhee C.H.*, Harmonisation of Civil Procedure of Civil Procedure: An Historical and Comparative Perspective, Maastricht University, July 2011,13.

669 French civil procedure code, 1975.

670 *Ng G. Y.*Case Management: Procedural Law v best practices, Judicial case management and efficiency in the Netherlands, , Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007. 126.

671 French Code of Civil Procedure, 1975, Mise A jour Legifrance Le 15 sept 2003, <http://www.legifrance.gouv.fr/html/codes_traduits/ncpcatext.htm>.

როგორც ხდება მოპასუხის არგუმენტების წარდგენა. შუალედური მოთხოვნები ვალდებულების არ შემსრულებელი მხარეების ან მესამე პირების წინააღმდეგ საქმისწარმოებისათვის დადგენილი ფორმით შეიტანება. საჩივრების შეტანა საოქმო უწყებების გზითაც შესაძლებელია. რაც შეეხება ინსტრუმენტს, რომლითაც შუალედური სარჩელები შეიტანება, წარმოადგენს განცხადება, რომელიც სხვა მხარეებსაც უნდა გადაეგზავნოს.

შეგებებული და დამატებითი სარჩელები მესამე პირების მოთხოვნების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ისინი თან ერთვის თავდაპირველ სარჩელს შესაბამისი გაქვითვით. თუმცა, საჩივარი დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული გაქვითვის გარეშეც, თუ მოსამართლე გადაწყვეტს, რომ საქმის წარმოების გაყოფა დააყოვნებს საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანას.

ამასთან, ყურადსაღებია, რომ საფრანგეთი მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელშიც მესამე პირის საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით საქმის წარმოება ჩერდება. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მოპასუხეს განუსაზღვროს საქმეში მესამე პირის ჩართვის ვადა. საქმის წარმოება მესამე პირის გამოჩენისათვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ განახლდება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი ცალკე მიმართავს მოსამართლეს განსაზღვრულ პერიოდში. ხოლო კოდექსის 110-ე მუხლის შესაბამისად მოსამართლეს შეუძლია საქმის წარმოება შეაჩეროს, თუ მხარე მესამე პირის მიერ სადავო საკითხზე პროცესის არსებობის შესახებ მიუთითებს. მხარეს მისთვის უფლებამოსილი შუამდგომლობების დაყენება შეუძლია ამ ვადის ამოწურვის შემდგომ.

რაც შეეხება უფლებათა ფარგლებს, კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად მესამე პირს, შესაძლოა მოსამართლის მიერ თანხმობა მიეცეს, რომ საქმის მასალებზე კონსულტაცია მიიღოს და გადაიღოს ასლები, სადაც დასტურდება მისი იგივე იურიდიული ინტერესი.

169-ე მუხლის შესაბამისად, პროცესში მესამე პირის შეჭრის შემთხვევაში, სასამართლო მოხელე მაქსიმალურად სწრაფად აცნობებს მოსამართლეს ან ექსპერტს რათა მოსამზადებელი კვლევა განახორციელონ.[672]

ასევე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სასამართლო მედიაციის ფარგლებშიც ნახსენებია მესამე პირები. კოდექსის 131-8-ე მუხლის შესაბამისად მედიატორს მხარეებისათვის დირექტივების მიცემის უფლება არ აქვს, ვინაიდან მხოლოდ მხარეთა თანხმობით და მედიაციის მიზნებისათვის შეუძლია მოუსმინოს ნებაყოფლობით ჩართულ პირებს.

ამასთან, საქმის მსვლელობის დროს ფრანგულ სამოქალაქო პროცესში შესაძლებელია შემდეგი ჩართვის სახეც: მხარეებს, და ჩართულ პირებთან ერთად შესაძლებელია განხილვაში ჩაერთოს პროკურორი, როგორც მესამე პირი (partie jointe) და გამოხატოს თავისი მოსაზრება კანონის გამოყენების თაობაზე.[673]

---

[672] *Wijffels,* French Civil Procedure, (1806-1975), 25.

[673] *Cadiet L.,* Introduction to French Civil Justice System and Civil Procedural Law Ritsumeikan Law Review, No. 28, 2011, 358.

2.4. მესამე პირები იტალიის საპროცესო კანონმდებლობაში

სამოქალაქო საქმის განხილვაში მესამე პირების ჩართვა რეგულირდება იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 106-ე მუხლებით. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იტალიის სსკ გარდა იმისა, რომ 105-106 მუხლებით ჩართვის სახეებს განსაზღვრავს, 267-270-ე მუხლებით ამ პირთა საქმის განხილვაში ჩართვისათვის შესასრულებლად სავალდებულო პროცედურებს ადგენს. აღნიშნული იტალიის კანონმდებლის მიერ ჩართვის ინსტიტუტისათვის მინიჭებულ მაღალ მნიშვნელობაზე მიანიშნებს.

105-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად პირებს, რომლებიც თავდაპირველად არ მონაწილეობენ საქმის განხილვაში, შეუძლიათ პროცესის მსვლელობისას ჩაერთონ საქმის განხილვაში.[674] ჩამრთველს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს ორივე ან ერთ-ერთ ძირითად მხარეს. იტალიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ჩართული საქმის განხილვაში შეიძლება თავისი ინიციატივით ან არასავალდებულო თანამონაწილეობით ჩაერთოს. ნებაყოფლობით ჩართულები სამ კატეგორიად იყოფიან: ჩართვის პირველი სახეა (intertvento principale), როდესაც მოთხოვნა მიმართულია მიმდინარე სამართალწარმოებაში წაყენებულ დავის საფუძველზე (causa petendi) ან მოთხოვნაზე (petitum) სრულად.[675] მაგალითად, მოსარჩელე მოპასუხეს ედავება სახლის საკუთრების უფლებაზე და მესამე პირის მოთხოვნას აყენებს რომ ეს სახლი მისია და არა მოდავე მხარეების.

ნებაყოფლობითი ჩართვის მეორე სახეს წარმოადგენს (intervento litisconsortile) როდესაც, ჩართული თავის მოთხოვნას აყენებს ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ დავის საგნის ნაწილზე.

ნებყოფლობითი ჩართვის მესამე სახეა (intervento adesivo dipendente), როდესაც მესამე პირი ერთვება არა თავისი მოთხოვნის დასაცავად, არამედ ერთ-ერთი ძირითადი მხარის მოთხოვნის ან თავდაცვის დახმარებისათვის. ამ შემთხვევაში ჩართულს საქმისადმი ინტერესი უნდა გააჩნდეს.

ისსკ-ს 167-ე მუხლის შესაბამისად იმისათვის რომ მესამე პირი საქმის განხილვაში ჩაერთოს, საჭიროა სხდომაზე ან ადვოკატის ოფისში შეავსოს შეპასუხება. თუ პირი შეპასუხებას მოსმენის დროს არ შეავსებს, სასამართლო მოხელეს შეუძლია მხარეები გააფრთხილოს მესამე პირის ჩართვის განზრახვაზე. თუ მოხელე მხარეებს ვერ გააფრთხილებს, ჩართვა მაინც შესაძლებელია, თუ პროცესები რეგულარულია და მხარეთა მიერ უფლების დაცვის თანაბარი შესაძლებლობის პრინციპს შეესაბამება.

რაც შეეხება დროს, თუ როდისაა შესაძლებელი ნებაყოფლობითი ჩართვა, იტალიის სსკ-ს 268-ე მუხლი განსაზღვრავს. ამ მუხლის თანახმადაც ჩართვა მანამდეა შესაძლებელი, სანამ მხარეები თავის დასკვნებს ჩამოაყალიბებენ.[676] თუმცა, აღსანიშნავია, რომ ისსკ-ს 165-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც საქმე საავტორო უფლებებს

[674] Codice di procedura civile, Libro I, Titolo IV, agg. al 11/03/2013, http://www.altalex.com/ art.105.
[675] *Cappelletti M. Perillo J.M.* Civil procedure in Italy. Springer-Science+Business Media B.V, 1965.
[676] *Grossi S., Pagni M. C.* Commentary on the Italian Code of Civil Procedure, Oxford.2010. 247.

ნაწარმოების ეხება, ავტორს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია საქმის განხილვაში ჩაერთოს საავტორო უფლებების დაცვის მიზნით.[677] იტალიის სსკ-ს 106 მუხლით არანებაყოფლობითი ჩართვა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის მიერ ან სასამართლოს ბრძანებით.[678]
ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს პროცესში მესამე პირის ჩართვა, თუ თვლის რომ პროცესი საერთოა ამ პირისათვის, ან თუ აპირებს რომ შემდგომში ამ მხარეს რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს. რეგრესული მოთხოვნით მხარეს სურს მესამე პირისაგან გარანტია მოიპოვოს. ისსკ-ს 167-ე მუხლის თანახმად თუ მოპასუხეს სურს მესამე პირი მოიწვიოს, ეს მან შესაგებლით უნდა გააკეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამ უფლებას კარგავს. ამასთან, შესაგებელში მას შეუძლია პირველი სხდომის გადადება მოითხოვოს, რათა მესამე პირს მომზადების დრო ჰქონდეს. აღნიშნულ ჩართვაზე სასამართლოს დისკრეცია არ გააჩნია. მოპასუხეს მესამე პირის მოწვევისათვის სასამართლოს ნებართვა არ სჭირდება, თუ ის 106-ე მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამის საპირისპიროდ, თუ მოსარჩელე ითხოვს მესამე პირის ჩართვას, მას სასამართლოს თანხმობა ესაჭიროება. სასამართლო ამ დროს მხედველობაში იღებს აუცილებელია თუ არა მესამე პირის ჩართვა. ასევე, თუ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე მყოფი მესამე პირი აპირებს მოიწვიოს მესამე პირი, მანაც უნდა აღძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწვევის უფლებას კარგავს. მხარე მესამე პირის მოწვევისას ავსებს საჩივარს. თუ მესამე პირს საჩივარი სათანადოდ ჩაბარდება, იგი უკვე მესამე პირი ხდება და გადაწყვეტილება მასაც შეეხება.
თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მესამე პირი, რომლისთვისაც პროცესი საერთოა, საქმეში უნდა ჩაერთოს, მხარეებს უბრძანებს მესამე პირი პროცესში შეიერთონ. პირველი ინსტანციის სასამართლოს ასეთი ბრძანების გამოცემა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია, რათა თავიდან აიცილოს პროცესთა სიმრავლე და წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები. საინტერესოა არანებაყოფლობითი ჩართვის თაობაზე სასამართლოს ბრძანების გამოცემის წესი: ის არა პირდაპირ ჩართულის, არამედ ძირითადი მხარეების მიმართ გამოიტანება. მხარეებმა უნდა გადადგან ყველა აუცილებელი შემდგომი ნაბიჯი მესამე პირისათვის შეტყობინებაზე. თუ მხარეები სასამართლოს ბრძანებას არ ასრულებენ, სასამართლო მათ საქმეს პროცესების გენერალური რეესტრიდან ამორიცხავს. თუმცა ეს ამორიცხვა ავტომატური არაა, მანამადე სანამ მხარეები სასამართლოს მოთხოვნას არ შეასრულებენ. სასამართლოს შეუძლია ახალი მოსმენა ჩანიშნოს, თუ მხარეები სასამართლოს ბრძანებას შეასრულებენ და პროცესი გაგრძელდება.[679] თუ პირი საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში არ ერთვება, აპელაციის დროს მას ჩართვის უფლება ერთმევა.[680]

[677] Copyright Litigation Jurisdictional comparisons, General Editors: Thierry Calame, Lenz & Staehelin & Massimo Sterpi, Studio Legale Jacobacci & Associati, Second edition, Thomson Reuters, 2015.
[678] Codice di procedura civile, Libro I, Titolo IV, agg. al 11/03/2013, http://www.altalex.com/ art.106.
[679] *Grossi S., Pagni M. C.* Commentary on the Italian Code of Civil Procedure, Oxford.2010. 245.
[680] *Grossi S.,* A COMPARATIVE ANALYSIS BETWEEN ITALIAN CIVIL PROCEEDINGS AND AMERICAN CIVIL PROCEEDINGS BEFORE FEDERAL COURTS .

2.5. მესამე პირები იაპონურ სამოქალაქო პროცესში

სამართლის ავსტრიულ-გერმანული მოდელი განსაკუთრებით გავრცელდა სამართლებრივ სისტემებში.[681] გერმანული სამართალი და გერმანული დოქტრინა განვითარების წყარო გახდა იაპონური იურდიქციისათვისაც. ეს გახდა იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველი 1890 წელს მიეღო ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი,[682] რომელიც გერმანიის 1877 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე იყო დაფუძნებული.[683] იაპონიის ამჟამინდელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1996 წლის 26 ივნისს იქნა მიღებული. [684] აღნიშნული კოდექსი ძალაში 1998 წელს შევიდა.[685]

იგი 8 ნაწილისა და 405 მუხლისაგან შედგება. განსხვავებით რუსული და ასევე ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსებისაგან, იაპონიის სსკ-ში დამოუკიდებელი თავი არსებობს, რომელიც მესამე პირების სამართლებრივ სტატუსს არეგულირებს. ამ მხრივ იგი საინტერესო გამოცდილებას გვთავაზობს:[686]

მესამე თავის მე-3 ნაწილის მუხლი 42-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად მესამე პირს, რომელსაც საქმის დასასრულისადმი ინტერესი აქვს, შეუძლია საქმის განხილვაში მხარის დახმარების მიზნით ჩაერთოს. ასეთ ჩართვას დამხმარე ჩართვა (supporting intervention) ეწოდება. შუამდგომლობა დამხმარე ჩართვაზე იმ სასამართლოში უნდა გაკეთდეს, სადაც ჩართვასთან დაკავშირებული პროცედურული ქმედებები უნდა შესრულდეს და ჩართვის მიზანი და მიზეზები უნდა მიეთითოს. შუამდგომლობა შეიძლება შეტანილ იქნეს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებით, რომელიც მხარეს უნდა შეესრულებინა. როდესაც რომელიმე მხარე პროტესტს აცხადებს მესამე პირის ჩართვაზე, სასამართლო, განჩინების გამოტანით განსაზღვრავს ჩართვაზე თანხმობას ან უარს. ამ შემთხვევაში მესამე პირმა უნდა განახორციელოს prima facie, მოახდინოს ჩართვის მოტივების მკაფიო დემონსტრირება. მხარეს, რომელმაც ზეპირი არგუმენტები წარმოადგინა ან განცხადება გააკეთა მოსამზადებელ წარმოებაში, ხოლო ზემოაღნიშნული პროტესტი არ გამოუხატია, მომავალში, მისი გამოხატვა აღარ შეუძლია. ჩართვის თაობაზე სასამართლოს განჩინებაზე შესაძლებელია დაუყოვნებლივი აპელაციის შეტანა.

45-ე მუხლით განსაზღვრულია დამხმარე ჩართულის უფლებები, ის საპროცესო მოქმედებები, რომლის განხორციელებაც მას შეუძლია,

---

681 *Van Rhee C.H., ,* The development of civil procedural law in twentieth century Europe: From party autonomy to judicial case management and efficiency, Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007, 11.

682 *Taniguchi Y.* What kind of Civil Procedure for what kind of society? A message from Japan. in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008, 408.

683 *C. H. van Rhee*, European Traditions in Civil Procedure, edited by Van Rhee C.H., Interseria Antwerpen – Oxford, P. Oberhammer; T. Domej, 2005, 103-106.

684 Code of Civil Procedure of Japan, 26.06.1996.

685 Ritsumeikan Law Review No.17 March 2000, Reform of Civil Procedure Law in Japan Masahisa Eguchi.

686 *Горелов М.В*. Третьи лица в гражданском процессе Японии, Арбитражный и гражданский процесс 2016, №4.

კერძოდ: გააკეთოს განცხადება, წარმოადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს პროტესტი, შეიტანოს აპელაცია, შეიტანოს სარჩელი ხელახალ განხილვაზე ან რომელიმე საპროცესო მოქმედების განხორციელებაზე. თუმცა, ეს არ გავრცელდება იმ საპროცესო ქმედებებზე, რომელიც საქმეში მესამე პირის ჩართვამდე შესრულდა. მესამე პირების საპროცესო მოქმედებები ძალაში ვერ შევა, თუ ისინი იმ საპროცესო მოქმედებებს ეწინააღმდეგებიან, რომელიც იმ მხარემ განახორციელა, რომლის დასახმარებლადაც პროცესში ჩაერთო.
მესამე პირებს იმ შემთხვევაშიც შეუძლიათ საპროცესო მოქმედების განხორციელება, თუ მათ წინააღმდეგ გამოხატულია პროტესტი, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება პროცესში დაუშვებლობის თაობაზე კანონიერ ძალაში არ შესულა. იმ შემთხვევაშიც თუ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მესამე პირს პროცესში მონაწილეობის ნებას არ რთავს, ძალაში შევა, მესამე პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი საპროცესო მოქმედება ძალაში შევა, თუ ისინი თავდაპირველ მხარეებზე ვრცელდება.
რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელებას დამხმარე მესამე პირზე, აღნიშნული საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლითაა განსაზღვრული:
სასამართლოს გადაწყვეტილება დამხმარე მესამე პირზეც ვრცელდება, შემდეგი შემთხვევების გარდა:

- როდესაც დამხმარე მესამე პირი იმ მდგომარეობაში არ იყო, რომ საპროცესო მოქმედების განხორციელება შეძლებოდა;
- თუ საპროცესო მოქმედება ძალაში ვერ შევიდა (მხარის მოქმედებასთან წინააღმდეგობის გამო);
- თუ მხარემ, რომელსაც მესამე პირი ეხმარება, მას ხელი შეუშალა საპროცესო ქმედების განხორციელებაში;
- თუ მხარემ, რომელსაც მესამე პირი ეხმარება, განზრახ ან გაუფრთხილებლად არ შეასრულა ის საპროცესო მოქმედება, რომლის განხორციელებაც მესამე პირს არ შეეძლო.

47-ე მუხლი პროცესში დამოუკიდებელი მონაწილის შესვლას განსაზღვრავს. იგი თავისი არსით დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს წააგავს. თუმცა, მესამე პირთა ასეთ დაყოფას იაპონიის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.[687] ამ მუხლის მიხედვით, მესამე მხარე, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი უფლებები შეიძლება პროცესის შედეგით დაირღვეს ან უფლება აქვს დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეიძლება პროცესში მხარედ ჩაერთოს, ხოლო ოპონენტებად პროცესის ორივე ან ერთ-ერთი მხარე მიუთითოს. ამ შემთხვევაში მან წერილობითი განცხადება უნდა წარადგინოს. განცხადება მხარეთა განცხადების წარდგენისათვის დადგენილ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს და ორივე მხარეს უნდა ჩაბარდეს. ამ სახით საქმეში მესამე პირის ჩართვამდე ამ პირისავე თანხმობით მოსარჩელეს ან მოპასუხეს შეუძლიათ პროცესიდან გამოვიდნენ. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება მათზეც გავრცელდება. თუ მესამე პირი ამ წესით საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს ჩაერთვება და დაადასტურებს, რომ მას სრულად ან ნაწილობრივ გადაეცა ის უფლებები, რომელიც სარჩელის საგანს წარმოადგენს, მის ჩართვას

[687] *Горелов М.В*. Третьи лица в гражданском процессе Японии, Арбитражный и гражданский процесс 2016, №4.

უკუქცევითი ძალა ექნება და საქმე განხილვის დაწყების სტადიაში დაბრუნდება. ამ დროს თავდაპირველი მხარეების შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ბრძანება და მესამე პირს სარჩელზე ვალდებულების აღება დაავალოს. ამ ბრძანების გამოტანამდე სასამართლომ მხარეებს (თავდაპირველებს და მესამეს) უნდა მოუსმინოს. თუ მესამე პირის და ერთ-ერთი მხარის სარჩელის ფორმა ერთნაირად ჩამოყალიბდა, მათ შეუძლიათ საქმეში ჩაერთონ როგორც თანამოსარჩელეები ან თანამოპასუხეები.

საქმის განხილვის პროცესში მხარეებს შეუძლიათ პროცესის თაობაზე აცნობონ მესამე პირს, რომელსაც შეუძლია პროცესში ჩაერთოს (53-ე მუხლი). პირს, რომელმაც შეტყობინება მიიღო, შეუძლია სხვა პირსაც აცნობოს. პროცესის თაობაზე ცნობის გაგზავნა მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც სასამართლოში წარდგენილი იქნება დოკუმენტი ჩართვის მიზეზისა და პროცესის სტადიის თაობაზე.

პირი, რომელიც ცნობის მიღების შემდეგ პროცესში არ ჩართულა, შეიძლება პროცესში იმ მომენტიდან ჩაითვალოს ჩართულად, როცა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ შეეძლო პროცესში ჩართვა (აღნიშნული ჩართვის წესი ჰგავს მესამე პირის სავალდებულო მონაწილეობას).

მესამე პირების უფლებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ასევე, ის რომ ამ კოდექსით დაინერგა, საქმის წინასაპროცესო მოსამზადებელი მოსმენა, რომლის დროსაც სასამართლო და მხარეები არაფორმალურად ხვდებიან და წერილობით მტკიცებულებებს იხილავენ, მოსაწვევი მოწმეების თაობაზე საკითხებს. ამ შემთხვევაში მესამე პირსაც შეიძლება სასამართლოს თანხმობით უფლება მიეცეს დაესწროს აღნიშნულ მოსმენას.[688] იაპონურ სამართალში განსაზღვრულია მესამე პირის ჩართვის კრიტერიუმები: მიზანი და მიზეზი, განსაზღვრულია ჩართვის გაპროტესტების დრო – საქმის მომზადების სტადია.[689]

2.6. მესამე პირები ინგლისურ სამოქალაქო საპროცესო სისტემაში

თანამედროვე მსოფლიოს განსხვავებული საპროცესო სისტემები ერთი შეხედვით მნიშვნელოვან განსხვავებებს გვთავაზობენ. აღნიშნული ხშირად აიხსნება სამოქალაქო სამართალწარმოებისადმი განსხვავებული ისტორიული მიდგომებით, რომელსაც შესაძლოა საერთო სამართლისა და სამოქალაქო სამართალის ოჯახები დაერქვას.[690] საერთო სამართალი და კონტინენტური სამართალი ფართოდ გავრცელებული ინტელექტუალური და მორალური ტრადიციების ნაწილს წარმოადგენენ და ბუნებრივია, რომ ისინი ერთმანეთს შედარებითი თვალსაზრისით აკვირდებიან. კონკრეტულ ქვეყნებში აქტიური ფუნქციონირებადი სისტემების შედარების შედეგად ცხადი ხდება, რომ ეს ორი ტერმინი საერთო სამართლის სისტემა (ანდა ანგლო-ამერიკული სისტემა) და კონტინენტური სამართლის სისტემა

[688] The New Code of Civil Procedure in Japan. Toward More Effective Resolution of IP Disputes. October 1997. Dr. Shoichi Okuyama. Izumi Sato, www.sughrue.com/.../new_code.htm

[689] *Горелов М.В*. Третьи лица в гражданском процессе Японии, Арбитражный и гражданский процесс 2016, №4.

[690] *Van Rhee C.H., , Verkerk R.* Civil Procedure, Elgar encyclopedia of comparative law, Second Edition, 2012, p. 140-156.

უფრო აბსტრაქტულია და არც ერთი არაა მონოლითური თავისთავად. თეორიაში არსებული გარკვეული განსხვავებები, ხშირ შემთხვევაში ნაკლებ როლს თამაშობენ პრაქტიკაში და პირიქით. ამ ორ სისტემას ერთმანეთისაგან ნასესხები ან დამოუკიდებლად აქვთ განვითარებული ერთგვაროვანი ინსტიტუტები აქვთ. თუმცა მათ შორის განსხვავებები მაინც დიდია.[691] გარდა ამისა, ოჯახებს შიგნითაც არის სხვადასხვა განმასხვავებელი ნიშნები, რაც შეიძლება გამოიკვეთოს მაგალითად ინგლისის, უელსისა და თუნდაც ამერიკის საპროცესო სამართლის შედარებით. ამასთან, თუ შევადარებთ, თანამედროვე ინგლისის საპროცესო სამართალს ევროპის კონტინენტურ საპროცესო სამართალთან ბევრ მსგავსებას ვიპოვით.[692] (მაგალითად მოსამართლის როლის გააქტიურება საქმის წარმოების დროს კონტინენტური სამართლის მსგავსად[693].) სხვადასხვა კონტინენტური სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემები ინტერესის გამოვლენას აგრძელებენ ინგლისის პროცედურული წესების მიმართ. 19-ე საუკუნის დასასრულს კონტინენტური სამართლის ცივილისტებს ინგლისური სამართლის პროცედურებისადმი ინტერესი გაუჩნდათ. ნიდერლანდებში კომისიის მიერ გულდასმით იქნა შესწავლილი ინგლისის სამოქალაქო პროცესი, შემდგომი კოდექსისათვის. ზემოაღნიშნული ასევე გამოიკვეთა ALI/UNIDROIT–ის პრინციპების პროექტზე მუშაობისას. პროექტის მონაწილეებს წარმოადგენდნენ როგორც კონტინენტური სამოქალაქო სამართლის მკვლევარები, ასევე, საერთო სამართლის. მათ მიერ ჩატარებული შედარებითი კვლევისას გამოჩნდა, რომ როგორც ინგლისისა და ამერიკის სამართლის სისტემებს შორის, ასევე, კონტინენტური სამართლის სისტემებს შორისაც რადიკალური განსხვავება არსებობს. ეს განსხვავებები ძირს უთხრის ერთგვარ გავრცელებულ მიდგომას როგორიცაა „ანგლო-ამერიკული პროცედურები" და „კონტინენტური პროცედურები".[694]

საერთო სამართლის ქვეყნებში ჩართვის ციკლი სამი მთავარი საფეხურისაგან შედგება: პირველს საწყისი წერტილი წარმოადგენს, როდესაც სასამართლო წყვეტს მოისმინოს თუ არა ესა თუ ის კონკრეტული ჩართვის მსურველი. მეორე საფეხურზე სასამართლო ჩართულ პირებს უსმენს და მათ დასაბუთებას აანალიზებს.[695] მესამე და ბოლო საფეხურზე სასამართლო გადაწყვეტილებაში ჩართულ პირებთან დაკავშირებულ შეხედულებას ასახავს.[696] საერთო სამართლის ქვეყნებში

---

691 Parker S. J., Comparative civil procedure and transnational 'Harmonization': A Law-and-Economics, Perspective, http://www.researchgate.net/publication/228158980, January 2009;

692 *Andrews N*, No Longer an Island: European Influence on English Civil Procedure University of Cambridge, PAPER NO. 40/2013, 2013, 1.

693 *Ng G. Y.*Case Management: Procedural Law v best practices, Judicial case management and efficiency in the Netherlands, , Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007, 131.

694 *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on Principles and Rules of Transnational Civil Procedure ALI/UNIDROIT Principles of Transnational Civil Procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study), http://www.unidroit.org/ , Rome, January 2005.

695. *Alarie Benjamin R.D, Green Andrew J.*, Interventions at the Supreme Court of Canada: Accuracy, Affiliation and Acceptance, Osgoode Hall Law Journal, vol. 48, num: 3/4(Fall, Winter), 2010.

696 *Alarie B.R.D, Green A. J.*, Interventions at the Supreme Court of Canada: Accuracy, Affiliation and Acceptance, Osgoode Hall Law Journal, vol. 48, num: 3/4(Fall, Winter), 2010, <http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/cgi/viewcontent.cgi?article=1086&context=ohlj>.

მიმდინარე პროცესში არამხარის მონაწილეობა - ჩართვა (Intervention) - განიმარტება, როგორც პროცედურა, რომლითაც სასამართლო მესამე პირს, რომელიც არ იყო საქმისწარმოების თავდაპირველი მხარე, ნებას რთავს მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან შეერთების გზით გახდეს მხარე.[697] რაც შეეხება სასამართლოს მეგობრის (amicus curiae brief) ინსტიტუტს, იგი ასევე აღიარებულია ALI/ UNIDROIT –ის ხსენებული სამოდელო პრინციპების მე-13 პრინციპით, რომლითაც, მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხთან და საფუძველთან დაკავშირებით შესაძლებელია წერილობითი განცხადება იქნეს მიღებული მესამე პირებისაგან, სასამართლოს თანხმობით, მხარეებთან კონსულტირების შემდგომ. სასამართლოს შეუძლია ასეთი განმცხადებელი მოიწვიოს. მხარეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ განხილვამდე წარადგინონ წერილობითი მოხსენება.[698] აღნიშნული ინსტიტუტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეთა განხილვის დროს.

ინგლისურ სამართალში სამოქალაქო სამართალწარმოება დელეგირებული კანონმდებლობის რეგულირების საგანია. ამიტომ სამოქალაქო წარმოების საკითხების გადაწყვეტა ხდება არა კანონებით, ან ე.წ. კოდექსებით, არამედ კანონქვემდებარე აქტებით ე.წ. წესებით. დღეისათვის ამ ნორმების შემუშავებაში უმთავრეს როლს თეთრი წიგნის პერიოდული გამოცემა (white book) ასრულებს. იგი თავის მხრივ სამოქალაქო საქმეზე უმაღლესი სასამართლო ორგანოს განზოგადებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ისეთ შემთხვევაში თუ, სამართლებრივი აქტი ამა თუ იმ იურიდიული ტერმინის ნორმატიულ განსაზღვრებას არ იძლევა, იგი პრეცედენტულ სამართალში არსებული მნიშვნელობით გამოიყენება. ამ გზით დაწერილი სამართალი და სასამართლო პრეცედენტი – ორი სრულუფლებიანი დამოუკიდებელი ინგლისური სამართლის წყარო ერთმანეთს ავსებს.[699]

არსებობს მოსაზრება, რომ ინგლისის სამართლებრივ ისტორიაში საერთო სამართლის განვითარება მე-12 საუკუნეში დაიწყო,[700] თუმცა თანამედროვე სასამართლო ორგანიზებისა და სამოქალაქო საპროცესო წესების ისტორია მე-19 საუკუნეში დაიწყო.[701] 1873-1875 წლებში შემოღებული სასამართლო აქტების რეფორმების ინგლისის სისტემაში გავრცელებამ ძირითადი განსხვავებები გამოიწვია ინგლისისა და კონტინენტურ სამართლის პროცედურებში. სამოქალაქო საპროცესო ნორმები, რომლებიც შეიკრიბა, დათარიღდა და თან გადაწყვეტილებები

---

[697] West's Encyclopedia of American Law, edition 2. Copyright 2008 The Gale Group, Inc. <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/intervention>.

[698] *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on Principles and Rules of Transnational Civil Procedure, Principles of Transnational Civil Procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study) UNIDROIT 2005 – Study LXXVI – Doc. 13, Rome, January 200, 37,< http://www.unidroit.org/>.

[699] *გაგუა ი.*, მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი 4 (27), 2012. 30.

[700] *Baker J.H.*, An Introduction to English Legal History, 4th edition, London [etc.], Butterworths/LexisNexis, 2002, p. 13.

[701] *Van Rhee C.H.*,, 'English Civil Procedure until the Civil Procedure Rules (1998)', in: C.H. van Rhee (ed.), European Traditions in Civil Procedure, Antwerp [etc.], 2005, p. 129.

დაერთო, დღესაც არაა კოდიფიცირებული ინგლისის სამართალში. ნუსხასა და კოდექსში გარდა არსებითისა, ის განსხვავებაა, რომ პარლამენტის ნაცვლად ცვლილებების შემტანი მოსამართლეების კომიტეტი იყო. სხვა განვითარებები, რაც სამოქალაქო პროცესის სისტემამ ინგლისის სამართალში შეიტანა, იყო საერთო და სამართლიანობის სამართალში განსხვავების მოშლა პროცედურულ სფეროში და ზეპირი სარჩელები.[702] მე-19 საუკუნის სამართალშემოქმედების მიზანს აქტიური მოსამართლე წარმოადგენდა. სასამართლოსა და დამხმარე კადრების მიერ იმაში დარწმუნება მოხდა, რომ საჭიროა საქმის სირთულის, გამოყენებული საპროცესო ტექნიკისა და საჭირო ღირებულებებში ბალანსი დაცული იყოს. ეს სამი საპროცესო გზის შექმნით გამყარდა, რომლებისადმიც საქმის მიკუთვნება სირთულიდან გამომდინარე ხდება. ინგლისის განვითარება რაღაც კუთხით შესაბამისობაშია კონტინენტურთან. მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის, რომ ამ შეზღუდვებს კონტინენტური სამართალი მხოლოდ მესამე ინსტანციისათვის ითვალისწინებს.[703] ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასასრულს როგორც მეცნიერი პოლ მიჩალიკი აღნიშნავდა "საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ინგლისსა და უელსში არსებული სამოქალაქო საპროცესო სისტემა გადაჭარბებული ხარჯებით, დაბრკოლებებითა და ჩახლართულობითაა გარშემორტყმული".[704] მეტისმეტად გრძელი და ძვირადღირებული პროცესის გამო ინგლისში საჭირო გახდა რეფორმები. სიტუაციის გამოსწორების მიზნით 1994 წლის 28 მარტს ლორდ Mackay LC of Clashfern-ის (ლორდ კანცლერი 1987-1997 წლებში) მიერ სამოქალაქო პროცედურებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შექმნისათვის ლორდ ვულფი დაინიშნა. რეკომენდაციების მიზნები უნდა ყოფილიყო: სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ხარჯების შემცირება, წესების სირთულის შესუსტება, ტერმინოლოგიის მოდერნიზება, არასაჭირო განსაზღვრებების ამოღება პრაქტიკიდან და პროცედურებიდან.[705] 1998 წელს მიღებულ იქნა ნორმატიული აქტი – სამოქალაქო სამართალწარმოების წესები (civil procedural rules), რომელიც ძალაში 1999 წლის 26 აპრილს შევიდა.[706] 1998 წლის პროცედურების პოპულარობა კონტინენტზე იმან განაპირობა, რომ ის მაქსიმალურად ახლოსაა კონტინენტურ სისტემასთან. ლორდ ვოლფის რეფორმამდე ინგლისელი მოსამართლე უფრო პასიური იყო. რეფორმის შემდეგ მოსამართლის როლი გაიზარდა. ინგლისის სამოქალაქო პროცესში საკვანძო სიტყვა გახდა - შემთხვევის მენეჯმენტი (Case management).[707]

---

[702] *Andrews N.*, English Civil Procedure (Oxford University Press, 2003), para's 5.39 to 5.68.

[703] *Van Rhee C.H.*, European Traditions in Civil Procedure, edited by Van Rhee C.H., Interseria Antwerpen – Oxford, 2005.

[704] *Michalik P.*, Justice in Crisis: England and Wales, in: A.A.S. Zuckerman (ed.), Civil Justice inCrisis. Comparative Perspectives of Civil Procedure, Oxford 1999, 117-165.

[705] *Andrews N*, Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos,University of Cambridge, UK,2012, 23.

[706] Civil Procedural Rules, 1999.26.04. Friday, 22 July 2016, https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil

[707] *Van Rhee C.H.*, , The development of civil procedural law in twentieth century Europe: From party autonomy to judicial case management and efficiency, Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007, 11.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის (სამოქალაქო პროცედურების) მე-19 მუხლი პროცესში მხარეთა სიმრავლეს არეგულირებს. მითითებული მუხლის პირველი ნაწილი ზოგადად მხარეების რაოდენობას განსაზღვრავს: მოსარჩელეების ან მოპასუხეების ნებისმიერი რაოდენობა შესაძლებელია დავას შეუერთდეს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი მხარეთა ჩანაცვლებისა და დამატების წესს არეგულირებს, რომელიც მაშინ ვრცელდება, როდესაც მხარე ემატება ან ენაცვლება (გარდა 19.5 მუხლით გათვალისწინებული წესისა, რომელიც სპეციალურ ნორმას წარმოადგენს განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ მხარეთა ჩანაცვლების შესახებ).

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ პირს დაავალოს იყოს მხარე, თუ ეს პირი წინააღმდეგი არ არის. ახალ მხარეებს იგივე უფლებები გააჩნიათ, რაც თავდაპირველ მხარეებს. თუმცა სასამართლოს საკმაოდ ფართო კომპეტენცია აქვს ახალი მხარის დამატებასთან დაკავშირებით, კერძოდ სასამართლოს შეუძლია პირს უბრძანოს დამატებულ იქნეს როგორც ახალი მხარე თუ – სასამართლოს მიერ დავის ყველა საკითხის გადაწყვეტისათვის ახალი მხარის დამატება მიზანშეწონილია ან ისეთი სადავო საკითხი არსებობს, რომელიც საქმეში ახალ მხარესა და არსებული მხარეს რთავს, რომელიც დავის საგნის საკითხთანაა დაკავშირებული და ახალი მხარის დამატება მიზანშეწონილია, რათა სასამართლომ ეს საკითხი გადაწყვიტოს.

ინგლისის საპროცესო სამართალში ასევე მოხსენიებული არაა მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თუმცა პროცესში ჩართვის ისეთ სახეს ითვალისწინებს, როდესაც ორი ან მეტი პირი ერთდროულად ანაზღაურებისათვის ერთიანდება (19.3): როდესაც მოსარჩელე ითხოვს ანაზღაურებას, რომლის მიმართაც სხვა პირებიც არიან გაერთიანებულნი, ყველა ეს პირი უნდა იყოს მხარე, თუ სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს. ამასთან, თუ პირი თანახმა არაა მოსარჩელე იყოს, მაშინ ის მოპასუხე უნდა იყოს, თუ სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს. ამ წესიდან გამონაკლისს სამემკვიდრეო საქმე წარმოადგენს.

სამოქალაქო საქმის წარმოებაში პროცესის მსვლელობისას მოგვიანებით დამატებული პირებისათვის შემდეგი პროცედურებია დადგენილი (19.4): მხარის მოხსნის, დამატებისა და ჩანაცვლებისათვის, თუ სარჩელის ფორმა სათანადო არ არის, სასამართლოს ნებართვა მოითხოვება. განცხადება არსებული მხარის ან იმ პირის მიერ უნდა გაკეთდეს, რომელსაც სურს მხარე გახდეს. მოთხოვნა იმ მხარის ჩანაცვლებაზე, როდესაც ახალი მხარე ენაცვლება არსებულს ინტერესის ან პასუხისმგებლობის გადასვლისას შესაძლებელია განცხადების გარეშე გაკეთდეს და მტკიცებულებით უნდა იყოს გამყარებული.

ინგლისის საპროცესო წესების 19.4-ე მუხლის მიხედვით, არავინ შეიძლება დაემატოს ან ჩაენაცვლოს როგორც მოსარჩელე, თუ მას წერილობითი თანხმობა არ გაუცია და ეს თანხმობა სასამართლოში არაა წარდგენილი. შემოსავლებისა და საბაჟოს კომისიონერები პროცესში მხარეებად მხოლოდ წერილობითი თანხმობით შეიძლება დაემატონ.

სასამართლოს დავალება მოხსნაზე, დამატებაზე ან ჩანაცვლებაზე უნდა ეცნობოს პროცესის ყველა მხარეს და ნებისმიერ პირს, რომელზეც

გავლენას ახდენს დავალება. როდესაც სასამართლო მხარის მოხსნაზე, დამატებაზე ან მხარის ჩანაცვლებაზე ბრძანებას აკეთებს, მან შესაძლოა შესაბამისი დირექტივები გასცეს ახალ მოპასუხის მიერ სარჩელის შევსების და შეტყობინების, ახალი მხარისათვის სათანადო დოკუმენტების მიწოდებისა და პროცესის მენეჯმენტის თაობაზე.
ინგლისური კანონმდებლობა იცნობს საზოგადოებრივი ინტერესის დაცვისათვის საქმისწარმოებაში ჩართვას. ამ მხრივ არსებული სტატისტიკური მონაცემები საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისათვის ჩართვის მაღალ მნიშვნელობას ადასტურებს. კერძოდ, 2015 წელს უმაღლეს სასამართლოში ჩატარებული 79 საქმიდან 38-ში ნებადართული იყო აღნიშნული მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციების მაგალითად საჯარო პირის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩართვა. 2009-2016 წლებში სულ 91 საჯარო პირის და 10 სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა განხორციელდა. აღნიშნული მიზნით ჩართვა მიჩნეულია როგორც სამართალწარმოების უდიდესი ღირსება, ვინაიდან სასამართლოს საშუალებას აძლევს საქმეზე უფრო ფართო არგუმენტებს გაეცნოს, ვიდრე ეს კონკრეტული საქმის მხარეთა მიერაა წარმოდგენილი.[708]
ასევე ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ინტერესების მქონე პირთა დავაში ჩართვა.[709] მაგალითად, არსებობს პრეცენდენტი, როდესაც ოთხ განსხვავებული ინტერესების მქონე პირს ნება დაერთო ჩართულიყო დავაში, რომელიც სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტთა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას ეხებოდა. ამ შემთხვევაში მოსარჩელე იყო „LTD Source Informatics", რომელსაც სურდა ექიმების პრაქტიკების ბაზებიდან მოპოვებული ინფორმაცია (პირადი მონაცემების გარეშე) ფარმაცევტული კომპანიებისათვის მიეყიდა, რათა მათი მარკეტინგული სამიზნეები გაზრდილიყო. მოსარჩელის მხარეზე ჩართულ პირებს წარმოადგენდნენ ბრიტანეთის ფარმაცევტული ინდუსტრიის ასოციაცია, ეროვნული ფარმაცევტთა ასოციაცია, მედიკოსთა გენერალური საბჭო და სამედიცინო კვლევათა საბჭო. მოპასუხეს წარმოადგენდა ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომელმაც 1997 წელს გამოსცა დოკუმენტი Council Directive 95/46/EEC, რომელიც კომპანიებისათვის პაციენტის თანხმობის გარეშე ამგვარი ინფორმაციის გადაცემას კრძალავდა.[710] სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივა პირადი მონაცემების გარეშე ინფორმაციის დამუშავებას არ კრძალავდა.
საერთო სამართლის ქვეყნებისთვის ასევე ცნობილია საარბიტრაჟო პროცედურებში მესამე პირების მონაწილეობის საკითხების გაწერა. მაგალითად, ლონდონის სასამართლოს საერთაშორისო რეგლამენტის (LCIA) 22-ე მუხლი ადგენს, რომ თუ მხარეები წერილობით სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, არბირტაჟს შეუძლია მხარის ან საკუთარი ინიციატივით, მაგრამ ორივე შემთხვევაში მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, მხოლოდ მხარის მოთხოვნით ნება დაერთოს ერთ, ან რამდენიმე მესამე პირს ჩაერთოს საქმეში, იმ პირობით, რომ, შუამდგომლობის

[708] THIRD PARTY INTERVENTIONS IN THE PUBLIC INTEREST, Freshfields Bruckhaus Deringer LLP , May 2016.
[709] Third Party interventions in Judicial Review, ac action research study, published by the public law project, London, may 2001, 35.
[710] R v Department of Health ex P. Source informatics LTD. 21.12.1999, court of appeal civil division. UK

აღმძვრელი მხარე და მესამე პირი შეთანხმდნენ წერილობით, რათა გამოტანილი იქნეს ერთიანი გადაწყვეტილება მხარეთა მიმართ.[711]

2.7. მესამე პირები ამერიკულ სამოქალაქო საპროცესო სისტემაში

აშშ-ს უმრავლეს შტატში კანონმდებლობით პირდაპირ დადგინდა, რომ საერთო სამართალი აშშ-ს მოქმედი სამართალია. ასე, რომ ახალ სახელმწიფოში ერთმანეთს რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა და საერთო სამართალი დაუპირისპირდა. აშშ-ს სამოქალაქო საპროცესო სამართალი განსხვავებულია.[712] მიუხედავად ამისა, აშშ-ს სამართალი მაინც საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება, რადგან სამართლის იგივე დაყოფა და იგივე კატეგორიები გამოიყენება რაც ინგლისში. მაგალითად, „საერთო სამართალი", „სამართლიანობის სამართალი", „რწმუნებითი საკუთრება" და სხვ. შესაბამისად, აშშ-ის სამართალს საერთო სამართლის ანალოგიური სტრუქტურა გააჩნია. აღსანიშნავია ის ფუძემდებლური თავისებურება, რომელიც აშშ-ს სამართლის ორიგინალურობას ქმნის. ეს არის განსხვავება ფედერალურ სამართალსა და შტატების სამართალს შორის. აშშ-ს სამართლის ეს ორიგინალურობა კარგად ჩანს ამ ქვეყნის სასამართლო სისტემაში, რომელიც, ერთის მხრივ ფედერალურ სასამართლოებს, მეორეს მხრივ, შტატების სასამართლოებს მოიცავს.[713]

საერთო სამართლის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს მთავარი მახასიათებელი - პრეცედენტულობა განაპირობებს. თუმცა, იურისპრუდენციის თეორიაში საკითხი ამ ნიშნის ღირსშესანიშნავ ფუნქციონალურ ეფექტზე საკამათოა. კონტინენტურ სამართალშიც შეინიშნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული პრაქტიკის გამოყენების ტენდენცია, როგორიცაა მაგალითად უზენაესი სასამართლოს განმარტებები. ხოლო სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად ამერიკული სამართლის მეტად შეჯიბრებითობა და კონტინენტური სამართლის მეტად ინკვიზიტორულობა მიიჩნევა. მაშინ როდესაც ამერიკულ სამართალში პროცესი „მხარეთა კონტროლზეა" დაფუძნებული და პროცესის განვითარებას მხარეები მართავენ, ხოლო მოსამართლეს შედარებით პასიური, პროცესის მარეგულირებლის როლი აკისრია, კონტინენტური სამოქალაქო პროცესის მოსამართლეს პროცესის განვითარებასა და მართვაში წამყვანი როლი აქვს. კონტინენტურ სამართალში მხარეებს უფლება აქვთ მოსამართლეს შესთავაზონ მტკიცებულებები და ფაქტები, ხოლო გადაწყვეტილებას მათ გათვალისწინებაზე სასამართლო იღებს. შეჯიბრებით საპროცესო სამართალში პროცესის მსვლელობაში

---

[711] The London Court of International Arbitration LCIA Arbitration Rules (2014), < http://www.lcia.org>.

[712] *Carrington P.D.,* Enforcing public law on a global scale: the relevance ofthe American experience, The Code de procédure civile (1806) in France, Belgium and the Netherlands in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008, 389.

[713] *ცაცანაშვილი მ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, (მეორე ნაწილი), თბილისი, 2000, 226.

განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მხარეებს, უფრო სწორად მათ ადვოკატებს. ამასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ კონტინენტური სამართლის მოსამართლეებს ამერიკულისაგან განსხვავებით მაღალი კვალიფიკაცია მოეთხოვებათ. ამერიკაში მოსამართლეებად დატრენინიგებული ადვოკატები ინიშნებიან. მოსამართლეობისათვის სპეციალური სკოლა არ არსებობს. ამერიკული საპროცესო სამართლით მსჯულების სამოქალაქო პროცესში მონაწილეობა ფართოდაა გავრცელებული, მაშინ როცა საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში, მათ შორის ინგლისში აღარ გამოიყენება.

ჩართვის ინსტიტუტის თაობაზე აშშ-ს სამართალში პრეცენდენტი ჯერ კიდევ 1860 წლიდან იკვეთება. ამ დროს აღიარებულ იქნა პრინციპი რომ პროცესის გარეშე (in rem) პირი, რომელიც საკუთრებაზე აყენებს იმგვარივე ინტერესს, როგორსაც მოსარჩელე, შესაძლებელია თავისი ინტერესების დასაცავად ჩაერთოს.[714] ჩართვა პროცედურულ მექანიზმად მიიჩნეოდა, რომელიც არამხარეს საშუალებას აძლევდა მიმდინარე პროცესში წარედგინა მოთხოვნა ან დაცვა წამოყენებული დავის საგნის მიმართ.[715]

1938 წლამდე ფედერალურ სასამართლოებს სამოქალაქო საქმეებისათვის განსხვავებული წესები ჰქონდათ. ამჟამად სამოქალაქო საქმეთა წარმოებას აშშ-ს საოლქო სასამართლოებში ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესები არეგულირებენ. ისინი 1937 წლის 20 დეკემბრის უმაღლესი სასამართლოს ბრძანებით იქნა მიღებული. შემდეგ გენერალური ეტორნის მიერ 1938 წლის 3 იანვარს კონგრესს გადაეცა და 1938 წლის 16 სექტემბერს შევიდა ძალაში.

ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესები სამართლიანობის სამართალს განეკუთვნება. მას იმ წესებს შორის უკავია ადგილი, რომელებიც სამართლიანობის სამართლით განსაზღვრულ ურთიერთობებს არეგულირებენ. ეს წესი ამერიკის შეერთებული შტატების ყველა რაიონული სასამართლოსათვის სამოქალაქო დავებში საპროცესო საკითხებს აწესრიგებს. ისინი სამართლიანობის, სიჩქარისა და პროცესის სიიაფისათვის იქნა შემუშავებული.[716] აღნიშნულმა წესებმა სცადეს მოეხდინათ 1938 წლისათვის არსებული ჩართვის დოქტრინის განვითარება[717] საერთაშორისო მიდგომების შესაბამისად.[718] ვინაიდან აღიარეს, რომ საქმისწარმოება ხშირად მხოლოდ წმინდა ორ პირს შორის კერძო დავა არაა.[719] წესების შემქმნელების ამოცანა შემდეგნაირი იყო: სასამართლო ყველა არამხარეს საქმეში ჩართვის უფლებას, ვერ მისცემდა, ვინაიდან სამართალწარმოების მოცულობის გაფართოებას შესაძლოა შეეზღუდა არსებული მხარეები და სასამართლოს

[714] *Freeman v. Howe*, 65 U.S. 450, 1860.

[715] *Moore & Levi,* Federal Intervention: L The Right to Intervene and Reorganization, 45 YALE L.J. 565, 565, 1936.

[716] Federal Rules of Civil Procedure, 2015 edition, Quick Desk reference series tm, Michigan Legal Publishing Ltd.

[717] *Harris M. R.* INTERVENTION OF RIGHT IN JUDICIAL PROCEEDINGS TO REVIEW INFORMAL FEDERAL RULEMAKINGS, Hofstra Law Review, Vol. 40:879

[718] *Peter A.* Appel, Intervention in Public Law Litigation: The Environmental Paradigm, 78 WASH. U. L.Q. 215, 240 (2000); infra Part II.A.1.

[719] 7C CHARLES ALAN WRIGHT, ARTHUR R. MILLER & MARY KAY KANE, FEDERAL PRACTICE AND PROCEDURE § 1901 (3d ed. 2007). See infra Part II.A for a discussion regarding the history and growth of intervention procedure in the American federal courts.

ეფექტურობისათვის ხელი შეეშალა.[720] კომპრომისის მიზნით განვითარდა ჩართვისათვის აუცილებელი სხვადასხვა პირობები, მაგალითად ჩართვის განცხადების დროულად წარდგენა და ა.შ.
ფედერალური სასამართლოების სურვილმა, შეემცირებინათ ზედმეტი საპროცესო შრომა, მათ უბიძგა დროულად გამოევლინათ ჩართვის შესაძლებლობის არსებობა.[721] ამ სურვილმა წესების შემქმნელებს ორი სახის ჩართვის განსაზღვრისაკენ უბიძგა. თუმცა მათ ადრეულ ტერმინებს, როგორიც იყო ჩართვის აბსოლუტური უფლება და ჩართვის დისკრეციული უფლება, თავი აარიდეს.[722]
სამოქალაქო პროცედურების ფედერალური წესები ორი ტიპის ჩართვას აღიარებენ: უფლების ჩართვა და ნებადამრთველი ჩართვა.
უფლების ჩართვის მიზანია არამხარეთა დაცვა, მაშინ როდესაც ნებადამრთველი ჩართვის მიზანი ეფექტურობაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩართვის ორივე სახის მიზნებიდან გარკვეული საკითხები ემთხვევა, ისინი კონცეპტუალურად განსხვავდებიან.[723] თუმცა სასამართლოები ამ ორ სახეს შორის განსხვავებების გამოყოფას ნაკლებად მისდევენ.[724] არამხარეთათვის უფლების ჩართვა უსამართლობის შემცირებას ემსახურება.[725] იგი ემსახურება იურისპრუდენციის საუკეთესო ვარაუდს, რომ მართლმსაჯულების ინტერესები საუკეთესოდ ხორციელდება, თუ ყველა მოდავე მხარეს შესაძლებლობა აქვს მოსმენილ იყვნენ სასამართლოს მიერ.[726]
1966 წლის ცვლილებების შემდეგ უფლების ინტერვენციის დოქტრინის ლიბერალიზაცია მოხდა და შედეგად მითითებული წესების 24-ე წესის მოთხოვნათა შესაბამისად, უფლების ჩარევა (ინტერვენცია) შემდეგნაირად განიმარტა: დროული შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია ნება დართოს ნებისმიერს, რომელსაც, ფედერალური კანონით უპირობო ჩარევის უფლება აქვს მიცემული; ან დავობს ინტერესზე, რომელიც საკუთრებას ან გარიგებას ეხება, რომელიც პროცესის საგანია და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საქმის გადაწყვეტას პრაქტიკულად შეუძლია გამოიწვიოს ზიანის მიყენება ან შუამდგომლობის განმცხადებლის მიერ თავისი ინტერესის დაცვის შესაძლებლობის შეფერხება, თუ არსებული მხარეები ამ ინტერესს ადეკვატურად არ წარმოადგენენ.
ჩართვის დოქტრინით უფლების ჩართვისათვის ოთხი პირობა გამოიკვეთა. პირველ პირობას, მისი დროულად წამოყენება წარმოადგენს. თუმცა დროულობის განსაზღვრება სასამართლო დისკრეციის საკითხს განეკუთვნება. გამოიკვეთა, რომ ფედერალური სასამართლოები ჩართვის დროულობის განსაზღვრის დისკრეციას არასათანადოდ იყენებენ. ამას ორი ცუდი შედეგი მოყვება: პირველი, რომ ასეთი დისკრეცია ფაქტობრივად ამსხვრევს უფლების ინტერვენციის არსს და მას

---

[720] *Walker Vern R.* The Timeliness Threat to Intervention of Right, 89 Yale L.J. 586 (1980), Available at: http://scholarlycommons.law.hofstra.edu/faculty_scholarship/243.

[721] *Eliot*, Interventions in the Federal Courts, 31 AM. L. REv. 377, 377, 380, 392 (1897).

[722] *Levi & Moore*, Federal Intervention: II. The Procedure, Status, and Federal Jurisdictional Requirements, 47 YALE L.J. 898, 899-900 (1938).

[723] *Brunet*, A Study in the Allocation of Scarce Judicial Resources, 12 GA. L. Rav. 701, 734 (1978)

[724] *Kennedy*, Let's All Join In: Intervention under Federal Rule 24, **57** KY. L.J. 329, 375-78 (1969)

[725] *Levi & Moore*, supra note 7, at 902-03;

[726] Hodgson v. UMW, 473 F.2d 118, 130 (D.C. Cir. 1972).

ნებადამრთველ ჩართვად აქცევს, ხოლო მეორე, რომ - ამ ინსტიტუტის შემდგომ განვითარებას ხელს უშლის.[727]

უფლების ჩართვის მეორე პირობას ინტერესის დასაბუთება წარმოადგენს. როდესაც პირს, რომელიც ცდილობს არსებული სასამართლო პროცესის მონაწილე გახდეს, შეუძლია საკმარისად დაასაბუთოს შემდეგი გარემოებები: მისი ინტერესები არაადეკატურადაა წარმოდგენილი არსებული მხარეების მიერ; მისი ინტერესი მიმართულია დავის საგნისადმი; საქმეზე გადაწყვეტილება გარკვეულ ზიანს მიაყენებს შესაძლებლობას მისი ინტერესის დაცვის შესაძლებლობას. მაგალითად სკოლის დანაწილების დავაზე მოთხოვნილ იქნა მასწავლებელთა მიერ ინტერესის დასაბუთება ჩართვისათვის.[728] ძირითადად ეკონომიკური ინტერესი საკმარისად ითვლება. მაგალითად, ბინათმესაკუთრეთა ინტერესი მომწოდებლის მიერ წყლის დაბინძურების საშიშროებასთან დაკავშირებულ დავაზე.[729] თუმცა შესაძლოა არაეკონომიკურიც იქნეს გათვალისწინებული. მაგალითად სკოლის დანაწევრების თაობაზე დავისას მშობლების ინტერესი დასაბუთებულად მიიჩნევა.[730]

მესამე პირობას განმცხადებლის ინტერესებზე გადაწყვეტილების უარყოფითი გავლენა წარმოადგენს.[731] პრაქტიკული გაუარესება შესაძლებელია განსხვავებული შედეგებიდან იკვეთებოდეს, მათ შორის სასამართლო პრეცედენტის დოქტრინის ეფექტიდან.[732]

მეოთხე პირობაა მხარეთა მიერ განმცხადებლის ინტერესების არაადეკვატურად წარმოდგენა. ზოგიერთი სასამართლოს აზრით ითვლება, რომ სახელმწიფო წარმომადგენლობა ადეკვატურია, რადგან სახელმწიფოს წარმომადგენელს კანონით ვალდებულება აქვს არამხარეთა ინტერესები წარმოადგინოს.[733] თუმცა სასამართლოების მზარდი რაოდენობა მიიჩნევს, რომ საჯარო ინტერესის წარმომადგენლობა არ არის საკმარისი კერძო ინტერესისათვის.[734]

ჩართვის მეორე სახე -ნებადამრთველი ჩართვა, შემდეგნაირად განიმარტება: დროული შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ პირს მისცეს საქმეში ჩართვის ნება, თუ ფედერალური კანონით ჩართვაზე პირობიანი უფლება აქვს მიცემული; ან აქვს მოთხოვნა ან შესაგებელი, რომელიც ძირითადი საქმის საზოგადო სამართლებრივ ან ფაქტობრივ საკითხთან ერთიანდება. აღნიშნული სახის ჩარევა სასამართლოს დისკრეციაზეა დამოკიდებული. იგი წარმოიშობა როდესაც ჩართულის სარჩელს ან დაცვას და არსებულ საქმეს საერთო სამართლებრივი საკითხი აქვს.[735]

---

[727] *Walker Vern R.* The Timeliness Threat to Intervention of Right, 89 Yale L.J. 587 (1980), Available at: http://scholarlycommons.law.hofstra.edu/faculty_scholarship/243.

[728] Penick v. Columbus Educ. Ass'n, 574 F.2d 889, 890, 6th Cir. 1978.

[729] Fleming v. Citizens for Albemarle, Inc., 577 F.2d 236, 238 (4th Cir. 1978), *cert. denied*, 439 U.S. 1071, 1979.

[730] Liddell v. Caldwell, 546 F.2d 768, 770 (8th Cir. 1976), *cert.denied*, 433 U.S. 914, 1977.

[731] *Kaplan,* Continuing Work of the Civil Committee: 1966 Amendments of the Federal Rules of Civil Procedure (I), 81 HARV. L. Rav. 356, 401- 03, 1967.

[732] Natural Resources Defense Council, Inc. v. United States Nuclear Regulatory Comm'n, 578 F.2d 1341, 1345, 10th Cir., 1978.

[733] Pennsylvania v. Rizzo, 530 F.2d 501, 505 (3d Cir.), *cert. denied*, 426 U.S. 921, 1976.

[734] National Farm Lines v. ICC, 564 F.2d 381, 384, 10th Cir. 1977.

[735] https://en.wikipedia.org/wiki/Intervention_(law)#References.

ჩართვაზე ნებართვის გაცემის გადაწყვეტისას სასამართლო ჩვეულებრივად აბალანსებს ჩართულის საჭიროებებსა და ინტერესებს ჩართვის შემთხვევაში არსებული მხარეების პოტენციურ სირთულეებთან. სასამართლო განსაზღვრავს მხარეები და შემჭრელი საერთო საკითხებს იზიარებენ თუ არა. თუ ჩართული ცდილობს დავის ახალი მიზეზები გადაუწყვეტელ საქმეში შეიყვანოს, მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, რადგან ჩართვაზე ნების დართვისას შესაძლოა მიკერძოების პოტენციალი გაიზარდოს და არსებითი საქმის განხილვა შეყოვნდეს. ჩართულს არ სჭირდება იდავოს, რომ ის შეიძლება მიკერძოვებულ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუერთებლობის შემთხვევაში, ვინაიდან, ჩართულს შეუძლია აჩვენოს, რომ მის ინტერესებს შესაძლოა ზიანი მიადგეს გადაწყვეტილებით, თუ ის არ იქნება ჩართული.[736] მოსამართლის მიერ ჩართვაზე ნების დართვის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღება, რაც ჩართვის პეტიცია და საკითხის მოსმენა განხორციელდება. ჩართვა სამართლიანად, საქმის ადრეული მსვლელობისას უნდა მოხდეს, მას შემდეგ მალევე, რაც სარჩელი და შესაგებელი წარდგენილი იქნება და არა სასამართლო ძიების დროს, რათა ერთი ან ორივე მხარის მიმართ მიკერძოებას არ ჰქონდეს ადგილი.
რაც შეეხება ჩართვის შეზღუდვებს, მას პროცესის შეყოვნება ან მხარეთათვის ზიანის მიყენება წარმოადგენს. აღნიშნული დირექტივის გამოყენებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასეთი ჩართვა უკანონოდ ხომ არ დააბრკოლებს ან ზიანს მიაყენებს ძირითადი მხარეების უფლებათა განხორციელებას. შუამდგომლობა ჩართვაზე მხარეებს მე-5 წესით გათვალისწინებული წესით უნდა ჩაბარდეთ. ჩართვის შუამდგომლობა უნდა ადგენდეს საფუძველს. შუამდგომლობას უნდა დაერთოს სარჩელი, რომელთან დაკავშირებითაც მიეთითება მესამე პირის მოთხოვნა ან შესაგებელი.
შედარების თვალსაზრისით ამერიკაში არსებული მესამე პირების ინსტიტუტი გარკვეულ მსგავსებაშია კონტინენტური სამართლის მესამე პირებთან. ორივე სამართლის ოჯახში ჩართვისათვის აუცილებელ პირობად ჩართულის იურიდიული ინტერესი მოიაზრება. სასამართლოს დისკრეციას მიეკუთვნება იმის განსაზღვრა, ჩართვა პროცესის გაჭიანურებას გამოიწვევს თუ არა. განმასხვავებელი ისაა, რომ კონტინენტური სამართალი მესამე პირების დაყოფას დამოუკიდებელი მოთხოვნის არსებობის ან არ არსებობის მიხედვით ახდენს. ამერიკული პროცედურები მესამე პირებს იმისდა მიხედვით მიჯნავს, თუ რამდენადაა პირი უფლებამოსილი საქმეში ჩაერთოს. ამასთან, პირს, რომელსაც ჩართვის უპირობო უფლება აქვს, პროცესში ჩართვის თაობაზე მტკიცების ტვირთი არ ეკისრება.
ჯერ კიდევ 100 წლის წინ აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა, რომ არამხარეთა საქმეში ჩართვა „მართლმსაჯულების მარცხის" პრევენციას წარმოადგენს. [737] ბოლო წლებში მათმა მონაწილეობამ განსახილველი საქმეებში საქმეთა 85% შეადგინა. თუმცა, მათთვის ზეპირი არგუმენტების წარდგენის დრო შემცირდა, ვინაიდან ბოლო

[736] http://legal-dictionary.thefreedictionary.com/intervention West's Encyclopedia of American Law, edition 2. Copyright 2008 The Gale Group, Inc.
[737] Cf Krippendorf v Hyde and another [1884] USSC 59; 110 US 276 at 285 (1883). *January 28, 1884.*

პერიოდში მათ გარეშე განხილული საქმეები იშვიათობას წარმოადგენს.[738]

2.8 მესამე პირები ავსტრალიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში

საერთო სამართლის ქვეყნებს ასევე მიეკუთვნება ავსტრალია. შესაბამისად, მისი კანონმდებლობაც რომაულ-გერმანული სამართლის ოჯახისგან განსხვავებულია. ავსტრალიაშიც მიმდინარე პროცესში არამხარის მონაწილეობა ორი გზითაა შესაძლებელი: საქმეში ჩართვა (intervener–ის სახით) და სასამართლოს მეგობრის amicus curiae-ს სახით. ორივე შემთხვევაში ჩართვის ნებართვისათვის პირმა სასამართლოს უნდა მიმართოს. პირველ შემთხვევაში პირი საქმისწარმოების მხარე ხდება მისი ყველა უფლებით. მას შეუძლია წარადგინოს ახსნა-განმარტება, მოიწვიოს მოწმე, მოითხოვოს ჯვარედინი დაკითხვა და გაასაჩივროს მხარეთა ქმედებები. ამასთან, სასამართლო ხარჯების გაღების ვალდებულებაც ეკისრება. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასამართლოები ამ სახის ჩართვისათვის ნებართვის მიცემისათვის ნაკლებად მონდომებულნი არიან, ვინაიდან საერთო სამართალში სამოქალაქო საქმე ტრადიციულად მოსარჩელისა და მოპასუხის პირად დაპირისპირებად განიხილება.[739] ხოლო ჩართული პირი არასასურველ პირადაა მიჩნეული თუ აქტუალური სამართლებრივი ინტერესი არ აქვს. გარკვეულ მოსამართლეებს აქვთ შეხედულება, რომ სასამართლოს განსჯადობა არ აქვს იმ პირთა მიმართ, რომელთაც პროცესისადმი ინტერესი არ აქვთ.[740] ასევე არსებობს მოსაზრება, რომ პირი, რომელმაც დავის საგნის მიმართ რაიმე განსაკუთრებულ სამართლებრივ ინტერესზე მიუთითა, შეიძლება დავაში ჩაერთოს იმისდა მიუხედავად, იკვეთება თუ არა კერძო სამართლებრივი ინტერესი. ამ შემთხვევაში სპეციალური ინტერესის კრიტერიუმად შეიძლება განისაზღვროს როგორც ინტელექტუალური ან ემოციური კავშირი და არა მხოლოდ სამართლებრივი ან ქონებრივი უფლება.[741]
რაც შეეხება ჩართვის მეორე სახეს – სასამართლოს მეგობარს (amicus curiae), ტრადიციულად მიიჩნეოდა როგორც იმ პირის ჩართვა, რომელიც სასამართლოს მიუკერძოებელ რჩევას აძლევდა. იგი მხარედ არ მიიჩნეოდა და ინტერესის დასაბუთება არ მოეთხოვებოდა. ავსტრალიის სასამართლოებისათვის ორივე სახის ჩართვა იშვიათობას წარმოადგენდა. თუმცა ბოლო დეკადაში სამართლის პროფესიონალების საჯარო ინტერესისადმი მიდგომის შეცვლამ amicus curiae –ს როლის გაზრდა გამოიწვია. მიიჩნეულ იქნა, რომ მათ შეუძლიათ პარტიზანული ადვოკატობის განხორციელება. თუმცა, არაერთგვაროვნება იყო იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რა იყო საჭირო იმისათვის რომ პირი საქმის განხილვაში ჩართულიყო როგორც amicus curiae.[742] ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ტასმანიის უდაბნოს

[738] *KEARNEY J. D, MERRILL1TH.W.* "THE INFLUENCE OF AMICUS CURIAE BRIEFS ON THE SUPREME COURT", (2000), 148 U. Pa. L. Rev. 743;
[739] *Kenny S.* Justice, "Interveners and amici curiae in the High Court" (FCA) [1997] FedJSchol 1; p1;
[740] *Lange v Australian Broadcasting Corporation,* (1997) 189 CLR 520.
[741] *Conservation Foundation v Commonwealth* , (1980) 146 CLR 493.
[742] *Kenny S.* Justice, "Interveners and amici curiae in the High Court" (FCA) [1997] FedJSchol 1, p. 2.

საზოგადოებას საქმის განხილვაში ჩართვაზე უარი ეთქვა როგორც მესამე პირს. ამის ნაცვლად მას, როგორც სასამართლოს მეგობარს, ზეპირი განცხადების გაკეთების ნება მიეცა. ზეპირი განცხადებით უნდა დაესაბუთებინა მსოფლიო მემკვიდრეობად რეგისტრირებული არეალის განადგურება როგორ იმოქმედებდა ავსტრალიის საგარეო ურთიერთობებზე.[743]

ასევე საინტერესოა amicus curiae-დ ჩართვაზე უარის თქმის შესახებ შემთხვევის განხილვა. 1996 წელს იურისტთა საერთაშორისო კომისიის ავტრალიის სექციის გენერალური სამდივნო დავაში ჩართვას და 1918 წლის *Aboriginals Ordinance 1918 (NT)-ს* ბათილობას ითხოვდა. სამდივნოს სურდა, ბათილობის მიზანშეწონილობა დაესაბუთებინა. შუამდგომლობა შემდეგ მოსაზრებათა გამო არ დაკმაყოფილდა: პირს ჩართვისათვის უნდა დაესაბუთებინა სამართალწარმოების საგანთან დაკავშირებული იმაზე მეტი ინტერესი, ვიდრე უბრალოდ მონაწილეობის მიღების სურვილი. შუამდგომლობიდან არ იკვეთებოდა, რომ მხარეებს, ვისი მხარდაჭერაც მათ სურდათ, არ შეეძლოთ მათ გარეშე საკუთარი ინტერესების სათანადოდ დაცვა, ასევე, თუ რაში დაეხმარებოდა სასამართლოს მათი მონაწილეობა. შესაბამისად ჩართვაზე შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ იქნა.[744]

2.9. მესამე პირები ინსტიტუტი კანადის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში

კანადის უმაღლეს სასამართლოში საქმეში ჩართვა უპრეცენდენტო დონეს აღწევს. 2000-2008 წლებში ნებადართულ იქნა 1583 ჩართვა, რაც წელიწადში საშუალოდ 176-ს შეადგენს. ასევე, ნახევარზე მეტ განსახილველ საქმეზე დაფიქსირებულია ჩართვის განცხადება. თუმცა გავლენის ზომა, რასაც ჩართული პირი ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებაზე, ჯერ დადგენილი არაა. ჩართვის პრაქტიკა წარმოადგენს ძირითადი იდეიდან ჩვენს ზეპირ შეჯიბრებითობის ტრადიციაში დაბრუნებას: რომ საქმე სასამართლოსათვის იმ მხარეების მიერ შეჯიბრებითი არგუმენტების წარდგენით უნდა გადაწყდეს, რომლებიც პირდაპირ არიან სამართლებრივ დავაში ჩართულები. ჩართვის მსურველმა რაიმე ფორმით ჩართვის ნებართვა უნდა მოიპოვოს. წესები ისტორიულად გაურკვეველი იყო და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ჩართვის უფლებას აძლევდა. კანადის უმაღლესმა სასამართლომ არსებული წესები მკაფიოდ განმარტა 1980 წელს და ახალი პრაქტიკა, ჩართვისათვის საკუთარი წესები დაამკვიდრა. კანადურ სამოქალაქო პროცესში მიჩნეულია, რომ სასამართლოს მიერ საქმეში ჩართვის დაშვებისათვის სამი ძირითადი ახსნა არსებობს: სიზუსტე, გაერთიანება და თანხმობა. სიზუსტე ჩართვისათვის ყველაზე ფართო საფუძველია. იგი ორივე მხარის ჩართულ პირების მოსმენას გულისხმობს იმ შემთხვევაშიც, თუ მათ რაიმე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა არ შეუძლიათ. ეს სასამართლოს უფრო ზუსტი გადაწყვეტილების

[743] *Commonwealth v Tasmania*. (1983) 158 CLR 1 (Tasmanian Dam Case).
[744] *Kruger v Commonwealth,* (1996) 3 Leg Rep 14.

გამოიტანის საშუალებას აძლევს, ვინაიდან მიეწოდება მეტი ობიექტურად სასარგებლო ინფორმაცია. მეორე საფუძველი იმას ნიშნავს, რომ ჩართულ პირებს შეუძლიათ სასამართლოს მიაწოდონ საუკეთესო არგუმენტები „პარტიზანული" ინტერესების დაცვისათვის. მესამე გულისხმობს, რომ ჩართულ პირებს მიეცეთ თვითგამოხატვის უფლება და სამართლიანი სასამართლოს მიერ მოსმენილ იქნენ.[745] აღნიშნული არგუმენტები კარგად ასაბუთებს საქმის განხილვაში მესამე პირების მონაწილეობის მნიშვნელობას. ახალ მხარეს საქმეში ჩართვისათვის განცხადების გაკეთება ესაჭიროება. განცხადებას ერთი მოსამართლე ან გარემოებების მიხედვით სასამართლოს რეგისტრატორი განიხილავს. ჩართვის განცხადებაში მხარის ინტერესი უნდა აისახოს, მათ შორის ის, თუ რა გავლენას მოახდენს პირზე გადაწყვეტილება, თუ ის განხილვაში ვერ ჩაერთვება; მხარის სავარაუდო პოზიცია; პირის განცხადების შესაბამისობა პროცესთან; პირის მიზეზები; თუ რატომ დაეხმარება სასამართლოს საქმის განხილვაში ჩართვა.[746] საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის მაგალითია კანადის უმაღლესი სასამართლოში მიმდინარე დავაში ქალთა ჯგუფის LEAF წარმატებული ჩართვა, რომელთაც სხვადასხვა წყაროების სტატიებიდან დაამტკიცეს, რომ პორნოგრაფია ქალებს სერიოზულ რისკს უქმნის.[747]

2.10. მესამე პირების ჩართვა კვებეკის სამოქალაქო საპროცესო სისტემაში

კვებეკის სამართალი განსაკუთრებით საინტერესოა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საერთო და კონტინენტური სამართლის განსაკუთრებულ ნაზავს წარმოადგენს. აღნიშნულის მიზეზები ისტორიითაა განპირობებული. აბრაამის ველზე ფრანგების დამარცხების შემდეგ, ბრიტანელებმა სცადეს კვებეკი ინგლისურენოვან ქვეყანად გარდაექმნათ და საერთო სამართალი დაემკვიდრებინათ, მაგრამ ამერიკისგან მომავალი მზარდი საფრთხის გამო, ბრიტანელები იძულებულნი გახდნენ კვებეკისთვის მათი ენისა (ფრანგული) და რელიგიის შენარჩუნების (კათოლიციზმი) უფლება მიეცათ. ასევე, მათი სამართლებრივი სისტემა (კონტინენტური ევროპის სამართალი). თუმცა კვებეკში, როგორც კანადის კონფედერაციის წევრში (1867 წლიდან), ფედერალურ დონეზე ინგლისური სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული კანონები გამოიყენება. კვებეკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საქმის განხილვის პროცესში მესამე პირის ჩართვის შესაძლებლობას შემდეგნაირი პროცედურით უშვებს: მესამე პირმა, რომელიც პროცესში აგრესიული ან კონსერვატორული მიზნით ჩართვას გეგმავს, ყველა მხარეს განცხადებით უნდა მიმართოს, რომელშიც საქმეში მხარის ინტერესი უნდა დააკონკრეტოს, თავისი დასკვნები დაასაბუთოს, თავისი დასკვნების გასამყარებლად ფაქტები წარმოადგინოს და განცხადების ასლი სასამართლოში წარადგინოს.

[745]. *Alarie Benjamin R.D, Green Andrew J.*, Interventions at the Supreme Court of Canada: Accuracy, Affiliation and Acceptance, Osgoode Hall Law Journal, vol. 48, num: 3/4(Fall, Winter) 2010.
[746]. *Alarie Benjamin R.D, Green Andrew J.*, Interventions at the Supreme Court of Canada: Accuracy, Affiliation and Acceptance, Osgoode Hall Law Journal, vol. 48, num: 3/4(Fall, Winter) 2010.
[747] R v Butler (1992) CCLR 285.

გარდა ამისა, მესამე პირის განცხადება ჩართვის იმ პროცედურას უნდა სთავაზობდეს, რომელსაც მხარეთა შორის შემდგარი ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი შეთანხმება შეესაბამება. მხარეებს თავისი წერილობითი ოპოზიციის გამოხატვისა და მისი მხარეებისა და სასამართლოსათვის წარდგენისათვის 10 დღე აქვთ. თუ წინააღმდეგობა წარდგენილი არაა, ივარაუდება, რომ მესამე პირის ინტერესი საკმარისია და ჩართვის პროცედურაზე თანხმობა არსებობს. თუ წინააღმდეგობა არსებობს, მესამე პირი საკითხის გადაწყვეტისათვის სასამართლოს მიმართავს. თუ სასამართლო ჩართვას დაადასტურებს, განსაზღვრავს ჩართვის პროცედურას. მესამე მხარეს შეუძლია წარმომადგენლობის მიზნით მოითხოვოს პროცესში ჩართვა. მესამე მხარემ მხარეებს ჩარევის მიზანი და საფუძველი წერილობით უნდა აცნობოს. მხარეების მოსმენის შემდეგ, სასამართლოს შეუძლია ჩარევა დაადასტუროს, თუ იგი განცხადებაში წარმოდგენილ საკითხებს განხილვის შედეგად მიზანშეწონილად მიიჩნევს.

კვებეკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარდა ნებაყოფლობითი ჩარევისა, ასევე, იძულებით ჩართვას ან მესამე პირთან შეერთებას ითვალისწინებს: საქმის ნებისმიერ მხარეს შეუძლია სასამართლოს მესამე პირის საქმეში ჩართვის მოთხოვნით მიმართოს, თუ მისი არსებობა საკითხის სრული გადაწყვეტისთვის აუცილებელია ან რომლისაგანაც რეგრესის წესით გარანტიის განხორციელებას მოითხოვს. ასეთი იძულებითი ჩართვა ჩვეულებრივი უწყებებისათვის ეფექტიანია და განხილვის დანიშვნის შუამდგომლობასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი.[748]

2.11. მესამე პირების ჩართვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

პოსტკომუნისტური ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართალში მესამე პირის ინსტიტუტი ძირითადად ერთნაირადაა წარმოდგენილი, მცირეოდენი განსხვავებებით, რისი მიზეზიც შესაძლოა ასევე ისტორიული იყოს. მაგალითისათვის მიზანშეწონილია გარკვეული ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიმოხილვა.

1993 წლის 19 მაისის ესტონეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნით საქმეში ჩართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუძლიათ. მათ იგივე უფლებები აქვთ მინიჭებული, რაც მოსარჩელეს.[749]

მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში ჩართვის საშუალება აქვთ ანალოგიურად - პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ესტონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქმეში ჩართვის საფუძველს შემდეგნაირად განსაზღვრავს: ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მესამე პირის

[748] Code of Civil Procedure of Quebec, Updated to 1 September 2013.

[749] Гражданский процессуальный кодекс Эстонии, принятый Государственным Собранием 19 мая 1993г. Постановление N112, Президента Республики Эстонии, 9 июня 1993.

უფლებებზე ან მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საკუთარი და მხარეთა ინიციატივის გარდა მათი საქმეში ჩარვა სასამართლოს ინიციატივითაც შესაძლებელია. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა უფლებების განმსაზღვრელი მუხლი მითითებით ხასიათს ატარებს და მათთვის იგივე უფლებებს ადგენს, რასაც ზოგადად პროცესის მონაწილეთათვის.

ჩვენი კოდექსისაგან განსხვავებით, საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის შესახებ შუამდგომლობის დაყენება მხოლოდ წერილობითი სახითაა შესაძლებელი და სავალდებულო პირობად სახელსა და მისამართთან ერთად, საქმეში ჩართვის საფუძველიცაა მითითებული. აღნიშნული განცხადების ასლები მხარეებს ეგზავნებათ, რომელთაც უფლება აქვთ მას პასუხი გასცენ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო თავისი განჩინებით იღებს.

და ბოლოს რაც ყველაზე საყურადღებოა, ესტონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქმეში მესამე პირის მონაწილეობის შემთხვევაში მოთხოვნების ერთობლივად გადაწყვეტას ითვალისწინებს: „თუ მხარეს საქმეზე მის წინააღმდეგ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში მესამე პირისაგან რეგრესი ან ანაზღაურება სურს მოითხოვოს, მას შეუძლია ძირითად სარჩელზე სხდომის დაწყებამდე სასამართლოს წარუდგინოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა მესამე პირის წინააღმდეგ, რათა ეს მოთხოვნა ძირითად სარჩელთან ერთად იქნეს განხილული. ასეთივე უფლება მინიჭებული აქვთ მესამე პირებს შესაბამისი მხარის წინააღმდეგ.

სომხეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მესამე პირების ინსტიტუტს მხოლოდ 2 მუხლი აქვს დათმობილი, სადაც მშრალადაა განსაზღვრული მესამე პირების სახეები, საქმეში ჩართვის დრო, რაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდეა დადგენილი და უფლებები.[750]

ყაზახსტანის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც მესამე პირების საქმეში ჩართვის დროდ სასამართლოს გადატყვეტილების გამოტანამდე განსაზღვრავს. რაც შეეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, აქ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას აქვს ადგილი: გარდა იმისა, რომ მათი საქმეში ჩართვა შესაძლებელია საკუთარი, მხარეთა და სასამართლოს შუამდგომლობით, აგრეთვე საქმეში მონაწილე სხვა პირების შუამდგმლობითაც.

უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძველი რედაქციის 107-ე მუხლის თანახმად - მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნით საქმეში ჩართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე შეეძლოთ. მათ იგივე უფლებები ჰქონდათ მინიჭებული, რაც მოსარჩელეს.[751] საქმეში მესამე პირთა მონაწილეობის განსაკუთრებულ შემთხვევას შრომით დავებში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მონაწილეობა წარმოადგენდა. სსკ-ს 109-ე მუხლის თანახმად: „უკანონოდ გადაყვანილი ან გათავისუფლებული მუშაკის

[750] Гражданский процессуальный кодекс Республики Армения, *28 июля 1998 года, гор. Ереван, ЗР-239*

[751] Гражданский процессуальный кодекс Украины; С изменениями и дополнениями, внесенными Указами Президиума Верховной Рады Украинской ССР Дополнительно см. Решение Конституционного Суда Украины от 23 мая 2001 года N 6-рп/2001.

სამუშაოზე აღდგენის საქმეებზე სასამართლოს შეეძლო საკუთარი ინიციატივით საქმეში მოპასუხის მხარეზე მესამე პირად ჩაება პასუხისმგებელი პირი, რომლის განკარგულებითაც გადაყვანა ან განთავისუფლება მოხდა. თუ დადგინდებოდა, რომ გადაყვანა ან გათავისუფლება კანონის აშკარა დარღვევით მოხდა, სასამართლო იმავე პროცესზე ბრალეულ თანამდებობის პირს ეკისრებოდა სახელმწიფო დაწესებულების, ორგანიზაციის, მეურნეობის, კოოპერატივის მათი გაერთიანებისა თუ სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, რომელიც მიყენებულ იქნა იძულებითი მოცდენის პერიოდის ან დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით და კანონით გათვალისწინებული ოდენობით.”

ამ მუხლის თანახმად სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეეძლო დაწესებულების რეგრესული სარჩელის განხილვა. აღნიშნული მუხლი კანონის იმ დანაწესს ეყრდნობოდა, რომლის თანახმადაც, უფლებამოსილი პირი მატერიალურად პასუხისმგებელი იყო მუშაკის უკანონოდ დათხოვნისა თუ გადაყვანისათვის. სამოქალაქო საქმისწარმოებაში უფლებამოსილი პირი მონაწილეობდა როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოპასუხის მხარეზე.

უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის თანახმად დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირებს საქმეში ჩართვა სასამართლო განხილვის დამთავრებამდე შეუძლიათ. რის შემდეგაც საქმის განხილვა თავიდან იწყება. რაც შეეხებათ მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მათ საქმის განხილვაში ჩართვა შეუძლიათ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, როგორც საკუთარი და მხარეთა შუამდგომლობით, ასევე სასამართლოსა და საქმეში მონაწილე სხვა პირების ინიციატივით.[752]

უკარინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგრეთვე, ითვალისწინებს მუხლს, რომელიც მესამე პირების საქმეში ჩართვის წესს ადგენს, რომლის თანახმადაც მხარემ, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირისადმი მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, სასამართლოს ამ პირის შესახებ უნდა აცნობოს. მესამე პირის საქმეში ჩართვის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ამ მესამე პირის სახელი, საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი და საქმეში ჩართვის საფუძველი. სასამართლო ამ პირს განცხადების ასლს უგზავნის და საქმეში მონაწილეობის მიღების შესახებ მის უფლებას განუმარტავს. თუ ამ მესამე პირისაგან საქმეში მონაწილეობის შესახებ თანხმობა არ მოვა, საქმე მის გარეშე განიხილება. თუ საქმეში მონაწილე პირები საქმეში მესამე პირის ჩართვას აპროტესტებენ, საკითხს სასამართლო საქმის გარემოებების მიხედვით გადაწყვეტს, რის შესახებაც სასამართლო დადგენილებას გამოიტანს.[753]

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ბელორუსის კანონმდებლობა მესამე პირების ინსტიტუტს ყველაზე მეტ ადგილს

---

[752] Гражданский процессуальный кодекс Украины № 1618-IV от 2004-03-18; с изменениями и дополнениями последнее изменение 04.19. 2007.

[753] Гражданский процессуальный кодекс Украины № 1618-IV от 2004-03-18; с изменениями и дополнениями последнее изменение 2007-04-19

უთმობს. ბელორუსის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მესამე პირებს საქმეში ჩართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუძლიათ. თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ მესამე პირი განსახილველ საქმეს არ მიეკუთვნება, განჩინებას გამოიტანს თავდაპირველ სარჩელთან ერთად მესამე პირის სარჩელის მიღების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდება. აღსანიშნავია, რომ თუ სასამართლო საქმის განხილვისას დაადგენს რომ არსებობენ პირები, რომელთაც შეუძლიათ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა წამოაყენონ, უფლება აქვს მათ საქმის მსვლელობის შესახებ შეატყობინოს და განუმარტოს შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში სარჩელის შეტანის უფლების შესახებ. ეს პროცესის გადადებას გამოიწვევს. მოცემული უფლების სასამართლოსათვის მინიჭება ფრიად მიზანშეწონილია, ვინაიდან მოდავე მხარეებს შესაძლოა სრულიადაც არ აწყობდეთ კიდევ ერთი მოდავის დამატება და ამ მიზეზით მას არ შეატყობინონ. რასაც საქმის არაობიექტურად და არასწორად განხილვა და კიდევ ერთი პროცესი მოჰყვება, მას შემდეგ რაც მესამე პირი შეიტყობს მისთვის საინტერესო საგნის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის ან უკვე განკარგვის შესახებ. ამიტომ სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს საქმის სრულყოფილად განხილვის მიზნით ასეთ პირებს შეატყობინოს. ბელორუსის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვანთა და არაქმედუნარიანთა სარჩელის წარდგენას მათი თანხმობისა და სურვილის მიუხედავად, ხოლო სასამართლოს უარი მათ საქმეში დაუშვებლობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდება. [754]

განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა უფლებათა მოცულობა: ისინი იმ საპროცესო უფლებით სარგებლობენ და მხარეთა იმ მოვალეობებს ატარებენ, რომლის ინტერესებისთვისაც ისინი გამოდიან, გარდა სარჩელის საგნის განმკარგველობითი უფლებებისა.

ბელორუსის კანონმდებლობა ასევე უშვებს რეგრესული სარჩელის წაყენების შესაძლებლობას, როგორც მხარის მიერ მესამე პირთათვის, ასევე მესამე პირთა მიერ მხარეთათვის. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებულ პირებს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ, ისინი ვალდებულნი არიან საქმის აღძვრის შესახებ აცნობონ ამ პირებს და სასამართლოში მოტივირებული შუამდგომლობა წარადგინონ მათი საქმეში ჩართვის მოთხოვნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წესია დადგენილი: მესამე პირის მონაწილეობის გარეშე განხილულ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების გასაჩივრება შესაძლებელია ამ პირის მიერ შეტანილი რეგრესული სარჩელის განხილვისას.

---

[754] Гражданский процессуальный Кодекс Республики Беларусь, 11 января 1999 г. N 238-З Принят Палатой представителей 10 декабря 1998 года Одобрен Советом Республики 18 декабря 1998 года (Национальный реестр правовых актов Республики Беларусь; 17.03.1999, N 18-19, рег. N 2/13 от 15.01.1999) (с учетом дополнений, внесенных Законом Республики Беларусь от 9 июля 1999 г. N 285-З; НРПА, N54, 3.07.1999.

აღსანიშნავია რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული საპროცესო კანონმდებლობებიდან ბელორუსის საპროცესო კოდექსი ყველაზე გამორჩეულია არა მარტო იმით, რომ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ამ მართლაც მნიშვნელოვან ინსტიტუტს, არამედ იმითაც, რომ მესამე პირთა საქმეში ჩართვის წესებს უფრო დეტალურად არეგულირებს. სხვა ქვეყნების კანონმდებლობებისაგან განსხვავებით იგი ისეთ დეტალებს აქცევს ყურადღებას, როგორიცაა არასრულწლოვანთა და ქმედუუნარო პირთა საქმეში მესამე პირად მონაწილეობა, მესამე პირის მიერ რეგრესული სარჩელის შეტანა, რეგრესული სარჩელის განხილვისას პრეიუდიციური მნიშვნელობის მქონე ფაქტების გასაჩივრების შესაძლებლობა.[755]

ჩინეთი, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში უსწრაფესად განვითარებული ეკონომიკითა და მოსახლეობის სიმრავლით გამოირჩევა, მათ სასამართლო სისტემის თაობაზე ინფორმაცია სხვა ენებზე მწირია.[756] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად დავის საგნის მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებს, უფლება აქვთ სარჩელი შეიტანონ. მესამე პირებს, რომლებსაც თუმცა დავის საგნის მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნა არ აქვთ, მაგრამ საქმის განხილვის რეზულტატს იურიდიული თვალსაზრისით შეუძლია მათ ინტერესებს შეეხოს, ასევე შეუძლიათ საქმეში ჩართვაზე იშუამდგომლონ, მაგრამ ისინი საქმეში მხოლოდ საერო სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ ჩაერთვებიან. მესამე პირები, რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილებით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული, მხარეთა საპროცესო უფლებებით სარგებლობენ და მათი მოვალეობები აკისრიათ.[757]

უზბეკეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე და 45-ე მუხლების თანახმად მესამე პირებს საქმეში ჩართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუძლიათ. ისინი საქმეში შეიძლება ჩაერთონ საკუთარი, მხარეთა, საქმეში მონაწილე სხვა პირების, სასამართლოსა და ასევე პროკურორის ინიციატივით. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების განცხადებული მოთხოვნის აღიარების შემთხვევაში, როცა მისი ქმედების შედეგად მოსარჩელის უფლებები დარღვეულია, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება მესამე პირისათვის მოვალეობის შესრულების დაკისრებაზე. ანალოგიურ შემთხვევაში

---

[755] Гражданский процессуальный Кодекс Республики Беларусь, 11 января 1999 г. N 238-З Принят Палатой представителей 10 декабря 1998 года Одобрен Советом Республики 18 декабря 1998.

[756] *Van Rhee C.H., Fu Yulin,* An Introduction, The Role of the judge and the parties in civil litigation inChina and Europe: an introduction. In C.H. van Rhee & Y. Fu (Eds.), Civil Litigation InChina And Europe. Essays On The Role Of The Judge And The Parties (Ius Gentium:Comparative Perspectives on Law and Justice, 31), 2. Dordrecht: Springer. 2014.

[757] Гражданский процессуальный кодекс КНР; принятна 4-йсессииВсекитайскогособраниянародныхпредставителей 7-госозыва 9 апреля 1991 г. Измененвсоответствии сРешением Постоянного комитета Всекитайского собрания народныхпредставителей 10-госозыва «Овнесенииизмененийв Гражданскийпроцессуальныйкодекс КНР», 28 октября 2007.

დასაშვებია მხარეთა მორიგება მოსარჩელესა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს შორის.[758]

ტაჯიკეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად განსხვავებულადაა დადგენილი მესამე პირებს საქმეში ჩართვის დრო. 44-ე მუხლის თანახმად მათ პროცესში ჩაბმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს აქტის მიღებამდე შეუძლიათ. რის შესახებაც სასამართლოს განჩინება გამოაქვს, რომლის გასაჩივრებაც კერძო საჩივრითაა შესაძლებელი. აღნიშნული განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია მიუხედავად იმისა, მესამე პირად დაშვების შუამდგომლობას აკმაყოფილებს თუ არა. განსხვავებულადაა ასევე ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის საფუძველი - მათ საქმეში ჩართვა შეუძლიათ: თუ გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ უფლებებზე ან მოვალეობებზე ან ერთ-ერთ მხარესთან ურთიერთობაზე. საქმეში ჩართვისათვის ამ პირებმა სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობა უნდა წარადგინონ, რომელიც უნდა პასუხობდეს სარჩელისათვის დაწესებულ მოთხოვნებს. შუამდგომლობა უნდა წარსდგეს იმდენ ასლად, რამდენი პირიც საქმეში მონაწილეობს. ხოლო თუ ასეთი განცხადებით სასამართლოს საქმეში მონაწილე პირები მიმართავენ, მათ მოტივირებული შუამდგომლობა უნდა წარადგინონ მესამე პირის საქმეში ჩართვის საფუძვლის მითითებით.[759]

მოლდოვის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად მესამე პირების პროცესში ჩართვის შესახებ მხოლოდ ზოგადი წესებია დადგენილი. კერძოდ, მესამე პირებს საქმეში ჩართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუძლიათ. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს საქმეში ჩართვა საკუთარი, მხარეთა, პროკურორისა და სასამართლოს შუამდგომლობით შეუძლიათ. მათ მხარეების თანაბარი უფლებები აქვთ. ხოლო, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის უფლებათა მოცულობა განმკარგველი ხასიათის უფლებებითაა შეზღუდული.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში აღნიშნული ნორმის არსებობა დახვეწილი შრომითი კანონმდებლობის არსებობაზე, მუშაკთა უფლებების დაცვის მაღალ კულტურაზე მიანიშნებს. სამწუხაროა, რომ საქართველოში აღნიშნულ საკითხებს ყურადღება საერთოდ არ ექცევა და ასეთი ნორმის გათვალისწინება ურიგო არ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ თავად შრომის კანომდებლობა დასაქმებულთა უფლებების დაცვის მყარ მექანიზმებს არ ითვალისწინებს.

აზერბაიჯანის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმადაც, მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე შეუძლიათ საქმეში ჩაერთონ და სარჩელი წაუყენონ როგორც ერთ, ასევე თითოეულ მხარეს. მათ მოსარჩელის ყველა უფლება და მოვალეობა აქვთ, გარდა ეკონომიკურ

[758]Гражданский процессуальный кодекс Республики Узбекистан, Утвержден Законом РУз от 30.08.1997 г. № 477-I Введен в действие с 01.01.1998 г. В настоящий Кодекс внесены изменения в соответствии с Законом РУз от 14.09.2010 г. № ЗРУ-255.

[759] Гражданский процессуальный кодекс Республики Таджикистан; от 5 января 2008 года, по состоянию на 12 января 2010 года.

სასამართლოში მოპასუხესთან დავის (პრეტენზიის)განხილვის წინასასამართლო წესის დაცვის მოვალეობისა.[760]
აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირის საქმეში ჩართვას უკანონოდ გადაყვანილი ან გათავისუფლებული მუშაკის სამუშაოზე აღდგენის საქმეებზე. ჩვენი კანონმდებლობის ანალოგიურადაა გათვალისწინებული დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა საქმეში ჩართვის წესი დრო და უფლებათა მოცულობა.
გარკვეული თავისებურებების გარდა, პოსტ კომუნისტური ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ სისტემებით გათვალისწინებული მესამე პირები ევროპულისაგან განსხვავდებიან და ერთგვაროვნების გამო შედარებისათვის მწირ მასალას წარმოადგენენ. ზოგიერთი მათგანი გარკვეულწილად, საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გავლენას განიცდის. თუმცა ყველა მათგანში საქმის განხილვაში ჩართვის დროდ განსაზღვრულია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე სტადია, რაც ძირითადი განმასხვავებელია დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან.

VIII. დასკვნითი თეზისები და რეკომენდაციები

ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად მოტანილი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები თავისთავად გამოწვევების საპასუხო რეგულაციებს მოითხოვენ. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიცაა მესამე პირები, ხელს უწყობს იმ პირების მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაციას, რომლებიც ორ მხარეს შორის სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში არ მონაწილეობენ, მაგრამ დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებენ ან საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებას შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ვინაიდან საერთაშორისო პრინციპები, კონვენციები, კონსტიტუცია უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას,[761] საპროცესო სამართლის ამოცანაა, რომ ამ უფლების რეალიზაციის მკაფიო და მყარი მექანიზმი შექმნას და ხელი შეუწყოს ყველა იმ პირთათვის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელებას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სხვის დავაში ჩაერთონ საკუთარი უფლებების პირდაპირ თუ ირიბად დასაცავად. ეს პირები სამოქალაქო პროცესში მესამე პირების სტატუსით სარგებლობენ და მათთან დაკავშირებით მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: „დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში მონაწილეობამ, შესაძლოა, არსებითად გაართულოს სასამართლო დაცვის მიღება, ამიტომ, განსაკუთრებული აუცილებლობა ამ მონაწილეობისათვის არ

[760] Гражданский процессуальный кодекс АзербайджанскойРеспублики от 28 декабря 1999 года.
[761] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04.11.1950. რომი.

არსებობს."[762] მითითებულ მოსაზრებას აბათილებს ის, რომ მოცემული საპროცესო ინსტიტუტის საშუალებით საქმის დასასრულისადმი ყველა დაინტერესებული პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვაა უზრუნველყოფილი. მათ შორის იმ პირებისაც, რომლებიც მიმდინარე პროცესში მხარეებს არ წარმოადგენენ. პირიქით, მესამე პირების ინსტიტუტი სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთ ფასეულ რესურსს წარმოადგენს და მის ეფექტიან მოქმედებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაცია. მესამე პირების საქმეში მონაწილეობა ერთ საქმეში ყველა მტკიცებულებითი მასალის გაერთიანების საშუალებას იძლევა, ვინაიდან მესამე პირები დაინტერესებულნი არიან მათ მიერ წამოყენებული მოსაზრებების დადასტურებაში და შესაძლოა ხელთ ჰქონდეთ სათანადო ფაქტობრივი მონაცემები. მათი საქმეში მონაწილეობა სასამართლოს საქმის გარემოებების უფრო სრულყოფილად გამოკვლევის საშუალებას აძლევს და თავიდან აცილებს ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის საფრთხეს. მესამე პირთა მონაწილეობა უზრუნველყოფს საქმეში მონაწილე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების უფრო სწრაფ და სწორ გადაწყვეტას. მათი მონაწილეობა ხელს უწყობს სასამართლო ორგანოების დროის დაზოგვას, განამტკიცებს სამოქალაქო პროცესის ფუნდამენტურ საპროცესო ეკონომიისა და გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპებს. „ჩართვის" თაობაზე ყველა განცხადება, რომელშიც ინტერესი დასაბუთებულია და აკმაყოფილებს დადგენილ პირობებს, საქმეთა სიმრავლის კუთხით ეფექტურობის ხელშემწყობს წარმოადგენს.[763] გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს სამართლიანობის დაცვას პროცესის არა მხარეთა მიმართ, ხელს უშლის ინფორმაციის დუბლირებას სასამართლოებისათვის.[764] ამასთან, მესამე პირების ინსტიტუტს, მათთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებს არამარტო უშუალოდ პროცესუალური დატვირთვა აქვს, არამედ საპროცესო კუთხით ქვეყნის სამართლებრივ განვითარებასა და კულტურაზეც მეტყველებს. ვინაიდან, იმისდა მიხედვით თუ როგორ არის განსაზღვრული მათი უფლებათა მოცულობა, შესაძლებელია მსჯელობა კანონმდებლის მიერ მოქალაქეთა უფლების დაცვის ხარისხზე. საპროცესო კულტურის ძირითადი ასპექტები სამართლებრივი პროცედურების არაპრივილეგირებულთათვის ხელმისაწვდომობაში, ხარჯებისა და დროითი დანახარჯის შეფასებასა და ამ ორი ფაქტორის შემცირების განზრახვაში მდგომარეობს, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საპროცესო ეკონომია.[765] ხოლო, ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრობლემები მოიცავენ საკითხებს, თუ რა ზომითაა შესაძლებელი თანამონაწილეებისა და მესამე პირების პრაქტიკა დაშვებული.[766]

---

[762] *Приходько И.А.* Доступность правосудия в арбитражном и гражданском процессе. СПб.: Изд-во С.-Петербургского гос. ун-та, 2005, 345 - 347; Проблемы участия в арбитражном процессе физических лиц // Арбитражная практика. 2005, N3,29.

[763] *Brunet,* A Study in the Allocation of Scarce Judicial Resources, 12 GA. L. Rav. 701, 734 (1978).

[764] *Walker Vern R.* The Timeliness Threat to Intervention of Right, 89 Yale L.J. 586 (1980) Available at: http://scholarlycommons.law.hofstra.edu/faculty_scholarship/243 , 588.

[765] *Gottwald P.*, , Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No 22, 2005, 25.

[766] *Luke W.*, Die beteiligung Dritter im Zivilprozess, 1993, 6.

სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნდამენტური და ძირითადი პრინციპების ფართო არეალი არსებობს. ზოგადი პრინციპების ცნობის ღირებულებას ის წარმოადგენს, რომ მათ ასე ვთქვათ, „შხამსაწინააღმდეგო“ ეფექტი აქვთ დეტალურად და ტექნიკურად უთვალავი და გართულებული საპროცესო წესების მიმართ. კანონმდებლისათვის მნიშვნელოვანია შეიმეცნოს ფუნდამენტური ნორმების იდენტიფიცირების საჭიროება, რადგან სასამართლო სისტემის გარეთ ზოგადი პრინციპები ფართოდ გავრცელებული არ არის. მხედველობაშია ასევე, მისაღები, რომ ამ პრინციპების აღიარება სამართლებრივ სისტემებს ერთმანეთთან უკეთესი პრაქტიკით დააახლოვებს და აღმოფხვრის ქაოსს.[767] სამოქალაქო პროცესის ქვაკუთხედად მკვლევარების მიერ მიჩნეულია სასამართლოსა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის რეგულირების, პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის, სწრაფი და ეფექტიანი პროცესის უზრუნველყოფის, ზუსტი და ეფექტური შედეგების მიღწევის პრინციპები.[768] შესაძლებელია დასკვნა, რომ მესამე პირების ინსტიტუტი მათი რეალიზაციის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ის, რომ გარეშე დავის არამონაწილე პირს შესაძლობლობა აქვს ახალი დავის დაწყების გარეშე მხარეთა შორის მიმდინარე დავაში თავისი უფლებების რეალიზაციის მიზნით ჩაერთოს, ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს პირველი პრინციპის – მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განხორციელებისათვის. ამასთან, რათა საქმეზე დადგენილ იქნეს ჭეშმარიტება, საჭიროების შემთხვევაში აუცილებლობაა დავაში მესამე პირების მონაწილეობა, რაც პროცესის სამართლიანობას უზრუნველყოფს. რაც შეეხება მესამე პრინციპს, სწრაფი და ეფექტური პროცესის უზრუნველყოფას, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს, რომ მესამე პირების საქმეში მონაწილეობამ შესაძლოა პროცესის სისწრაფე შეაყოვნოს, სწორედ სწრაფი და ეფექტიანი შედეგის მიღწევისათვისაა საქმეში მესამე პირების მონაწილეობის მიზანშეწონილება განპირობებული. მესამე პირების ინსტიტუტი, წარმოადგენს საპროცესო ეკონომიის გარანტს, თავიდან აცილებს მხარეებს პარალელური პროცესების გამართვას და ამცირებს შემდგომში გადაწყვეტილების გაუქმების ალბათობას. ამ პრინციპსა და მესამე პირების ინსტიტუტთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ საქმის ყოველმხრივ განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება ზუსტ და ეფექტიან შედეგებს უზრუნველყოფს და ამყარებს გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ქვაკუთხედად მიჩნეული პრინციპების განხილვა წარმოუდგენელია მესამე პირების ინსტიტუტის გარეშე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მაღალ საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

თუმცა მოცემული საპროცესო ინსტიტუტის პრაქტიკულ რეალიზებას სხვადასხვა პრობლემატური საკითხები ახასიათებს. კერძოდ, რამდენად სწორად ხდება მესამე პირების ჩართვა მიმდინარე სამოქალაქო საქმისწარმოებაში მათი იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით; ხშირად სამართლებრივი ინტერესის დასაბუთების გარეშე, მხოლოდ

[767] *Gottwald P*. Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No 22, 2005, 25.

[768] *Gottwald P.,* Comperative civil procedure, Ritsumeikan Law Review No 22, 2005, 25.

იმიტომ, რომ სტატუსი მიეკუთვნოთ, საქმის განხილვაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ერთვებიან საქმესთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული პირები; რამდენადაა მიზანშეწონილი მესამე პირებისათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის რაიმე ვადით შეზღუდვა; რამდენად შესაძლებელია საქმეში ჩართვის უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების რეგულირება, რათა არ მოხდეს პროცესის უმიზეზოდ გართულება და გაჭიანურება. საყურადღებოა სასამართლოს კომპეტენცია და უფლებათა მოცულობა მესამე პირების საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით; ასევე, რამდენად შეიძლება მესამე პირები წარმოადგენდნენ საფრთხეს სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპთან მიმართებაში; პროცესში მათი ჩაურთველობის შემთხვევაში, რამდენად არის კანონმდებლის მიერ გარანტირებული საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების საშუალება.

მესამე პირების ინსტიტუტს თავისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია აქვს, რომელიც აითვლება არა მხოლოდ ასწლეულებით, არამედ ათასწლეულით. სამართლებრივი ინსტიტუტების კვლევისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისი ისტორიული მიმოხილვა იძენს. მისი წარმოშობის წყაროს კვლევა, განვითარების საფეხურებისა და ევოლუციისათვის თვალის მიდევნება, ცნების ფორმირებისა და ტრანსფორმაციის მიმოხილვა, რათა გააზრებულ იქნეს მისი ამჟამინდელი და არსებული სახით ჩამოყალიბების გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები. ასევე, განსაზღვრულ იქნეს მისი სწორი სავარაუდო განვითარების შემდგომი საფეხურები. ასევე, თუ ცნობილი იქნება, რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა და რა მიზეზებით, მის ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილებაც შესაძლებელი გახდება. რეკომენდაციების სწორად შემუშავებაც სწორედ ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ლიტერატურის ანალიზი და საპროცესო კანონმდებლობა გვაჩვენებს, მესამე პირებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები სხვადასხვა ეპოქაში შესაბამისობაში მოდიოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციასთან. აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ ეპოქის და პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, კანონშემოქმედებითი მიდგომა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობისადმი არაერთგვაროვანი იყო. თუმცა, განვითარების ყველა სტადიაზე მათ ყველაზე მნიშვნელოვან დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა და კვლავ წარმოადგენს უკვე დაწყებულ პროცესში ჩართვა. ამასთან, მუდმივად ხდებოდა მესამე პირების სამართლებრივი მდგომარეობის განვითარება და მესამე პირების საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების მოცულობის გაფართოება.

მესამე პირების განვითარების განვლილი გზის შესწავლასთან ერთად, არსებულ რეალობაზე და მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემა: საბჭოთა პერიოდში არსებული სამოქალაქო კანონმდებლობა უფრო მეტად საჯარო სამართლის ნაწილი იყო. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებამ დღის წესრიგში დააყენა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ოპტიმიზაციისა და

ჰარმონიზაციის აუცილებლობა. საქართველოს სახელმწიფომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ქვეყნისათვის სასურველ სამართლებრივ სისტემად კონტინენტური სამართალი აირჩია. სწორედ კონტინენტური სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 1997 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მატერიალური სამართლის რეალიზების მექანიზმია და უნდა შეესაბამებოდეს მის პრინციპებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მატერიალური სამართალი რეალიზებას ვერ შეძლებს და პროცესი მის შემაფერხებელ ბერკეტად გარდაიქმნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალი კონტინენტურ სამართალს ეყრდნობა, იგივეს თქმა არ შეიძლება სამოქალაქო პროცესთან მიმართებაში, რის გამოც არის შემთხვევები, როდესაც პროცესი ვერ მოდის შესაბამისობაში მატერიალურ სამართალთან. სამოქალაქო პროცესში მესამე პირების ინსტიტუტის შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმები ძირეულად იგივე დარჩა, რაც საბჭოთა კავშირის დროს იყო და სრულყოფილად ვეღარ პასუხობს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევებს. ამას დაემატა ფრაგმენტული ცვლილებები, რამაც კიდევ უფრო შეცვალა მესამე პირების არსი. შესაბამისად, აქტუალურია ქართული საპროცესო კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო აქტიურად მიისწრაფვის ევროკავშირში შესვლისაკენ მიმავალ გზაზე. მით უმეტეს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულება აკისრია ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას, მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით.[769]

მესამე პირების ინსტიტუტის განხილვისას შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩეს 1997 წელს - ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (ALI) მიერ დაწყებული პროექტი „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის პრინციპები და წესები“, რომელსაც 2000 წელს შეუერთდა კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT).[770] ALI/UNIDROIT–ის პრინციპები მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის დაბალანსებულ ნაზავს წარმოადგენენ. მათ ასევე დანართის სახით ერთვის წესები კომენტარებით. პროექტი ოსტატურად წყვეტს ურთიერთსაწინააღმდეგო საპროცესო აქსიომების თაობაზე არსებულ განსხვავებულ შუალედურ მიდგომებს. საქმეში მესამე პირების ჩართვისა და ასევე თანამონაწილეობის წესებს არეგულირებს აღნიშნული პრინციპებიდან მე-12 – „სარჩელთა და მხარეთა სიმრავლე. ჩართვა“, რომლის მე-2 ნაწილის შესაბამისად პირს, რომელსაც დავის საგანთან არსებითად დაკავშირებული ინტერესი აქვს, შეუძლია მოითხოვოს ჩართვა. განსაკუთრებით საყურადღებოა, ის დათქმა, რომლის შესაბამისადაც სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარის

[769] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, 27.06.2014, რატიფიცირებულია 18.07.2014, ძალაშია 01.07.2016.

[770] *Hazard G. C., Stürner Jr., R., Taruffo M., Gidi A.*. Draft Rules of Transnational Civil Procedure with Comments, UNIDROIT 2004 Study LXXVI – Doc. 12 (English only), Rome, February 2004, 5. ნანახია 21.09.2018, <https://www.unidroit.org/english/documents/2004/study76/s-76-12-e.pdf>.

შუამდგომლობით შეუძლია მოითხოვოს იმ პირისათვის დავის თაობაზე შეტყობინება, რომელსაც შეიძლება ჩართვის ინტერესი ჰქონდეს. ჩართვაზე მოწვევა მესამე პირებისათვის პროცესში ჩართვის ხელსაყრელ შესაძლებლობას ქმნის. ხოლო პრინციპების დანართი წესების მე-5.3 მუხლით სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით ჩართვაზე მოწვეულ პირს არსებული ინტერესის დასაბუთება მოსთხოვოს. ჩარევისათვის მოწვევამდე სასამართლომ მხარეებთან უნდა იქონიოს კონსულტაცია.

სამოდელო პრინციპებით შემოთავაზებულსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ მიდგომებს შორის მესამე პირების კუთხით შედარების განხორციელებისას შემდეგი განსხვავებები იკვეთება: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით მესამე პირების საქმეში ჩართვა აუცილებელია ამ პირებმა ან მხარეებმა მოითხოვონ. ხოლო სასამართლოს კომპეტენცია მესამე პირების საქმის განხილვაში ჩართვასთან მიმართებაში შეზღუდულია. სასამართლოს არა აქვს მინიჭებული უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს ის პირი, რომლის უფლებებზე და მოვალეობებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ მხარეებს მის თაობაზე გაცხადებული არა აქვთ. მაშინ, როდესაც ევროპული სამოქალაქო საპროცესო სამართალი მოსამართლისათვის ფართო უფლებების მინიჭებით გამოირჩევა, ქართული სამართალი მესამე პირების საქმეში ჩართვასთან მიმართებაში მოსამართლეს პასიური როლით შემოსაზღვრავს. აღსანიშნავია, რომ კონტინენტურ სამართალში შეიმჩნევა მოსამართლის როლის გაძლიერების საერთაშორისო ტენდენცია.[771] მაგალითად, ბელგიის 2007 წლის ახალმა სასამართლო აქტმა ეფექტურობისათვის მოსამართლის უფლებათა გაძლიერების ახალი ტენდენცია დანერგა.[772] გერმანული სამოქალაქო პროცესი სასამართლოს ინიციატივით საქმეში მესამე პირის ჩართვას ითვალისწინებს. თუმცა, აღნიშნული სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში პრობლემატურ საკითხადაა მიჩნეული,[773] მაგრამ იშვიათად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესში შესაძლებელია ისეთი გარემოებები შეიქმნას, რომლის დროსაც მესამე პირს საქმის განხილვაში მონაწილეობის საშუალება უნდა მიეცეს. გერმანიის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 103-ე მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება მოსმენილ იყოს. ეს წესი ვრცელდება ყველა პირზე, რომელსაც შეიძლება პირდაპირ შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება.[774] სასამართლო ვალდებულია საქმეში ჩართოს მესამე პირი, თუ გადაწყვეტილება ამ პირის კანონიერ ინტერესებს პირდაპირ შეეხება.[775] თუმცა, თუ პირი ჩართული არ იქნება, პირველი ინსტანციის

---

[771] *Domej. T.* Efficiency in relationship between the judge and the parties: A perspective on the future Swiss code of Civil procedure. Access to Justice and the Judiciary: Towards New European Standards of Affordability, Quality and Efficiency of Civil Adjudication, Editors:A. UzelacC.H. van Rhee, 2009 Intersentia Antwerp– Oxford– Portland.81.

[772] *Heirbaut D.* Efficiency: The Holy Grail of Belgian Justice? Towards New European Standards of Affordability, Quality and Efficiency of Civil Adjudication, Editors:A. UzelacC.H. van Rhee, 2009 Intersentia Antwerp– Oxford– Portland. 101.

[773] *Wieczorek B. Schütze R. A:* Zivilprozessordnung und Nebengesetze, Band 1: Einleitung, §§ 1-127a, Teilband 1: Einleitung, §§ 1-49, 3. Auflage 1994, Berlin/New York

[774] BVerfG, NJW 1988, 1963 (1963); 1982, 1635 (1635); 1967, 492, (492);

[775] BVerfG, NJW 1967, 492, (492);

სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილად არ მიიჩნევა.[776] მესამე პირებს შეუძლიათ გადაწყვეტილების მიმართ სამართლებრივი ქმედებების განხორციელება.[777]

„სამართლებრივი უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეფექტიანი მართლმსაჯულებით, რომლის საბოლოო მიზანი ნებისმიერ საქმეზე სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაა; მეორე მხრივ, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებისადმი სანდოობით, რასაც ორი მთავარი საფუძველი (ასპექტი) აქვს: სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობა – სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა.[778] სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმის სრულყოფილად და ყოველმხრივ განხილვას, საქმეში დავის საგანთან დაკავშირებული ყველა პირის მონაწილეობას, რათა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ მოხდეს. შესაბამისად, სასამართლოს უფლება საკუთარი ინიციატივით საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის მოიწვიოს სავარაუდო დაინტერესებული პირი, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების გარანტს წარმოადგენს. ასეთივე მოსაზრება აქვს ცივილისტ მარსელ შტორმს: „ეფექტური კონტროლის გარეშე შეჯიბრებითი პროცესი განსხვავებული კულტურების შეჯიბრისათვის ხელშეწყობას წააგავს, რაც გენერირდება ისეთ გარემოში, სადაც სამართალწარმოების პროცესი აღიქმება ბრძოლის ველად წესების გარეშე. ასეთ აქტივობას სასამართლოსა და მხარეების ძალზე მკაფიო შრომის დანაწილებამდე უნდა მივყავდეთ: დავა მხარეებს ეკუთვნის, ხოლო კვლევა მოსამართლეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს მოეთხოვებათ ფაქტებისა და არგუმენტების წარმოდგენა, ხოლო მოსამართლეს – განკარგვა, დროითი ლიმიტების გადაწყვეტა, მესამე პირების მოწვევა და დავის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა.[779] სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო მხოლოდ კანონის ნების აღმსრულებლად და კანონის შემფარდებლად არ გვევლინება. სასამართლოს ამოცანა უფრო მეტია, ვიდრე კანონის შეფარდება. სასამართლომ სამართლიანობა უნდა აღადგინოს, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა გადმოსცეს ის, თუ მოდავე მხარეთა შორის რეალურად რა ურთიერთობას ჰქონდა ადგილი.[780]

მესამე პირების ინსტიტუტს სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, მესამე პირების ინსტიტუტის სასამართლო პრაქტიკაში რეალიზებას სირთულეები ახლავს. რის გასაშუქებლადაც მოყვანილ იქნა

---

[776] *Wieczorek B. Schütze R. A:* Zivilprozessordnung und Nebengesetze, Band 1: Einleitung, §§ 1-127a, Teilband 1: Einleitung, §§ 1-49, 3. Auflage 1994, Berlin/New York, (Fn 67) Vor § 64 Rn 18.

[777] Vgl BGH, NJW 1984, 353 zu § 640 e ZPO aF.

[778] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2013 წლის 5 ნოემბერი, 9.

[779] *Storme M*, A Single Civil Procedure for E urope : A Cathedral Builders' Dream, Ritsumeikan Law Review No. 22, 2005, 96-97.

[780] *გაგუა ი.* სადისერტაციო ნაშრომი მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 15

სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებენ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მესამე პირების ინსტიტუტის არასწორ გამოყენებას. კერძოდ, სათანადო იურიდიული ინტერესის გარეშე მათ საქმის განხილვაში ჩართვას გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპთან მიმართებაში ან პირიქით მესამე პირების სარჩელის მიუღებლობას, როდესაც დავის საგანზე არსებობს გადაწყვეტილება. მესამე პირების ინსტიტუტის პრაქტიკაში რეალიზება გარკვეულ პრობლემატიკასთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს მესამე პირების მიერ დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა, მაშინ როდესაც დავის საგანთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. „არსებობს საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ პირი, რომლის უფლებებს და მოვალეობებსაც ეხება კონკრეტული საქმე, არ მონაწილეობდეს საქმის განხილვაში. არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ მესამე პირმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების გარეშე დაიწყოს დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება, რადგან სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის პირდაპირი საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, თუმცა პრაქტიკაში ასე არ ხდება და საერთო სასამართლოები არ იღებენ ასეთ სარჩელებს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სასამართლოები თავიდან იცილებენ ერთი დავის საგანზე ორი გადაწყვეტილების არსებობას.”[781] სასამართლოს ამგვარი მიდგომა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. მითითებული მოსაზრებით თუ ვიმსჯელებთ, საქმე არასწორ პრაქტიკასთან გვაქვს. რაც იწვევს მესამე პირების კონსტიტუციით დადგენილი და გარანტირებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას. მოცემული მიდგომით პოტენციურ მესამე პირებს, რომლებსაც საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ და არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისათვის რჩებათ ერთადერთი გზა: სასამართლოს მიმართონ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა №531 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განიხილა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობას შეეხებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მითითებული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელი იყო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მსჯელობაში აღნიშნა, რომ უფლების განუსაზღვრელი დროით სადავოდ ქცევა პირს მომავლთან დაკავშირებით უქმნის ბუნდოვანების განცდას, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად სცნო სსკ-ს 426-ე მუხლის მე-4

[781] 2013 წლის 5 ნოემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის (სათანადო მოპასუხე და მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით საპროცესო კოდექსით დაწესებული ვადის შეზღუდვა მოიხსნა, რამაც შესაძლოა სამომავლოდ აღნიშნული უფლების ბოროტად გამოყენება გამოიწვიოს ამ პირების მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაჭრილ იქნა კონკრეტული პრობლემატური საკითხი, თუმცა მისი საზოგადოდ მოგვარების უფრო სწორი გზა კანონმდებლის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანა და სასამართლოსათვის მესამე პირების მოწვევის უფლების მინიჭება იქნებოდა.

ამავე საკითხთან დაკავშირებით არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“.[782] სასამართლოს მიერ სადავო ხელშეკრულების დამმოწმებელი ნოტარიუსის განცხადების საფუძველზე, იმ მოტივით, რომ საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ხელშეკრულების გაუქმებით მისი რეპუტაცია შეილახა, გაუქმდა სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის თანახმად თუ სასამართლო საკითხს გადაწყვეტს, მისი განჩინება ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ საქმის ხელახლა მოსმენასა და ახალ გადაწყვეტილების გამოტანას მიაღწიოს. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გადახედვა ნიღბიან აპელაციად არ უნდა იქცეს და საკითხზე ორი შეხედულების არსებობა საქმის გადასინჯვის საფუძველს არ წარმოადგენს. ამ პრინციპიდან გადახვევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ამის აუცილებლობა არსებითი და გარდაუვალი ხასიათის გარემოებების წარმოშობითაა გამოწვეული. სასამართლომ მიიჩნია, რომ საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს არღვევდა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე პროცესის განახლების არასწორ გამოყენებას წარმოადგენდა, რაც არსებითი ან გარდაუვალი ხასიათის გარემოებებით გამართლებული არ იყო და ამით განმცხადებელს ზედმეტი და არაპროპორციული ტვირთი დააწვა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით და პირველი დამატებით ოქმის პირველი მუხლით გათვალსწინებულ დარღვევას.

[782] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეორე სექციის 2010 წლის 27 მაისის განჩინება 18156/05 საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“.

აღნიშნული გადაწყვეტილება პირდაპირ იძლევა რეკომენდაციას მასზედ, რომ მსგავს შემთხვევებში მესამე პირმა ახალი სარჩელი შეიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო ეკონომიის პრინციპის დაცვა სასამართლოებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა, აღნიშნული არ ნიშნავს სხვა, ასევე მნიშვნელოვანი პრინციპების უგულებელყოფას. სასამართლოსათვის ფუნდამენტური პრინციპები ყველა მნიშვნელოვანი უნდა იყოს და მოხდეს მათი პროპორციულობის დაცვა, რათა ერთი პრინციპის დაცვით მეორე არ დაირღვეს. აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შედარებისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნა, რომ ისინი ორივე მიმართულია საკუთრებისა და სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობის უფლებების დაცვისაკენ, თუმცა გარკვეულწილად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. მოცემულ შემთხვევაში უფრო მეტად მისაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საკითხისადმი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ შემთხვევაში საქართველოს სასამართლოს მიერ არ განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილების იმ გავლენის შეფასება, რაც მესამე პირების საქმეში ჩართვის საფუძველს წარმოადგენდა. ნოტარიუსს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად საქმეში ჩართვისათვის საჭირო სათანადო იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა. ევროსაბჭოს სასამართლოების პრეცედენტული სამართლის მიხედვით „ინტერესი სასამართლოში განსახილველი საქმის შედეგებისადმი“ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია „ჩართულის“ სამართლებრივ პოზიციაზე ან ეკონომიკურ მდგომარეობაზე არსებითი გავლენა მოახდინოს. პროცესში ჩართვის ნების დართვისათვის, ჩართულმა უნდა დაამტკიცოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი არაპირდაპირი ინტერესი აქვს.[783] საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ხაზგასმული, თუ რა სახის ინტერესი უნდა ჰქონდეს პირს საქმეში ჩართვისათვის. სსკ-ის 89-ე მუხლის დათქმა „ყოველი დაინტერესებული პირი“ ძალიან ფართო ცნებაა. მით უმეტეს, რომ არ ზუსტდება თუ რა სახის გავლენას უნდა ახდენდეს მის უფლებებზე გადაწყვეტილება. გავლენის სახის განუსაზღვრელობა უშვებს იმის ალბათობას, რომ საქმეში ჩართულ იქნეს არასათანადო პირი. ამიტომ, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებთან მიმართებაში მიზანშეწონილი იქნებოდა, ზოგადი დათქმის „გავლენის მოხდენის“ ნაცვლად მოხდეს ინტერესის განსაზღვრა „იურიდიული ან ეკონომიკური ინტერესის” სახით.

ნაშრომში მეცნიერულ სიახლედ წარმოდგენილია სამოქალაქო პროცესში სასამართლოს მეგობრის (amicus curiae brief) მონაწილეობა. ეს ინსტიტუტი აღიარებულია სამოდელო სამოქალაქო საპროცესო პრინციპებითაც (მე-13). საქართველოში, მსგავსად სხვა კონტინენტური სამართლის ქვეყნებისა, აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება, კერძოდ დავის არსისადმი იურიდიული ინტერესის არმქონე მესამე პირებისათვის პროცესში მონაწილეობის ნების დართვა, დამკვიდრებულ პრაქტიკას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ის მნიშვნელოვანი მექანიზმია,

[783] *European Parliament*, 2012 DIRECTORATE-GENERAL FOR INTERNAL POLICIES, POLICY DEPARTMENT, CITIZEN′S RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS, Standing up for your right(s) in Europe, 55.

განსაკუთრებით საზოგადოებრივი ხასიათის საქმეებში. მე-13 პრინციპი არ უშვებს მათ მიერ წერილობითი განცხადების წარდგენას დავასთან დაკავშირებულ ფაქტებზე. ის მხოლოდ იმ მონაცემების, საფუძვლის, აღნიშვნების, სამართლებრივი ანალიზისა და მსჯელობის წარდგენას უშვებს, რაც შეიძლება სამართლიანი და ზუსტი გადაწყვეტილებისათვის სასარგებლო იყოს. აღსანიშნავია, რომ მითითებული ინსტიტუტის დანერგვა განხორციელდა 2015 წლის ივლისის კანონით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომელსაც დაემატა მე-16[1] მუხლი – სასამართლოს მეგობარი (amicus curiae). სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ისეთი მექანიზმის დანერგვა, როგორიცაა „amicus curae“-ს მიზანშეწონილი იქნებოდა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ გამოიწვევდა იმ არასათანადო მესამე პირების რიცხვის შემცირებას, როგორებადაც ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციები გვევლინებიან.

ნაშრომში განხილულია და გამოტანილია დასკვნები შემდეგ პრობლემატურ საკითხებზე:

დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე პირების საქმეში ჩართვის დროსთან დაკავშირებით სსსკ-ში 2006 წლის 13 ივლისს განხორციელებული ცვლილებით ჩართვის დროდ განსაზღვრულია სასამართლო პაექრობის დაწყებამდე პერიოდი. აღნიშნული ცვლილება, დადებითადაა შეფასებული, რადგან საპროცესო ეკონომიის პრინციპს უწყობს ხელს.

პრობლემატურია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირთა საპროცესო სტატუსის მოპოვების საკითხი, ვინაიდან 2011 წლის 28 დეკემბრის ცვლილებით სარჩელი სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირდება. ჩნდება კითხვა თუ როდიდან მოიპოვებს პირი მესამე პირის საპროცესო მდგომარეობას. რადგან, მესამე პირების სარჩელის მიღება და განხილვა საერთო წესების დაცვით წარმოებს, სსსკ-ს 183-187-ე მუხლების მოთხოვნები მათ სარჩელებზეც ვრცელდება. 186-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს კოდექსით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე დასაბუთებულ განჩინებას გამოიტანს, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირი მესამე პირის საპროცესო მდგომარეობას სარჩელის კანცელარიაში დარეგისტრირებიდან 5 დღის გასვლის შემდეგ მოიპოვებს, იმ შემთხვევაში თუ მოსამართლის მიერ ზემოაღნიშნული განჩინება გამოტანილი არ იქნება. თუმცა აქ გარკვეულ ხარვეზთანაა საქმე. ადრე მესამე პირად დაშვების თაობაზე უნდა გამოეტანა სასამართლოს განჩინება და ამ განჩინებაში ყოფილიყო ასახული, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ საქმეში ჩართვა დასაშვებად. ხოლო, ახლანდელი მოცემულობით, სასამართლოს განჩინება გამოაქვს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში დასაბუთებით: თუ რატომ არ უნდა ჩაერთოს პირი საქმის განხილვაში. ეს ეწინააღმდეგება დისპოზიციურობის პრინციპს, ვინაიდან არ ხდება მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინება. მხარეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, მინიმუმ მოსმენილ იყვნენ ამ საკითხთან დაკავშირებით. ნაშრომში ხაზგასმულია ის კონკრეტული მოთხოვნები, რომელსაც მესამე პირების მიერ წარდგენილი სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს. მესამე პირის სარჩელის დასაშვებობის ყველაზე მნიშვნელოვან

წინაპირობად მიჩნეულია სასამართლოს მიერ იმის შემოწმება, აქვს თუ არა მესამე პირს საქმეში ჩართვის უფლება. რასაც იურიდიულ ლიტერატურაში „ლეგიტიმაციას" უწოდებენ. პროცესში მხარეთა ლეგიტიმაციის ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება. ვინაიდან, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით მოსარჩელის უფლებებით სარგებლობს, სარჩელის წარდგენისას დასაშვებობის წინაპირობების მტკიცების ტვირთი მას ეკისრება. შესაბამისად, მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით უნდა მოახდინონ როგორც საკუთარი, ისე თავდაპირველი მხარეების ლეგიტიმაცია, რომ მასთან ურთიერთობაში ისინი მოპასუხეები არიან. ისევე, როგორც თავდაპირველმა მოსარჩელემ, მესამე პირმა, შედის რა უკვე დაწყებულ პროცესში უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ იგი საქმეზე დაინტერესებული პირია. საქმეში ჩართვის შესახებ მესამე პირის განცხადებაში წარმოდგენილი ლეგიტიმაციის ფაქტები სასამართლოს საფუძველს მისცემს იმსჯელოს საქმის დასასრულისადმი პირის დაინტერესებაზე. ამასთან, მესამე პირმა უნდა მოახდინოს როგორც აქტიური ლეგიტიმაცია, ისე პასიურიც – განსაზღვროს თავის სარჩელის მოპასუხე.

ნაშრომში განხილულია საკითხი, თუ ვინ წარმოადგენს დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნის მოპასუხეს და ამ თემასთან დაკავშირებული პროცესუალისტების ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. ამ საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან ის განსაზღვრავს პროცესში თავდაპირველ მხარეებსა და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირს შორის ურთიერთობას და აისახება საქმისწარმოების შემდგომ მსვლელობაზე, მაგალითად გახდება თუ არა ამა თუ იმ მხარის მიერ სარჩელის ცნობა ან გამოხმობა საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი. ასევე, განსაზღვრავს სასამართლო ხარჯების განაწილების სისწორესაც. გერმანიის კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მესამე პირის სარჩელის წარდგენას მხოლოდ ორივე მხარისათვის. მესამე პირის მიერ ორივე მხარისათვის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა უფრო ხშირია. თუმცა, არასწორი იქნებოდა მტკიცება, რომ მესამე პირის ყველა მოთხოვნა გამონაკლისის გარეშე მიმართულია ორივე მხარისათვის. რადგან პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მესამე პირი მოთხოვნას მხოლოდ ერთ მხარეს წარუდგენს. ამიტომ, კანონის დათქმა, რომ მესამე პირის სარჩელი შეტანილ იქნეს როგორც ორივე, ასევე მხოლოდ ერთი მხარის მიმართ, მიზანშეწონილია.

რაც შეეხება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირებს, მათთან მიმართებით დეტალურად არ არის განსაზღვრული საქმეში ჩართვის წესი. სსკ-ს 89-ე და 90-ე მუხლები საქმეში ჩართვის პირობად მხოლოდ ყველა დაინტერესებული პირის მიერ მოტივირებული განცხადებით მიმართვას ადგენენ. სამაგალითოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გფრ-ს სსსკ-ი, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დაინტერესებული პირის შუამდგომლობა საქმის განხილვაში ჩართვის თაობაზე, გარდა იმისა, რომ მასზე საპროცესო დოკუმენტების მომზადების ზოგადი წესები ვრცელდება;

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არ მქონე მესამე პირებთან მიმართებით საქმეში ჩართვის დრო განსაზღვრულია შემდეგნაირად: - მხარეთა ინიციატივით მესამე პირის ჩართვისთვის სსსკ-ს 90-ე მუხლით გათვალისწინებული პერიოდია - სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. იმ მესამე პირების ჩართვის დრო, რომელთაც საკუთარი ინიციატივით პროცესში შესვლა სურთ, დაკონკრეტებული არაა, რაც არაერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა. თუ კანონის ანალოგიით ვიმსჯელებთ, მაშინ შესაძლებელია დაშვება, რომ მათ ჩართვა შეუძლიათ არა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, არამედ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ვხვდებით მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის „ჩართვა დასაშვებია, თუ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზები ასეთი შუამდგომლობის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობისა".

პრობლემატურია სსკ-ის 106-ე მუხლის ფორმულირება და ნორმის გამოყენების პრაქტიკაც. ნორმის შესაბამისად, მტკიცებას არ საჭიროებენ ერთ საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართალურთიერთობები სხვა საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამ ნორმის გამოყენებისას სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნულია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა შემოიფარგლება მხარეებით. თუ ეს ნორმა განვრცობითი მეთოდის (ხერხის) გამოყენებით არ განიმარტება, ნორმის პირდაპირ და სიტყვასიტყვით გამოყენებამ შესაძლოა პრაქტიკა არასწორი დასკვნებისა და შედეგებისაკენ წაიყვანოს. 106-ე მუხლის და მისი გამოყენების პრაქტიკის საფუძველზე გამოდის, რომ 89-ე მუხლიდან გამომდინარე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მონაწილეობით საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს, ხოლო 106-ე მუხლიდან გამომდინარე არ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, ვინაიდან დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირი მხარე არ არის, ხოლო 106-ე მუხლი კი პრეიუდიციას ავრცელებს მხარეებზე. ამგვარი წინააღმდეგობის აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია სსკ-ის 106-ე მუხლის ფორმულირების შეცვლა შემდეგი სახით: „ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას სხვა საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე პირები მონაწილეობენ".

სსსკ-ს 90 მუხლით განსაზღვრულია ის უფლებრივი გამონაკლისები, რომელიც მესამე პირების უფლებათა მოცულობას ახასიათებს. არის რიგი უფლებებისა, რომელიც აღნიშნული მუხლით განსაზღვრული არ არის:

სუბმესამე პირი - მეცნიერთა გარკვეული ნაწილი განიხილავს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მხარეზე სხვა მესამე პირების ჩაბმის საკითხს, რადგან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ინსტიტუტი ამ კითხვას არ ეწინააღმდეგება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პროცესის ასეთი გართულება შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილებაზე მძიმედ აისახოს. ამიტომ, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას, სასამართლო საპროცესო მიზანშეწონილობიდან უნდა გამოვიდეს.

ხანდაზმულობა - ვინაიდან, მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება სასამართლოში განაცხადონ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ, ამიტომ, მესამე პირის მიერ გაკეთებული განცხადება არ ითვლება სასამართლოს მიერ გათვალისწინების საფუძვლად. აღნიშნული უფლებით სარგებლობა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირსაც უნდა შეეძლოს. პირველი იმიტომ, რომ კანონით აკრძალული არაა და მეორე, რომ თუ მოსარჩელე სარჩელს შეიტანს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების შესახებ მოპასუხემ შესაძლოა ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი არ დააყენოს, ვინაიდან იცის, რომ შეუძლია მესამე პირს ზარალის ანაზღაურება რეგრესის წესით მოსთხოვოს. მოპასუხეზე მეტი დაინტერესება შესაძლოა ქონდეს მესამე პირს მოთხოვნის ხანდაზმულობის განცხადებასთან დაკავშირებით. ხანდაზმული მოთხოვნის საფუძველზე წარმოშობილი რეგრესული ვალდებულება აშკარად გავლენას ახდენს მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე მხარის მიმართ, მაშინ როცა ამ უფლების არსებობისას, მას შეუძლია თავიდან აიცილოს რეგრესული მოვალეობა.

ასევე აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები არ იხდიან პროცესში მონაწილეობისთვის სასამართლო ბაჟს. ზოგადად, ბაჟის გადახდევინება წარმოებს სასამართლოს მიერ გაწეული შრომისათვის. მესამე პირების საქმეში მონაწილეობა ზრდის მოსამართლის შრომას. ამიტომ, შეიძლება მათთვის ბაჟის დაწესებაზე ფიქრი, რაც გაფილტრავს არამიზნობრივად პროცესში ჩართვის მოსურნეთა რიცხვს. გერმანული პროცესი იცნობს ამ პირთა მიერ სასამართლო ხარჯებში მონაწილეობას. ბაჟი უნდა განისაზღვროს ფაქტის დადგენისათვის დაწესებული ოდენობით.

განჩინებათა გასაჩივრების უფლება - დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირები წარმოადგენენ კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტებს, თუ ეს განჩინება მათ უშუალოდ ეხებათ, ვინაიდან კოდექსით შეზღუდვა გათვალისწინებული არ არის. 2005 წლის 20 დეკემბერს სსსკ-ში შესული ცვლილების შედეგად 90-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდება. აღნიშნული საკმაოდ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან, გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ და არა იმ პირს, ვისაც საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარი ეთქვა. ეს იმას ნიშნავს, რომ სსსკ-ით, პირი, რომელსაც უარი ეთქმება მესამე პირად ჩართვაზე, მოკლებულია შესაძლებლობას თავისი უფლება დაიცვას და განჩინება სასამართლოში გაასაჩივროს. ეს არაპირდაპირ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და კონსტიტუციის 42-ე მუხლს.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას, გასათვალისწინებელია სსსკ-ში სხვადასხვა დროს შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, როგორც ცნობილია, 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული სსსკ ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს. თავდაპირველი რედაქციის 364-ე და 391-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის წარდგენის უფლება ჰქონდათ მხარეებსა და მესამე პირებს. ანუ ამ ნორმებში მესამე პირზე ზოგადი მითითება, მოიაზრებდა ორივე სახის მესამე პირს. თუმცა კოდექსის ამოქმედებამდე (ძალაში შესვლამდე) ორი დღით ადრე, ე.ი. 1999 წლის 13 მაისს მასში შევიდა

ცვლილება და 364-ე და 391-ე მუხლები ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორც ისინი დღეს არიან მოცემულნი. დღეს არსებული მოწესრიგება, რომლის თანახმადაც დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს კანონის შესაბამისად წართმეული აქვთ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ამ პირების უფლებათა შელახვას იწვევს. ამიტომ, მიზანშეწონილია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირს მიენიჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია კანონმდებლისათვის შემდეგი რეკომენდაციების შეთავაზება:

1. ნაშრომში განხორციელებული მესამე პირების ინსტიტუტის შედარებითი კვლევის შედეგად შეიძლება დასკვნა, რომ ყველა ქვეყნის როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის კანონმდებლობა იცნობს მხარეთა მიერ დაწყებულ პროცესში მესამე პირის ჩართვას. საზღვარგარეთის ქვეყნები მესამე პირების საქმის განხილვაში ჩართვას გამოხატავენ ტერმინით – intervention (ჩართვა, შეჭრა). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სისტემაში თავად ქმედება – „სხვის პროცესში ჩართვა" ცალკე არ არის განსაზღვრული, ხოლო პირებს, რომლებიც დაწყებულ საქმისწარმოებაში ერთვებიან „მესამე პირები" ეწოდებათ. ტერმინი „მესამე პირი" ქართულ კანონმდებლობაში საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდანაა შემორჩენილი და როგორც ამას ლიტერატურაში მიიჩნევენ, სუფთა ტექნიკური ხასიათი აქვს, ვინაიდან რიგითობის მიხედვით არის მესამე. მოსარჩელე არის პირველი სუბიექტი, რომელიც დავას იწყებს, მეორე სუბიექტია მოპასუხე და შემდეგ - მესამე პირი. მას მხოლოდ ნომერი აქვს მინიჭებული პროცესში, რომელიც ვერ ასახავს პროცესის ამ მონაწილის სპეციფიკას.

კვლევაზე დაყრდნობით ნაშრომში შემოთავაზებულია – „ჩართვის" ცნების დანერგვა, რაც სრულად ასახავდა მესამე პირებისათვის დამახასიათებელ მთავარ ნიშან-თვისებას: სხვის მიერ დაწყებულ პროცესში ჩართვას.

-არსებული მოცემულობით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებთან მიმართებაში მიმართ სსსკ ამბობს, რომ მათ შეუძლიათ აღძრან სარჩელი.

-სსკ-ს 89 -ე და 90-ე მუხლები იყენებენ ტერმინებს „დაშვება" და „ჩაბმა".

-ტერმინი „დაშვება", გამოიყენება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე იმ მესამე პირებთან მიმართებაში, რომლებიც საკუთარი ინიციატივით ერთვებიან წარმოებაში. ასევე, წარმომადგენლების, მოწმეთა და თანამონაწილეების მიმართ.

-ტერმინი „ჩაბმა" გამოყენებულია 90-ე მუხლში იმ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე იმ მესამე პირთა მიმართ, რომლებიც ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ერთვებიან საქმეში.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მესამე პირი თავისი ინიციატივით გამოდის საქმეში მონაწილეობის თაობაზე სასამართლო მას უშვებს, ხოლო მხარის ინიციატივის შემთხვევაში – აბამს. თუმცა, მესამე პირების საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით განსხვავებული ტერმინების გამოყენების მნიშვნელობა არ იკვეთება.

ამიტომ, უმჯობესია, რომ კანონმდებლობით განმტკიცებული იყოს ისეთი ერთიანი ტერმინის გამოყენება, რომელიც ყველაზე უკეთ გადმოსცემს ამ ინსტიტუტის არსს - სხვის მიერ დაწყებულ პროცესში ჩართვას. ვინაიდან ეს მახასიათებელი მესამე პირთა საქმეში მონაწილეობის ამოსავალი

წერილია და სხვა პროცესის მონაწილეთაგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშანი. სსკ-ს 1519-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსში გამოყენებული ცნებები და ტერმინები ადეკვატურად უნდა იქნეს გამოყენებული ყველა სხვა სამართლებრივ აქტში. ანალოგიურად, მიზანშეწონილი იქნება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც გამოყენებულ იქნეს ერთგვაროვანი ტერმინები და მათ შორის ისეთი, რომელიც მის არსს შედარებით სრულყოფილად გამოხატავს. მით უმეტეს, რომ 2000 წელს ევროპის ქვეყნების სასამართლოებში დაფიქსირებული კრიზისის[784] გამო პრობლემების იდენტიფიცირებისათვის მიღებული რეკომენდაციის[785] შედეგად გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო ნორმებს შორის არსებულმა განსხვავებებმა განაპირობა სასამართლოებში საქმეთა რაოდენობისა და ხარისხის ინდიკატორების გამოვლენის, შეკრებისა და ანალიზის თაობაზე კვლევის ჩატარება (Resolution 2002(12). CEPEJ- ის მიერ 2003 წელს მომზადებულ იქნა CEPEJ (2003)12 article, რომელშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიჩნეულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებს შორის არსებულ ცნებათა განსხვავება.[786] ამიტომ, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში „ჩართვა“ ცნების დანერგვა კიდევ უფრო ნათელს მოჰფენდა და სრულად ასახავდა იმ საპროცესო ქმედებას, რომლითაც, საქმის არამონაწილე პირი უკვე დაწყებულ პროცესში ერთვება. მითუმეტეს, რომ როგორც ეს ისტორიული მიმოხილვიდან გამოჩნდა, აღნიშნული ინსტიტუტის ჩამოყალიბება სწორედ ამ ტერმინით განხორციელდა.

2. „მესამე პირების დაინტერესების ხარისხი და კავშირი პროცესის ობიექტთან – დავის საგანთან – შესაძლოა განსხვავებული იყოს. შესაბამისად, მესამე პირების დაინტერესების ხასიათიდან გამომდინარე კანონი განასხვავებს მათი მონაწილეობის ორ ფორმას. ნაშრომში განხორციელებულია მონაწილე პირთა დაჯგუფება მათი პროცესის საგანთან მიმართების მიხედვით, რის შედეგადაც იკვეთება, რომ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მის გარეშე საქმეში მონაწილე პირთა კატეგორიზაციისას ერთსა და იმავე „საქმეში მონაწილე პირების“ ჯგუფში შედიან. თუმცა იმისდა მიხედვით, საქმის შედეგისადმი თუ რა იურიდიული დაინტერესება გააჩნიათ, სხვადასხვა ქვეჯგუფს მიეკუთვნებიან:

- დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირები შედიან ქვეჯგუფში პროცესის იმ მონაწილეებთან, რომლებსაც აქვთ პროცესუალური და მატერიალურ სამართლებრივი დაინტერესება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

---

[784] *Albers P.* Judicial systems in Europe compared, Civil Justice between Efficiency and Quality: From Ius Commune to the CEPEJ, Editors:C.H. van RheeA. Uzelac, Intersentia Antwerp – Oxford – Portland, 2008, 9.

[785] Resolution Res(2002)12 establishing the European Commission for the efficiency of justice (CEPEJ) (adopted by the Committee of Ministers on 18 September 2002 at the 808th meeting of the Ministers' Deputies), European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) High quality justice for all member states of the Council of Europe, https://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/textes/CEPEJ_Study22_EN.pdf

[786] *Albers P.* Judicial systems in Europe compared, Civil Justice between Efficiency and Quality: From Ius Commune to the CEPEJ, Editors:C.H. van RheeA. Uzelac, Intersentia Antwerp – Oxford – Portland, 2008, 10.

- მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ქვეჯგუფში პროცესის იმ მონაწილეებთან ერთიანდებიან, რომელთაც საქმის დასასრულისადმი მხოლოდ საპროცესო დაინტერესება აქვთ სხვისი ინტერესების დასაცავად.

მათი ცალ-ცალკე განხილვისას იკვეთება, რომ ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანებული სრულიად განსხვავებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტები როგორც პროცესში მონაწილეობის მიზნით, ასევე უფლებათა მოცულობით. ორივე ფორმით პროცესში მონაწილეობისათვის საერთოა ის, რომ ეს პირები სხვა პირების მიერ უკვე დაწყებულ დავაში ერთვებიან. რის გამოც ისინი გაერთიანებულნი არიან საერთო ტერმინის ,"მესამე პირების" ქვეშ სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში გაერთიანებულ ორ სხვადასხვა ინსტიტუტს შორის არსებული განსხვავებები იძლევა საფუძველს უფრო კონკრეტულად და თვალსაჩინოდ მოხდეს მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ამიტომ, მიზანშეწონილი იქნება ჩართვის სახეების შინაარსობრივად და ტერმინოლოგიურად გამიჯვნა შემდეგი სახით ჩამოყალიბება:

ა. მესამე პირის ჩართვა დამოუკიდებელი მოთხოვნის წარდგენის მიზნით, რომელიც სასამართლოში უკვე მიმდინარე დავისას დამოუკიდებელ მოთხოვნას წარუდგენს მხარე(ებ)ს;

ბ. დამატებითი ჩართვა მხარის დასახმარებლად საკუთარი ინტერესების შემდგომში დაცვის მიზნით. დამატებით ჩართული პირი – პირი, რომელიც პროცესში მხარის პროცესუალური დახმარებისათვის ჩაერთვება, რათა შემდგომში საკუთარი მატერიალური ინტერესის დაცვა და მოსალოდნელი დავის პრევენცია მოახდინოს;

გ. სასამართლოს მეგობრის (amicus curie) - ჩართვა სასამართლოს დახმარების ან/და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, მაშინ როდესაც გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი ინტერესის რეალიზებაზე შეუძლია გავლენა მოახდინოს.[787]. სასამართლო პრაქტიკაში უხვად მოიპოვება შემთხვევები, როდესაც კერძო ინტერესების მქონე მოდავე მხარეები იგნორირებას უკეთებენ საზოგადოებრივ ინტერესს. ინგლისის მაგალითი თვალნათლივ ადასტურებს ჩართვის ამ სახის ეფექტურობას და მაღალ მნიშვნელობას სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ეს პირები პროცესში თავისი მონაწილეობით საზოგადო ინტერესებს იცავენ, მაგალითად: საავტორო, გარემოს დაცვის, სოციალური მომსახურების და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც გამოცდილება გააჩნიათ ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროში და მათი ინტერესია ის, რომ მხარეთა კერძო ინტერესების დაცვისას საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინტერესების შელახვა არ მოხდეს. მათი დაინტერესების სახე მხარეთა და „ნორმალური" მესამე პირების იმ ინტერესისაგან განსხვავდება, რომელსაც სასამართლო

[787] *Freshfields Bruckhaus Deringer LLP* , THIRD PARTY INTERVENTIONS IN THE PUBLIC INTEREST, May 2016 .

გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს.[788] amicus curae-ს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებობის შემთხვევაში უფრო დაზუსტებული იქნებოდა მხარეთა პროცესში მონაწილეობის სამართლებრივი საფუძველი და სტატუსი. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირებად ისეთი პირების ჩართვა არ მოხდებოდა, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებაში მატერიალური დაინტერესება არ აქვთ.

დიფერენციაციისას საინტერესო იქნება მსჯელობა კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნასთან დაკავშირებით არსებული ინტერესების, სუბორდინაციისა და სუბიექტების თეორიების ლოგიკით. როგორც ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სასამართლოებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს განსჯადობის სწორად გადაწყვეტას, რათა არ მოხდეს კანონის არასწორად გამოყენება, ასეთივე პარალელის გავლებაა შესაძლებელი მესამე პირების პროცესში სწორად მონაწილეობასთან დაკავშირებით. თუ წლების მანძილზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მისაჩნევად საკმარისად თვლიდა სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მონაწილეობას გარიგებაში, რაც იწვევდა სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული სამოქალაქო გარიგებების განხილვის აუცილებლობას ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ (სუბიექტის თეორია). 2005 წლის 25 ივნისს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა მიენიჭა არა ამ ურთიერთობის მონაწილეებს, მაგალითად, სახელმწიფოს (სუბიექტის თეორია), არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას (სპეციალური სამართლის თეორიას). [789] ამ ეტაპზე მესამე პირების გამიჯვნა ხდება იმისდა მიხედვით აქვთ დამოუკიდებელი მოთხოვნა თუ არა, ანუ მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს მოთხოვნის არსებობა არარსებობა. თუ გამიჯვნის კრიტერიუმი შეიცვლება და ისევე როგორც ხსენებულ თეორიებს შორის მესამე პირების გამიჯვნისას უპირატესობა მიენიჭება მესამე პირების პროცესში მონაწილეობის ფუნქციასა და სამართალურთიერთობაში მათ ინტერესს, შესაძლებელია დასკვნა, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე და არ მქონე პირების ერთი დასახელების ქვეშ გაერთიანება არ არის მიზანშეწონილი საპროცესო სამართლის შემდგომი განვითარებისათვის. თუ ამ პირთა პროცესში მონაწილეობა განისაზღვრება სამართლებრივ ურთიერთობაში მათი ფუნქციისა და შინაარსის მიხედვით, მაშინ მათი მონაწილეობა პროცესში უფრო სრულყოფილ სახეს შეიძენს. აღნიშნული დიფერენცირება გარდა იმისა, რომ პროცესის მონაწილეთა სწორ განლაგებას დაეხმარება, ასევე, განსაზღვრავს მესამე პირების საქმის დასასრულისადმი ინტერესის ხარისხს. არ მოხდება მათი აღრევა, რაც სასამართლოს სრულყოფილი გადაწყვეტილების გამოტანაში თავისთავად ხელს შეუწყობს.

---

[788] *Arruda Alvim Wambier T.* Civil Procedure in cross-cultural dialogue: Eurasia context, Iapl, World Conference on Civil Procedure, 18–21 September, 2012, Moscow, Russia, CONFERENCE BOOK, Edited by Dmitry Maleshin, 255.

[789] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 6.

3. სასამართლოსათვის საჭიროებიდან გამომდინარე, დავის მიმდინარეობის თაობაზე მესამე პირთათვის შეტყობინებისა და პროცესში ჩართვის შეთავაზების უფლების მინიჭება. საერთაშორისო მიდგომებითაც სასამართლოს მინიჭებული აქვს მესამე პირების მოწვევის კომპეტენცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის განმტკიცებას, სტაბილურობის განცდას, ვინაიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გავლენა მესამე პირების ინსტიტუტზე და ამ კუთხით საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა.

4. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა თაობაზე რეგულაციების მოწესრიგება – როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ვრწმუნდებით, მეტი სადავო და ბუნდოვანი საკითხი გამოკვეთილია დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებთან მიმართებაში, რისი შევსებაც და სწორი მიდგომების დანერგვა ამ ეტაპზე განხორციელებულია უზენაესი სასამართლოს განმარტებებით, თუმცა მიზანშეწონილი იქნება, თუ აღნიშნული მიდგომების გადმოტანა თავად პროცესში ერთიანი კოდიფიცირებული სახით განხორციელდება. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებთან მიმართებაში პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად შემდეგი რეკომენდაციებია შემოთავაზებული:

4.1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებთან მიმართებაში მიზანშეწონილი იქნებოდა, ზოგადი დათქმის „გავლენის მოხდენის“ ნაცვლად მოხდეს ინტერესის განსაზღვრა „იურიდიული ან ეკონომიკური ინტერესის” სახით. საქმეში ჩართვისათვის აუცილებელი უნდა იყოს ის, რომ მხარეს გადაწყვეტილების მიმართ სამართლებრივი ან ეკონომიკური (საპროცესო/მატერიალური) ინტერესი გააჩნდეს.

4.2. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს, რომლებსაც საქმეში ჩართვაზე უარი სასამართლოს განჩინებით ეთქვათ, ამ მათთვის აღმკვეთი ხასიათის განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების საშუალება მიენიჭოთ. აღნიშნული საკმაოდ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მესამე პირად ჩართვის თაობაზე შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება კერძო საჩივრით აღარ ხდება და შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდეს. ხოლო, გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ და არა იმ პირს, ვისაც საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარი ეთქვა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, პირს რომელსაც უარი ეთქმება მესამე პირად ჩართვაზე, მოკლებულია შესაძლებლობას თავისი უფლება დაიცვას და განჩინება სასამართლოში გაასაჩივროს. ეს არაპირდაპირ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და კონსტიტუციის 42-ე მუხლს. ვინაიდან, პირს, რომელსაც საქმეში ჩართვა სურს და სასამართლოს მიერ უარი ეთქმება, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მეორე ინსტანციაში გასაჩივრების უფლება აღარ აქვს. ქართულ საპროცესო საკანონმდებლო სივრცეში არსებობს ხარვეზი, რომლის აღმოფხვრაც ხელს შეუწყობს პირის უფლების განხორციელებას მიმართოს სასამართლოს და სასამართლოს დადგენილება გაასაჩივროს. აღნიშნული კუთხით სამოქალაქო

საპროცესო კანონმდებლობაში რეგულაციების დახვეწა მასშტაბური ჰარმონიზაციის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.
4.3. სსსკ-თი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩართვის წესი დეტალურად არ არის განსაზღვრული. სსკ-ს 89-ე და 90-ე მუხლები საქმეში ჩართვის პირობად მხოლოდ ყველა დაინტერესებული პირის მიერ მოტივირებული განცხადებით მიმართვას ადგენენ. სამაგალითოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გფრ-ს სსსკ-ი, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დაინტერესებული პირის შუამდგომლობა საქმის განხილვაში ჩართვის თაობაზე, გარდა იმისა, რომ მასზე საპროცესო დოკუმენტების მომზადების ზოგადი წესები ვრცელდება.
4.4. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებთან მიმართებაში დაიხვეწოს და დეტალურად განისაზღვროს მათი უფლებათა მოცულობა. კერძოდ, პირდაპირი დათქმა გაკეთდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მინიჭების თაობაზე, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკითაა დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 391-ე მუხლების თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრონ. მიზანშეწონილია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის არ მქონე მესამე პირს მიენიჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლება და 364-ე და 391-ე მუხლები ჩამოყალიბდეს პირვანდელი რედაქციით. მართალია ასეთი მესამე პირები არ არიან მატერიალური ურთიერთობის მონაწილენი თავდაპირველ საქმეზე, სადაც მესამე პირებად მონაწილეობენ, მაგრამ არიან საპროცესო ურთიერთობის მონაწილენი. ზემოაღნიშნული ცვლილება ასეთ მესამე პირს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეული სამომავლო უარყოფითი შედეგებისაგან დაცვის სრულყოფილ შესაძლებლობას მისცემს. საყურადღებოა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ასეთი მესამე პირები სარგებლობენ აპელაციისა და კასაციის უფლებით. ზემოაღნიშნული ნორმა პრეტენზიის წარდგენაზე ნამდვილი უფლების მქონე სუბიექტთა წრეს განსაზღვრავს და მათ მიეკუთვნება ყველა ის პირი, რომელთა უფლებრივ მდგომარეობასაც შეეხება სასამართლო განხილვაში არსებული დავა.
წინამდებარე ნაშრომში განხორციელებული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში და ქვეყნებში არსებული ნორმების შედარებითი კვლევა საფუძველს იძლევა ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაეწიოს კანონმდებელს მესამე პირების თაობაზე არსებული ნორმების განვითარების თაობაზე. რა თქმა უნდა, ეს ვერ იქნება სრულყოფილი წესების შემუშავების გარანტი, ვინაიდან „მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, დღემდე მსოფლიოს ვერც ერთმა კანონმდებელმა ვერ მოახერხა ყველა მოქალაქისათვის გასაგები, უნაკლო კანონების შექმნა. ეს იმით აიხსნება, რომ ყოფითი ურთიერთობები იმდენად კომპლექსურია, რომ მათი დალაგება შეუძლებელია რამდენიმე მარტივი წინადადებით, რომელიც ხალხის წიაღიდან ამოსული ნებისმიერი ადამიანისთვის

გასაგები იქნებოდა".[790] საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი ერის სულისა და ფსიქოლოგიის გათვალისწინება. შესაძლოა რომელიმე ქვეყანას სრულყოფილი ნორმები გააჩნდეს ამა თუ იმ სამართლებრივი მექანიზმის, ამ შემთხვევაში მესამე პირების თაობაზე, მაგრამ ქართულ რეალობაში მათმა პირდაპირ გადმოტანამ შესაძლოა არ გაამართლოს. თუ ერს აღვიქვამთ ცოცხალ არსებად, რომელიც ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა, ჩამოყალიბდა და ვითარდება, მაშინ ლოგიკურად, მას უნდა ჰქონდეს თავისი ხასიათი და ფსიქოლოგია, რომელთა თავისებურებებსაც გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორია განსაზღვრავს. საქართველო გეოპოლიტიკურად იმყოფება ევროპისა და აზიის გასაყარზე, სადაც არის მრავალფეროვანი ბუნება, რაც მისი ხალხის ხასიათის მრავალფეროვნებასა და ცვალებად ტემპერამენტს განაპირობებს. ამასთან, სწორედ ამ გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით მოსახლეობა შედგება როგორც ეროვნებით ქართველი, ისე სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობისაგან, რომლებიც ასე თუ ისე ქართული ადათ-წესებით ცხოვრობენ. კანონების შემუშავებისას მნიშვნელოვანია იმ ადათ-წესების გათვალისწინებაც, რომელიც, მიუხედავად ხანგრძლივი დამპყრობლური რეჟიმისა, გარკვეულად ტრანსფორმირებული სახით, მაინც შემორჩა ქართველ ხალხს. ასევე, ვინაიდან ისტორიულად საქართველო ხშირად ხდებოდა დამპყრობელთა სათარეშო ადგილი, ქართველ ხალხს გააჩნია უცხო რეჟიმისადმი გარკვეული შეგუების უნარი ისე, რომ თვითმყოფადობა არ დაკარგოს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია, კანონმდებელმა ისეთი სამართლებრივი ნორმები შეიმუშავოს, რომლებიც პრაქტიკაში გამოყენებული იქნება და კანონების ხშირ ცვალებადობას არ გამოიწვევს. მესამე პირების თაობაზე სხვადასხვა ქვეყნებისა და მათ შორის სამოდელო კოდექსის ნორმების შედეგად შესაძლებელია დასკვნა, რომ საქართველო ვერ განვითარდება მსოფლიო ცივილიზაციის გვერდის ავლით. თუმცა, როგორი მომხიბვლელიც არ უნდა იყოს რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ნორმები, მათი გადმოტანა თავდაპირველად იმ ერის ბუნებისა და შემდეგ მათი ქართულთან შედარების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ საჭიროა ზოგადი საერთაშორისო პრინციპებისა და ეროვნული ფასეულობების სინთეზი.

[790] *Chanturia L.* Das neue Zivilgesetzbuch Georgiens: Velhältnis zum deutschen Bürgerlichen gesetzbuch, in: Aufbruch nach Europa, 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht (2001).

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი თბილისი 2011, 2010 - 2011 წლები, თბილისი, 2011, კრებული შეადგინა და დაამუშავა თინათინ ბეჟაშვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი;

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, *მოიძია ბესარიონ ბოხაშვილმა, გამოცემაზე პასუხისმგებელი ქეთევანი ხუციშვილი*, თბილისი 2004;

3. *ასათიანი ნ, კიღურაძე ნ, სანიკიძე გ, ფირცხალავა ლ,* ისტორიის სახელმძღვანელო მე-11 კლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007 წ.

4. *ბოელინგი ჰ, ჭანტურია ლ.* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბილისი, 2004;

5. *გაბელაია ქ,* მესამე პირები სამოქალაქო სამართალის პროცესში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75“, თბილისი;

6. *გაგუა ი,* მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი 4 (27), 2012.

7. *გაგუა ი.* სადისერტაციო ნაშრომი მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012.

8. *გარიშვილი მ,* საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, თბილისი, 2008 წ. ლექციების კურსი;

9. *ვაჩაძე მ, თოდრია ი, ტურავა პ, წკეპლაძე ნ,* საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი №6 (2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით) თბილისი, 2005;

10. ზოიძე ბ., ვროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.

11. ინწკირველი გ, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 2003;

12. კობახიძე ა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003;

13. კოპალეიშვილი მ, სხირტლაძე ნ, ქარდავა ე, ტურავა პ. (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2008;

14. *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, Verlag C.H. Beck Munchen, 2011, თბილისი, 2014;

15. *ლილუაშვილი თ, ლილუაშვილი გ, ხრუსტალი ვ, ძლიერიშვილი ზ.* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014;

16. *ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007;

17. *ლილუაშვილი თ,* სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული და გაფართოვებული გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი”, 2001 წ.

18. *ლილუაშვილი თ,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი 2005;

19. *ლილუაშვილი თ,* სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, (ნაწილი I), თბილისი, 2002;

20. *მეტრეველი. ვ. დავითაშვილი გ,* პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი”, თბილისი, 2002;

21. *მეტრეველი ვ,* ქართული სამართლის ისტორია, თბ. 2009;

22. *პერანიძე ი,* დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მართლმსაჯულება და კანონი, №1(28);

23. *წიქვაძე მ.,* განჩინება სამოქალაქო პროცესში და მისი გასაჩივრების წესი, თბილისი, 2004;

24. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017;

25. სუს მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011, თბილისი.

26. *ურბნელი ნ.*, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი. ელ. ვერსია, შექმნილი სამართალის ელექტრონული ბიბლიოთეკის (სების) გაციფრების პროექტის ფარგლებში, www.library.court.ge; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ.

27. *ქორია გ,* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი. (შედარებით სამართლებრივი გამოკვლევა საქართველოს საფრანგეთის, იტალიის, აშშ, დიდი ბრიტანეთის, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, მოლდოვისა და რფ მაგალითზე.) თბილისი, 1998;

28. *ქურდაძე შ, ხუნაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2012;

29. *ქურდაძე შ.*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2006 წელი;

30. *ქურდაძე შ,* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2005 წელი;

31. *ცაცანაშვილი მ,* სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, (მეორე ნაწილი), თბილისი, 2000 წ *ძლიერიშვილი ზ,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი; 2012;

32. *ცერცვაძე გ.* საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008

33. *წიქვაძე მ,* განჩინება სამოქალაქო პროცესში და მისი გასაჩივრების წესი, თბილისი, 2004;

34. *წიკლაური ბ.* უფლების დაცვის წინასწარი საშუალებანი ადმინისტრაციულ სამართალში (შედარებითი ანალიზი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011;

35. *ჭანტურია ლ.* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, 26.

36. *ჭყონია ზ,* სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში, (ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი, 3(42)'14;

37. *ჭყონია ზ,* სამოქალაქო სამართალწარმოება და აღსრულება საქართველოსში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, მართლმსაჯულება და კანონი, 2014;

38. *ხოფერია ნ.* დისპოზიციურობა საქართველოს ახალი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, პირველი კვარტალი, 1998;

39. *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 ISSN 2233-3746 , N1, 2017.

40. *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირები საზოგადოებაში თანამედროვე თანამშრომლობისა და პარტნიორობის სამსახურში, მე-3 დისციპლინათაშორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა" მასალები, ვარშავა, პოლონეთი, 01.07.2017.

41. *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირების მონაწილეობის პრობლემატიკა სამოქალაქო პროცესში, სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო ნაკრები «European Cooperation», Vol 4, No 11 (2016),04.2016;

42. *ხარიტონაშვილი ნ.* მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, 04.2016, სამოქალაქო პროცესი, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, გამოცემის შესრულების თარიღი 04.2016, http://www.lawandworld.ge/uploads/magazine/magazine_N4.pdf;

43. *ხარიტონაშვილი ნ.* სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირების ინსტიტუტის განვითარების ისტორიული მიმოხილვა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი" 4(32), 2015;

44. *ხუბუა გ,* სამართლის თეორია, თბილისი, 2004;

45. *ჰერმანი თ,* მტკიცებულებითი სამართალი, თბილისი, 2016.

46. *Alarie B.R.D, Green A. J.*, Interventions at the Supreme Court of Canada: Accuracy, Affiliation and Acceptance, Osgoode Hall Law Journal, Vol. 48, №3/4 (Fall, Winter), 2010,<http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/cgi/viewcontent.cgi?article=1086&context=ohlj>

47. *Albers P.* Judicial systems in Europe compared, Civil Justice between Efficiency and Quality: From Ius Commune to the CEPEJ, Editors:C.H. van RheeA. Uzelac, Intersentia Antwerp – Oxford – Portland, 2008, 10.

48. *Andrews N.*, Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos, University of Cambridge, UK, <www.springer.com>,2012;

49. *Andrews N*, Fundamentals Multi-Party or Collective Litigation,University of Cambridge, PAPER NO. 21/2014, 2014;

50. *Andrews N*, No Longer an Island: European Influence on English Civil Procedure University of Cambridge, PAPER NO. 40/2013, 2013;

51. *Andrews N.*, English Civil Procedure, Oxford University Press, 2003.

52. *Arruda Alvim Wambier T.* Civil Procedure in cross-cultural dialogue: Eurasia context, Iapl, Legal Studies Research Paper Series No. 2013-119, University of California Irvine, School of law, World Conference on Civil Procedure, 18–21 September, 2012, Moscow, Russia, CONFERENCE BOOK, Edited by Dmitry Maleshin

53. *Asser W.D.H.* Within a reasonable time: a joint responsibility, The Law's Delay. Essays on Undue Delay in Civil Litigation, Intersectie Uitgevers Antwerpen – Groningen, 2004.

54. *Bader Ginsburg R*, Bruzelius A, Civil procedure in Sweden. Martibus niJhoff. The Hague/The Netherlands, 1965;

55. *Binenbojm G. A.* dimensão do amicus curiae no processo constitucional brasileiro: requisites, poderes processuais e aplicabilidade no ambito estadual, in Revista Eletronica de Direito do Estado n. 1 (jan/fev/mar 2005), Salvador, Bahia,10. (Acesso em: 05/07/2011) .

56. *Baegte D.* Civil Procedure in Germany: An Overview, The annals of American academy, AAPSS, 622, March 2009, < http://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0002716208328333>.

57. *Baker J.H.*, An Introduction to English Legal History, 4th edition, London [etc.], Butterworths/LexisNexis, 2002, p. 13.

58. *Bernstein, H.,* The finality of a judgment as a requirement for civil appeals in Germany. 47 Law and Contemporary Problems 35-60 (1984)

59. *Blanke H. J., Mangiameli St.* (Eds), The Treaty on European Union (TEU), A Commentary, springer – Verlag Berlin Heidelberg 2013;

60. *Boros,* Intervention in Civil Aeronautics Board Proceedings, 17 AD. Law Rev. 5 '(1964);

61. *Brunet,* A Study in the Allocation of Scarce Judicial Resources, 12 GA. L. Rav. 701, 734 (1978)

62. *Bueno C. S., Amicus Curiae no processo civil, Um terceiro enigmático,* Sao Paulo, Saraiva, 2006;

63. *Cadiet L.,* Introduction to French Civil Justice System and Civil Procedural Law, Ritsumeikan Law Review, No. 28, 2011;

64. *Cambi E., Damasceno K. R.,* Amicus curiae e o processo coletivo uma proposta democrática, in Revista de Processo, vol. 192, Sao Paulo, Revista dos Tribunais, feb/2011;

65. *Cappelletti M., Perillo J.M.,* Civil Procedure in Italy, Springer - Science+Business Media B.V, 1965.

66. *Carrington P.D.,* Enforcing public law on a global scale: the relevance ofthe American experience, The Code de procédure civile (1806) in France, Belgium and the Netherlands in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008.

67. *Chinkin C. M.* Third-Party Intervention Before the International Court of Justice, American Journal of International Law, Cambridge University Press, Feb 27, 2017

68. Civil Procedure in cross-cultural dialogue: Eurasia context, Iapl, Legal Studies Research Paper Series No. 2013-119, University of California Irvine, School of law, World Conference on Civil Procedure, 18–21 September, 2012, Moscow, Russia, CONFERENCE BOOK, Edited by Dmitry Maleshin

69. *Clermont K.M,* Civil Procedure's five big ideas, Michigan State Law Review, 2016.

70. *Constantinesko J.L.,* Rechtsvergleichung, Vol. I, 1971;

71. Convention of 1 March 1954 on civil procedure, Concluded 1 March 1954, Copyright Litigation Jurisdictional comparisons, General Editors: Thierry Calame, Lenz & Staehelin & Massimo Sterpi, Studio Legale Jacobacci & Associati, Second edition, Thomson Reuters, 2015;

72. Copyright Litigation Jurisdictional comparisons, General Editors: Thierry Calame, Lenz & Staehelin & Massimo Sterpi, Studio Legale Jacobacci & Associati, Second edition, Thomson Reuters, <http://tilleke.com/sites/default/files/2014_Dec_European_Lawyer_Copyright_Litigation_Vietnam.pdf.>. 2015

73. *Domej. T.* Efficiency in relationship between the judge and the parties: A perspective on the future Swiss code of Civil procedure. Access to Justice and the Judiciary: Towards New European Standards of Affordability, Quality and Efficiency of Civil Adjudication, Editors:A. UzelacC.H. van Rhee, 2009 Intersentia Antwerp– Oxford– Portland.

74. *De Ly Filip*, Best Practices and Third party participation in Wirth, Markus (editor), Best Practices in International Arbitration, ASA-Swiss Arbitration Association, Basel, 2006

75. *Eliantonio M., Backes Ch.W., Van Rhee C.H., Spronken T.N.B.M., Berlee A.*, Standing up for your right(s) in Europe, A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts, Directorate-General for Internal Policies, Policy Department, Citizen′s Rights and Constitutional Affairs, Legal Affairs,. < www.europarl.europa.eu/.../IPOL-JURI_ET(2012)462478_EN.pdf>. 2012.

76. *Eliot*, Interventions in the Federal Courts, 31 AM. L. REv. 377, 377, 380, 392 (1897).

77. *Freshfields Bruckhaus Deringer LLP*, to assist the court: Third party interventions in the public interest, May 2016, <http://2bquk8cdew6192tsu41lay8t.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2016/06/To-Assist-the-Court-Web.pdf>.

78. *Grossfeld B*, Kernfragen der Rechtscergleihung. 1996;

79. *Grossi S., Pagni M. C.*, Commentary on the Italian Code of Civil Procedure, Oxford, 2010;

80. *Grossi S.* A Comparative analysis between Italian civil proceedings and American civil proceedings before federal courts;

81. *Gottwald P.*, Comparative Civil Procedure, Ritsumeikan Law Review, International Edition, № 22, 2005,< http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr22/rlr22idx.htm>;

82. *Gottwald P.* 'Defeating Delay in German Civil Procedure', in: C.H. vanRhee (ed.), The Law's Delay, Antwerp: Intersentia 2004, p. 121-129

83. *Hanotiau, Bernard*, Complex arbitrations, Multiparty, Multicontract, Multi-issue and class actions, International law library, "Kluwer law international". The hague, 2005

84. *Harris M. R.* INTERVENTION OF RIGHT IN JUDICIAL PROCEEDINGS TO REVIEW INFORMAL FEDERAL RULEMAKINGS, Hofstra Law Review, Vol. 40:879, http://www.hofstralawreview.org/wp-content/uploads/2013/02/CC.1.Harris.40.4.pdf

85. *Haberbeck Ph. H.*, Streitverkündung und Nebenintervention im Schlichtungsverfahren? Z.Z.Z 2013 269

86. *Hazard G. C., Stürner Jr., R., Taruffo M., Gidi A.*. Draft Rules of Transnational Civil Procedure with Comments, UNIDROIT 2004 Study LXXVI – Doc. 12 (English only), Rome, February 2004, 5. ნანახია 21.09.2018,

87. *Heinze Dr. Ch. A.*, LL.M. (Cantab.) Max-Planck-Institute for Comparative and International Private Law, REPORT, The Effect in the European Community of Judgments in Civil and Commercial Matters: Recognition, Res Judicata and Abuse of Process, Germany, Mittelweg 187 D-20148 Hamburg, Germany.

88. *Heirbaut D.* Efficiency: The Holy Grail of Belgian Justice? Towards New European Standards of Affordability, Quality and Efficiency of Civil Adjudication, Editors:A. UzelacC.H. van Rhee, 2009 Intersentia Antwerp– Oxford– Portland.

89. *Heirbaut D.* THE REVOLUTION BETRAYED: THE EVOLUTION OF THE JUDICIALSYSTEM IN FRANCE, BELGIUM AND THE NETHERLANDS SINCE THEFRENCH REVOLUTION, Public and Private Justice. Dispute Resolution in Modern Societies, 2007 Intersentia Antwerpen – Oxford.

90. *Herbert G, Administrative* justice in Europe, – Report for Germany–, Judge at the Federal Administrative Court, Leipzig, 2005;

91. *Holtzoff*, Entry of Additional Parties in a Civil Action, 31 F.R.D. 101 (1963)

92. Ibero-American Institute of Procedural Law, The Model Civil Procedural Code for Iberi-amerika, Montevideo, 1988;

93. *Joint ALI/UNIDROIT Working Group* on Principles and Rules of Transnational Civil Procedure, Principles of Transnational Civil Procedure Appendix: Rules of Transnational Civil Procedure (A Reporters' Study) UNIDROIT 2005 – Study LXXVI – Doc. 13, Rome, < http://www.unidroit.org/>. 2006,

94. *Jessup Ph. C.*, COMMENT: INTERVENTION IN THE INTERNATIONAL COURT, October, 1981, 75 A.J.I.L. 903 Copyright (c) 1981 The American Society of International Law, American Journal of International Law.

95. *Kahn-Freund O., On Uses and Misuses of Comparative Law, 37 Mod. L. Rev. 1, 20 (1974).*

96. *Kaplan,* Continuing Work of the Civil Committee: 1966 Amendments of the Federal Rules of Civil Procedure (I), 81 HARV. L. Rav. 356, 401- 03 (1967).

97. *Kearney J.D., Merrilli TH.W.,* The Influence of Amicus Curiae Briefs on the Supreme Court", 148 U. Pa. L. Rev. 743, 2000;

98. *Kenny S.,* Justice, Interveners and amici curiae in the High Court (FCA), FedJSchol 1,2. <www.fedcourt.gov.au>. 1997.

99. *Kennedy,* Let's All Join In: Intervention under Federal Rule 24, **57** KY. L.J. 329, 375-78 (1969)

100. *Knottenbelt D, Koppenol-Laforce M E*, HOUTHOF F BURUM A Arbitration 2013;

101. *Knottenbelt D, Koppenol-Laforce M E, van den Nieuwendijk I.*, Commercial Arbitration in The Netherlands, GAR REFERENCE 2010;

102. *Koller CH*. Civil Justice in Austrian-German Tradition, Goals of Civil Justice and Civil Procedure in Contemporary Judicial Systems, Volume 34 of the series Ius Gentium: Comparative Perspectives on Law and Justice, 20.12.2013, 35.

103. *Kramer X.E., Van Rhee C.H.,* Civil Litigation in a Globalising World, T.M.C. Asser Press, The Hague, The Netherland, 2012, 50, <www. Asserpress.nl>.,5.

104. *Levi & Moore*, Federal Intervention: II. The Procedure, Status, and Federal Jurisdictional Requirements, 47 YALE L.J. 898, 899-900 (1938).

105. Locus Standi, A Comparative study on Legal Standing (Locus Standi) before the EU and Member States' Courts. Comperative civil procedure,

106. *Lorange Backer I.* Civil Procedure in cross-cultural dialogue: Eurasia context, Iapl, Legal Studies Research Paper Series No. 2013-119, University of California Irvine, School of law, World Conference on Civil Procedure, 18–21 September, 2012, Moscow, Russia, CONFERENCE BOOK, Edited by Dmitry Maleshin

107. *Michalik P,* 'Justice in Crisis: England and Wales', in: A.A.S. Zuckerman (ed.), Civil Justice inCrisis. Comparative Perspectives of Civil Procedure, Oxford, 1999;

108. *Martinek M.*, Rechtsverglleihung als akademische Disziplin in Deutschland, Ristumeikan Law Rev. 17, 2000;

109. *Moore & Levi*, Federal Intervention: L The Right to Intervene and Reorganization, 45 YALE L.J. 565, 565, (1936).

110. *Murray P. L.. and Stürner R H.*, German Civil Justice (Durham, USA, 2004).

111. *Oberst*, Parties to Administrative Proceedings, 40 Micr. L. REv. 378, 393 (1942). See Maislin Bros. Transp.-Ltd., 75 M.C.C. 329 (1958);

112. *Oberhammer P.*, *Domej T.*, European Traditions in Civil Procedure, edited by *Van Rhee* C.H., Intersentia Antwerpen – Oxford, 2005;

113. *Oberhammer P.*, What kind of judiciary for what kind of society. CODE OF CIVIL PROCEDURE (1806), AFTER 200 YEARS, C.H. van RheeD. HeirbautM. Storme, 2008

114. *Parker J. S.*, Comparative Civil Procedure and Transnational'Harmonization': A Law-and-Economics, Perspective, http://www.researchgate.net/publication/228158980, January 2009;

115. *Peter A.* Appel, Intervention in Public Law Litigation: The Environmental Paradigm, 78 WASH. U. L.Q. 215, 240 (2000); infra Part II.A.1.

116. *Posner R.A.*, An Economic Approach to Legal Procedure and Judicial Administration, 2 J. Leg. Studies 399-458 (1973);

117. Resolution Res(2002)12 establishing the European Commission for the efficiency of justice (CEPEJ) (adopted by the Committee of Ministers on 18 September 2002 at the 808th meeting of the Ministers' Deputies), European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) High quality justice for all member states of the Council of Europe, https://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/textes/CEPEJ_Study22_EN.pdf

118. *Rodrigues C.G.* Del Prá, Amicus Curiae: Instrumento de participação democrática e de aperfeiçoamento da prestação jurisdictional, Curitiba, Editora Juruá, 2007;

119. *Schmidt R.*, Verwaltungsprozessrecht, 7.Auflage, Bremen, 2003, Verlag Rolf Schmidt GmbH, S.

120. *Storme M*, A Single Civil Procedure for Europe : A Cathedral Builders' Dream, Ritsumeikan Law Review No. 22, 2005;

121. *Storme M.*, Towards a Justice with a Human Face, The First International Congress on the Law of Civil Procedure Faculty of Law _ State University of Ghent, < https://books.google.ge>.1977;

122. *Seng M. P.* Intervention by Third Parties in Federal Administrative Proceedings, 42 Notre Dame L. Rev. 71 (1967). Available at: http://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol42/iss1/5

123. *Storme M.*, Approximation of judiciary Law in the European Union, Nij, Dortrecht, 1994;

124. *Storme M* (ed), Procedural Laws in Europe - Towards Harmonization, Maklu, Antwerpen/Apeldoorn 2003;

125. *Storme M and Hess B* (eds), Discretionary Power of the Judge: Limits and Control, Kluwer, Dordrecht, 2003.

126. *Stein P.*, Roman Law in European History, https://books.google.ge;

127. *Thomas, Putzo*, ZPO. (Comentar.) 18. auglage 1993;

128. Taniguchi Y. What kind of Civil Procedure for what kind of society? A message from Japan. in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008.

129. *Taruffo M*, Abuse of Procedural Rights:Comparative Standards of Procedural, International Association of Procedural Law International colloquium, Tulane Law School New Orleans, Louisiana edited By, Kluwer Law International, 27-30 October 1998;

130. Third Party interventions in the public interest, Freshfields Bruckhaus Deringer LLP, May 2016, https://justice.org.uk/events/assist-court-third-party-interventions-public-interest/ .

131. Third Party interventions in Judicial Review, ac action research study, published by the public law project, London, may 2001.

132. *Uzelac A.* Turning Civil Procedure upside down: From judges´ Law to Users Law´; in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008.

133. *Van Rhee C.H.*, Civil Litigation in a Globalising World, Civil Litigation in twentieth century Europe, Introduction, 2005;

134. *Van Rhee C.H.*, European Traditions in Civil Procedure, edited by *Rhee C.H.van*, Interseria Antwerpen – Oxford, 2005;

135. *Van Rhee C.H.*, The development of civil procedural law in twentieth century Europe: From party autonomy to judicial case management and efficiency, Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007.

136. *Van Rhee C.H.*, Harmonisation of Civil Procedure of Civil Procedure: An Historical and Comparative Perspective, Maastricht University, School of Law, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1876329>., 2011,

137. *Van Rhee C.H.*, Harmonisation of Civil Procedure: An Historical and Comparative Perspective, in: *Van Rhee C.H., Kramer X.E. (eds.),* Civil Litigation in a Globalising World, The Hague: T.M.C. Asser Press/Springer, 2012;

138. *Van Rhee C.H., Uzelac A.* The pursuit of truth in contemporary civil procedure: revival of accuracy or a new balance in favor of effectiveness? Truth and Efficiency in Civil Litigation. Fundamental Aspects of Fact-finding and Evidence-taking in a Comparative Context, 2012 IntersentiaCambridge – Antwerp – Portlandwww.intersentia.com.

139. *Van Rhee C.H.*,, 'English Civil Procedure until the Civil Procedure Rules (1998)', in: C.H. van Rhee (ed.), European Traditions in Civil Procedure, Antwerp [etc.], 2005, p. 129-159.

140. *Van Rhee C.H.*, 'The Influence of the French Code de Procédure Civile (1806) in 19th Century Europe', in: L. Cadiet & G. Canivet (eds.), De la Commémoration d'un code à l'autre: 200 ans de procédure civile en France, Paris: LexisNexis/Litec, p. 129-165

141. *Van Rhee C.H., Verkerk R.*, Civil Procedure, Elgar Encyclopedia of Comparative Law, 2nd ed., <www.academia.edu >., 2012;

142. *Van Rhee C.H.*, Locus standi in Dutch civil litigation in comparative perspective, in: T.Erecinski, V. Nekrosius & et al. (eds.), Recent trends in economy and efficiency in civilprocedure, Vilnius: Vilnius University Press; 2013;

143. *Van Rhee C.H. Heirbaut D. Storme M.* (ed.The French Code of civil procedure (1806) after 200 years. The civil procedure tradition in France and abroad, Mechelen, Belgium : Kluwer, ©2008.

144. *Van Rhee C.H., Fu Yulin*, An introduction, The Role of the judge and the parties in civil litigation inChina and Europe: an introduction. In C.H. van Rhee & Y. Fu (Eds.), Civil Litigation InChina And Europe. Essays On The Role Of The Judge And The Parties (Ius Gentium:Comparative Perspectives on Law and Justice, 31) (pp. 1-7). Dordrecht: Springer. 2014.

145. *Van Rhee C.H.,* Obligations of the Parties and their Lawyers in Civil Litigation (In J. Adolphsen & et al. (Eds.), Festschrift für Peter Gottwald zum 70. Geburtstag (pp. 669-679). München: C.H.Beck, 2014)

146. *Van Rhee C.H.,* van der Woude W. Effects in Time of Judgments in the Netherlands: Prospective Overruling and Related Techniques. In: Comparing the Prospective Effect of Judicial Rulings Across Jurisdictions. Ius Comparatum - Global Studies in Comparative Law, vol 3. Springer, Cham. (2015).

147. *Van Rhee C.H.,*, Appeal in Civil and Administrative Cases in the Netherlands, in: C.H.van Rhee & A. Uzelac (Eds.), Nobody's Perfect. Comparative Essays On Appeals AndOther Means Of Recourse Against Judicial Decisions In Civil Matters (Ius CommuneEuropaeum, 129). Antwerp: Intersentia, 2014.

148. *Van Rhee C.H.,* Evidence in civil procedure in the Netherlands: Tradition and modernity In: C.H. van Rhee & A. Uzelac (eds.), Evidence in Contemporary Civil Procedure. Fundamental issues in aComparative Perspective, Cambridge etc.: Intersentia, 2015.

149. *Verkerk R. R.* What is judicial case management? A transnational and European perspective, Judicial Case Management and Efficiency in Civil Litigation, Interseria Antwerpen – Oxford, 2007.

150. *Walker Vern R.* The Timeliness Threat to Intervention of Right, 89 Yale L.J. 586 (1980)

151. Available at: http://scholarlycommons.law.hofstra.edu/faculty_scholarship/243

152. West's Encyclopedia of American Law, edition 2. Copyright The Gale Group, Inc. <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/intervention>. 2008.

153. *Wijffels A.,* French Civil Procedure (1806-1975), European Traditions in Civil Procedure, Intersentia Antwerpen – Oxford, 2005,

154. *Wijffels A.,* The Code de procédure civile (1806) in France, Belgium and the Netherlands in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of Civil Procedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008.

155. *Willmott L., White B., Cooper D.,* Interveners or Interferers: Intervention in Decisions to Withhold and Withdraw Life-Sustaining Medical Treatment, Sydney Law Review, Vol. 27, <https://sydney.edu.au/law/slr/slr27_4/Willmott.pdf>. 2005

156. *WRIGHT CH. A., MILLER A. R. & KANE M. K.,* FEDERAL PRACTICE AND PROCEDURE § 1901 (3d ed. 2007). See infra Part II.A for a discussion regarding the history and growth of intervention procedure in the American federal courts.

157. *Zuberbühler, Tobias, Müller Christoph, Hobegger, Philipp* (Editors), Swiss Rules of international arbitration, commentary, Kluwer Law International" Schulthess Jurisdische Medien", Zürich, Basel, Genf, 2005,

158. *Zuckerman A.A.S.* Court adjudication of civil disputes: a public service tobe delivered with proportionate resources, within areasonable time and at reasonable cost; in: C.H. van Rhee, D. Heirbaut & M. Storme (eds.), The French Code of CivilProcedure after 200 Years, Mechelen: Kluwer: 2008, p. 435-468

159. *Baumbach A., Lauterbach W.* Albers J., Hartmann P., Hartmann P., Zivilprozessordnung: ZPO, 71. Verlag C.H. Beck München 2013, § 64 Rn 6; 232;

160. *Baur F., Grunsky W.,* Zivilprozessrecht, Zehnte, überarbeitete Auflage, Luchterhand, 2000;

161. *Dressler W. D.,* BeckOK-ZPO, Beck'scher Online-Kommentar ZPO, Stand: 01. 01. 2014, § 64 Rn 3;

162. *Creifelds.* Op. cit. S. 61, 1274.

163. *Chanturia L*. Das neue Zivilgesetzbuch Georgiens: Velhältnis zum deutschen Bürgerlichen gesetzbuch, in: Aufbruch nach Europa, 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht (2001);

164. *Klein, F.* Pro Futuro (1891);

165. *Luke W.,* Die Beteiligung Dritter im Zivilprozess, Eine rechtsvergleichende Untersuchung zu Grundfragen der subjektiven Verfahrenskonzentration, Tübingen, 1993;

166. *Morf R,* ZPO Kommentar; in: Myriam A. Gehri/Michael Kramer (Hrsg.), Zürich 2010,

167. *Staehelin A. Staehelin D. Grolimund P*. Zivilprozessrecht nach dem Entwurf für eine schweizerische Zivilprozessordnung und weiteren Erlassen – unter Einbezug des internationalen Rechts, Zürich/Basel 2008;

168. *Musielak H. J., Weth S.,* Kommentar zur Zivilprozessordnung ZPO,, Aufl Verlag Franz Vahlen München 2013, 10, Vorbemerkung;

169. *Musielak H. J.,* Grundkurs ZPO, 10. Aufl. Verlag C.H. Bech, 2012, § 5 Rn 357;

170. *Othmar Jauernig Dr.Dr.H.c.,* Zilprozessrecht, Juristische Kurz-Lehrbücher, Verlag C. H. *Beck*, München, 2003; (Deustch);

171. *Pohlmann P.*, Zivilprozessrecht, 2009, Verlag C.H. Beck, München;

172. *Rosenberg L. Schwab K.H., Gottwald P.* Zivilprozessrecht, C.H.BECK 2010;

173. *Saenger I. /Bendtsen* HandKommentar ZPO 5. Bearbeiter, Auflage 2013, § 64 Rn 1, 202, im Internet: www.nomos-online.de;

174. *Schmitt S., Wagner T.*, Die Beteiligung Dritter am Zivilprozess, DOI 10.1515/jura-2014-0043 Juristische Ausbildung 2014(4): 372–381;

175. *Schultes H. J.*, Münchener Kommentar zur Zivilprozessordnung (MüKo) mit Gerichtsverfassungsgesetz und Nebengesetzen: ZPO Band 1: §§ 1-354, 4. Auflage, Verlag C.H. Beck München 2012;

176. *Stein F., Jonas M., Bork R,* Kommentar zur Zivilprozessordnung: ZPO, 22. Auflage 2004. Buch. V, 921 S. In Leinen;

177. *Thomas H., Putzo H., Hüßtege R.,* Verlag C.H. Beck München, Auflage 2013, 34.§ 64 Rn 1

178. *Wieczorek B. Schütze R. A:* Zivilprozessordnung und Nebengesetze, Band 1: Einleitung, §§ 1-127a, Teilband 1: Einleitung, §§ 1-49, 3. Auflage 1994, Berlin/New York;

179. *Zivilprozessordnung*: Kurzkommentar für die Praxis/von Erich Feil, Elke Kroisenbrunner,cop.2003;

180. *Zöller R., Vollkommer M.* , Zivilprozessordnung , Dr. Otto Schmidt Köln 2012Aufl 2014.

181. *Абрамов С. Н.*– Гражданский процесс, II издание; дополненное и исправленное, Москва, 1950;

182. *Булыко А.Н.* Современный словарь иностранных слов. М., 2004;

183. *Васьковский Е.В.*, Учебник гражданского процесса, Присоединение третьих лиц, Информационно-образовательный юридический портал: www.allpravo.ru. (1917г.) // «Все о праве, »:. Москва, 1917;

184. *Викут М. А.*, Стороны – основые лыца искового производства, издательство Саратовского юридического института, 1968;

185. *Горелов М.В.* Вопрос об общем понятии третьих лиц в гражданском судопроизводстве // Арбитражный и гражданский процесс. 2012. №9;

186. *Горелов М.В*. Третьи лица в гражданском процессе: из глубины веков, Арбитражный и гражданский процесс. 2012. №2;

187. *Горелов М.В*. Третьи лица в гражданском процессе Японии, Арбитражный и гражданский процесс 2016 №4;

188. Гражданский процесс: учеб. для вузов / Под ред. М. К. Треушникова д.ю.н., проф., засл. деятеля науки РФ. -2-е изд., перераб. и доп. – М.: Городец, 2007. http://uristinfo.net;

189. Гражданский процесс: Учебник / Под ред. д.ю.н., проф. А.Г. Коваленко, д.ю.н. проф. А.А. Мохова, д.ю.н., проф. П.М. Филиппова. — М.: Юридическая фирма «КОНТРАКТ»; «ИНФРА-М», 2008. http://uristinfo.net/

190. Гражданский процесс России (Под ред. М.А. Викут) М.: Юристъ, 2005. http://uristinfo.net/ ;

191. Гражданское процесуальное право россии М, 1996, изд Былина с 58 (Ред, М С Шакарян);

192. Гражданский процесс: Учебник / Под ред. В.А. Мусина, Н.А. Чечиной, Д.М. Чечота. М., 2000;

193. *Гурвич М.А.* Судебное решение. Теоретические проблемы, 1976;

194. *Давтян. А. Г*, Гражданское Процессуальное Право Германии, Москва, 2000;

195. *Елисеев Н.Г.* Право третьего лица, не заявляющего самостоятельных требований относительно предмета спора, на мировое соглашение // Вестник Высшего Арбитражного Суда Российской Федерации. 2013. N 5;

196. *Елисеев Н.Г.* Гражданское процессуальное право зарубежных стран (источники, судоустройство, подсудность). М. 2000;

197. *Жилин Г. А.,* Коментарий к Гражданскому процесуальному кодексу Российской Федераций (Постатейный), Москва, 2003;

198. *Жилин Г.А.* Правосудие по гражданским делам: актуальные вопросы: монография. М., 2010;

199. *Жукова Д. И.* ОТДЕЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ИНСТИТУТА ТРЕТЬИХ ЛИЦ В ГРАЖДАНСКОМ ПРОЦЕССЕ, Восточно-Сибирский государственный университет технологий и управления (г. Улан-Удэ, Современные проблемы теории и практики права глазами современных исследователей);

200. *Ильин А.В.* Право третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований относительно предмета спора, на возмещение судебных расходов // Арбитражный и гражданский процесс. 2012;

201. *Ильинская И.М.*, Участие Третьих Лиц в Советском Гражданском Процессе. Госдарственное издательство юридической литературы, Москва, 1962;

202. *Клейнман А.Ф.* Участие третьих лиц в гражданском процессе // Сб. трудов Иркутского университета. Т. XIII. Власть труда. Иркутск, 1927;

203. Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу РФ (постатейный) / Под ред. Е.Л. Забарчука. – СПб.: Питер Пресс, 2009.. http://uristinfo.net/;

204. *Комиссаров К. М.* Применение норм гражданского процессуального права. Проблемы применение гражданского процессуального права. Свердловск, 1976;

205. *Малешин Д. Я.*, Судебные Уставы Российской Империи 1864 года.: Влияние на современное законадательство Литвы, Польши, России, Украины, Финландии (К 150-летию Судебной реформы 20 ноября 2014) ;

206. *Малышев К.И.* Курс гражданского судопроизводства. 2-е изд. С. 200; Нефедьев Н.И. Учебник русского гражданского судопроизводства. М., 1904;

207. *Мельников А.А.* 1981. Курс Советского Гражданского Процессуального права, том первый, Теоритические основы правосудия по гражданским делам, издательство ,,наука,, Москва;

208. *Моисеев.С.*О праве истца привлекать третьих лиц Арбитр. и гражд. процесс. 2007;

209. *Приходько И.А.* Доступность правосудия в арбитражном и гражданском процессе. СПб.: Изд-во С.-Петербургского гос. ун-та, 2005. С. 345 - 347; Он же. Проблемы участия в арбитражном процессе физических лиц // Арбитражная практика. 2005. N3;

210. *Рыжиков К.С.* Характер интереса третьих лица не заявляюших самостаятельных требовании на предмет спора в гражданском

процессе. Вестник Челябинского государственного университета,2014, N 19 (348);

211. *Сергеев Н. А.* Как самостоятельно написать заявление в суд, 2011;

212. *Томилов А.Ю.* Сравнительная характеристика правового положения третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований относительно предмета спора, и лиц, осуществляющих защиту чужих прав, свобод и законных интересов // Арбитражный и гражданский процесс. 2014. N 5;

213. *Треушникова М.К.*, Комментарий к Гражданскому процесуальному кодексу РСФСР; Под редакцией; москва, 1996;

214. *Треушникова М.К.*, Гражданский процесс, М., 2006;

215. *Туманова Л.В.* Актуальные проблемы участия в гражданском судопроизводстве третьих лиц, не заявляющих самостоятельных требований на предмет спора, и органов государственного управления, дающих заключение по делу: Дис. на соиск. уч. ст. канд. юрид. наук. Калинин, 1985;

216. *Флексор Д.С.* Отмена решений по просьбе третьих лиц, не участвующих в деле. СПб., 1894;

217. *Чечот* Д.*М.,* Участники гражданского процесса, Госюиздат, 1960;

218. *Шакарян М. С.* Третье лица, не заявляющие самостоятельных требований на предмет спора. - ,,Советская юстиция,, 1966 № 19;

219. *Шакарян М. С.* Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу РСФСР (научно-практический) / Под ред. М.С. Шакарян. М., 2001;

220. *Юдельсон К.С.* Избранное: Советский нотариат. Проблемы доказывания в советском гражданском процессе. М., 2005;

221. *Яблочков Т.М.* Учебник русского гражданского судопроизводства. Ярославль, 1912;

222. Яковлева В Ф., Юкова М. К, Коментарий к арбитражному кодексу Российской Федерации, Юридическая фирма КОНТРАКТ , Москва, 1996;

223. *Яркова В.В.* Гражданский процесс. Учебник, / под ред. 6-е изд. Издательство Волтерс Клувер Год выпуска 2006 ISBN 5466000949, http://uristinfo.net/

224. საქართველოს კონსტიტუცია;

225. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, 27.06.2014, რატიფიცირებულია 18.07.2014, ძალაშია 01.07.2016;
226. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, №47-48, 14.11.1997;
227. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №31, 24.07.1997;
228. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სსმ, 39(46), №2353–რს, 23.07.1999;
229. საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ვებგვერდი, 03/07/2015;
230. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, სსმ, 55, 27/12/2005;
231. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ", საქართველოს პარლამენტის უწყებანი 19-20, 29.04.1998;
232. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ", სსმ, 46, 22/12/2009;
233. საქართველოს სსრკ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1964.

უცხო ქვეყნის ნორმატიული დოკუმენტები, უნიფიცირებული და სარეკომენდაციო სამართლებრივი აქტები

234. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Rome, 4.XI.1950 <rm.coe.int>;

235. Charter of fundamental rights of the European Union, (2016/C 202/02, ur-lex.europa.eu);

236. Convention of 17 July 1905 on civil procedure, Hague Conference on Private International Law;

237. Convention in civil procedure (Concluded 1 March 1954, Hague Conference on Private International Law;

238. Convention on jurisdiction and the enforcement of judgments in civil and commercial matters of 27 September 1968;

239. Administrative Procedure Act (APA) USA, June 11, 1946;

240. French Code of Civil Procedure, 1975; Mise A jour Legifrance Le 15 sept 2003;

241. Code of Civil Procedure of Quebec, Updated to 1 September 2013;
242. Codice di procedura civile, Libro I, Titolo IV, agg. al 11/03/2013; Italy

243. Federal Rules of Civil Procedure, 2015 edition, Quick Desk reference series tm, Michigan Legal Publishing Ltd;

244. Code of Administrative Court Procedure, version of the promulgation of 19 March 1991 (Federal Law Gazette I page 686), most recently amended by Article 5 of the Act of 10 October 2013 (Federal Law Gazette I page 3786), © 2014 juris GmbH, Saarbrücken;

245. Dutch civil procedure rules, 1999.26.04. Friday, 22 July 2016;

246. Code of Civil Procedure of japan, 26.06.1996;

247. Rules of Procedure of the Court of Justice of 25 September 2012 (OJ L 265, 29.9.2012), as amended on 18 June 2013 (OJ L 173, 26.6.2013, p. 65) and on 19 July 2016 (OJ L 217, 12.8.2016, p. 69);

248. STATUTE OF THE COURT OF JUSTICE OF THE EUROPEAN UNION (consolidated version of Protocol (No 3)), http://curia.europa.eu;

249. Swiss Rules of international arbitration (Swiss rules), June 2012, Swiss Chambers' Arbitration Institution The Swiss Chambers of Commerce Association for Arbitration and Mediation;

250. The London Court of International Arbitration LCIA Arbitration Rules (2014), < http://www.lcia.org>;

251. Гражданское процесуальное уложение Германии, от 30 января 1877 г, в редакции от 12 сентяьря 1950 г, с измменениями и дополненями, внесенными до 30 ноября 2005 г, Wolters Kluver, Москва, 2006;

252. Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации от 14.11.2002 N 138-ФЗ (ред. от 02.03.2016);

253. Гражданский процессуальный кодекс Эстонии, принятый Государственным Собранием 19 мая 1993г. Постановление N112, Президента Республики Эстонии, 9 июня 1993;

254. Гражданский процессуальный кодекс Украины № 1618-IV от 2004-03-18; с изменениями и дополнениями последнее изменение 2007-04-19;

255. Гражданский процессуальный кодекс Украины; С изменениями и дополнениями, внесенными Указами Президиума Верховной Рады Украинской ССР Дополнительно см. Решение Конституционного Суда Украины от 23 мая 2001 года N 6-рп/2001;

256. Гражданский процессуальный кодекс Республики Армения; 28 июля 1998 года, гор. Ереван, ЗР-239;

257. Гражданский процессуальный Кодекс Республики Казахстан от 13 июля 1999 г. N 411-1 ("Казахстанская правда" от 27.07.99-30.07.99 г.)(Ведомости Парламента РК, 1999 г., N 18, ст. 644)Сноска. См. Закон РК от 13 июля 1999 г. N 412 "О введении в действие Гражданского процессуального кодекса Республики Казахстан";

258. Гражданский процессуальный Кодекс Республики Беларусь, 11 января 1999 г. N 238-З Принят Палатой представителей 10 декабря 1998 года Одобрен Советом Республики 18 декабря 1998 года (Национальный реестр правовых актов Республики Беларусь; 17.03.1999, N 18-19, рег. N 2/13 от 15.01.1999) (с учетом дополнений, внесенных Законом Республики Беларусь от 9 июля 1999 г. N 285-З; НРПА, 3.07.1999, N 54);

259. Гражданский процессуальный кодекс КНР; принятна 4-йсессии Всекитайского собрания на родных представителей 7-гососыва 9 апреля 1991 г., измененвсо ответствии с Решением Постоянного комитета Всекитайского собрания народных представителей 10-гососыва «О внесении изменений в Гражданский процессуальныйко декс КНР» 28 октября 2007 г.);

260. Гражданский процессуальный кодекс Республики Узбекистан, Утвержден Законом РУз от 30.08.1997 г. № 477-I Введен в действие с 01.01.1998 г. В настоящий Кодекс внесены изменения в соответствии с Законом РУз от 14.09.2010 г. № ЗРУ-255;

261. Гражданский процессуальный кодекс Республики Таджикистан; от 5 января 2008 года; (по состоянию на 12 января 2010 года);

262. Гражданский процессуальный кодекс Азербайджанской Республики от 28 декабря 1999 года.

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები/განჩინებები

საქალაქო (რაიონული) სასამართლოს გადაწყვეტილებები

263. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, საქმე 3/1097-12. 23.03.2012;
264. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, საქმე 3/1097-12. 23.03.2012;
265. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/1298-12. 02.04.2012;
266. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/1292-12, 04.04.2012;
267. ზუგდიდის რაონული სასამართლო, საქმე №2/ბ-1169-15;
268. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, საქმე 3/234-14. 28.03.2014თბილისის საქალაქო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/-3960-13, 20.05.2014;

269. სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინება, 12.01.2015, საქმე 3/4216-14.
270. თბილისის საქალაქო სასამართლო, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, 06.04.2015, საქმე №3-2303-15;
271. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, 01.04.2016, ადმინისტრაციული საქმე №3-5917-15;
272. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განჩინება, ადმინისტრაციული საქმე 3/27-14, 02.03.2016;
273. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/4306-15, 06.07. 2016;
274. თელავის რაიონული სასამართლო, 01.02.2017, საქმე 2/259-14 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმე 3/-960-17, 22.02.2017.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

275. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე №30310013262695 (3ბ/554-14), 26 ივნისი, 2014 წელი.
276. თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე 2ბ/5114-14, 20.11.2014;
277. თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე 2ბ/1453-15, 29.01.2016; თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე 2ბ/4923-15, 21.01.2016;
278. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე 3/ბ-620-16. 29.07.2016;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები

279. სუსგ: 22.11.2006, საქმე №ს-705-1078-06;
280. სუსგ: 16.07.2007, საქმე №ს-364-715-07;
281. სუსგ, 12.11.2008, სამოქალაქო საქმე №ას-130-408-08;
282. სუსგ: 28.03.2009, საქმე №ს-253-578-09;
283. სუსგ, განმარტება №20, საქმე №ა- 998-ა-7-2011;;
284. სუსგ, 13.02.2012, საქმე № ას -1748-1729-2011;
285. სუსგ, 07.06.2012, საქმე №ას-1822-1796-2011;
286. სუსგ, 04.02.2013, საქმე №ას-1308-1234-2012;
287. სუსგ, 03.06.2013, საქმე №ას-52-49-2013;
288. სუსგ, 06.09.2013, საქმე № ას -645-613-2013;
289. სუსგ, 01.11.2013, საქმე №ას -473-449-2013;
290. სუსგ, 17.02.2014, საქმე № ას -734-696-2013;
291. სუსგ. 16.12.2014, საქმე ბს-494-483 (2კს-14);
292. სუსგ, 30.01.2015, საქმე №ას-487-463-2013;
293. სუსგ, 06.02.2015, საქმე №ას-868-826-2013;
294. სუსგ, 16.02.2015, საქმე № ას -1254-1194-2014;
295. სუსგ, 23.02.2015, საქმე №ას -1234-1175-2014;

296. სუსგ, 20.07.2015, საქმე №330210014527930 №ას355-337-2015;
297. სუსგ, 23.10.2015, საქმე №ას-949-899-2015;
298. სუსგ, 22.04.2016, საქმე №ას-210-200-2016;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები

299. სუსგ, 02.09.2016, საქმე № 330210015001004274, საქმე №ას -623-595-2016;
300. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 30.04.2003, გადაწყვეტილება №2/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ოლდა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
301.
302. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 15.12.2006, გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები-ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1;
303. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 19.12.2008, გადაწყვეტილება №1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1;
304. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 10.112009, გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1;
305. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 28.06.2010, გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 14;
306. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 08.10.2014, საქმე №2/4/532,533 –ვებგვერდი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, 05.11.2013; საქმე №3/1/531;

უცხო ქვეყნების სასამართლოს გადაწყვეტილებები:

307. U.S. Freeman v. Howe, 65 450 (1860);
308. Cf Krippendorf v Hyde and another [1884] USSC 59; 110 US 276 at 285 (1883). January 28, 1884;
309. Memphis Light, Gas & Water Div. v. FPC, 243 F.2d 628 (D.C. Cir. 1957);
310. Wilson & Co. v. U.S., 335 F.2d 788'(7th Cir. 1964), cert. denied, 380 U.S. 951 (1965).;
311. Hodgson v. UMW, 473 F.2d 118, 130 (D.C. Cir. 1972);
312. Pennsylvania v. Rizzo, 530 F.2d 501, 505 (3d Cir.), cert. denied, 426 U.S. 921 (1976);
313. National Farm Lines v. ICC, 564 F.2d 381, 384 (10th Cir. 1977)
314. Liddell v. Caldwell, 546 F.2d 768, 770 (8th Cir. 1976), cert.denied, 433 U.S. 914 (1977)

315. Penick v. Columbus Educ. Ass'n, 574 F.2d 889, 890 (6th Cir. 1978);
316. Natural Resources Defense Council, Inc. v. United States Nuclear Regulatory Comm'n, 578 F.2d 1341, 1345 (10th Cir. 1978);
317. Fleming v. Citizens for Albemarle, Inc., 577 F.2d 236, 238 (4th Cir. 1978), cert. denied, 439 U.S. 1071 (1979);
318. Conservation Foundation v Commonwealth , (1980) 146 CLR 493. High Court of Australia;
319. Tunisia VLibyan Arab Jamahiriya, Judgment of April 14, 1981.
320. Vgl. Bundesverfassungsgericht 1982, 1635;
321. Commonwealth v Tasmania. (1983) 158 CLR 1 (Tasmanian Dam Case), High Court of Australia;
322. R v Butler (1992) CCLR 285;
323. Kruger v Commonwealth, (1996) 3 [1996] 3 Leg Rep 14, Legal Reporter (Australia);
324. Lange v Australian Broadcasting Corporation, 189 CLR 520. High Court of Australia, 8th July, 1997;
325. R v Department of Health ex P. Source informatics LTD. 21.12.1999, court of appeal civil division. UK;
326. Brumărescu v. Romania [GC], no. 28342/95, § 61, ECHR 1999 VII, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS;
327. Burdov v. Russia, no. 59498/00, § 40, ECHR 2002-III, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS;
328. Smirnitskaya and Others v. Russia, no. 852/02, §§45 and 53, 5 July 2007; EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS;
329. Cour de cassation, First Civil Chamber, France (pourvoi no. 03-17839)Bull.civ. 2006,I. no. 6, p.5, 10.01.2006, Translated by: Tony Weir, Copyright: Professor B. S. Markesinis. www.law.utexas.edu, CST. Copyright 2007;
330. Decision N 155785, Republic of the Philippines, Supreme Court, Baguio City. April 13.2007;
331. Gavrilenko v. Russia, no.30674/03, §§37 and 41, 15 February 2007; EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS;
332. Rahmanova v. Azerbaijan, no. 34640/02, §§ 65 and 73, 10 July 2008. EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS;
333. CROATIA , T itle: Gz 693/2007, Date: 2008-05-30, Department: CIVIL DIVISION, Case type: Civil - the second instance, type of decision: Solution, The context: the legal effect of the judgment does not refer to the intervener, as the defendant and the intervener ordinary litigants , joint and several debtors , http://network-presidents.eu/;
334. Case of Chichinadze v. Georgia (#18156/05); EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 27.05.2010;
335. 16 O 255/10 Lendgericht Berlin, 08.11. 2011;
336. BVerfG, NJW 1988;
337. BVerfG, NJW 1963 (1963);
338. BVerfG, NJW 1982, 1635 (1635);
339. BVerfG, NJW 1967, 492, (492);

ინტერნეტ რესურსი

< www.academia.edu>

<www.altalex.com>
<www.austlii.edu.au>
<www.beck-online.beck.de>
www.dutchcivillaw.com
<www.coe.int>
<www.constcourt.ge>
<www.courts/procedure-rules>
<http://curia.europa.eu>
<www.ec.europa.eu>
<www.eur-lex.europa.eu>
<www.federalrulesofcivilprocedure.org>
<www.gccc.ge>
<www.gesetze-im-internet.de>
<www.globalarbitrationreview.com>
<www.gncc.ge>
<www.hcch.net>
<www.justice.gov.uk>
<http://www.law.edu.ru.>
<www.lawlibrary.ru>
<www.library.court.ge>
<www.matsne.gov.ge>
< www.supremecourt.ge>
<www.tsu.ge>
<www.uncitral.org>
<www.unidroit.org>
<www.uristinfo.net>
<http://legal-dictionary.thefreedictionary.com>
<http://catalogue.ppl.nl>
<http://www.juradmin.eu>
<www.uristinfo.net
<www.law.utexas.edu>
<http://www.worldlii.org/us/cases/federal/USSC>

დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

აღნიშნული ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ, სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

ნინო ხარიტონაშვილი,
თსუ, იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი